




ღვთაებრივი კურთხევა ამ სახლს
სადაც რწმენაა, იქ სიყვარულია,
სადაც სიყვარულია, იქ მშვიდობაა,
სადაც მშვიდობაა, იქ კურთხევაა,
სადაც კურთხევაა, იქ ღმერთია,
სადაც ღმერთია, იქ არც გაჭირვებაა.

ნაქარგი ვეტიხია სპირანტუსი, 1918 წ., ბათუმი



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი: FR/491/2-153/13). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Rustaveli National Science Foundation (Grant: FR/491/2-153/13). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**კონტოელი გერძენი აჭარაში
წარსული და თანამედროვეობა**

ბათუმი – 2017

მონოგრაფიაში სამეცნიერო ლიტერატურაზე, ისტორიულ დოკუმენტებზე, ასევე კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების დროს მოპოვებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, შესწავლილია აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნების დასახლების ისტორია, მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურა. ნაშრომს თან ერთვის მდიდარი საილუსტრაციო მასალა, ფოტო, აუდიო და ვიდეომონიტორინგის მასალები. მონოგრაფია საინტერესო იქნება ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ფოლკლორისტების, ლინგვისტების და ამ საკითხებით დაინტერესებული მკვლევრებისა და მკითხველებისათვის.

ნიგნის ავტორები:

მარინე გიორგაძე – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ნუგზარ მგელაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თემურ ტუნაძე – ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ნინო ძნელაძე – ისტორიის დოქტორი

მანუჩარ ლორია – ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თეონა აბულაძე – დოქტორანტი

სოფიკო ჩხარტიშვილი-მაზმანიდი, დოქტორანტი

მთავარი რედაქტორი: პროფესორი მარინე გიორგაძე

რედაქტორები: ისტორიის დოქტორი ნინო ძნელაძე

პროფესორი თემურ ტუნაძე

რეცენზენტები:

პროფესორი მამია ფალავა

პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე

პროფესორი თინა შიოშვილი

ასოც. პროფესორი მანია ბარამიძე

ასისტენტ-პროფესორი მზია ხახუტაიშვილი

UDC (უაკ) 94(=14)(479223)

კ – 608

ISBN 978-9941-27-393-3

დაიბეჭდა სტამბაში „ემ ჯი ემ“

Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of Humanities

PONTIC GREEKS IN AJARA

PAST AND PRESENT

Batumi – 2017

The monograph is a study of the history of the Pontic Greeks settlement in Ajara, their material and spiritual culture, based on the scholarly literature, historical documents, and folklore-ethnographic resources obtained during the complex scientific expeditions.

Annexed to the monograph is rich illustrations and photos, audio and video monitoring recordings. The monograph is intended for the wide audience of the researchers, historians, ethnographers, folklorists, linguists and the interested audience.

The authors of the book:

Marine Giorgadze – Doctor of Philology, Professor

Nugzar Mgeladze – Doctor of Historical Sciences, Professor

Temur Tunadze – Doctor of History, Professor

Nino Dzneladze – Doctor of History

Manuchar Loria – Doctor of History, Assoc. Professor

Teona Abuladze – PhD student

Sophiko Chkhartishvili-Masmanidi, PhD student

Editor-in-chief: Professor Marine Giorgadze;

Editors: Nino Dzneladze, Doctor of History

Temur Tunadze, Professor

Reviewers:

Professor Mamia Paghava

Professor Malkhaz Chokharadze

Professor Tina Shioshvili

Assoc. Professor Maia Baramidze

Assistant Professor Mzia Khakhutaishvili

„...სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ“.¹

«...and do not abandon the love of the Greeks».

¹ მეფე ვახტანგ გორგასლის ანდერძიდან, ჯუანშერი: „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, M 399.
Georgian Royal annals, Life of Vakhtang Gorgasali, p,203, l.14.
Machitadze, Archpriest Zakaria (2006), „The Holy King Vakhtang Gorgasali (502)“, in The Lives of the Georgian Saints. Pravoslavie.Ru. Retieved on April 19, 2009.

შინაარსი

შესავალი.....	10
თავი I. პონტოელ ბერძენთა აჭარაში დასახლების ისტორია (მ. გიორგაძე, ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე).....	14
§ 1. პონტოელი ბერძენების აჭარაში დასახლებისა და განსახლების ისტორია ..	14
§ 2. პონტოელ ბერძენთა უკუმიგრაციის ისტორიისათვის: 1920-1921 და 1990-იან წლებში.....	30
§ 3. პონტოელ ბერძენთა გვარი და ნათესაობის სისტემა (ნ. მგელაძე).....	43
თავი II. პონტოელ ბერძენთა მეურნეობა, მატერიალური კულტურა და საზოგადოებრივი ყოფა (მ. გიორგაძე, ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე, ნ. ძნელაძე, მ. ლორია).....	65
§ 4. მეურნეობა და მატერიალური კულტურა	65
§ 5. მონუმენტური არქიტექტურა და მემორიალური კულტურა	102
§ 6. ბერძენები აჭარის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სამეწარმეო სფეროში.....	148
§ 7. განათლება და ბერძნული სკოლები	179
თავი III. პონტოელ ბერძენთა ტრადიციული სულიერი კულტურა (მ. გიორგაძე, ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე, მ. ლორია, ს. ჩხარტიშვილი-მაზმანიდი).....	194
§ 8. ქორწინება, საქორწინო ტრადიციები და ფოლკლორი.....	194
§ 9. ოჯახი და საოჯახო ყოფა, საყოფაცხოვრებო ფოლკლორი.....	208
§ 10. ბავშვის დაბადებასთან და აღზრდა-სოციალიზაციასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და ფოლკლორი	221
§ 11. პონტოელ ბერძენთა სულიერი კულტურა: დღესასწაულები და საკულტო რიტუალები, კალენდარული-სანესჩვეულებო ფოლკლორი	255
თავი IV. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების თავისებურებანი (მ. გიორგაძე, ნ. მგელაძე, ნ. ძნელაძე, თ. აბულაძე).....	312
§ 12. ანატოლიელ ბერძენთა ეთნონიმიკის, კულტურული იდენტობისა და ქართველურ ბერძნული სოციოლინგვისტური ურთიერთგავლენების საკითხისათვის (ნ. მგელაძე)	312
§ 13. პონტოური დიალექტის ძირითადი ლინგვისტური თავისებურებები	326
§ 14. პონტოური დიალექტის ლექსიკური თავისებურებები	355
§ 15. პონტოური დიალექტის თემატური ლექსიკონი	378
დანართები	411
ბიბლიოგრაფია	411
ინგლისური რეზიუმე: ხათუნა ბერიძე, ნანა მაზმიშვილი.....	432
CD – აუდიო, ფოტო და ვიდეომონიტორინგის მასალები (მ. ლორია, თ. ტუნაძე, მ. გიორგაძე, ნ. მგელაძე, ნ. ძნელაძე, თ. აბულაძე)	

Content

Introduction	10
Chapter I. History of Settlement in Pontus Greek Ajara (M. Giorgadze, N. Mgeladze, T.Tunadze).....	14
§ 1. History of Immigration and migration of the Pontic Greeks in Ajara.....	14
§ 2. For the History of the Back-migration of the Pontic Greeks: 1920-1921 and 1990s.....	30
§ 3. The Surname of Pontic Greeks and the kinship system (N. Mgeladze).....	43
Chapter II. Pontus Greek Economics, Material Culture and Public Life (M. Giorgadze, N. Mgeladze, T. Tunadze, N. Dzneladze, M. Loria).....	65
§ 4. Agriculture and material culture.....	65
§ 5. Monumental architecture and memorial culture.....	102
§ 6. The Greeks in the Georgian public life and entrepreneurship.....	148
§ 7. Education and Greek schools.....	179
Chapter III. Traditional Spiritual Culture of Pontic Greeks (M. Giorgadze, N. Mgeladze, T.Tunadze, M. Loria, S. Tschkhartishvili-Mazmanidi).....	194
§ 8 Marriage, wedding traditions and folklore.....	194
§ 9. Family and family life, household folklore.....	208
§ 10. The rules, traditions and folklore related to child birth, upbringing and socialization.....	221
§ 11. Spiritual Culture of the Pontic Greeks: holidays and cult rituals, calendar-festive folklore.....	255
Chapter IV. Peculiarities of Pontic Greeks Speech in Ajara (M. Giorgadze, N. Mgeladze, N. Dzneladze, T. Abuladze).....	312
§ 12. For the question of Anatolian Greek Ethnonymics, Cultural Identity and the Socio-linguistic Interactions of Kartvelians and Greeks (N. Mgeladze).....	312
§ 13. The key linguistic peculiarities of the Pontic dialect.....	326
§ 14. The key lexical peculiarities of the Pontic dialect.....	355
§ 15. The thematic dictionary of Pontic dialect.....	378
Annexes	411
Bibliography.....	411
English Summary: Khatuna Beridze, Nana Mazmishvili.....	432
CD – Audio, Photo and Video Monitoring Recordings (M. Loria, T.Tunadze, M. Giorgadze, N. Mgeladze, N. Dzneladze, T. Abuladze)	

შესავალი

საქართველოს ეთნიკურ მოზაიკაში პონტოელ ბერძნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. საქართველოში მათი მიგრაციის ისტორია რამდენიმე საუკუნის წინ ანატოლიაში, ოსმალთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან იყო დაკავშირებული. ოსმალეთის სახელმწიფოში განვითარებული მოვლენების საფუძველზე, საქართველოს შავიზღვისპირეთში განხორციელებული ბერძენთა მიგრაცია ქრონოლოგიურად რამდენიმე ეტაპს მოიცავდა.

ბერძენულ-ქართული ურთიერთობების ისტორია უძველესი ხანიდან იღებს სათავეს და ჯერ კიდევ ეგეოსური კულტურის ფორმირების პერიოდს უკავშირდება.² არგონავტების მითი, რომელიც ძველი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ნარატივია, ასევე, სხვა ანტიკური და ბიზანტიური ისტორიული და ლიტერატურული წყაროები, უძვირფასეს ცნობებს გვანვდის დასავლეთ საქართველოს ისტორიის, სოციალური ურთიერთობების, რელიგიისა და კულტურის, ასევე, ეთნოკულტურული მდგომარეობის შესახებ, აღნიშნულ თემაზე არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა დაწერილი.³

მოგვიანებით, VII-VI სს-დან კოლონიურმა და სავაჭრო ინტერესებმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთს ანტიკური და კოლხურ-იბერიული სამყარო (ბრაუნდი, 2014:24; ფიჭვნარი, I, 2000). ეს ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური იყო ისტორიულ პონტოსთან, რომელსაც უშუალოდ ესაზღვრებოდა ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორიები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია პოლიბიოსის ცნობა (პოლიბიოსი: 4. 38.6):

„პონტოს ირგვლივ მდებარე ადგილები გვამარაგებენ ჩვენ ცხოვრების საჭიროებისათვის ისეთი აუცილებელი (საგნებით), როგორიცაა (ოთხფეხა) საქონელი და მონობისათვის გამოსადეგი უდავოდ მრავალრიცხოვანი და საუკეთესო ხალხით. ხოლო საფუფუნო (საგანთაგან) ისინი გვანვდიან ჩვენ თაფლს, ცვილსა და დამარილებულ თევზს უხვად. ხოლო იქიდან, რაც ჩვენს ქვეყნებში ჭარბადაა, ისინი ლებულობენ ზეთსა და ღვინის ყოველგვარ ჯიშს. ხოლო პურის გაცვლა-გამოცვლა ხდება: ხან როდესაც ეხერხებათ, გვაძლევენ, ხოლო ხან კი ლებულობენ (მას ჩვენგან)“ (თ. ყაუხჩიშვილი, III, 1976: 26-27).

ცნობილია, რომ ბერძენი კოლონისტების მხრიდან შავიზღვისპირეთისადმი ინტერესი თავიდანვე დიდი იყო, ასე გაჩნდა ადრე სინოპის, კოტიორის, ტრიპოლის, კერასუნდის, ტრაპეზუნდისა და სხვა ბერძენული დასახლებები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში იმყოფებოდა (კორომილა, 2008: 243-288).

პონტოელი ბერძენები ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან კომპაქტურად იყვნენ დასახლებულები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მათთან ქართველური ტომების ურთიერთობა ინტენსიური

2 იხ.: რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, II, თბ., 2007.

3 იხ.: აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თხზულებაში, თბ., 1964; ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986; დ. ბრაუნდი, საქართველო ანტიკურ ხანაში, ბათუმი, 2014.

იყო როგორც ელინისტურ, რომაულ და ბიზანტიურ, ასევე პოსტბიზანტიურ ეპოქაშიც. საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრები ბერძნულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მცირე აზიის ბერძენთა შთამომავალია, რასაც უამრავი ფაქტობრივი წყარო ადასტურებს; საქართველოში მათ შემოსვლა XV საუკუნიდან დაიწყო, როცა ოსმალეთმა ახლო აღმოსავლეთის დიდი მონაკვეთი დაიპყრო და ბიზანტიის მიწა-წყალს დაეპატრონა.

ტერმინები – „პონტოელი ბერძენები“, „პონტოელები“ – უკავშირდება ბერძნულ სიტყვას «πόντος» („ზღვა“) – საყოველთაოდაა გავრცელებული და სხვა ენებშიც ამ ტერმინით აღინიშნება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ მცირეაზიელ ბერძენთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთობა (თურქულად – «Pontus Rumları» ან «Karadeniz Rumları», ინგლისურად – «Pontic Greeks», ფრანგულად – «Les Grecs pontiques» ან «Pontiques», რუსულად – «Понтийцы» ან «понтийские греки», და ა. შ.); მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თვით პონტოელები თავის თავს რომის იმპერიისა და აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) მემკვიდრეებად მიიჩნევენ და, შესაბამისად, თავის თავს უწოდებენ – Ρωμαίοι, „რომეი“, „რომეოს“ (იშვიათად, „გრეკოს“ ან „ელლინოს“).

აჭარაში მიგრირებული პონტოელი ბერძენებიც სწორედ ტერმინს „რომეო“-ს იყენებდნენ თავიანთი ეროვნების აღსანიშნავად და სიამაყით აღნიშნავდნენ:

«Εμείς Ρωμαίοι είμεθ» („ჩვენ რომაელები (პონტოელი ბერძენები) ვართ“!).⁴

საქართველოში ბერძენთა მიგრაცია ერთჯერადი და მარტივი პროცესი არ ყოფილა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიმართულებისა და შინაარსის იყო. საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აჭარაში მცხოვრები ბერძნულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მცირე აზიის ბერძენთა შთამომავალია. ანატოლიელი ბერძენების მიგრაციას საქართველოს შავიზღვისპირეთში სოციალურ-პოლიტიკურთან ერთად ოსმალთაგან მომდინარე რელიგიური ფაქტორიც განაპირობებდა, რაც XIX საუკუნეში უფრო თვალსაჩინო ყოფილა. მიჩნეულია, რომ ბერძენთა დიდი ნაკადის პირველი ჩამოსახლება აჭარაში XIX საუკუნის 80-იან წლებს განეკუთვნება, თუმცა უფრო ადრეული შემთხვევებიცაა დაფიქსირებული.

აჭარის ზღვისპირეთში ბერძნული დასახლებები გვხვდება სოფლებში: ახალშენში, ყოროლის-თავში, ფერიაში (ხელვაჩაური); დაგვაში, კვირიკეში, აჭყვაში (ქობულეთი), ქალაქებში – ბათუმსა და ქობულეთში. ზღვისპირა ქალაქების, დაბებისა და მახლობელი სოფლების გარდა, ბერძენები აჭარის მთიანეთშიც მკვიდრდებოდნენ და უმეტესად ხელოსნობას – მჭედლობას მისდევდნენ. აჭარის მთის ხანდაზმული მოსახლეობა მათ შესახებ არაერთ საინტერესო გადმოცემას ინახავს, რომელთა მიხედვითაც ისინი კარგ მჭედლებად არიან მიჩნეულნი.⁵

ჩვენი კვლევის ობიექტიც აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში განსახლებული ბერძენები და მათი ყოფა-ცხოვრებაა. საველე მასალების შეკრება განხორციელდა ბერძენების მეზობელ ქართველ

4 სემ (საველე ექსპედიციის მასალები), დღიური I-001.

5 სემ (საველე ექსპედიციის მასალები), დღიური I-002.

მოსახლეობაშიც, რაც მეთოდოლოგიურად გამართლებულად გვეჩვენება. ამით ჩვენ შევძელით კულტურულ ნასესხობათა და ინტერკულტურულ ურთიერთობათა ხასიათის განსაზღვრა.

მიგრანტთა ჯგუფების აჭარაში, ბათუმის მიმდებარე ტერიტორიებზე განსახლებამ, ნაწილობრივ, საქართველოს ეთნიკური პორტრეტის ცვლილება გამოიწვია. პონტოელმა ბერძნებმა საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობები ჩამოიტანეს, რომლებიც ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში, სამეურნეო ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში, ლექსიკაში გამოიხატებოდა. დროთა განმავლობაში, საქართველოს შავიზღვისპირეთში – ქართულ ეთნიკურ გარემოში ბერძნულმა დიასპორამ საკუთარი კულტურა შეინარჩუნა და, თავის მხრივ, ადგილობრივ გარემოზეც გავლენა მოახდინა. ამასთან, ბერძნებმა, კულტურული თვალსაზრისით, ადგილობრივი გარემოცვისგანაც ბევრი რამ შეითვისეს (ლ. ფაშაევა, 2008:). საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აჭარაში მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებები და ამ ცვლილებებთან დაკავშირებული თანმხლები პროცესები, გარკვეულწილად, პონტოელ ბერძენტთა დიასპორასთანაცაა დაკავშირებული, რაც პონტოელი ბერძნების ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის აქტუალობას განსაზღვრავს.

აჭარაში ბერძენტთა განსახლების გეოგრაფია ვრცელი და მრავალფეროვანი იყო. ისინი ადგილობრივ სამეურნეო ცხოვრებაში იმთავითვე აქტიურად ჩაებნენ და წარმატებულ სამეწარმეო საქმიანობასაც ეწეოდნენ. ბერძნული დიასპორის წარმომადგენლებს ქალაქ ბათუმის და, ზოგადად, აჭარის, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ.

პოსტსაბჭოთა პერიოდშიც საინტერესო პროცესები განვითარდა. მხედველობაში გვაქვს ბერძენტთა უკუმიგრაციები, არა მხოლოდ თურქეთის, არამედ თავდაპირველი სამშობლოს – საბერძნეთის, ან, ზოგადად, ევროპის მიმართულებით, რაც, ძირითადად, საბჭოთა წნეხისაგან გათავისუფლებული ხალხისთვის უკეთესი ეკონომიკური გარემოს შექმნით იყო განპირობებული. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში უკუმიგრირებულმა ბერძენტთა თითქმის უმრავლესობამ აჭარაში უძრავ-მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება შეინარჩუნა. ამ საკითხში მათი ხელშემწყობი ადგილობრივი მოსახლეობა იყო, რაც ბერძენტთა უკუმიგრაციის – ისევე საქართველოში დაბრუნების – მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა. ბოლო პერიოდში, საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ადგილი ჰქონდა მათი მცირე ნაწილის უკან, საქართველოში დაბრუნების რამდენიმე ფაქტსაც. ამგვარი პროცესები ისტორიულ-ეთნოლოგიური, ასევე, დიალექტოლოგიური კვლევისა და დაკვირვების არეალში აუცილებლად უნდა მოექცეს.

ბერძნული დიასპორის ისტორიისა და კულტურის კვლევა საშუალებას მოგვცემს ადგილობრივი მოსახლეობის ტოლერანტულ ხასიათს უფრო სიღრმისეულად ჩავწვდეთ და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის თანაარსებობის პერსპექტიული მოდელი განვსაზღვროთ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, უაღრესად საშურია აღნიშნული მასალების, მათ შორის, პონტოური ბერძნულისათვის დამახასიათებელი თემატური ლექსიკური ერთეულების ფიქსაცია,

რადგან, თანამედროვე პირობებში (გლობალიზაცია, უკუმიგრაცია) ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტი მესხიერებიდან იშლება და იკარგება.

პონტოელი ბერძნების ისტორიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და ენის კომპლექსური შესწავლა მიზნად ისახავს თავი მოუყაროს შესაბამის წყაროებსა და ლიტერატურას, მოახდინოს მათი ანალიზი და, საბოლოოდ, მონოგრაფიაში დასმულ ყველა საკითხს პასუხი გაეცეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბერძნული დიასპორით დაინტერესება ახალი არაა. თუმცა ამ პრობლემით მეცნიერთა მცირე ნაწილი იყო დაკავებული, რომელთა დაკვირვებები მცირერიცხოვანი პუბლიკაციების სახით პერიოდულ პრესასა და სამეცნიერო კრებულებში აისახა. საბჭოთა პერიოდში ბერძნული დიასპორის შესწავლას აშკარად ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერით იყო შემოფარგლული. პოსტსაბჭოთა პერიოდშიც ბერძნული დიასპორის კულტურული მემკვიდრეობის კვლევისადმი ინტერესი ნაკლები იყო. მიუხედავად ამისა, ბერძნების შესახებ სავსე და საარქივო ხასიათის საინტერესო ფრაგმენტული მასალები მაინც დაგროვდა, რამაც შესაძლებელი გახადა ყველა ამ მასალისა და დამატებით მოპოვებული წყაროების განზოგადება და კომპლექსური ანალიზი.

კულტურულ-ისტორიული და სხვა პრობლემატიკის, ასევე, თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ეთნიკური პროცესების კვლევა-ძიებისათვის აჭარის ის დასახლებული პუნქტები შევარჩიეთ, სადაც ბერძნული დიასპორის წარმომადგენლები კომპაქტურად ან გაფანტულად სახლობენ. პროექტის სამეცნიერო თემატიკის ფარგლებში, კვლევის შედეგების ვიზუალურად აღქმის მიზნით, განხორციელდა ფოტო, აუდიო და ვიდეომონიტორინგი. დაფიქსირებულ მასალებში აჭარაში ბერძენთა ყოფა-ცხოვრების წლიური ციკლი აისახა. მასალების ნაწილი ელექტრონული – **CD** დისკის სახით მონოგრაფიას თან ერთვის.

თავი I. პონტოელ ბერძენთა აჭარაში დასახლების ისტორია, გვარი და ნათესაობის სისტემა

§ 1. პონტოელი ბერძენების აჭარაში დასახლებისა და განსახლების ისტორია

კავკასიაში ბერძენთა დასახლება და ჩამოსახლება⁶ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიმართულებისა და შინაარსის იყო. თანამედროვე ბერძენების კავკასიაში დასახლების ისტორიას XVIII საუკუნეში გადავყავართ, როცა იმ დროს, მსოფლიოში არსებული ვითარების გამო, ეკონომიკურად და პოლიტიკურად შევიწროებული ქრისტიანული მოსახლეობა ოსმალეთში გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბერძენების ოსმალეთიდან საქართველოში გადასახლებამ ისინი სულთნის სულთანატში მმართველობას განარიდა, სადაც, ბერძენთა აზრით, ბარბაროსული ტყვეებით ვაჭრობა და ფეოდალური ურთიერთობების გართულებული ფორმები იყო დამკვიდრებული. იმ პერიოდში რუსეთსა და კავკასიაში, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში, ბერძენების საკმაო რაოდენობა, დაახლოებით 800 ადამიანი ჩასახლდა. ამასთან, საქართველოში ბერძენთა მიგრაციის მიზეზები ერთგვაროვანი არ ყოფილა. ეს ბერძენთა ის 800 კომლი იყო, რომელიც 1763 წელს ახტალისა და ალავერდის საბადოებზე ერეკლე მეორეს არზრუმისა და ყარსის ოლქებიდან ჰყავდა მონვეული (**Народы, 1962:422**; შდრ. ყაუხჩიშვილი, 1950-1951). მათ ანატოლიელ ბერძენთა გარკვეული ნაწილიც გამოჰყოლია. 1810 წელს თბილისში „თურქეთიდან კავკასიაში მოსახლეობის გადმოსახლების კომიტეტი“ შექმნილა, რომელმაც მცირე აზიაში აქტიური საქმიანობა გაშალა.

ბერძენთა მიგრაციების სიხშირითა და ინტენსივობით XIX საუკუნე განსაკუთრებით გამოირჩეოდა. XIX საუკუნეში მცირე აზიასა და ბალკანეთში წარმოებულმა ომებმა ანატოლიის მოსახლეობის ეთნიკურ და დემოგრაფიულ შემადგენლობაზე დიდი გავლენა მოახდინა. დაიწყო მოსახლეობის გადაადგილების პროცესი ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და რუსეთის იმპერიის მიმართულებით. ბუნებრივია, ამ პერიოდში, მიგრანტთა მარშრუტები საქართველოზეც გადიოდა. 1823 წელს საქართველოში, ახლანდელი თეთრიწყაროს რაიონში ოსმალეთიდან 120 ბერძენული ოჯახი დასახლდა, ხოლო 1818-1819 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს, ერზრუმიდან 100-110 კომლი იყო ევაკუირებული და საქართველოში – თრიალეთში, კერძოდ, ნალკაში დამკვიდრებული. 1830 წელს საქართველოში ბერძენ ემიგრანტთა ახალი ტალღა შემოვიდა, დაახლოებით 1099 ოჯახი, რომლებმაც ნალკაში ბერძენული დასახლებები ჩამოაყალიბეს.

მცირე აზიიდან, ისტორიული პონტოდან, კერძოდ, დღევანდელი თურქეთიდან, აჭარის მიმართულებით, უმთავრესად, ბათუმისა და შავიზღვისპირეთის გორა-ბორცვებიან მიდამოებში

6 გამოთქმულია ცალკეულ მეცნიერთა აზრი, რომლის თანახმად, ბერძენთა, ისევე როგორც, სხვა ეთნიკურ ჯგუფთა საქართველოს შავიზღვისპირეთში დამკვიდრების ისტორიაში არა მხოლოდ ქრონოლოგიური, არამედ ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რამდენიმე ეტაპი უნდა გამოიყოს და ერთმანეთისაგან ისეთი დეფინიციებით უნდა განსხვავდეს, როგორებიცაა – „დასახლება“ და „ჩამოსახლება“. დასახლებაში დასაშვებია ვიგულისხმოდ ბუნებრივ პროცესებზე დაფუძნებული პროცესი, ხოლო ჩამოსახლებაში იძულებითი ხასიათის მიგრაცია (გიორგაძე, მგელაძე, 2010).

ბერძენთა ბოლო გადასახლება, ძირითადად, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ეტაპობრივად განხორციელდა. მიგრირებულთა მცირე დასახლებები ქოროხის ქვედა წელიდან, დაახლოებით, სინოპამდე ვრცელდებოდა.

საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრები ბერძნულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მცირე აზიის ბერძენთა შთამომავალია, სადაც მათ XV საუკუნიდან დაიწყეს შემოსვლა, როცა ოსმალეთმა ახლო აღმოსავლეთის დიდი მონაკვეთი დაიპყრო და ბიზანტიის მიწა-წყალს დაეპატრონა, აჭარაში კი – ბერძენთა მიგრაციის პროცესი, განსაკუთრებით, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ გაძლიერდა. ამ შემთხვევაშიც, გადასახლება იძულებით ხასიათს ატარებდა, რაც პოლიტიკურთან ერთად, ოსმალური თურქეთის მხრიდან ყოველგვარი ქრისტიანულის დევნით და შევიწროებით იყო გამოწვეული. ოსმალეთიდან ბერძენთა გადინება, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომების დროსაც გაგრძელდა, უფრო მასშტაბური კავკასიის მიმართულებით აღმოჩნდა. იმ ხანებში ბერძენები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლდნენ. მაგალითად, 1881 წლის ნოემბერში საქართველოსაკენ 253 კომლისაგან შემდგარი ბერძენთა პირველი ჯგუფი დაიდრა. ისინი აჭარაში დაგვაში დასახლდნენ. ოსმალეთიდან 1881 წელს დაძრული 2107 სულისაგან შემდგარი ემიგრანტთა ჯგუფიდან 20-21 ოჯახიც დაგვაში დამკვიდრდა. 1907 წლისათვის ბერძენთა რიცხვმა სოფელ დაგვაში 602 ადამიანს მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფელი დაგვა გაიზარდა და 170 კომლს, შესაბამისად, 940 სულს მიაღწია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წლიდან, სოფლის მოსახლეობა 1540 ადამიანს მოითვლიდა, ხოლო 1900 წლის ბოლოს სოფელში 1900 ბერძენი იყო.⁷

ასე რომ, XIX საუკუნეში მცირე აზიასა და ბალკანეთში წარმოებულმა ომებმა მცირე აზიის მოსახლეობის ეთნიკურ და დემოგრაფიულ შემადგენლობაზე დიდი გავლენა მოახდინა. დაიწყო მიგრაციები ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და რუსეთის იმპერიის მიმართულებითაც.

აჭარაში ბერძენთა მიგრაციის პროცესი, განსაკუთრებით, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ გაძლიერდა. გადასახლება, ძირითადად, იძულებით ხასიათს ატარებდა და, პოლიტიკურთან ერთად, ოსმალეთის მხრიდან ყოველგვარი ქრისტიანულის დევნითა და შევიწროებითაც იყო გამოწვეული. საკუთრივ აჭარაში ჩასახლებულ პონტოელ ბერძენთა უმეტესი ნაწილი – მცირე აზიის ტერიტორიიდან, კერძოდ, მაღალმთიანი ალპური ზონის სოფელ სანთადან (სანტადან), აგრეთვე, უშუალოდ ქალაქ ტრაპიზონის, რიზეს, ფაცას, ორდუს, გირესუნისა და სამსუნის პროვინციებიდან არიან მოსულები. თრიალეთელი თურქულენოვანი ბერძენები – ურუმებიც – წარმომავლობით ოსმალეთში მდებარე სანთადან, ნეო-ხარაბადან, გუმბათიდან, ტარსინიდან იყვნენ. დასახლებათა სახელების ნაწილი ოსმალეთში არსებულ ბერძნულ სახელწოდებებს იმეორებდა (Пашаева, 1992:18). სოფელი სანთა ნალკის რაიონში, წინწყაროს თემში დღესაც არსებობს. ხალხური გადმოცემით დაგვის ბერძნული მოსახლეობა ტრაპიზონიდან, 1878-1882 წლებში

7 სემ, დღიური I- 003.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, გადმოსახლდა. ტრაპიზონში ბერძნებით დასახლებულ ადგილს – სანთა ერქვა. იგი შვიდი სოფლისგან შედგებოდა, რომელთაც **ზურნაჩიდები, პიშტოფიდები, ჩაკალიდები, პინაციდები, კოსლარიდები, ტერნაზიდები და იშხანიდები** ეწოდებოდა.⁸

აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები, როგორც წესი, მიუთითებენ, რომ მათი წინაპრები ტრაპიზონიდან, სანთადან, სურმენედან იყვნენ ჩამოსახლებულები:

- «Εμεις Σαντέτες είμεζ, οι παπιοῦδες εμῶν αζη Σάντα ἔσαν» (ჩვენ სანთელები ვართ, ჩვენი წინაპრები სანთიდან იყვნენ);
- «Τεμετέρ ασή Τραπεζῶντα ἔρθανε σην Ἄτσαρα» (ჩვენები ტრაპიზონიდან ჩამოვიდნენ აჭარაში“);
- «Τη πάπιος ἔμ ο πάπιον ασά Σοῦρμενα ἔτونه» (ჩემი ბაბუის ბაბუა სურმენადან იყო);
- «Οι Σηρμενίτζ η Σοῦρμενίτζ ασά Σοῦρμενα ἔρθανε και ζήγανε αδά, σα χωρία της Ἄτσαρας» (სურმენელები სურმენადან ჩამოვიდნენ და ცხოვრობდნენ აქ, აჭარის სოფლებში) და სხვა.⁹

რესპოდენტ ა. ჩაკალოვის მონათხრობით, მისი პაპის მამა, 1881 წელს სოფელ დაგვაში სანთას მხრიდან გადმოვიდა. როგორც აღინიშნა, სანთა მაშინ შვიდი სოფლისაგან შედგებოდა. ამ მთხრობელის ვერსიით ესენი იყო: **იხშანანტლო, ზურნა-ჩანდო, პიშტაქინტი, კატეხორიო, კოზლარანდო, პინიანტანდონი, კეტეანსორიო**, სადაც ყველაზე მეტი ბერძენი ცხოვრობდა (Демурова, 1985:6). ისე, სწორედ იშხანიდების სოფლის მკვიდრნი დასახლებულან სოფელ დაგვაში, დანარჩენი სხვადასხვა ადგილებში გაფანტულან. სოფელი სანთა ნალკის რაიონშიც არსებობს. საბერძნეთში სანთის დასახლებას **ნეა სანთა** (ახალი სანთა) ჰქვია. გადმოცემით, ამ სახელწოდების სოფელი ყირიმშიც დასტურდება. ბუნებრივია, სათემო ტიპის დასახლებული პუნქტის სახელწოდება ბერძენმა მოახალშენებმა თრიალეთსა და სხვა რეგიონებში პირველსაცხოვრისიდან გადმოიტანეს, რაც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით ხშირად მოწმდება. ჯავახეთში, კერძოდ, თრიალეთში ბერძნული დასახლებების შესახებ მეცნიერებს ცნობები ადრეც ჰქონდათ. ნიკო ბერძენიშვილის დაკვირვებებით, ჯავახეთში მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე, სოფელი ხოსპია გაშენებული. 1818 წლამდის მდინარის მარჯვნივ სომხები, მარცხნივ **იერლი, ბინალი**, ანუ ქართველი მუსლიმანები ესახლნენ. აღნიშნულ წელს უკანასკნელნი აიყარნენ და ოსმალეთში გადასახლდნენ. დღეს მათ ადგილზე სოფელ რეხადან თრიალეთელი ქართველები და ბერძნები სახლობენ. გაღმა მხარეს ხოსპია გაშენებული (**ბერძენიშვილი, 1964:57-58**).

წერილობითი და სხვა ტიპის წყაროების ურთიერთშეჯერება, საბოლოო ჯამში, საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ანატოლიელი ბერძნები საქართველოს სამხრეთ შავიზღვისპირეთში XVI საუკუნეში – ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ გადასახლდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი სოციალურ-პოლიტიკურთან ერთად რელიგიური ფაქტორიც ყოფილა. ოსმალეთის

8 სემ, დღიური I- 004.

9 სემ, დღიური I-005.

მთავრობამ იმთავითვე დაიწყო მცდელობა იმპერიის არათურქი მოსახლეობის – ბერძენების, ქართველების, მათ შორის, ლაზების, ასევე, სომხების, სლავების, ებრაელების, ქურთების გასამუსლიმანებლად. ეს პოლიტიკა განსაკუთრებით მტკივნეული XIX საუკუნის მეორე ნახევარში გახდა, როცა რუსულმა მხარემ საქართველოში თანდათანობით ფეხი მტკიცედ მოიკიდა. დღეს უკვე ბევრი ადასტურებს საქართველოს მიმართულებით ბერძენთა დიდი ნაკადის იძულებითი ჩასახლების XIX საუკუნის 80-იან წლებში გაძლიერების ფაქტს. არსებული მონაცემების მიხედვით, 1881 წლის 6 ნოემბერს საქართველოში 253 ოჯახი, სულ 2107 სული ჩასახლდა. ისინი სივასის ვილაიეთის ერთ-ერთი სანჯაყის სხვადასხვა სოფლიდან იყვნენ. დამკვიდრებას ყარსის ოლქში აპირებდნენ, მაგრამ ხელი დიდმა თოვლმა შეუშალათ, რის გამოც იძულებული გახდნენ მიმართულება შეეცვალათ და ბათუმში იმ იმედით მოვიდნენ, რომ გამოზამთრების შემდეგ კვლავ ყარსისაკენ წავიდოდნენ (იხ.: „კავკაზი“, №108, 1882). ავტორთა ერთი ნაწილი ავითარებდა აზრს ბერძენთა აჭარაში ჩასახლებაში რუსული ხელისუფლების პოზიტიური როლის შესახებ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბერძენ მიგრანტთა ერთ-ერთი პირველი ნაკადი ყარსში საცხოვრებლად გადასვლას აპირებდა, მაგრამ დიდთოვლობის გამო ბათუმს შეაფარეს თავი, ისინი მეფის რუსეთის ხელისუფლებამ დღევანდელი დაგვის ტერიტორიებზე დაასახლა (სიხარულიძე, 1959:40; Табачья, 1982:7).

აჭარის ზღვისპირეთის ერთ-ერთი პირველი სოფელი ახალშენი იყო, სადაც ბერძენები დამკვიდრდნენ. მათი გვარები, ძირითადად, **იმხანიდი**, **ავგოპულო** და **ასანიდი** იყო (Демурова, 1983:97). თურქეთიდან დევნილი ბერძენები, ძირითადად, აჭარის მთა-ბორცვიან სოფლებში დასახლდნენ, რადგან დაბლობში ციებ-ცხელება – მალარია მძვინვარებდა. ეს სოფლები იყო ბათუმის სიახლოვეს: ახალშენი, ფერია, ყოროლისთავი და საკუთრივ ქალაქი ბათუმი, ხოლო ქობულეთის სიახლოვეს: დაგვა, კვირიკეს თემი (ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე, კვირიკე), აჭყვა (ზედა აჭყვა, ქვედა აჭყვა).

აჭარის ზღვისპირეთის გორა-ბორცვების ჯაჭვივით ერთმანეთზე გადაბმული ზოლი საცხოვრებლად ყველა პირობას აკმაყოფილებდა. შავიზღვიპირას ყველაზე ახლოს მდებარე სოფლები – კვირიკე, დაგვა, აჭყვა – ქობულეთიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით იყო დაცილებული, ხოლო ბათუმიდან – დაახლოებით 35 კილომეტრით. დაგვის ცენტრი შავი ზღვის დონიდან 200 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო მისი ცალკეული ადგილი 350-400 მეტრზე მდებარეობს. შავი ზღვიდან ასეთივე სიახლოვეთ ბერძენებით დასახლებული სხვა სოფლებიც გამოირჩევა. აჭარის ზღვისპირეთის ბერძნულ სოფლებში კლიმატური პირობები სუბტროპიკულია დაახლოებით ისეთივე, როგორც მთელ შავიზღვისპირეთში. სუბტროპიკული პირობების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შავი ზღვის გეოგრაფიულმა მდებარეობამ – გარემომცველი ხმელეთის რელიეფმა ითამაშა, რომელზეც, ბუნებრივია, აქ შეჭრილი სხვადასხვა წარმოშობის ჰაერის მასები ზემოქმედებდა, განსაკუთრებით, შავი ზღვა მთელი წლის მანძილზე კონტინენტური პოლარული, ზღვიური პოლარული და ტროპიკული ჰაერის მასების გავლენას განიცდის.

ბათუმის ახლომდებარე სოფლები – ახალშენი და ყოროლისთავი, რომლებიც ასევე მთისწინა ზოლში მთის ფერდობებზეა განლაგებული, მთა-ბორცვებზე სერული დასახლების ტიპურ

ნიმუშებს წარმოადგენენ. საერთოდ, საქართველოს მთიანეთში ლოკალური ჯგუფების დასახლების ფორმა მთასა და ბარში სხვადასხვაგვარი იყო. დასავლეთ საქართველოს ბარში, მსგავსად ქობულეთის რეგიონისა, დასახლება მკვეთრად გაფანტულ კარ-მიდამოთა სახით გორა-ბორცვებზე იყო წარმოდგენილი. დაბლობებში სოფლები ხუტორული ტიპის დასახლებების სახეს ატარებდა, ხოლო მთებში ისინი ფერდობებზე იყვნენ დაჯგუფებულნი. ხშირად, ერთმანეთისაგან კონკრეტულად გამოყოფილი საზღვრები არც ცალკეულ უბანს და არც თვით სოფელს არ გააჩნდა. ტრადიციულ დასახლებებში განსახლების ლოკალურ-ნათესაური პრინციპი არსებობდა. საცხოვრებელ კომპლექსთა სამეურნეო-კულტურული ნიშნის მიხედვით დაჯგუფება მინათმოქმედებას, მესაქონლეობასა და მეურნეობის დამხმარე დარგებს ემყარებოდა. „მონოგენური დასახლების“ უძველესი ფორმა საცხოვრებელ კომპლექსებს წარმოადგენდა, რომლებიც მთის ფერდობებზე მწკრივში იყვნენ განლაგებულნი. ჩვეულებრივ, ოჯახები სერისპირზე სახლდებოდნენ და დასახლების სერულ ფორმას წარმოქმნიდნენ, რომლებიც თანდათანობით უბნური დასახლების სახეს ღებულობდა, თუმცა რელიეფის თავისებურებათა გამო, უბანში სახლების განლაგების შესაბამის ნებს ყოველთვის არ იცავდნენ. ამიტომ ფერდობებსა და სერებზე დასახლებები ამფითეატრულ, ასიმეტრიულ სახეს ღებულობდა. დასახლების სერული ფორმა მთიანი რეგიონებისათვის შედარებით ტიპური იყო, განსაკუთრებით, აჭარისათვის, მაგრამ დაბლობებსა და ზღვის ზოლთან მიახლოებასთან შესატყვისობაში იგი იერსახეს კარგავდა და ზოგან ბუდისებურში, ზოგან კი – დასახლების ქუჩურ ფორმაში გარდაიქმნებოდა. დასახლების ასეთი ფორმა ანალოგიური იყო, ზოგადად, დასავლეთ საქართველოსათვის. ასეთ ფორმას ქობულეთის, ყოროლისათვისა და ახალშენის მიმართულების ბერძენთა კომპაქტურ დასახლებებშიც ვხვდებით და იგი ადგილობრივი – აბორიგენული – ქართული მოსახლეობის დასახლების ფორმისაგან არ განსხვავდებოდა. აქაც, ბერძენთა დასახლებებში დასახლების ყველაზე მცირე ტერიტორიულ-სოციალურ უჯრედს საკარ-მიდამო კომპლექსი წარმოადგენდა, რომელიც მეზობლად მცხოვრები ეთნიკური გაერთიანებების, პირველ რიგში, ქართველთა აჭარული ეთნოგრაფიული გაერთიანებების ანალოგიურად, შედარებით მაღალი სტრუქტურული დონის გაერთიანებებს – უბანს, სოფელს, სოფელთა ჯგუფს, ტერიტორიულ გაერთიანებას და ამ გაერთიანებათა კავშირს წარმოქმნიდა.

ასეთია სოფელი კვირიკეც, სადაც ბერძენებს თავიანთი მიკროუბანი უკავიათ. დასახლებაში მათი განსახლება სახლეულთა სეგმენტაციის საფუძველზე ტრადიციული წესით მიმდინარეობდა. უბან **სასირეთში** ადრე კაიდალიდის ერთი, სანდოპულოსა და მურადოვების ორ-ორი კომლი სახლობდა. დროთა განმავლობაში, გამრავლებისა და ფუძე-სახლების დაყოფის შედეგად უბანში ბერძენთა რიცხვმა მოიმატა, მაგრამ წარსულში, გასული საუკუნის 40-იან წლებში, სხვებთან ერთად, როცა შუა აზიაში მათი დეპორტაცია მოხდა, ადგილზე დასახლების სიმჭიდროვის კოეფიციენტი მაქსიმალურად შემცირდა. მაგალითად, 1949 წელს ბერძენთა დიდი ნაწილი ყაზახეთში გადასახლეს. მურადოვების იმ ოჯახს, სადაც კ. მურადოვი დაიბადა, კვირიკეში რეპრესიები არ შეხებია. ოჯახის რძალმა, ანიკო ნიკოლეიშვილმა, დედამთილის მონათხრობი

გადმოგვცა: „ბერძნებს პასპორტები არ ჰქონდათ და საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი აქედან იმიტომ გაასახლაო“.¹⁰ ბუნებრივია, უპასპორტობა საბაზი იყო. ეს არ იყო კონკრეტულად ბერძენთა გადასახლების თემა. იმ დროს, საბჭოთა მმართველობის პერიოდში, გადასახლება ყველას შეეხო. სოფელ კვირიკეში სახლობს კვირიკაძეებისა და ხალვაშების ოჯახები, რომლებიც ადრე მუსტაფოღლებისა და ხაჯიოღლების მემკვიდრეობით სახელებს ატარებდნენ. მათი ნაწილი ადგილზე თურქეთიდან იყო ჩამოსული და სხვადასხვა ხასიათის სამუშაოებს ასრულებდა. ისინიც გადასახლეს. გადასახლებულ ბერძენთაგან ნაწილი დაბრუნდა, კვლავ ქობულეთში დამკვიდრდა, განსაზღვრული რაოდენობა კი შემდეგ საბერძნეთში გაემგზავრა.

არაერთი წერილობითი წყარო კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ფაქტს დაახლოებით XIX საუკუნის მიწურულს ოსმალეთის ტრაპეზუნტის ვილაიეთიდან ბერძენთა შვიდი სოფლის აყრის შესახებ, რომელმაც სოციალურ-პოლიტიკური გარემოს ზეგავლენას ვერ გაუძლო, აიყარა და სხვადასხვა მიმართულებით დაიძრა. მათი ნაწილი საბერძნეთს დაუბრუნდა, ხოლო ნაწილმა საქართველოს მიაშურა და, როგორც ითქვა, ძირითადად, საქართველოს შავიზღვისპირეთში განსახლდა. პონტოელ ბერძნებს დღემდე ახსოვთ თურქეთში მათი წინაპრების ადგილსაცხოვრისი, შესაბამისად, ნარატივებში აჭარის ის სოფლები სახელდება, სადაც პონტოელი ბერძნები დამკვიდრდნენ, სადაც მათი შთამომავლები განსახლდნენ და სადაც მათი ნაწილი დღესაც ცხოვრობს. მაგალითად, გადმოცემით, სოფელ დაგვაში მცხოვრები ერთ-ერთი საგვარეულოს წინაპარი, სოფელ იშხანანში ქვის მოხელე იყო, იმ იშხანიდან, რომლის ცენტრსაც ტრაპიზონის ვილაეთში მდებარე ქალაქი სანტა წარმოადგენდა. XVIII საუკუნის 80-იან წლებში იგი თავის ახლობლებთან ერთად საქართველოში – აჭარაში გადასახლდა. თავდაპირველად, ისინი ციხისძირში დაუსახლებიათ, მაგრამ მათ ციხისძირში ცხოვრება არ მოუსურვებიათ, რადგან იქ ციებ-ცხელება მძვინვარებდა. თურქეთში ისინი მალაღმთებში ცხოვრებას იყვნენ დაჩვეულნი. საბოლოოდ მათ მიწები დაგვაში გამოუყვეს. დაგვაში ბერძნებს ძველი და ცარიელი სახლები დაუკავებიათ. ამ სახლთა დიდი ნაწილი რამდენიმე დიდი ოთახისაგან შედგებოდა, რომელთა შორის ერთი – ოჯახის ძირითადი სამყოფი ოთახი მიწატკეპნილი იყო. როცა ეკონომიკურად მომძლავრებულან, შემდეგ ახალი სახლების მშენებლობები დაუწყიათ (Демурова, 1983:31). საველე-ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით, ქსანთოპულოთა გვარის წარმომადგენლებიც თვლიან, რომ მათი წინაპრები საქართველოს შავიზღვისპირეთის მიმართულებით XIX საუკუნის 80-იან წლებში ოსმალეთიდან დაიდრნენ და მათი აჭარაში დამკვიდრება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომს უკავშირდებოდა. მათი წინაპარიც, დიდი ბაბუა თურქეთიდან – სანთას მხარიდან იყო, ხოლო მეუღლე – სურმენადან. ქსანთოპულოთაგან ერთი სოფელ კვირიკეში, ხოლო მეორე – სოფელ დაგვაში დასახლებულა. მიგრანტები სამოსახლო ადგილებს უმეტესად მალაღმთიან ადგილებში ირჩევდნენ, თუმცა საველე წყაროებით ისიც ჩანს, რომ იმ დროს ადგილობრივთა ზოგიერთი ოჯახი, პირიქით, ოსმალეთში მუჰაჯირად მიემგზავრებოდა (Демурова, 1985:2).¹¹

10 სემ, დღიური II- 001

11 სემ, დღიური I-005; დღიური II-002.

XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესას ბერძენთა მოძრაობა და ადგილმონაცვლეობა მხედველობიდან არ გამორჩენია. ამ პროცესებს ქართველი საზოგადო მოღვაწეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. 1892 წლის გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ბერძნებს სოფელ კვირიკეში გადასახლებისათვის მთავრობისათვის ნებართვა უთხოვიათ. სოფელ კვირიკეში ორმოცდახუთი კომლი ჩასახლებულა („ივერია“, №149, 1892:3).

ასევე, სხვადასხვა ტიპის – წერილობითი, საველე-ეთნოგრაფიული წყაროები საქართველოს შავიზღვისპირეთში პონტოელ ბერძენთა დიდი ჯგუფის არა მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს, არამედ უფრო ადრე ჩამოსახლებაზეც კონკრეტულად მიგვანიშნებს.

ერთ-ერთი ცნობის თანახმად, პირველი ბერძენი აჭარაში, ბათუმში, 1849 წელს გადასახლდა ტრაპიზონიდან, სახელსაც მიუთითებენ – გეორგიოს ტრეფტანოფ (**Αγγελιδες, 1999:290**).

კიდევ უფრო ადრეულ პერიოდს ეკუთვნის სტამბოლის მინისტრთა საბჭოს ოსმალურ არქივში დაცული საინტერესო დოკუმენტი „ჩილდირის ვილაეთში შემავალი ჩურუქსუს (ქობულეთის) სანჯაყის მამაკაცთა აღწერა“,¹² რომელიც 1835 წლის ნოემბერშია შედგენილი და ქართველთა გარდა სურმენედან და ტრაპიზონიდან ჩამოსულ ბერძნებზეც მოგვითხრობს, რომლებიც ქობულეთის ბაზარში ვაჭრობდნენ: „ხსენებულ [ჩურუქსუს, იგივე ქობულეთის] ცენტრში (ბაზარში) დროებით მოხინადრე ქრისტიან ბერძენთა აღწერა:

1. ყვითელულვაშებიანი, დაბალი, კონსტანტინე ძე ისტავრანისა, 38 წლის. სურმენეს კაზას სოფელ ზარხადან. ჩანიშნულ იქნა, რომ ხელთ არა აქვს ჯიზიეს საბუთი. ვაჭრობს ჩასაცმელით და ნაჭრებით [ტექსტილი];

2. შავი ულვაშით, საშუალო სიმაღლის იანიკა ლიკონეს ძე, 25 წლის. სურმენეს კაზას სოფელ ჯებქერენჯადან. ჩანიშნულ იქნა, რომ ხელთ არა აქვს ჯიზიეს საბუთი. ვაჭრობს ჩასაცმელით და ნაჭრებით.

3. ახლად ამოსული წვერულვაშით, მაღალი აფსინოს (?) ძე იანისა, 22 წლის. აქვს ჯიზიეს საბუთი. ვაჭრობს ჩასაცმელით და ნაჭრებით. ესეც იმავე სოფლიდანაა.

4. ახლად ამოსული წვერულვაშით, ლაკაზი ძე იანისა, 22 წლის. ესეც იმავე სოფლიდანაა. ჩანიშნულ იქნა, რომ ხელთ არა აქვს ჯიზიეს საბუთი. ვაჭრობს იარაღით.

5. დაბალი, ახლამოსული წვერით, ხარაბეზ ძე ლაზისა, 19 წლის. სურმენეს კაზას სოფელ ზარხადან. სურმენეს კაზას სოფელ ზარხადან. მეიარაღის შეგირდია.

6. მაღალი, ყვითელი ულვაშით, იანი კოსტანტინის ძე, 26 წლის. სურმენეს კაზას სოფელ ჯებქერენჯადან (?). ჩანიშნულ იქნა, რომ ხელთ არა აქვს ჯიზიეს საბუთი. წასული ჩასაცმელით მოვაჭრის შეგირდი.

7. შავულვაშა, საშუალო სიმაღლის, ფარაშკა ანასტასის ძე, 35 წლის. სურმენეს კაზას სოფელ ჯებქერენჯადან (?). ჩანიშნულ იქნა, რომ ხელთ არა აქვს ჯიზიეს საბუთი. მჭედელი.

12 Istanbul, Başbakanlık Osmanlı arşivi, NFS. d 02763, გვ. 228 (დოკუმენტი მოგვაწოდა ბსუ-ს ასოც. პროფ. ზ. შაშიკაძემ, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით).

8. მისი შვილი ნატიე, 12 წლის.

9. მისი შეგირდი იანიკა ძე იანიასი, 15 წლის.

10. მეორე შეგირდი დერიცი ძე ლოკონისა, 12 წლის.

11. ახალამოსული უღვაშით, მიკირდიჩ ძე ნიკოსილისა, 20 წლის. ნარმოშობით ტრაპიზონიდან, ქარარის (?) უბნიდან. ჩანიშნულ იქნა, რომ ხელთ არა აქვს ჯიზიეს საბუთი. ოქრომჭედელი¹³

საგულისხმოა, რომ დოკუმენტში მითითებული ცნობა, რომ ბერძნები ვაჭრობის გარდა მჭედლობას და ოქრომჭედლობასაც მისდევდნენ, სხვა ნყაროებითაც დასტურდება.

ბერძნები თანმიმდევრულად აჭარის შემდეგ სოფლებში სახლდებოდნენ, კერძოდ, ქობულეთის სოფლებში – დაგვაში, კვირიკესა და აჭყვაში, ბათუმის სიახლოვეს – ახალშენში, ყოროლისთავში, ფერიაში (ხელვაჩაურის რ-ნი). ბერძენთა ნაწილი საკუთრივ ქალაქებში – ბათუმსა და ქობულეთში სახლდებოდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით, ბათუმი გამოირჩეოდა. სოფელ ახალშენში პონტოელი ბერძნებიდან პირველმოსახლეები სანთას რაიონის სოფელ პიმტოფიდიდან იყვნენ, რომლებიც აჭარაში XIX საუკუნის ბოლოს, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ კომპაქტურად ჩასახლდნენ. ამდენად, ვფიქრობთ, უნდა დაზუსტდეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ოსმალური მმართველობის პერიოდში ბათუმში ბერძნები კომპაქტურად არ ცხოვრობდნენ და ისინი აქ თითქოს მხოლოდ XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდნენ (შდრ. Демурова, 1983; 1984). უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ აჭარაში კომპაქტური სამოსახლოები 1878 წლამდე – აჭარის საქართველოსთან დაბრუნებამდეც არსებობდა.

XIX საუკუნის 50-60-იან წლების ბათუმში ე. ნ. „ურუმთა უბანი“ (**ურუმთა მეჭელე**) დასტურდება, რომელიც ეთნიკურად ნაწილობრივ ბერძნებით იყო დასახლებული.¹⁴ ეს უბანი ბათუმის იმ ნაწილში მდებარეობდა, სადაც „ურუმებმა“ ჯერ კიდევ ოსმალთა მმართველობის პერიოდში ქართველებთან და საქართველოს მოამაგებებთან ერთად მართლმადიდებლური ეკლესია¹⁵ ააგეს. ქრისტიან – მართლმადიდებელ ბერძნებს სალოცავის – წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის აშენება 1865 წელს დაუწყიათ (მგელაძე, ფუტკარაძე, 2008: 80-100; მგელაძე, ლორია, 2009:190-200).¹⁶ ბათუმში ბერძნული ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები კ.

13 სემ, დღიური I-005.

14 არაა გამორიცხული, რომ კონფესიის არსის გამომხატველი სახელწოდება ურუმი არა მხოლოდ საკუთრივ ბერძნებს, არამედ ქართველებს, მათ შორის, ლაზებსაც აერთიანებდა. შემთხვევითი არც ის გარემოება ჩანს, ბათუმში, ურუმთა უბნის მახლობლად, ზღვისპირას ლაზებით დასახლებული „მეთევზეთა უბანი“ რომ იყო.

15 გიორგი ჩიტაია ურუმთა ვინაობის კვლევისას შენიშნავდა, რომ ურუმები სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკურ ჯგუფებს აერთიანებდა: ბერძნებს, ქართველებსა და სომხებს. იგი თავის ნაშრომში – „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში“, თრიალეთში მცხოვრებ ურუმთა ეთნიკურ შედგენილობას ნარევად მიიჩნევდა და მიუთითებდა, რომ თრიალეთელი ურუმები „გუმშიშხანელებს“, „ოველებს“, „ფასენებსა“ და „კროებს“ მოიცავდა. ამ ჯგუფებიდან ფასენები ძველქართული პროვინციიდან – ზასიანიდან იყვნენ მოსულები. საყურადღებოა, რომ ფასენებში კარგად იყო დაცული ქართული ტრადიციები და ქართველური, კერძოდ, ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები (**ჩიტაია, 1941**).

16 სალოცავები სოფლად მცხოვრებ ქრისტიან ბერძნებსაც აუგიათ. მაგალითად, სოფელ ახალშენში პირველად ხის პატარა ეკლესია აუშენებიათ, ხოლო ეკლესიაში შემოსული თანხით იმავე ადგილას,

დერჟავინს მოეპოვება. XX საუკუნის დასაწყისში იგი წერდა: „ქალაქში არის რამდენიმე მეჩეთი და ერთი, საკმაოდ დიდი ქვის ბერძნული ეკლესია. მღვდლის თქმით, ეკლესიის მშენებლობა 15 წლის წინ დაიწყო, ხოლო რვა წლის წინ დასრულდა, თუმცა დღემდე სულ ბოლომდე არაა დასრულებული. მშენებლობის დაწყებამდე მშენებლებმა სულთნის ფირმანი მიიღეს, მაგრამ ბათუმელმა მუსლიმებმა ორჯერ შეაჩერეს მუშაობა იმ მიზეზით, თითქოს ბერძნები ეკლესიის ნაცვლად ციხე-სიმაგრეს აგებდნენ. ეკლესიასთან არსებობს სკოლა ... ბათუმში სულ 2000 ბერძნული ოჯახია და მათი შემოწირულობების, ნაწილობრივ კი ნასესხები ფულით, აშენდა ეკლესია... ჩვენი არმიის გამოჩენიდან პირველსავე დღეს ბერძნებმა ჩამოკიდეს ზარი და დაიწყეს ღვთისმსახურება, რის ნებასაც თურქეთის მმართველობის პერიოდში არ აძლევდნენ“ (Державин, 1906:26).

მიუხედავად ამ უკანასკნელი ცნობისა, არსებობს გადმოცემები, რომლებიც გვიდასტურებს, რომ ზარი ამ ეკლესიაში აჭარაში რუსეთის დამკვიდრებამდეც ირეკებოდა და ოსმალეთის მთავრობა ამას არ კრძალავდა, ხოლო ეკლესიის მშენებლობა 1865 წელს რომ არის დაწყებული, ამაზე ეკლესიის კედელზე დღემდე დაცული ქვის დაფა გვამცნობს, რომლის სამშენებლო წარწერა თარიღად 1865 წელს მიუთითებს.

საქართველოს, კერძოდ, ბათუმის მიმართულებით, მიგრაციის დიდი ტალღის წარმოქმნას ობიექტური მიზეზები გააჩნდა. მიგრანტები, მათ შორის, ბერძნები, სუბტროპიკული შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლის მიმდებარე ნაყოფიერ მიწებზე სახლდებოდნენ, სადაც მათ ტოლერანტული ბუნების ადგილობრივი მოსახლეობა ხვდებოდა. ბერძნებისათვის აქ ჩამოსახლება რელიგიური თვალსაზრისითაც მისაღები იყო, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მუსლიმები წარმოადგენდნენ. ჯერ ერთი, ადგილობრივი მოსახლეობის წინაპრები ოსმალეთის მმართველობის დამყარებამდე მართლმადიდებლები იყვნენ და ყოფაში არაცნობიერად მაინც ქრისტიანული ცხოვრების წესს ინარჩუნებდნენ. აჭარის მოსახლეობა, როგორც ქრისტიანული საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული განშტოება, ეროვნულ მახასიათებლებს ოსმალთა მმართველობის დროსაც სათუთად ინახავდა. ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რელიგიური თვალსაზრისით, ბერძენი მოახალშენეების, როგორც ქრისტიანი მართლმადიდებლების, დიასპორა სხვებთან შედარებით უფრო მისაღები იყო. გარდა ამისა, უკვე XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ეს ტერიტორიები ისე, როგორც მთელი საქართველო, ქრისტიანული რუსეთის იმპერიის მმართველობას ექვემდებარებოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ბათუმი და მისი მიდამოები საპორტო და სავაჭრო-სამრეწველო რეგიონი ხდებოდა. ამის თაობაზე ნ. დაკიშვიჩის კარგად ჰქონდა შენიშნული: ქალაქ ბათუმს, რომელიც ამიერკავკასიის სარკინიგზო გზის ბოლოს წარმოადგენდა და კასპიასა და შავ ზღვას აკავშირებდა, გააჩნდა კარგი ყურე და ბაქოს ნავთობის წყალობით ამიერკავკასიის ყველა მხარისათვის მთავარი გამშვები კომერციული პორტი გახდა (Дакишевич,

1912 წელს, ქვის ეკლესია დაუსრულებიათ. მღვდლებად ბერძნული წარმოშობის საეკლესიო პირები მოუწვევიათ, რომლებიც განათლებას ტრაპეზუნტის სასულიერო სემინარიაში ღებულობდნენ (იხ.:Демурова, 1983:99-101).

1890:13). უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის სამხრეთ კავკასიაში ბაქოსა და თბილისის შემდეგ ბათუმი მნიშვნელობით მესამე სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა.

ბათუმს, როგორც ქალაქს, საკმაოდ ძველი ისტორია გააჩნია, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი როლი შეიზღუდა და ცნობები წარსულის შესახებ მხოლოდ წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალებში შემორჩა (ბათუმის ძველი და უახლესი ისტორიის შესახებ იხ.: ყაუხჩიშვილი, 1950-1951; 1987; სიხარულიძე, 1956; სიჭინავა, 1958; 1962; ჩხეიძე, 1959; ინაიშვილი, 1966; 1976; სურგულაძე, 1983; სურგულაძე, სიორიძე, 1996; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989; უზუნაძე, 1997, ასევე კრებულები „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“). აქ, ახალი ტიპის სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი საკმაოდ გვიან, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაარსდა. XIX საუკუნის დასაწყისში კი – ბათუმი უფრო სოფელს მოგაგონებდათ, ვიდრე ქალაქს და 2000 სულისაგან შედგებოდა. ოჯახები ზღვის სანაპიროსა და ტყიან გარეუბნებში მიმოფანტულ სახლებში ცხოვრობდნენ. უკვე 1873 წლისათვის ბათუმში 4970 მცხოვრებს მოითვლიდა, 1884 წელს – 8671 სულს. აქედან 1.166 – ბერძენი იყო (მურიე, 1962:25), მაგრამ რუსეთის არმიის მიერ მისი დაკავების შემდეგ მოსახლეობის რიცხვი 3000-მდე შემცირდა. 1882 წლის აღწერით, ბათუმში ორივე სქესის 8971 ადამიანი – 6931 მამაკაცი, 1740 ქალი ცხოვრობდა, 1889 წლისათვის ეს რიცხვი 12000-მდე გაიზარდა, ხოლო 1900 წლისათვის იგი უკვე 18123 სულს შეადგენდა. აქედან 14180 მამაკაცი, ხოლო 3943 ქალი იყო (Державин, 1906:24).

ჩვენ შევეცადეთ, სტატისტიკური მონაცემების შეჯერების საფუძველზე, ბათუმსა და აჭარაში მცხოვრები ბერძნული დიასპორის სულადობრივი ზრდისა და შემცირების ობიექტურ რეალობასთან მიახლოებული სურათი წარმოგვეჩინა. ციფრობრივი ფაქტები აღწერის მასალებიდან და სხვადასხვა ავტორთა ცნობებიდანაა (Свод статистических данных, 1893; სტატისტიკური... 1924:3; ელიზბარაშვილი, 1961:81 და სხვ.) ამოკრებილი. ხშირად, სხვადასხვა ავტორთა მიერ მოტანილი სტატისტიკური ცნობები ურთიერთგამომრიცხველია, მაგრამ მათი შეჯერება საშუალებას იძლევა ბერძენთა რიცხოვნების მეტ-ნაკლებად ზოგადი სურათი აღვადგინოთ. მაგალითად, ჯიფორდ პალგრევის მასალებით, 1872 წლისათვის ბათუმში – 350 (Пальгрев, 1882], ხოლო 1882 წლის 19 მარტის აღწერით – 1106 ბერძენი ცხოვრობდა. აქედან საბერძნეთის ქვეშევრდომი – 38 ყოფილა. 1886 წლისათვის ბათუმში 2982 ბერძენი იყო (Свод статистических данных, 1893). ნ. დაკიშევიჩის ცნობით, XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ბათუმში, სადაც ორივე სქესის 15400 სული სახლობდა, რუსეთის ქვეშევრდომი – 510, ხოლო თურქეთის – 174 ბერძენი ყოფილა (Дакишевич, 1890:1-2). ვ. ლისოვსკის თანახმად, ბათუმში ბერძენთა რიცხვი 3797 სულს შეადგენდა. იგი 4000 ბერძენის არსებობაზეც საუბრობს (Лисовский, 1887:11-12, 54; შდრ. Казнер, 1878:28-29). 1890 წლის 17 ივნისის აღწერით, ბათუმში სულ – 1955, ხოლო 1897 წლის 28 იანვრის აღწერით – 2762 სული ბერძენი იყო (სიჭინავა, 1958), 1923 წლისათვის კი მთლიანად ბათუმში – 1034 ბერძენი მამაკაცი და 852 დედაკაცი სახლობდა (სტატისტიკური, 1924:21). 1907 წლისათვის ბათუმის ოლქიდან საკუთრივ ქალაქ ბათუმში 3500 ბერძენი იყო

მოთვლილი (სიხარულიძე, 1959:41). ი. ი. კალფოლლუს სტატისტიკით 1907 წლისათვის ბათუმის ოლქში ბერძენთა რაოდენობა ასეთ სურათს იძლევა: სარფი და გონია – 33, ბათუმი – 3500, ახალშენი – 582, ყოროლისთავი – 51, აჭყა – 500, დაგვა – 602, კვირიკე – 4002 (კალფოლლუ, 1908:11. 1917 წლის ივნისის სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო და საქალაქო აღწერით ბათუმში ბერძენთა რიცხვმა 4008 სულს მიაღწია, 1918 წლის აპრილში ოსმალების მიერ ბათუმის ოკუპაციის დროს მოსახლეობის აღწერის დროისათვის მათი რიცხვი 4878 ადამიანი იყო. 1920 წლის აპრილში ინგლისელთა მიერ ბათუმის ოკუპაციის პერიოდში კი – ბერძენები 8598 სულს მოითვლიდა. უკვე 1922 წლისათვის, როცა სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა ჩატარდა, ბათუმში 7629 ბერძენი იყო დასახლებული (სტატისტიკური... 1924:3). როგორც აღწერებიდან ჩანს, 1920 წლისათვის ბათუმში სულ 43348 სული ცხოვრობდა, მათგან კი – 8598 ბერძენი ყოფილა (იხ.: საქართველოს რესპუბლიკა, 1930), რაც 1922 წლისათვის ბერძენთა მზარდი რიცხვის შემცირებაზე მიუთითებს. 1917-1922 წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, აჭარის ტერიტორიაზე რუსეთ-ოსმალეთის ომის გაშლის შესაძლო პერსპექტივებმა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ და საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებასთან დაკავშირებულმა შინაგანმა და გარეგანმა წინააღმდეგობებმა, როგორც ჩანს, ბერძნული დიასპორის წევრთა მიგრაცია გამოიწვია და, მეტწილად, განსაზღვრა კიდევ მათი რიცხვის შემცირება.

ბათუმში სხვადასხვა დროს ქართველების გვერდით ბევრი სხვა ეროვნების ხალხი დასახლდა და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ჩამოსახლება ბერძნებმაც განაგრძეს. უკვე საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მათ სხვებიც შეემატნენ. დაბებსა და, უმეტესად, აჭარის ქალაქური ტიპის დასახლებებში, არაქართული მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა. ბოლო პერიოდის მონაცემებით, აქ ძირითადი მოსახლეობის – ქართველების გარდა ოთხმოცი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა. ეთნიკური ჯგუფების რიცხოვნობის შემადგენლობა სხვადასხვაგვარი იყო. ზოგიერთი მათგანი რეგიონებში გაფანტულად იყო ჩასახლებული და რაოდენობრივადაც მცირერიცხოვანი ეთნიკურ მასას ქმნიდა, ზოგი კი – კომპაქტურად სახლობდა, მაგალითად, აფხაზები და ბერძენები.

აჭარაში ბერძენები უმეტესად ზღვისპირა სოფლებში იყვნენ დასახლებულნი, სადაც ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ. მჭედლობასთან დაკავშირებით, რომელიც ბერძენების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი სფერო იყო, ყოფაში არაერთი საინტერესო ტოპონიმიკური მასალა თუ ზეპირსიტყვიერი წყაროა შემონახული. სოფელ დაგვაში, რომელიც დევას ხეობაში მდებარეობს, **დემირჩოლის** სახელწოდებას ერთ-ერთი უბანი ატარებს (კუკულაძე, 1981:52). ფიქრობენ, რომ **დემი(უ)რჩოლლები** სოფელ დაგვის ამ უბანს ბერძნული მოსახლეობის აქ ჩამოსახლებაამდევრევა. ბერძენები კი აქ რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ დასახლდნენ. ახალმოსულმა ბერძნებმა ამ უბანს სახელი შეუცვალეს და **სიდოროპულო** დაარქვეს, რაც იგივე მჭედლიშვილია. ამდენად, სოფლის უბნის – **სიდოროპულო**'ს სახით ჩვენ საქმე გვაქვს

უბნის ძველი სახელწოდების ბერძნულ კალკირებასთან (მგელაძე, გიორგაძე, 1995:5). მსგავსი წარმოების ტოპონიმები საქართველოს შავიზღვისპირეთში ხშირად გვხვდება. მაგალითად, აჭარაში, სოფელ ზედა კვირიკეში სოფლის ერთ-ერთ კუთხეს გვარსახელური წარმომავლობის სახელი – **შინუსები** ჰქვია. ქვედა კვირიკეში კი დამონმებულია ადგილის გეოგრაფიული ბერძნული სახელწოდება – **ნეოხორიონ’ი** (სიხარულიძე, 1959:54). ჩვეულებრივ, ბერძნები ბარის სოფლებში კომპაქტურად სახლობდნენ, ხოლო მთაში ცალკეულ ოჯახად იყვნენ წარმოდგენილნი. მათ შესახებ აჭარის მთიანეთში მხოლოდ გადმოცემები და თითო-ოროლა ტოპონიმი თუა შემონახული. მაგალითად, **მავროპულოები** (სოფელი კვირიკე), **ბერძნაული** (სათესი: ლაკლაკეთი), **ბერძნაული** (სათესი: სოფელი ხევითავი, უჩამბა – შუახევი: იხ.: სიხარულიძე, 1958, 1959). ის, რომ ზღვისპირა ქალაქების, დაბებისა და სოფლების გარდა, ბერძნები აჭარის მთიანეთშიც მკვიდრდებოდნენ, ამაზე ტოპონიმების გარდა საარქივო და საველე-ეთნოგრაფიული მონაცემებიც მოწმობს. ბერძნები აჭარის მთაში სამხრეთ საქართველოდან, ძირითადად, წალკიდან ხვდებოდნენ და, უმეტესად, ხელოსნობას – მჭედლობას მისდევდნენ. აჭარის მთიანეთში მათი მიგრაციის კვალი არაერთგან დასტურდება. აჭარის სახელმწიფო არქივში 1919 წლის სინამდვილის ამსახველი ერთი რუსულენოვანი დოკუმენტი ინახება, რომელშიც მოხსენიებულია აჭარის მთიან სოფელში – სოფელ ბოძაურში მცხოვრებ ბერძენთა შემდეგი სახელები და გვარები: ეფრემ ეფრემიდი, პანჩო ეფრემიდი, პანბელი პაპოპულო, მიტო ფოკანდი, პანჩო მჭედელი (კახიძე, 2004:46). ამ უკანასკნელის მჭედლად მოხსენიება ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც საინტერესოა. არაერთი საველე-ეთნოგრაფიული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდან აჭარის მთიან სოფლებში ის ბერძნები სახლდებოდნენ, რომლებიც ხელოსნობას, ძირითადად, მჭედლობას მისდევდნენ. XIX საუკუნის II ნახევარში ბერძენი ხელოსნები – მჭედლები, ე. წ. „კალიცები“, უპირატესად, აჭარის მთიანეთში მესხეთის სხვადასხვა პროვინციებიდან დროებით სამუშაოზე ჩამოდიოდნენ. ამ ტიპის მოძრაობა მოსახლეობის აყრა-გადასახლებას და სხვაგან დამკვიდრებას არ გულისხმობდა, თუმცა გარკვეული მიზნების გამო ოჯახები სხვადასხვა ადგილში საცხოვრებლადაც კი რჩებოდნენ. ამას ადასტურებს თუნდაც ზემოთ დასახელებული ტოპონიმები. აჭარის სხვა კუთხეებთან ერთად, ასეთი იყო ერგეს თემიც, სადაც ბერძენი მჭედლები საბჭოთა პერიოდშიც კი საქმიანობდნენ. იქ დღესაც ახსოვთ მათი სამჭედლო ხელოვნება. შემდეგში ეს სამჭედლოები ბერძენისაგან ადგილობრივ ზია ხასანის ძე ლორთქიფანიძეს შეუძენია. სამჭედლოთა ასეთი ყიდვა-გაყიდვის პროცედურა იმასაც განუსაზღვრავს, რომ მინები, რომლებზეც სამჭედლოები იდგა, ზეპირი გადმოცემით, ლორთქიფანიძეთა ოჯახს ეკუთვნოდა, ე. ი. სამჭედლოები ლორთქიფანიძეთა საგვარეულო მინებზე იყო აგებული, თუმცა საბჭოთა პერიოდში მინები კოლმეურნეობებს ექვემდებარებოდა, მაგრამ წარსულის ნარატივებიდან გამომდინარე ყველამ იცოდა, რომელი მინა რომელი გვარისა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლისას ზია ლორთქიფანიძემ მამა-პაპისეული ნაკვეთი გამოისყიდა და, შესაბამისად, სამჭედლოებიც შეიძინა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ოსტატების გარეშე დარჩენილი

სამჭედლო დანგრეულა და, საბოლოოდ, გაუქმებულა. სხვათაშორის, როგორც ადგილობრივები მოგვითხრობდნენ, აქ ადრე „როტმილდის აგურის ქარხანასთან“ ერთად „რიხნერის ქარხანაც“ ფუნქციონირებდა. გერმანელებს წარსულში აჭარაში მართლაც საინტერესო ბიზნესი ჰქონდათ. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, რიხნერს ერგესთან სპილენძის ქარხანაც გააჩნდა, რომელიც მერისთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ვფიქრობთ, ეს ჭოროხის აუზში მურღულის სპილენძის საბადოს ისტორიასთან უშუალო კავშირურთერთობაში იმყოფებოდა (მგელაძე, 2015). საერთოდ, აჭარის მთაში ბერძნებს კარგ მჭედლებად მიიჩნევდნენ. ამა თუ იმ სოფელში ჩასახლების მოსურნე ბერძენ ოსტატებს, როგორც ხელობის მქონე საჭირო ადამიანებს, ტრადიციულ ხელოსნობაში განაფული ადგილობრივი მოსახლეობა კეთილგანწყობით ხვდებოდა. ბერძნები, ჩვეულებრივ, ეთნიკურ თვითმყოფადობასა და ეროვნულ ცნობიერებას არ კარგავდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან იშვიათად ასიმილირდებოდნენ. ზემო აჭარაში, დაბა ხულოში ბერძენთა საკმაოდ მოზრდილი უბანიც არსებობდა. ხელოსნობისადმი, ვაჭრობისადმი, გარე სამუშაოებზე სიარულისადმი მისწრაფება და პროფესიული ცოდნა-გამოცდილება ბერძნებს ჯერ კიდევ პონტოდან – გადმოსახლების ადგილებიდან დაჰყვათ. ოსმალეთში, სანტას დიდ დასახლებაში, ბერძენ მამაკაცებს გარე სამუშაოებისადმი დიდი მიდრეკილება ჰქონდათ. მოგვიანებით, სანტადან – ციმბირშიც კი დადიოდნენ და მათ ყველგან წარმატებულ ხისა და ქვის ხუროებად, ასევე, მჭედლებად იცნობდნენ. ისე, თუ ქობულეთის რეგიონში მცხოვრები პონტოელი ბერძნები გადიოდნენ გარე სამუშაოებზე, სამუშაოების შესასრულებლად მსურველები სხვადასხვა კუთხიდან მათთანაც დადიოდნენ. მაგალითად საბჭოთა პერიოდში მინაზე შრომაც დიდად ფასობდა. **ბარვა**'ს ისე, როგორც **თოხნა**'სა და **ცელვა**'ს, ადრე, 20-25 ლარის შესატყვისი ღირებულება ჰქონდა. წელიწადში სეზონურად თოხნა და ცელვა ორ-ორჯერ ხდებოდა. ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში ერთი ადამიანი დაახლოებით 2500 კვ.მ. ბარავდა. დაქირავებული დღეში ორჯერ, ზოგჯერ სამჯერადაც იკვებებოდა.

აჭარაში ჩამოსახლებული ბერძნები ადგილობრივებისათვის დამახასიათებელ სამეურნეო საქმიანობაში თავიდანვე ებმებოდნენ და წარმატებულ ბიზნესსაც ეწეოდნენ (კორომილია, 1959:254). უკვე 1902 წლისათვის ბერძნებს ბათუმში 4 მსხვილი, 54 საშუალო და 184 მცირე საწარმო ეკუთვნოდათ. ვაჭრობდნენ არა მხოლოდ ბათუმელი ბერძნები, არამედ კინტრიშის ხეობაში ზღვასთან ახლოს მდებარე სოფლის მაცხოვრებლებიც. ე. ლიოზენის ცნობებიც ამ ფაქტს კონკრეტულად ადასტურებს (Лиозен, 1905:54).

თედო სახოკია თავის დროზე აღნიშნავდა: „აჭარაში სხვა ეროვნების წარმომადგენლები მეტად მცირეა; ას სულამდე თუ იქნება როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარაში. ისიც ხულოსა და ქედაში არიან, როგორც ვაჭრები, სახელდობრ, სომხები და ბერძნები და თურქები, სოფლად კი თვინიერ აჭარელისა სხვა ეროვნების არავინ ცხოვრობს“ (სახოკია, 1956:60).

ბერძნული მოსახლეობის დინამიკა 1871 წლიდან 2014 წლამდე შემდეგი სახით გამოიყურება:

ქალაქ ბათუმში მცხოვრები ბერძნული მოსახლეობის სტატისტიკა დინამიკაში		
წელი	ბათუმში (სულადობა)	აჭარაში (სულადობა)
1871	186	
1872	350	
1880	684	
1882	1106	
1886	2982	
1887	3797	
1890	1955	
1897	2762 (2764)	
1907	3500	
1917	4008	
1918	4878	
1920	8598	
1922	7629	
1926		5500 (4,2%)
1939		7900 (3,9%)
1959	2603	5700 (2,3%)
1979	2576	7072 (ქობულეთის რ-ნი – 3839, ხელვაჩაური – 625, ხულო – 22, შუახევი – 2) (2%)
1989	7396 ¹⁷	7400
2002	587	2168 (1487 – ქობულეთის რ-ნი; 91 – შუახევის რ-ნი, 1 – შუახევის რ-ნი, 2 – ხულოს რ-ნი)
2014	396 (ქალაქში)	575

საქართველოში, კერძოდ, აჭარის ზღვისპირეთში ბერძნებმა მეორე სამშობლო ჰპოვეს. ხანგრძლივი თანაარსებობის მანძილზე ბერძნებსა და ქართველებს შორის რაიმე სახის კონფლიქტს ადგილი არასდროს ჰქონია. დაპირისპირება არც ეროვნულ და არც სარწმუნოებრივ ნიადაგზე არ განვითარებულა, რაც ბერძნულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაშიც დასტურდება. მწერალი სტათი ათანასიადი თავის მონოგრაფიაში სხვა ერების გვერდით ქართველებსაც მოიხსენიებს და მათ შესახებ აღნიშნავს: «Θεωροῦνταν οὐραϊότεροι ἀπὸ ὀλίους τους γυωστούς και πῶς φιλῆλυες» („ქართველები სხვა ცნობილ ერს შორის ყველაზე გამორჩეულ, ბერძნების მოყვარულ ხალხად მიიჩნევიან“ – Σ.Αγγελίδης, 1999:290). აღნიშნულის შესახებ ხშირად მიუთითებენ აჭარაში მცხოვრები ბერძნებიც:

- «Τσιπ καλὰ ἐζήναμε με τους Ἀτσαρλιδες. Εχθροσύνη ζα κ ειχαμε» („აჭარლებთან ძალიან კარგად ვცხოვრობდით. შუღლი საერთოდ არ გვქონდა“).
- «Στην Ἀτσαρα ὄνταν ἐρθανε οἱ Ρωμαῖοι, ἐγάπεσαν τον τόπον, ἐγίναν φίλοι με τους κირτσιδες και ἀραέτς πα ἐζήνανε ἐμορφα και ειρηνικά. Πολλοί πα ἐπείνανε τα οἰκογένειες και ἀτῶρα που φύγανε στην Ελλάδα, τα σπίτια και τα ταφία ἐφέκαν στη Κιρτσιδες» („აჭარაში როცა დასახლდნენ პონტოელი ბერძნები, შეიყვარეს აქაურობა, დაუმეგობრდნენ ქართველებს და ცხოვრობდნენ ასე ლამაზად და მშვიდობიანად. ბევრმა შერეული ოჯახიც შექმნა და ახლა, როცა საბერძნეთში გადმოვიდნენ, მათი სახლები და სასაფლაოები ქართველებს დაუტოვეს“).¹⁸

საბჭოთა პერიოდში პონტოელი ბერძნების დასახლებათა ისტორიაც ერთობ საინტერესოდ წარმართა. სხვათაშორის, დღესაც მათ სამოსახლო ადგილებში ადგილთა ისეთი სახელწოდებებიც შემორჩა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. ზედა კვირიკეში, სადაც წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ეკლესიაა – თემის მიმართულებით მდებარე ადგილს **კომუნისტი** დღესაც ჰქვია. ძველი საყდარიც აქ მდებარეობდა, იქ, სადაც წმიდა გიორგის ახალი ეკლესიაა აშენებული. ტოპონიმი **კომუნისტი**, რომელსაც ათეისტური შინაარსიც გააჩნდა, მართლმადიდებლური ეკლესიების მიმდებარე ადგილის სახელდებად იქცა. ეს შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. იქვეა ადგილი **სასირე ყელი** თუ **სასირე**, საიდაც **ფეხის გზა** ხინოსაკენ – ხინოს ხევისაკენ მიემართებოდა. გაღმა მხარეს **სამება** მდებარეობდა, სადაც მოსახლეობა განტოტილი გზებიდან ანდა გზა-ბილიკებიდან სხვადასხვა მიმართულებით მგზავრობდა. ეს იყო არა მხოლოდ ბერძნების, არამედ ქობულეთის რეგიონის მოსახლეობის ძველი სამიმოსვლო გზები. სოფელი კვირიკე რამდენიმე მსხვილ უბნად იყოფოდა. ეხენი იყო: კვირიკე, ქვედა კვირიკე და ზედა კვირიკე. კვირიკესა და ზედა კვირიკეს გამყოფ მიდამოს **ქობრუნა** ერქვა. იგი მცირე ხევია და პატარა ლელესაც **ქობრუნას წყალს** ეძახდნენ. ეს მცირე ხევი მდინარე კინტრიშის შენაკადს – **კინკიშას** ერთვის (მგელაძე, 2014-2016).

17 კონკრეტული სტატისტიკის შესახებ იხ.: Mgeladze, 1994:12. ასევე, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა-2014: <http://www.geostat.ge/?action=page&p-id=52&lang=geo>.

18 სემ, დღიური I-006.

პონტოელი ბერძნების შავიზღვისპირეთში დასახლების შემდეგ, ბევრმა მათგანმა, პირველ-საცხოვრისი დატოვა და ქალაქებსა თუ ქალაქების ახლო-მახლო ადგილებში დამკვიდრდა, ძირითადად, ქობულეთსა და ბათუმს მიაშურა. შიდა მიგრაციები რეალურად აჭარის ბარის საზღვრებს არ სცილდებოდა. უკეთესი პირობების შექმნის მიზნით, ბევრნი, ქალაქში დამკვიდრებისათვის მამა-პაპისეული სახლების გაყიდვასაც არ ერიდებოდა.

პონტოელ ბერძენთა დასახლებები მრავალმხრივ საინტერესო იყო და ეს აისახა კიდევ დასახლების როგორც სოციალურ, ისე სამეურნეო-ეკონომიკურ და მატერიალურ პირობებში.

§ 2. პონტოელ ბერძენთა უკუმიგრაციის ისტორიისათვის:

1920-1921 და 1990-იანი წლები

XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებით შესამჩნევი და წინააღმდეგობრივი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ინტერესთა თანაფარდობისა თუ შეუთავსებლობის პრობლემაც იქცა. ამას რუსეთში მიმდინარე რევოლუციური პროცესებიც დაემატა, რომლის ფონზეც ევროპის არაერთი ქვეყნის სურვილი გაძლიერდა, რათა სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ეკონომიკური რესურსებიდან თავისი „კუთვნილი წილი“ მიეღო. მეორეს მხრივ, პირველი მსოფლიო ომი და ომის შემდგომი პერიოდი, თანმხლები ბოხოქარი პოლიტიკური პროცესებით, საქართველოს უახლესი ისტორიის ძალზე საინტერესო მონაკვეთად ჩამოყალიბდა. მოახლოებული ომის ფონზე რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების ეკონომიკური, ეთნიკური და რელიგიური პოლიტიკა შესამჩნევად დაძაბული გახდა. დაძაბულობა, რომელიც ბევრ სხვა მიზეზთა შორის განაპირა ქრელი ეთნო-რელიგიური თემებისადმი უნდობლობითაც ხასიათდებოდა, სამხრეთ კავკასიის, იგივე, იმდროინდელი რუსეთის იმპერიის საზღვრისპირა მოსახლეობის, მათ შორის, ეთნიკურ ჯგუფთა ყოველდღიურ სტაბილურობას არღვევდა და მათ ახალი საცხოვრისის ძიებისაკენ უბიძგებდა. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ფონზე მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესები უფრო მკვეთრად გამოჩნდა. სამხრეთ კავკასიაში ახალშექმნილი რესპუბლიკების რთული, შეიძლება ითქვას, გამოუვალი მდგომარეობა ინგლის-ამერიკის, გერმანიისა თუ სხვა ქვეყნების პროტექტორატის წესებს პირდაპირ პასუხობდა, რაც აისახა კიდევ ჯერ ამიერკავკასიის – სამხრეთ კავკასიის, ხოლო შემდგომ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და საკუთრივ ოსმალეთის იმდროინდელ ისტორიულ რეალებში. ეს პროცესები მნიშვნელოვნად განსხვავებული რელიგიური კუთვნილების მქონე ეთნოსთა დაპირისპირებებს განაპირობებდა, რაც მკაფიოდ ოსმალეთის და შემდეგში მის საფუძველზე აღმოცენებული თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ და რელიგიურ პოლიტიკაში გამოიჟღავნდა. ამ კუთხითაც მათი მიგრაციების ფონზე პონტოელ ბერძენთა ისტორიისა და ცხოვრების წესის შესწავლა, ვფიქრობთ, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რაც ეთნოკულტურული პროცესების გაანალიზების აუცილებლობითა და იმ კულტურული ურთიერთგავლენების გახსნილთა განპირობებული, რომლებიც როგორც აჭარაში მოსულმა ბერძენებმა, ისე დამხვედურმა მოსახლეობამ განიცადა. პრობლემის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ პოსტსაბჭოურ პერიოდში ბერძენთა უკუმიგრაციის ძლიერი ტენდენცია გამოიკვეთა.

პონტოელ ბერძენთა უკუმიგრაცია, რომელსაც 1920-1921 წლებში ჰქონდა ადგილი, სამხრეთ კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული, რომელმაც ახალი საცხოვრისის ძიების პროცესში არაერთი ეთნიკური ჯგუფის ტრაგიკული ბედი განაპირობა. ბერძენულ ეთნოსთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებული სურათი იხატებოდა.

ისინი წარსულში სასომხეთსა და არდაგანის ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ. მართალია, სამხრეთ კავკასიაში განვითარებულმა საომარმა მდგომარეობამ მათ მიგრაციისაკენ უბიძგა, მაგრამ მაინც ისინი თავიანთ სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ეს გარემოება კი – იმავე რეგიონში მცხოვრები სხვა ეთნოსებისაგან მათ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განასხვავებდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ საბერძნეთის ხელისუფლება მათზე ზრუნავდა, რაც მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა. ეს გარემოებაც საქართველოში მცხოვრები ბერძნების ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობებისა და ტრადიციული ცხოვრების წესის ისე, როგორც ბერძნულ-ქართული სიმბიოზური კულტურული იერსახის დაკარგვის საშიშროებას ქმნიდა. მომავალში დემოგრაფიული და სხვა ტიპის პროცესების გამო საქართველოში ბერძნების მიმართულებით კვლევები და აღწერები ფაქტიურად შეუძლებელიც კი შეიძლება გახდეს.

1920 წლის ნოემბერში მუსტაფა-ქემალის არმია ყარსსა და ალექსანდროპოლში შეიჭრა. ეს საომარო მოქმედებები მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მეშვეობით შეჩერდა, თუმცა სანაცვლოდ სომხეთმა დამოუკიდებლობა დაკარგა და საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. საომარი მოქმედებები პონტოელი ბერძნებით დასახლებულ პუნქტებსაც შეეხო, რამაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბერძნეთის ხელისუფლებებს შორის ბათუმის გავლით მათი სამშობლოში დაბრუნების შეთანხმება განაპირობა.

1920 წლისათვის ბათუმში, როგორც ზემოთაც ითქვა, ინგლისელთა ბათუმის ოკუპაციის აღწერის დროინდელი მონაცემების მიხედვით, დაახლოებით – 43.348 სული სახლობდა, რომელთაგან – 8.598 ადამიანამდე ბერძენი იყო, ხოლო 1922 წლისათვის – ბათუმში 7.629 ბერძენი ცხოვრობდა (იხ.: სტატისტიკური... 1924:3; საქართველოს... 1930). ამ ციფრებიდან ქალაქში ბერძენთა რაოდენობის შემცირება იკვეთება, რაც ვფიქრობთ კავკასიასა და ანატოლიაში მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგი იყო. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ბერძენთა უკუმიგრაციის პროცესებს ერთგვარ „მფარველობასა“ და „მზრუნველობას“, მათი სამშობლოში დაბრუნების ორგანიზებას, ბერძნული ერთობა – „დახმარებისა და რეპატრიაციის ბერძნული მისია“ უწევდა.¹⁹ ეს ორგანიზაცია შესაბამის მიგრაციულ საკითხებზე მოლაპარაკებებს სახელმწიფო დონეზე აწარმოებდა და, შესაბამისად, ბერძენთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ორგანიზებასა და კონტროლს ანხორციელებდა. „ბერძნულ მისიას“ თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ბათუმის ოლქში წარმომადგენელი – ივანე კონსტანტინეს ძე კანჯიევი ჰყავდა. მის სახელზე განსაკუთრებული რწმუნებულის მიერ 1921 წლის 21 იანვარს „ბერძნული მისიის“ წარმომადგენლობის დამადასტურებელი მოწმობა იქნა გაცემული, რომლის თანახმადაც „ბატონი კანჯიევი“ უფლებამოსილი იყო ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ბათუმის ოლქის მასშტაბით

¹⁹ „დახმარებისა და რეპატრიაციის ბერძნული მისია“ – ბერძნულად: «Ελληνική ή Αποστολή ή Περιθαλάσσια και Παλινοστική Μίσση», რუსულად კი – «Эллинская королевская миссия Призрения». ტექსტში ყველგან შემოკლებით გამოყენებული იქნება – „ბერძნული მისია“.

– ბორჩხიდან ბათუმამდე ლტოლვილთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით დახმარება მიეღო. მონაწილეს ხელს გენერალი – მდივანი და საქმეთა მმართველი – მკურნალი ანერდნენ.²⁰

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების მიხედვით, „ბერძნული მისია“ სომხეთიდან და არდაგანიდან ლტოლვილი ბერძნების მფარველობისა და ევაკუაციის თაობაზე, 1920 წლის 16 დეკემბერს ბათუმსა და ბათუმის ოლქში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო რწმუნებულს თხოვნით მიმართავდა. წერილიდან ჩანს, რომ აღნიშნული მხარეების ბერძენთა შესახებ „ბერძნულ მისიას“ სანდო ინფორმაცია გააჩნდა, რაზედაც იმავე წერილში არაერთხელ ხაზგასმითაა მითითებული. „ბერძნული მისია“ აკონკრეტებს, რომ საუბარია მხოლოდ სომხეთსა და არდაგანის ოლქში მცხოვრებ ბერძენთა მფარველობაზე. იქვე დაზუსტებულია არდაგანის ოლქის სოფლები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა და საიდანაც, საბერძნეთში ემიგრაციის სურვილით, ბერძნები ქალაქ ბათუმისაკენ გადაადგილდებოდნენ. წერილში არდაგანის ოლქის შემდეგი სოფლებია დასახელებული: **ხანახა (Ханаха), ფახრელა (Фахрела), ბებერეკა (Бенерека), ტოროსხევა (Торосхева), ხასკეა (Хаскея)**. „ბერძნული მისია“ თავის თავზე ბათუმში შეკრებილი ბერძნების ემიგრაციის შესახებ სრულ პასუხისმგებლობას იღებდა. მოცემულ წლებში ბერძენთა უკუმიგრაცია მხოლოდ კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრებ ბერძნებს ეხებოდა, რადგანაც საბერძნეთის სახელმწიფო „ბერძნული მისიის“ პირით კატეგორიულად მიუთითებდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული რეგიონების გარეთ მცხოვრებ ბერძნებს მფარველობას არ გაუწევდა. ამასთან დაკავშირებით „ბერძნული მისია“ 1920 წლის დეკემბრისათვის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელს ბათუმში სთხოვდა სპეციალური განკარგულება გამოეცა და საქართველოს მოქალაქე ბერძნებისათვის, გადასახლების მცდელობის მიზნით, ქალაქ ბათუმში გადაადგილება მკაცრად აეკრძალა.²¹

მიუხედავად იმისა, რომ ბერძენთა უკუ-მიგრაციის პროცესი საბერძნეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა შესაბამისი სამსახურების ზედამხედველობასა და კონტროლის პირობებში მიმდინარეობდა, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, იგი ადვილად ორგანიზებადი სრულიადაც არ ყოფილა. ორგანიზაციას ის გარემოება ართულებდა, რომ ბერძნებს სამშობლოში როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა რქოსანი საქონელი და ცხენები მიჰყავდათ. ეს რაც დოკუმენტურად ჩანს. გარდა ამისა, ბუნებრივია, მიგრანტებს სხვა ტვირთიც ექნებოდათ. დღემდე დაცულ მასალებში არ ჩანს, თუმცა აშკარაა ბერძნებს ბარგის სახით სხვა სახის ქონებაც თან რომ მიჰქონდათ. ცხადია ასეთი ვითარება უფრო მეტ სამგზავრო გემს საჭიროებდა, რითაც „ლტოლვილი ბერძნები“, როგორადაც წყაროებში არიან ისინი მოხსენიებულნი, საბერძნეთის სახელმწიფოს მიერ რეალურად უზრუნველყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ. „ბერძნული მისია“ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულთან ქალაქ ბათუმსა და ბათუმის ოლქში“ – გიორგაძესთან ყველა საკითხს წინასწარ ათანხმებდა. ამგვარ შეთანხმებებში

20 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.13

21 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.1. 1–ა

დაზუსტებულია და ქართული მხარისაგან გაცემულია თანხმობა საბერძნეთიდან მოსულ კონკრეტულ გემზე დასატვირთი საქონლის ანდა ადამიანთა რაოდენობის შესახებ. მაგალითად, 1920 წლის 16 დეკემბერს ბათომის საგანგებო რწმუნებული – გიორგაძე „ბერძნულ მისიას“ ატყობინებდა, რომ რაიმე დაბრკოლებას ვერ ხედავდა, რათა კერძო გემზე «Κλεοπατρα»-ზე²² ბერძენი ლტოლვილების 108 თავი საქონელი აეყვანათ. ირკვევა, რომ ლტოლვილ ბერძენთა ეკონომიკურად შეძლებული ფენა კერძო გემებსაც ქირაობდა. „კლეოპატრა“ ერთ-ერთი ასეთი გემი ყოფილა. ბათომის საგანგებო რწმუნებული დასძენდა, რომ იგი არათუ თანახმა იყო, არამედ მიესალმებოდა კიდევ თუ ლტოლვილ ბერძენთა ნაწილი საბერძნეთში დამოუკიდებლად გადაადგილებას შესძლებდა. „ბერძნულ მისიასა“ და მთავრობის საგანგებო რწმუნებულს შორის დადებული ამგვარი შეთანხმებები აღსასრულებლად ქალაქის პორტის უფროსსაც და ბათუმის საბაჟოს მმართველსაც ეგზავნებოდა. გიორგაძე გასცემდა ნებართვას თუ რომელი გემი რა სახის საქონლით დაეტვირთათ.²³

საბერძნეთსა და საქართველოს სახელმწიფოთა შორის არა მხოლოდ ბერძენთა რაოდენობა, არამედ საქონლის, მათ შორის, ცხენების საერთო რიცხვიც წინასწარ იყო შეთანხმებული, რადგან, როგორც აღინიშნა, „ბერძნული მისია“ ყოველი დატვირთული გემის შესახებ ინფორმაციას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს – გიორგაძეს აწვდიდა. მაგალითად, 1921 წლის 3 იანვარს ბათუმის პორტიდან გემით «Θεοφάνο Σιδιριδου» 2532 თავი მსხვილფეხა საქონელი იქნა გაგზავნილი. იქვე მითითებულია, რომ მომდევნო დღისთვის 3398 თავი იყო დარჩენილი. იმავე წლის 2 იანვარს ბათუმის პორტში მესამე გემი, «Θემის»-ი შემოსულა. ამ დროისათვის პორტში იდგნენ გემები: «Λιμνος»-ი და «Δαφნი»-სი. სამივე გემი იმ დროისათვის ბათუმში მყოფი არდაგანის ოლქის ლტოლვილი ბერძენებისათვის იყო გათვალისწინებული. მათ სათვალავში ის ბერძენები არ შედიოდნენ, ვინც ავად იყო ანდა საავადმყოფოში იმყოფებოდა. იმავე გემებით ცხოველებიც უნდა გაეგზავნათ. საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს გემების რაოდენობა არ იყო საკმარისი და ვარაუდობდნენ, რომ დაახლოებით 1400 თავი ისევ დარჩებოდა გაუგზავნელი, რის გამოც ახალ გემს უნდა დალოდებოდნენ. 1921 წლის იანვრის დასაწყისისათვის – „ბერძნული მისია“ ვარაუდს გამოთქვამდა, რომ არდაგანის ოლქიდან 2500 ლტოლვილს, 2000 მსხვილფეხა საქონელთან ერთად, კვლავ მოელოდნენ, რომლებიც ორი გემით უნდა გაეგზავნათ. ლტოლვილ ბერძენთა ევაკუაცია კი, როგორც ეს დოკუმენტებშია აღნიშნული, 15 იანვრისთვის უნდა დასრულებულიყო.

ბერძენთა უკუმიგრაციის ორგანიზაცია, მართალია, სახელმწიფოთა შორის შეთანხმებების საფუძველზე ხორციელდებოდა, მაგრამ ეს შეთანხმება საქართველოს მოქალაქეობაში მყოფი ბერძენების უკუმიგრაციას არ ითვალისწინებდა. თითქმის ყველა წერილში „ბერძნული მისია“, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, საქართველოს ხელისუფლებას ხაზგასმით სწერდა, რომ

22 აქ და სხვა შემთხვევაშიც გემის სახელწოდებები რუსულ ენაზეა მითითებული, რამდენადაც თავად ტექსტებშიც ისინი რუსულადაა მოცემული.

23 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.2,2-ა, 3,3-ა

საქართველოს მოქალაქეობაში მყოფ ბერძნებზე „ბერძნული მისია“ პასუხისმგებლობას არ იღებდა და სთხოვდა ბათუმისაკენ მათი გადაადგილება არ დაეშვა. „ბერძნული მისიის“ ინფორმაციით 1921 წლის იანვრის დასაწყისისათვის ბათუმში საქართველოს მოქალაქეობაში მყოფი 1500 ბერძენი იმყოფებოდა, რომლებმაც სხვადასხვა გზებით, კერძოდ, სოხუმიდან – ზღვის საშუალებით ბათუმში შეღწევა მოახერხეს. „ბერძნული მისია“ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობას ბათუმში ამჯერადაც, განმეორებით სთხოვდა, რომ გამოეცა განკარგულება და მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ზომები მიეღო. 1921 წლის 3 იანვრის წერილის რეზოლუციებიდან ჩანს, რომ მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბათუმში ფოთისა და სოხუმის ქალაქების მესვეურებს მიუთითებდა საქართველოს მოქალაქე ბერძნების ბათუმისაკენ გადაადგილება არ დაეშვათ და აღეკვეცათ.²⁴ საქართველოს მოქალაქეობაში მყოფ ბერძენთა ემიგრაციის შესახებ საბერძნეთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორისაც შეთანხმება არსებობდა, რაც წერილებშიც არაერთხელ დასტურდება. საკითხისადმი მათი დამოკიდებულების გამო, ფაქტია, „ქართველი ბერძნები“ სამშობლოში დაბრუნების დიდ სურვილს ამჟღავნებდნენ და ბათუმში მოსახვედრად ყველანაირ ხერხს იყენებდნენ. 1921 წლის 17 იანვარს ბათუმის ქალაქის გამგეობას და მთავრობის საგანგებო რწმუნებულს ბათუმში, სწრაფი შეტყობინების სახით დაინტერესებული პირები მიმართავდნენ და ამტკიცებდნენ, რომ იმავე წლის 13 იანვარს სოხუმიდან ბერძენი ხიზნებით დატვირთული ხუთი მოტორიანი ნავი ჩასულა. „ბერძნულ მისიას“ მათთვის, ანუ „საქართველოს ტერიტორიიდან“ ჩამოსულებისათვის, დახმარებაზე უარი განუცხადებია, რადგანაც მსგავსი დავალება საბერძნეთის ხელისუფლებისაგან არ ჰქონიათ მიღებული. ასეთი შემთხვევის გამო ისინი ზღვაში გაჩერებულან, რადგანაც მათ „ბერძნული მისია“ და ბათუმის ადგილობრივი ხელისუფლება არ ღებულობდა. თავის მხრივ, ბათუმის გამგეობაც სთხოვდა „ბერძნულ მისიას“ ზომები მიეღოთ, რათა ნავებით ბათუმში ჩასული ბერძნები უკან გაებრუნებინათ. გარდა ამისა, ქართული მხარე მიუთითებდა, რომ გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ქალაქში ეპიდემიის გავრცელების საშიშროებაც იდგა და ხიზნები შესაძლოა ყოველგვარი სენის წყარო გამხდარიყვნენ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის გამგეობა მთავრობის საგანგებო რწმუნებულთან და, შესაბამისად, მთავრობის წინაშეც შუამდგომლობის აღძრას მოითხოვდა, რათა ბერძნებისათვის, როგორც ხმელეთის, ისე წყლის მისადგომებიდან ბათუმში ჩასახლება აეკრძალათ. მოტივაცია ისიც იყო, რომ სანიტარული თვალსაზრისით ბათუმი დიდ გასაჭირში ჩავარდებოდა. იმ დროისათვის ბათუმში თავს იყრიდა ბერძენთა დიდი რაოდენობა. როგორც მასალებიდან ჩანს, საქონლით, ცხენებით და, რამდენადაც წინასწარ დაგეგმილი იყო უკუემიგრაციის პროცესი, ბუნებრივია, მათ სხვა სახის ტვირთიც თან მიჰქონდათ. ამ პროცესში ჩართული იყო ქალაქ ბათუმის სანიტარული სამსახური, რომელიც „ბერძნულ მისიას“ ხვდებოდა იმ მიზნით, რომ ბერძენთა ბანაკებში რაიმე სახის ეპიდემია არ გავრცელებულიყო. სოხუმიდან წამოსული ხუთი

24 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.7, 7-ა.

მოტორიანი ნავით ბერძნების ბათუმში შემოშვებისა თუ არ შემოშვების საკითხში, იმავე წლის 13 იანვარს, ბათუმის სანიტარული სამსახურის ინსპექტორი – ექიმი ჭიჭინაძე „ბერძნულ მისიას“ შეხვდა და ესაუბრა. აქაც წინა პლანზე გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ბათუმში მათი შემოშვების სკიოხმა იმ არგუმენტებით წამოიწია, რომ ხმელეთზე მათი გადაადგილება ეპიდემიის საშიშროებას გაზრდიდა. ამ საუბრიდანვე ირკვევა, რომ ბათუმის სანიტარული სამსახური ბათუმში ჩამოსული ბერძნების ქალაქში დაყოვნების საკითხსაც მეთვალყურეობდა, რათა ისინი დიდხანს არ შეჩერებულიყვნენ ქალაქში და ამას დაავადების გავრცელება არ მოჰყოლოდა.²⁵ საერთოდ, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ბერძენთა ყოველი გადაადგილება ბათუმის მიმართულებით სახელმწიფო სტრუქტურების მიერ კონტროლდებოდა. ამის დასტურია ართვინის მაზრის მმართველის ჩიმურ ოღლისადმი ბათუმის განსაკუთრებული რწმუნებულის შეტყობინება. მას სთხოვდნენ, რომ ბათუმისაკენ 1986 ლტოლვილი გაეშვა და მათი მშვიდობიანი მგზავრობისათვის ეზრუნა. წერილი 1920 წლის 4 იანვრითაა დათარიღებული, რომელსაც ხელს გენერალი მდივანი აწერდა.²⁶

მიუხედავად იმისა, რომ ბერძენ ლტოლვილთა გადაადგილებისა თუ მათი ბათუმში ბინადრობის შესახებ რიგი საკითხი საბერძნეთისა და საქართველოს მხრიდან სახელმწიფოებრივი რეგულირების დონეზე იყო აყვანილი, ჩანს გარკვეულ ექსცესებსაც ჰქონდა ადგილი. მიმონერებიდან ირკვევა, რომ 1921 წლის დასაწყისში ბერძენთა წასაყვანად განკუთვნილი გემების შეფერხებას და ბათუმის პორტში მათ დაგვიანებით შესვლას ჰქონდა ადგილი. როგორც ჩანს, ამ გარემოების გამო ლტოლვილ ბერძენთა ერთ ნაწილს ვინმე მ. ი. თუმანოვის ქონება დაუზიანებია. ამის თაობაზე ქონების მეპატრონეს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულისათვის მიუმართავს, რომელიც, თავის მხრივ, ამ საქმის გამო საქმის კურსში – „ბერძნულ მისიას“ აყენებდა. „ბერძნული მისიაც“ ითხოვდა, თუმცა დოკუმენტში არ იკითხება ვისგან ითხოვდა, უახლოეს დღეებში თუმანოვის პრეტენზიის დაკმაყოფილებას და ლტოლვილთა გემების შეფერხების აღმოფხვრას.²⁷ ამ საკითხზე 1921 წლის 21 იანვარს ზარალის განმსაზღვრელი კომისიის შეკრება შემდგარა, რომელშიც ბათუმის საგანგებო რწმუნებულისა და „ბერძნული მისიის“ წარმომადგენლობა მონაწილეობდნენ. კომისიის შექმნასთან დაკავშირებული მიმონერების საშუალებით შესაძლებელია დავაზუსტოთ ბატონი თუმანოვისათვის მისივე მამულში ბერძენ ლტოლვილებს თუ რა ზარალი მიუყენებიათ.²⁸

ბერძენ ლტოლვილთა ბათუმში დიდი რაოდენობით თავმოყრა ქალაქის ხელისუფლებას გარკვეულ პრობლემებსაც უქმნიდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა გემების დაგვიანების გამო ბერძნები იძულებული იყვნენ ქალაქში დაგეგმილზე მეტ ხანს გაჩერებულიყვნენ. ეს ჩანს იქედანაც, რომ ბერძენი ლტოლვილების ბათუმში დროებითი ცხოვრების პირობების გამო

25 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.17, 17-ა

26 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.8.

27 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.11.

28 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.25.

გარკვეულ პრობლემებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1921 წლის 11 თებერვალს „ბერძნულ მისიას“ სასწრაფო წესით ატყობინებდნენ, რომ დაუყოვნებლივ ის ლობე აღედგინათ, რომელიც ბერძენმა ლტოლვილებმა დაანგრეს ანდა სანაცვლოდ 12 თებერვლის 12 საათამდე ბათუმის პორტის სამმართველოს სალაროში 1,268,076 რუსული რუბლის შეტანას და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულისათვის წარდგენას სთხოვდნენ.²⁹ აქვე საუბარი იყო ბერძენთა მიერ ბათუმის პორტის ხის ლობის დანვის – შეშად გამოყენების თაობაზე. ლობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ბათუმში საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის პატაკი. მასში ნავსადგურში მომხდარი ამბები დეტალურადაა მოთხრობილი. კერძოდ, 1920 წლის 14 დეკემბერს ბერძენ ლტოლვილებს ბათუმის პორტში 33 საჟინის³⁰ მანძილზე დაუშლიათ და ხის ლობე დაუნვათ. თავის დროზე, ამ საქმის შესახებ, მიყენებული ზარალის მითითებით (524,979 მანეთი და 52 კაპიკი) შესაბამისი ოქმიც შეუდგენიათ, რომელიც პატაკს თან ერთვოდა, რაც „მისიისათვის“ უცნობებიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას შედეგი არ გამოუღია. განსაკუთრებულ რწმუნებულს დახმარების მიზნით ამჯერად ბათუმის ნავსადგურის სამმართველო მიმართავდა. პატაკში აღნიშნულია, რომ ამ ამბის შემდეგ ბერძენ ლტოლვილებს 528,500 მანეთის ღირებულების 24 საჟინი ლობე და ორი სადარაჯო „ბუდკა“ დაუნგრევიათ და დაუნვათ. პატაკში მითითებულია, რომ 1920-იანი წლებისათვის, როგორც მასალა, ისე ხელფასი მუშახელზე 100%-ით გადიდებულა და იმისათვის, რომ ნავსადგურს ეს დანაკლისი თავისი ხარჯით შეეგოს, მას ერთი იმდენი ხარჯის გაღება სჭირდებოდა. პატაკის მიხედვით ირკვევა, რომ შესაბამისი უწყებები ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიის დასუფთავებასა და დანგრეული ლობების აღსადგენად, საბოლოო ჯამში, 1,268,076 მანეთს მოითხოვდნენ. პატაკზე თანდართული ოქმიდან ჩანს, რომ ბათუმის ნავსადგურის უფროსი გვარად – «Спринквели» ყოფილა, ნანილის (უჩასტკის) კომისარის ხელწერა კი არ იკითხება, „რევიზორის“ თანაშემწე «В. Зевальд»-ი იყო, ხოლო ნავსადგურის საქმის მწარმოებელი – „შ. ცომიაი“.³¹ ბათუმის პორტის სამხრეთი სანაპიროს ლობის შესახებ მიმონერები 1921 წლის თებერვლის ბოლომდე გაგრძელებულა. საბოლოოდ, როგორც ჩანს „ბერძნულ მისიას“ ლობის საკუთარი ძალებით აღდგენა გადაუწყვეტია, რის შესახებაც საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ბათუმში 1921 წლის 17 თებერვალს აცხადებდა, რომ თუ „ბერძნული მისია“ ლობეს აღადგენს სანინაალმდეგო არაფერი ექნებოდა

29 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ. 13.

30 საჟინი – ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. XI-XVII საუკუნეების ისტორიულ წყაროების მიხედვით, საჟინის ზომა 152 და 176 სმ. იყო ეს იყო სწორი საჟინი, რომელიც ადამიანის გაშლილი ხელების სიგრძით – ერთი ხელის თითების ბოლოდან მეორე ხელის თითების ბოლოებამდე განისაზღვრებოდა. ე. წ. ირიბი საჟინი ზომით 216 და 248 სანტიმეტრი იყო. იგი სიგრძით ტერფის ძირიდან დიაგონალურად გაშლილი ხელის თითების ბოლოს მოიცავდა. 1835 წლის ბრძანებულებით – საჟინი შვიდ ინგლისურ ანდა ოთხმოცდაოთხ დიუმს სეადგენდა. ეს სამ არშინს ანდა ორმოცდარვა ვერშოკს (213,36 სმ) უდრიდა. საჟინისგან წარმოებულია კვადრატული საჟინი, რომელიც ცხრა კვადრატული არსინის ტოლი იყო და კუბური საჟინი, რომელიც ოცდაშვიდ კუბურ არშინს უდრიდა. 1918 წელს რსფსრ-ში საზომთა მეტრული სისტემა შემოიღეს, თუმცა როგორც ჩანს საჟინის გამოყენება ინერციით კვლავ გრძელდებოდა.

31 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.54, 54–ა, 59.

და, შესაბამისად, საკითხი ლობის აღსადგენად ფულის გადახდის შესახებ გაუქმდებოდა,³² თუმცა აღნიშნულ საარქივო საქმეში არ ჩანს საბოლოოდ ბათუმის პორტის ლობე აღადგინეს თუ არა.

1921 წლის იანვარის შუა ნახევარში „ბერძნული მისიას“ საქართველოს რესპუბლიკიდან საბერძნეთში გასაგზავნი, ოფიციალურად ნებადართული რაოდენობის „ლტოლვილი ბერძნების“ დაგაცვანა ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა. ამის შესახებ ბერძნული მხარე ქართულ მხარეს წერილობით ატყობინებდა. იმავე წერილიდანვე ჩანს, რომ ბოლო ასეთი გემი «Дафни» და «Ада» იყო, რომლითაც დარჩენილი 2709 თავი საქონელი, მათ შორის, ცხენები გადაიყვანეს. იმავე წერილში ერთგვარი შემაჯამებელი ცხრილია მოცემული, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1920-1921 წლებში ბათუმის პორტიდან საბერძნეთში 24 ათასზე მეტი ბერძენი და 6285 საქონელი გადააადგილეს, თუმცა იქვე ბოლოში აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის, კერძოდ, 1921 წლის 16 იანვრისათვის, ბათუმში 600 ჯანმრთელი და 400 ავადმყოფი ბერძენი დარჩა. მოსალოდნელი იყო, რომ ბათუმში კიდევ 2600 ბერძენი ჩასულიყო, მათ შორის, 1000 სოხუმიდან. ამდენად, ბათუმიდან საბერძნეთისაკენ გასაგზავნი კვლავ 3600 ბერძენი რჩებოდა.³³ „ბერძნული მისიის“ მიერ წარმოდგენილი ამ შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულმა 1921 წლის 16 იანვარს ბრძანება გამოსცა, სადაც დაზუსტებულია, რომ სულ ცხრა გემით 24 ათასზე მეტი ბერძენი და 6285 საქონელი გადაუყვანიათ. იქვე მითითებულია, რომ საბერძნეთის ხელისუფლების შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობისაგან ნებადართული იყო ბათუმის პორტიდან ლტოლვილთა 10 ათასი საქონლის უბაჟოდ გაშვება. მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ გაგზავნას 4 ათასი ადამიანი ექვემდებარებოდა. ამ რიცხვში ართვინიდან მიმავალი ლტოლვილი ბერძნებიც შედიოდნენ. „ბერძნული მისიის“ მიერ გაკეთებული ანგარიშიდან ჩანს, რომ ართვინიდან 3600 ბერძენ ლტოლვილს მოელოდნენ. იქვე დაზუსტებულია, რომ 2709 თავ საქონელსაც უბაჟოდ გადაიყვანდნენ. განსაკუთრებული რწმუნებულნი – გიორგაძე მიუთითებდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეგრამების საფუძველზე „ბერძნულ მისიას“ საქმიანობაში დაბრკოლება არ უნდა შექმნოდა. მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის დადგენილებით, „ბერძნულ მისიას“ წინადადება მიეცა, საიდანაც ირკვევა, რომ მას შემდეგ, როცა საქართველოს მოქალაქეობაში მყოფმა ბერძნებმა სამშობლოში დაბრუნება მოისურვეს, მთავრობის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა საქართველოს მოქალაქე ბერძნების საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვის ბრძანება გამოსცა, ხოლო იმ ბერძნებს, რომლებმაც ბათუმში აღნიშნული ბრძანების გამოცემამდე მივიდნენ, ნება ეძლეოდათ საბერძნეთში წასულიყვნენ, იმ პირობით, რომ საზღვარგარეთის პასპორტები ბათუმში საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის სამმართველოდან უნდა მიეღოთ.³⁴ აღნიშნული ბრძანების საფუძველზე განსაკუთრებულმა რწმუნებულმა „მისიას“ ნება დართო გემ „ადა“-ზე ლტოლვილთა

32 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.65,65-ა.

33 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.39, 39-ა.

34 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.40.

1000 სული საქონელი დაეტირთა, მათ შორის, ცხენებიც, რომლებიც სომხეთიდან ტრანზიტით მოდიოდნენ და მთავრობის მიერ უბაჟოდ გადაყვანის ნებადართულ საერთო რაოდენობაში ირიცხებოდნენ. აღნიშნული მიმართვის ასლი ბათუმის პორტის უფროსს და ბათუმის საბაჟოს სამმართველოსაც გადაეგზავნა. ამგვარი სანებართვო წერილები მთავრობის რწმუნებულს განსაზღვრულ რაოდენობებზე ცალ-ცალკე ჰქონდა გაცემული, თუმცა მთლიანობაში მათი რიცხვი 2709 თავს შეადგენდა.³⁵

1921-1922 წლების შემდეგაც არსებობდა კომისიები, რომლებიც ბერძენთა პრობლემებით იყვნენ დაკავებული. მაგალითად, ცნობილია, რომ 1922 წლის 24 ივლისის ლოზანის სამშვიდობო მოლაპარაკებების ფარგლებში ნაწილობრივ მოგვარდა მცირე აზიის ბერძენ ლტოლვილთა მტკივნეული საკითხები, კერძოდ, ერთა ლიგის ფარგლებში შეიქმნა და 1930 წლის ბოლომდე მოქმედებდა – „ლტოლვილთა გადმოსახლების კომიტეტი“. მიგრაციული პროცესებიც 30-იანი წლებით შემოისაზღვრა (**Maurogordato, 1931:64**). ბერძენების დიდი ნაწილი საბერძნეთისაკენ დაიძრა, სადაც მათ სალონიკისა და ჩრდილოეთ მაკედონიის გარეუბნებში სოფლები ჩამოაყალიბეს, ხოლო ბერძენთა ნაწილი კავკასიის სხვადასხვა მხარეში გადასახლდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანგებო მისიის წევრებს შორის ბათუმს 1919 და შემდეგაც (1927, 1928 წლები) სტუმრობდა ცნობილი ბერძენი მწერალი ნიკოს კაზანძაკისი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პონტოელი ბერძენების რეპატრაციის პროცესში, როგორც სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გენერალური დირექტორი. მწერალი საინტერესოდ აღწერდა იმ დროს მიმდინარე პროცესებს:

„დავთანხმდი ერთი სხვა გარემოების გამოც. მეტიც ჩემი ჯვარცმული მოდგმა, რომელიც კვლავ საფრთხეში იმყოფებოდა... სამხრეთიდან ქურთები ჭედავდნენ ცხენებივით, სადაც კი ბერძენს ნაახელთებდნენ, ჩრდილოეთიდან ბოლშევიკები მოემართებოდნენ ცეცხლითა და ნაჯახით, შუაში კი ბათუმელი, სოხუმელი, თბილისელი და ყარსის ბერძენები მოქცეულიყვნენ. სულ უფრო ვინროვდებოდა მათი ყელის გარშემო მარყუჟი და შიშვლები, მშივრები, დაავადებულნი სიკვდილს ელოდებოდნენ“ (მესხი, 1996).

ამდენად, პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომ პერიოდშიც სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ, რომლის არსებითი შედეგი ოსმალეთის იმპერიის დაშლა და ახალგაზრდა თურქეთის „გადარჩენა“ იყო, პონტოელ ბერძენთა დიდი რაოდენობის ბათუმში კონცენტრაცია და ბათუმიდან სამშობლოში დაბრუნება განაპირობა.

უკუმიგრაციული ანალოგიური ისტორია XX საუკუნის 90-იანი წლებშიც განმეორდა, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. ბერძნული დიასპორის წარმომადგენლები დღესაც სიამოვნებით იხსენებენ იმ დროს, როცა, მათი თქმით, ოფიციალური საბერძნეთი როგორც იქნა საბოლოოდ

35 საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1872, ანაწერი 1, საქმე 16, გვ.41–47.

ბერძნული დიასპორებით დაინტერესდა, რაც ბუნებრივია პოლიტიკური ვითარების გარდა საქართველოში პონტოელ ბერძენთა საბერძნეთში კულტურულმა აქტივობამაც განაპირობა. ამით საბერძნეთში მათი ცნობადობა გაიზარდა, საბერძნეთმა უფრო ახლოს გაიცნო ბერძენთა საკმაოდ დიდი და წარმომადგენლობითი დიასპორები, მიიღო ინფორმაციები მათ შესახებ. სწორედ საბერძნეთის დაინტერესების გამოც აჭარაში მცხოვრებ არაერთ ბერძენს სამშობლოსაკენ გაეხსნა გზა. საბერძნეთში 1985 წელს საბერძნეთის განათლების წარმომადგენლები, მათ შორის, მომღერლები და კულტურის სფეროში მოღვაწენი ჩამოვიდნენ. პონტოელ ბერძენთათვის ნანატრი დღეები ახლოვდებოდა, რამაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღგენისათანავე დაიწყო ხორცშესხმა. გასული საუკუნის 80-იან წლებში პონტოელ ბერძენებს ნება დართეს მათ წინარე სამშობლოს სწვოდნენ. მრავალათას ბერძენს გაუჩნდა სურვილი საბერძნეთი – ისტორიული სამშობლო – საკუთარი თვალთ ეხილა, ახლობლები და ნათესავები მონახულებინა, ახლოს გაეცნო ელინები, მათი ხასიათი, ზნე-ჩვეულებები და ცხოვრების წესი, რომელიც სხვებისაგან განსხვავდებოდა, თუმცა ისტორიიდან ვიცით, რომ ბერძენებმა არც თუ ისე იოლი ცხოვრებისეული გზა განვლეს, როგორც საბერძნეთში, ისე ანატოლიასა და საქართველოში. პონტოელებმა ტრადიციულ ყოფაში მრავალი არქეტიპი და კულტურის ისეთი ელემენტი შემოინახეს, რომელიც მათ ისტორიულ სამშობლოში უკვე დიდი ხანია გაქრა. პონტოელთა თანამემამულეებმა საბერძნეთში იცოდნენ იმ ღრმა ეკონომიკური კრიზის შესახებ, რომელიც სსსრკ-ში სუფევდა და იმ უბედურების შესახებაც, რაც განურჩევლად ეროვნებისა და კონფესიისა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა ხალხს თავს დაატყდა. საბერძნეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, სსრკ-დან ბერძნულ დიასპორათა წარმომადგენლები მიეღო.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ბერძენთა უკუმიგრაციის პროცესში, მხოლოდ პატრიოტული გრძნობები არ ყოფილა გადამწყვეტი, მთავარი ის რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია გახდა, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდს ახასიათებდა (Loladze, 2016; ბერძნული მოსახლეობა, 2003). აღნიშნული პროცესების შედეგად, საქართველოში მკვეთრად შემცირდა ბერძნული მოსახლეობის რაოდენობა, რასაც ადასტურებს 2002 და 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები (იხ. სტატისტიკა).

ბერძენების ევროპაში, უმეტესად, საბერძნეთში გადასახლების შემდეგ დიდმა ნაწილმა საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ავლა-დიდება: საცხოვრებელი, კარ-მიდამო და კუთვნილი მიწა-წყალი შეინარჩუნა. ევროპაში, ძირითადად, ახალგაზრდები გადასახლდნენ, საქართველოში კი კარ-მიდამოს მოსავლელად და მიწა-წყლის შესანარჩუნებლად ხანდაზმული მშობლები დარჩნენ. ხდებოდა ისეც, როცა პონტოელი ბერძნები კარ-მიდამოთა მეთვალყურეობას მეზობლებს ანდობდნენ ანდა განსაზღვრული შეთანხმების – სახლის მოვლისა და მოსავლით სარგებლობის საფუძველზე უცხო პირებსაც ინვესტირდნენ, ბუნებრივია, ევროპაში წასულთა დაბრუნების შემთხვევაში სახლი პატრონს უბრუნდებოდა. მაგალითად, კვირიკეში კაიდალიდის კარ-მიდამოში თექვსმეტი წელია ქუთაისელი ოჯახი – მეველედ კუპრაძე და მისი მეუღლე გვარად მიქელაძის ქალი ცხოვრობს.

კაიდალიდი უცხოეთიდან მათ საკუთარ სახლში რამდენჯერმე ესტუმრა.³⁶ ასევე, კვირიკეში – უბან **სასირეთში** ქსანთოპულომ საცხოვრებელი და კარ-მიდამო ქათამაძეებს დაუტოვა, მანამდე კი მის სახლში სოფელ ალამბრელი მგალობლიშვილი, შემდეგ სამტრედიელი კოხრეიძე ბინადრობდა. შეთანხმებაში მთავარი პირობა კარ-მიდამოს მოვლა, ნაკვებზე ნერგების დარგვა, მარცვლეულის დათესვა, ბაღჩისათვის თვალყურის დევნება შედიოდა.³⁷ ბერძნები და არა მარტო ბერძნები ტრადიციული მენტალობის გამო თვლიან, რომ საცხოვრებელში, სადაც ადამიანი მუდმივად არ ცხოვრობს, კარებს არაფერს შეაღებს, სახლი გაჩანაგდება. პონტოელ ბერძნებთან მიმართებაში, ამ მხრივ, კონფლიქტური ვითარება იშვიათად იქმნებოდა, რასაც წალკაში მცხოვრებ ბერძნებთან – ურუმებთან მიმართებაში ვერ ვიტყვით, თუმცა იქაც წინააღმდეგობები მასიურ ხასიათს არ ატარებდა. პონტოელ ბერძნებს საუბარში ხშირად მოჰყავთ მაგალითები, რომელთაც წალკელ ბერძენთა გარემოში ჰქონდა ადგილი. ისე, ქობულეთის რეგიონშიც იყო შემთხვევები, როცა იმ სახლიდან, რომელიც ამა თუ იმ პირისათვის იყო მიბარებული, იგი პოლიციის ძალით გამოუყვანიათ. ასეთ გაუგებრობებს ისიც აპირობებდა, რომ დარჩენილთათვის სახლისა და კარ-მიდამოს მიბარების აქტი, უმეტეს შემთხვევაში, წერილობით კი არ ფორმდებოდა, არამედ სიტყვიერად თანხმდებოდა. ამდენად, ურთიერთობები მხოლოდ ნდობას ეყრდნობოდა.

პონტოელ ბერძენთა სოფლებში ცარიელი სახლებიც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობები ბევრთან იყო, მეზობლებს მიბარებულ ასეთ სახლებში არავის უშვებდნენ. საბერძნეთსა თუ ევროპაში და საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებს შორის ურთიერთობები დღესაც ინტენსიურად ხორციელდება. რატომ არ ყიდდნენ საქართველოდან უცხოეთში გამგზავრებული პონტოელი ბერძნები თავიანთ კარ-მიდამოს. ამაზე პასუხი მარტივია: „ვართუ, საბერძნეთში ცხოვრებამ არ ივარგოს“.³⁸ ისინი ამით უკან დაბრუნების შესაძლებლობას იტოვებდნენ და ქვეყანაში, რომელსაც სამშობლოდ მიიჩნევდნენ, ცხოვრებას გააგრძელებდნენ. გარდა ამისა, ემიგრირებულ ბერძნებს საქართველოს სიყვარულიც გააჩნდათ, მითუმეტეს, რომ საქართველოში მათ მამა-პაპათა საფლავები ეგულებათ. საბერძნეთიდან სტუმრად ჩამოსული ბერძნები ხშირად საუბრობენ ამის შესახებ.³⁹

ევროპაში მცხოვრებ მიგრანტთა ნაწილი, სიცოცხლის ბოლო წლების გატარებას საქართველოში ფიქრობს, ევროპა მათთვის შთამომავლობის ახალი ცხოვრებისათვის მომზადების გზა იყო და იგი ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ადგილს წარმოადგენდა. ამისა და სხვა რიგი ფაქტორის გამო საქართველოში მცხოვრები პონტოელი ბერძნები გადასახლების პერიოდში თავიანთ საცხოვრებლებს არ ყიდდნენ, თორემ, როგორც თავად ფიქრობენ, ამ თანხებით უცხოეთში ახალი პირობების უკეთ მოწყობას გაცილებით იოლად შეძლებდნენ.

36 სემ, დღიური II-003.

37 სემ, დღიური II-004.

38 სემ, დღიური II-005.

39 სემ, დღიური I-007.

თანამედროვე მიგრაციების პროცესში, ბუნებრივია, ყურადღებას ცალკეული პიროვნების ბიოგრაფიული შტრიხი და ცალკეული ოჯახის ისტორია ინვესტს. სოფელ კვირიკეში კუკური მურადოვისა და ანიკო ნიკოლეიშვილის ვაჟი ოცდაოთხი წელია, რაც საცხოვრებლად საბერძნეთში გადავიდა და ქალაქ ქსართში დამკვიდრდა. 1992 წლისათვის საბერძნეთისაკენ მიგრაცია არაერთმა ბერძნული წარმომავლობის ოჯახმა განახორციელა. ანიკოს ქართველი დისშვილიც – მაკა ძიძიგური იქ ცხოვრობს. მას მომავალი ბერძენი საქმრო იქ გააცნეს. შემდეგ მაკას ბერძენი მეუღლე ბერძენთა მცირე ჯგუფთან ერთად საცხოვრებლად ჰოლანდიაში გადავიდა, სადაც ხელოსნობდნენ. დიდი ნაწილი თანამედროვე მანქანების შეკეთებით იყო დაკავებული, ზოგნიც მღებავები იყვნენ. მაკა შვილთან ერთად საბერძნეთში დარჩენილა. ამ ოჯახის შვილები და შვილიშვილები განათლებას ბერძნულ სკოლებში ლეზულობდნენ. მსგავს ისტორიებში საოჯახო სირთულეებიც მრავლად ფიქსირდებოდა.⁴⁰ საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს საბერძნეთში ახლობლებები რომ მოენახულებინათ, სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. ზოგი ამის გამო საბერძნეთში ტურისტული სტატუსითაც კი მოგზაურობდა. საქართველოდან ბერძენი ტურისტი საბერძნეთს სამოახალშენოდ ზვერავდა, შემდეგ საქართველოში ბრუნდებოდა და ნათესაობისათვის ამბები ჩამოჰქონდა. სჯა-ბაასის შემდეგ, საოჯახო გადანაცვლებით დარჩენილმა ნაწილმაც საცხოვრებლად საბერძნეთს მიაშურა. თითქმის ყველა საბერძნეთში სამუდამოდ დარჩა, მაგრამ ზოგი მაინც უკმაყოფილო იყო. გარკვეული ჯგუფი პირიქით – თვლის, რომ საბერძნეთში გადასვლით სწორი არჩევანი გააკეთა. კმაყოფილნი მოგვითხრობენ, რომ მათ საქართველოდან გამგზავრების შემდეგ საქართველოში დარჩენილი ვალები სრულად გადაიხადეს. მუხედავად კმაყოფილებისა, საბერძნეთში გადასულ პონტოელ ბერძნებში საქართველოსადმი, როგორც მეორე სამშობლოსადმი და საქართველოში დარჩენილი მათი ახლობლებისადმი ნოსტალგია საკმაოდ მაღალი იყო.

საბერძნეთში ემიგრირებული ბერძნები საქართველოში ხშირად ჩამოდიან. ჩამოდიან საქართველოში დარჩენილ ნათესავებთან, დიდ დღესასწაულებზე (მარიამობა დაგვაში) დასასწრებად და ეკლესიების მოსალოცად, წინაპართა საფლავების მოსანახულებლად. სავსე ექსპედიციების დროს, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, მათ ხშირად ვხვდებოდით და ვისმენდით მათ საინტერესო საუბრებს.⁴¹

2014 წელს დაგვაში გიორგობის დღესასწაულზე საბერძნეთიდან სტუმრად ჩამოსული დაგვიდან ემიგრირებული ბერძენი აღნიშნავდა:

„საბერძნეთი არის ლამაზი, მაგრამ ჩვენი არაა, ჩვენ აქ ვართ მიჩვეული, დაბადებული, აქ გვეიზარდე, ახლა წარმოიდგინე, ერთი 25 წელია იქეთაა ჩემი ოჯახობა, შვილი, შვილიშვილი, მაგრამ სიზმარი ჯერ არ მინახია, რომ მე იქ ვარ. სულ აქეთ ვარ. ჩვენი კუთხე, ჩვენი საქართველო... აქ გაზრდილი და მიჩვეული რომ ხარ..., აქ ჯერ პატიოსნობა, სტუმარი მოყვარე ხალხი ვართ, ძმობა, ამხანაგობა...მე ჩემ ბალანას ვუთხარი, გიორგი ქვია იმასაც, ვინცობაში მე მოვკვდები

40 სემ, დღიური II-006.

41 სემ, დღიური I-II-III; სემ, აუდიო და ვიდეო არქივი.

საბერძნეთში, მომიყვანე საქართველოში, რომ მამაჩემი იქაა დასაფლავებული..., ჰო, დამარხული, მის გვერდზე, დაგვაში.., ხო, მე დაგველი ვარ“.⁴²

2014 წელს დაგვაში მარიამობის დღესასწაულზე საბერძნეთიდან ჩამოსული დაგვიდან ემიგრირებული ბერძენი მოგვითხრობს: „აქ გავიზარდე.., ვნახულობთ ისეთ ადგილებს, წინათ ბავშვობაში რომ დავდიოდით. ბევრი შეიცვალა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იმის არ იყოს, ხევსურის – სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...“⁴³

საბერძნეთში, ემიგრირებულ და საქართველოში დარჩენილ ბერძნებს შორის დღესაც მჭიდრო კავშირი და ურთიერთობაა შენარჩუნებული.

42 სემ, დღიური III-001.

43 სემ, დღიური III-002.

§ 3. პონტოელ ბერძენთა გვარი და ნათესაობის სისტემა

პონტოელ ბერძენთა გვარი და ნათესაობის სისტემა, მათ შორის, ნათესაობის ტერმინოლოგიური მოდელი მრავალმხრივია საინტერესო. უპირველესად საინტერესოა პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინოლოგიური პარადიგმა და ბერძნული სალიტერატურო, იმავდროულად, ბერძნული ენის სხვადასხვა დიალექტის ნათესაობის ტერმინთა სისტემასთან მისი მიმართება. პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში მრავალი ლექსიკური ელემენტის კონსერვაცია მოხდა, ბევრმაც სახე იცვალა და კლასიკური ბერძნული ენის ზოგად ნორმებს დასცილდა. ეს ცვლილებები საუკუნეების მანძილზე გარდაუვალი იყო, რადგან მათ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ეთნიკურ გარემოსა და სოციალურ პირობებში უწევდათ არსებობა. ნათესაობის ტერმინოლოგია კი – მისი კონსერვატული ბუნებიდან გამომდინარე სოციალურ წყობაზე ფაქიზად რეაგირებდა და სტრუქტურაში საზოგადოების დონესთან შესატყვის ნათესაობის ტერმინოლოგიურ ტიპებს აყალიბებდა. ასე მოხდა ბერძენების პონტოური დიალექტის ნათესაობის ლექსიკის სფეროშიც.

პონტოელი ბერძენების გვარი (/გვარსახელი) – **ეპონიმო** [epwnimo], როგორც მას ადგილობრივი ბერძენები უწოდებენ, სიტყვა ეპონიმთანაა დაკავშირებული. ეპონიმად ლექსიკოგრაფები ისეთ პირს მიიჩნევენ, რომლის სახელისგანაც ხალხის, ადგილის და თუნდაც გვარის სახელწოდება წარმოდგება. გვარის წევრი – ნათესავი, რომელსაც **სინგენოს** [suggenh] ერქვა, დანარჩენ წევრებთან განსაზღვრული ვალდებულებებით იყო დაკავშირებული. უფლება-მოვალეობათა ტრადიციულ ციკლში წევრთა უფლებები, უმთავრესად, ქონებრივი ნორმების, სოციალური და სამართლებრივი, განსაკუთრებით, საოჯახო სამართლის სფეროში იყო დარეგულირებული. ამდენად, გვარის წევრები ერთმანეთის მიმართ სისხლის, სამოქალაქო სამართლისა თუ შრომითი დახმარების სფეროში სოლიდარები იყვნენ. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ბერძენთა კომპაქტურად დასახლებულ უბნებსა და სოფლებში გამოიყურებოდა, რადგან თავდაპირველად ბერძენებისათვის გარე ეთნიკური სამყარო მაინც უცხო იყო და თანადგომა მათი თვითმყოფადობის, ეროვნული მეობისა და ტრადიციული კულტურის განმსაზღვრელ გარანტს წარმოადგენდა.

ბერძნულ საზოგადოებაში უფლება-ვალდებულებათა ტრადიციული სისტემა და სახლეულის ცალკეულ კომლთა ერთმანეთისადმი სოლიდარობა ყველაზე მკაფიოდ შრომით ურთიერთდახმარებაში ვლინდებოდა, უპირველესად, ნადში. ერთმანეთისადმი სოლიდარები განსაკუთრებულად ნათესაური ჯგუფის წევრები იყვნენ. ურთიერთ-მეზობლად მცხოვრები ლოკალურ-ნათესაური ჯგუფის წევრები ურთიერთობათა სხვა სფეროებშიც ერთად იყვნენ, განსაკუთრებით, თანადგომას ქორწილის, დაკრძალვის, საოჯახო ზეიმის დროს გამოხატავდნენ. როცა რელიგიური დღესასწაულები ტარდებოდა, იმის და მიუხედავად, თუ რომელ სოფელში ტარდებოდა იგი, დანიშნულების ადგილზე ყველა ქალაქიდან და სოფლიდან ბერძენები თავს იყრიდნენ და ერთმანეთს მხარდაჭერას უცხადებდნენ. ეს საინტერესო ფაქტია, რომელიც განსხვავებულ ეთნიკურ გარემოში საკუთარი ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან იყო დაკავშირებული.

აგნატური – მამის ხაზით შექმნილი ნათესაობა პონტოელ ბერძნებში ნათესაობის სისტემის საფუძველი იყო. ნათესაობის სისტემაში სამი უმთავრესი მიმართულება გამოიყოფოდა. ესენი იყო: სისხლითი ნათესაობა, მოყვრობითი ურთიერთობა და ხელოვნური ნათესაობა. აქედან რეალურად ნათესაობა მამის გენეალოგიურ სტრუქტურაში რეალიზდებოდა, რომელიც გვარის წევრებსა და გვარში მონათესავე გენეალოგიურ სემენტებს ეფუძნებოდა. პონტოელი ბერძნების გვარი – **ეპონიმოს** ლოკალურ გაერთიანებას არ წარმოადგენდა, რადგან გვარის წევრები, რომლებიც საერთო გვარსახელს ატარებდნენ, ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილებშიც ცხოვრობდნენ, ე. ი. გვარის წევრს შეეძლო ლოკალიზებულ გვარს მოწყვეტოდა და სხვა ადგილზე დასახლებულიყო. გვარში ნათესაური წრეები თაობრივად და მუხლობრივად ნაწილდებოდნენ. აქედან ახლო და შორი ნათესაობა გამოიყოფოდა, რომლებიც შესაბამისი ტერმინებით აღინიშნებოდნენ. ძმობის შემდგომ სიახლოვით პირველი ბიძაშვილობა იყო, ხოლო კიდევ უფრო დაცილებული წრე, ვთქვათ, მუხლობრივად მესამე საფეხურის ბიძაშვილობა – ტერმინ **ექსადელფე**‘თი [ახ. ბერძნული exadelfo~] გამოიხატებოდა.

აჭარაში – სოფელ დაგვაში, ბობოყვათში, კვირიკეში, ახალშენში, ბათუმში და სხვა პუნქტებში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა გვარებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო **მავროპულო, პაპანდოპულო, სანდოპულო, ქსანდაპულო, სიდროპულო, იანოპულო, გრამატიკოპულო, ცირიოპულო, სანდინიდი, სტილიდი, ხორაფიდი, ფოკაიდი, სილოინიდი, ხიონიდი, ეფრემიდი, პაროციდი, სელფიდი, სოფიანიდი, ამირიდი, პოლიხრონიდი, ბუმბურიდი, კასიტერიდი, ფუტურიდი, კერიდი, ჩილინგარიდი, სალვარიდი, სიმვულიდი, ლაზარიდი, იოსეფიდი, კაიდალიდი, ჩაკალიდი (ჩაკალოვი), ჩაიკიდი, კუსიდი, ფილიდი, იორდანიდი, დერჩენიდი, პანტელიდი, ანასტასიადი, ქიმიციდი, სავიდი, სავილი, კაიტალიცი, ჩულფა, დოფხარა, კოჩაბაში, მურადოვი, მურუზიდი, ჩაკალოვი, პაიატოვი, ტერიევი (დერიევი), შონუსი, გრევსი, კუცუროვა, დემირჩევა...** პონტოელ ბერძენთა ზოგიერთი გვარსახელი ადამიანის საკუთარ ანდა მეტსახელთან იყო დაკავშირებული. ზოგიერთი კი ტოტემური იერსახის მატარებელიც იყო. მაგალითად, ჩაკალიდები შინაარსობლივად ტურაშვილებს შეესატყვისება. ერთგვარად, იგი მეტსახელადაც მიიჩნეოდა. გადმოცემით, ჩაკალიდებისათვის ეს გვარსახელი იმიტომ შეურქმევიათ, რომ წინაპარი საუკეთესო ხმის პატრონი იყო – მათი წინაპარი მომღერალი ყოფილა. ოსმალეთში ჩაკალიდების წინაპრებს, როგორც ქობულეთის რეგიონში პონტოელმა ბერძენებმა რუსულად გადმოგვცეს, თურმე ხშირად უთქვამთ: «паят шакали метили за голос». ისე, მრავალი გვარის არსი უმეტეს ვითარებაში ამა თუ იმ თემატიკას შეესაბამებოდა. სანდოპულოები იგივე თეთრაშვილები იყვნენ, შონუსები – თოვლიაშვილები, გრამატიკოპულო – გრამატიკისშვილი, იორდანიდების სახელდება მდინარის სახელწოდებას უკავშირდებოდა. მეტსახელები ჩვეულებრივ ფართოდ იყო გავრცელებული პონტოელი ბერძნების ადგილობრივი ქართული მოსახლეობაშის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთი ანთროპონიმული სახელდებები ტრადიციული სუფიქსების თანდართვით, ზოგჯერ, მემკვიდრეობით სახელებად და გვარსახელებადაც კი იქცეოდა ხოლმე. სწორედ ამდაგვარი სოციალური

თავისებურებები პონტოელ ბერძნებში, მათ შორის აჭარის შავიზღვისპირეთში ჩამოსახლებულ ბერძნებშიც დასტურდება. პონტოელთა მეტსახელებში საკუთრივ ბერძნულისა ქართული სხვა ენათა ჟღერადობის მეტსახელებიც კი ვლინდება. ასეთები იყო: **კაკუნა, ჩორნა**, სადაურობის გამომხატველი – **სოხუმელი**, ტირიოპულოს გვარში – **ხრისტულა**, შემოკლებით, **სულა**. საერთოდ, აჭარაში მცხოვრები ბერძნების მამაკაცისა და ქალის საკუთარი სახელებიდან უნდა გამოიყოს: **ხრისტო, ლაზარე, ესტაფი, პავლე, ტრიანდაფილე, პანაიოთი, გიორგი, თედორე, იანე (ივანე), კონსტანტინე, თეოდორე, ლისანდრე, ნიკოლოზი, ანესტი, სტავრო, სპირიდონი, ილია, მიხეილი, ვასილი, ანესტი, სატავრო, კონსტანტინე, აბრაამი, ჰერიკლი, პავლე, ლისანდრე, ტრიანაპოლი, ესტაფი, ტრიანდაფილე...** ქალის სახელებში კი ჭარბობს: **მარიამი, ეფიშია, ემორფილე, მორფილი, ევრიკლი, ელენე, ანთიგონა (ანთილონა), მარინა, ანგელინა, არლირო, სოფიო, ზინა, ქსენია, მარგარიტა, ოლლა...** როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა საკუთარ სახელდებებში ქართული და, ბუნებრივია, რუსული გავლენებიც აშკარად ჩანს. საქართველოს შავიზღვისპირეთში ადამიანის საკუთარ ანდა მეტსახელს ბერძნებში ყველაზე უფრო გავრცელებული შვილის აღმნიშვნელი სუფიქსი – **პულო [poulo]** და სხვა ტიპის ფორმანტებიც ემატებოდა და ამ გზით გვარსახელი წარმოიქმნებოდა. მაგალითად, სუფიქს **პულო**’თი იყო გაფორმებული გვარები: **მავროპულო, ქსანდოპულო, ციროპულო...**[Maupoulo, Xandopoulo, Tsiropoulo...] ტრადიციული ბერძნული სუფიქსების გვერდით კულტურულ-პოლიტიკური გავლენების შედეგად პონტოელ ბერძნებში განსხვავებული ეთნიკური გარემოდან შეთვისებული მათთვის უცხო აფიქსებიც იკვეთება. მათგან, ბერძნებს ოსმალური შინაარსის სუფიქსებიც გააჩნდათ, მაგალითად, – **ოლლი**, მაგრამ ისინი ქრისტიანულ მრწამს მაინც ინარჩუნებდნენ. გვარში სუფიქსური რეალობა ისტორიული რეალობებიდან გამომდინარეობდა. ჩაკალოვები, იგივე, ჩაკალიდები ადრე ჩაკალ-ოლლის გვარსახელსაც ატარებდნენ, რაც ბუნებრივია ოსმალური სამყაროს გავლენა იყო. უფრო გვიან მათ გვარსახელებში რუსული წარმომავლობის ფორმანტებიც სეიჭრა, ისეტები, ვთქვათ, როგორებიცაა – **ოვ’ი** და – **იევ’ი**.

პონტოელ ბერძენთა დასახლებებში რძლების არსებობა სახლეულისა და გვარის წევრებს შორის მოყვრობით ურთიერთობებს წარმოქმნიდა. მოყვრებს **სიმბეტერი [sumpeqero~]** ეწოდებოდა.

ნათესაობის სისტემაში უმნიშვნელოვანესი რგოლი ხელოვნური ნათესაობა იყო. ცნობილი იყო ხელოვნური დანათესავების რამდენიმე ფორმა, რომელთაგან ყველაზე უფრო რძით დანათესავება და შვილად აყვანის ჩვეულება იყო გავრცელებული. უშვილო ოჯახს შვილად ბავშვი პატარაობიდანვე უპირველესად სანათესაოს – ძმისშვილისა და დისშვილის წრიდან აჰყავდა. მაგალითად, კვირიკეში კუკური მმურადოვსა და ანიკო ნიკოლეიშვილს ასე ჰყავდა აღზრდილი ის შვილობილი, რომელსა მცირეწლოვან ასაკში მშობლები – ჯერ დედა, ხოლო შემდეგ მამა გარდაეცვალა. ერთმა რესპოდენტმა მოგვითხრო, რომ იგი სრულწლოვან ასაკში ბიძას უშვილებია, რომელიც ფელდშერი იყო. შვილები არ ჰყავდა და ძმისშვილის აღზრდა გადაუნყვეტია. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ შვილობილს სამედიცინო განათლების მიღებაშიც დახმარებია. ამასობაში მეორე მსოფლიო

ომი დანყებულა. შვილობილს სამხედრო ჰოსპიტალში დაუნყია მუშაობა, ომის დასრულების შემდეგ კი თავის ქალაქს დაბრუნებია. ბიძას იგი მამად მიიჩნევდა.

ნათესაობის სისტემის სფეროში საკუთრივ ნათესაობის ტერმინოლოგიის შეკრება სხვა მიზეზების გამოც ძნელდება, მაგრამ იმდენად დიდია ნათესაობის ტერმინთა ფიქსაციის მნიშვნელობა და მათი შეპირისპირებითი დახასიათება, რომ სავსე პირობებში ყველა წინააღმდეგობა დაძლევადი ხდება. როგორც ცნობილია, ნათესაობის ტერმინოლოგია შედარებით ადრეული პერიოდის სოციალური ინსტიტუტების რეკონსტრუქციის საქმეში უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს, ამასთან, იგი თანამედროვე საზიგადოებრივ ცხოვრებაზეც ფაქიზად რეაგირებს. სრულყოფილი იდეალური ტერმინოლოგიური მოდელის შექმნა მასალის ველზე დადგენის სიზუსტეზეა დამოკიდებული. ამდენად, საკითხი სწორ მეთოდურ და მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვს. ამიტომაც იყო, რომ სოციოკულტურულ ანთროპოლოგიასა და ეთნოლოგიაში ნათესაობის სისტემის მეთოდის შესწავლისადმი ინტერესი ყოველდღიურად იზრდებოდა. ეს განპირობებული იყო იმის თვლებით, რასაც მკვლევარი აწყდებოდა პირველადი მასალის ფიქსაციის, ხოლო შემდეგ მისი კლასიფიკაციისა და დამუშავების პროცესში. ტერმინთა არასწორ ჩანერას სისტემის ელემენტთა სტრუქტურული ურთიერთკავშირის რღვევა თან სდევს, რასაც სისტემის ნაწილობრივ ანდა მთლიან დამახინჯებამდე მიყვავართ. მასალის ფიქსაციისას დაშვებულმა უზუსტობებმა შესაძლებელია მკვლევარს ტერმინოლოგიური სქემის აღდგენისას არასასურველი ბაზა მოუმზადოს. ასეთი შედეგი კანონზომიერი იქნება, რადგან ნათესაობის ტერმინები ისე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ სისტემიდან თუნდაც ერთი ელემენტის ამოვარდნა ზოგადად მთლიანი სტრუქტურული მოდელის დეფორმაციას განაპირობებს (Членов, 1973:146). ტერმინთა მნიშვნელობის დადგენისა და შინაგანი დეტერმინანტების გამოვლენისას მეთოდური მიდგომა არაა უბრალოდ ტექნიკური მხარე. მას ნათესაობის სისტემაში მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც მსოფლიოს ხალხთა ნათესაობის სისტემის შესაპირისპირებლად სამეცნიერო ბაზას ქმნის.

სწორედ ამ სირთულეების გამო ი. ვინიკოვი პირველადი მასალის ფიქსაციის მეთოდს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. მისი აზრით, ნათესაობის სისტემის შესწავლა შესაძლებელია სამი გზით: 1. უშუალო დაკვირვებით; 2. გამოკითხვით და 3. ლიტერატურული წყაროებით (Виников, 1936:16-20). გენეალოგიური მეთოდი სოციოკულტურულ ანთროპოლოგიასა და ეთნოლოგიაში დიდი ხნის მანძილზე დომინირებდა და გამოიყენებოდა, როგორც ნათესაობის ტერმინთა კვლევისას, ისე საქორწინო ურთიერთობების, ოჯახის, მატერიალური კულტურისა და ეთნიკური ყოფის სხვა ელემენტთა შესწავლისას. უ. რივერსის მიერ დამუშავებული გენეალოგიური მეთოდი მოსახერხებელი აღმოჩნდა უმწერლებო ხალხების ნათესაობის სისტემის ლოკალურ და ზოგად თავისებურებათა აღსაწერად. ამ მეთოდის პოპულარულობა სავსებით ახსნადია. განსაზღვრულ საზოგადოებრივ წყობაში სოციალურ ჯგუფთა თაობრივი შედგენილობის იერარქიული სტრუქტურა გენეტიკური და ტრადიციულ-ყოფითი ინფორმაციის ტრანსმისიას განაპირობებდა. გენეალოგიური

მეთოდი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ თაობათა შორის კავშირის სპეციფიკასაც. ნათესაობის ტერმინთა შეკრებისა და აღწერის რივერსისეული მეთოდი მართლაც პროდუქტული მეთოდია და სოციალურ (/კულტურულ) ანთროპოლოგიასა და ეთნოლოგიურ მეცნიერებას პრინციპულად დადებითი შედეგებიც მისცა, მაგრამ იგი მაინც არაა სრულყოფილი და დროთა განმავლობაში გამოვლინდა კიდევ მისი სუსტი მხარეები (Токарев, 1952; Бутинов, 1951:20-21). გენეალოგიური მეთოდის სუსტ მხარეებზე საუბარი მეცნიერებმა გასული საუკუნის 50-იან წლებში გააქტიურეს, მაგრამ 70-იან წლებშიც კი ნათესაობის სისტემისა და სოციალური ინსტიტუტების ფორმალური მოდელირების ანთროპოლოგიაში, კერძოდ, სოციოკულტურულ ანთროპოლოგიასა და ეთნოლოგიაში წარმატებით გამოყენების პერიოდში, ზოგიერთი ავტორი მაინც უპირატესობას ანიჭებდა სოციალური კავშირების არსის გამოვლენას იმ დონეზე, რა დონეზეც მათ შეეძლოთ ნათესაობის ტერმინთა სისტემაში ასახულიყვნენ (იხ.: Гиренко, 1982:49).

გლობალური ფაქტობრივი მასალის დაგროვების პროცესში მეცნიერები ტრადიციული მეთოდის ახლით შეცვლის აუცილებლობის წინაშე დადგნენ. პრობლემამ ისეთი მეთოდის შექმნა მოითხოვა, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ დონეს შედარებით ადეკვატურად ასახავდა. ახალი, ე. წ. ფორმალური მეთოდი ნათესაობის ტერმინთა სისტემის, როგორც ერთიანი სოციალური კომპლექსის შესწავლას ითვალისწინებს, რაც ცალკეული ტერმინის შინაგანი ცვლილებების კვლევასა და სრულყოფილად აღწერას კომპონენტების განხილვას გულისხმობს. ნათესაობის ტერმინთა ნებისმიერი სისტემა ესაა ურთიერთდაკავშირებული სემიოტიკური ნიშნების ერთობლიობა (Членов, 1973:146). ამ განმარტებაში იგულისხმება ის, რომ თითოეული ტერმინი სემანტიკურად, როგორც აღმნიშვნელს, ისე აღსანიშნავს შეიცავს. პირველი ნიშნავს ბგერით სუბსტანციას, ხოლო მეორე – ტერმინში კოდირებულ ნათესაურ ურთიერთობებს (დანვრ. იხ.: Мгелაძე, 1992; მგელაძე, 2010; მგელაძე, 2016:157-164). სიმბოლურ, უფრო ზუსტად, კვლევის „სიმბოლურ ენაზე“ გადასვლა სისტემური ანალიზის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, თუმცა ნათესაობა მხოლოდ ნიშან-სიტყვათა ერთობლიობაზე არ დაიყვანება. ფორმალური მეთოდებით პრობლემების კვლევისას, ჩვეულებრივ, ნათესაობა სიმბოლოებითა და იდიომებითაა გამოხატული და სწორედ ესაა მისი ანალიზის ობიექტი. ამდენად, იგი გაცილებით ფართო მნიშვნელობას იძენს: ენა, როგორც სიმბოლოთა სისტემა ფონეტიკურ და ფონემურ საფუძველზეა აგებული, ხოლო სიმბოლოთა სისტემაში ნათესაობა სისხლით და მოყვრობითი, ე. ი. სოციალური ურთიერთობების ელემენტებს ეყრდნობა (ფაბლანი, 1965). ჩვეულებრივ, ფორმალური მეთოდის სპეციფიკა აბსტრაქციულ ფონზე და ერთიანი მეტაენის საფუძველზე კოდების – ინდექსების შექმნას მოითხოვს, რომლებიც ბიოლოგიურ და სოციალურ ნათესაობას შორის არსებულ ზღვარს ავლენს. იგი საშუალებას იძლევა ამ სისტემების მსგავსი და განსხვავებული ნიშნები განვსაზღვროთ, რაც სხვადასხვა ხალხთა ნათესაობის სტრუქტურების შედარებითი შესწავლისათვის საჭირო სამეცნიერო ფუნდამენტს აყალიბებს. კოდირებული ტერმინების საფუძველზე ამ კატეგორიების დიფერენციული ცვლადები, დენოტატები და დეზიგნატები დგინდება, რომლებითაც მოცემული ნათესაობითი ურთიერთობების

სოციალური ფუნქცია ირკვევა. ფორმალური მოდელირების პრობლემის დამუშავებაში დიდი წვლილი ამერიკელმა მეცნიერებმა შეიტანეს. უკვე გასული საუკუნის 50-იან წლებში გ. გუდენაფმა და ფ. ლაუნსბერიმ კომპონენტური ანალიზის (**Componential Analysis**) ყველა პრინციპი (**Goodenough, 1956; 1964:221-238; 1964:259-287; 1968:93-124; 1971:251-257; Lounsbury, 1956; 1962; 1965:142-185; 1968:125-148; Scheffler, Lounsbury, 1971**) ჩამოაყალიბეს, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფორმალური ანალიზის პრინციპების განსაზღვრის ცალკეული ცდა ადრეც იყო. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე არაერთხელ ითქვა, რომ ა. კრობერის (1876-1960 წლები) ნაშრომებში, რომლებიც უფრო ადრე ქვეყნდებოდა, ვიდრე უ. გუდენაფის პირველი თხულებები, პრობლემათა ის წრე იყო მოხაზული, რომელიც დღეს ესოდენ მოდური ფორმალურ-კომპონენტური ანალიზის ნიშნებს შეიცავდა (**Fablan, 1965:704**). რუსეთში ამ მხრივ დაკვირვებები ს. ტოკარევის მიერ უკვე გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იყო დანყებული, თუმცა იგი მალევე შეწყდა (**Токарев, 1952:194**).

ფორმალური მიდგომებიდან დღეს ტრანსფორმაციული, შკალოგრამული და კომპონენტური მეთოდები უნდა გამოიყოს. ეს მეთოდები ფორმალურ-სემანტიკური ანალიზის მეთოდების ფორმირების პროცესში უმთავრესად ნათესაობის სისტემის შესწავლის ბაზაზე განვითარდა. კოგნიტიური ანთროპოლოგიის ისე, როგორც კომპონენტური ანალიზის მეთოდს საფუძვლად სტრუქტურული ლინგვისტიკის, კერძოდ, ლინგვისტური სტრუქტურალიზმის და ფსიქოლინგვისტიკის ის თეორიული მონაცემები დაედო, რომლებიც სოციოლინგვისტური და ეთნოლინგვისტური დაკვირვებების შედეგადაც შემეცნების ზოგად თეორიათა წარმოშობის საფუძვლად იქცნენ.

კომპონენტური ანალიზის მეთოდით სხვადასხვა პროცედურები ხუთი თანმიმდევრული ოპერაციით (**კრიუკოვი, 1972; 1983**) გასული საუკუნის 70-იან წლებში, მაგალითად, რუსეთში ი. ლევინის მიერ დამუშავებულ კოდურ სისტემაზე აიგო. მეთოდი დასაშვებია ლათინურ თუ ინგლისურენოვან, შესაძლოა, რუსული ანბანში კოდებით გამოხატული ბიოსოციალური მატრიცის უმთავრეს ელემენტებს შეიცავდეს.⁴⁴ ფორმალური მეთოდების არსს კი – მისი ძირითადი პრინციპები წარმოადგენს, რომლებიც, როგორც ითქვა, რამდენიმე თანმიმდევრულ ანალიტიკურ ოპერაციას მოიცავს. მათგან მნიშვნელოვანია:

1. ნათესაობის ტერმინთა სრული სიის შედგენა;
2. ტერმინთა მნიშვნელობის კოდირება;
3. ნათესაობის ტერმინთა დიფერენციული ცვლადების განსაზღვრა: სქესის, თაობათა დონის, ლინეალურობის (პირდაპირი და გვერდითხაზები) დადგენა;

⁴⁴ ნათესაობის ტერმინთა კოდირება ხდება როგორც ინგლისურენოვანი, ისე სხვა რომელიმე ანბანის საფუძველზე. ავიღოთ, ვთქვათ, ინგლისურენოვანი: F – მამა; M – დედა; W – ცოლი, H – ქმარი... რუსეთისა და საქართველოს ეთნოლოგთა დიდი ნაწილის გამოკვლევებში ნათესაობის ტერმინთა ფიქსაციისა და ჩაწერის კომპონენტური მეთოდი ი. ლევინის კოდურ სისტემას ეფუძნება. კოდური სისტემა გამოხატულია ორი სიმბოლური ასოთი: Д – შვილი, Р – მშობელი. ნიშანთა სისტემაში ამ ორი სიმბოლოდან ყველა დანარჩენი კომბინაცია იგება. ი. ლევინმა სპეციალურ ლიტერატურაში დამატებით სქესის გამოხატველი ინდექსი მ და ж შემოიტანა. ამის გათვალისწინებით კოდს ინდექსის ნიშანი ემატება და ვლგებულობთ: РmP – მამა, PжP – დედა, Pm – მამა, Pж – დედა... (**Левин, 1970:18-30**).

ტაბულა I. ძველი ფოტოები საოჯახო ალბომებიდან



სურ. 001. საფო ჩილინგარიდი. ბათუმი, 1915 წ.

* გამოყენებულია ფოტოები ანასტას სტავრიანიდისის, იოსებ ვენეტიკიდის, ნიკოლოზ მაზმანიდის, მარია მოროზოვას, ჟანა ქსანტინიდის, პენელოპე მალკოციდის, მარია სტილიდის, ხრისტო ქსანდოპულოს და სხვათა ფოტოკოლექციებიდან.



სურ. 002. ბათუმი, 1917 წ. ივანე
პახატურიდი, მარია კაპიდი და
ალექსანდრა ბაირამიდი
(პახატურიდი)



სურ. 003. ბათუმი, 1915 წ. ალექსანდრა
ბაირამიდი (პახატურიდი), იანის პახატურიდი,
ოლგა მავიდი (პახატურიდი) და მარია
პახატურიდი (კაპიდი)



სურ. 004. ბათუმი, 1926 წ. სოფია
ანტონიანი (მარჯვნივ) მეგობართან
(მარია)



სურ. 005. ბათუმი, 1922 წ. დოროთეა
სტავრიანიდი, ელენა აპოსტოლიდი და სოფია
სტავრიანიდი



სურ. 006. ბათუმი, 1920 წ.



სურ. 007. ბათუმი, 1890 წ.
იორდან ნიკოლოზის ძე მეტაქსა და
ათინა დიამანტიდი



სურ. 008. იორდან ნიკოლოზის ძე
მეტაქსა,
1912 წ (?)



სურ. 009. ბათუმი, 1912 წ. გიორგი თეოფილაქტეს ძე კოტიდი




სურ. 010. ბათუმი-ახალშენი, 1951-1952 წ. სტავროს მუტასი



სურ. 011. ბათუმი-ახალშენი, 1958 წ. ძმები ანდრეადები: პანაიოტი, ანტონი და ანდრეი



სურ. 012. იოსებ ვენეტიკიდის საოჯახო ალბომიდან



სურ. 013. აბრაამ გრამატიკოპულო, სანტა,
1901 წ. ნიკოლოზ მაზმანიდის საოჯახო
ალბომიდან



სურ. 014. ბათუმი, 1905 წ. (?),
გიორგი ეფრემიდი



სურ. 015. ილია სტილიდი,
სოფ. დაგვა, 1940-იანი წლები



სურ. 016. ბათუმი, 1929 წ.
სხედან: არისტის კუტიდი და
დიმიტრი მაზმანიდი,
დგანან: ოლგა სპირანდი,
იანგოს სპირანდი და
ევრიდიკა აბრაამის ასული
გრამატიკოპულო



სურ. 017. ბათუმი, 1915 წ. ნიკოლოზ
პარასკევოპული (რეპრესირებული 1949 წ.)



სურ. 018. ბათუმი, 1915 წ. (?),
თეოფილაქტე კოტიდი



სურ. 019. ანგელინა ამირიდი, 1937 წ.



სურ. 020. ერმოფილი ვენეტიკიდი



სურ. 021. ბათუმი, 1910 წ. (?),
სოფია მურატიდი.
გადასახლეს 1949 წელს



სურ. 022. ბათუმი, 1925 წ. ფოკასები:
ხარლამპი, ევკლიდი, ათინა და ერმოფილი,
რეპრესირებულები ყაზახეთში 1949 წელს



სურ. 023. ბათუმი, 1928 წ. სოფია ანტონიადი მეგობართან (მარია) ერთად



სურ. 024. ერმოფილი ვენეტიკიდი (მარცხნივ)



სურ. 025. ბათუმი-ახალშენი, 1930 წ. (?), ელენა, მარია და პინელოპა კერიდები



სურ. 026. ბათუმი, 1930-იანი წლები, ხარიკლი მუტას და ბერძენი ქალები, მატვეი ლაზარიდის სიმეზიანი ორკესტრის წევრები ჭიათურიდან



სურ. 027. ბათუმი-ახალშენი, 1930 წ. დები სტავრიანიდები: ათინა, ევროსინია და პინელოპა



სურ. 028. ბათუმი, ვასილიკი სიდიროპულო (ლაზარიდი) და სიმელა პეტრიდი (სავულიდი), გადასახლებამდე – 1949 წლამდე



სურ. 029. ვარვარა სტილიდი (ცენტრში), ჭრა-კერვის მასწავლებელი დაგვაში, ბერძენ მოსწავლეებთან ერთად



სურ. 030. ბათუმი, 1932 წ. ჭრა-კერვის კურსები



სურ. 031. ხულო, 1939 წ. კესიდების ოჯახი



სურ. 032. ბათუმი, 1914 წ. იოსებ ვენეტიკიდის საოჯახო ალბომიდან



სურ. 033. ბათუმი, 1914 წ. იოსებ ვენეტიკიდის საოჯახო ალბომიდან



სურ. 034. 1910 წ. მარჯვენა იოსებ ვენეტიკიდის მამა დემიან ვენეტიკიდი



სურ. 035. ბათუმი-ახალშენი, 1930 წ. (?).
სხედან: ალექსი მუტასი პავლეს ძე
მუტასი, ხარალამპი ეფრემიდი,
დგანან: გიორგი ეფრემიდი და ალექსი
თეოფილაქტეს ძე მუტასი



სურ. 036. ბათუმი, XX ს-ის დასაწყისი, პოლიხრონ პოლიხრონიდი და სტავრო სოხაიდი (რეპრესირებული 1937 წ.)



სურ. 037. ბათუმი, ახალშენი, 1913 წ. ივანე ანასტასიადი (რეპრესირებული 1937 წ.) და იორდან ფალასანიდი (მღვდელი ბათუმის ეკლესიაში)



სურ. 038. ბათუმი, 1920-იანი წლების დასაწყისი, ხარალამპი ფრანგულიდი



სურ. 039. ბათუმი, 1926 წ, დიმიტრი მიხაილიდი – ბერძნული სკოლის მასწავლებელი და მეუღლე მარია კარსანიდი (რეპრესირებულები)



სურ. 040. ხრისტო ქსანდოპულო და ხრისტულა როდოპულო (ქსანდოპულო) ხრისტო ქსანდოპულოს ბებია და ბაბუა



სურ. 041. ილია ქსანდოპულო და ქსენია ცაცანიდი (ქსანდოპულო), ხრისტო ქსანდოპულოს მშობლები



სურ. 042. ძმები გიორგი და ხრისტო ქსანდოპულოები



სურ. 043. ბათუმი, 1920-იანი წლების დასაწყისი, სოკრატ ბაირამიდი მეულლესთან – ალექსანდრა პახატურიდისთან ერთად



სურ. 044. ბათუმი, 1910 წ. პანაიოტი კალაიჯოლი, მისი ქალიშვილი სოფია ოჯახის წევრებთან ერთად



სურ. 045. ბათუმი, 1906 წ. დგანან: სტავრო და ნიკოლოზ პარასკევოპულოები, სხედან: იანის პარასკევოპულო, მისი ქალიშვილი აგლაია, ზოია პარასკევოპულო შვილიშვილ სოფია იოანეს ასულთან და იოანეს მეუღლე ევანთია



სურ. 046. იოსებ ვენეტიკიდის საოჯახო ალბომიდან



სურ. 047. ბათუმი, 1915 წ. (?), პანაიოტ ასლანიდი და მისი დები



სურ. 048. პენელოპე მალკოციდის ოჯახი



სურ. 049. მეტაქსას სახლში, ჩაისუბანი (ყოროლისთავი)



სურ. 050. ბათუმი, 1930 წ. ჩაკურიდების ოჯახი, ირინა ჩაკურიდი-საფრაკიდი, ანნა ჩაკურიდი, ხრისტო ჩაკურიდი და სტავრო ჩაკურიდი. ოჯახი 1949 წელს გადაასახლეს ყაზახეთში



სურ. 051. ბათუმი-ახალშენი, 1940 წ. დგას ანასტასია (?), მუტას (ქსანთოპული) ელპიდა და მისი შვილები: იაკობი და თეოფილე



სურ. 052. ბათუმი, 1930-იანი წლები, ისააკ ვერენიდი, მეუღლე ეფიგია კირიაკიდი და შვილები კამო, კოსტია და ვლადიმერი



სურ. 053. ბათუმი-ახალშენი, 1905 წ. კირიაკი კიდონიდი (ჩილიკიდი), აფროდიტა კიდონიდი და ივანე კიდონიდი (შემდგომში ცნობილი მასწავლებელი)



სურ. 054. ბათუმი, 1931 წ. ნიკოლოზ პარასკევოპული, მისი მეუღლე ათინა კესოლი, შვილები ანასტასია და ევგენი. რეპრესირებული ოჯახი 1938-1948 წლებში



სურ. 055. ბათუმი, 1946 წ. ანასტასია გრიგორიანი
(რეპრესირებული 1949 წ. ყაზახეთში)



სურ. 056. ერმოფილი ვენეტიკიდი



სურ. 057. თეოფილაქტე კოტიდი და
მეუღლე ალექსანდრა პარასკევოპულო



სურ. 058. ახალშენი, 1935 წ. თეოფილე მაკრიდისა და კირიაკი აივაზიდის ოჯახი, 1939 წელს გადასახლდნენ საბერძნეთში



სურ. 059. ბათუმი, 1890 წ. სოფ. ყოროლისთავი, ქოგრიტით ხელში თეოფილაქტე კოტიდი



სურ. 060. ბათუმი, 1949 წ.
ქემენჩე (ლირა)



სურ. 061. ახალშენი 1938 წლამდე. მარია
თეოფანიდი, ელენა ჩილიკიდი, ზოია
კუციდი, ალექსანდრა თეოფანიდი (ყველა
გადასახლებულია 1939-1949 წლებში)



სურ. 062. ორთაბათუმი, 1946 წ.



სურ. 063. დაგვა, 1957 წ.



სურ. 064. ბერძენი მეჩაიეები. ჩაქვის საუფლისწულო მამული.
პროგუდინ-გორსკის ფოტო, 1905-1915 წლები

4. მაკავშირებელ ნათესავთა გარკვევა;

5. ტერმინთა შორის იმ სემანტიკური კავშირის გამოვლენა, რომელიც საყრდენს ქმნის სისტემის სტრუქტურული პრინციპების და ხასიათებისათვის და სხვა მრავალი.

ფორმალური, კერძოდ, ნათესაობის ტერმინოლოგიური სისტემის კომპონენტური ანალიზის მეთოდით, რომელიც რამდენიმე თანმიმდევრული პროცედურისაგან შედგება და ტერმინთა კოდირების პრინციპს ეყრდნობა, მოხერხდა არა მარტო პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინთა სიისა და ცხრილის შედგენა, არამედ დიფერენციული ცვლადების, ცნებათა და სოციალურ კატეგორიათა დენოტაციებისა და დეზიგნაციების, ტერმინთა სიგნიფიკაციების დადგენა, რამაც ნათესაობის ტერმინებში მარკირებული ურთიერთობების საზოგადოებრივი ფუნქციებიც განსაზღვრა. ფორმალური – მათემატიკური მეთოდით სტრუქტურათმორისი კომპონენტების გამოყოფა, ნათესაური სქემის სტრუქტურული აგებულებისა და მისი პრინციპების ამოხსნა, საბოლოო ჯამში, ზოგად პარადიგმაზე თაობების მიხედვით პონტოელი ბერძენების ნათესაობის ცალკეული ტიპის გამოყოფისა და ბერძნული სამყაროს სხვა ლინგვისტურ ჯგუფებთან მათი შედარების, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე დადგენილი ნათესაობის ტერმინთა ტიპის ადგილისა და როლის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს.

პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინოლოგია აჭარაში		
№	კოდი	ნათესაობის ტერმინი
1	FPP (P_MPP)	Parapus/liko papus [parappou~/lukopappou~](პარაპუს/ლიკო პაპუს) – დიდი ბაბუა
2	MPP (P_ЖPP)	Liko ia-ia [lukogiagia](ლიკო ია-ია) – დიდი ბებია
3	FP (P_MP)	Papu/papule [pappou, pappouli] (პაპუ/პაპული) – ბაბუა
4	MF (P_ЖP)	Ia-ia [giagia] (ია-ია) – ბებია
5	M (P_Ж)	Mitera [Mhtera] (მიტერა) – დედა
6	F (P_M)	Petera/φeteros [peqera/peqero~] (პეტერა/ფეტეროს) – მამა
7	BF (D_MPP_M) BM (D_MPP)	Φios (ფიოს) –[qeio~] მამისა და დედის ძმა
8	BM (D_MPP_Ж)	Miteras adelφo (მიტერას ადელფო) – [mhtera~ adelfo] დედის ძმა
9	MF (D_ЖPP_Ж) SM (D_ЖPP_M) VBM+F(C_ЖD_MPP)	Φia (ფია) –[qeia] მამიდა, დეიდა, ბიცოლა

10	SM (ДжРРж)	Miteras adelphi (მიტერას ადელფი) – [mhtera~ adel fh] დედა
11	HSP	ჯუმადია
12	F (PM)	Patera/peteros/papa (პატერა/პეტეროს/პაპა) – [patera] მამა.
13	M (Pж)	Mitera (მიტერა) – [mhtera] დედა
14	B(ДМР)	adelphos (ადელლოს) – [adel for~] ძმა
15	S (ДжР)	adelphi (ადელი) – [adel fh] და
16	ŠBF (ДДРР) ŠSF ŠBM	Adelphi pede/adelphi pedia (ადელლო პედე/ადელლო პედია) – [adel fopaid/adel fopaidia] ბიძაშვილი, დედაშვილი, მამიდაშვილი
17	HSP (СМДжРС) HS (СМДж) HD СМ(ДжР)	Gambaros/gambros (ღამბაროს /ღამბროს) – [gampro~] სიძე
18	VSP (СжДМРР) VS (СжДМ) VD (СжДМ)	nife (ნიე) – [nu fh] რძალი
19	H (СМ)	Sizigos/andras (სიზიგოს/ანდრას) – [suzugo~/andra~] ქმარი
20	V (Сж)	Inekam/ineka (ინეკამ/ინეკა) –[gunaika/garin] ცოლი
21	H+V (C)	Androina (ანდროინა) – [androguno] ცოლ-ქმარი
22	MH+V (РжСж) MH (РжСж)	pepera (პეპერა) – [pepera] სიდედრი, დედამთილი
23	FV (PMСМ) FH ((PMСМ)	peperos (პეპეროს) – [pepero~] სიმამრი, მამამთილი
24	SH (ДжРСМ)	Sizigos adelphi (სიზიგოს ადელი) – [suzugo~ adel fh/antrae ftsa] მუელი
25	BH (ДМРСМ)	Sizigos adelphos (სიზიგოს ადელლოს) – [suzugo~ adel for~/andrae fo~] მამაზლი
26	BV (ДМРСж)	Inekasadelphos/inakaadlos (ინეკას ადელლოს /ინაკაადელლოს) – [gunaika~ adel for~/gunaikadel for~/garisim adel for~] ცოლის ძმა
27	SV (ДжРСж)	inekasiadelphosi/inakaadelphe (ინეკასი ადელლოსი/ინაკაადელლე) – [gunaika~ adel fh/gunaikadel fh/garisim adel fh] ცოლის და
28	HS+ HS (СМДжРСж)	Patsaneke (პანანეკე) – დის ქმარი
29	VB+VB (СжДМРСМ)	Nifades/siniveca (ნიფადეს/სინივეცა) – შილი

30	Š (Д)	Bevin/pulo/pedia/di (ბევინ/პულო/პედია/დი) – შვილი
31	ŠB (ДДЖР(ŠS))	Tis aderpos topedi (ტის ადერროს ტოპედი) – [ti- adelfo- to paidi]
32	ŠS ДДЖР	Ta aderpos topedi (ტა ადერროს ტოპედი)[ta adelfo- to paidi] – მაზლიშვილი, მულიშვილი
33	ŠŠ (ДД)	Tiperman/toperman/engonag/engonos (ტიპერმენ (ტოპერენ)/ენგონაგ (ენგონოს) – შვილიშვილი

საერთოდ, ნათესაობის ტერმინთა სისტემის შინაგანი თვითგანვითარების ზოგადი კანონ-ზომიერების დადგენა ცალკეული კატეგორიის დეზიგნატებისა და დენოტატების ამოხსნას, ასევე, მათ შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრას უშუალოდ მოითხოვს. ამიტომ, ნათესაობის ტერმინთა ფორმალიზაცია დიფერენციალური ცვლადების (სქესი, თაობრივი დონე, ლინეალობა...) ზოგადი კომპონენტების დადგენის გზითაც ხორციელდება. პონტოელ ბერძენთა ნათესაობის სისტემის შესასწავლად საკმარის პირობად ჩავთვალეთ დიფერენციალური ცვლადების ქვემოთ მოტანილი კომპონენტების გამოყენება, რომლებიც სხვადასხვა საფეხურეობრივი დონეებითაა წარმოდგენილი:

1. **A – alter-ის სქესი:** A_1 – მამაკაცი; A_2 – დედაკაცი, **A** – სქესი გამოყოფილი არაა;
2. **Б – ნათესაურ კავშირთა ხასიათი:** B_1 – სისხლით ნათესაობა, B_2 – მოყვრობითი ურთიერთობები;
3. **B – alter-ის თაობა:** $B=+3$; $B_1=+2$; $B_2=+1$; $B_3=0$; $B_4=-1$; $B_5=-2$;
4. **C – ლინეალობა:** C_1 – პირდაპირი ხაზი, C_2 – პირველი გვერდითი ხაზი, C_3 – მეორე გვერდითი ხაზი;
5. **Г – მაკავშირებელი ნათესავის სქესი:** Γ_1 – მამაკაცი, Γ_2 – დედაკაცი; **Г** – არადიფერენცირებული სქესი;
6. **Д – ნათესაობის ლინეალობა:** D_1 – მამის ხაზი, D_2 – დედის ხაზი;
7. **E – ego-ს სქესი:** E_1 – მამაკაცი, E_2 – დედაკაცი;
8. **Ж – alter-ის შეფარდებითი ასაკი:** \mathcal{J}_1 – შეფარდებითი ასაკი რელევანტურია, \mathcal{J}_2 – შეფარდებითი ასაკი არარელევანტურია;
9. **3 – ტერმინების ლინგვისტური დონე:** \mathfrak{Z}_1 – ელემენტარული ტერმინები, \mathfrak{Z}_2 – შედგენილი ტერმინები, \mathfrak{Z}_3 – აღწერილობითი ტერმინები;
10. **И – ტერმინის სოციალური განზომილება:** \mathcal{I}_1 – ინდივიდუალური ტერმინი, \mathcal{I}_2 – ჯგუფური ტერმინი, \mathcal{I}_3 – კლასიფიკატორული ტერმინი.

პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინოლოგიის დიფერენციალური ცვლადები და და მათი სემანტიკური კომბინაციები

№	ნათესაობის ტერმინი	კოდი	დიფერენციალური ცვლადები
1	პარაპუს (ლიკო პაპუს)	P _M PP (FPP)	A ₁ B ₁ BC ₁ Γ ₁ Δ ₁ ΕЖ ₁ З ₂ И ₃
2	ლიკო ია-ია	P _Ж PP (MPP)	A ₂ B ₁ BC ₁ ΓДЕЖ ₁ З ₂ И ₃
3	პაპუ (პაპული)	P _M P (FP)	A ₁ B ₁ B ₁ C ₁ ΓДЕЖ ₁ З ₁ И ₃
4	ია-ია	P _Ж P (MP)	A ₂ B ₁ B ₁ C ₁ ΓДЕЖ ₁ З ₁ И ₃
9	ფიოს	ДД _M PP (BP)	A ₁ B ₁ B ₂ C ₂ ΓДЕЖ ₁ З ₁ И ₃
10	პეტერას (ფეთერუს)ადელფო	Д _M PP _M (BF)	A ₁ B ₁ B ₂ C ₂ Γ ₂ Δ ₁ ΕЖ ₁ З ₃ И ₂
11	მიტერას ადელფო	Д _M PP (BM)	A ₁ B ₁ B ₂ C ₂ Γ ₁ Δ ₁ ΕЖ ₁ З ₃ И ₂
13	ფია	Д _Ж PPP, С _Ж Д _M PPP (SF, PBV)	A ₂ B ₁ B ₂ C ₂ Γ ₂ Δ ₂ ΕЖ ₁ З ₁ И ₂
14	მიტერას ადელფი	Д _M PP _Ж (SM)	A ₁ B ₁ B ₂ C ₂ Γ ₂ Δ ₂ ΕЖ ₁ З ₃ И ₂
15	მიტერა	P _Ж (M)	A ₂ B ₁ B ₂ C ₁ Γ ₂ Δ ₂ ΕЖ ₁ З ₁ И ₁
	პეტერა (ფეთერუს)	P _M (F)	A ₁ B ₁ B ₂ C ₁ Δ ₁ ΕЖ ₁ З ₁ И ₁
16	ადელლოს	Д _M P (B)	A ₁ B ₁ B ₃ C ₂ Δ ₁ ΕЖ ₂ З ₁ И ₂
17	ადელლი	Д _Ж P (S)	A ₂ B ₁ B ₃ C ₂ Δ ₁ ΕЖ ₂ З ₁ И ₂
18	ადელლო პედე (ადელლო პედია)	ДД _{PP} _M (SSBP)	AB ₁ BC ₂ Γ ₁ ДЕЖ ₂ З ₃ И ₃
22	ლამბაროს (ლამბროს)	С _M Д _Ж PP (HSP) С _M Д _Ж P (HS) С _M Д _Ж (HD)	A ₁ B ₂ BΓΕЖЗ ₁ И ₃
23	ნიფე	С _Ж Д _M PP (HSP) С _Ж Д _M P (HS) С _Ж Д _M (HD)	A ₁ B ₂ BΓΕЖЗ ₁ И ₃
28	სიზიხოს (ანდრას)	С _M (H)	A ₁ B ₃ E ₂ ЖЗ ₁ И ₁
29	ინეკამ (ინეკა)	С _Ж (V)	A ₂ B ₃ E ₁ ЖЗ ₁ И ₁
30	ანდროინა	С (VH)	A ₁ B ₃ E ЖЗ ₁ И ₂
31	პეეერა	P _Ж C (MV+H)	A ₂ B ₂ B ₂ ΓДЕЖ ₁ З ₁ И ₃
33	პეეეროს	P _M C (FV+H)	A ₁ B ₂ B ₂ Γ ₁ Δ ₁ ΕЖ ₂ З ₁ И ₃
34	სიმპეტურ	P _M C (F+MV+H)	AB ₂ B ₂ ΓΕЖ ₂ З ₁ И ₃

34	სიზილოს ადელლი	ДЖРСМ (SH)	$A_2B_2B_3\Gamma_2E_2Ж_2З_3И_2$
37	სიზილოს ადელლოს	ДМРСМ (BH)	$A_1B_2B_3\Gamma_2E_2З_3И_2$
38	ინეკას ადელლოს (ინაკადელლოს)	ДМРСЖ (BV)	$A_1B_2B_3\Gamma_1E_1Ж_2З_3И_2$
39	ინეკასი ადელლოსი (ინაკადელლე)	ДЖРСЖ (SV)	$A_2B_2B_3\Gamma_2E_1Ж_2З_3И_2$
40	პანანეკე	СЖДМРСМ (HS+ HS)	$A_1B_3\Gamma_1EЖ_2З_1И_2$
41	ნიიადე (სინივეცა)	СЖДМРСМ (VB+VB)	$A_2B_3\Gamma EЖ_1З_1И_2$
42	ბევენ/პულო/პედია/დი	Д (S)	$AB_1B_4C_1D_1EЖ_1З_1И_2$
43	იოს	ДМ (S)	$A_1B_1B_4C_1D_1EЖ_1З_1И_2$
44	თელატერა (კორინ)	ДЖ (D)	$A_2B_1B_4C_1D_1EЖ_1З_1И_2$
43	ტა ადერფოს ტოპედი	ДДМР (ŠB)	$A_1B_1B_4C_1\Gamma_1D_1EЖ_1З_1И_2$
44	ტის ადერფის ტოპედი	ДЖДР (ŠS)	$A_2B_1B_4C_2\Gamma_2D_1EЖ_1З_2И_2$
46	ტიპერმენ (ტოპერმან)/ენგონაგ (ენ-გონოს)	ДД (ŠŠ)	$AB_1B_5C_1D_1E\Gamma Ж_1З_1И_2$

აღნიშნული კომბინაციების გარდა, სოციოკულტურულ ანთროპოლოგიაში ნათესაურ კატეგორიათა კომპონენტების გამოხატვის, მათ შორის, დიფერენციული ცვლადების განმსაზღვრელად სხვა ფორმებიც არსებობს. მათ საფუძველზე თანამედროვე ნათესაობის სისტემები აღიწერება. ასეთ გამოკვლევებში კოდირებისათვის ლათინური ასოები, შედარებით ალგებრიზებული ჩანაწერები და სხვა ხერხებიც გამოიყენება, რომელთა დახმარებით ნათესაობის ტერმინები სხვადასხვა დონეზე კომბინირდება. საერთოდ, აბსტრაგირებისათვის თითქმის ყველა ანთროპოლოგის მიერ წინარე საფუძვლების მომზადებისა და განსაზღვრული პროცედურების ჩატარების აუცილებლობა ერთხმადაა აღიარებული. ტ. რ. ტრეიტმანი ახასიათებდა რა ე. წ. „დრავიდულ სისტემას“ თვლიდა, რომ „დრავიდულის“ მეშვეობით შესაძლებელი იყო ამ ტიპის ყველა პრობლემის გადამწყვეტა, თუმცა ამის განხორციელება მოსახერხებელი იყო მხოლოდ განმსაზღვრელი ნიშნების მატარებელ ისეთ სიაზე დაყრდნობით, როგორცაა ტოლობა, მაგალითად, $FB=F$, $MB\neq F$ და სხვა, ანუ ეს იგივეა მოცემული ტიპი პლატონური იდეის გამოხატულებას შევადაროთ. საკუთრივ „დრავიდული სისტემა“ გენეალოგიურ თუ გენეტიკურ კლასს წარმოადგენს, რომლის ნევრებიც ერთმანეთს თაობების მეშვეობით ეთანაფარდებიან. ასე რომ განმსაზღვრელ როლს წარმომავლობა და სისტემის მემკვიდრეობითობა თამაშობდა. ამის საფუძველზე ტ. რ. ტრეიტმანი ასკვნის, რომ სწორედ ამიტომაც საჭირო სხვადასხვა მეთოდი და კომბინაცია, რომლის მიზანია სისტემის ყველა მაგალითის შედარება, რათა შემდგომში დადგენილი თავისებურებების მოდელირება უკეთ განხორციელდეს (Trautmann, 1987). დიფერენციული ცვლადები შეიძლება იმ სახითაც დაფუძნდეს

(მდრ. Goodenough, 1964 1964:264-269, 274-285), როგორც ისინი ვ. არსენევისა და ვ. პოპოვის ნაშრომშია დემონსტრირებული. დიფერენციული ცვლადები შემდეგნაირადაა გადმოცემული:

1. ნათესაურ ურთიერთობათა ხასიათი:

- 1.1. – სისხლითნათესაობა;
- 1.2. მოყვრობითიკავშირები;
- 1.3. – სისხლითნათესავი დაშიდამოყვარე;
- 1.4. – შიდამოყვარე;
- 1.5. – გარემოყვარე;

2. გენეალოგიური თაობა:

- 2.0. + 3 თაობა
- 2.1. +2თაობა;
- 2.2. +1 თაობა;
- 2.3. -0 თაობა;
- 2.4. -1 თაობა;
- 2.5. -2 თაობა;
- 2.6. -3 თაობა;

3. ალტერი-ს სქესი:

- 3.0. – სქესი არაა დიფერენცირებული;
- 3.1. – მამრობითი;
- 3.2. – მდედრობითი;

4. სისხლით ნათესავთა ლატერალურობა:

- 4.1. პატრი-ლატერალურობა;
- 4.2. მატრი-ლატერალურობა;

5. თაობის ფარგლებში ალტერის შეფარდებითი ასაკი:

- 5.1. – უფროსი;
- 5.2. – უმცროსი;

6. კონექტორის სქესი:

- 6.1. – მამრობითი;
- 6.2. – მდედრობითი(იხ.:არსენევი, პოპოვი, 1980:176-177).

ამ ხერხით ანალიზის საილუსტრაციოდ ჩვენ ქვემოთ წარმოგიდგენთ ბერძნულის პონტოური დიალექტის ნათესაობის ტერმინოლოგიას:

პონტოვლ ბერძენთა ნათესაობის ტერმინოლოგია

№	ნათესაობის კლასი	ნათესაობის ხასიათი		თაობრივი გენეალოგია	ალტერის სქესი	ნათესაობის ლატერალურობა	
		სისხლის-მიერი	მოყვრობითი			პატრი	მატრი
1	პარაპუს (ლიკო პაპუს)	1.1	-	2.0	3.1	4	
2	ლიკო ია-ია	1.1	-	2.0	3.2	4	
3	პაპუ (პაპული)	1.1	-	2.1	3.1	4	
4	ია-ია	1.1	-	2.1	3.2	4	
5	ფიოს	1.1	-	2.2	3.0	4.1	
6	პეტერას (ფეთერუს) ადელფო	1.1	-	2.2	3.0	4.1	
6	მიტერას ადელფო	1.1	-	2.2	3.0	4.2	
7	ფია	1.1	-	2.2	3.0	4.0	
8.	მიტერას ადელფი	1.1	-	2.2	3.2	4.2	
9	პატერა (პეთეროს)/პაპა	1.1	-	2.1	3.1	4.1	
10	მიტერა	1.1	-	2.1	3.2	4.2	
11	ადელლოს	1.1	-	2.3	3.1	-	
12	ადელლი	1.1	-	1.1	3.2	-	
13	ადელლო პედე (ადელლო პედია)	1.1	-	1.1	3.0	-	
14	ლამბაროს (ლამბროს)	-	-	2.3, 1.4.	3.0	-	
15	ნიფე	-	-	2.3, 1.4.	3.0	-	
16	სიზილოს (ანდრას)	-	-	2.3	3.2	-	
17	ინეკამ (ინეკა)	-	-	2.3	3.1	-	
18	ანდროინა	-	-	2.3	3.1+3.2	-	

19	პეეერა	-	1.2	2.2	3.2	-
20	პეეეროს	-	1.2	2.2	3.1	-
21	სიმპეტურ	-	1.2	2.2	3	-
22	სიზილოს ადელო	1.2	-	2.3	3.2	-
23	სიზილოს ადელო	-	-	2.3	3.1	-
24	ინეკას ადელო (ინ-აკადელო)	-	1.2	2.3	3.1	-
25	თინეკასი ადელო (ინაკადელე)	-	1.2	2.3	3.2	-
26	პანანეკე	-	1.2	2.3	3.1	-
27	ნიადე (სინივეცა)	-	-	2.3	3.2	-
29	ბეინ (პულო)/პეია (დი)	1.1	-	2.4	3	≠
30	ოს	1.1	-	2.4	3.1	-
31	თელატერა (კორინ)	1.1	-	2.4	3.2	-
32	ტა ადერფოს ტოპედი	1.1	-	2.4	3	-
33	ტის ადერფის ტოპედი	1.1	-	2.4	3	-
34	ტიპერმან (ტოპერმან)/ენგონაგ (ენგონოს)	1.1	-	2.5	3	-

დიფერენციული ცვლადების განსაზღვრის, სოციალური პროცედურებისა და სემანტიკური კომბინაციების საფუძველზე უნდა დადგინდეს პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინოლოგიური მოდელის სტრუქტურული პრინციპი, გაირკვეს ცალკეული ტერმინის ტერმინოლოგიურ ტიპებს შორის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები. მსოფლიოს ხალხთა ტრადიციული სოციალური უჯრედები ნათესაობის რამდენიმე ტიპითაა წარმოდგენილი, მაგრამ ლექსიკურად მათი გამოხატვის საშუალებები – მრავალფეროვანია. ბუნებრივია, სწორედ ესაა მიზეზი ნათესაობის სისტემის ტიპოლოგიზაციის მიზნით მკვლევრებმა ლექსიკურ-ენობრივი მასალის ზუსტი ფიქსაციისა და კლასიფიკაციის განსაკუთრებული მიდგომა რომ დაამუშავეს, რაც, ერთგვარად, გახდა საფუძველი, რათა საკმაოდ მყარ სამეცნიერო საფუძველზე აბსტრაქტულ-ტიპოლოგიური მოდელი ჩამოყალიბდეს.


**პონტოელ ბერძენთა ნათესაობისა და მოყვრობის აღმნიშვნელ
ტერმინთა სისტემის სტრუქტურული პრინციპი**

C1					C2			
A1			A2		A1		A2	
B1			B2		B1		B2	
B	პარაპუს (ლიკო პაპუს)	ლიკო ია- ია	-		პარაპუს (ლიკო პაპუს)		ლიკო ია-ია	
B1	პაპუ (პაპული)	ია-ია	-		პაპუ (პაპული)		ია-ია	
B2	პეტერა	მიტერა	პედეროს	პედერა	Φიოს	-	Φიოს	Φია
			სიმპეტურ		მიტერას ადელფო	მატერას ადელფი	მიტერას ადელფო	
B3 (Ego)	ადელფოს	სიზილოს (ანდრას)	ადელფი	ინეკამ (ინეკა)	ადელფო პედე (ადელფო პედია)			
	ანდროინა				ინეკას ადელფოს	ინეკასი ადელფოსი		
		სიზილოს ადელფოს	სიზილოს ადელფი		პანანეკე	ნიჭადეს (სინივესა)	ნიჭე	
B4	ბევინ/პულო/პედია/დი				ლამბაროს(ლამბროს)			
					ტაადერფოსტოპედი			
					ტისადერფისტოპედი			
	მაზლიშვილი							
	იოს – ვაჟიშვილი	თელატერა (კორინ)		მულიშვილი				
B5	ტიპერმან (ტოპერმან)/ენგონაგ(ენგონეს)							

ამრიგად, პონტოელ ბერძენთა დიფერენციალური ცვლადების სოციალური პროცედურებისა და სემანტიკური კომბინაციების საფუძველზე დადგინდა ნათესაობის ტერმინოლოგიური მოდელის სტრუქტურული პრინციპები, მათი განმასხვავებელი და მსგავსი ნიშნები.

ველზე – ემპირიულ გარემოსა და ყოფაში კონკრეტული გენეალოგიის შედგენა და შემდეგში მათი ანალიზი ნათესაობის სისტემის, უფრო კონკრეტულად, ნათესაობის ტერმინთა სისტემის არსში წვდომაშიც გვეხმარება, რადგან გენეალოგიებში კარგად ჩანს არამარტო თაობათაშორისი ეთნოსოციალური ტრანსფორმაცია, არამედ მეხსიერებაზე დაფუძნებული ტრადიციულ ფასეულობათა ტრანსმისია, ფასეულობებს შორის არსებული მემკვიდრეობითი კავშირი და ნათესავთა შორის არსებული დამოკიდებულებების ამსახველი კულტურული ღირებულებების მატარებელი ნომენკლატურის დინამიკა, რაც მაგალითად, ამა თუ იმ თაობისათვის დამახასიათებელ ცნებებში, მამაკაცისა თუ ქალის საკუთარ სახელებში და სხვა მრავალ ურთგანმაპირობებელ სოციალურ სტერეოტიპებშიც აისახება. განსაზღვრულ ტრადიციულ სოციუმში ნათესაური ურთიერთობების შესწავლა ერთობ რთული საქმეა, მითუმეტეს, როცა პრობლემა განზოგადებას მოითხოვს.

პონტოელ ბერძენთა ნათესაობისა და მოყვრობითი ურთიერთობების
ტერმინოლოგიური მოდელის გენეალოგიური სქემა⁴⁵



45 △ – მამაკაცი; ○ – დედაკაცი; ⊙ – სქესი არაა გამოყოფილი; ----- მამისეული (ნათესაური) და დედისეული საზის წევრები; = საქორწინო კავშირები; Ego – ათვლის წერტილი (სულოვანი თაობა).

ცხრილებიდან და პარადიგმებიდან მკაფიოდ გამოჩნდა პონტოური ბერძნული ნათესაობის ტერმინოლოგიის ძირითადი სტრუქტურული თავისებურებები. ათვლის წერტილად თუ ავიღებთ ნულოვან დონეს: **ego**-ს, მაშინ დავინახავთ, რომ მოდელი ხუთთაობიანი იყო. უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, მაშინ დავინახავთ, რომ სახლთმეურნეობის ტიპის სოციალური ორგანიზაციის ეგოცენტრული სტრუქტურული უჯრედი რეალურად სამ ანდა ხუთ თაობას აერთიანებდა, მაგრამ ნათესავთა ტერმინოლოგიური დიფერენციაცია ძირითადად ხუთ და შვიდ თაობაში აისახებოდა. ამის მიზეზი გენეალოგიური სქემის ეგოცენტრული პრინციპი იყო. მასში ყველა ის სპეციფიკური ურთიერთობები ვლინდებოდა, რომელშიც **ego**-ს პოტენციურად შეეძლო მონაწილეობის მიღება. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხუთთაობიანი გენეალოგიური სქემა სრულიადაც არ გულისხმობს ერთ სოციალურ ორგანიზმში პაპისა და შვილიშვილის ნათესაურ კატეგორიათა თანაარსებობას. ასეთ სტრუქტურაში ნულოვანი თაობა რეალურად არ არსებობს, რადგან იგი ეგოცენტრულ სისტემაში ათვლის წერტილია, რომლიდანაც ეგო ნათესაობის ყველა დანარჩენ უჯრედთან კონკრეტულ ურთიერთობებში იმყოფება (Гиренко, 1974:46). პონტოური ბერძნულის ნათესაობის ტერმინთა სისტემის გარკვეულ თაობებში მამისა და დედის სახეები ლექსიკურად არ იმიჯნებიან, ხოლო სხვებში, პირიქით, ისინი მკვეთრად დიფერენცირებულნი არიან. გენეალოგიურ სტრუქტურაში ასეთი დაყოფის პირობებში დამაკავშირებელი რგოლი როგორც ქალი, ისე მამაკაცი იყო.

ჯორჯ მერდოკი ერთ-ერთი პირველი ანთროპოლოგი იყო, რომელმაც მსოფლიოს ხალხთა სოციალური ორგანიზაციის შედარებითი შესწავლის საფუძველზე შეეცადა სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე არასაკმარისად დასაბუთებული თვალსაზრისები ახლებურად ჩამოეყალიბებინა, რომლებიც ლინგვისტური და სოციალური სტრუქტურის გათვალისწინებით ნათესავთა დაჯგუფების პრინციპებს ეხებოდა. მან ნათესაობის ტერმინთა მისეული კლასიფიკაცია წარმოადგინა. გამოიყენა რა უკვე დამუშავებული ლინგვისტური პროგრამები, ავტორმა ნათესაობის კლასიფიკაციაში ე. წ. ელემენტარული, დერივატიული და დისკრიპციული (აღწერილობითი) კატეგორიები გამოყო და ნათესავთა დაჯგუფების მიხედვით ნათესაობის ორი ტიპი დაადგინა: დენოტატიური და კლასიფიკატორული. ჯორჯ მერდოკის განსაზღვრით, დენოტატიური ტიპი თავის თავში იმ ტერმინებს მოიცავდა, რომლებიც ნათესავებს გარკვეულ კატეგორიებად აერთიანებდა. მასში ჩართული იყო სქესი, თაობრივი საფეხური, გენეალოგიური კავშირები. დენოტატურ ტერმინს შეეძლო ერთი პერსონა გამოეხატა. მაგალითად, ასეთი იყო ინგლისური სიტყვა **Father** – მამა. დენოტატური ტერმინისაგან განსხვავებით კლასიფიკატორული ტერმინი ორ ანდა უფრო მეტ ნათესაურ კატეგორიას მოიცავდა. საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავდა ინგლისური ლექსემა **Grandfather**, რომელიც ერთ სიტყვაში ორ ნათესაურ კატეგორიას: მამის მამას და დედის მამას აერთიანებდა. ჯორჯ მერდოკი ნათესაობის სისტემის მორგანისეულ დაყოფას კლასიფიკატორულად და აღწერილობითად მცდარად მიიჩნევდა (Murdok, 1949:98-100). როგორც ცნობილია, ლუის მორგანი კლასიფიკატორულ სისტემას ადეკვატურად აღიარებდა იმ ეთნოსებისათვის, რომლებიც კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ, ხოლო აღწერილობითს –

ცივილიზებული ხალხებისათვის დამახასიათებლად მიიჩნევა (Morgan, 1934). ჯორჯ მერდოკის თანახმად, აღწერილობითი ტერმინოლოგია დაბალი დონის სოციალურ სტრუქტურებში, ხოლო კლასიფიკატორული ტერმინები – განვითარებულ სისტემებშიც საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა. ელემენტარულ ტერმინთა ჯორჯ მერდოკის მიერ შემოთავაზებული ანალიზი, როგორც თავად ავტორი მიიჩნევა, შეუძლებელია მხოლოდ ნათესაური მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულთა აგებულების საფუძველზე განისაზღვროს. დერივატული ტერმინი ელემენტარულ იმ ტერმინთა ჯგუფს გულისხმობდა, რომელთაც ნათესაობის მნიშვნელობა არ გააჩნდათ (Murdok, 1949:98-100). გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში რუსულ ეთნოლოგიაშიც ნათესაობის ტერმინთა სისტემის კლასიფიკაციის ფორმები კიდევ უფრო დაკონკრეტდა და დაიხვეწა. მიხეილ კრიუკოვი ნათესაობის ტერმინებს ნათესავთა დაჯგუფების პრინციპისა და მათი მორფოლოგიური სტრუქტურის თავისებურებათა საფუძველზე განასხვავებდა. მორფოლოგიურ სტრუქტურაში ავტორი სამ კატეგორიას: ელემენტარულს, შედგენილსა და აღწერილობითს გამოყოფდა. ისინი ამა თუ იმ ენის გრამატიკულ წყობას ასახავდნენ. ნათესავთა დაჯგუფების მიხედვით კი, მიხეილ კრიუკოვი, ასევე, სამ კატეგორიას ადგენდა. ესენი იყო: ინდივიდუალური, ჯგუფური და კლასიფიკატორული ტერმინები. იგი კრიტიკულად აფასებდა რა იმ ავტორებს, რომლებიც ნათესაობის ტერმინთა სისტემის მორგანისეული კლასიფიკაციის რევიზიით იყვნენ დაკავებულნი, ასკვნიდა, რომ თუ ნათესაობის ტერმინთა სისტემის დაყოფის მორგანისეული პრინციპი ორ დიდ კატეგორიად, სადაც კლასიფიკატორული ტერმინები სტადიურად დაპირისპირებული იყო აღწერილობითთან, მცდარია, მაშინ მეორე – ნათესაობის პირდაპირი და კოლატერალური ხაზების შერწყმისა და გამიჯვნის პრინციპი სოციალურ მეცნიერებათა სფეროში შეიძლება არსებით მიღწევად მივიჩნიოთ (Крюков, 1972:36). ნათესაობის ტერმინთა სისტემის კლასიფიკაციის პროცესში გამოიკვეთა მიხეილ კრიუკოვის მიდგომის მრავალი პოზიტიური მხარე. კრიუკოვისეული მიდგომა ნათესაური კატეგორიების შეპირისპირებისა და მათი სემანტიკური, ლინგვისტური და მორფოლოგიური სტრუქტურის ძირითადი თავისებურებების ანალიზისას შედარებით მოსახერხებელი აღმოჩნდა. პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინთა სისტემის განსაზღვრულ თაობებში ყველა ზემოთ მითითებული კატეგორიის არსებობადადასტურდა. ელემენტარული ტერმინი დამოუკიდებელი, ცალკეულ კომპონენტად გაუყოფელი ფორმა იყო. შედგენილ ტერმინს საფუძველად ელემენტარული ტერმინი ედო, რომელიც განსაზღვრული ლექსიკური ერთეულით იყო დეტერმინებული და რომელიც თავისთავად ნათესაობის ელემენტარულ ტერმინსარ წარმოადგენდა. აღწერილობითი ტერმინი იყო ფორმა, რომელიც ორი ანდა მეტი ელემენტარული ტერმინის კომბინაციით იყო მიღებული. ინდივიდუალური ლექსემები მკაცრად განსაზღვრულ პირებს აღნიშნავდნენ, ხოლო ჯგუფური, როგორც წესი, ინდივიდთა იმ ჯგუფს აერთიანებდა, რომლებიც ეგო-სთან ერთ და იმავე ნათესაურ ურთიერთობებში იმყოფებდნენ. კლასიფიკატორული ტერმინი შეიძლება ყოფილიყო, როგორც ელემენტარული, ისე შედგენილი და აღწერილობითი (Крюков, 1973:35). ელემენტარული, შედგენილი, აღწერილობითი (მორფოლოგიური სტრუქტურა), ინდივიდუალური, ჯგუფური და

კლასიფიკატორული (სოციალური დაჯგუფება) ნათესაობის სისტემის ტერმინების თვისობრივი და რაოდენობრივი თანაფარდობა თვალსაჩინოებისათვის სათანადო ტაბულებშია წარმოდგენილი, ხოლო ქვემოთ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ:

1. +3 თაობაში ორი ტერმინი გამოიყოფა: **პარაპუს (ლიკო პაპუს)** და **ლიკო ია-ია**. პირველი დედისა და მამის მშობლების მამის [PmPP (FPP)], ხოლო მეორე – დედისა და მამის მშობლების დედის [PჰPP (MPP)] აღმნიშვნელია. ლინგვისტური განზომილებით ეს ტერმინები შედგენილია, ხოლო დაჯგუფებით – კლასიფიკატორული, რადგან აქ ნათესაობის ორი სხვადასხვა ხაზის გამომხატველი სიტყვა სემანტიკურად ერთმანეთს ერწყმის;

2. +2 თაობაშიც ორი ლექსემა წარმოჩნდება: **პაპუ [პაპული – PmP (FP)]** და **ია-ია [PჰP (MP)]** ანუ **Ego**-ს ბაბუა და ბებია. ესენი ლინგვისტურად ელემენტარულ, ხოლო სოციალურად – კლასიფიკატორულ ტერმინთა რიგს განეკუთვნებიან: +2 თაობაში მამისა და დედის მამის ისე, როგორც დედის ამსახველი ტერმინები ერთმანეთს ერწყმის;

3. +1 თაობაში განმსაზღვრელია დედისა [მიტერა – Pჰ (M)] და მამის [პეტერა (ფეთერუს) – Pჰ (M)] აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც კონკრეტული პერსონების მნიშვნელობებს გადმოგვცემს. ლინგვისტური დონით ისინი ელემენტარულია, ხოლო სოციალური დანიშნულებით – ინდივიდუალური. ამავე თაობაში მონაწილეობს ტერმინები: **ფიოს [DmP (BP)]** – დედისა და მამის ძმა; ლინგვისტურად – ელემენტარული, ხოლო სოციალურად – კლასიფიკატორული; **პეტერას (ფეთერუს) ადელო** – [DmPPm (BF)]: მამის ძმა. იგი ლინგვისტურად – აღწერილობით, ხოლო სოციალური პრინციპით – ჯგუფურ სიტყვათა წრეს მიეკუთვნება ისე, როგორც **მიტერას ადელო [DmPP (BM)]** – დედის ძმა. აქ კარგად ჩანს, რომ +1 თაობის გვერდით ხაზებში ჩვენ გაგვაჩნია, როგორც კლასიფიკატორული, ისე ჯგუფური ტერმინები. ბიძის აღმნიშვნელად ერთროულად გვაქვს, როგორც ერთი ზოგადი სიტყვა (**ფიოს**), ისე მამრობითი სქესის – დედისა და მამის ძმის **მიტერას ადელო**, **პეტერას (ფეთერუს) ადელო** აღმნიშვნელი დიფერენცირებული ლექსიკური ერთეულები. ასეთივე ვითარება გვაქვს ამავე თაობაში მდედრობითი სქესის ინდივიდის მარკირებისათვის, რომელიც სიტყვა **ფია-თია [DჰPPm (SF)]** გამოხატული. იგი ერთროულად მამის დის, დედის დის, მამისა და დედის დის ძმათა ცოლების აღმნიშვნელია. ლინგვისტურად ეს სიტყვა ელემენტარულია, ხოლო სოციალური დაჯგუფების მიხედვით – კლასიფიკატორული. დიფერენცირებული სახით ასევე უნდა გამოიყოს ისეთი ლექსემა როგორცაა **მიტერას ადელი [DჰPPჰ (SM)]** – დეიდა. იგი ენობრივი ნიშნით აღწერილობითი სიტყვაა, ხოლო სოციალური პარამეტრით – ჯგუფური. როგორც პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინთა პარადიგმა გვიჩვენებს, ამ თაობაში ჩვენ სულ ცხრა სიტყვა მოგვეპოვება, რომლებიც ნაწილი ნათესაურ კატეგორიებს პერსონალურად, ხოლო ნაწილი განზოგადოებულად აღნიშნავს. +1 თაობაში განსაკუთრებულ წრეს ქმნის ისეთი ტერმინები, როგორებიცაა **პეფერა** – ქმრისა და ცოლის დედა: სიდედრი, დედათილი და **პეფეროს** – ქმრისა და ცოლის მამა: სიმამრი, მამათილი. ლინგვისტურად ისინი ელემენტარულნი, ხოლო სოციალურად კლასიფიკატორული ტერმინებია;

4. **Ego**-ს თაობა სხვა თაობებთან შედარებით ტერმინოლოგიური სიმრავლითაა გამორჩეული. ამ მხრივაც, პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინოლოგიურ მოდელში ნულოვანი: **ego**-ს თაობის ნათესავთა გამომხატველი სიტყვები განსაკუთრებით საინტერესოა. ეს თაობა ტერმინოლოგიური სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათგან განმსაზღვრელია ისეთი ლექსემები, როგორებიცაა **ადელფოს** [DMP(B)] – ძმა და **ადელფი** [DჰP(S)]. ორივე ელემენტარული და ჯგუფური ტერმინია, ჯგუფური იმიტომ, რომ **ego**-ს შეიძლება ჰყოლოდა როგორც ერთი, ისე რამდენიმე ძმა ანდა და. ამავე თაობაში გვერდითი ხაზებიდან ნაწილდება შემდეგი სიტყვები: **ადელფო პედე** [ადელფო პედია – DDPM (SSBP)], **ლამბაროს** [ლამბროს – SMDPჰჰ (HSP); SMDPჰჰ (HS); SMDP(HD)] – სიძე; მამისა და დედის, დისა და ქალიშვილის ქმარი; **ნიფე** [CჰDMP (HSP); CჰDMP (HS); CჰDმ (HD)] – რძალი; ძმისა და ვაჟიშვილის ცოლი. **ადელფო პედე** [ადელფო პედია – DDPM (SSBP)] ერთდროულად ბიძაშვილის, დეიდაშვილისა და მამიდაშვილის ცნებებს გამოხატავს, ე. ი. ლინგვისტურად იგი შედგენილი სიტყვაა, ხოლო სოციალურად – კლასიფიკატორულ ტერმინთა რიცხვს განეკუთვნება. ასევე, როგორც **ლამბაროს** (ლამბროს), ისე **ნიფე** ლინგვისტურად ელემენტარული სიტყვებია, სოციალურად კი – კლასიფიკატორული. ტერმინი **ლამბაროს** (ლამბროს) როგორც +1 და ნულოვან, ისე -1 თაობაშიც მონაწილეობს, ე. ი. სამ თაობაში, **ნიფე** კი მხოლოდ ორი თაობის – ეგო-სა და -1 თაობის სინამდვილეს ასახავს.

Ego-ს თაობის ცალკეული წრის ტერმინები დაკავშირებულია როგორც ქმრის, ისე ცოლის მხარესთან. მათგან გამოირჩევა: **სიზილოს** [ანდრას – SM(H)], **ინეკამ** [ინეკა – Cჰ (V)], **ანდროინა** [C (VH)], **პეფერა** [PჰC (MV+H)], **პეფეროს** [PმC (FV+H)], **სიზილოს ადელფი** [DჰPCმ (SH)], **სიზილოს ადელფოს** [DმPCმ (BH)], **ინეკას ადელფოს** [ინაკადელფოს – DმPCჰ (SV)], **ინეკასი ადელფოსი** [ინაკადელფე – DჰPCჰ (SV)], **პანანეკე** [CჰDმPCმ (HS+HS)], **ნიფადე** [სინივეცა – CჰDმPCმ (VB+VB)].

სიზილოს (ანდრას) – ქმარი, **ანეკამ** (ინეკა) – ცოლი. ეს ორი ტერმინი ლინგვისტურად ელემენტარულია, სოციალურად კი – ინდივიდუალური, რადგან კონკრეტულად განსაზღვრულ პერსონებს აღნიშნავენ. **ნიფადე** (სინივეცა) – ძმის ცოლები ერთმანეთისათვის: ქართული შილები (შილი – ძმის ცოლი) და **პანანეკე** – დის ქმრები ერთმანეთში: ქართული ქვისლები ლინგვისტური დონით ელემენტარულია, ხოლო სოციალური დაჯგუფებით – კლასიფიკატორული. რაც შეეხება **სიზილოს ადელფი**'ს, იგი ქმრის დას – მულს ნიშნავს, ხოლო **სიზილოს ადელფოს**'ს ქმრის ძმას – მაზლს. **ინეკას ადელფოს**'ს (ინაკადელფოს) კი – ცოლის ძმას ისე, როგორც **ინეკასი ადელფოსი**'ს (ინაკადელფე) – ცოლის დას. ისინი ენობრივი ნიშნის მიხედვით აღწერილობითია, ხოლო სოციალური წყობით – კლასიფიკატორული.

5. -1 თაობაში ძირითადია შვიდი ტერმინი: **ბევინ/პულო/პედია/დი** – [D(Š)] – შვილი, **იოს** – [D(S)] – ვაჟიშვილი, **თელატერა** (კორინ) – [D(D)] ქალიშვილი, **ტა ადერფოს ტოპედი** – DDP (ŠB) – ძმისშვილი და **ტის ადერფოს ტოპედი** – (DჰP(ŠS)) დისშვილი, მაზლიშვილი და მულიშვილი. **ბევინ/პულო/პედია/დი** – ენობრივად ელემენტარული, ხოლო სოციალურად ჯგუფური ტერმინებია ისე, როგორც **იოს** და **თელატერა** (კორინ).

6. -2 თაობაში პონტოურ ბერძნულში ნათესაური კატეგორიის აღმნიშვნელად სულ ერთი სიტყვა გაგვაჩნია – **ტიპერმენ (ტოპერმენ)/ენგონაგ (ენგონოს)**. იგი გაუდიფერენცირებული სქესის შვილიშვილის აღმნიშვნელია – [ΠΠ (ΣΣ)]. ლინგვისტურად ელემენტარული, ხოლო სოციალურად – ჯგუფური ტერმინია.

ამრიგად, ფორმალური, კერძოდ, ნათესაობის ტერმინოლოგიური სისტემის კომპონენტური ანალიზის მეთოდით, რომელიც რამდენიმე თანმიმდევრული პროცედურისაგან შედგება და ტერმინთა კოდირების პრინციპს ეყრდნობა, მოხერხდა არა მარტო პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინთა სიისა და ცხრილის შედგენა, არამედ დიფერენციული ცვლადების, ცნებათა და სოციალურ კატეგორიათა დენოტატებისა და დეზიგნატების, ტერმინთა სიგნიფიკატების დადგენა, რამაც ნათესაობის ტერმინებში მარკირებული ურთიერთობების საზოგადოებრივი ფუნქციებიც განსაზღვრა. ფორმალური – მათემატიკური მეთოდით სტრუქტურათშორისი კომპონენტების გამოყოფა, ნათესაური სქემის სტრუქტურული აგებულებისა და მისი პრინციპების ამოხსნა, რაც, საბოლოო ჯამში, როგორც ზემოთაც ითქვა, ზოგად პარადიგმაზე თაობების მიხედვით პონტოელი ბერძნების ნათესაობის ცალკეული ტიპის გამოყოფისა და ბერძნული სამყაროს სხვა ლინგვისტურ ჯგუფებთან მათი შედარების, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე დადგენილი ნათესაობის ტერმინთა ტიპის ადგილისა და როლის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს. ამდენად, ყველა შემთხვევაში, ფორმალური, მათ შორის, კომპონენტური მეთოდის რამდენიმე საფეხურიანი ოპერაცია, ხელს უწყობს იდეალური მოდელის აგების პროცესს. ფაქტია, რომ ნათესაობის ტერმინთა სისტემის ტიპი მეცნიერული აბსტრაქციაა, არსებითი ნიშნების შესატყვისობით კონსტრუირებული გარკვეული პრინციპების საფუძველზე. ამიტომ, ნათესაობის ტერმინთა სისტემის ყოველი ტიპი, როგორც იდეალური მოდელი, შეიძლება ეტალონად განვიხილოთ, რადგან პონტოელ ბერძენთა შემთხვევაშიც დგინდება ნათესაობის ტერმინთა პარადიგმული თავისებურებები, ტერმინოლოგიური მოდელის სტრუქტურული პრინციპი, რაც ბერძენთა შორის გაფართოებული კვლევების საფუძველზე ტიპოლოგიური სქემის განსაზღვრით დასრულდება. შედარებითი ანალიზის – ტიპოლოგიის ფონზე გაირკვევა პონტოური ბერძნულის ცალკეული ნათესაური ტერმინოლოგიური ტიპის ძირითადი მახასიათებლები და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის საკლასიფიკაციო სისტემაში ნათესაობის მათი ადგილი. გენეალოგიური ხის ეს ფორმაც ნათესაობის ტერმინთა პარადიგმული იერსახისა თუ შიდა აგებულების განსაზღვრის ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა.

თავი II. პონტოელ ბერძენთა მეურნეობა, მატერიალური კულტურა და საზოგადოებრივი ყოფა

§ 4. მეურნეობა და მატერიალური კულტურა

მეურნეობა

ახალი საცხოვრისის ძიებისა თუ არჩევანის შემთხვევაში პონტოელი ბერძენების მხრიდან სამეურნეო პირობების განსაზღვრა ერთ-ერთი არსებითი კრიტერიუმი იყო. ამ მახასიათებელს ადამიანი ყოველთვის გულისყურით ეკიდებოდა და შესაძლებლობის მიხედვით უკეთესი არჩევანის გაკეთებას ცდილობდა. დასახლების სამეურნეო პირობები გეოგრაფიულ გარემოსთან პირდაპირ იყო დაკავშირებული, რომელიც, თავის მხრივ, სამოსახლო ადგილის კონკრეტულ სამეურნეო შესაძლებლობებს განაპირობებდა. ტრადიციულად, ახალი სამოსახლოს შერჩევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას „მზიან ადგილს“, „მზის გულს“, ე. ი. ისეთ ტერიტორიას ანიჭებდნენ, სადაც მზე დღის განმავლობაში დილიდანვე და უფრო დიდხანსაც ანათებდა. ასეთ ადგილზე იტყოდნენ – „ამომავალი მზე უყურებს, მზის გულია, გამომცხვარი ადგილია“.⁴⁶

საცხოვრებლად ვარგისი ადგილის შერჩევის მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელი წყალი იყო. იგი, როგორც სიცოცხლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა და მიწის ნაყოფიერების ძირითადი გარანტი ადამიანისათვის უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო. ემპირიული ცოდნა-გამოცდილება ადამიანს კარნახობდა, რომ მას სამოსახლო წყლის, მდინარის სიახლოვეს ანდა ისეთ ადგილზე აერჩია, სადაც წყლით სარგებლობის უკეთესი საშუალება იქნებოდა. სამოსახლო ადგილის შერჩევის ეს მახასიათებლები ყველა დროისა და ყველა გეოგრაფიული არეალისათვის, ყველა ხალხისა თუ ეთნიკური ჯგუფისათვის, მათ შორის, აჭარაში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობისათვის უნივერსალური იყო.

1878 წლის 13 ივლისის ბერლინის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა კოლა, არტაანი, ოლთისი, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, ლიგანის ხევი, აჭარა, მაჭახელი, ქობულეთი და ბათუმი, ასევე ისტორიული ჭანეთის და ისტორიული სომხეთის ნაწილებიც შეიერთა. ეს მხარეები რუსული ადმინისტრაციული დაყოფით ბათუმისა და ყარსის ოლქებში გაერთიანდა. თავის მხრივ ბათუმის ოლქი, საკუთრივ ბათუმის, აჭარის და ართვინის იმ ოკრუგებს მოიცავდა, რომლებიც უზნებლად (Участок) იყოფოდა. ჩურუქ-სუ ანუ იგივე კინტრიშის უბანი იმ ადგილს წარმოადგენდა, სადაც პონტოელ ბერძენებს დასახლება წილად ხვდათ. ეს ის ტერიტორიები იყო, სადაც რუსეთ-ოსმალეთის საბრძოლო დაპირისპირებები აქტიურად მიმდინარეობდა და, ბუნებრივია, საომარმა მოქმედებებმა აქაურ მოსახლეობაზე გარკვეული გავლენა მოახდინა, შესაბამისად, მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაც მნიშვნელოვნად შეცვალა.

ახლად შემოერთებული ტერიტორიებისა თუ მოსახლეობის ახალ მმართველობაში მოქცევისა და ინტეგრირების მიზნით, რუსულმა ხელისუფლებამ 1879 წელსვე „დროებითი საადგილმამულო კომისიები“ დააარსა. ბათუმის ოლქის დროებითი საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარედ, იმავე წლის მარტში, დიმიტრი ბაქრაძე დაინიშნა (ჩხატარაიშვილი, 1975:145-177). აღნიშნული კომისიის ფარგლებში დიმიტრი ბაქრაძის საქმიანობის მიმოხილვა ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს,⁴⁷ მაგრამ მისმა საქმიანობამ დღევანდელი ქობულეთის მხარის ისტორიასთან დაკავშირებით ფასდაუდებელი, მრავალფეროვანი პირველწყაროები შემოგვინახა. ესაა კინტრიშის თემის, რუსული ადმინისტრაციული დაყოფით კინტრიშის უბნის აღწერა, რომელშიც არაერთი საინტერესო ინფორმაციაა შემონახული (Бакрадзе, 1975:157-177). ბუნებრივია, დიმიტრი ბაქრაძეს არ მოეთხოვებოდა და ვერც შესძლებდა ყველა სოფელში მისვლას, სხვადასხვა კუთხით მათ აღწერას, როგორც ამას დღეს ჩვენ ვახერხებთ. თუმცა ის მასალა, რაც დ. ბაქრაძემ კინტრიშის უბნის შესახებ ხელნაწერის სახით დაგვიტოვა ფასდაუდებელია და თავისუფლად შეიძლება კინტრიშის უბანში შემავალ სხვა სოფლებზეც გავავრცელოთ. კინტრიშის უბნის აღწერისას დიმიტრი ბაქრაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ადგლის სამეურნეო-ეკონომიკურ პირობებსა და მდგომარეობაზე ამახვილებს. მისი თქმით, კინტრიშის უბნის თითოეულ ოჯახს მემკვიდრეობით მიღებული სახნავი მიწა გააჩნდა. დიმიტრი ბაქრაძის შეკრებილი მასალებით ჩანს, რომ ყველაზე შეძლებულ ოჯახს ყოველწლიურად შეეძლო 25-30 კილო ან 90 ფუნტი დაეთესა, ხოლო ყველაზე ღარიბს არანაკლებ 3 კილოსი. აქაურები არ იყენებდნენ მორწყვას, ეს შავიზღვისპირეთის კლიმატიდან გამომდინარე აუცილებელიც არ იყო. დიმიტრი ბაქრაძის მიხედვით, კინტრიშის უბნის მოსახლეობის პრაქტიკაში გავრცელებული ყოფილა წინასწარი შეთანხმებით სახნავი მიწის ქირით გაცემა. სარეველებისაგან გასუფთავებული და კარგი მოსავლიანობით ცნობილი მიწის ნაკვეთიდან საარენდოთ მოსავლის 1/3 იღებდნენ (Бакрадзе, 1975:171). ყველაზე გავრცელებული სიმინდი და ღომი იყო, მათგან სიმინდი განსაკუთრებით გამორჩეულ და გაბატონებულ პოზიციას იკავებდა. დიმიტრი ბაქრაძის ცნობებით, ომამდე სიმინდი გაჰქონდათ არჰავსა და ლაზისტანის სხვა ადგილებში. ბუნებრივია საომარო მოქმედებები, როგორც წესი, არჰავსა და ლაზისტანთან ბერძნების ისე, როგორც ოსმალეთის იმპერიის სხვა ხალხთა სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს საგრძნობლად შეაფერხებდა. ისტორიამ აჩვენა, ომის შემდგომ თუ როგორ ჩამოშორდა მთლიანად ბათუმის ოლქი ოსმალეთს და მოსახლეობის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებიც ქალაქ ბათუმს – საერთაშორისო პორტს თუ როგორ დაუკავშირდა.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული **სამინათმოქმედო კულტურებიდან** სიმინდი მოსახლეობის გამოკვების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო. იგი, როგორც უხვმოსავლიანი კულტურა ქართველი ხალხის, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო ცხოვრებაში ღომსა და ფეტვს ჩაენაცვლა და კვების ძირითადი რაციონის ფუნქცია დიდხანსაც შეინარჩუნა.

47 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: დუმბაძე, 1950; ავალიანი, 1960; ჩხატარაიშვილი, 1975.

უფრო მეტიც, უახლოეს პერიოდშიც, XX საუკუნის 90-იან წლებში, პურპროდუქტების კრიზის დროს, სიმინდის კულტურის როლი კვლავ გაიზარდა. სავსე მასალებითაც ნათელია, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა, ერთგვარი თადარიგის მიზნით, საჭიროდ თვლიდა, რომ სიმინდის გარკვეული მარაგი ოჯახს აუცილებლად უნდა ჰქონოდა. აჭარაში სიმინდის გავრცელებული ჯიშები იყო: **ალთუნა, ბროლა, ალაზანა, ჯორიელა, იერლი, წვიტა, ლაზური, ქორიბუდე, შვიდკვირა, წონიარისულა, გოდორა, მისულა, რომანული, ჩხარულა, ბოლოყურა...** ბარის სოფლებში კი, ძირითადად, **ალაზანა** და **ბროლა** მოჰყავდათ, რომელიც უხვმოსავლიანობით გამოირჩეოდა.

პონტოელ ბერძენთა ახალმოსახლეობის პერიოდში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობით აჭარა გამორჩეული იყო და ართვინის ოკრუგს 3-4-ჯერ აჭარბებდა კიდეც. საერთოდ, ძირითადი მწარმოებელი ზემო და ქვემო აჭარა, შავშეთ-იმერხევი და ლივანა იყო. 1903 წელს ამ რეგიონზე ბათუმის ოლქში წარმოებული მარცვლეულის 71,7% მოდიოდა (ნარკვევები, 2008:135-137).

XX საუკუნის 80-იანი წლების სავსე ჩანაწერებითაც პონტოელი ბერძენების ცხოვრებაში სიმინდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ერთ-ერთი ძირითადი საკვები საშუალება იყო (Демурова, 1987:23). პონტოელ ბერძენთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზოგადად, სადილის ძირითად ინგრედიენტთა შორის სიმინდი მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა. ხშირ შემთხვევაში იგი პურს ენაცვლებოდა. გარდა მჭადისა, სიმინდის ფქვილი არაერთი კერძის მოსამზადებლად გამოიყენებოდა. ეს კერძები იყო: **გოლომელიაშურვან** – მსხვილად დახარისხებული სიმინდის ფქვილისაგან მზადდებოდა, **მავრომატომალიადონ** – სიმინდის ფქვილიანი მოხარშული ლობიო. აღნიშნული და სხვა კერძებისათვის ლუმელში – **ფურნინ**ში გამხმარ ჭყინტი სიმინდის ფქვილს იყენებდნენ. ასეთი ფქვილი ხელსაფქვავეთ იყო დაფქვეული. მას ზეთსა და თხილს უმატებდნენ და ცოტა წყალშიც გააზავებდნენ. ამგვარად გაზავებულ სიმინდის ფქვილს **კირისტა** ერქვა, მას სპეციფიური – შემწვარი სიმინდის გემო ჰქონდა. შეზავებულ სიმინდის ფქვილს სხვადასხვა კერძის მოსამზადებლად იყენებდნენ. გადმოცემით, 1932 წელს ისეთი შიმშილობა და მოუსავლიანობა ყოფილა, რომ ერთი კილო სიმინდი 500 რუბლი ღირდა. ამიტომ სიმინდისთვის გურიასა და აბაშაში მიდიოდნენ. სიმინდის დასათესად განკუთვნილი ნაკვეთის დამუშავებას პასკის შემდეგ იწყებდნენ, ხოლო მომდევნო კვირას – თესდნენ. თესვის დაწყების წინ იტყოდნენ **კირიმონისე ოხრისტე** – „გვაკურთხე ქრისტეო“ და თესვას იწყებდნენ. სიმინდის მოსავლის აღებას ყველა ოჯახი საკუთარი ძალით ახდენდა, მაგრამ მისი დაფშვნა ერთგვარ ზეიმს ემსგავსებოდა. ურთიერთდამარების ამ ფორმას **ხარმანია** – ერქვა. დასახმარებლად ჩვეულებრივ ახალგაზრდები და ქალები იკრიბებოდნენ. მასპინძელი სიმინდს, კვახს ხარშავდა. მშრომელთა ჯგუფს ვაშლით, მსხლით, კაკლით უმასპინძლდება. ხარშავდნენ ყავას. თავს ყველა მხიარულად გრძნობდა. ახალგაზრდები ერთმანეთს ეცნობოდნენ, მღეროდნენ, ხოლო სამუშაოს დასრულების შემდგომ გაშლილ სუფრას მიუსხდებოდნენ და ცეკვითაც ერთობოდნენ (Демурова, 1985:23-39).

XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან ჩაქვი-ქობულეთის და ბათუმის მხარის სოფლებში თანდათანობით ჩაი გავრცელდა. იგი საბჭოთა პერიოდში მონოკულტურად ჩამოყალიბდა ისე, როგორც

მოგვიანებით – ციტრუსი. ამ კულტურებმა სიმინდის კულტურა მნიშვნელოვნად შეავიწროვეს, მაგრამ ქობულეთის მხარის მცხოვრებთა ყოფითი ყოველდღიურობიდან იგი ბოლომდე ვერ გამოდევნეს. უფრო მეტიც, პოსტსაბჭოთა პერიოდში, როცა საბჭოური სამეურნეო ცხოვრება მოიშალა, პურის ნაკლებობის პარალელურად სიმინდის კულტურა კვლავ აღორძინდა. ადრე, XX საუკუნის 40-50 წლებში და შემდეგაც სიმინდს საბაზრო-კომერციული დატვირთვა ნაკლებად ჰქონდა და იგი ძირითადად პირად საოჯახო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა.

მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს **მესაქონლეობა** წარმოადგენდა. დიმიტრი ბაქრაძე მიიჩნევდა, რომ ეს დარგი კინტრიშის უბანში არ იყო კარგად განვითარებული. დღეისათვის რთულია იმის თქმა თუ რა პარამეტრებით საზღვრავდა დიმიტრი ბაქრაძე კინტრიშის უბანში მესაქონლეობის განვითარების დონეს. ფაქტია, რომ აქ მომთაბარე მესაქონლეობის განვითარების პირობები არაა და არც იქნებოდა. თანამედროვეობაში მესაქონლეობის განვითარების საშუალებას არც საკარმიდამო ნაკვეთები და საძოვრები იძლევა.

რუსეთ-ოსმალეთის ბოლო ომამდე კინტრიშის უბნის დაბლობის სოფლებში 3-4 ძროხა და მინის დასამუშავებლად 2-3 წყვილი ხარი⁴⁸ ყველა ოჯახს ჰყავდა (Бакрадзе, 1975:172). თუ ამ მონაცემებს თანამედროვე პირობებს შევადარებთ, აშკარად გამოჩნდება, რომ დღეს მესაქონლეობის, როგორც მეურნეობის ერთ-ერთი დარგის განვითარება შედარებით უფრო შემცირებულა და იგი მხოლოდ დამხმარე სამეურნეო როლს ინარჩუნებს. საკვლევ სოფლებში არა მხოლოდ ბერძნები, არამედ ქართველებიც მხოლოდ ერთ ან/და იშვიათად ორ ძროხას ინახავენ. საძოვრების ნაკლებობის გამო პირუტყვის, ძირითადად, **ბაგურად** – ბაგაზე ან საკუთარ საკარმიდამოში დაბმულს უვლიან. ეს არ იყო საიალადო – გადარეკვითი მესაქონლეობა. იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ საქონლის გამოკვება საკარმიდამოდან ოდნავ მოცილებით – საბალახოებზე ხდებოდა, მაგრამ დილით საბალახოზე გაყვანილი პირუტყვი კარ-მიდამოში არსებულ ბოსელს სალამოთივე უბრუნდებოდა. დღეს პირუტყვის დასამწყვდევი და მოსავლელი ნაგებობა ბეტონის ქვით ნაგები კაპიტალური სახის შენობას წარმოადგენს. კარმიდამოში მას უმრავლეს შემთხვევაში სახლის უკან, ეზოსაგან მეტ-ნაკლებად მოფარებული ადგილი უკავია, თუმცა თუ კარმიდამოს ფართი და დაგეგმარება ამის საშუალებას იძლევა სხვადასხვა ვარიანტიც გვხვდება. ბერძნები ბოსელს – **მანდრი**'ს უწოდებენ. წარსულში იგი ნახევრადმინურიც იყო. კედლები თიხით იყო შელესილი. ძირითადად ადგილობრივი ჯიშის ძროხების მოშენებას ამჯობინებდნენ, რომლებიც ადგილობრივ კლიმატს შეჩვეული იყვნენ. მცირე მასშტაბით პონტოელი ბერძნები წვრილფეხა მესაქონლეობასაც მისდევდნენ (Демурова, 1984:3-4). ამდენად, დიმიტრი ბაქრაძის აღწერილობა, სხვა წერილობითი ცნობები თუ საველე-ეთნოგრაფიული მასალები ნათლად აჩვენებს, რომ ქობულეთის მხარის სამეურნეო პირობები ძირითადად მინათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული, ხოლო მესაქონლეობა – დამხმარე მეურნეობის როლს ასულებდა.

48 დ. ბაქრაძის ცნობა – ყველა ოჯახში 2-3 წყვილი ხარის ყოლის შესახებ, ვფიქრობთ, გადაჭარბებული უნდა იყოს.

აჭარაში პონტოელ ბერძენთა სოფლად დასახლების სამეურნეო პირობები არა მხოლოდ წარსულში, არამედ თანამედროვეობაშიც აგრარული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ყოველდღიურ საქმიანობის ფარგლებს არ სცდება. საველე დაკვირვებებმაც ნათელყო, რომ ხალხურმა მესხიერებამ XIX საუკუნის 70-80 წლის წინანდელი მდგომარეობა ბოლომდე მაინც ვერ შემოინახა. წარსულის რეკონსტრუქციას ის გარემოებაც აფერხებს, რომ ბერძენთა უმრავლესობამ ბოლო დროს აჭარა დატოვა და საცხოვრებლად საბერძენეთში გადავიდა. მეოცე საუკუნის დასაწყისისა თუ უფრო ძველი დროის შესახებ კონკრეტული ცნობები კი ძალზე მწირია, თუ არ ჩავთვლით დიმიტრი ბაქრაძის ზემოთ აღნიშნულ ნაშრომსა თუ იმდროინდელი პერიოდული პრესის ზოგიერთ სხვა ცნობას. მიუხედავად ამისა, ნარატივების, სხვადასხვა ტიპის წყაროების ფრაგმენტთა ურთიერთშეჯერებით მეტ-ნაკლებად მაინც შესაძლებელია აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა სამეურნეო საქმიანობის საერთო სურათის აღდგენა.

ბერძენთა სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთი არსებით მხარეს **ხელოსნობა** წარმოადგენდა, რომლის განვითარების მნიშვნელოვან ხელშემწყობ გარემოებას საბაზრო-სავაჭრო ცენტრები და იქ გამართული ბაზრობები წარმოადგენდა. როგორც ვიცით პონტოელი ბერძენების დიდი ნაწილი აჭარაში რუსეთ-ოსმალეთის ბოლო ომის შემდგომ ჩამოსახლდნენ. ამ დროიდან კი – რუსეთის შემადგენლობაში მოქცეული ბათუმის ოლქის სავაჭრო სამრეწველო მდგომარეობა სწრაფად ვითარდებოდა, რის მაქსიმალურ ხელშეწყობას რუსეთის ეკონომიკური ინტერესებიც ითვალისწინებდა. 1879 წელს სერგი მესხი, როგორც თვითმხილველი აღნიშნავდა, რომ ბათუმში შემავალი ოლქების: ქობულეთის, კინტრიძის, კახაბერის, მაჭახელას, ბორჩხასა და მარადიდის მცხოვრებლები თავიანთ სავაჭრო საქმიანობას ბათუმს უკავშირებენ და ამ ქალაქის წვრილი ვაჭრობა საკმაოდ ფართო იყო (მესხი, 1970:86). ბათუმისა და მიმდებარე დაბის ტიპის დასახლებათა სავაჭრო-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ არაერთი მოგზაურ-მკვლევარი წერდა და ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაშიც საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული. მოცემულ შემთხვევაში ჩვენს ინტერესს ბათუმის ოლქში ხელოსნობისა თუ ვაჭრობის განვითარებაში ბერძენთა მონაწილეობა და როლი წარმოადგენს.

წერილობითი წყაროები და ხალხური გადმოცემები ერთხმად მიუთითებს, რომ ბერძენები კარგი კალატოზები იყვნენ, რაშიც არა მხოლოდ ქვის გათლა და მშენებლობა, არამედ ქვის ჯიშების ცოდნა და, შესაბამისად, ქვის სამტეხლო კარიერებში მუშაობაც იგულისხმებოდა. ბერძენები დადიოდნენ საშოვარზე, მუშაობდნენ ქვის ხიდების თუ შენობა-ნაგებობათა მშენებლობებზე და ამ გზით ოჯახისათვის დამატებით სარჩოს პოულობდნენ.⁴⁹ კალატოზობას ბერძენები ოსმალეთშიც მისდევდნენ. მაგალითად, სოფელ დაგვაში თეოფილაქტე ლაზარიდის მამა, როცა წამოსულა ტრაპეზუნდის სოფელ იშხანიდან, უკვე კარგი კალატოზი ყოფილა და ამ ხელობას დაგვაშიც მისდევდა. ანალოგიური პროფესის ყოფილა, ასევე, დიმიტრი საფიანიდის ბაბუაც, რომელიც აჭარაში ჩამოსახლების შემდეგაც საშოვარზე კვლავ თურქეთში დადიოდა. აქ იგი ძველებურად

ქვითხურობას მისდევდა, სახლებსა და მეჩეთებს აშენებდა. დიმიტრი საფიანდიის ბაბუა „ბრიგადირად“ – საშოგარზე მოსიარულეთა ჯგუფის თავკაცადაც აურჩევიათ. მას ასეთი ჯგუფი წელიწადში ორჯერ თურქეთში გადაჰყავდა, თავადაც გადადიოდა და მათთან ერთად მუშაობდა (Демурова, 1987:15, 22).

ბერძნები ხელოსნობის სხვადასხვა დარგს მისდევდნენ, მათ შორის, ოქრომჭედლები და სხვა ძვირფასი ლოთონების ოსტატებიც იყვნენ. საარქივო მონაცემებით 1872-1917 წლებში ბათუმში 12 ბერძენი ხელოსანი – ვერცხლისა და საიუველირო საქმის ოსტატი საქმიანობდა. ისინი ძირითადად ქალაქებში იყვნენ წარმოდგენილნი. საველე-ეთნოგრაფიულმა კვლევამ ხელოსნობის ამ დარგების მიმართულებით ხელშესახები მასალები ვერ გამოავლინა. ეს შესაძლოა, დროის სიმორით ანდა აჭარაში ბერძენთა შეზღუდული დემოგრაფიული ვითარებით ყოფილიყო განპირობებული.

წერილობითი ცნობებით ბერძნები აქტიურ როლს ჭროხის ხეობის – გიუმისხანეს სამთამადნო მრეწველობის განვითარებაში, კერძოდ, სპილენძის, ვერცხლის და სხვა მადნეულის მოპოვება-დამუშავებაში ასრულებდნენ (გამბა, 1987:282). მათი ეს გამოცდილება ერეკლე მეორემ საქართველოშიც გადმოიტანა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973:547).

ბათუმში ბერძნული დასახლებები და მათი რაოდენობა ოსმალთა პერიოდშიც ბევრი უნდა ყოფილიყო. ამის კარგ მაჩვენებელად ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებული ისტორიებიც გამოდგება. ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ ბერძენი ხელოსნები ბათუმში ოსმალთა პერიოდშიც მრავლად იქნებოდნენ, მაგრამ ბათუმის ოლქის რუსეთის ფარგლებში მოქცევის შემდეგ ბათუმში ბერძენთა, და არა მარტო ბერძენთა, დემოგრაფიულმა მდგომარეობამ და ხელოსნურმა თუ სხვა სახის საქმიანობამ ახალი მასშტაბი შეიძინა. ეს ბათუმის ოლქის სამრეწველო-ეკონომიკური განვითარების მზარდი ტემპებით იყო განპირობებული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ხელოსნურ წარმოებასთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო გამოკვლევა არსებობს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ბერძენ ხელოსანთა ისტორიებიცაა შესწავლილი. XX საუკუნის 30-იან წლებამდე ქალაქ ბათუმსა და ხულოში ბერძენი მჭედლები პანჩო და სტავრო სალონიკიდები, ასევე, ვინმე ლამბო სხვადასხვა ხელოსნურ საქმეებს მისდევდნენ. ხალხური გადმოცემით 1878-1879 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე სოფელ ოლადაურში მჭედლობას ბერძენი ფრანგულიდი მისდევდა (კახიძე, 1984:128). ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყალში სამჭედლო სახელოსნო დიონისი სეიდარიდის ჰქონდა გამართული. აქ იგი 25 წელი მუშაობდა. დიონისი მემკვიდრეობითაც მჭედელი იყო. მჭედლები იყვნენ მისი ბაბუა და მამა პანაიოტიც. 1910-იან წლებში ბათუმში ზეინკლობით ნიკოლოზ ანასტასიადი და პავლე კურზიდი იყვნენ დაკავებულნი (კახიძე, 2004:133).

ბათუმის ოლქის მოსახლეობის, მათ შორის, ბერძენთა სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დატვირთვა ჩაის კულტურას ჰქონდა. პონტოელ ბერძენთა აჭარაში ახალმოსახლეობის დროისათვის ჩაი და მეჩაიეობა ახალი დარგი იყო, მაგრამ განვითარების მზარდი ტემპებით, დასაქმების კარგი მაჩვენებლებით და სანარმოო-კომერციული თვალსაზრისითაც იგი საკმაოდ მომგებიანი

იყო. ეს გარემოებები მეურნეობის ამ დარგს არა მხოლოდ მენარმეობის, არამედ სოციალურად დაბალი ფენის მოსახლეობის დასაქმების მხრივაც უფრო მიმზიდველს ხდიდა. ბათუმის ოლქში ჩაის კულტურის სამრეწველო განვითარება სათავეს XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს. მისი მოყვანა ჩაქვის მიდამოებშიც დაიწყო და ზღვისპირა ზოლის სხვა სოფლებში იგი აქედან გავრცელდა. ჩაიზე მოთხოვნა სწრაფად იზრდებოდა და მისი წარმოებაც სწრაფად ფართოვდებოდა. თუ 1898 წელს ბათუმის ოლქში მეჩაიეობას შვიდი მოახალშენე, კერძოდ: სოლოვცოვი, პოპოვი, ვუჩინო, ვერუ, სტოიანოვი, გაიდაბუროვი და რომანოვების საიმპერატორო სახლი მისდევდა, ორი წლის შემდეგ მათი რიცხვი 17-მდე გაიზარდა, ხოლო ჩაის ფართობმა 215 დესეტინას გადააჭარბა (ნარკვევები, 2008:139). ჩაის პლანტაციების ფართობი შემდეგ წლებშიც თანდათან იზრდებოდა და ჩაის მოშენება-წარმოებაშიც მონაწილეობას მოსახლეობის ფართო ფენა ლებულობდა.

ბათუმის ოლქის ადგილობრივი მოსახლეობიდან ჩაი პირველად – 1906 წელს მახინჯაურელმა ალი მახარაძემ გააშენა. გასული საუკუნის 10-იან წლებში კი იგი მოსახლეობის ფართო ფენებში, მათ შორის დაგვის, აჭყვის და სხვა სოფლებში თანდათან გავრცელდა, სადაც ჩაით უპირველესად ბერძნები დაინტერესდნენ (ნარკვევები, 2008:140). ნარატიული წყაროების მიხედვით ბერძენთაგან ჩაის წარმოებით და ციტრუსით პირველად თბილისელი ბერძენი ვინმე კაიდამაგინი დაინტერესებულა. გადმოცემით იგი თბილისიდან საცხოვრებლად ყოროლისთავში გადმოსულა, 4,5 ჰექტარი მიწა შეუძენია, სადაც ჩაი და ციტრუსი გაუშენებია. იმ დროისათვის ჩაის ჩინური წესით კრეფდნენ, ანუ ჩაის ყლორტის მხოლოდ 2-3 ფოთოლს ლებულობდნენ. მოკრეფილ ჩაის შემდგომ იატაკზე, ან მაგიდაზე – გაშლილ ნაჭერზე გაფენდნენ. ჩაი ერთი დღე-ღამის მანძილზე ამდაგვარად შრებოდა. შემდგომ ამ ჩაის 20-25 კგ. მოცულობის ბიდონში მოათავსებდნენ, რომელსაც სახურავს ახურავდნენ. მას სპეციალური დასატრიალებელი მექანიზმი ჰქონდა მოწყობილი, რომელსაც ხელით ატრიალებდნენ და ბოდონში მოათავსებული ჩაის მასიდან ჩაის მწარე წვენი – ქაფი გამოჰყავდათ. სახელურს ატრიალებდნენ მანამ, სანამ ჩაიდან წვენი არ გამოვიდოდა. შემდგომ ჩაის წურავდნენ და წვენს აცლიდნენ. ქაფს გადაღვრიდნენ, ხოლო ჩაის ხის საშრობებზე გაფენდნენ და ღუმელზე ანდა მის მახლობლად აშრობდნენ. თუ ამინდი ხელსაყრელი იყო, მაშინ ყუთებს სახურავზე აწყობდნენ და ისე აშრობდნენ. გაშრობის პროცესი ერთ დღელამეს მოიცავდა (Демурова, 1985:33–34; 1987:8). ამის გარდა ბათუმის ოლქში იმ დროს ჩაის უფრო რთული მექანიზმებით – ფაბრიკული წესითაც ამუშავდნენ. 1899 წელს აქ ჩაის ორი ფაბრიკა ფუნქციონირებდა, ხოლო 1904 წელს – ოთხი. ჩაი საოჯახო პირობებშიც მზადდებოდა. 1900-1915 წლებში მისი რაოდენობა 0,7 %-დან 2 %-მდე აღწევდა (ნარკვევები, 2008:140).

ჩაის კულტურის მოვლითა და კრეფით ბერძნები ჩაქვის საუფლისწულო მამულშიც იყვნენ დაკავებულნი. ამ მხრივ საინტერესოა ფერადი ფოტოგრაფიის პირველი დიდოსტატის პროკუდინ გორსკის ერთ-ერთი ფოტო, რომელიც ავტორის მიერ შემდეგნაირადაა იყო დასათარებული: „ბერძენი ჩაის მკრეფავები“. ჩაქვის საუფლისწულო მამულებს იმ პერიოდში დიდი წარმატებები ჰქონდა. აქ პირველად არაერთი ახალი კულტურა გაშენდა და შემდგომ აჭარასა


თუ საქართველოს სხვა მხარეშიც გავრცელდა, რომელთა შორის განსაკუთრებით ჩაი, ბამბუკი და მანდარინია აღსანიშნავი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული „საუფლისწულო მამულები“ მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით ძალზე წარმატებული და ცნობილი სამეურნეო ცენტრები იყო. მათ შორის გამორჩეული იყო ჩაქვის საუფლისწულო მამული. ბუნებრივია ეს გარემოება ხელს უწყობდა და იზიდავდა მოსახლეობას საუფლისწულო მამულების სიალოვეს დაედო ბინა და „მამულში“ ემუშავა. 1900 წლის მონაცემებით ჩაქვის საუფლისწულო მამულში 26 ბერძნული ოჯახი ცხოვრობდა. სია, რომელიც ბათუმის არქივშია დაცულია, შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას „მამულში“ მცხოვრები ბერძნების ვინაობის, საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის და საცხოვრებელი უბნების შესახებ.⁵⁰

№	უბნის №	სახელი გვარი	შენიშვნა
1	119	სოფია დიმიდჯი	1 სახლი ძველი, თხმელის ხის და ფარდული
2	119	აბრამ ტონასოვი	1 სახლი, ახალი, წაბლის ხის და ფარდული
3	116	ფედორ ხარლანპო	1 სახლი, ძველი, წაბლის ხის და ფარდული
4	116	ხარლალა ბეკაროვი	1 სახლი, ძველი, წაბლის ხის და ფარდული
5	116	სპირიდონ ხიმონიდი	1 სახლი, ახალი, წაბლის და ფარდული
6	116	გიორგი ხიმონიდი	1 სახლი, ახალი, წაბლის ხის და ფარდული
7	110	ვასილი იდიდი	1 სახლი, ძველი, თხმელის ხის და ფარდული
8	212	ანასტასი იოსიფიდი	1 სახლი, ძველი, თხმელის ხის და ფარდული
9	213	ნიკოლაი ისიფიდი	1 სახლი, ძველი, თხმელის ხის და ფარდული
10	215	ივანე დიმიტრიადი	1 სახლი, ახალი, წაბლის ხის და ფარდული
11	211	გიორგი იანიც ოლლი	1 სახლი, ძველი, თხმელის ხის და ფარდული
12	218	კონსტანტინე ხიმონიდი	1 ჯიხური, ძველი, თხმელის
13.	216	დიმიტრი დიმერჯი ოლლი	1 სახლი, ძველი, თხმელის და ფარდული
14	226	ხრი შისტომ	1 სახლი, ახალი, წაბლის და ფარდული
15	221	სოფია ატულოვა	1 სახლი, ძველი, თხმელის და ფარდული
16	221	აპოსტილ კუკულოვი	1 სახლი, ძველი, წაბლის და ფარდული

50 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-6, საქმე 35, გვ.24, 24/ა.

ტაბულა II. გერქენთა დასახლებუბი და კარმიდამო



სურ. 065. ახალშენი, ნახატი შესრულებულია მატვეი (მათეოს) ლაზარიდის მიერ თესალონიკში 1957 წელს. მ. ლაზარიდის ფიათურაში ხელმძღვანელობდა ბერძნული საზოგადოების სიმეზიანი ინსტრუმენტების ანსამბლს. 1938 წელს გადაასახლეს საბერძნეთში



სურ. 066. სოფ. ახალშენის ხედი



სურ. 067. სოფ. სანტა, ტრაპიზონი



სურ. 068. სოფ. ზედა კვირიკე (შვერნიკი)



სურ. 069. სოფ. ზედა კვირიკე. ცენტრში – წმ. კონსტანტინესა და ელენეს ტაძარი



სურ. 070. სოფელი კვირიკე



სურ. 071. სოფელი დაგვა



სურ. 072. ბერძენთა სახლები. სოფელი დაგვა



სურ. 073. სოფელი დაგვა. წმ. კონსტანტინესა და ელენეს ტაძარი



სურ. 074. სოფ. ყოროლისთავი – „მეტაქსას სირთი/მეტაქსას გორა“



სურ. 075. სოფ. ყოროლისთავი. ბერძენთა სახლები. „მეტაქსას სირთი/მეტაქსას გორა“



სურ. 076. ანიკო ნიკოლეიშვილი-მურადოვის კარ-მიდამო. სოფ. კვირიკე



სურ. 077. ვასილი მავროპულოს სახლი. ს. ზედა კვირიკე




სურ. 078. მარია სტილიდის კარ-მიდამო. სოფ. დაგვა



სურ. 079. ვ. მავროპულოს საფუტკრე. სოფ. კვირიკე



სურ. 080. ივანე მავროპულოს სახლი. სოფ. კვირიკე.



სურ. 081. ივანე მავროპულოს ძველი სახლის ინტერიერის დეტალები



სურ. 082. ახალშენი, 1960-იანი წლების დასაწყისი, მუტას იანგულის მშობლების სახლი



სურ. 083. ბერძენის სახლი სოფ. ყოროლისთავში



სურ. 084. ვ. ტაქსიდის სახლი, სოფ. ყოროლისთავი, „მეტაქსას სირთი“



სურ. 085. ს. ბერიძის (ყოფილი მეტაქსას) სახლი, სოფ. ყოროლისთავი, „მეტაქსას სირთი“



სურ. 086. ყოფილი ბერძნული სკოლის შენობა, სოფ. კვირიკე



სურ. 087. აივანზე დამაგრებული სათვალო რქა, ნალი და ნიჟარები (ხედი შიგნიდან)



სურ. 088. სათვალო ნიჟარების ასხმა ბოსელებზე, საცხოვსა და მსხლის ხეზე



სურ. 089. სახლის სათვალოები: რქა, ნალი და ნიჟარები, სხვადასხვა კომპოზიციის ხედი გარედან

სატეპის კუთხე პირველი ოჯახები



სურ. 090.



სურ. 091.



სურ. 092.



სურ. 093.



სურ. 094. ხ. ქსანდოპულოს ფურუნი, სოფ. ზედა კვირიკე



სურ. 095. ი. მავროპულოს ფურუნი, სოფ. ზედა კვირიკე



სურ. 096. პავლე მავროპულოს ფურუნი, სოფ. ზედა კვირიკე



სურ. 097. პავლე მავროპულოს ხელსაფეკვავი – „შორომილია“



სურ. 098. ხელსაფეკვავი – „შორომილია“




სურ. 099. ნაქარგობა კერეკი
კაპასაკალიდის ოჯახიდან, სოფ. დაგვა



სურ. 100. ნაქარგობა კერეკი
კაპასაკალიდის ოჯახიდან, სოფ. დაგვა



სურ. 101. ნაქარგობა კერეკი
კაპასაკალიდის ოჯახიდან, სოფ. დაგვა




სურ. 102. ხელით ნაქსოვი ფარდაგი
ხ. ქსანდოპულოს ოჯახიდან



სურ. 103. საოჯახო კარადა – აფთიაქი, ხელნაკეთი,
პენელოპე მალკოციდის ოჯახიდან



სურ. 104. ბათუმი, ბერძნული ქუჩა (ამჟამად ფარნავაზ მეფის ქუჩა)



სურ. 105. ექიმ ტიმოლეონ ტრიანდაფილიდისის სახლი, ბათუმი (შოთა გუჯაბიძის არქივიდან)



სურ. 106. ლაზარე ბინიათ-ოღლის სახლი ბათუმში (გივი ნახუცრიშვილის არქივიდან)

17	222	სიმონ ჩიკირ ოლლი	1 სახლი, ძველი, თხმელის და ფარდული
18	222	ფედორ ჩიკირ ოლლი	1 სახლი, ახალი, წაბლის და ფარდული
19	219	გეორგი ჩიკირ ოლლი	1 სახლი, ძველი, თხმელის და ფარდული
20	224	ხარლამ ატანოსოვი	1 სახლი, ძველი, წაბლის და ფარდული
21	6	Панджо (ან პანდორო) ელე-ნოვი	1 სახლი, ძველი, თხმელის და ფარდული
22	6	აბრამ იალაკოვი	2 სახლი, ძველი, თხმელის და ფარდული
23	6	ალექსანდრა ვალეკოვი	1 სახლი, ახალი, წაბლის და ფარდული
24	6	დიმიტრი პოლიტოვი	1 სახლი, ძველი, თხმელის და ფარდული

აჭარაში ბერძნებით დასახლებული სოფლები, დასავლეთ საქართველოს კლიმატის პირობებში, კარგი სამოსახლო ადგილ-მდებარეობით გამოირჩევა. სამოსახლოები მთაგორიან და ამალღებულ გორაკ-ბორცვებზე იყო წარმოდგენილი, რაც უფრო დაბლობში გამეფებული მალარიისგან კარგი თვესაფარი იყო. გარდა ამისა, აქაურობას არც მზე აკლდა და არც წყალი. დღესაც ჩაისა და ციტრუსისათვის, მეხილეობისათვის, მებოსტნეობისათვის, ასევე, მცირე მასშტაბებით მესაქონლობისთვისაც მინა-წყალი ვარგისიანი და გამოსადეგია. თანამედროვე პერიოდში ჩაის გარდა სიცოცხლეს ყველა სხვა კულტურა ინარჩუნებს. ჩაის წარმოება მხოლოდ შიდასაოჯახო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება. აჭარაში სოფლად მცხოვრებ პონტოელ ბერძნებში მცირე კომერციული დატვირთვა, მხოლოდ მესაქონლებას და რძის პროდუქტების, კერძოდ, ყველის წარმოებას აქვს.

პონტოელი ბერძნების ადგილმონაცვლეობა გარკვეულ იძულებასთან იყო დაკავშირებული, რომელიც სამხრეთ კავკასიაში განვითარებული საომარი პროცესების შედეგად წარმოიქმნა. ვფიქრობთ, ლოგიკურია, რომ მიგრანტთა გარკვეულმა ნაწილმა, მოგვიანო ეტაპზე მაინც, სამოსახლოდ შავიზღვისპირეთი და ბათუმის მიმდებარე ადგილები შეგნებულად შეარჩია. ამგვარი არჩევანი სხვადასხვა მოტივაციის საფუძველზე იქნებოდა გამართლებული: პირველ რიგში, ალბათ მათში არსებული სამშობლოში დაბრუნების მუდმივი სურვილი უნდა ვიგულისხმოთ. ბათუმთან, როგორც საპორტო ქალაქთან სიახლოვე, ამ სურვილს უფრო მისაღწევს ხდოდა. ეს მით უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში ბევრი ბერძენი ძირძველ სამშობლოში დაბრუნებას ცდილობდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს, მაგალითად, სოხუმიდან წამოსულ ბერძნებს, ამის უფლებას არ აძლევდნენ და თავად საბერძნეთის სახელმწიფოც მათზე პასუხისმგებლობას არ იღებდა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ბათუმი მალე საერთაშორისო მნიშვნელობის საპორტო ქალაქად გადაიქცა და, შეუძლებელია, ბერძენი მოახალშენეებისათვის ეს გარემოება შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

სამოსახლოდ ქალაქ ბათუმის მიმზიდველობა, მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. ბათუმის მზარდი სამრეწველო შესაძლებლობები და იქ ხალხის სწრაფი კონცენტრაცია წვრილი ხელოსნობის განვითარებისათვის შესანიშნავი და ხელსაყრელი პირობა იყო. ეს ვითარებაც ბერძენებისათვის ოპტიმალურ გარემოს ქმნიდა, რომლებიც ვაჭრობასა და ხელოსნობაში განაფულები იყვნენ. მათი ეს და სხვა თვისებებიც ოსმალეთის იმპერიაშიც კარგად იყო ცნობილი და აპრობირებული, შესაბამისად, სახელისუფლებო დონეზე, პოლიტიკური მიზნებითაც გამოყენებული. ამის ნათელი დადასტურებაა, მაგალითად, დრაგომანის, კერძოდ, თარჯიმნის, თანამდებობაზე კონსტანტინეპოლის ერთ-ერთი უბნის – ფანარის – მცხოვრები ბერძენების დანიშნაობა. ეს პროცესები სულთან მუჰამედ IV-ის დროს დაიწყო, შემდგომში დიდი დრაგომანის ფუნქცია, რომელიც თანამდებობრივად „დიდ ფაშასაც“ გაუტოლდა, ბერძენთა მონოპოლიად ჩამოყალიბდა. 1716 წლიდან დრაგომანი ბერძენი ვლახეთის მთავრებიც გახდნენ და ევროპაში ოსმალეთის პოლიტიკას აქტიურად იცავდნენ (გვინჩაძე, 1973:294-306). ბუნებრივია, ბერძენთა ერთი ნაწილის მსგავს დანიშნაობას ყველა ბერძენზე ვერ განვაზოგადებთ, მაგრამ ეს გარემოება ოსმალეთის იმპერიაში ბერძენთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ნამდვილად მიუთითებს. ყველა შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული მაგალითი ოსმალთა ხელისუფლებაში მოქცეული უმცირესობის იმ ძლიერი იმუნიტეტის დემონსტრირებაა, რომელიც ოსმალეთში თავს სხვადასხვა მიმართულებით იჩენდა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, ერთგულების შემთხვევაში, თავად ოსმალეთის ხელისუფლებაც უწყობდა ხელს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს იმპერიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. საქართველოს ისტორიაშიც ამის დამადასტურებელი ფაქტები არაერთი მოგვეპოვება.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიერთების შემდეგ მკვეთრად იჩინა თავი მინათმფლობელობისა და მინათსარგებლობის ფორმებისა და ნესების განსხვავებულობამ. რუსეთის მთავრობამ შემოერთებული ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობის ფაქტობრივი მესაკუთრეობა მინაზე უარყო და ყოველნაირად ცდილობდა აღნიშნული საკითხი ხაზინის სასარგებლოდ გადაეწყვიტა (დანვრილებით იხ.: ნარკვევები, 2008:169-175). უმინო და მცირემინიანი გლეხები მინას მსხვილი მესაკუთრეებისაგან იჯარით ღებულობდნენ. გავრცელებული იყო, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი იჯარა. ბათუმის ოლქში საიჯარო გადასახადის ორივე ფორმა – ნატურალურიც და ფულადიც – ფართოდ იყო გავრცელებული. იჯარის ფორმასა და რაოდენობას არენდატორი აწესებდა. ფულად ურთიერთობებს ხაზინა და კაპიტალისტები ამჯობინებდნენ, ხოლო ნატურალურ შემოსავალზე მინას იჯარით მემამულეები – სოფლად მცხოვრები ადები და ბეგები გასცემდნენ. ნატურალურ იჯარაზე სათიბები, საძოვრები და სახნავი მიწები გაიცემოდა. სახელმწიფო ხაზინა ყველაზე დიდი არენდატორი იყო, რამდენადაც ხაზინის მიწის ფონდში თავისუფალი, დაუსახლებელი ადგილ-მამულეები და, რაც მთავარია მუჰაჯირთა მიწები ექცეოდა. რუსეთის იმპერიის კოლონიზაციური პოლიტიკის მიუხედავად მოსახლეობის დაბალი ფენა, განსაკუთრებით, ახალმოსახლეები მიწის კერძო საკუთრებას მოკლებული

იყვნენ და ხიზნების კატეგორიაში ექცეოდნენ. ბათუმის ოლქში ადგილობრივი ქართველებისა და სხვა მხარიდან შემოხიზნულების სახით ხიზნების ორი კატეგორია არსებობდა. ხიზნები, როგორც წესი, უმიწაწყლო ხალხი იყო, რომლებიც მსხვილი მრეწველებისა თუ მემამულეების, ალა-ბეგების მიწებზე იყვნენ შეხიზნულნი ანდა სახელმწიფო – სახაზინო მიწებზე სახლობდნენ. საარქივო მონაცემებით ხიზანთა კატეგორიაში ქურთებთან და ბოშებთან ერთად ბერძნებიც ირიცხებოდნენ. XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ბათუმის ოლქში ხიზანთა სულ 521 ოჯახი იყო აღრიცხული, მათგან 158 ბერძენ ხიზანთა ოჯახი იყო. ბერძნები დასახლებული იყვნენ კინტრიშის საპოლიციო სოფლებში: აჭყვაში, დაგვაში, კვირიკეში, ბობოყვათში. აგრეთვე ორთაბათუმში, ყოროლოსთავსა და ახალშენში. 1890-იანი წლების საგადასახადო რეფორმამდე მიწის გადასახადისაგან, მოსავლის მეთადის, ანუ აშარისაგან არაქართველი ხიზნები, მათ შორის ბერძნებიც თავისუფალი იყვნენ (ნარკვევები, 2008:176,187).

ამდენად, სხვადასხვა წერილობითი და საველე-ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფს, რომ პონტოელი ბერძნები მეურნეობის სხვადასხვა დარგს მისდევდნენ. მათთვის ძირითადი საარსებო დასაყრდენი სხვადასხვა დროს მეურნეობის სხვადასხვა დარგი იყო. ბერძნები ცდილობდნენ შეგუებოდნენ შექმნილ პირობებს. სოფლად დასახლებული ბერძნებისათვის ძირითად სარსებო საშუალებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შეადგენდა, თუმცა ბერძნები საშოვარზეც დადიოდნენ და სხვადასხვა სამრეწველო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდნენ, ეს, ძირითადად, როგორც საველე მასალები ცხადყოფს, ქვითხურობითა და მჭედლობით შემოიფარგლებოდა.

განსხვავებული და მრავალფეროვანი ეკონომიკური ცხოვრება ჰქონდათ ქალაქ ბათუმში მცხოვრებ ბერძნებს. ისინი ბათუმის სამრეწველო-ეკონომიკური განვითარების შესაბამისად სხვადასხვა კომერციულ პროცესებში იყვნენ ჩაბმულნი.

პონტოელ ბერძენთა კარმიდამო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები

საკარმიდამო კომპლექსს ადამიანის ეკოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი ფორმირება და სტრუქტურა ყოველთვის ცვალებადი იყო და საზოგადოების სამეურნეო-ტექნიკური განვითარების თავისებურებებით იყო განპირობებული. მაგალითად, როცა სოციუმი-სათვის არსებითი იყო თავდაცვითი პრობლემების გადაწყვეტა, ასეთ შემთხვევაში კარმიდამოც, შესაძლებლობის მიხედვით, ამ მოთხოვნას პასუხობდა. სახნავ-სათესი სავარგულებით ნაკლები მხარის საკარმიდამოს განლაგებაში არსებითი იყო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისათვის ისეთი ადგილები გამოეყოთ, რომლებიც სახნავ-სათესად გამოუსადეგარად ითვლებოდა. საკარმიდამო კომპლექსის ფორმირება უშუალოდ იყო დაკავშირებული თავად სამოსახლოს გეოგრაფიაზე და ადამიანის ეკოლოგიურ მოთხოვნებს უპირობოდ პასუხობდა. საკარმიდამოს მოწყობის აღნიშნული წინაპირობები პონტოელ ბერძნებში სრულად იყო დაცული და კარმიდამოსთვის

აუცილებელ მოთხოვნებს სრულფასოვნად პასუხობდა. აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძნული დასახლებები და საკარმიდამო კომპლექსები სტრუქტურული თვალსაზრისით მათივე მეზობელი ქართველი მოსახლეობის საკარმიდამოებისაგან არ გამოირჩევა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც ქართველი, ისე ბერძენი მოსახლეობის საკარმიდამოები მსგავსი სამეურნეო-ეკონომიკური პირობების საფუძველზე იყო აღმოცენებული.

საკარმიდამო კომპლექსზე დაკვირვება სამეურნეო მრავალფეროვნებასა და სახლეულის წევრთა შრომისმოყვარეობას მკაფიოდ წარმოაჩენს. ამ მხრივ, პონტოელ ბერძენთა საკარმიდამოებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ვასილი მავროპულოს კარმიდამო (ტაბ.III.) იყო. სოფელ ზედა კვირიკეში ვასილ მავროპულო თავის ძმასთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც უკვე საბერძნეთშია საცხოვრებლად გადასული. მისი კარ-მიდამო შემდეგ შენობა-ნაგებობებსა თუ ფარდულებს მოიცავდა, ესენი იყო: საცხოვრებელი – **ბელეტაჟიანი სახლი**, რომლის მეორე სართული ადამიანთა სამყოფად გამოიყენებოდა. ეზოს მარცხენა მხარეს გურული „ქუხნა სახლის“ მსგავსად, ერთგვარი სამზარეულო და ყოველდღიური სამყოფი იყო გამართული. ოჯახი ძირითად დროს იქ ატარებდა. იგი დაახლოებით 20-25 მ² ფართობის ერთი ოთახისაგან შედგებოდა. სახლსა და აღნიშნულ სამზარეულოს შორის მანდარინის ბაღში ჩასასვლელი ბილიკია. აქვე სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების სათავსები იყო. ბაღის დასაწყისში საქათმე იდგა. სახლის უკან ბეტონის კაპიტალური საცხოობი – **ფურნე** იყო გამართული. ეზო სიდიდით გამოირჩეოდა, რომელსაც სხვადასხვა ჯიშის ყვავილები ამშვენებდა. ეზოდან აღმოსავლეთით, სახლის გვერდზე – **საშეშე** ფარდულია გამართული. იგი ოთხ ბოძზე შემდგარ სახურავს წარმოადგენდა, რომელიც ოთხივე მხრიდან ღია იყო, რათა შეშა ადვილად გამხმარიყო. იქვე იდო შეშის საჩეხი კუნძი. საშეშეს ქვემოთ წყლის **ჭახრაკი** იყო გამართული. მისი საშუალებით ქვემოთ, პატარა ხევში არსებული წყაროდან სასმელი წყალი ამოჰქონდათ. წყლის ჭახრაკის გვერდზე საფუტკრე იყო მოწყობილი. ვასილ მავროპულო მეფუტკრეობასაც მისდევდა. აქ სულ, დაახლოებით 10 თავი სკა იყო გამართული. როგორც წესი, აქაც, შესამჩნევ ადგილზე ფუტკრის დამცავი სათვალო ავგაროზი – ნიჟარების ასხმა ეკიდა. საფუტკრეს შემდგომ ბოსელი, იგივე **ახორი** მოსდევდა. უფრო ქვემოთ, ვასილ მავროპულოს სახლიდან დაახლოებით 20-30 მეტრის დაშორებით მისი ძმის სახლი იდგა, რომელიც სამწუხაროდ დღეს ცარიელია. ამ სახლსაც ვასილ მავროპულო უვლის, მაგრამ ეზო-მიდამოში მაინც შესამჩნევია, რომ მას პატრონის მზრუნველი ხელი აკლია. ვასილ მავროპულოს კარ-მიდამო პონტოელ ბერძენთა სხვა კარმიდამოებისგან მხოლოდ ერთი შენობით, ცალკე მდგარი „სამზარეულო-სამყოფით“ გამოირჩევა.⁵¹

ცალკე მდგარ სამზარეულოსთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია დაცული ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში. მთხრობელი თეოფილაქტი ლაზარიდი (79 წლის. ს. დაგვა) 1987 წელს აღნიშნავდა შემდეგს: „...ორ ოთახში, სადაც ეძინათ, იატაკი ოყო ხის, ხოლო ზალაში იატაკი მიწური

იყო“ ... სამზარეულოს ცალკე აკეთებდნენ ... „სახურავს ყავრით ანდა კრამიტით ხურავდნენ. კერას ქვებით აწყობდნენ. როცა მას ანთებდნენ კვამლი მთელ სახლს მოედებოდა. ზოგიერთს სამზარეულოში საკვამური ჰქონდა, კერაზე ჯაჭვი ეკიდა, იქვე სამფეხი იდგა (Демурова, 1987:16). ამ წყაროზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის, სოფელ კვირიკეში, ვასილ მავროპულოს კარმიდამოში დადასტურებული ცალკე მდგარი სამზარეულო, რომელიც დღესაც ოჯახის ძირითადი სამყოფია, ბეძენთათვის ძველი დროიდან ჩანს დამახასიათებელი.

პონტოელი ბერძენების კარ-მიდამოსათვის დამახასიათებელი იყო საცხობი საშუალება – **ფურნე (ფურუნი)**. საველე-ეთნოგრაფიული მასალები ერთხმად ადასტურებს, რომ ფურნე ბერძენთა კარ-მიდამოს არა თუ დამახასიათებელი, არამედ აუცილებელი ელემენტი იყო. იგი ცალკე მდგარ შენობას წარმოადგენდა და, უმრავლეს შემთხვევაში, ეზოს სამეურნეო ნაწილში თავსდებოდა. კარ-მიდამოში ფურნესათვის, თუ საკარმიდამოს რელიეფი ამის საშუალებას იძლეოდა, ყოველთვის ადვილად ხელმისაწვდომ, მოსახერხებელ ადგილს შეარჩევდნენ. მაგალითად ხრისტო ქსანდოპულოს კარ-მიდამოში ფურნე სახლის უკან იდგა (ტაბ. V, სურ. 3, 4, 6). მისი ამგვარი ადგილმდებარეობა რელიეფის თავისებურებით იყო განპირობებული, მაგრამ ეს ვითარება თითქოსდა გამოსწორებული იყო იმით, რომ იქვე სახლის პირველი სართულის ერთ-ერთ სათავსს ორივე მხრიდან კარები გააჩნდა. ამით წინა ეზოსა და უკანა ეზოს შორის დამაკავშირებელი ერთგვარი კორიდორი იქმნებოდა, საიდაც ფურნედან გამოღებული გამომცხვარი პროდუქტი სახლში გადაჰქონდათ. გვხვდებოდა ისეთი ვარიანტებიც, როცა ფურნე სახლის წინა ეზოში იყო გამართული (ტაბ. VII. სურ. 1.). ესეც სამოსახლო ადგილის რელიეფის თავისებურებით იყო განპირობებული. ლაზარე მავროპულოს კარ-მიდამოს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, შემჭიდროებული სახით, მცირე ბორცვზე იყრიდა თავს, რომლის ირგვლივ – ფერდობებზე ბალი იყო გაშენებული. სახლის წინ და ოდნავ გვერდით **ფურუნი** იდგა. გადმოცემით იგი ლაზარე მავროპულოს დიდი ბაბუის აგებული იყო. დაახლოებით 1960 წლისათვის, სახლიცა და ფურნეც დაუშლიათ და შემდეგ ორივე ხელახლად აუშენებიათ. ეზოში ფურნის წინ მაგიდა იყო მოწყობილი, სადაც თავისუფალ დროს ახლო მეზობლები იკრიბებოდნენ და სხვადასხვა თემებზე საუბრობდნენ. ლაზარე მავროპულოს კარ-მიდამო ისე იყო დაგეგმარებული მიწა მაქსიმალურად რომ ათვისებულიყო, რასაც სამოსახლო მიწის ნაკვეთის რელიეფის თავისებურებაც განაპირობებდა. ვაკე ადგილის სიმცირის გამო სხვადასხვა შენობა-ნაგებობაც ერთმანეთთან მჭიდროდ, თუმცა მოხერხებულად და მიზანმიმართულად იყო განთავსებული.⁵²

პონტოელ ბერძენთა კარ-მიდამოს ერთ-ერთი თვალშისაცემი მახასიათებელი ავგაროზი – სათვალეოები იყო. იგი თეთრი ნიჟარების ასხმას, საქონლის რქებს და ნაღს წარმოადგენდა. ისინი არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლის ფასადზე, არამედ კარ-მიდამოს შემადგენელ თითქმის ყველა

ელემენტზე გვხვდებოდა, კერძოდ, საცხოვრებლის, ფურნეს, ბოსელის, საქათმის ფასადებზე, ასევე, ხეხილის ხეზე მიკრულიც კი გვხვდებოდა. კარ-მიდამოში სათვალეები – ნიჟარების ასხმა ყველგან თვალსაჩინო ადგილზე იყო ჩამოკიდული ისე, რომ ეზოში შემსვლელთათვის ადვილი შესამჩნევი და თვალშისაცემი ყოფილიყო (ტაბ. II, ფოტო: 87, 88, 89). როგორც წესი, ავგაროზები სულების შესახებ კაცობრიობის შეხედულებებს აცოცხლებდნენ. მიიჩნევა, რომ ისინი ბოროტ სულებზე, კერძოდ ავ თვალზე დადებითად ზემოქმედებდნენ. პონტოელ ბერძნებში ზღვის თეთრი ნიჟარები ავი თვალის მქონეს უვნებლებყოფდნენ. ამ გზით საცხოვრებელი კომპლექსი დაცული იყო გათვალვისაგან. საერთოდ, სათვალეები უცხო არ იყო სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფების, მათ შორის, აჭარელი მოსახლეობისათვის. ისინი ამ მიზნით უმთავრესად ნალს და საქონლის რქას იყენებდნენ, მაგრამ, როგორც სავლემ მასალებმა აჩვენა, ნიჟარების ავგაროზად გამოყენება მათ ნაკლებად ახასიათებდათ. ქვემო აჭარისათვის, განსაკუთრებით იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც აჭარლები და ბერძნები თანაცხოვრობდნენ ნიჟარები მხოლოდ ბერძენი მოსახლეობისთვის იყო დამახასიათებელი.

საერთოდ, საკარ-მიდამო ტერიტორიაზე შენობა ნაგებობების ადგილმდებარეობის განსაზღვრის დროს, უპირველეს ყოვლისა, მთავარი ყურადღება უშუალოდ საცხოვრებელი სახლის მდებარეობის განსაზღვრას ექცეოდა. ამის შემდეგ ბოსელის, საქათმის, ტუალეტისა თუ სხვა მსგავსი დატვირთვის მქონე შენობათა მდებარეობა დგინდებოდა. ეს შენობები, როგორც წესი, დაბალი ჰიგიენური მაჩვენებლებით ხასიათდებოდნენ. ამიტომ ცდილობდნენ, რომ ისინი მანდარინის ბალისკენ თუ სახნავ-სათესი ნაკვეთებისკენ ყოფილიყვნენ მიქცეულნი. ამ მოთხოვნის გათვალისწინებით მსგავსი შენობები ეზოს სამეურნეო ნაწილში თავსდებოდა, ეს კი ხშირ შემთხვევაში სახლის უკანა მხარე იყო. აღნიშნულ შენობათაგან სრულიად განსხვავებულია ფურნე, რომლის ჰიგიენური მაჩვენებელი მაღალია. ამიტომაც ფურნეს ადგილმდებარეობის განსაზღვრის დროს უმთავრესი წინაპირობა საცხოვრებელთან მისი მოსახერხებელი კომუნიაცია იყო. პონტოელ ბერძენთა კარ-მიდამოში ფურნეს ადგილი ამ მთავარი პრინციპის მიხედვით დგინდებოდა.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები

ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის პონტოელი ბერძნების საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა XX საუკუნის 50-60-იანი წლების შემდგომია აშენებული. არასაკმარისი, მაგრამ გარკვეული სახის ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაშიცაა დაცული. მასალის სიმწირე ბერძენთა ტრადიციული საცხოვრებლის დიქრონულ ჭრილში რეკონსტრუქციის შესაძლებლობას ართულებს. ამიტომაც, ჩვენს დასაყრდენს, ძირითადად, ნარატიული წყაროები წარმოადგენს. ერთეული შემთხვევის სახით ბოლო დრომდე ძველი საცხოვრებლებიც შემორჩა, მაგალითად, ისეთი როგორცაა ვასილ მავროპულოს „ბაბუის სახლი“. მოგვაჩნია, რომ მისი განზოგადებაც შესაძლებელია, რაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც გამართლებული იქნება.

ხალხური გადმოცემით,⁵³ ბერძნები, თავდაპირველად, პატარა სახლებს აშენებდნენ, ხოლო შემდეგ მას გადააკეთებდნენ ხოლმე და ამ გზით საცხოვრებლის ფართს ზრდიდნენ. ეს ცნობა, გარკვეულად, სინამდვილეს შეესაბამება და ახალმოსახლეობის პირობებსაც ლოგიკურად ესადაგება. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახეზეა რამდენიმე შემთხვევა, როცა ძველი საცხოვრებელი, სახლეულის წევრთა რაოდენობრივი თუ სხვა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მოთხოვნების ზრდის საფუძველზე, მოგვიანებით გადაუკეთებიათ. ამგვარი სახლებიდან მხოლოდ ზოგიერთი იძლევა თავდაპირველი დაგეგმარების აღდგენის საშუალებას. ზოგ შემთხვევაში, გადაკეთებული და გაახლებული საცხოვრებლის თავდაპირველი დაგეგმარებისა და ცალკეულ სათავსთა ფუნქციური დანიშნულების რეკონსტრუქცია სავსე მასალის მოშველიებითაც ხერხდება. ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომები საკითხის აღდგენისა და საცხოვრებლისადმი ოჯახის დამოკიდებულების დინამიკურ განვითარებაზე თვალის გადავინების საშუალებას გვაძლევს.

რეკონსტრუქციული საცხოვრებელი სახლების განხილვამდე საინტერესოა პონტოელ ბერძენთა ისეთი ძველი საცხოვრებლის დაგეგმარებისა და სამშენებლო ტრადიციების განხილვა, რომლებმაც ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოაღწია. ვასილი მავროპულოს ბაბუის – ივანეს (1873-1953 წლები) მიერ აგებულ სახლს დღესაც „ბაბუის სახლს“ უწოდებენ (ტაბ. IV, სურ. 1, 2; ტაბ. II, ფოტო, 81), ამიტომ ქვემოთ ტექსტში ჩვენც ამ სახელს ვიყენებთ. იგი გათლილი ქვისგან იყო ნაგები. სწორედ ეს გარემოება გახდა მისი ჩვენს დრომდე შემონახულობის ძირითადი წინაპირობა. რელიეფი, სადაც აღნიშნული სახლი დგას ფერდობია, ამიტომაც იგი ბელეტაჟის პრინციპზეა დაგეგმარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოსახლო ადგილის გამოთხრა-გასწორების დროს ორსაფეხურიან ტერასას ამზადებდნენ. პირველი ტერასა სახლის საერთო ფართის, კერძოდ, მეორე სართულის ფართობის დაახლოებით ნახევარს აღწევდა. აქ სახლის პირველი სართული იდგმებოდა, ხოლო მეორე ტერასაზე სახლის მეორე სართული შენდებოდა. ბელეტაჟიანი სახლები რელიეფით გამოწვეული თავისებური კონსტრუქციის სახლებია, რომლის მეორე სართულის ერთი ნაწილი სანახევროდ უშუალოდ მიწაზე, ხოლო მეორე ნაწილი პირველი სართულის კედლებს ეყრდნობა. ასეთი სახლები ზედა მხრიდან ერთსართულიანია, ხოლო ქვედა მხრიდან ორსართულიანი. ქართული, და არა მარტო ქართული სამშენებლო ხელოვნება მსგავსი პრინციპით საცხოვრებლის აგებას დიდი ხნიდან იცნობს. ზემო აჭარაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა რელიეფის დახრილობის გამო საცხოვრებელი ქვედა მხრიდან სამ და ოთხ სართულსაც აღწევდა, მაშინ როცა იგივე საცხოვრებელი ზედა მხრიდან მხოლოდ ერთი ან ორი სართული იყო (ადამია, 1956; 1967; მიქელაძე, 1982). ვასილ მავროპულოს ბაბუის სახლის კედლები 62-68 სმ ფარგლებში მერყეობს. ნაგებია თლილი ქვით. ვიზუალური დაკვირვებით ირკვევა, რომ მეორე სართული ხის კედლებით სამ ნაწილად იყო გაყოფილი (ტაბ. IV. სურ.2). სახლეულის ძირითადი სამყოფი ოთახი ერთგვარი ჰოლის სახით სახლის მთელ სიგრძეზე იყო წარმოდგენილი. შესასვლელი კარებიდან პირდაპირ ამ

ოთახში შედიოდნენ. აქვე, შესასვლელიდან მარჯვენა კედელში ბუხარი იყო გამართული. სახლის დანარჩენი ნაწილი ორ თანაბარი ზომის ოთახებად იყო დანაწილებული. ორივე ოთახს თითო სარკმელი გააჩნდა. ერთ-ერთ ოთახს კედელში ჩაშენებული თახჩა ჰქონდა. მეორე ოთახში მცირე ზომის, სანახევროდ უკვე დაშლილი ხის კარადა იყო შემორჩენილი. სახლს იატაკი არ ჰქონდა, თუმცა იატაკის დამჭერი ძელები ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. სახლი „მარსელის კრამიტით“ იყო გადახურული. საინტერესოა ქვის კედლებში სარკმლისა და კარის ღიობების დატოვების წესი, რომელიც ბოლო დრომდე მხოლოდ საეკლესიო არქიტექტურამ შემოინახა. ეს ღიობის გარეთა მხრიდან ვიწროდ, ხოლო შეგნიდან უფრო ფართოდ გამოჭრის პრინციპი იყო, რომელიც ინტერიერში სინათლის მაქსიმალურ შეღწევადობას განაპირობებდა (ტაბ.IV, სურ. 4). სარკმლის ღიობები გარეთა მხრიდან 43 სმ-ს ხოლო ზედა მხრიდან 70 სმ-ს აღწევდა. კარის ღიობიც აღნიშნული პრინციპის დაცვით იყო ნაშენი. გარეთა პირზე ღიობი 70 სმ, ხოლო შიგნიდან 102 სმ. სიფართის იყო. კარის 185 სმ, ხოლო ჭერის სიმაღლე 2,35 სმ-ს აღწევდა. არაერთი ხალხური გადმოცემა და დღემდე შემონახული ფაქტობრივი მასალა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბერძნები ქვითხურობით გამოირჩეოდნენ. ხელოსნობის ეს სახე მათი უმრავლესობისათვის შემოსავლის არსებით წყაროსაც წარმოადგენდა. ზემოთ აღწერილი სახლი ვასილ მავროპულოს ბაბუის – ივანეს (1873-1953 წლები) მიერ იყო აგებული. მისი გამორჩეული ხელოსნური უნარი სახლის დათვალიერებისას ამკარად იკვეთება. ქვები კარგად იყო დამუშავებული, კუთხისა და ღიობების ქვები ერთმანეთზე მაქსიმალური სიზუსტით იყო დაშენებული. თითოეული ქვის ზედაპირიც კარგად იყო მოსწორებული. ვასილ მავროპულოს ძმის სახლში ქვის სათლელ ჩაქუჩს მივაკვლიეთ, რომელიც გადმოცემით ვასილის ბაბუის, კერძოდ, ზემოთ აღწერილი სახლის ამგების საკუთრება იყო. იგი სამჭედლოში გამოჭედილ რკინის ბრტყელპირა ჩაქუჩს წარმოადგენდა, რომელიც ქვის თლისათვის გამოიყენებოდა (ტაბ.IV, სურ.5). აღნიშნული სახლის ბუხარი კედელში იყო ჩაშენებული (ტაბ.IV, სურ.3). მისი სიგანე 85 სმ-ს, სიღრმე – 50 სმ-ს, ხოლო სიმაღლე 96 სმ-ს წარმოადგენდა. ბუხარი თლილი ქვით იყო ნაშენი. **ბუხრის გული** ოთხკუთხა ფორმას ატარებდა. სახლზე შემორჩენილი ხის კედლებიდან, მეტნაკლებად სრულად, მხოლოდ ერთი კედელი იყო შემონახული. ამ კედლის სვეტები და ფიცრები საგანგებოდ იყო დამუშავებული. მათ კიდეებზე, მთელ სიგრძეზე გამწვდომი ლარები ჰქონდა დატანებული, რაც კედელს ესთეტიკურ იერს მატებდა. ბოძებზე შემორჩენილი იყო სამჭედლოში დამზადებული რკინის კრეტ-საბმელები, რაც საერთოდ ქართული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისათვის იყო დამახასიათებელი. არა მხოლოდ კონკრეტულად ვასილ მავროპულო, არამედ კვირიკეში მცხოვრები სხვა ბერძნები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ზემოთ აღწერილი სახლი სოფელ კვირიკეში ერთ-ერთი უძველესი ბერძნული სახლია. ამ ინფორმაციის სიზუსტეს ბერძენთათვის დამახასიათებელი საცხოვრებლის დაგეგმარების არსის ახსნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც გვემიდან ჩანს და სავსე მასალებიც მიუთითებს, ვასილ მავროპულოს „ბაბუის სახლი“ სამი ოთახისგან შედგებოდა, რომელთაგან არცერთი არ ითვალისწინებდა ოთახს – **ხალა**'ს ტრადიციული დანიშნულებით. თანამედროვე პერიოდში ეს ოთახი

კი ბერძენთა და, არა მარტო მათთვის დამახასიათებელი საცხოვრებლის ერთ-ერთი აუცილებელი სეგმენტია. ამ საკითხს ქვემოთ უფრო ფართოდ შევეხებით.⁵⁴

ვასილი მავროპულოს „ბაბუის სახლის“ გეგმა 1987 წელს 70 წლის გიორგი სიმფულიდის მიერ აღწერილ ბერძნულ სახლს ზუსტად ემთხვევა. ამ აღწერილობითაც პონტოელ ბერძენთა ძველი საცხოვრებელი 2-3 ოთახისაგან შესდგებოდა. იატაკი მიწური იყო და ქერი არ ჰქონდა. თუ ადგილი დახრილი იყო, მაშინ სახლის ქვემოთ საქონლისთვის „პადვალს“ აწყობდნენ. კედლებს ქვისაგან აშენებდნენ (Демурова, 1987:19). ზოგიერთი მონაცემით იმ სოფლებში, სადაც ბერძენები ჩასახლდნენ ხოლმე ადგილობრივებს ხის საცხოვრებლები ჰქონდათ გამართული. ეს იყო ნაბლის ხისაგან ნაგები სახლები. თავდაპირველად ბერძენებიც ხის სახლებში ცხოვრობდნენ, მაგრამ როცა ეკონომიკურად მომძლავრდნენ, ზოგიერთმა მათგანმა ქვის სახლების მშენებლობა დაიწყო. სახლი მიწის სიმაღლიდან დაახლოებით ერთი-ორი საფეხურით იყო შემაღლებული. ძირითადად ოროთახიანი და მიწურიანი სახლები ჰქონდათ. ზოგიერთს საძინებელ ოთახში ფიცრული იატაკი ჰქონდა მოწყობილი. ამგვარ ძველ, ხის საცხოვრებელს **ერ-ევი** ერქვა (დემუროვა, 1987:15-16, 19, 22). გადმოცემით ხის სახლებში ძნელი იყო ცხოვრება, წვიმასა და ქარში სიცივე და ნესტი ისადგურებდა. ბერძენები კარგი კალატოზები იყვნენ და თანდათანობით ქვის სახლების მშენებლობა დაიწყეს.

ბერძენთა და არა მარტო მათი საცხოვრებლები წარსულში ყავრით იყო დახურული. ყავარი, როგორც წესი, ძირითადად ნაძვის ხისაგან მზადდებოდა და დაახლოებით 15-20 წელიწადს ძლებდა. სახურავის კონსტრუქცია ნაბლის ხისა იყო. სახურავს წყლის სადინარი ღარი, რასაც რუსული კალკის გავლენით „ჟოლუბს“ ეძახდნენ, არ გააჩნდა (Демурова, 1987:15). შეძლებული ოჯახები სახურავად კრამიტსაც იყენებდნენ, მაგალითად, ვასილ მავროპულოს „ბაბუის სახლს“ ე. წ. „მარსელის კრამიტი“, რომელიც იმ დროისათვის პრესტიჟულიც იყო, დღესაც შემორჩა.

პონტოელ ბერძენთათვის დამახასიათებელი, შედარებით ძველი სტილის საცხოვრებელთა კვლევის თვალსაზრისით საინტერესო იყო სოფელ დაგვაში მ. სტილიდის სახლი. იგი ბელეტაჟის წესით იყო ნაგები. პირველი სართული ნათალი ქვით იყო აგებული. კედლის სისქე 60 სმ-ს აღწევდა. კარისა და სარკმლის ლიობები კი, ვასილ მავროპულოს „ბაბუის სახლისაგან“ განსხვავებით, ოთხკუთხედ იყო ამოყვანილი. რესპოდენტთა გადმოცემით, აღნიშნული სახლის მშენებლობის ისტორია ორ ეტაპს მოიცავდა.⁵⁵ სახლის თავდაპირველი ვარიანტის მშენებლობა XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დაუსრულებიათ, ხოლო შემდგომ, 1990 წელს, ძველი სახლისათვის დამატებითი სათავსები მიუშენებიათ და სახურავიც ახალი გაუკეთებიათ. სამწუხაროდ, საველე მასალებით აღნიშნული სახლის უფრო ძველი ვარიანტის აღდგენა ვერ ხერხდება. დღეის მდგომარეობით, სახლის სახურავი ორფერდაა. პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისაა. აქ სხვადასხვა იარაღ-ინვენტარს, ზამთრის სურსათს ინახავენ. აქვე მანდარინს თუ სხვა სახის ხილსაც იმარაგებდნენ. გადმოცემით პირველ სართულს ძველადაც ანალოგიური ფუნქცია ჰქონდა.

54 სემ, დღიური II-011.

55 სემ, დღიური II-012

მეორე სართული ხისა და ქვის ერთობლივი კონსტრუქციაა. ხით ნაშენი ნაწილი ძველია, ხოლო ქვის ბლოკით მოგვიანებით მიშენებული ნაწილია აგებული. ეს გარემოება, სავლელე მასალასთან ერთად, საშუალებას გვაძლევს ძველი და ახალი დაგეგმარების სპეციფიკა და ფუნქციური თავისებურებები ცალკე-ცალკე განვიხილოთ და შევადაროთ. მ. სტილიდის საცხოვრებლის ძველი დაგეგმარება გეგმაზე VI-X ოთახებს მოიცავს (ტაბ.VI, სურ.3). სახლს ფასადის მხრიდან აივანი ჰქონდა მიდგმული, საიდანაც ცალკეულ ოთახში მოხვედრა შეიძლებოდა (შდრ.: ტაბ.VI. სურ.3 და სურ.4). პირველი სართული 60 სმ. სისქის თლილი ქვითაა ნაშენი. ძველ სახლში VII ოთახი **მისალებს** წარმოადგენდა. აქ ღუმელი – **ფერი** ედგათ, სადაც ოჯახის წევრები ძირითად დროს ატარებდნენ. ხის ძველი სახლი ადგილობრივ აჭარულ მოხელებს – **უსტიებს**, მამა-შვილს – მურად და ქაზიმ ზოიძეებს აუგიათ. ძველ სახლს გარედან ორი შესასვლელი ჰქონდა – ერთი ფასადის მხრიდან, ხოლო მეორე სახლის უკან – VIII ოთახიდან. ამ ოთახს კარები ეხლაც აქვს, ხოლო ძველად მასზე კიბეც იყო მიდგმული. ინფორმატორის – მ.სტილიდის გადმოცემით ბერძნები სახლს მხოლოდ ერთ შესასვლელს უკეთებდნენ, ეს იყო ფასადის მხრიდან არსებული კარები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვასილ მავროპულოს ბაბუის – ივანეს მიერ აგებულ ძველ სახლსაც მხოლოდ ერთი შესასვლელი კარი ჰქონდა. აჭარულ მოხელებს – ზოიძეებს სტილიდებისთვის უთქვამთ, რომ არ შეიძლება სახლს ეზოდან მხოლოდ ერთი შესასვლელი კარი ჰქონდესო, მეპატრონეებიც დათანხმებულან და VIII ოთახში უკანა ეზოდან შემოსასვლელი კარი და კიბე გაუკეთებიათ. სამწუხაროდ სავლელე მასალები დამატებით ვერაფერს აზუსტებს, თუ რით ახსნეს და დაარწმუნეს მოხელებმა სტილიდები ორი შესასვლელი კარის აუცილებლობაში. თანამედროვეობაში ეს კარი დალუქულია, ხოლო კიბე გაუქმებული. ამ საკითხს აჭარის ეთნოგრაფიულ მასალებს თუ მივუსადაგებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ. ტრადიციულ აჭარულ საცხოვრებელს მართლაც ახასიათებდა ეზოდან ორი და, ზოგ შემთხვევაში, სამი შესასვლელი. მათგან ერთი კარი ფასადის – **წინა ეზო**-ს მხრიდან იყო წარმოდგენილი, საიდანაც გარედან შიგნით ოჯახის წევრთა ყოველდღიური კომუნიკაცია ხორციელდებოდა. მეორე ადგილი სახლის **უკანა ეზო**-ში გასასვლელ კარს ეკავა. სახლეულის წევრები ეზოს, მათ შორის ბოსელს უმთავრესად უკანა ეზოს კარიდან უკავშირდებოდნენ. რძის პროდუქტები სახლში ამ კარიდან შეჰქონდათ. აქედანვე საქონლის ერთგვარი საჭმელი – **წარცხი** გაჰქონდათ. ტრადიციულ აჭარულ სახლს გარედან სასტუმრო ოთახისათვის მესამე შესასვლელი კარიც შეიძლება ჰქონოდა. ამ კარებით მხოლოდ სტუმარი სარგებლობდა. აჭარული სახლის ამგვარი საკომუნიკაციო სქემა უნივერსალური ხასიათის არ იყო, თუმცა მაგალითები სპეციალურ ლიტერატურაში მრავლადაა აღწერილი. თუ სამი არა, წინა და უკანა ეზოებიდან შესასვლელი ორი კარი აჭარულ სახლს ტრადიციულად ახასიათებდა. ისინი ტერმინოლოგიურადაც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ და **წინა კარი**'სა და **უკანა კარი**'ს სახით იწოდებოდნენ. აჭარულ სახლს **წინა ბალკონი** და **უკანა ბალკონი**-ც გააჩნდა, რომელთა შესაბამისად კარებიცა და ოთახებიც იყო განთავსებული. სავლელე მასალები ყურადღებას მეორე – უკანა კარის დატვირთვის სხვა გარემოებაზეც ამახვილებს, კერძოდ, ზოგიერთი მონაცემით სახლის უკან მოქცეული უკანა

კარით წევრები იმ შემთხვევაში სარგებლობდნენ, როცა სამუშაოდან ბრუნდებოდნენ და სამუშაო ტანისამოსს იცვლიდნენ. ამდენად, აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში საცხოვრებელში სახლის მეორე კარის არსებობა, ძირითადად, სამეურნეო საქმიანობის პროფილებით, უპირველეს ყოვლისა, მესაქონლეობის მოთხოვნებით და ჰიგიენური ნორმებით იხსნება. სავარაუდოდ, შესაძლოა, ზოიძეებმა სტილიდები ორი კარის აუცილებლობაში ამ მოტივაციებით დაარწმუნეს. მ. სტილიდის კარმიდამოს ძველი და ახალი დაგეგმარება, როგორც ინფორმაციური გადმოგვცემს, მსგავსია. სამოსახლოს რელიეფის გათვალისწინებით ბოსელი სახლის წინ გამართული შენობის პირველ სართულზეა, თუ სწორია ინფორმაცია, რომ ბოსელი ძველადაც აქ მდებარეობდა, მაშინ აშკარაა, რომ ძველ სახლზე უკან დატანებული მეორე კარი მესაქონლეობის მიზნებისათვის გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში დაუზუსტებელი რჩება თუ რა არგუმენტები ჰქონდათ სახლის მოხელეებს მეორე კარის გამართვასთან დაკავშირებით. რადგან მ. სტილიდის სახლი XX საუკუნის 90-იანი წლებისათვის გადააკეთეს, კონკრეტულად კი მას დამატებითი სათავსები მიუმატეს და ხელახლად გადახურეს. პირველი სართული ბელეტაჟის სტილზე დარჩა, რომლის ზემოთაც ძველი სახლის სიგანეზე სამი ოთახი განთავსდა. მათ შორის II ოთახი სამზარეულოა, III ოთახი **მისაღები** ა, ხოლო IV და V სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს უზრუნველყოფს. სახლის რეკონსტრუქციის შემდგომ ძველი სახლის **მისაღები** – VII ოთახი **ზალა** გახდა. ძველი სახლის რეკონსტრუქცია სახლეულის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად საცხოვრებელი სახლისადმი ახალმა მოთხოვნებმაც განაპირობა, მაგალითად, ამგვარ მოთხოვნებად სანიტარულ-ჰიგიენური ხასიათის ოთახების დამატება უნდა მივიჩნოთ. ზალის აუცილებლობით განპირობებული VII ოთახის გამოთავისუფლება. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ახალ ოთახებთან ერთად, ახალი მისაღებისა და სამზარეულოს მოწყობაშიც გამოიხატებოდა.

საცხოვრებელი სახლის დაგეგმარების ანალიზის დროს განსაკუთრებით საინტერესოა სახლის ისეთი ფუნქციური ზონა, როგორიცაა **ზალა**. ქართულ სალიტერატურო ენაში ეს სიტყვა არასრულყოფილადაა განმარტებული. იგი დარბაზის სინონიმად მიიჩნევა. სიტყვა **ზალა** ხალხური გააზრებით იმ ავეჯსაც ნიშნავს, რომელიც ოთახში – ზალაში იდგმება. უცხო სიტყვათა ლექსიკონი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც „დიდი ოთახი ბინაში ან დანესებულებაში, დარბაზი“. ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა სათავეს გერმანულიდან იღებს. ქართულში რუსულის გავლის გზითაა შემოსული. **ზალა**, როგორც რუსულში, ისე ქართულში საზეიმო და სასტუმრო ოთახს ნიშნავს. ქართულ ხალხურ საცხოვრებელში ზალამ თავდაპირველად ფეხი მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირთა საცხოვრებლებში მოიკიდა და შემდეგ მოსახლეობის ფართო ფენებში გავრცელდა. საბჭოთა პერიოდში ამ ფუნქციის ოთახი არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის ბინებშიც თითქმის ყველა ახალგაბეულ სახლს ახასიათებდა. იგი შედარებით ფართოდ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული და ოდა სახლებშიც მოზრდილ მისაღებ ოთახს ეწოდებოდა. აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა საცხოვრებელში წარმოდგენილ ოთახთა განლაგებაში **ზალა**’ს ცენტრალური ადილი ეკავა. პონტოელ ბერძენთა განმარტებით, **ზალა** დიდი ოთახი იყო, კარგად მოწყობილი, რომელიც

საზეიმო და სამგლოვიარო პროცესიის გასამართავად გამოიყენებოდა. ზოგიერთი ეთნოგრაფიული ფაქტით, რომელიც 1987 წელსაა მოპოვებული, ბერძნები ზალას **ერ-ვეი**'ს ეძახდნენ, თუმცა იმავე პერიოდის მასალათა უმრავლესობის მიხედვით **ერ-ვეი** ხის ძველებურ საცხოვრებელს ერქვა (Демурова, 1987:26).

აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა საცხოვრებლის ტრადიციული თავისებურებების ზოგიერთი ნიუანსის შესახებ საინტერესო მასალებს სოფელ ზედა კვირიკეში მდებარე ხრისტო ქსანდოპულოს საცხოვრებელი გვანჯდის (ტაბ. IV). ხრისტო ქსანდოპულოს საკარმიდამო კომპლექსი ზედა კვირიკეში შიდასასოფლო გზის ქვემოთ ფერდობზეა გაშენებული. სახლი გზისპირზე დგას და ისეა დაგეგმარებული, რომ მისი ფასადი გზისკენაა მიქცეული. ეს გარემოება კარმიდამოს დაგეგმარების ერთ-ერთ იმ მნიშვნელოვან მოთხოვნას შეესაბამება, რომელიც გარე სამყაროსთან სახლის კომუნიკაციას მოსახერხებელს ქმნის. ფასადის მხარესვეა სასიამოვნოდ მოწყობილი ვრცელი ეზო. იგი შიდასასოფლო გზათა გასაყარს უშუალოდ ერწყმის. მათ შორის გამყოფი ზღვარი მხოლოდ ლითონის ქიშკარია. საცხოვრებლის უკანა მხარეს კარ-მიდამოს სამეურნეო ნაწილია განთავსებული. აქ მდებარეობს საცხობი – **ფურნე**, საქათმე და ბოსტანი. ამავე მხარეს **ახორი** – ბოსელია მოქცეული, თუმცა კარ-მიდამოში იგი ცალკე შენობად არაა წარმოდგენილი. საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ბოსელის ფუნქციას, სხვა სათავსებისგან იზოლირებული ოთახი ასრულებს. ბოსელთან მისასვლელი პირველი სართულიდანაა მოწყობილი. საპირფარეშოც ამავე მხარესაა გამართული. ფერდობზე გაშენებულ საკარ-მიდამო კომპლექსში სახლისა და წინა ეზოს გამაგრებისა და გავაკების მიზნით, სახლსა და ეზოს ქვედა მხრიდან რკინაბეტონის ჯებირი აქვს ჩამოსხმული. საცხოვრებლის საძირკვლის გამაგრების ეს მეთოდი ფერდობიანი საკარმიდამო კომპლექსებისათვის ძველთაგანვე იყო დამახასიათებელი. ხრისტო ქსანდაპულოს ეს სახლი ორსართულიანია. ფასადის მხრიდან ორივე სართულს ღია აივნები აქვს. მათი ფუნქცია მხოლოდ აივნის ზოგადი დანიშნულებით არ შემოიფარგლება. აივნებს ცალკეულ ოთახთა შორის დამაკავშირებელი საკომუნიკაციო ფუნქციაც აქვთ. აივნის ამგვარი დატვირთვა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სახლს შუა დერეფანი არ ახასიათებს. საცხოვრებლის, როგორც პირველი, ასევე მეორე სართული, დაგეგმარების მიხედვით სამ ნაწილად, სამ ზოლად შეიძლება გავყოთ (ტაბ. V. სურ. 8). ამ შემთხვევაში პირველში აივნები, მეორეში – I, II და VII და მესამე ზოლში III, IV, V, VI ოთახები ერთიანდებიან. მეორე ზოლში მოქცეულ ოთახებთან კომუნიკაცია აივნებიდან ხორციელდება, ხოლო მესამე ზოლის ოთახებში მოხვედრა მეორე ზალიდანაა შესაძლებელი. ორივე სართულის შიდასაკომუნიკაციო სისტემა ოთახთაშორის კომუნიკაციასაც ითვალისწინებს, რაც მერე სართულის მაგალითზე ნათლად ჩანს. ეს სართული ოჯახის ძირითადი საცხოვრებელია. პირველი სართული კი სულ სამეურნეო დანიშნულების სათავსებისაგან შესდგება. მეორე სართულის ოთახთაგან უმთავრესი დატვირთვა ოჯახის ძირითად სამყოფ ოთახზე – **მისალებ ოთახზე** მოდის. ამ ოთახში რკინის ლუმელი დგას და ოჯახის წევრებიც ძირითად დროს აქ ატარებს. ამ ოთახში მოხვედრა მხოლოდ აივნიდანაა შესაძლებელი. თავის მხრივ, მისალები ოთახი სამზარეულოსა და

ზალას უკავშირდება. ზალიდან შესაძლებელია ორ პატარა საძინებელ ოთახებთან დაკავშირება. მეორე სართულზე ეს ხუთი ოთახი ერთ დახურულ კომპლექსს წარმოადგენს. კომუნიკაციის თვალსაზრისით, მათ შორის, მთავარია მისაღები ოთახი, რადგანაც დანარჩენ ოთახებთან კომუნიკაცია, მხოლოდ ამ ოთახიდან ხორციელდება. საველე-ეთნოგრაფიული მასალებითა და გეგმაზე დაკვირვებითაც ჩანს, რომ ხრისტო ქსანდოპულოს ოჯახის ძირითადი სამყოფ-საცხოვრებელი სულ ხუთ ოთახს მოითვლის, რომელიც ერთ დახურულ კომპლექსს წარმოადგენს. საცხოვრებლის დაგეგმარებაში ეს გარემოება არსებითია და სიმყუდროვის, დაცულობის შეგრძნებას და დადებით განწყობას ქმნის, რაც ყველა დროის საცხოვრებლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ხრისტო ქსანდოპულოს მრავალსულიანი ოჯახი ჰყავს, მაგრამ ამ ეტაპზე შვილები და შვილიშვილები საბერძნეთში ცხოვრობენ და პერიოდულად, ძირითადად დღესასწაულებზე ჩამოდიან. მუდმივად სახლში ცოლ-ქმრის სახით ორი სულია წარმოდგენილი. საცხოვრებლის დაგეგმარების დროს ფაქტობრივი შემადგენლობაც და სულადობრივი მატების პერსპექტივაც იყო გათვალისწინებული. მეორე სართულზევე ზემოთ აღნიშნული ხუთი ოთახისგან იზოლირებულად ორი საძინებელი იყო განთავსებული, რომლებთან კავშირიც აივნებიდან ხდებოდა. საცხოვრებლის დაგეგმარების ზემოთ აღწერილი პრინციპები და სტრუქტურა ქვედა აჭარის ხალხური საცხოვრებლისათვის ტიპური იყო. ამ მხრივ პონტოელ ბერძენთა საცხოვრებელში რაიმე ეთნიკური თავისებურება არ იკვეთება. დასახლებულ გეოგრაფიულ არეალში, როგორც ბერძნების, ისე ქართველი მოსახლეობის საცხოვრებლის დაგეგმარება ერთმანეთის მსგავსია, თუმცა ხრისტო ქსანდოპულოს საცხოვრებელში გარკვეული თავისებურებით **ზალა** მაინც ხასიათდება.

საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით,⁵⁶ სხვა ოთახებთან შედარებით **ზალა** უფრო კეთილმოწყობილი ოთახი იყო. მას საცხოვრებლის დაგეგმარებაშიც ცენტრალური ადგილი ეკავა და, უმრავლეს შემთხვევაში, მეორე სართულის გეგმაზე შუაში მდებარეობდა. ზალა ის ოთახი იყო, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა, მათ შორის, ამ ოთახში საპატიო სტუმრების მიღება-გამასპინძლება, წვეულების – „კამპანიის გადახდა“ ხდებოდა. ზალა ქართული ხალხური საცხოვრებლის მსგავსად, ბერძენთა საცხოვრებელშიც დღესაც თავის აქტუალობასა და გამოკვეთილ მდგომარეობას ინარჩუნებს. ჩვენთვის საინტერესო სახლის ზალაში ძირითადი შესასვლელი აივნებიდანაა და მას „წყვილი“ – ორფა კარები აქვს. ზალიდან შესაძლებელია სხვა ოთახებთან დაკავშირებაც. ზალის ასეთი ზოგადი აღწერილობისაგან ხრისტო ქსანდოპულოს ზალა სწორედ ამით – შესასვლელი კარით განსხვავდება. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ზალა აქ იზოლირებულია და მასში მოხვედრა მხოლოდ მისაღებიდანაა შესაძლებელი. თუ აღნიშნული საცხოვრებლის მეორე სართულის გეგმას კარგად დავაკვირდებით, მაშინ დავინახავთ, რომ I, II, III, IV და V ოთახები დამოუკიდებელია, სახლის სხვა სეგმენტებისგან იზოლირებულია. ამგვარი დაგეგმარება კი იმან განაპირობა, რომ ხრისტო ქსანდოპულოს სახლი ადრიდანვე სხვა დაგეგმარებისა

იყო. ოჯახი სახლის პირველ სართულზე ცხოვრობდა, რომლის დაგეგმარებამაც დღეს უცვლელად მოაღწია. მეორე სართული მხოლოდ I-V ოთახებით შემოიფარგლებოდა. თავდაპირველად მეორე სართულს, ძირითადად, სასტუმროს დატვირთვა ჰქონდა და ზალის ფუნქციას ყველაზე დიდი ოთახი ასრულებდა. მას შემდეგ, როცა სახლმა რეკონსტრუქცია განიცადა, მეორე სართულის ოთახთა ძველი განლაგება (შდრ. ტაბ. V, სურ.8. I-V ოთახები), დამახასიათებელი საკომუნიკაციო საშუალებათა ჩათვლით, უცვლელი დარჩა. თუ ადრე ძველ სახლში ოჯახის ძირითადი სამყოფ-საცხოვრისი პირველი სართულის ოთახები იყო, რეკონსტრუქციის შემდეგ სახლეულის ნევრებმა სამყოფად მეორე სართული აირჩიეს, ძველი დაგეგმარება კი უცვლელად დატოვეს, თუმცა აივანი და რამდენიმე სათავსი – სასტუმრო და საძინებელი ოთახები სახლს მიუმატეს (შდრ. ტაბ. V, სურ.8. VI-VII ოთახები და აივანი), რითაც მერე სართულმა საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი ყველა ფუნქცია შეიძინა.

საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით პონტოელი ბერძნები სხვადასხვა წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ.⁵⁷ ამ ჩვეულებებში მიგრაციის ის გზა აისახა, რაც მათ საბერძნეთიდან დაწყებული, ოსმალეთის იმპერიის ჩათვლით, საქართველომდე გაიარეს. ახალ სახლთან დაკავშირებული რიტუალები საძირკვლდან იწყებოდა. ხალხური რწმენით საძირკვლის კურთხევა და დალოცვა აუცილებელი იყო, რასაც მღვდელი ასრულებდა. იგი სახლის მშენებლობის დაწყებას აკურთხებდა და ნაკურთხ წყალს მომავალი სახლის ყველა კუთხეში მოასხამდა. იმავდროულად ქათმის, ზოგიერთი მონაცემით მამლის დაკვლა – შეწირვა და მისი სისხლის საძირკვლის კუთხეებში მოსხმა იცოდნენ (Демурова, 1985:35). ეს პროცესი ოჯახის უფროს მამაკაცს უნდა შეესრულებინა. შემდეგ ქათამს ხარშავდნენ და კერძს ამზადებდნენ. საძირკველში, კერძოდ, საძირკვლის კუთხეებში ვერცხლის მონეტებსაც ფლავდნენ. პონტოელ ბერძენთა რწმენით ვერცხლის მონეტები სახლს სიმყარეს, სიმაგრეს მატებდა, ასევე, ეს გულისხმობდა, რომ მომავალ ოჯახს სამყოფი ფული ექნებოდა. საძირკვლის კურთხევის შემდეგ სუფრას შლიდნენ. აუცილებელი იყო ახალ სახლში პირველი კაცი ან ბავშვი შესულიყო, რათა სახლში ადამიანთა ბედნიერებას დაესადაგურებინა. ხალხური გადმოცემით, სახლში პირველად „ფეხბედნიერი“ კაცი უნდა შესულიყო. ახალ სახლში შესვლასთან დაკავშირებითაც, ასევე, მამლის გარდა ცხვრის დაკვლაც იცოდნენ. შეწირვა სახლის საფეხურებზე სრულდებოდა. შეწირულის სისხლს იმავე საფეხურებზე ან ზღურბლზე მოასხამდნენ. ამას **ყურბანი** – შესაწირავი ერქვა. რესპოდენტთა თქმით, ეს წესი ბერძნებს თურქებისაგან ჰქონდათ გადმოღებული (1987:8, 18,24). პონტოელ ბერძნებში ტერმინი **ყურბანი** მართლაც თურქულიდანაა შესული, მაგრამ სახლის საძირკველზე განხორციელებული მსხვერპლშენიერვის რიტუალის მხოლოდ თურქულიდან წარმომავლობა საეჭვოა.

პონტოელ ბერძენთა საცხოვრებელში გამოკვეთილი და თვალშისაცემია „ხატების კუთხე“, იგივე, „სალოცავი კუთხე“. საცხოვრებელში მისთვის ისეთი ადგილებია შერჩეული, რომლებიც

ნაკლებად თვალშისაცემია. ხრისტო ქსანდოპულოს სახლში ამისათვის სამზარეულოს ერთი კუთხეა შერჩეული, რომელიც შესასვლელი კარების მარცხნივ მდებარეობს და იმისათვის, რომ იგი დაინახო აუცილებლად სამზარეულოში უნდა შეხვიდე. აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა საცხოვრებლების უმრავლესობაშიც სალოცავი კუთხე სამზარეულოშია გამართული, თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა იგი სხვა ოთახშია გამართული. ყოველ შემთხვევაში სალოცავი კუთხისთვის უცხო თვალისაგან იზოლირებული ცალკე ოთახია შერჩეული. იყო ისეთი სახლებიც, სადაც ამა თუ იმ ოთახში გადასატანი ტიხარიც იდგა, რომელსაც ხატი ამშვენებდა და რომლის უკანაც, საჭიროების შემთხვევაში, ხანდაზმულ ადამიანს, ბავშვს ან სტუმარს ეძინა; ეს მათი გამოჯანმრთელების მიზნით ხდებოდა. ამგვარ ტიხარს, როგორც წესი, წმინდა გიორგის ხატი ამშვენებდა, რომელიც, ძირითადად, წმიდა გიორგის გმირობას ასახავდა. წმიდა გიორგისადმი პონტოელ ბერძენთა ასეთი დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ იგი სამ სამყაროს – ადამიანებს, ქვესკნელსა (მიცვალებულებს) და ზესკნელს (ზეცას) შორის უშუალო შუამავალი იყო.⁵⁸ (Зайковская, 1989:110-11). სახატე კუთხის უცხო თვალისაგან მორიდება, სავარაუდოდ, საბჭოთა პერიოდიდან უნდა იღებდეს სათავეს. საქართველოდან მიგრირებულ ბერძენთა მიტოვებულ სახლებშიც ასეთი სახატე კუთხეები დღესაცაა შემონახული. იქ სანთლებს მათი ნათესავები ან მეზობლები ანთებენ. გადმოცემით, ბათუმში მცხოვრებ ბერძენულ ოჯახებში სალოცავი კუთხე მისაღებ ოთახებში იყო გამართული. ამისათვის ორკარიანი ჩუქურთმიანი კარადა იყო გამოყენებული, სადაც ხატები და სხვა ინვენტარი იყო განთავსებული.⁵⁹

პონტოელი ბერძენებისათვის რელიგია – მართლმადიდებელი ქრისტიანობა მათი ყოფიერების არსებითი ორგანული ნაწილი იყო. ბერძენებს რელიგიაზე უარი არსდროს უთქვამთ. ცნობილია, რომ ისინი მართლმადიდებლობას მტკიცედაც იცავდნენ. „სალოცავი კუთხე“, იგივე „ხატების კუთხე“ ამიტომაც წარმოადგენს ბერძენთა საცხოვრებლის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ თავისებურებას, რასაც ისინი საბჭოთა პერიოდშიც იცავდნენ. ამაზე შემდეგი გარემოებაც მეტყველებს, კერძოდ, საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის პროცესში აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძენები დიდ სიამაყით გვიყვებოდნენ, რომ ესა თუ ის ხატი, რომელსაც ისინი თავიანთი სახლების „ხატების კუთხეში“ დღემდე ინახავენ, მათი წინაპრების მიერ საბერძენეთიდან ან ტრაპიზონიდანაა წამოღებული და მას შემდეგ თაობიდან თაობას გადაეცემა.⁶⁰ ამ ხატებთან ერთად ისინი მეხსიერებაში წინაპრების ვინაობასაც ინახავენ და მათ შესახებ ინფორმაციას თაობებს გადასცემენ. ეთნოფსიქოლოგიური თვალსაზრისით თუ მიუხედავებით, თანამედროვეობაში პონტოელი ბერძენების „ხატების კუთხე“ ბერძენთა არაერთი თაობის შესახებ ნარატიული ცოდნის ერთგვარი შემკრებიცაა. მიუხედავად იმისა, რომ პონტოელ ბერძენთა უმრავლესობას გენეალოგიაში მხოლოდ 4-5 თაობის აღდგენა შეუძლია, ხატების კუთხე და აქ დაცული ესა თუ ის ძველი ხატი მთლიანად

58 სემ. დღიური II-015

59 სემ. დღიური II-016

60 სემ. დღიური II-017

საგვარეულოს წევრთა მატინა. მათ ბერძნები ზოგადად წინაპრებს უწოდებენ, რომლებიც სამ-შობლოსთან – საბერძნეთთან და მცირე აზიასთან – ტრაპიზონის მხარესთან დამაკავშირებელ ერთგვარ უხილავ ძაფებს წარმოადგენენ. როცა ბერძენი მის სახლში დაცული ძველი ხატის ისტორიის შესახებ მოგიტობს, მის სახეზე უდიდესი სიმშვიდე და კმაყოფილება ისადაგურებს, მასში შინაგანი სიამაყე ვლინდება, რასაც თან სდევს, ასევე, სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც წინაპართა შესახებ ცოდნის შენახვასა და გადაცემაში ვლინდება.⁶¹

ამდენად, ხრისტო ქსანდოპულოს საცხოვრებლის ისტორია საინტერესოა იმ თვალსზრისით, რომ ფაქტობრივად მის საცხოვრებელში ძველისა და ახლის ორი განსხვავებული დაგეგმარება იკვეთება, რაც როგორც ჩანს ხრისტო ქსანდოპულოს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებითა და სულადობრივი ზრდით იყო განპირობებული.

ჩვენს მიერ დახასიათებული საცხოვრებლები ისტორიული განვითარებითა და დღემდე მოღწეული დაგეგმარებით არაერთი საინტერესო კონსტრუქციული თავისებურებით ხასიათდება, რომელიც რეგიონში მცხოვრები ბერძნებისათვის, ისე როგორც ქართველებისათვის ზოგადაა, მაგრამ გვხვდება განსხვავებული გეგმარებითი სტრუქტურის მქონე საცხოვრებლებიც, რომლის საილუსტრაციოდ, სხვებთან ერთად, მიხეილ ფუტურიდის სახლის დასახელებაც საკმარისია. ესაა ერთგვარი გრძივი დაგეგმარების საცხოვრებელი, რომელსაც ეზოს მხრიდან, სახლის მთელ სიგრძეზე ღია აივანი გასდევს.

ცხობა, როგორც კულინარიული პროცესი, უძველესი დროიდანვე იყო ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი. ამ მხრივ ქართულ არქეოლოგიაში არაერთი საცხობი საშუალებაა დადასტურებული, ასევე, ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდშიც ქართული ხალხური სამზარეულო ტექნოლოგიები განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას ავლენდა, სადაც გამორჩეული ადგილი **ფურნე**’ს ეკავა (ტუნაძე, 1996:91–106).

საველე-ეთნოგრაფიული მასალებით ნათლად იკვეთება, რომ აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა საკარმიდამო კომპლექსი, როგორც ზემოთაც კარმიდამოს ზოგადი აღწერისას იყო აღნიშნული, კაპიტალური შენობის სახით საცხობ საშუალებას აუცილებლად მოიცავდა. მას **ფურუნი** ეწოდებოდა (ტაბ.VIII). ზოგჯერ იგი **ფურნინი**’ს სახითაც მოიხსენიებოდა (Демурова, 1987:23). რამდენადაც საცხობი საშუალების ეს ბოლო სახელწოდება XX საუკუნის 80-იან წლებშიცაა დადასტურებული, მივიჩნევთ, რომ ბერძნულ ყოფაში მისი გაცოცხლება უფრო მართებული იქნებოდა. ბერძენთა კარმიდამოს აბსოლუტურ უმრავლესობას **ფურნინი** ტიპურად ახასიათებდათ. ამასთან დაკავშირებით რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ყოველი ბერძენი ახალმოსახლე კარ-მიდამოში ცალკე საკუთარ ფურნინს იკეთებდა. თანამედროვეობაში ფურნინი პურის საცხობად ნაკლებად გამოიყენება. ახლო წარსულში მას ჭყინტი სიმინდის გასახმობად, სხვადასხვა ხილისაგან საზამთროდ ჩირის დასამზადებლად და „პასკის“ საცხობად იყენებდნენ და დღესაც იყენებენ. გამხმარი ჭყინტი

61 სემ. დღიური I-010

სიმინდი, საჭიროების შემთხვევაში, ხელსაფქვავით იფქვეოდა და მიღებული ფქვილი კულინარიაში, ტრადიციული ბერძნული კერძის მოსამზადებლად გამოიყენებოდა.

სამშენებლო და კონსტრუქციული თვალსაზრისითაც აჭარაში ბერძენთათვის დამახასიათებელი ფურნინი აჭარის სხვა კუთხეებში დადასტურებული ანალოგიური საცხოვრებელი საშუალებებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. მათ შორის ტერმინოლოგიური მსგავსებაც სახეზე იყო. იგი ზემო აჭარაში ბოლო დრომდე შემორჩა და მას **ფურნე** ჰქვია. ზემო აჭარაში ფურნემ ფუნქციური დატვირთვა დაკარგა და თანდათანობით საკარმიდამო კომპლექსიდანაც გაქრა. ბერძნულმა კარ-მიდამომ კი **ფურნინი**, დამახასიათებელი ფუნქციური აქტიურობით, დღემდე აქტიურად შემოინახა. ბერძნულ კარ-მიდამოში **ფურნინი** ორქანობიანი სახურავით ოთხკუთხა დაგეგმარების შენობა იყო. ზოგ შემთხვევაში მის გვერდზე **საშეშე** იყო მიდგმული, რომლის სახურავი ფურნინის სახურავის გაგრძელებას წარმოადგენდა. ხელმისაწვდომობისა და ჰაერის ადვილად ვენტილაციის მიზნით საშეშე წინა მხრიდან ღია იყო, რაც ხელს უწყობდა შეშის ხმობას (ტაბ.VIII. სურ.1,2). გვხვდებოდა ბეტონის ქვით ნაგებ, კაპიტალურ შენობაში მოწყობილი ფურნინის ვარიანტებიც. ამგვარი დაგეგმარება უფრო ხელსაყრელი და მოსახერხებელი იყო, განსაკუთრებით, უამინდობის შემთხვევაში (ტაბ. VIII. სურ.7).

უმრავლეს შემთხვევაში, ფურნინს მართკუთხა ან კვადრატული დაგეგმარება ჰქონდა. გარე პერიმეტრის მიხედვით, ფურნინის ზომები დაახლოებით ორი, ორნახევარი მეტრის ფარგლებში, ხოლო შიდა სივრცე 1,20-1,50 მეტრის ფარგლებში თავსდებოდა. ფურნინის მშენებლობა გარკვეულწილად ქართულ სამშენებლო წესებთან თანხვედრაში იყო. ფურნინის მშენებლობისას პირველი რიგის ამოცანა კარ-მიდამოში მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრა იყო. ფურნინის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკარმიდამო რელიეფისა და საცხოვრებლის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ხდებოდა. ამის შემდეგ სამშენებლო ზედაპირს მოასწორებდნენ და **ფუნდამენტს** ანუ საძირკველს საჭირო ზომების მიხედვით გააკეთებდნენ. ფურნინის საძირკველი შეიძლება თლილი ქვის მშრალი წყობით ყოფილიყო ამოყვანილი, რომლის ზომები კედლის ქვებთან შედარებით უფრო ფართო იყო. საძირკველი ბეტონით იყოს ჩასხმული. პონტოელ ბერძნებში ორივე ვარიანტი გვხვდებოდა. უფრო ძველი ფურნინების საძირკველი მშრალი წყობით ნაგები თლილი ქვით იყო გაკეთებული. საძირკველის გამზადებისას ფურუნის კედლებს დაახლოებით 70-80 სმ. სიმაღლემდე აიყვანდნენ, რის შემდგომაც შიდა ცარიელ სივრცეს თიხანარევი მინითა და ქვიშით ამოავსებდნენ. მინა და ქვიშა პერიოდულად იტკებნებოდა. ამ დროს ცოტ-ცოტა წყალსაც დაასხამდნენ, რამდენადაც, ხალხური გადმოცემით, ასეთი წესით მინა უფრო კარგად იტკებნებოდა და მაგრდებოდა. ზემოდან დაახლოებით 15-20 სმ სიმაღლეზე მხოლოდ წვრილ ქვიშას დააყრიდნენ და მასაც კარგად დატკებნიდნენ. ბოლო ქვიშიანი ფენა გახურებული ფურუნის ქვებსა და მინას შორის ერთგვარი თბოიზოლაციის ფუნქციას ასრულებდა. ამგვარი წესით ფურნინი დაახლოებით 70-80 სმ. სიმაღლემდე აჰყავდათ. შემდეგ უშუალოდ საცხოვრებელი ნაწილი – შიდა სივრცე კეთდებოდა (ტაბ.VII. სურ.4). ეს ნაწილი აცილებლად ნათალი ქვით იყო აგებული. ქვები წინასწარ,

სპეციალურად იყო შერჩეული და დამუშავებული. **ფურნინის ძირი** ფართო და სწორზედაპირიანი ქვებით იყო მოგებული ისე, რომ ქვები ერთმანეთზე რაც შიძლება მჭიდროდ ყოფილიყო მიდგმული. ფურნინის ძირზე ცეცხლი ინთებოდა. ყველაფერი ისე იყო გამართული, რომ გახურებული ნაკვერცხლი და ნაცარი ადვილად გამოხვეტილიყო და საცეცხლე ადგილი განმენდილიყო. ფურნინის ძირი აუცილებლად ოვალური უნდა ყოფილიყო, რადგან კედლების ამოშენება და ფურნინის შიდა სახურავის მომრგვალებაც მასზე სწორებით მიმდინარეობდა. ფურნინის ძირის შემდეგ, დაახლოებით 30-40 სმ. სიმაღლეზე, შიდა კედლების ქვებს დგამდნენ. წინა მხრიდან კარის ღიობს უკეთებდნენ. ზოგ შემთხვევაში კი კარს გვერდიდან პატარა ხვრელს უტოვებდნენ. ეს იმ მიზნით, რომ კარის ხშირად გაღება და შიდა ტემპერატურის ვარდნა არ მომხდარიყო. ამ ხვრელიდან ფურნინში შეხედვა და ცხობის დონის განსაზღვრა შეიძლებოდა. ფურნინის ძირზე დადგმული ქვები ერთგვარი საყრდენის ფუნქციასაც ასრულებდნენ. ამ ოვალურ კედელს ფურნინის შიდა გადახურვა ეყრდნობოდა. ლი ქვების დადგმის შემდეგ დარჩენილი სივრცეზე კვლავინდებურად მიწითა და ქვიშით ივსებოდა. უფრო მეტი ქვიშა ფურნინის კედლებს სჭირდებოდა, ხოლო გარე კედლებს, პირიქით, მეტი თიხამინა ესაჭიროებოდა. ბოლოს საცხობის ოვალური გადახურვა იწყებოდა. ზოგადად, ფურნინის მშენებლობაში ხელოსნისათვის ყველაზე რთული პროცესი შიდა სახურავის მოწყობა იყო. ეს გარკვეულ გამოცდილებასა და სიფრთხილესაც მოითხოვდა, რამდენადაც მშრალი წყობის წესით ოსტატს საცხობის ოვალური სახურავი უნდა გაეკეთებინა. ამ მიზნით სამშენებლო ქვებიც სპეციალურად სხვადასხვა ფორმის ითლებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვის გვერდითი კედლების დახრილობის კუთხეს ჰქონდა. მას ოსტატი თანმიმდევრობით განსაზღვრავდა ისე, რომ სასურველი ოვალი შეექმნა. ამიტომაც ქვებიც, არა მხოლოდ დახრილობის კუთხით, არამედ ზომითაც სხვადასხვა იყო. ეს წესი, მაგალითად, თალიანი ქვის ხიდების მშენებლობის წესებს იმეორებს. საერთოდ, თალის მშენებლობაში იგი უნივერსალური იყო. ფურნინის თალის სიმაგრეს ხელოსანი ხელის დანოლით ამოწმებდა და მხოლოდ ამის შემდეგ მას ზემოდან ქვიშანარევ თიხამინას დააყრიდა. ფაქტობრივად ფურნინის შიდა სივრცის მშენებლობა ამით სრულდებოდა. სულ ბოლოს სახურავის კონსტრუქცია იმართებოდა. ეს პროცესი სახურავის მოწყობის ჩვეულებრივ სამშენებლო წესებს სრულად იმეორებდა. ფურნინის გარეთა კედლებზე ხის ძელები მაგრდებოდა, რაზეც სახურავის ჩათვლით სახურავის ხის კონსტრუქცია იმართებოდა. ფურნინს წინა მხარეს საკვამური უკეთდებოდა. იგი ცეცხლის დანთების დროს იხსნებოდა და კვამლი იქედან მოძრაობდა. შემდეგ საკვამურს მჭიდროდ ლუქავდნენ, რათა სითბო გარეთ არ გასულიყო. ფურნინის კარი ლითონის იყო. იგი კარის ღიობის შესაბამისად, ოთხკუთხა ფორმას ატარებდა. ჰქონდა სახელური. ფურნინის ფუნქციონირების აუცილებელ ინვენტარს **ტაფა**, **ნიჩაბი** და **თოხი** წარმოადგენდა. მცხობელს გახურებული ნაკვერცხალი ჯერ თოხით უნდა გამოეხვეტა, შედგომ ფურნინის ძირი გამოესუფთვებინა. ხის ნიჩაბი კი ცომიანი ტაფის გახურებულ ფურუნში შესაწყობად გამოიყენებოდა.⁶²

ფურნინის, როგორც საცხოვრებელი საშუალების კონსტრუქციის ძირითადი სამშენებლო პრინციპი ტემპერატურის შენარჩუნება-კონსერვაცია იყო. რამდენადაც ფურნინი გარეთ, ღია ცის ქვეშ იყო გამართული, ამდენად ტემპერატურის შენარჩუნების ძირითადი კონსტრუქციული საშუალებები სახურავი და სქელი კედლები იყო. სახურავი ფურნინს ნალექებისაგან იცავდა და ამ გზით მას სიმშრალეს უნარჩუნებდა. ფურნინის სქელი კედლები კი მის შიგნით სითბოს ხანგრძლივობას უზრუნველყოფდა. გარეთა კედლებიც, თავის მხრივ, ფურნინს ცივი ჰაერის ზემოქმედებისაგან იცავდა. ტემპერატურის შენარჩუნებას, ასევე, კარიც ემსახურებოდა. იგი, როგორც წესი, პატარა უნდა ყოფილიყო (ტაბ.VIII. სურ.ნ). ჩვენს მიერ ხელმისაწვდომი ფურნინების კარები, სიგრძე-სიგანით 25-30 სმ-ს. არ აღემატებოდა. რესპოდენტთა თქმითაც, ეს ზომები სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ყველა ის საქმე შესრულებულიყო, რაც ცხოვრებასა თუ ხმობასთან იყო დაკავშირებული.


ფურნე//ფურუნი, როგორც საცხოვრებელი საშუალება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე ფართოდ იყო გავრცელებული. განსაკუთრებით თვალშისაცემი კი ეს აჭარისა და ადიგენის ტრადიციული კარმიდამოსათვის იყო დამახასიათებელი, სადაც იგი ცალკე მდგარი შენობის სახით იყო წარმოდგენილი. დარბაზული ტიპის საცხოვრებელში კი პირიქით, ფურნე დარბაზის ერთიან კონსტრუქციაში იყო მოქცეული. ფურნე დამახასიათებელი იყო კლარჯული კარმიდამოსთვისაც, სადაც იგი ზოგჯერ ცალკე მდგარი ნაგებობაა, ხოლო ზოგ შემთხვევაში სახლზეა მიშენებული, ან უშუალოდ საცხოვრებლის შიგნითაა მოქცეული (კლარჯეთი, 2016:312).

ნივთის სიცოცხლისუნარიანობას, როგორც წესი, უმთავრესად, მისი ფუნქციური მახასიათებლის საჭიროება ანდა საოჯახო მოთხოვნილება განაპირობებდა. პონტოელ ბერძენთა ყოფით ყოველდღიურობაში ამის ნათელ დადასტურებას ფურნინთან ერთად ხელსაფქვავე – **შორომილი** წარმოადგენდა (ტაბ.IX). მას ხელის წისქვილსაც ეძახდნენ. ეს იყო 31.5 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე, ორი სპეციალურად დამუშავებული ქვა. შორომილისათვის ისევე, როგორც წყლის წისქვილისათვის ქვა საგანგებოდ იყო შერჩეული. ასეთი ქვა კაჟნარევი, მაგარი უნდა ყოფილიყო, თუმცა იგი დამუშავებასაც უნდა დაქვემდებარებოდა. განსხვავება წყლის წისქვილის ქვასა და ხელსაფქვავეს ქვებს შორის მხოლოდ ზომებში გამოიხატებოდა. სხვა მახასიათებლები, კერძოდ, ქვის სახეობა, დამუშავების თავისებურებები, ქვის ფორმები ერთნაირი იყო. შორომის ქვედა და ზედა ქვების მუშა ზედაპირების დამუშავების დროს არსებითი მნიშვნელობის მქონე მისი ზედაპირის მცირედ დახრა და სწორად გათლა იყო. იგი ისე მზადდებოდა, რომ ქვის ცენტრიდან კიდებისაკენ ზედაპირი თანაბრად და მცირედ დახრილი ყოფილიყო. დახრილობა აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან ამ გზით ფქვილი თვითდინებით, ასევე, ზედა ქვის წრიული მოძრაობის დახმარებით, ეტაპობრივად გარეთ გამოდიოდა. ქვედა ქვის ზედაპირი სპეციალურად იყო დამუშავებული – **მოკოდილი**. ეს ცენტრიდან პერიფერიისკენ მიმავალი ღარები იყო (ტაბ.IX. სურ.2). მათი საშუალებით ქვებში მოხვედრილი მარცვალე წინააღმდეგობას აწყდებოდა და იფქვეოდა. შორომის ქვედა ქვას შუაზე დაახლოებით 5 სმ დიამეტრის ფოსო ჰქონდა ამოჭრილი, სადაც შესაბამისი ზომის


ხე იყო ჩაშენებული. იგი ქვაში მყარად იჯდა და არ მოძრაობდა. მას შუა ნაწილში დაახლოებით 0.5 სმ. დიამეტრის მრგვალი რკინა ჰქონდა ჩაჭედებული. ეს მსხვილი თავნაკვეთილი ლურსმანიც შეიძლება ყოფილიყო. ასეთ რკინის ღეროზე ჰორიზონტალურად ხის პატარა ძელაკი მაგრდებოდა (ტაბ. IX, სურ. 3). ხელსაფეკავის ეს დეტალი, არა ხოლოდ შორომისთვის, არამედ საერთოდ, ნისქვილისთვისაც დამახასიათებელი აუცილებელი ელემენტია. მას აჭარაში **არქი** ეწოდება, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით აჭარაში მცოვრებ პონტოელებში ბერძნული, ან სხვა ტერმინის დადასტურება. თავის მხრივ, შორომილის ზედა ქვას ქვემოდან, ცენტრალურ ნაწილში, არქის ფორმისა და ზომის ბუდე ჰქონდა ამოჭრილი. შორომილის ზედა ქვა ქვედას ეხურებოდა და არქი შუაზე ექცეოდა. ზოგადად ხელსაფეკავებში, მათ შორის, შორომილიში არქი ორ ძირითად ფუნქციას ასრულებდა: ერთის მხრივ იგი ხელს უწყობდა ზედა ქვის წრიული მოძრაობის წინასწორობას, ხოლო მეორეს მხრივ მარცვლეულს ქვების საფეკავი ნაწილისაკენ ფანტავდა. წყლის ნისქვილის შემთხვევაში არქის ამ ფუნქციებს მესამე ემატებოდა. ასეთი არქი რკინისა იყო. იგი შედარებით ღერძზე შედარებით მყარად იყო დამაგრებული. ღერძზე მიშვებული იყო წყლის ჭავლი, რომელიც ღერძს, მასზე დამაგრებულ არქსა და არქზე დადგმულ ქვას ატრიალებდა.

ხელსაფეკავი – **შორომილი** ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ქვის კონსტრუქციის საინტერესო მოწყობილობაა. იგი წარმომავლობით საკმაოდ ძველია და ნეოლითური ეპოქიდან იღებს სათავეს, იმ დროიდან, როცა ადამიანები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ და მარცვლეული კულტურის არა მარტო მოყვანა, არამედ მისი მოვლა-პატრონობა, დამუშავება და დაბინავება – საზამთროდ თუ მომავალ მოსავლამდე მომარაგება ისწავლეს. ქართული მოსახლეობის ტრადიციული სამეურნეო კულტურის მსგავსად, პონტოელ ბერძენთა ეთნოგრაფიულმა ყოფმაც ხელსაფეკავი XX საუკუნის მეორე ნახევრამდე აქტიურად შემოინახა, რაც, თავის მხრივ, პონტოელ ბერძნებში ტრადიციული კერძების მომზადების ჩვეულებამ განაპირობა.⁶³

ვ. მავროპულოს საკარმოდამო კომპლექსი და საცხოვრებელი სახლი. სოფ. კვირიკე.




სურ. 1. ვ. მავროპულოს კარმოდამოს გენ-გეგმა




სურ. 2. ვასილის ძმის სახლის პირველი და მეორე სართულების გეგმები


ვ. მავროპულოს ბაბუას – ივანეს ძველი სახლი. სოფ. კვირიკე.




სურ. 1. პირველი სართულის გეგმა




სურ. 2. მეორე სართულის გეგმა



სურ. 4. კარის ლიობი (ჭრილი)



სურ. 5. ქვის სათლელი ჩაქუჩი (რკინა)



სურ. 3. ბუხარი (სქემატური ნახაზი)

ბ. ქსანდოპულოს კარმიდამო და საცხოვრებელი სახლი. სოფ. კვირიკე.



სურ. 1. სახლის ფასადი, ეზოს მისასვლელი და სახლის ზემოთ გამავალი გზა



სურ. 2. სახლის ხედი გზის მხრიდან




სურ. 3. სახლის უკანა მხარე – ეზოს სამეურნეო ნაწილი




სურ. 4. ეზოს სამეურნეო ნაწილი. წინა პლანზე ჩანს შეშა, „ნავთის ბაკი“ და ფურნე




სურ. 5. ჩითილების გამოსაყვანი ტერასა – „საპარნიკე“.



სურ. 6. სრ. ქსანდოპულოს კარმიდამოს გენ-გეგმა




სურ. 7. სრ. ქსანდოპულოს სახლის პირველი სართულის გეგმა




სურ. 8. სრ. ქსანდოპულოს სახლიმეორე სართულის გეგმა

ტაბულა VI.


მ.სტილიდის საკარმიდამო კომპლექსი. სოფ. დაგვა.




სურ. 1. კარმიდამოს გენ-გეგმა




სურ. 2. პირველი სართულის გეგმა




სურ. 3. მეორე სართულის გეგმა




სურ. 4. ძველი სახლის მეორე სართულის გეგმა (რეკონსტრუქცია)




სურ. 1. ლ. მავროპულოს კარმიდამოს გენ-გეგმა.
1.საცხოპი, 2.ბოსელი, 3.სახლი, 4.ავტოფარეხი, 5.საქათმე



სურ. 2. ლ. მავროპულოს სახლი. მეორე სართულის გეგმა





სურ. 3. მ.სტილიდის მეზობლის სახლის პირველი და მეორე სართულების გეგმები სოფ. დაგვა



სურ. 4. რეზო ბერიძის სახლი. მეორე სართულის გეგმა. სოფ. კვირიკე

ტაბულა VIII.


საცხობი – „ფურნინი“



სურ. 1. ს.ქსანდოპულოს საცხობი – „ფურნინი“. გეგმა და ქრილი




სურ. 2. ს. ქსანდოპულოს საცხობი – „ფურნინი“.



სურ. 3. „ფურნინის“ ნიჩაბი და თოხი




სურ. 4. „ფურნინის“ ინტერიერი – ქვის წყობა




სურ. 5. საცხობი ტაფა



სურ. 6. „ფურნინის „პირი“ — კარის ლიობი



სურ. 7. პაპანდოპულოს საცხობი — „ფურნინი“. სოფ. ზედა კვირიკე



სურ. 8. პ. მავროპულოს საცხობი — „ფურნინი“. სოფ. კვირიკე



პ. მავროპულოს ხელსაფეკვაი. სოფ. ზედა კვირიკე.




სურ. 1. ხელსაფეკვაი „შორომილი“



სურ. 2. ხელსაფეკვაის ქვედა ნაწილი და მასზე დამაგრებული ხის „არქი“.



სურ. 3. ხელსაფეკვაის ხის „არქი“ და მისი ქვაში ჩასასმელი ბუდე



სურ. 4. ხელსაფეკვაის ტერილი

§ 5. მონუმენტური არქიტექტურა და მემორიალური კულტურა

პონტოელ ბერძენთა აჭარაში დასახლება, ძირითადად, თანხვედბა რუსეთ–ოსმალეთის ბოლო ომის შემდგომ პერიოდს. დედა-სამშობლოსთან ახლად შემოერთებული აჭარისათვის მართლმადიდებელი ბერძენებთან ურთიერთობა ქრისტიანულ სანყისებთან მიბრუნების ხელშემწყობი ფაქტორიც იყო. მართალია, ეს რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო და, გარკვეულწილად „თურქეთიდან ქრისტიანთა გადმოსახლების კომიტეტის“ საქმიანობა ამ მიზანსაც ემსახურებოდა, მაგრამ პონტოელი ბერძენების სახით, აჭარის მაჰმადიანი მოსახლეობა დაუახლოვდა არა მხოლოდ ეთნიკურად, არამედ რელიგიურადაც უცხო ხალხს. აქვე აღვნიშნავთ, რომ პონტოელმა ბერძენებმა მათთვის დამახასიათებელი ტრადიციული კულტურის პარალელურად, მონუმენტური არქიტექტურის თვალსაზრისითაც, ახალი შტრიხები შემოიტანეს საქართველოს საეკლესიო არქიტექტურაში.

პონტოელმა ბერძენებმა აჭარაში სათავე დაუდეს საეკლესიო მონუმენტური არქიტექტურის ახალ – პოსტოსმალურ პერიოდს. მოცემულ შემთხვევაში სიახლე არ გამოიხატებოდა მხოლოდ ქრონოლოგიურ პერიოდიზაციაში, არამედ იმ დროის სამხრეთ–დასავლეთ საქართველოსათვის ეს იყო თვისობრივადაც ახალი სტილის საეკლესიო არქიტექტურა, რომელიც, თავის მხრივ, ნეოელინური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, ბიანტიური და პოსტბიზანტიური არქიტექტურული ტრადიციების გაგრძელება (ჭიჭინაძე, 2011:750).

აღსანიშნავია, რომ ბერძენები ეკლესიებს ქართულ ნაეკლესიარ ადგილებზე აშენებდნენ, ხშირად, ძველი ქართული ეკლესიების მასალასაც იყენებდნენ (ჭიჭინაძე, 2007:1).⁶⁴

აჭარში ბერძენების ინციატივით აშენებული ტაძრების არქიტექტურული ფორმა, სტრუქტურა, დეკორი ტიპოლოგიურად ერთნაირია. ეს ეხება დაგეგმარებასაც, ესაა გეგმაზე მართკუთხედის ფორმის შენობა ოვალური სამნაწილიანი საკურთხევლით. საკურთხევლის სამივე ნაწილს ახასიათებს სარკმლები. ტაძრის მოცულობის შესაბამისად, ინტერიერში გუმბათისა და სახურავის დამჭერი სვეტების ორი რიგი გვხვდება, რომელთა მეშვეობითაც ტაძრის ინტერიერი სამ ნაწილად იყოფა. შედარებით მცირე ზომის ტაძართა საკურთხეველი ერთნაირია, მხოლოდ ერთი ოვალური რკალის ფორმის, ხოლო დიდი ზომის ტაძრების საკურთხეველი სამი რკალისაგან შედგება. პონტოელ ბერძენთა განსახლების არეალში – აჭარის ყველა სოფელში ერთი ტაძარი მაინც, გვხვდება. ზოგ შემთხვევაში კი რამდენიმე მართლმადიდებლური ტაძარია. ხალხური გააზრებით ისინი დღემდე ცნობილი არიან, როგორც ბერძნული ტაძრები. ამ მხრივ ერთგვარი გამოწვევისაა ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, რომელსაც ერთი პერიოდი რუსულ ტაძარსაც ეძახდნენ. ეს ხალხში დარჩენილი არაფორმალური სახელწოდებაა, რომელიც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, ძირითადად ბერძენებში, ბათუმის სხვა დიასპორებში

და ნაწილობრივ ქართველებშიც, დღემდე ინარჩუნებს „ბერძნულის“ სახელს, ანუ ეთნიკური და არა რელიგიური ნიშნით მარკირებას.

ბერძნული მართლმადიდებლური ტაძარი გეგმაზე მართკუთხა დაგეგმარებისაა, ისე, როგორც ეს თავის დროზე ბიზანტიური – ბაზილიკური სტილის ტაძარებისათვის იყო დამახასიათებელი. აჭარაში არსებული ბერძნული ტაძრები ბაზილიკური ეკლესიისაგან მხოლოდ საკურთხევლის ოვალური ფორმებით და სახურავის კონსტრუქციით განსხვავდება. აჭარაში ბერძნული ტაძრის საკურთხეველი სამი ნახევარკალის წრიული შეერთებითაა მიღებული. ამგვარი საკურთხეველი ახასიათებს ყველა ბერძნულ ტაძარს. ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ სოფელ კვირიკეს წმიდა გიორგის სახელობის ტაძარია, იმავე სოფელში წმ. ქალწულმონამე კერკირას სახელობის მცირე სამლოცველო და სოფელ აჭყვის წმ. გიორგის ტაძარია, რომლებსაც ნახევარწრიული – მომრგვალებული საკურთხეველი აქვთ. აღნიშნულ ტაძართა ამგვარი დაგეგმარება, მათ შორის საკურთხევლის ფორმა, სავარაუდოდ თავად სამლოცველოთა ზომით უნდა იყოს განპირობებული. მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა თავად ბერძნებში დაცული ზეპირი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც კვირიკეს წმიდა გიორგის ტაძრის ადგილზე, როცა ბერძნები აქ დასახლებულან ქართველთა დროინდელი ძველი ტაძრის ნანგრევები იყო. ბერძნებს მის ადგილზე ახალი სამლოცველო აუშენებიათ, მაგრამ ხალხურ მეხსიერებაში ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ძველი – ეგ.წ. ქართველთა დროინდელი ტაძარი გეგმაზე ვეღარ შემოინახა. რაც შეეხება ბერძნული ტაძრების სახურავის კონსტრუქციასა და გუმბათს, აქაც შეიმჩნევა მცირეოდენი სხვაობები. სახურავი გეგმაზე მართლაც ტოვებს ჯვრის იმიტაციას, რომლის შუა ადგილი გვირგვინს უკავია. თუმცა გადახურვის კონსტრუქციის ამგვარი ფორმა თავად ტაძრის გეგმაზე არ აისახება. ტაძრის საძირკველი მართკუთხა ფორმის რჩება, ანუ ბაზილიკური სტილის ტაძრების გეგმარებას ინარჩუნებს. ამდენად ბერძნული ტაძრები, ჩვენის აზრით, ვერ ჩაითვლება ჯვარგუმბათოვანი სტილის არქიტექტურულ ძეგლებად, რამდენადაც ეს არქიტექტურული სტილი, მხოლოდ სახურავის კონსტრუქციაში ჩანს და თავად ტაძრის დაგეგმარებაში არ გამოიხატება. ჯვარგუმბათოვანი სტილი გამოკვეთილად და თვალნათლივ ჩანს ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, მაგალითად, როგორცაა მცხეთის ჯვარი და მისი შემდგომი პერიოდის ქართული ტაძრები საქართველოში, სადაც ჯვრის ფორმას ტაძარი გეგმაზეც და სახურავის კონსტრუქციაშიც ინარჩუნებს.

თანამედროვეობაში ბერძნული ტაძრების გუმბათი უმრავლეს შემთხვევაში აღდგენილია. ამ მხრივ გამონაკლისი ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ტაძარი და ზედა კვირიკეს წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ტაძრებია, რომლებიც გადაურჩა დანგრევას და მათზე შემორჩენილი გუმბათი თავდაპირველი სახითაა მოღწეული. თანამედროვეობაში ახალი, ანუ აღდგენილი გუმბათები, როგორც წესი ტაძრის სახურავის შუა ნაწილშია აღმართული. ყოროლისთვის წმიდა პანტელეიმონის ტაძრის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, რომლის შემთხვევაშიც საშუალება გვაქვს ძველი და ახალი გუმბათი ერთმანეთს შევადაროთ, აშკარაა, რომ ერთ-ერთ ძველ

ფოტოზე ასახული ძველი გუმბათის სახურავი და ახალი გუმბათის სახურავი ერთმანეთისაგან განსხვავდება (ტაბ. X, სურ. 122, 123). კერძოდ პოსტსაბჭოთა პერიოდში აღდგენილი გუმბათის სახურავი კონუსის ფორმისაა, სწორადაა დახრილი, მაშინ როცა, მაგალითად წმ. პანტელეიმონის ეკლესიის ძველი გუმბათი ფოტოზე მაღალიც ჩანს, არქიტექტურული ელემენტებითაც – სარკმლის ღიობები, მათი ამყოლი კარნიზები და მომრგვალებული სახურავის ფორმითაც განსხვავდება ახლისაგან.


ეკლესია, როგორც რელიგიური ხასიათის სამლოცველო, არ წარმოადგენს მხოლოდ მატერიალური ღირებულების მქონე კულტურის ელემენტს, არამედ მას ფართო ხასიათის სოციალური ფუნქცია აქვს და მისი არსებობა მჭიდროდაა დაკავშირებული თავად ხალხის სულიერი ღირებულებების რაობასა და ფუნქციონირებასთან. პონტოელი ბერძნებისათვის, ისე, როგორც ზოგადად, საქართველოში მცხოვრები ბერძნებისათვის ტაძარი და საეკლესიო ცხოვრება დასახლებისა და ცხოვრების წესის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. ხალხური გადმოცემით ბერძენი პირველად ტაძარს, შემდეგ სკოლას აშენებს. ეს გადმოცემა, თუ გადავხედავთ აჭარაში ბერძენთა დასახლების ისტორიას და დასახლებაში ეკლესიათა გეოგრაფიას, სრულ სინამდვილეს შეესაბამება. აღნიშნული საკითხის, ანუ ეკლესიის სოციალური ფუნქციის ფართო სპექტრიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია ეკლესიებთან არსებული მემორიალური კულტურის ძეგლები. თავის მხრივ საფლავის კულტურის ინფორმაციული ველი ძალზე ფართოა და კონკრეტული ინდივიდისა თუ საზოგადოების ისტორიის სხვადასხვა საკითხს მოიცავს (ნადირაძე, 2001). მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ბერძენული სასაფლაოების მეშვეობით კიდევ ერთხელ დასტურდება ბერძენ ქვითხურო-ქვისმჭრელთა მაღალი ოსტატობა; საფლავის ეპიტაფიები აზუსტებს ამა თუ იმ გვარის გენეალოგიას; მცირე შემთხვევების სახით იძლება მასალას გარდაცვლილის პროფესიული კუთვნილებისა და საზოგადოებრივი დამსახურების შესახებაც. აღნიშნული საკითხები ქვემოთ დიფერენცირებული სახითაა მოცემული, კონკრეტული ეკლესიის ისტორიის პარალელურად.

პონტოელ ბერძენთა სატაძრო მშენებლობის ისტორიებისა და მემორიალური კულტურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე მწირი, ფრაგმენტული ცნობებია დაცული, ზოგ შემთხვევაში კი რიგი საკითხის აღდგენა მხოლოდ სავსე მასალებზე დაყრდნობით გვიხდება. ერთგვარი გამონაკლისი ბათუმის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარია, რომლის მიმართ გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ისტორიულმა ხანდაზმულობამ იმთავითვე დიდი ინტერესი წარმოშვა და მის შესახებ არაერთი საინტერესო ცნობა შემოინახა.⁶⁵ აჭარაში ბერძნებისათვის დამახასიათებელი საეკლესიო მონუმენტური არქიტექტურის უფრო მეტი თვალსაჩინოების მიზნით მართებულად მივიჩნით ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ თითოეული ტაძრის ისტორია და მასთან დაკავშირებული მემორიალური კულტურა.

65 სემ. დღიური I-012; II- 019.

ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი


ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ამსახველ ძეგლთა შორის ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია (ტაბ. X, სურ. 108-114). ბათუმში ბერძნული ტაძრის არსებობა აქ შესაბამისი ეთნიკური ფენის ხანგრძლივ ცხოვრებაზეც მიუთითებდა. ბათუმის ხანდაზმულთა მეხსიერებაში თითქმის ბოლო დრომდე შემორჩა ნაწილობრივ ტოპონიმად ქცეული „ურუმთა უბანი“⁶⁶ – ბერძნული დასახლება. 1890 წლის მასალებით ქუჩის სახელწოდება – «Греческая улица»-ც დასტურდება.



ეს ძველი ბათუმის ის უბანია, სადაც დღეს წმიდა ნიკოლოზის ტაძარი მდებარეობს.

გადმოცემით, ბათუმის წმ. ნიკოლოზის ტაძარი ილია კონსტანტინეს ძე ეფრემიდის შინაზეა აშენებული, რომელიც მას უსასყიდლოდ გადაუცემია ეკლესიისათვის. ზოგიერთი ინფორმაციით, ილია ეფრემიდს საბერძნეთიდან მოუწვევია არქიტექტორი კალფი. ეს ინფორმაცია ინტერნეტიდან, ერთ-ერთი ფორუმიდანაა აღებული და მისი დაზუსტება ვერ ხერხდება,⁶⁷ თუმცა ვფიქრობთ გარკვეულწილად მაინც საინტერესოა, რამდენადაც ჯერჯერობით დოკუმენტურად დაუდასტურებელი და უცნობია თუ ვინ იყო აღნიშნული ეკლესიის არქიტექტორი.

დიდი ხნის მანძილზე მიჩნეული იყო, რომ ეკლესიის მშენებლობა 1865 წელს დაიწყო და 1871 წელს დასრულდა. ეს თარიღები, ძირითადად თავად ეკლესიის კედელში ჩასმული რელიეფური



ფილიდან – სამშენებლო ნარწერიდან მომდინარეობს, სადაც ტაძრის მშენებლობის თარიღებიც მითითებულია. ბოლო თარიღი – 1871 წელი არაა სადავო, რამდენადაც 1872 წლიდან ტაძრის ფუნქციონირებას არაერთი მოგზაურ-მკვლევარი ადასტურებდა (ბაქრაძე, 1987:24; პალგრევი, 2012:80). ბოლო დრომდე არც 1865 წელი ყოფილა სადაო, თუმცა ახალი წერილობითი მონაცემების ურთიერთშეჯერებით გამოითქვა მოსაზრება, რომ ეკლესიის მშენებლობა 1867

66 ტერმინი ურუმი აღმოსავლეთი რომის იმპერიის დაგების შემდგომ გაჩნდა, როცა ოსმალეთის იმპერიამ ბიზანტიის ყოფილი პროვინციები დაიპყრო. ეს სიტყვა წარმოიქმნა ლათინური ძირიდან – რომა'დან, რაც რომაელს, ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქვეშევრდომს ნიშნავდა. ურუმი თურქ-ოსმალელების მიერ დაპყრობილი პროვინციების მოსახლეობას გულისხმობდა ისე, რომ არ ითვალისწინებდა მათ ეთნიკურ წარმომავლობას (ფაშაევა, 2008).

67 об.: <http://forum.fox-notes.ru/index.php?topic=2787.0;wap2>

ნლამდე ვერ იქნებოდა დაწყებული (დიასამიძე, 2013:74–79). ამ საკითხს არაერთი სატატიო მიეძღვნა და იგი დაინტერესებული საზოგადოებისთვისაც ცნობილია, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამავე საკითხთან დაკავშირებით საინტერესო იქნება 1915 წელს შედგენილი წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის ანკეტა – მეტრიკული წიგნი (Клировая ведомость), საიდანაც არაერთი საინტერესო ინფორმაცია ზუსტდება.⁶⁸ ანკეტა თავად ეკლესიის წინამძღვრის კონსტანტინე ცანდუკოვის მიერაა შედგენილი, რომელსაც მასთან ერთად ხელს აწერენ მღვდელი და მეფსალმუნე, რომელთა სახელები და გვარები არ იკითხება.


აღნიშნული ანკეტის დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ ეკლესია მრევლის მიერ 1865 წელსაა აგებული. ეკლესიის შტატში ორი მღვდელი და ერთი მეფსალმუნე ირიცხებოდა, მათგან მღვდელი ჯამაგირის სახით 300 მანეთს, ხოლო მეფსალმუნე 100 მანეთს ლებულობდა. 1914 წლისათვის ეკლესიის შემოსავალმა 800 მანეთი შეადგინა. ტაძრისთვის განკუთვნილ მიწაზე 1894–1899 წლებში აუგიათ ქვის შენობები, რომლებიც საეკლესიო მსახურებისთვის იყო განკუთვნილი. ანკეტაში მითითებულია, რომ ეს სახლები დაძველებულია. ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე „მინერილი“ ყოფილა სოფ. ყოროლისთავის წმიდა სასწაულმოქმედი და მკურნალი პანტელეიმონის სახელობის ქვის ტაძარი, რომელიც 1898 წელს ყოფილა აგებული. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ქონების აღწერა 1897 წლიდან დაუწყიათ და სრულად ინახებოდა. დაბადების მეტრიკის ასლების შენახვა 1884 წლიდან დაუწყიათ. ამავე წლიდან ინახებოდა⁶⁹ აღსარების ჩანაწერები. ეკლესიასთან არსებობდა სამრევლო სკოლები: ქალთა ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა; ვაჟთა ორკლასიანი საზოგადოებრივი სკოლა. საეკლესიო სკოლა საზოგადოებრივ სახლში უსასყიდლოდ ყოფილა განთავსებული. სკოლისათვის ხაზინიდან 720, ბათუმიდან (ალბათ ქალაქის შემოსავლები გულისხმება) 200, ხოლო ეკლესიიდან 400 მანეთი გაიცემოდა. ეკლესიის მნათე – ახილას დიმიტრის ძე დიმიტრიადი მოვალეობას 1914 წლის 19 მაისიდან ასრულებდა.⁷⁰ მოცემული ანკეტა, როგორც წესი, წმ. ნიკოლოზის შესახებ სანდო ინფორმაციის შემცველი უნდა იყოს, თუმცა ტაძრის აგების შესახებ ანკეტაში მოცემული თარიღი – 1865 წელი უფრო მეტი ინტერესს აღძრავს. ჩვენის აზრით ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მშენებლობა 1865 წელს უნდა დაწყებულიყო.

ბათუმის სახელმწიფო არქივში დაცული 1915 წლის «Клировая ведомость»-ის ცნობაში, ბათუმის წმ. ნიკოლოზის ტაძრის აგების თარიღად, ასევე 1865 წელია მითითებული. იქვე მეორე

68 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომ აცსა), ფონდი ი-54, აღწ.1, საქმე 25, გვ.1,2.

69 შენახვაში იგულისხმება აღწერის სპეციალური ბლანკების დაცულობა, რაც გულისხმობდა საკანცელარიო ძაფით შეკრულ და სპეციალური ბეჭდით დალუქულ სტატისტიკური ინფორმაციის შემცველი აღწერის წიგნებს. რუსეთის იმპერიაში «Клировая ведомость» ეწოდებოდა აქტებს, რომელიც მოიცავდა სასულიერო პირთა წამსახურებისა და ეკლესიათა მონაცემების სტატისტიკურ აღწერას. პირველად შემოიღეს 1769 წელს, შემდგომ წლებში დგინდებოდა ამ აქტების ფორმები და შესავსები ინფორმაციის შინაარსი. იყოფოდა სამ ნაწილად: პირველში შედიოდა ცნობები ეკლესიის შესახებ, მეორე სასულიერო პირთა წამსახურების შესახებ მონაცემებს შეიცავდა, ხოლო მესამე ნაწილი მრევლის სტატისტიკურ ცნობებს ითვალისწინებდა.

70 აცსა, ფ.54, ს.25, გვ.1,2, შდრ.: აცსა, 2010:87-88



ამონაწერი ბათუმის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მეტრიკული წიგნიდან, ვარვარა პანაიოტის ასული ცანდეკოვას დაბადებისა და ნათლობის შესახებ. ბათუმი, 1910 წ.

გვერდზე აღნიშნულია, რომ კომლთა რაოდენობა (4 სულისაგან შემდგარი კომლი) იყო 114, მათ შორის კაცი 296 და ქალი 266.⁷¹ ჩვენის აზრით ეს სტატისტიკური მონაცემები ბათუმში მცხოვრებ ბერძნებს უნდა შეეხებოდეს, საიდანაც ჩანს, რომ 1915 წლისათვის ბათუმში ოთხი წევრისაგან შემდგარი 114 ბერძნული ოჯახი ცხოვრობდა.

ქვემოთ შევეცადეთ არსებულ წერილობით მონაცემებსა და სხვა მასალებზე დაყრდნობით ტაძრის მეტრიკულად თავდაპირველი დაგეგმარება აღგვედგინა.

როგორც წესი ტაძრის შემადგენლობაში არ შედის მხოლოდ ერთი შენობა – სამლოცველო ნაწილი. ტაძარი, მით უფრო თუ იგი მოცულობითაც დიდია

და მრავალრიცხოვან მრევლზე გათვლილი, თავის თავში სხვადასხვა დანიშნულების დამხმარე შენობა-ნაგებობებს, მათ შორის სამლოცველოსაც აერთიანებდა. ანალოგიური ვითარება ბათუმის ბერძნული ტაძრის შემთხვევაშიც დასტურდება.

თავდაპირველად ტაძარი შედარებით მცირე ზომისა იყო. როგორც ალექსანდრე ფრენკელი მიუთითებდა „ეს ეკლესია კარგად არის აგებული. უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, თითქმის მთელი შენობა ქვისაა. ინტერიერი კი ღარიბია და მის შეკეთებას გარკვეული ხარჯები სჭირდება“ (Френкель, 1879). ტაძრის პირველი სარემონტო სამუშაოები 1894-1899 წლებში ჩატარდა. ამ პერიოდში ტაძარს სამრეკლო მიაშენეს, ეზო და მიმდებარე ტერიტორიაც ეკლესიის საკუთრებაში გადავიდა, სადაც ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები გაიხსნა. ბათუმელი ხანდაზმულების გადმოცემით, ტაძარს სხვა სახის დამხმარე სათავსები, მათ შორის, კელიები და მარანი ჰქონდა, რომელთა განთავსება ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, XIX საუკუნის ბოლოს – ტაძრის გაფართოების პარალელურად უნდა მომხდარიყო. ეს მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დაახლოებით 1898-1900 წლებიდან ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას ყოროლისთავში არსებული წმიდა პანტელეიმონის ეკლესია დაექვემდებარა. ყოველივე აღნიშნული მთლიანობაში იმის საფუძველს



„ლოცვა“ – ნაქარგი ევტიხია სპირანტისა, 15 წლის, ბათუმი, 1918

71 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 0-54, აღწერა 1, საქმე 25, გვ.34-35

იძლევა, რომ უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის ბათუმში, ბერძნული ეკლესიის სახით, სახეზე ძლიერი და გამართული მართლმადიდებლური ეკლესია გვექონდა.

ტაძრის თავდაპირველი დაგეგმარების და შემდეგდროინდელი სამშენებლო არქიტექტურული ცვლილებების შესახებ საინტერესოა XIX საუკუნის 60-იან წლებში ბათუმში მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანების მიერ ლაზისტანის სანჯაყის მფლობელისადმი მიწერილი წერილი, სადაც ეკლესიის პროექტზეა საუბარი, თუმცა ტექსტში მხოლოდ ეკლესიის ზომები და ფართობებია მოცემული. წერილში ასახული მონაცემების მიხედვით, ეკლესიის სიგრძე – 21, სიგანე – 16, სიმაღლე – 10, ეზოს ფართობი – 80, ხოლო საერთო ფართობი – 336 წერთას შეადგენდა. აქვე ვკითხულობთ, რომ ტაძრის კარების მარჯვენა მხარეს გუმბათიანი სამრეკლო და ეკლესიის შუა ადგილას კრამიტით გადახურული ხის გუმბათი მდებარეობდა (დიასამიძე, 2013:77).⁷² ძველ ქართულში წერთა ესაა ზომა ხელის იდაყვიდან დიდი თითის წვერამდე, ხოლო ბიბლიის ლექსიკონის მიხედვით „ისრაელიანებს ზომა-წონის საკუთარი სისტემა არ გააჩნდათ, საამისოდ ისინი წინა აზიაში გავრცელებული ტრადიციული სისტემებით სარგებლობდნენ“. სიგრძის საზომი ერთეულებიდან ორი სახის წერთა იყო გავრცელებული: ერთი იყო ჩვეულებრივი „წერთა“, რომელიც 43 სმ-ს უდრიდა, ხოლო მეორე „დიდი წერთა“, რომელიც 52 სმ-ის ტოლი იყო (ბიბლიის ლექსიკონი⁷³). ამ მონაცემების მიხედვით შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული ეკლესიის „წერთა“-ში განერილი ზომების მეტრებში გადაყვანილი ცხრილი შევადგინოთ.

ზომის სახე და ერთეული პროექტის მიხედვით	ზომა მეტრებში, როცა 1 წერთა 43 სმ-ს უდრიდა	ზომა მეტრებში, როცა 1 წერთა 52 სმ-ს უდრიდა	დღეს არსებული ეკლესიის და ეზოს ზომები მეტრებში
სიგრძე 21 წერთა	9.3	10,92	25,20
სიგანე 16 წერთა	6.88	8,32	11.60
სიმაღლე 10 წერთა	4,3	5,2	8,70
ეზოს ფართობი 80 წერთა	34,4	41,6	158 კვ.მ.
საერთო ფართობი 336 წერთა	144.48	174,72	450 კვ.მ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ 1912 წლის აღწერის მდგომარეობით ბერძნული ტაძარი ბათუმის პირველ საპოლიციო უბანში, 47-ე კვარტალში, ბერძნული და მიხაილოვის ქუჩების კვეთაში მდებარეობდა. ჩრდილოეთიდან ეკლესიას ანფი ბენლისის მამული ესაზღვრებოდა. სამხრეთიდან ეკლესიას საზღვრავდა საკუთრივ ბერძნული ქუჩა, ხოლო აღმოსავლეთიდან

72 შდრ. ილდიზთაში, 2012.

73 შდრ. <http://saxareba.blogspot.com/p/blog-page-30.html>

მიხაილოვის ქუჩა. დასავლეთიდან სპანაკის მამული. ბერძნული ტაძრის მთლიანი სიგრძე ქუჩიდან 15,45 საჟენი,⁷⁴ ხოლო ეზოდან, ანუ ეზოს სიგრძე 21,85 საჟენი იყო. სულ ეკლესიის ფართობი 337,58 კვ. საჟენს შეადგენდა.⁷⁵ თუ მოცემულ მონაცემებს გადავიყვანთ სანტიმეტრებში, ამ შემთხვევაში ბერძნული ტაძრის ეზოს სიგრძე 46,6 მეტრი, ხოლო სიგანე 33 მეტრი გამოდის. საერთო ფართობი კი 720 კვ. მეტრი. ეს მონაცემები აღემატება XIX საუკუნის 60-იან წლებში შედგენილი პროექტის მონაცემებს, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობდით. ეს სხვაობა ბუნებრივად უნდა ჩავთვალოთ და დავუშვათ, რომ ბერძნული ტაძრის ფართობი, მისი თავდაპირველი დაპროექტების შემდგომ გაიზარდა.

1912 წლის მონაცემებით ბერძნული ეკლესიის მთლიანი უძრავი ქონება ხუთ შენობას აერთიანებდა, მათგან ორი, ფუნქციური დანიშნულებით საცხოვრებელი, ხოლო სამი საეკლესიო მსახურებისათვის იყო განკუთვნილი. ხუთივე შენობა ქვისგან იყო აგებული და კრამიტით გადახურული. მთლიანი ქონება 18320 რუსულ რუბლით იყო შეფასებული. აღწერაში მითითებულია, რომ ქონების საერთო შემოსავალი 552 რუბლს შეადგენდა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა ტაძრის პირველი სარემონტო სამუშაოები 1894-1899 წლებში ჩატარდა. ამ პერიოდში ტაძარს სამრეკლო მიაშენეს. ეკლესიის მრევლს დღესაც ახსოვს თუ სად მთავრდებოდა ძველი ტაძარი და 1899 წელს მიშენებული სამრეკლო საიდან იწყებოდა. ტაძრის ინტერიერს თუ კარგად დავაკვირდებით, ეს ისედაც ცხადია. ძველი ტაძრის სვეტები და, მოგვიანებით მიშენებული სამრეკლოს საყრდენი სვეტები ერთმანეთისაგან ფორმით განსხვავდება. მეორე მხრივ, ტაძარში ძველი, თავდაპირველი სახით არსებული შესასვლელი ღიობი დღემდე შემორჩენილი. დღეისათვის იგი ამოშენებულია, მაგრამ, მხოლოდ გარედან. ინტერიერში კი – ძველი შესასვლელი არაა ამოშენებული და იგი კვლავ ჩანს. ძველი ტაძრის სიგრძე ძველ შესასვლელამდე 16,20 მეტრია. ძველი შესასვლელის განი – 1,3 მეტრია. შესაბამისად, ტაძრის თავდაპირველი სიგრძე 19-20 მეტრს არ აღემატებოდა. რაც შეეხება ტაძრის სიგანესა და სიმაღლეს, მართებული იქნება დავუშვათ, რომ მას ამ მხრივ ცვლილება არ განუცდია.

ამდენად, აშკარაა, რომ ბათუმის მცხოვრებთა მიერ ლაზისტანის სანჯაყის მფლობელი-სადმი მიწერილ წერილში ასახული ტაძრის პროექტი, კერძოდ, ზომები არსებულ რეალობას არ შეესაბამება. პროექტში ასახული ზომები უფრო მცირეა ეკლესიის რეალურ ზომებთან მიმართებაში. მოცემულ შემთხვევაში თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, მაშინ გასაგებია, თუ რატომ მოეჩვენათ ბათუმის მოსახლეობის ერთ ნაწილს მშენებარე ეკლესია ციხესიმაგრედ და რატომ მიმართესოსმალეთის ხელისუფლებას ჩივილით. ეკლესიის ზომების ზემოთ მოცემული შედარებითი ცხრილი ამგვარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას იძლევა. გასათვალისწინებელია ის

74 საჟენი – ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 1835 წლის ბრძანებულებით ერთი საჟენი განისაზღვრა 7 ინგლისური ფუტით ან 84 დიუმიტით, რაც უდრიდა 3 არშინს ან 48 ვერშოკს, ანუ 213,36 სმ-ს. 1918 წელს რსფსრ-ში საზომთა მეტრული სისტემის შემოღების შემდეგ საჟენი აღარ იხმარებოდა.

75 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ს.693, გვ.9-10

გარემოებაც, რომ შესაძლოა ლაზისტანის სანჯაყის მფლობელისადმი მიწერილ წერილში ასახული ეკლესიის პროექტი საბოლოო არ იყო. გადმოცემის მიხედვით ბათუმის წმ. ნიკოლოზის ტაძარს 1902 წელს პოლონელმა ჯარისკაცებმა ზარი შესწირეს. ეს ის პოლონელი ჯარისკაცები იყვნენ, რომელთა ნაწილი 1840 წლის კრაკოვოს აჯანყების შემდეგ ოზურგეთსა და ბათუმში გადმოსახლდა. მათ მადლიერების ნიშნად ზარი ტაძარს შესწირეს.⁷⁶ ზარი მასიური ზომისაა, მას ზედა ნაწილში ორ რიგად შემოუყვება ორნამენტირებული ზოლი, რომელთა შუაში წარწერაა ჩასმული – პირველი სტრიქონი: «VOCO VIVOS PLANCO MORTUOS»⁷⁷ მეორე სტრიქონი: «AD 1902». ზარს დამლაც აქვს დასმული, რომელზეც ასეთი წარწერაა «A. ZWOLINSKI WARSZA (?) A». ზარების ჩამომსხმელი ქარხანა – Ludwisarski, სათავეს ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან იღებს. მდებარეობდა პოლონეთის სამეფოში – კრაკოვში. ქარხანაში ასხამდნენ ლითონის (ბრინჯაო, სპილენძი, ლატუნი) ზარებს. სხვადასხვა დროს შეიარაღებისათვის კასრებსაც ამზადებდნენ. ქარხანა ასევე უშვებდა მცირე ქანდაკებებს, ჭალებს და სხვა საგნებს. XIX საუკუნეში ქარხნის წარმოებამ, კერძოდ ხელოსნობის ამ დარგმა (ზარების ჩამოსხმა) დაიწყო დაქვეითება, რაც დაკავშირებული იყო სამრეწველო მეტალურგიის განვითარებასთან. XIX საუკუნეში – 1860 წელს მ. ე. ზვოლინსკიმ და სტ. ჟერნიევიჩმა (Majkl Antoni Zwoliński i Stanisław Czerniewicz) ჩამოაყალიბეს ზარების ჩამომსხმელი კომპანია. ზვოლინსკის და მისი მოკავშირის ქარხანა ყველაზე დიდი იყო პოლონეთის სამეფოში. პირველი მსოფლიო ომის დროს საომარი რეკვიზიციის შედეგად ქარხანა გაკოტრდა. თანამედროვეობაში ეს ქარხანა აგრძელებს მუშაობას – ამზადებენ ჩამოსხმულ ზარებს, თუმცა მისდევენ დეკორაციული საგნების ჩამოსხმასაც, როგორცაა მაგალითად: სასანთლებები, ფანრები კარის სახელურები, საფერფლეები და სხვა მსგავსი.⁷⁸



წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ზარის წარწერა

წმ. ნიკოლოზის ტაძრის ეზოში რამდენიმე საფლავიცაა შემორჩენილი, ესენია: 1. ვიცე ადმირალი ალექსანდრე ივანეს ძე გრევე. იგი 1901 წლის 15 დეკემბერს გარდაცვლილა 81 წლის ასაკში; 2. ტიმოლეონ პერიკლეს ძე ტრიანდაფილიდესი 1858–1908; 3. არქიმანდრიტი ხარიტონ იურის ძე ტუდოვში 1928-2004; 4. არქიმანდრიტი სიმონი 1907-1990 და სხვები


ბათუმის მცხოვრებლებში, განსაკუთრებით, ბერძნულ დიასპორასა თუ, საერთოდ, წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან დაკავშირებული მოსახლეობის ზეპირმა ისტორიებმა შემოინახა მიხეილ რანგოსის, როგორც ქველმოქმედისა და მდიდარი ადამიანის სახელი. აღნიშნული ზეპირი

ბათუმის მცხოვრებლებში, განსაკუთრებით, ბერძნულ დიასპორასა თუ, საერთოდ, წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან დაკავშირებული მოსახლეობის ზეპირმა ისტორიებმა შემოინახა მიხეილ რანგოსის, როგორც ქველმოქმედისა და მდიდარი ადამიანის სახელი. აღნიშნული ზეპირი

76 სემ. დღიური II-020.

77 ლათინური გამოთქმა, წარწერა საეკლესიო ჟვრებზე: „მოვუხმობ ცოცხლებს, დავტირი გარდაცვლილებს“.

78 <http://pl.wikipedia.org/wiki/Odlewnia-dzwon%C3%B3w-A.-Zwoli%C5%84ski-i-S.-Czerniewicz>



ისტორიები ხატებზე დაცული წარწერებიდანაც მომდინარეობს, რომლებიც ეკლესიას მეოცე საუკუნის დასაწყისში კუნძულ ქიოსის ბერძნებმა შესწირეს. ხალხური გადმოცემები მ. რანგოსს გავლენიან ადამიანადაც მოიხსენიებენ, რომელმაც შესძლო და კუნძულ ქიოსიდან ოსმალეთის იმპერიის გამოვლით ბათუმში ქრისტიანული ხატები ჩამოიტანა.⁷⁹

მეოცე საუკუნის დასაწყისში კუნძულ ქიოსის ბერძნებმა ეკლესიას სამი დიდი ხატი შესწირეს – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, წმიდა ნიკოლოზისა და წმიდა გიორგის. საჩუქრად გადაცემული ხატები დღემდე დაცულია ეკლესიაში, აქვს შესაბამისი წარწერები, რამაც განსაზღვრა მ. რანგოსის სახელის ხანდაზმულობა ბათუმის საზოგადოებაში და განსაკუთრებით ბათუმის ბერძნულ დიასპორაში. მ. რანგოსის გარდა ამ საშვილთაშვილო საქმეში სხვა ბერძნებსაც მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ მათი სახელები ხალხურ გადმოცემებში არ ფიგურირებს. ეს შესაძლოა იმანაც განაპირობა, რომ ერთ-ერთი ხატი მხოლოდ რანგოსების გვარის მიერაა შეწირული და სავარაუდოდ ამ ისტორიამ სხვა ქველმოქმედი ბერძნების სახელები გადაფარა. ხატებზე დაცული წარწერები შემდეგი შინაარსისაა: „მიხაილ რანგოსის, მიხაილ მიხაილიდისის, მიხაილ მანგოსის, მიხაილ პარასკევოპულოსის, მიხაილ კიპრიალოსის, მიხაილ იანოპულოსის, იაკოვოს მიმაროლლუს, ომიროს ავღერინოსის შეწირულობა.“⁸⁰

მეორე წარწერა თავად რანგოსების ოჯახს ეხება: „ძმებ მიხაილ და გეორგიოს რანგოსების შეწირულობა ქიოსიდან, 1901“. წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში სხვა ხატებიცაა დაცული, რომლებიც ქართველი მორწმუნეების მიერაა შეწირული და პოსტსაბჭოთა პერიოდს განეკუთვნება.

XX საუკუნის 30-იან წლებში წმ. ნიკოლოზის ტაძარი დაიხურა, მაგრამ მცირე ხნით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბათუმელი ქალბატონების – თამარ ნაკაშიძისა და ელიზავეტა კოტიდის თხოვნით პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ იშუამდგომლა ხელისუფლებასთან. ცნობილია, რომ კალისტრატე ცინცაძე და იოსებ ჯულაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში ერთად სწავლობდნენ და ეს გარემოება მთავრობასთან კომუნიკაციის ძირითადი ხელშემწყობი წინაპირობა გახდა. შედეგად, უმაღლესი მთავრობის თანხმობის შემდეგ, 1948 წელს წმიდა



79 მ.რანგოსის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: §6.

80 სიტყვის „შემოწირულობა“ პირდაპირი თარგმანია „ძღვენი“, „მიძღვნა“, სხვა მნიშვნელობით ნიშნავს „საჩუქარს“, „შეწირვას“. მოცემულ შემთხვევაში ტექსტის შინაარსისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით მართებულად მივიჩნით აღნიშნული სიტყვა გვეთარგმნა, როგორც „შეწირულობა“.

ნიკოლოზის ტაძარი გაიხსნა. ნირვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ აღავლინა.

1961 წელს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაიწყო მოღვაწეობა არქიმანდრიტმა ხარიტონმა (ტუდოვში). ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი ეკლესიის წინამძღვარი იყო და იქვე ეზოშია დაკრძალული.

1963 წელს, კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორეს კურთხევით, წმ. ნიკოლოზის ტაძარში მსახურება დაიწყო მღვდელმა ილიამ (შიოლაშვილი, შემდგომში უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე). იგი ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში 1967 წლამდე მოღვაწეობდა.

სხვადასხვა დროს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში მოღვაწეობდნენ:

ნიკოლაი გიორგის ძე კონსტანტინიდი. იგი მღვდლად ტრაპეზუნტის მიტროპოლიტმა 1876 წელს აკურთხა.⁸¹

1904 წლის 21 დეკემბრიდან ეკლესიის მღვდლად მათეოს დიმიტრის ძე მანოსი ინიშნება.⁸²

1955-1964 წწ. – დეკანოზი ვასილი (ტაბატაძე); 1956-1965 წწ. – მღვდელი ალექსეი (სობჩუკი); 1967-1973 წწ. – მღვდელი ინდისი (ნუცუბიძე); 1970-1987 წწ. – მღვდელი გრიგოლი (სვანაძე); 1986-1988 წწ. – მღვდელი დავითი (შიოლაშვილი).

პოსტსაბჭოთა პერიოდში ბათუმის წმ. ნიკოლოზის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები 1998 წელს ჩატარდა. ამ დროს მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, ზურა ჯაიანის თაოსნობითა და ფინანსური დახმარებით, შეკეთდა ტაძრის ექსტერიერი და კეთილმოეწყო ეზო. მომდევნო 1999 წელს კი ოლეგ გალოგრეს ფინანსური დახმარებითა და ალექსანდრე ახვლედიანის ხელმძღვანელობით, ინტერიერი განახლდა.⁸³

ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძარი

ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძარი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში, ზღვის დონიდან 100 მეტრზე, მდ. ბარცხანის სანაპიროზე მდებარეობს (ტაბ. X, სურ. 115-121). ხალხური ცნობით ტაძარი პონტოელი ბერძნების მიერ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან 1912 წლამდე პერიოდშია აგებული.

ტაძრის შესახებ ცნობები მწირია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მისი ისტორიის სრულიად აღდგენას. მოცემულ შემთხვევაში კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი ზეპირი ისტორიები შეიძლება ყოფილიყო, რომლებიც ხალხურმა მეხსიერებამ შემოინახა, თუმცა

81 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-54, აღწერა 1, საქმე 25.

82 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-54, აღწერა 1, საქმე 25

83 <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:rOc1Imtf3DoJ:www.eparchy-batumi.ge/%3Faction%3Dtext/tadzari29+&cd=8&hl=ka&ct=clnk&gl=ge>

ამ მხრივაც, გარკვეულ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ სოფელ ახალშენში ბერძნული მოსახლეობა თითქმის აღარ დარჩა. ეს კი ფაქტიურად გამორიცხავს მათში საველე-ეთნოგრაფიული მასალების შეკრებას. მიუხედავად აღნიშნულისა, მოძიებული საარქივო წყაროების, ზეპირი ისტორიების, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული სხვადასხვა ხასიათის ცნობების ურთიერთშეპირისპირებით შესაძლებელი შეიქმნა ახალშენის ეკლესიის ისტორიის ქვემოთ მოცემული ერთიანი სურათის აღდგენა, რაც ბუნებრივია, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო სრული მაინც ვერ იქნება.⁸⁴

ხალხური გადმოცემით, ახალშენის ბერძნებს დაახლოებით XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის 10-იან წლებში თავკაცობდა და ხელმძღვანელობდა ბერძენი მუტას იანესი. მისი დახმარებით ახალშენელმა ბერძნებმა, ეკლესიისა და სკოლის მშენებლობის ნებართვისა და შესაბამისი სამუშაოებისათვის მიწის გამოყოფის თაობაზე, ქუთაისის გუბერნატორს მიმართეს, თუმცა, როგორც ჩანს, გამოყოფილი მიწა საკმარისი არ აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში ბერძნებს იქვე მოსაზღვრედ, ეკლესიის ზემოთ მცხოვრებ შაინ-ალა კიკნაძისათვის მიუმართავთ და უთხოვიათ, რომ მიწის გარკვეული ნაწილი ეკლესიის ასაგებად მიეყიდა. ხალხური გადმოცემით შაინ ალას მიწის ნაკვეთი უჩუქებია. აღსანიშნავია, რომ 1980-იან წლებში ეკლესიის რესტავრაციის დროს შაინ ალას შვილშვილმა ეზოს გაფართოებისა და კეთილმოწყობის მიზნით ეკლესიას მიწის ფართობი კვლავ აჩუქა (ჩხაიძე, 2010).

ბერძენ მუტას იანესთან დაკავშირებით, რომლის სახელი და გვარიც ხალხურმა მეხსიერებამ შემოინახა, საინტერესოა ახალშენის ფერისცვალების ბერძნული ეკლესიის 1895 წლის მეტრიკული წიგნი, სადაც ახალშობილთა აღწერის მასალებში კარგად იკითება სახელი და გვარი იოანის მუტა. მისი მეუღლე ყოფილა ოლიმპიადა, რომელთაც 1895 წლის 28 ივნისს შეეძინათ შვილი პანაიოტი.⁸⁵

ფაქტია, რომ აღნიშნული ორი სახელისა და გვარის მუტას იანესისა და იოანე მუტასის იდენტობასთან დაკავშირებით საინტერესოა დაზუსტდეს სიტყვა „მუტას“ სახლისა თუ გვარის აღმნიშვნელია. იგივე ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში მოხსენიებულია ახალშენის მცხოვრები პოლიხრონ გეორგი მუტა, ივანე მუტა, პავლო მუტა, ოლიმპიადა მუტა, მარია მუტ ოლლი (მინერილი აქვს ქ. ფოთი, ალბათ ფოთიდან იყო). ჩვენი ვარაუდით მუტა ან მუტას გვარის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ხალხური ვარიანტის მუტას იანესის სწორი ფორმაა იოანე მუტა (ბერძნული ტრანსკრიპციით – იოანის მუტას). მეტრიკულ წიგნებში მოცემულია, რომ იოანე მუტა გლეხთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.⁸⁶

გადმოცემით, ახალშენის ეკლესიის მშენებლობა ბერძნებს 1888 წელს დაუწყიათ და ქვის ფუნდამენტიც მოუმზადებიათ. შემდგომ, როგორც ჩანს ტაძრის მშენებლობა შეჩერებულა, მაგრამ

84 სემ, დღიური I-013; II- 021.

85 აცსა, ფონდი, 0-80, ს.204, გვ.1,2.

86 აცსა, ფონდი, 0-80, ს.204, გვ.1, 1-ა

ბერძნებს ქვის ფუნდამენტის შიგნით ხის პატარა ტაძარი ჩაუდგამთ. ეს ხის ტაძარი დამწვარა. ამის შემდგომ ახალშენის ბერძნებს ქვის ტაძრის მშენებლობა კვლავ განუახლებიათ.

1912 წლის 7 მაისს ახალშენის ბერძნული ტაძარი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ აკურთხა. ამ დროიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე ეკლესია ღია იყო.

ძველი ტაძრის ეზოში აგებული იყო სამრეკლო, რომელზედაც სამი ზარი იყო ჩამოკიდებული. ხალხური გადმოცემით ამ ზარებიდან ერთი ბორჯომის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სავარაუდოდ ციხისჯვარშია, მეორე ზარი სოფ. აჭარისწყალზე სამხედროებმა – მესაზღვრეებმა წაიღეს და ამჟამად ეს ზარი აჭარისწყლის სკოლაშია, ხოლო მესამე ზარი ზოგიერთი ცნობით დაკარგულია (ჩხაიძე, 2010). სხვადასხვა წერილობითი მასალების ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ ეს მესამე ზარი 1937 წელს ქსანტიდების ოჯახმა გადაინახა და 80-იან წლებში ხარლამში ქსანტიდმა ეკლესიას დაუბრუნა. ანალოგიურად, ძველი ტაძრის გასაღები რესტავრაციის დროს ახალშენელმა ბერძენმა სოფია კერიდმა გადასცა (ლეკვეიშვილი, 2001:62). გადმოცემით ახალშენის ტაძართან ვაჟთა და გოგონათა ბერძნული სკოლებიც არსებობდა.

ხალხური გადმოცემით, ახალშენის ეკლესიის პირველი მღვდელი დიმიტრი მაკრიდი იყო. იგი ტრაპიზონიდან მოუწვევიათ, თუმცა მას ახალშენში დიდხანს არ უმოღვანია. იგი მალე გარდაცვლილა და ტაძრის ეზოშია დასვენებული. დიმიტრის მეუღლე 1941 წელს გარდაიცვალა, მაგრამ 40-იან წლებში ტაძრის ეზოში დასაფლავება აკრძალული იყო, ამიტომ იგი ახალშენის საერთო სასაფლაოზეა დაკრძალული. მეორე მღვდელი იყო დიმიტრი პიასტოპულო. იგი 1925 წელს მუტას იანესთან ერთად საცხოვრებლად მესოპოტამიაში წასულა. ამდენად ეკლესია მღვდლის გარეშე დარჩა. ამიტომ მომდევნო მღვდელი ახალშენელმა ბერძენმა სოხუმიდან მოიწვიეს. ეს იყო ხრისტო ტავრიდი. მას ცოლად ისევ ახალშენელი ჰყავდა, ანუ ახალშენელთა სიძე იყო, რამაც, დაახლოებით 1925 წლიდან, ეკლესიაში მისი მღვდლად მონვევა განაპირობა. გადმოცემით ხრისტო ტავრიდი და ეკლესიის მგალობელთა გუნდი 1937 წელს ღამით წაუყვანიათ სახლიდან, ანუ რეპრესიების მსხვერპლი გამხდარან (ჩხაიძე, 2010).

ზოგადად, ხალხურ გადმოცემებსა და ინტერპრეტაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს და თავისთავად მსგავსი ინფორმაციები მეცნიერული კვლევისთვისაც საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ხალხური ინტერპრეტაცია ისტორიულ სინამდვილეს ნაწილობრივ, ან საერთოდ არ ემთხვეოდეს. მოცემულ შემთხვევაში, ახალშენის ტაძრისა და ზოგადად, ქართულ ბერძნული ურთიერთობების შესახებ, აჭარის მოსახლეობის წიაღში თავისებური ხალხური ისტორია ინერება. ამ ისტორიებში ყოველ თაობას მისთვის დამახასიათებელი წვლილი შეაქვს და ამა თუ იმ ამბავს თაობიდან თაობას გადამუშავებული სახით გადასცემს. მსგავს ზეპირ ისტორიებში ათწლეულების მანძილზე თაობებში დაგროვებული სიტბო და კეთილმეზობლური ურთიერთობებია ასახული. მოცემულ შემთხვევაში ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა არ დაგვეკარგა ხალხური გადმოცემები და ამის ფონზე წარმოგვედგინა ახალშენის ტაძრის რეალური ისტორია, რომელიც საარქივო მასალების საშუალებით შეიძლება აღვადგინოთ.

ბათუმის ცენტრალურ არქივში დაცულია ახალშენის ეკლესიის ანკეტა, იგივე მეტრიკული წიგნი, რომელიც 1915 წელსაა შედგენილი.⁸⁷ ბუნებრივია, მასში დაცული ინფორმაცია უფრო შეესაბამება სინამდვილეს. აღნიშნული ანკეტიდან ვგებულობთ, რომ ახალშენის ფერისცვალების ტაძარი 1912 წელს მრევლის მიერაა აგებული. იგი ქვის შენობა იყო. იქვე აღნიშნულია შემდეგი: „სამრეკლო აშენებულია ხის ტაძრისაგან განცალკევებით“. თუ ეს ასე იყო, გამოდის, რომ ხის ტაძარი 1915 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო დამწვარი (თუ იგი მართლა დაინვა) და ცალკე იდგა. ტაძარს სატრაპეზოც გააჩნდა, რომელიც, ასევე, ფერისცვალების სახელობის იყო. ეკლესიაში შტატიტ ირიცხებოდა ერთი მღვდელი და ერთი მეფსალმუნე. მღვდლის ჯამაგირი 392, ხოლო მეფსალმუნისა 122,50 მანეთს შეადგენდა. ეკლესიის წლიური შემოსავალი 200 მანეთი იყო და სხვა შემოსავალი ეკლესიას არ ჰქონდა. მრევლის შემადგენლობისა და შემოსავლების შესახებ სხვა წყარო უცნობია. ტაძრის საფოსტო მისამართი იყო „ქ. ბათუმი, ბათუმის ოლქის ღვთისმოსავ კონსტანტინე ცანდუკოვს“. ტაძართან სამლოცველო სახლები, სასაფლაო შენობები არ მდგარა. ეს მონაცემი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ანკეტის დასაწყისში მითითებულ ცნობას, რომელიც ხის ეკლესიის არსებობას მიუთითებს. თუ ეს ასე არაა, მაშინ „სამლოცველო სახლებში“ ხის ეკლესია არ იგულისხმება.

სხვა მონაცემის მიხედვით, სოფელ ახალშენის პირველმოსახლე ბერძნები გვარად იშხანიდები, აგოპულოები და ასლანიდები იყვნენ. თავდაპირველად მათ ხის ეკლესია აუგიათ (გოგია, 1997:75). 1884 წელს ტაძართან სკოლა აუშენებიათ, სადაც სწავლება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. ქვის ახალი ტაძარი კი შემონირობებით 1912 წელს დაუმთავრებიათ (გოგია, 1997:75).

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო ქონების ნუსხათა სია 1895 წლიდან არსებობდა. ამავე წლიდან არსებობდა ერთკლასიანი შერეული საეკლესიო სკოლა, რომელიც კერძო სახლში ყოფილა განთავსებული. 1895 წლიდან ინახებოდა სრულყოფილად აღწერის ჩანაწერები და ასევე, 1895 წლიდანვე მეტრიკის აღრიცხვის წიგნებიც სრულად ინახებოდა. ეს მონაცემები ხაზს უსვამს 1895 წელს და ადასტურებს, რომ ახალშენში აქაურ ბერძნებს თავდაპირველად ხის ტაძარი 1895 წელს უნდა აეშენებინათ. ფაქტია, რომ 1895 წლისათვის ხის ტაძარი უკვე არსებობდა. 1906 წელს გამოცემულა საძიებო წიგნი (არ ჩანს რის საძიებო წიგნია), რომელშიც 1915 წლისათვის 103 ფურცელი უკვე შევსებული ყოფილა. ეკლესიას ჰყავდა მნათე, თუმცა ანკეტის მიხედვით, იგი საშტატო განრიგში არაა მოხსენიებული. მნათესთან ინახებოდა საეკლესიო თანხა ბეჭდითა და გასაღებით, ასევე საეკლესიო წრისათვის განკუთვნილი წიგნები 2 ეგზემპლარად. ეკლესიის მნათე იყო ხარლამპი კონსტანტინეს ძე ვინიჩევი, რომელიც თავის მოვალეობას 1912 წლის 2 აპრილიდან ასრულებდა. 1915 წლის მონაცემებით ტაძართან არსებული სკოლა ხაზინიდან 360 მანეთს, ხოლო ეკლესიის შემოსავლებიდან 400 მანეთს ღებულობდა. სკოლაში 123 ვაჟი და 62 გოგონა სწავლობდა.

87 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი, ი-80, ს.204, გვ.10-11, შდრ.: აგსა, 2010:37-38

ახალშენის ფერისცვალების ეკლესიის ანკეტას ხელს აწერს მღვდელი დიმიტრი (გვარი არ იკითხება) და მეფსალმუნე სტიმან ბასტო (საჭიროებს დაზუსტებას).

საარქივო მონაცემები აზუსტებს, ასევე ახალშენში პირველი მღვდლის ვინაობასაც. ახალშენის ეკლესიის 1895 წლის მეტრიკულ წიგნებში, რომლებშიც ასახულია დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების შესახებ ცნობები, არაერთგან აღნიშნულია, რომ 1895 წლისათვის ახალშენის ეკლესიაში მღვდელი იყო «Харалампій (ზოგან წერია – Харалампій) Хаджи Горгіадისь синь Узунь Георг оглы». ყველგან გვხვდება მისი ხელწერაც, რომლითაც იგი წიგნში შეტანილ ინფორმაციას ადასტურებს,⁸⁸ რაც შეეხება ხალხში დაცულ ცნობას ეკლესიის პირველ მღვდლად დიმიტრი მაკრიდის აღიარების შესახებ, შესაძლოა ეს იმით იყოს განპირობებული, რომ დიმიტრი მაკრიდის სასაფლაო ეკლესიის ეზოში დღემდეა დაცული.

ახალშენის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის 1895 წლის მეტრიკული წიგნების, ანუ დაბადების, ნათლობის, გარდაცვალების და ქორწინების რეგისტრაციის მასალებიდან ჩანს, რომ ახალშენში შემდეგი გვარები ცხოვრობდნენ: Мутась, Челенкъ, Янакъ, Папахрисостомიდისь, Куртоглы, Георгиадისь, Ксандинь, Мазманидისь (ზოგჯერ წერია Мазмანიდი), Кофіади, Макриди, Антоніади, Ешхань, Василики, Авгопуло, Игнатіади, Котоглы, Константиниди, Чиликъ, Хуршут оглы, Пелить оглы (ყარსის მცხოვრები), Капаянидისь, Киритоглы, Ксандипи, Букириди, Ксандинь, Антоніади, j(И)ანიდისь, Одонтидისь, Ямакъ, Какулиди, Симеонидისь (ხელწერით ჩანს, რომ იყო Симеონიდი), Айвазофь, Ампериди, Панагіотиди, Панкозь оглы, Ападжиди, Кесоგлы, Триатафилиди, Мутась (ზოგჯერ წერია мута), Ксангоиглось, Ситмали, Мавропулось, Щантикидისь, Пимениди, Анастасіади, Пиастопуло.⁸⁹

1937 წლიდან ახალშენის ტაძარი დაიხურა და წლების მანძილზე კოლმეურნეობის საწყობად გამოიყენებოდა. ტაძარში სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მინერალურ სასუქებს ინახავდნენ, რასაც ძველებური მოზაიკური იატაკი დაუზიანებია. უყურადღებობისა და მოუვლელობის შედეგად, დროთა განმავლობაში ეკლესიის გუმბათიც ჩამოქცეულა. დარღვეული გუმბათის ჯვარი ახალშენის სკოლის დირექტორს საკუთარ სახლში გადაუნახავს.

1944 წლის მონაცემებით, საბჭოთა მთავრობის მიერ უმოქმედო საკულტო შენობების აღწერის მასალებში ახალშენის ბერძნული ტაძარიც მოიხსენიება, კერძოდ აღნიშნულია, რომ „1935-1937 წლებში ეკლესია ხალხის მოთხოვნით დაიხურა“ და გამოყენებული იქნა კოლექტივის სამეურნეო მიზნებისათვის.⁹⁰ ბუნებრივია ეკლესიის დახურვის ამგვარი მიზეზი საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან მოძებნილი გამამართლებელი არგუმენტი იყო, თუმცა სინამდვილეში დაუჯერებელია ეკლესია ხალხის მოთხოვნით დაეხურათ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ახალშენელმა ბერძნებმა ტაძრის რესტავრაცია გადამწყვიტეს. ამ მიზნით შეიქმნა „ეკლესიის აღდგენის კომიტეტი“ (ან „ფერისცვალების ეკლესიის მშენებლობის

88 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი, ი-80, აღწ.ქ, საქმე 204, გვ.1-17.

89 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 977, აღწ.1, საქმე 2, გვ.12,13. შდრ. აგსა, 2013:61

90 იქვე, გვ.12,13. შდრ. აგსა, 2013:61

საზოგადოება⁹¹), რომელსაც პროფესიით ინჟინერი სტილიკო აივაზიდი ჩაუდგა საათავეში. მისი გარდაცვალების შემდგომ ტაძრის აღდგენაში დიდი ღვაწლი ირაკლი ნიკოლოზის ძე მუტასს მიუძღვის, რომელმაც ტაძრის აღდგენის საქმე გააგრძელა.

ტაძრის რესტავრაცია გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ამას დაემთხვა ის გარემოება, რომ ამ დროს ბერძნებმა საბერძნეთში მასობრივი დაბრუნება დაიწყეს. ამან შეუშალა ხელი ტაძრის აღდგენის დასრულებას, თუმცა ამ დროისათვის აღდგენილი იყო სახურავი, ფანჯრები ჩასმული და კარიც შეკეთებული იყო. აღსანიშნავია, რომ გუმბათის აღდგენის შემდგომ ახალშენის სკოლის დირექტორმა შენახული ძველი ჯვარი ეკლესიას დაუბრუნა და ისიც აღუმართავთ.

დაახლოებით 1990-იანი წლებიდან ტაძრის რესტავრაციის საქმე ახალშენელმა ბერძნებმა აქაურ ქართველ მოსახლეობას გადააბარეს, რომლებმაც დაასრულეს ტაძრის ინტერიერისა და ეზოს კეთილმოწყობა. ახალშენელ ქართულ მოსახლეობას დღესაც ახსოვს დიდი სახალხო შეკრება, რომელიც 1994 წელს, დაახლოებით აპრილში შედგა. ამ დროს ერთიანი ძალით მოხერხდა ტაძრის ეზოს და შემოგარენის დასუფთავება და განმენდა. განახლებული ტაძარი 1994 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს საზეიმოდ ეკურთხა. განახლებული ეკლესიის პირველი მღვდელი იყო მამა მიქაელ მჭედლიშვილი, შემდგომ დეკანოზი ზაქარია ფერაძე. 1997 წლიდან ტაძარში წირვა-ლოცვას აღასრულებდა დეკანოზი ბასილი ბერიძე. მამა ბასილის გადმოცემით ძველი ტაძრიდან შემორჩა სანათლავი ემბაზი. იგი 1915 წლითაა დათარიღებული, ინახებოდა მოსახლეობაში და ეკლესიის განახლების შემდეგ ისევ ეკლესიას დაუბრუნდა (ლეკვიშვილი, 2001:62). მოსახლეობის მონვევით 1997 წლის 20 სექტემბერს ახალშენის ფერისცვალების ტაძარს უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სტუმრობდა.

თანამედროვეობაში ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძრი ერთ-ერთი საუკეთესოდ კეთილმოწყობილი ტაძარია, რომელიც უბრალოებითა და სისადავით გამოირჩევა. ეს განსაკუთრებით ეკლესიის ეზოზე ითქმის. აქ საინტერესოაა განთავსებული ბოლო დრომდე მოღწეული სიძველეები – საფლავის ქვები, რომლებიც ეზოს ლანდშაფტის თანამედროვე დიზაინთან ძალზე სასიამოვნო სინთეზს ქმნიან.

ახალშენის ტაძარი რიყის ქვითაა ნაშენი, რომელიც იქვე მდინარე ბარცხანის სანაპიროებიდან უნდა იყოს შეგროვებული. კუთხეებისა და სარკმლის ღიობებისათვის კი ნათალი ქვაა გამოყენებული. ტაძრის სიგანე 11 მეტრი, სიგრძე საკურთხევლის ჩათვლით 16 მეტრი, ხოლო სიმაღლე გუმბათის ჩათვლით 21 მეტრია. დაგეგმარებითა და ფორმით ახალშენის ტაძარი სხვა ბერძნული ტაძრების მსგავსია.

ტაძრის ეზოში რამდენიმე ძველი სასაფლაოა, მათ შორისაა დიმიტრი მაკრიდისა და მისი ძმის ძველი და ახალი სასაფლაოები (ტაბ.XI, სურ.013, 014). საფლავის ქვაზე ორენოვანი –

91 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „2016 წლის 10 მაისის მდგომარეობით რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ბაზა“-ში ფიქსირებულია „ფერისცვალების ეკლესიის მშენებლობის საზოგადოება“ (ს/კ.202173600), მაგრამ რამდენადაც ახალშენში ბერძნები უკვე აღარ ცხოვრობენ ამ საზოგადოებასთან თუ კომიტეტთან დაკავშირებული საკითხის დაზუსტება ვერ ხერხდება.

ბერძნულ-ქართული ეპიტაფიაა ამოკვეთილი, რომლის ქართული ნაწილი ასე იკითხება „შეინ-
ყალე უფალო სულნი მონათა შენთა, მღვდლის დიმიტრი მაკრიდისა და ძმისა მისისა და მიეც
მათ საუკუნო ხსენება. ამინ“. არის კიდევ ერთი ძველი სასაფლაო, რომელსაც სამწუხაროდ
რაიმე წარწერა არ აქვს და ვინაობის დადგენა არ ხერხდება.

ტაძრის ეზოში დაცულია ორი ჩუქურთმიანი ქვა, მათგან ერთი, სავარაუდოდ, ძველი ტაძრის ფასადზე, ან შესასვლელის თავზე, ან ფასადის სხვა რომელიმე თვალსაჩინო ადგილზე უნდა ყოფილიყო ჩაშენებული. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს ქვაც საფლავის სტელა იყოს. მასზე რელიეფური ჯვარია გამოსახული, რომელიც იქსისებურად დალაგებული ჯვრებითაა შემკული. ქვა დაზიანებულია, ჩამოტეხილია მარჯვენა ქვედა კუთხე, მაგრამ იგი ისე დგას, რომ მისი ერთიანი კომპოზიციური იერი დარღვეული არაა. მეორე ქვა უფრო მეტი ალბათობით შესაძლოა საფლავისა იყოს. იგი მაღალი და ოთხკუთხა ფორმა მოყვანილობისაა.



ჯვრის ორნამენტის ქვა, ახალშენის ეკლესიის ეზო.

ოთხივე მხარე ორნამენტირებულია. ერთ მხარეს, რომელსაც სწორი ორიენტაციის მიზნით, პირობითად, ფასადი ვუწოდებთ, ჩანს წარწერაც ჰქონდა, მაგრამ იმდენად დაზიანებულია, რომ რაიმე შინაარსის დაზუსტება ვერ ხერხდება. მარჯვენა და მარცხენა გვერდებზე ერთნაირი




ჩუქურთმიანი

ორნამენტი ახასიათებს, რომელთაგან მარჯვენა გვერდითი მხარის ჩუქურთმა უფრო კარგადაა შენახული. ესაა „ქოთანში ჩარგული“, უფრო სწორად, იქედან ამოზრდილი მცენარე – სიცოცხლის ხე, რომელსაც ორივე მხარეს ორ-ორი შეფოთილი ტოტი აქვს. ქვედა ტოტები უფრო მცირე და ზედა უფრო დიდი ზომისაა. ფოთლები კარგადაა გამოკვეთილი. სამწუხაროდ ქვის დაზიანების გამო არ ჩანს სიცოცხლის ხის ძირითადი ღერძის დასასრული, კერძოდ ზედა ნაწილი რით და როგორ მთავრდება. ქოთნიდან ამომავალი ხის ძირი, ღეროსთან შედარებით მსხვილია. მის ორივე მხარეს ტოტების ქვეშ ორი მრგვალი ყვავილი – ვარდულია გამოკვეთილი. ქვას ზურგის მხარეც ორნამენტირებული აქვს. ესაა მცენარეული იერის სტილიზებული ჯვრის გამოსახულება. ჯვრის მკვლავები, როგორც ბერძნული ეკლესიებისთვისაა

დამახასიათებელი, სამფურცლოვანი იერისაა. კარგად ჩანს ჯვრის საყრდენი საფეხურებრივი პოსტამენტი. ამ შემთხვევაშიც ჯვრის ორივე მხარეს ორი ვარდულია, გამოსახული. ჩუქურთმები რელიეფურია და ჩაჭრა-ამოკვეთის წესითაა შესრულებული.

რამდენადაც აღნიშნული ქვა, მისი თავდაპირველი ადგილიდან გადაადგილებულია და ამ ეტაპზე ტაძრის ეზოს ლანდაფტში ერთგვარი ესთეტიკური როლი ენიჭება, მის შესახებ სხვა რაიმე საკითხის დაზუსტება ვერ ხერხდება და პირობითად მივიჩნევთ, რომ სავარაუდოდ ეს საფლავის ქვა უნდა იყოს.

ამდენად ახალშენის ტაძარი, ხალხში შემონახული ზეპირი ისტორიების ფონზე, ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ცოცხალი მატრიანია, რომელიც ისტორიულად დამახასიათებელი სიტბოთი და უბრალოებით აგრძელებს ფუნქციონირებას.




ახალშენის ეკლესიის მეტრიკული წიგნის გარეკანი

ყოროლისთავის წმიდა პანტელეიმონის სახელობის ტაძარი

1915 წლის ტურისტულ გზამკვლევი «Черноморское побережье» ბათუმის შემოგარენის, მათ შორის, ორთაბათუმისა და მთლიანად ყოროლოსწყლის ხეობის შესახებ შემდეგი ინფორმაციაა დაცული: «... Почти параллельно полотну Жел. Дороги проложено шоссе до зеленого мыса и Чаквы. По шоссе можно попасть, не доезжая дачи Нобеля, свернув право на новую дорогу, в местность Ортабатумь, и далее в греческое селение Коронис–Стави,⁹² мимо фильтров городского водопровода. Здесь вы попадаете в самое красивое ущелье реки Коронись–Цкали. В глубине ущелья, влево, отходить тропа, по которой можно подняться на вершину горы Мтирала... Это в высшей степени живописный уголок дикой горной природы. Купанье жарким летом в холодной воде водоема под водопадом – истинное наслаждение» (Москвичь, 1915:103). მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული აღწერილობიდან ჩვენთვის საინტერესოა რამდენიმე გარემოება: ერთი მხრივ ის, რომ ორთაბათუმის მიმართულებით 1915 წლისათვის უკვე ახალი გზა ყოფილა, რაც ამ ხეობის მნიშვნელობაზე მიუთითებს. მეორე მხრივ ავტორი ასახელებს სოფელ ყოროლისთავს (Коронис-Стави), როგორც ბერძნულ სოფელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ტერიტორია XX საუკუნის

92 ტექსტში ორგან მოცემულია «Коронис–Стави». თანამედროვე გაფორმებით ესაა იგივე ყოროლისთავი, თუმცა ციტირებისას დავტოვეთ იგივე ვარიანტი, რაც ორიგინალში იყო დაცული. შესაძლოა იმ დროისათვის ასეც უწოდებდნენ, თუმცა ვერ გამოვრიცხვთ ეს ტექნიკური შეცდომა იყოს, მაგალითად სხვა შემთხვევაში იმავე გვერდზე «Греческая селенья»-ს ნაცვლად წერია «Греческая седенья».



დასაწყისისათვის ტურისტული მარშრუტების სიაშია შეყვანილი. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ფერადი ფოტოს პირველმა დიდოსტატმა სერგეი პროკუდინ გორსკმა 1910–1915 წლებში ფერადი ფოტოები, მათ შორის ავტოპორტრეტი, ყოროლისწყლის ხეობაშიც გადაიღო. გარდა აღნიშნულისა ბათუმის წყალმომარაგების სისტემა ორთაბათუმიდან, ყოროლისწყლის ხეობიდან იღებდა სათავეს, რაც ამ ხეობას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას მატებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 1878 წლიდან, ბათუმის ოლქის ეკონომიკური შესაძლებლობებით არაერთი პირი იყო დაინტერესებული. ამგვარი ინტერესი მრავალმხრივი იყო და ხელს უწყობდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარებას. ამ მხრივ გამორჩეული როლი ენიჭებო-

და ჩაისა და ციტრუსების განვითარებას. ახალი კულტურების მოშენება ბათუმის ოლქში თავდაპირველად შეძლებულმა მოახალშენებმა წამოიწყეს და კომერციული კუთხითაც მნიშვნელოვნად განავითარეს ახალი სასოფლო კულტურების წარმოება. შედარებით მოგვიანებით, ამ პროცესებში ბათუმის ოლქის მოსახლეობის ფართო ფენაც ჩაერთო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ეკონომიკურად შეძლებულმა პირებმა ქალაქის გარეუბნებში დაიწყეს კომერციული მიზნით მომგებიანი ახალი კულტურების წარმოება. აღნიშნული პროცესები შეეხო ორთაბათუმს და აქაური მოსახლეობის – სოფელ ყოროლისთავის დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც დადებითი გავლენა იქონია. აქ არაერთი ბერძნული აგარაკი აშენდა. ეთნოგრაფიული მასალებით, ხალხურ მეხსიერებას ბოლო დრომდე შემორჩა მატაქსას სახელი. მისი შესაბამისი ტოპონიმიც არსებობს **მეტაქსების სირთი//მეტაქსას გორა**, სადაც თავდაპირველად დასახლებულა მეტაქსა. ხალხურმა მეხსიერებამ პირველი მეტაქსას სახელო ვერ შემოინახა, მაგრამ ძველი სასაფლაოებიდან ჩანს, რომ შესაძლოა ეს იორდანე მეტაქსა ყოფილიყო.

ყოროლისთავში ბერძენი მოახალშენეები იყვნენ: ტერენცო, მეტაქსა, პაპანდოპულო, პარასკევოპულო, ამბელიდისი, სეიტიდისი, კოტიდი და სხვა. ეს გარემოება სხვა ბერძნებსაც იზიდავდა საცხოვრებლად, რომლებიც ახალ სამოსახლოს თავიანთი თანამომემების სიახლოვეს ამჯობინებდნენ (ლეკვეიშვილი, 2001:63). ყოროლისთავის ბერძნული მოსახლეობის ცნობით ბერძენი გლეხები აქ ჩამოდიოდნენ და მათივე თანამომე შეძლებულ ბერძნებთან პლანტაციებში მუშაობდნენ, შემდგომ „ფეხი მოიკიდეს“ და სახლებიც აიშენეს. მაგალითად ტაქსიდების გვარში გადმოცემით დღემდე ახსოვთ, რომ მათი წინაპარი ნიკოლაი არა ზღვით, არამედ მთებით

გადმოსულა და ორთაბათუმში დასახლებულა.⁹³ ასე გამრავლდა ბერძნული მოსახლეობა ყოროლისთავში. სწორედ დემოგრაფიულმა მდგომარეობამ წარმოშვა ტაძრის მოთხოვნილება და დღის წესრიგში ახალი ტაძრის მშენებლობა დააყენა.

ხალხური გადმოცემებით, ორთაბათუმის წმიდა პანტელეიმონის სახელობის ტაძრის მშენებლობა 1898–1900 წლებში მიმდინარეობდა. ერთ-ერთი ინფორმაციით ტაძრის მშენებლობას ხელმძღვანელობა გაუნია ნიკოლოზ მეტაქსამ, იორდანე მეტაქსას შვილმა (ლეკვეიშვილი, 2001:63). მეტაქსების სირთვე ფიქსირდება ნიკოლოზ იორდანეს ძის სასაფლაო, თუმცა საფლავის ქვაზე დაცული თარიღით იგი 1907–1963 წლებში ცხოვრობდა. შესაბამისად იგი ვერ იქნებოდა ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი.

ბათუმის ცენტრალურ არქივში დაცული ერთ-ერთი ცნობის მიხედვით ყოროლისთავის ბერძნული ტაძარი 1884 წლიდანაა გახსნილი. ესაა მშრომელთა დეპუტატების ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ შედგენილი, ბათუმის რაიონში არსებული საკულტრო შენობების სია, რომლებიც დახურული, მაგრამ კულტურული თუ სამეურნეო დანიშნულებით გამოუყენებელი იყო. სია 1944 წლის მდგომარეობას ასახავს, მასში, ერთ-ერთ გრაფაში თუ „რომელი წლიდან არის გახსნილი“ ს. ყოროლისთავის ტაძრის გასწვრივ მითითებულია 1884 წელი.⁹⁴ ამდენად, ყოროლისთავის ეკლესიის მშენებლობისა და გახსნის საკითხი საბოლოოდ დაზუსტებული არაა.

წმიდა პანტელეიმონის ტაძარი მდინარე ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროზე შემალღებულ ადგილზეა აშენებული. სამანქანე გზა ყოროლისწყლის ხეობაში – ორთაბათუმის ცენტრამდე მდინარის მარცხენა სანაპიროს მიუყვება. ტაძართან მდინარეზე გადასასვლელი თალიანი ხიდია, მისი საშუალებით სოფელ ყოროლისთავის გზა მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გადადის და ზევით ხეობის სიღრმეში მიუყვება. სწორედ ხიდის მოპირდაპირედ მალლობზე, პატარა გორაკზე დგას ტაძარი. მასთან მისასვლელი ბილიკი თალიანი ხიდიდან იწყებოდა და მარცხნიდან უვლიდა ტაძარს. ეს გზა დღესაც შენარჩუნებულია. ხალხურ მეხსიერებას დღემდე შემორჩა ცნობა, რომ ეკლესიის ქვემოთ მდინარის სანაპიროზე არსებული ვაკე ადგილი ეკლესიის ყანა იყო. აქვე იდგა ბერძნული სკოლის შენობა.⁹⁵ თანამედროვეობაში ამ ადგილზე სამანქანე გზა გადის.

ფოტოზე, რომელიც ტაძრის თავდაპირველ, ანუ საბჭოთა პერიოდამდე მდგომარეობას ასახავს (ტაბ. X, სურ. 122), გამოკვეთილად ჩანს, რომ ტაძარს ირგვლივ ტყე აკრავს. ჩვენი დაკვირებით, ანუ ფოტოს დეტალური ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ ტაძრის სამხრეთ კედელთან სამი სასაფლაოა გამართული. ეს სასაფლაოები თანამედროვეობაში მოშლილი და განადგურებულია, მაგრამ აღნიშნულ სასაფლაოებზე დაკრძალულ პირთა ვინაობის დამადასტურებელი საფლავის ქვები იმავე სამხრეთის კედელშია ჩასმული. მათგან ერთ-ერთი ძველი ქვაა, რომელიც, როგორც ჩანს გადაურჩა დროსა და საბჭოთა ეპოქას. დანარჩენი საფლავის

93 სემ. დღიური II-022.

94 აგსა, ფონდი 977, აღწ. 1, საქმე 2, გვ. 24. შდრ. აგსა, 2013:64.

95 სემ. დღიური II-023.

ქვეები, როგორც ჩანს იმდენად დაზიანებული იყო, რომ მათი აღდგენა ვერ მოხერხდა. ძველი სასაფლაოების დამტვრეული ქვეები, მათ შორის მემორიალური დაფების ჩუქურთმიანი ნაწილებიც ტაძრის სამხრეთითაა დალაგებული. ჩვენი დაკვირვებით ეს ქვეები საფლავის მემორიალური ძეგლებია – მასიური ზომის ნათალი და მოჩუქურთმებული ქვეები. საფლავის ამგვარი ფორმის ქვეები გვხვდება კვირიკეს, დაგვის, ახალშენის ბერძენთა ძველ სასაფლაოებზე. მათში, როგორც წესი მარმარილოზე ამოკვეთილ ეპიტაფიებიან ქვეებს სვამდნენ. ერთ-ერთი ასეთი საფლავის ქვა დღემდე შემორჩა წმ. პანტელეიმონის ეკლესიის ეზოს, მაგრამ მასში ნარწერიანი მარმარილოს დაფა აღარაა. იგი სამხრეთის კედელთან დევს. ეკლესიის სამხრეთი კედელთან არსებული ძველი სასაფლაოებიდან დროის ხელყოფას მხოლოდ ერთი საფლავის ქვა, კერძოდ ნარწერიანი მარმარილოს ქვა გადაურჩა. მასზე მათეოს მანოსის საფლავის ეპიტაფიაა ბერძნულად ამოკვეთილი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: „ღირსმოსაგონარ ღვთის მსახურს მათეოს მანოსს. 1861-1922. ბათუმის მაღლიერი საზოგადოებისაგან“. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ მათეოს⁹⁶ დიმიტრის ძე მანოსმა 1900 წლის 25 იანვარს რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მეფსალმუნედ დაინიშნა. 1902 წლიდან იგი ბათუმის ვაჟთა ბერძნული სასწავლებლის საღვთო სჯულის მასწავლებელია, ხოლო 1904 წლის 21 დეკემბრიდან წმიდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესიის მღვდელია.⁹⁷ საარქივო მასალებით იგი 1907 წელშიც წმიდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესიის მღვდელი იყო.⁹⁸ კვლევის ამ ეტაპზე მათეოს მანოსის შესახებ სხვა ბიოგრაფიული ცნობების დაზუსტება ვერ მოხერხდა.

წმ. პანტელეიმონის ტაძრის სამხრეთის კედელთან ძველი ფოტოს მიხედვით, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რამდენიმე სასაფლაო იყო. თანამედროვეობაში იმავე სამხრეთის კედელში, ბათქაშში ჩასმულია მარმარილოს დაფა – იქვე დაკრძალულთა ვინაობის შესახებ. ეს სასაფლაოები უკვე მოშლილია და მხოლოდ აღნიშნული მემორიალური დაფაა შემორჩენილი. აქედან ირკვევა, რომ თავის დროზე ეკლესიის სამხრეთ კედელთან, გარდა მათეოს მანოსისა, დასაფლავებული იყვნენ კოტიდების გვარის შემდეგი პირები: კოტიდუ ევდოკსია 1857-1936; კოტიდი პავლოსი 1876-1943; კოტიდი თეოფილაქტოსი 1874-1956.

მემორიალურ ძეგლები, მით უფრო, როცა ეპიტაფიაც გვხვდება, როგორც წესი საინტერესო ინფორმაციის შემცველია. მოცემულ შემთხვევაში წმ. პანტელეიმონის ტაძრის ეზოში შემონახულ საფლავებზე, მათ შორის დამტვრეულ ქვეებზე დაკვირვება მემორიალურ ძეგლთა გათლა-დამუშავებისა და სხვა სამშენებლო პროცესების აღდგენის საშუალებას იძლევა. მაგალითად, თუ როგორ ხდებოდა მემორიალური, ნარწერიანი მარმარილოს დაფის უკვე გამოთლილ და გამზადებულ საფლავის ქვაში ჩასმა-ჩამაგრება. საერთოდ, ქვითხურობაში გამდნარი ტყვიის გამოყენება

96 საარქივო დოკუმენტში, რომელიც რუსულადაა შედგენილი მათეოსის სახელი მოცემულია, როგორც «Матфен».

97 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 54, აღწ.1, საქმე 25.


98 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 2, აღწ.1, საქმე 52, გვ.74

ფართოდ გავრცელებული ხერხი იყო, ეს წესი აჭარის მემორიალური კულტურის ძეგლებზეც გვხვდება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „ბეგების სასაფლაო“ ზემო აჭარაში (ხულო, სოფელი დეკანაშვილები), სადაც საფლავის ქვები ერთმანეთთან ლითონის სამაგრებითა და გამდნარი ტყვიის გამოყენებითაა გადაბმული (მგელაძე, ტუნაძე, 2009:123). მსგავსი წესი ბერძნულ ძველ სასაფლაოებზე მრავლად გვხვდება.

ტაძრის ჩრდილო აღმოსავლეთით, მცირე ხევის – **ღელე**’ს გაღმით სასაფლაოებია მოწყობილი. აქ ერთი საინტერესო სასაფლაო მდებარეობს, რომელსაც რკინის ჯვარი აქვს. მასზე მიმაგრებულია ლითონის რომბისებური ფირფიტა ბერძნული წარწერით. მისი შინაარსი ასეთია: „სილამაზე, იმედები, ცხოვრების საზრუნავი და ახალგაზრდობა მოინელა ამ წუთმა – ამოების სამყარო. ევანთია თ. არქენტოპულუ. დაიბადა ტრაპიზონში 1877 წ. გარდაიცვალა 1901 წ.“. ზოგადად ეპიტაფიების შემცველი სასაფლაოები მცირეა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი გამოირჩევა ორიგინალობით და განსხვავდება სხვებისაგან. აღნიშნული ეპიტაფიაც ამგვარ მემორიალურ წარწერათა რიგში ექცევა. სამწუხაროა, რომ ვერც საველე მასალებით და ვერც საარქივო ძიებით, ვერ მოხერხდა მაგალითად ე. არქენტოპულუს შესახებ მასალების მოძიება და მხოლოდ ეპიტაფიაში დაცული ინფორმაციით ვკმაყოფილდებით.

ყოროლისწყლის ხეობაში ბერძნული სასაფლაოები ორ ადგილზე გვხვდება, ერთი ტაძრის სიახლოვეს და მეორე **მეტაქსების სირთ(ი)**’ზე. ამ ადგილს **მეტაქსების გორა**’საც უწოდებენ. აქ არსებული სასაფლაოებიდან აღებული მონაცემებით ჩანს, რომ ყოროლისთავში აღნიშნული ეკლესიის მრევლს ბერძენთა შემდეგი გვარები შეადგენდნენ: მეტაქსა, ტაქსიდი, პაპანდოპულო, კოტიდუ, კოტიდი, გრიგორიადი, ხინდიადი, გალუსტოვი, ამბელიდი, სტავრიანიდი, პარასკევოპულო, სეიდიდი, კრომილიდი, კესოვა, ვარდიმიადი, მანოსი და არქენტოპულუ.

მეტაქსების სირთზე წარწერიან სასაფლაოთაგან ყველაზე ძველია ხრისტოს ნ. მეტაქსას საფლავი, რომლის ეპიტაფია შემდეგი შინაარსისაა: „აქ განისვენებს მონა ღვთისა ხრისტოს ნ. მეტაქსასი სურმენიში დაბადებული 2.05.1860, გარდაიცვალა ბათუმში 08.08.1892“. სიძველის მიხედვით შემდგომია პარასკევოპულო პანაიოტის საფლავი, რომელიც 1956 წლის სამ ნოემბერს გარდაცვლილა 71 წლის ასაკში. მის შემდგომ სიძველით ხასიათდებიან ნიკოლაი იორდანეს ძე მეტაქსას (1907–1963) და პანაიოტი ფომას ძე ტაქსიდის (1913–1967) სასაფლაოები. როგორც ჩანს ორთაბათუმის ბერძნებს თავდაპირველი სასაფლაო ტაძრის



ნიკოლოზ მეტაქსას სასაფლაო. სოფ. ყოროლისთავი

სიახლოვეს აქვთ მონყობილი, მაგრამ რამდენადაც ტაძრის მიმდებარე ტერიტორია რელიეფის სივნიროვით ხასიათდება, ბუნებრივია ბერძენთა სასაფლაოები მეტაქსების სირთზეც გვხვდება. დღეისათვის მეტაქსების სირთზე ქართული გვარის ჯერ არავინაა დაკრძალული. ქვემოთ, უშუალოდ ეკლესიის მიმდებარედ კი გოგიტიძის, დავითაძისა და ჩაჩხუნაშვილის გვარები ჩანს დაკრძალული.

ორთაბათუმის წმიდა პანტელეიმონის ტაძარი მართკუთხა დაგეგმარებისაა, საკურთხეველი, როგორც წესი ოვალური ფორმისაა. ტაძრის საერთო სიგრძე საკურთხევლის ჩათვლით 13,30 მეტრს, ხოლო სიგანე 7.25 მეტრს შეადგენს. გადახურვის კონსტრუქცია ფორმით ჯვარსახოვანია. მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები თანაბარზომიერად გრძელია. სახურავის შუაზე თავსდება გუმბათი, რომელსაც ოთხივე მხრიდან ორფერდა სახურავი უერთდება. მხოლოდ ამგვარად ღებულობს ტაძრის სახურავი ზედხედით ჯვარსახივან იერს, ხოლო ტავად ტაძარი კი გეგმაზე მართკუთხედის ფორმისაა, ისე, როგორც ეს თავის დროზე ბაზილიკებს ახასიათებდათ. ტაძრის კუთხეები, ასევე სარკმლისა და კარის ღიობები თლილი ქვითაა ნაშენი, ხოლო კედლის სხვა დანარჩენი ნაწილები რიყისა და ნარჩენი ნამტვრევი ქვებითაა აგებული, სადაც დუღაბად კირხნარი ყოფილა გამოყენებული. რთული რელიეფის გამო ეკლესიასთან სამანქანე გზა არ მიდის. როგორც ზემოთაც აღინიშნა ძველად ტაძართან მისვლა მხოლოდ ბილიკის საშუალებით იყო შესაძლებელი, ძველი ბილიკი დღესაც შენარჩუნებულია და მოქმედა. იგი საკმაოდ ფართოა და ორი, სამი კაცი მხარდამხარ თავისუფლად გაივლის. ეს ძველი გზა ტაძარს ჩრდილო დასავლეთიდან უვლის. გზის ქვემოთ (მარცხნივ) კი ბამბუკის ხეივანია. 2012 წელს მიაშენეს ტაძრის შესასვლელი – ნართექსი. იმავე წელს მოეწყო ტაძართან ასასვლელი პირდაპირი გზა, ბეტონის კიბეებითა და მოაჯირით (იხ.: ეკლესიის გენ-გეგმა).


წმიდა პანტელეიმონის ტაძრის ძველ ფოტოზე ეკლესია სრული სახითაა დაცული და გუმბათიც ჯერ კიდევ შემორჩენილია. ხალხური მეხსიერებით გუმბათი დაახლოებით 1960 თუ 1970-იან წლებში ჩამოიქცა. საბჭოთა პერიოდში ეკლესია კოლმეურნეობის საწყობად იყო გადაკეთებული, არ ხდებოდა შერემონტება, რამაც განაპირობა გუმბათის ჩამოშლა.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ელიზავეტა ხარლამპის ასულმა კოტიდმა და კნენა თამარ მიხეილის ასულმა ნაკაშიძემ თხოვნით მიმართეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს ორთაბათუმის წმ. პანტელეიმონის ტაძრის რესტავრაციისა და აღდგენის თაობაზე, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან ამ საქმემ ნებართვა ვერ ჰპოვა (ლევკვიშვილი, 2001:63).

გასული საუკუნის 90-იან წლებში, კერძოდ 1993 წელს ტაძრის რეკონსტრუქციას ხელმძღვანელობდნენ სოფელ დაგვაში მცხოვრები ბერძნები და საერთო ძალისხმევით მოხერხდა ორთაბათუმის ტაძრის აღდგენა. იგი 1998 წელს გაიხსნა. ყოველწლიურად 9 აგვისტოს აქ აღინიშნება წმ. პანტელეიმონ მკურნალის ხსენების დღე. აქ თავს იყრიან აჭარაში მცხოვრები ბერძნები და ეკლესიის მფარველი წმინდანის დღეობასაც ერთად აღნიშნავენ.

ზედა კვირიკეს წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ტაძარი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ზედა კვირიკე ზღვის დონიდან 260 მეტრის სიმაღლეზე, მესხეთის ქედის დასავლეთ მთისწინეთში, მდინარე კინტრიშის მარცხენა შენაკადის – კინკიშას ხეობაში მდებარეობს. სოფელ ზედა კვირიკეს ადგილობრივი მოსახლეობა **შვერნიკი**'ს სახელითაც მოიხსენიებს. ეს სახელი სოფელს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩა, რადგანაც კოლმეურნეობა ნ. შვერნიკის სახელს ატარებდა. ადგილობრივი მოსახლეობა ეთნიკურად ქართველი და ბერძენი ეთნოსის წარმომადგენლობისაგან შესდგება, რომლებიც დაახლოებით XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დღემდე თანაცხოვრობენ.



სოფელ კვირიკეში არსებულ ტაძართა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია წმინდა კონსტანტინესა და ელენეს ტაძარი (ტაბ. X. სურ. 144-149), სადაც არაერთი წმიდა ხატი ინახება (ქობულეთის..., 2015:10). ტაძრის გამორჩეულობა მის მოცულობაში, დახვეწილ არქიტექტურულ ფორმებსა და საინტერესო ისტორიაში მდგომარეობს. ტაძარი სოფელ ზედა კვირიკეს ცენტრში მდებარეობს. გადმოცემით ტაძრის ადგილზე თავდპირველად ჭაობი ყოფილა. ამიტომაც საძირკვლის გასამაგრებლად მრავლად გამოუყენებიათ მურყანი – **თხმელა** (ლათ. *Alnus*). ხალხური დაკვირვებით, თხმელა ნესტგამძლე მცენარეა. მას შენობა-ნაგებობების საძირკვლის, გზის ჯებირების, ტერასების გამაგრებისათვის ხშირად იყენებდნენ. აღნიშნული მეთოდი თანამედროვეობაშიც გამოიყენება, განსაკუთრებით გზის ჯებირების მოწყობის მიზნით. გადმოცემით, ეკლესიისათვის სხვა ადგილი ვერ გამოიძებნა და ამიტომაც გახდა საჭირო ჭაობის აღნიშნული წესით დაშრობა და გამაგრება. ეკლესია ფერდობზეა აგებული. ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ წარსულში ამ ადგილზე ჭაობი არც ისე მძლავრი უნდა ყოფილიყო. ეკლესიისათვის აღნიშნული ადგილის შერჩევა უმთავრესად, სოფელში მისი ცენტრალური მდებარეობით იყო განპირობებული. ეკლესიის მშენებლობა, ხალხური გადმოცემების მიხედვით, 1904-1912 წლებში მიმდინარეობდა. ზოგი ინფორმაციით მშენებლობა 1989 წელს დაწყებულა (ლევკვიშვილი, 2001:68) და 1910 წელს დასრულებულა. ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტ ინფორმაციას აღნიშნული ეკლესიის 1915 წლის ანკეტა იძლევა, რომლის მიხედვითაც ტაძარი 1892 წელსაა აგებული.⁹⁹ აღნიშნული მონაცემებიდან დგინდება, რომ ტაძარი იმთავითვე ქვისგან იყო აგებული, თუმცა სამრეკლო ხისა იყო. ჰქონდა ერთი სატრაპეზო. ეკლესიის შტატში ერთი მღვდელი და ერთი მეფსალმუნე ირიცხებოდა. მღვდლის ჯამაგირი 392, ხოლო მეფსალმუნისა 122,50 მანეთით განისაზღვრებოდა. ეკლესიას მიწა არ გააჩნდა. მომსახურე

⁹⁹ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 977, აღწ.1, საქმე 2, გვ.26. შდრ. აცსა, 2013:40-41

პერსონალი საკუთარ კერძო სახლებში ცხოვრობდა. საინტერესოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ეკლესიის მრევლი 1915 წლის მდგომარეობით 63 კომლი იყო. ახლომდებარე ტაძრებიდან ანკეცაში მხოლოდ დაგვის ღვთისმშობლის ეკლესიაა აღნიშნული. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ანკეცა წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ეკლესიის მღვდლის გიორგის (გვარი არ იკითხება) და მეფსალმუნეს – კონსტანტინე როდოპულოს მიერაა შედგენილი, მასში ასახული ინფორმაციის სისწორე ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ასეთ შემთხვევაში საინტერესოა, რომ 1915 წლის მონაცემებით სოფელ კვირიკეში მხოლოდ ერთი – წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ტაძარი ყოფილა მოქმედი. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ცვლის ასევე, სოფელ კვირიკეში მდებარე წმიდა გიორგის ტაძრის ისტორიას. მასზე ცალკე იქნება საუბარი.

ანკეცის მიხედვით საეკლესიო ქონების აღწერა 1892 წლიდან იყო დაწყებული და სრულად ინახებოდა. ასევე შენახული იყო თასმითა და ბეჭდით ეკლესიის შემოსავალ-გასავლის წიგნი, მეტრიკის ასლები, საძიებო წიგნი და აღსარების ჩანაწერები, რომელთა წარმოებაც 1892 წლიდან იყო დაწყებული. ტაძართან არსებობდა ბერძნული ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომელიც კერძო სახლში იყო განთავსებული. სკოლაში 45 ვაჟი და 15 გოგონა სწავლობდა. ეკლესიას ჰყავდა მნათე, რომელიც 1889 წლიდან მუშაობდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ანკეციდან მხოლოდ მღვდლის სახელი – გიორგი იკითხება, თუმცა სხვა საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეს იყო გიორგი ჩალიკოვი. 1900 წლის 6 სექტემბერს იგი ბათუმის ოლქის ეკლესიათა ბლალოჩინს – ალექსანდრე რალცევიჩს წერილით მიმართავდა და კვირიკეს ეკლესიის მსახურებისათვის აგვისტოს თვის ანაზღაურებას – 79 რუბლსა და 72 კაპიკს სთხოვდა.¹⁰⁰ ბერძნული და, არა მხოლოდ ბერძნული ეკლესიები, ალექსანდრე რალცევიჩს სხვადასხვა საჭიროებებისათვის ხშირად მიმართავდნენ. მაგალითად 1892 წლის 1 სექტემბერს კვირიკეს ეკლესიიდან უგზავნიდნენ 5 რუბლს და სხვადასხვა ბლანკებს სთხოვდნენ. მაგალითად, ეს იყო: 20 ფურცელი ახალშობილთა მეტრიკული წიგნისათვის; 10 ფურცელი ქორწინების აღრიცხვისათვის; 15 ფურცელი გარდაცვლილთათვის და 5 ასლგადამტანი ფურცელი.¹⁰¹

საარქივო მასალებში ხშირია დოკუმენტები, სადაც მხოლოდ სოფელ კვირიკეს ტაძარია მოხსენიებული, მაგრამ არაა დაკონკრეტებული თუ რომელია ეს – წმ. კონსტანტინესა და ელენესი თუ წმ. გიორგის სახელობისა. წმ. კონსტანტინესა და ელენეს ეკლესიის ანკეცაში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მითითებულია, რომ უახლოესი ტაძარი დაგვაშია, ესე იგი კვირიკეში სხვა ეკლესია არ იყო (?), ამდენად იქ, სადაც კვირიკეა დასახლებული უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს კვირიკეს წმ. კონსტანტინესა და ელენეს სახელობის ტაძარია. ამგვარი მიდგომა, კვლევის ამ ეტაპზე უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია. ეს იმ მხრივაც გამართლებული იქნება თუ სამომავლოდ დადგინდება, რომ სოფელ კვირიკეში წმ. კონსტანტინესა და ელენეს ტაძარზე წმ. გიორგის ეკლესია „მინერილი“ იყო. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენს მიერ გამოვლენილი საარქივო მასალებიდან

100 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 54, აღწ.1, საქმე 1, გვ.21

101 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 54, აღწ.1, საქმე 1, გვ.28.

ეს არ დასტურდება, ეს არც წმ. კონსტანტინესა და ელენეს ტაძრის ანკეტიში არაა მითითებული. მიუხედავად აღნიშნულისა, სხვა ბერძნულ ტაძართა ანკეტებიდან ჩანს, რომ იმავე პერიოდში „მინერილი ეკლესიის“ პრეცედენტი არსებობდა ყოროლისთავის წმ. სასწაულმოქმედი და მკურნალი პანტელეიმონის სახელობის ეკლესიის მაგალითზე, რომელიც მინერილი იყო ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაზე. ამ შემთხვევაში გარკვეულ ახსნას და დაზუსტებას საჭიროებს რას ნიშნავს ტერმინი „მინერილი“, რა სახის ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა „მინერილი“ და „ძირითად“ ეკლესიებს შორის, ან რა განაპირობებდა ეკლესიის „მინერას“ სხვა ეკლესიაზე. ეს და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ზოგადად, საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის გადასახედიდან, დამოუკიდებელი კვლევის ობიექტიც შეიძლება იყოს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მსგავს კითხვებზე პასუხები სოფელ კვირიკეში არსებული ორი ძველი ეკლესიის ისტორიის რიგი საკითხის დასაზუსტებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ტაძრების მშენებლობის სულისჩამდგმელად ხალხური გადმოცემა ვინმე პილიდის ასახელებს.¹⁰² ტაძრის საერთო სასაფლაოზე შემორჩენილია მისი ცოლის – ელენეს საფლავი. ნარატივების მიხედვით პილიდიც იქვეა დაკრძალული, მაგრამ საფლავის ქვა, მხოლოდ მეუღლისაა შემორჩენილი, რომლის ეპიტაფია (ტაბ. X, სურ. 149) მხოლოდ პილიდის ცოლის შესახებ იძლევა ინფორმაციას. იგი შემდეგი შინაარსისაა: „აქ განისვენებს მონა ღვთისა ელენე პილიდი. დაიბადა ტრაპიზონში, სანტაში 1862, გარდაიცვალა 1919“.

თავდაპირველად ეკლესიაში მღვდელმსახურებასაც პილიდი ასრულებდა, ხოლო შემდეგ, საბჭოთა პერიოდში, პილიდის ფუნქცია მომდევნო მღვდელმა – თომა ხარალამპის ძე სავიდიმ გააგრძელა. იგი ნათლობებსა თუ სხვა ტიპის რელიგიურ რიტუალებს საიდუმლოდ ასრულებდა. იგი იქვე, ტაძრის ეზოშია დაკრძალული. საფლავის ქვის წარწერიდან ირკვევა, რომ თომა სავიდი 1911-1978 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ზედა კვირიკეს წმინდა კონსტანტინესა და ელენეს ტაძარი საბჭოთა პერიოდში დანგრევა-აფეთქებას გადაურჩა. თავდაპირველად ტაძარში კოლმეურნეობის საწყობი, ხოლო შემდგომ, დაახლოებით 1970 წლიდან, „ქართველთა და ბერძენთა მეგობრობის მუზეუმი“ იყო განთავსებული, უფრო ზუსტად, ეს იყო ბერძენი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ისტორიის ამსახველი სახალხო მუზეუმი. ახალი მუზეუმი XX საუკუნის დასაწყისში, სოფელ ზედა კვირიკეში, ჩასახლებული ბერძენი მოსახლეობის ინიციატივით, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესა და მისი დედის, წმინდა ელენეს სახელზე აშენებულ ტაძარში გაიხსნა. ბერძენი მოსახლეობა შრომითი ინიციატივითა და საუთარი სახსრებით თითქმის ათი წლის განმავლობაში აშენებდა ტაძარს, იგი 1937 წლამდე მოქმედი იყო, შემდეგ კი ტაძარს სხვადასხვა სამეურეო მიზნებისათვის კოლმეურნეობა იყენებდა. ამჟამად იგი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, სახელწიფო აღრიცხვაზეა აყვანილი.

102 სემ. დღიური II-024.

ტაძრის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ხარალამში შონუსი, ხოლო საინიციატივო ჯგუფში შედიოდნენ: გიორგი ხიონიდი, ილია ჩილინგარიდი, ივანე მავროპულო, ქრისტოფორე ქსანდოპულო, გიორგი იორდანიდი, ხარალამში სელვიდი, ანასტასია პაპადოპულო, ხარალამში პაროციდი, თედორე ჩილინგარიდი, ივანე ჩილინგარიდი, აბრამ პავლიდი და სხვები. ბერძენი მოსახლეობის სსოვნაში ტაძრის მშენებელი ცნობილი ქვითხუროების სახელები დღესაც შემონახულია. ესენი იყვნენ: ონუფრ ეხიონიდი, ხარალამში შონუსი, სტოფორას ქსანდოპულო, ივანე მავროპულო, პოლიხრონე პუმბურიდი, ხარალამში სელვიდი, გეორგი ხიონიდი, ილიას ჩილიკიდი, გეორგი იორდანიდი, ივანე ჩილინგარიდი, ფედორას ჩილინგარიდი...¹⁰³

მუზეუმის პირველი და უკანასკნელი დირექტორი, გახსნიდან 1980-იანი წლების შუა ხანებამდე, ხრისტო არხილის ძე ქსანთოპულო გახლდათ, რომელიც 1957 წელს იყო დაბადებული. მას უმაღლესი განათლება მოსკოვში ჰქონდა მიღებული და ბერძნული და რუსული ენების მასწავლებელი იყო. 1990-იან წლებში იგი სხვა ბერძნული ოჯახის მსგავსად, საცხოვრებლად საბერძნეთში გადავიდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში სამლოცველოს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა, კეთილმოეწყო ტაძრის შემოგარენი და მისასვლელი. შეკრებილი საველე მასალების მიხედვით, მუზეუმის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათი და პროფილი გამოიკვეთა. ამ მიზნით ქობულეთის რაიონულ კომიტეტში, 1985 წელს, სოფელ ზედა კვირიკის სახალხო მუზეუმის მოწყობის კომისია შეიქმნა. კომისიამ შედგენილი გეგმის მიხედვით მუშაობა აჭარაში მცხოვრებ ბერძენი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ამსახველი ექსპონანტების შესაკრებად ფართოდ გაშალა. რაიონის აქტივის, სოფელ დაგვისა და ზედა კვირიკეს მოსახლეობის დახმარებით, ბერძენთა ძველი და ახალი ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთიერი ექსპონანტები, ასევე, ფოტოები, წერილობითი დოკუმენტები და სხვა მასალები შეიკრიბა. მუზეუმში ყურადღებას იქცევდა სოფელ ზედა კვირიკეს ერთ-ერთი პირველი ბერძენი მოახალშენის – ვასილ ივანეს ძე მავროპულოს ფოტო, რომელიც 1917 წელს უკრაინაში იყო გადაღებული. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მუზეუმს ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის ნაქალაქარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული და კოლხური სამაროვნების არქეოლოგიური მონაპოვრები გადასცა, კერძოდ: ჭურჭელი, ყურმილიანი დოქი, იონიური დოქი, იონიური წვრილყურა ჭურჭელი, თიხისა და ფერადი მინის სანელსაცხებლე, ანტიკური შავლაკიანი ლეკითოსი და კილიკი, დიდი ზომის ამფორები და სხვა მრავალი. ნივთიერ მასალებთან ერთად, მუზეუმს აგრეთვე გადაეცა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთების – ნითელფიგურიანი და შავფიგურიანი ლეკითოსის, ოქროს მძივების, ყელსაბამების, ბერძნული ნეკროპოლისის ოქროს სამაჯურების, საყურების, ნითელფიგურიანი ჰიდრიას, ანტიკური ამფორებისა და სხვა კულტურული ფასეულობების ფოტოასლები. სწორედ

ამ მასალის საფუძველზე გაიხსნა მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილება. დამთვალეირებელთა ინტერესს იწვევდა ექსპოზიციაში წარმოდგენილი შემდგომი პერიოდის ექსპონატებიც, ფოტო დოკუმენტები და სხვა ტიპის მასალები, რომლებიც ბერძენი და ქართველი ხალხის საუკუნოვან ურთიერთობებზე მოგვითხრობენ. თვითმხილველთა ინფორმაციით, მუზეუმში იანკო ახოზაძის გაკეთებული გემი „არგო“-ც ინახებოდა.¹⁰⁴

IV საუკუნეში საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას შედეგად ბერძულ-რომაულ სამყაროსთან კონტაქტების გაფართოვება მოჰყვა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთობ დაწინაურდა საეკლესიო ცენტრები ფასისი, სებასტოპოლი, ნიკოფსია. ამიტომ, ექსპოზიციაში სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართველთა მიერ საზღვარგარეთ დაარსებული კულტურის ცენტრების ისტორიას. დამთვალეირებელთა ყურადღებას იქცევდა ამ თემაზე გამოფენილი ფერადი რუქა – „ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ“.

მომდევნო პერიოდიდან ყურადღებას იქცევდა მასალები თემაზე: „ბერძენი საქართველოში“. კერძოდ, ექსპოზიციაში გამოფენილი იყო რუქა – „ბერძენი საქართველოში“, ექსპონატები, ფოტოები და წერილობითი დოკუმენტები. ყურადღებას იქცევდა ა. კ. პაპანდოპულოს და ვ. ი. პავლიდის ფოტოები საერთო სათაურით – „პირველი ბერძენი აჭარაში“. აქვე ნაჩვენები იყო ზედა კვირიკეში ჩამოსახლებული ბერძენების მიერ ჩამოტანილი წმინდა ელენესა და კონსტანტინეს, აგრეთვე, იესო ქრისტეს ხატები და სხვა საკულტო საგნები, რომლებიც, სპეციალისტთა აზრით, მუზეუმში კოლექციებს შორის უნიკალურ ქმნილებებს წარმოადგენდნენ.

მუზეუმის ექსპოზიციაში, ასახული იყო ბერძენი მოსახლეობის მონაწილეობა ოქტომბრის რევოლუციურ მოძრაობაში. ცალკე ექსპოზიციაზე ნაჩვენები ყოფილა ბაქოს 26 კომისრის ხელმძღვანელის სტეფანე შაუმიანის პირადი დაცვის უფროსის – ირაკლი პანაიოტის ძე მეტაქსას, ახალგაზრდული რევოლუციური ორგანიზაციის „სპარტაკის“ ხელმძღვანელების – ნიკოლოზ ანასტასიადისა და იაშა იონიდის ფოტოები. იქვე იყო სოფელ ზედა კვირიკეს პარტიული ორგანიზაციის დამაარსებლის, ვასილი ივანეს-ძე მავროპულოს ფოტო. აქვე წარმოდგენილი იყო კოლმეურნეობის დამაარსებელთა ამსახველი ფოტო-ექსპოზიცია, 1930 წელს მათი შრომითი საქმიანობა ჩაის პლანტაციაში, კერძოდ, ხარლამში შონუსის, გეორგი სელვიდის, ხრისტო პაპანდოპულოს, თეოფილე ჩილიკიდის, გეორგი მავროპულოს, ივანე ვასილიადის, ისაკ პაპანდოპულოს, მიხეილი იორდანიდისა და ტრიანდაფილ სევიდის ფოტოები. საექსპოზიციო კარადებში გამოფენილი დოკუმენტები, პირველი ოქმები, განცხადებები, ხელმძღვანელთა სოციალისტური ვალდებულებანი და სხვა, რომლებიც ასახავდნენ გასული საუკუნის 30-იანი და 40-იანი წლების კომუნისტების, კომკავშირლებისა და ინტელიგენციის, მშრომელი ადამიანების საქმიანობას, მათ მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომში. ზედა კვირიკედან ომში მონაწილეობა არაერთმა

104 სემ. დღიური II-026.

ბერძენმა მიიღო. ომში განვეული თოთხმეტი კაციდან სოფელში მხოლოდ ორი დაბრუნდა. მუზეუმის ფარებზე განთავსებული იყო დაღუპულთა ფოტოები: ძმები არისტოს, დემონეფესა და და გიორგი ჩილიკიდები, პოლიხრონ და კონსტანტინე პაროციდები, ევსტაფი და კონსტანტინე ჩილინგარიდები, ფეოდორესა და მისი შვილი კონსტანტინე პაროციდები, გიორგი სელვიდისი და ხრისტო ხიონიდი. ასევე, მუზეუმში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ფოტოებიც იყო დაცული.

მუზეუმში თავმოყრილი იყო კვირიკეს ბერძნული თეატრის ისტორიისა და საქმიანობის ამსახველი ფოტომასალაც, მაგრამ გამორჩეული იყო ეთნოგრაფიული კუთხე, სადაც ექსპოზიციაში სათანადო ადგილი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებს ეკავა. წინა პლანზე წამოწეული იყო ბერძენ ოსტატთა საქმიანობის ამსახველი ექსპონატები. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბერძნები საუკეთესო ქვის ხუროები, მჭედლები, მეთუნეუქეები იყვნენ. მოსახლეობაში ბერძენთა მიერ დამზადებული სამინათმოქმედო იარაღები, სადურგლო ხელსაწყოები, სპილენძის ჭურჭლები, სამკაულები, ასევე, ქალის ხელსაქმე მოწონებით სარგებლობდა. ექსპოზიციაში ნაჩვენები იყო ბერძნების მიერ დამზადებული მრავალფეროვანი თოხები, წერაქვები, ყაზმები, სახნისები, ასევე, მჭედლის ხელსაწყოები: უროები, მამები, ჩაქურჩები, სახვრეტები, ყალიბები და სხვა მრავალი. აქვე სექციაში „სამჭედლო“ წარმოდგენილი იყო ცნობილი ბერძენი მჭედლების დიონისე სერდარიდის, ივანე და ფრასიულე პაპაინიდების ფოტოები. სექციაში „ჭურჭელი“ განლაგებული იყო სხვადასხვა ზომის თუნგები, კარდალები, დიდი ზომის ქვაბები, ტაფები, „სუზგები“, საყავეები, ქოთნები, თეფშები და სხვ. ექსპოზიციაში სათანადო ადგილი სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და სხვა ინვენტარს უჭირავს, რომლებიც ჩაისა და ციტრუსის კულტურებთან იყო დაკავშირებული. მუზეუმში ომის შემდგომი პერიოდის ამსახველი სურათების ჩვენებას საერთო ექსპოზიციის თითქმის ნახევარი ეკავა. აქ წარმოდგენილი იყო სოფელ ზედა კვირიკეს, დაგვისა და ქვედა აჭყვის (წითელოქტომბრის) ბერძენი მოსახლეობის ყოფა და კულტურა. საბჭოთა პერიოდში მუზეუმში ცალკე ადგილი იყო გამოყოფილი სოციალისტური შრომის მოწინავე აქტივისტებისთვის. აქ იყო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელების, აქტივისტების, საკოლმეურნეო მოძრაობის ინიციატორების, სოციალისტური შრომის გამირების – ხრისტულა მიხეილის ასული ხიონიდის, ირაკლი ისაკის ძე ხიონიდისა და ულბიე დურსუნის ასულ გუგუნავას სოსოფლო შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ამსახველი მასალები. სოფელ დაგვაში სოციალისტური შრომის გამირების მაღალი ჯილდო თავის დროზე თოთხმეტმა ადამიანმა, მათ შორის, ექვსმა ბერძენმა დაიმსახურა. მუზეუმში გამოფენილი იყო მათი მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-დოკუმენტური და ნივთიერი ექსპონატები.

მუზეუმში ნათლად იყო ასახული ბერძენთა კულტურული ყოფის თითქმის ყველა სფერო. წარმოდგენილი იყო ბერძნულ სოფლებში შექმნილი ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლების ჩამოყალიბებისა და მოღვაწეობის შესახებ მოკლე ინფორმაციები. დახვეწილობით და მაღალი ოსტატობით ბერძნული ანსამბლი „ოლიმპი“ გამოირჩეოდა. ზედა კვირიკეში წარმატებით

მუშაობდა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელსაც მავროპულო ხელმძღვანელობდა. ანსამბლი ძველი ბერძნული კლასიკური ცეკვების აღდგენითაც იყო დაკავებული. სოფელ დაგვაში არსებობდა კულტურის დიდი სასახლე, ქვედა კვირიკესა და ქვედა აჭყვის კლუბ-კანტორები და სხვა დაწესებულებები.

მუზეუმში განლაგებულ კარადებში მოთავსებული იყო ბერძნული მუსიკალური ინსტრუმენტები, რომელთაგან ყურადღებას თვითნაკეთი „ქემენჩე“ იქცევდა. იქვე წარმოდგენილი იყო კულტურული ცხოვრების ამსახველი ფოტო მასალები.

მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი სახალხო განათლებისა და მეცნიერების კუთხეს ეკავა. ცალკე კარადებში გამოფენილი იყო ბერძნულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის მხატვრული, პოპულარული და მეცნიერული ლიტერატურა, რომელიც ცნობილი ბერძენი მეცნიერების მიერ იყო შექმნილი, მათ შორის აღსანიშნავი იყო სოფელ ზედა კვირიკეს მკვიდრის – პროფესორ ალექსანდრე კონსტანტინეს ძე როდოპულოს – სამეცნიერო შრომები და ფოტო მასალები, სხვა საინტერესო დოკუმენტები. აქვე ნაჩვენები იყო პროფესორების, ფ. კესიდის, ნიკოლოზ ფილიპეს ძე მისტაკოპულოს, კირა ნიკოლოზის ძე კაცანიდის, მეცნიერებათა კანდიდატების – ანდრომაქე სალნოვას, ჰერაკლე ჩილიკიდის, ანდრია ორფანიდისა და სხვათა სამეცნიერო ნაშრომები, მათი მოსკოვში, ლენინგრადში (პეტერბურგში), ოდესაში, თბილისში საქმიანობის ამსახველი მასალები.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ეთნო-რელიგიური გამოღვიძების პერიოდი დაიწყო, რაც კიდევ უფრო თვალშისაცემი საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან გახდა. საერთოდ, საქართველოში, კერძოდ, აჭარაში პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართული და ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიების გვერდით მუსლიმანური სამლოცველოების რაოდენობაც მატულობდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, ძირითადად, სხვადასხვა ეთნიკური და კონფესიური ჯგუფების რელიგიური შეხედულებებისადმი ტოლერანტული განწყობა იგრძნობა. ამის ხაზგასმა საჭიროა იმის გამოც, რომ აჭარის მოსახლეობა მულტი-ეთნიკურია და რელიგიურადაც მრავალფეროვანია, განსაკუთრებით, ქალაქური ტიპის დასახლებები. თანაარსებობის ისტორიულად ჩამოყალიბებული მოდელის ანალიზი კი, ეთნო-კონფესიური პარადიგმის უკეთ გაგებისათვის უაღრესად ფასეულია. ამასთანავე

XX საუკუნის 80-იანი წლებში ბერძნებმაც მიიღეს ეკლესიის გახსნის ნებართვა. კვირიკეში 1980-იანი წლების ბოლოს რელიგიური საბჭო ჩამოყალიბდა, რომელიც ორგანიზებას უწევდა ბერძნული ტაძრების რესტავრაციასა და ამოქმედებას. თავდაპირველად რელიგიურ საბჭოს ხელმძღვანელობდნენ ძმები – ხრისტო და გიორგი იოსიფიდები. შემდგომ ფიოდორ ჩილინგარიდი, ხოლო მის შემდგომ ეფრემ ჩილინგარიდი, იგი 1990-იანი წლებში საცხოვრებლად საბერძნეთში გადავიდა.¹⁰⁵

105 სემ. დღიური II-027.

1990-1991 წლებში წმიდა ელენესა და კონსტანტინეს ტაძრის რესტავრაცია იწყება. ამ დროისათვის ბერძენთა რელიგიურ საბჭოს მიხეილ (მიშა) ფუტურიდი ხელმძღვანელობდა. მოადგილე ვასილი მავროპულო იყო, რომელიც იმავდროულად სოფლის ადმინისტრაციული წინამძღოლიც იყო. საბჭოს წევრები იყვნენ: გიორგი ჩილინგარიდი, ივანე ჩილინგარიდი, ფიოდორე ჩილინგარიდი, ივანე სელვიდი, ზახარ პაპანდოპულო, გიორგი პოლიხრონიდი. 1990-იანი წლების ბოლოდან მიხეილ ფუტურიდი, ეკონომოსის სტატუსით, ეკლესიას ზედამხედველობას უწევს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახი დღეისათვის საბერძნეთში ცხოვრობს, მან არ დატოვა საქართველო, ბერძნული საეკლესიო სინმინდეები და დღემდე, სხვა თანამემამულეებთან ერთად, გულმოდგინედ უვლის მათ, ამასთანავე, მიშა ფუტურიდი და ვასილი მავროპულო ბევრ საინტერესო გადმოცემას ინახავენ არა მხოლოდ სოფელ კვირიკეს, არამედ, ზოგადად, პონტოელი ბერძნებისა და მათი ტაძრების შესახებ აჭარაში.¹⁰⁶

იმ პერიოდში, როცა წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ტაძარში მუზეუმი იყო განთავსებული, შენობას და ეზოს არისტა ჩაკალიდი, მეუღლესთან – რიცასთან ერთად უვლიდა. ტაძრის კედლების გასწვრივ ყვავილების გაზონი მათ მიერ იყო გაშენებული. ტაძრის რეკონსტრუქციის დროს, იმ მიზნით, რომ ზედმეტი წყლისაგან შენობის საძირკველი დაცული ყოფილიყო, გაზონის ადგილზე, კედლების ირგვლივ, ბეტონის გამაგრება მოეწყო. იგი ტაძრის საერთო, გარეგნულ იერს არ არღვევს, პირიქით, შენობას ორიგინალურად ერწყმის და ფართო საძირკვლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ტაძრის ეზოც მოასფალტებულია, რათა, როგორც აღინიშნა, დაცული ყოფილიყო საძირკველი ზედმეტი წყლისაგან.

ზედა კვირიკეს წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ტაძრის სიგრძე 18,50 მეტრია, სიგანე 9,65, ხოლო სიმაღლე 16 მეტრი. სახურავი ჯვარ-გუმბათოვანია, გუმბათის დასასრულს ჯვარია აღმართული. საკუთრივ ტაძარი გეგმაზე მართკუთხა ფორმისაა (13.50-9,65 მეტრი), ხოლო საკურთხეველი – ოვალური, ერთმანეთთან დაკავშირებული სამი ნახევარკალის ფორმისაა. აჭარაში თითქმის ყველა ბერძნული ტაძრის საკურთხეველი ანალოგიური ფორმისაა. ეს ფორმა დამახასიათებელია ჯვრის სტრუქტურისთვისაც, კერძოდ, არა მხოლოდ გუმბათზე აღმართული ჯვარი, არამედ საფლავებზე დადგმული თუ საფლავის ქვაზე დახატული ჯვრებიც ანალოგიურადაა შექმნილი. ტაძრის ინტერიერში მრგვალი განივი კვეთის ფორმის ოთხი ბოძია აღმართული, რომლებსაც გვირგვინი ეყრდნობა.

ტაძარი გათლილი ქვებითაა ნაგები. შენობის კუთხეები კარგად დამუშავებული და გონიოში გამოყვანილი მასიური კვადრებითაა ნაშენი. მათი ზომა დაახლოებით 58-65 სანტიმეტრს შორის მერყეობს. ამგვარად შექმნილია ერთგვარი „სვეტები“ რომლებიც მშენებლობის პროცესში, გარკვეულწილად, სიზუსტის დაცვისათვისაც გამოიყენებოდა. კედლის აგების ეს წესი, ძირითადად, შენობის მდგრადობას განაპირობებდა. ამგვარი „სვეტები“ კედლის საერთო დონიდან დაახლოებით

4-6 სანტიმეტრით გამოწეულია, რაც ტაძრის კედლებს ესთეტიურ სილამაზესაც ანიჭებს. უშუალოდ კედლების ძირითადი ნაწილი უსწორმასწორო ქვებითაა ნაშენი, რომელთა ზედაპირი, ის რაც თვალს, ხვდება, დამუშავებულია. ტაძრის კედლის სისქე ერთ მეტრს აღწევს. ვიზუალური დაკვირვებით კედლები ცემენტნარევი სილითა და კირხსნართაა ნაშენი. რესტავრაციის დროს კედლის წყობაში არსებული სიცარიელები სილა-ცემენტის ხსნართაა ამოვსებული ისე, რომ ქვების საერთო ფორმა შენარჩუნებულია. ინტერიერის კედლები ბათქაშითაა დაფარული.

ბერძნული ტაძრებში ხშირად ნახავთ ძველ ხატებს. ინფორმატორთა გადმოცემით, ეს ის ხატებია, რომლებიც პონტოელმა ბერძნებმა თავიანთი პირველსაცხოვრისიდან – საბერძნეთიდან – წამოიღეს.¹⁰⁷

წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ტაძარს განსაკუთრებულ სილამაზეს სარკმლები ანიჭებს. ესაა დაახლოებით 3,5 მეტრი სიმაღლის და 0,70 მეტრი სიგანის ორიგინალურად მოხატული მინა, რომელსაც გარედან, ასევე, ორიგინალურად ორნამენტირებული რკინის გისოსები ფარავს. სარკმლებს ირგვლივ 0,15 მ სიფართის კარნიზი შემოუყვება, რომელიც კედლის საერთო დონიდან 4-5 სანტიმეტრით გამოწეულია, რამდენადაც კედლის სისქე, როგორც აღინიშნა, 1 მეტრია. სარკმლები შიგნით ფართოვდება და ინტერიერში მისი სიგანე 1,20 მეტრს აღწევს. ამ წესით ინტერიერში დღის სინათლის მაქსიმალური შეღწევაა მიღწეული. სარკმლის მსგავსი ფორმით გადაწყვეტა ესთეტიკური თვალსაზრისითაც გამართლებულია.

2014 წელს, მიწისძვრის დროს გუმბათზე დადგმული ჯვრის სამაგრი მავთულები განყდა და ჯვარი წაიქცა. გარდა ამისა ერთმანეთს საკუროთხევლისა და ტაძრის კედლებიც დაშორდა, ანუ კედლებს ბზარი გაუჩნდა. ჯვრის აღდგენა საბერძნეთიდან, ქალაქ ქსანთიდან ჩამოსულმა თანამემამულეებმა ითავეს. ისინი კვირიკელი ბერძნების შთამომავლები არიან, რომლებიც პერიოდულად, განსაკუთრებით, დღესასწაულებზე ჩამოდიან. მათ თავიანთი შესაძლებლობით დაამზადებინეს ქალაქ ქსანთში ჯვარი, ჩამოიტანეს და ტაძრის გუმბათზე დაადგეს. 2015 წლის 26-27 აგვისტოს – მარიამობის დღესასწაულისათვის ტაძრის გუმბათზე ახალი ჯვარი იყო დადგმული. ჯვრის აღმართვას რიგი სირთულეები ახლდა, რის გამოც ჯვარი ერთმანეთზე გადაბმული კიბეებით, ხელით აიტანეს და აღმართეს (ტაბ. X, სურ. 041).

ეკლესიის ეზოში, შესასავლელთან ახლოს მდებარეობს „წმინდა წყალი“, წყარო, რომელიც „წმინდა ქვიდან“ ამოდის. წყალი ყოველთვის ინარჩუნებს ერთ დონეს, ანუ აუზი ბოლომდე არ ივსება და არც თავისით აკლდება. პონტოელი ბერძნები ამ წყალს **აიაზმონ**'ს ეძახიან.¹⁰⁸


ზედა კვირიკეს აღნიშნულ ეკლესიაში ყოველწლიურად 3 ივნისს აღინიშნება წმიდა ელენესა და კონსტანტინეს ხსენების დღე. ამ დღეს კვირიკეში იკრიბებიან აჭარაში მცხოვრები ბერძნები და რელიგიურ დღესასწაულს ერთად აღნიშნავენ.

107 სემ, დღიური II-029.

108 სემ, დღიური II-030.

კვირიკეს წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი

კვირიკეს თემი შემდეგ სოფლებს აერთიანებს: ქვედა კვირიკე, ზედა კვირიკე და საკუთრივ კვირიკე. მათგან ქვედა კვირიკე მდინარე კინტიშის მარცხენა შენაკადის – კინკიშის ხეობაში მდებარეობს, ზღვის დონიდან 240 მ. სიმაღლეზე. სოფელი ქალაქ ქობულეთიდან 7 კილომეტრითაა დაშორებული (ქსე, 1986:509). 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელ ქვედა კვირიკეს მოსახლეობა 2012 ადამიანს შეადგენდა.



კვირიკეს თემის ეთნო-რელიგიური სტრუქტურა მრავალფეროვანია და მართლმადიდებელი ქართულ-ბერძნული მოსახლეობისა და მაჰმადიან ქართველთა თანაცხოვრების საინტერესო მოდელს ქმნის. ეს გარემოება მრავალმხრივი დაინტერესებისა და კვლევის შესაძლებლობას იძლევა, სამეზობლო ურთიერთობებში კი ტოლერანტობისა და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების საინტერესო მოდელი იგრძნობა. ეს თვალნათლივ ჩანს ხანგრძლივი დინამიკური დაკვირვების შემთხვევაში, ცალკეული რელიგიური თემის დღესასწაულებსა თუ რელიგიური ძეგლების მიმართ დამოკიდებულებაშიც.

კვირიკელი ხანდაზმულები აღნიშნავენ, რომ წმ. გიორგის სახელობის საყდრის ადგილზე ადრე ქართველთა მიერ აგებული – „ქართველების ეკლესია“ ყოფილა.¹⁰⁹ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სასაგენტოს მიერ ტაძრის მიმდებარედ დადგმული საინფორმაციო დაფიდან ირკვევა, რომ წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი XII საუკუნეს განეკუთვნება და ქართველთა მიერ იყო აშენებული. იგი შემდგომ ოსმალთა ძალმომრეობის შედეგად საძირკვლის დონემდე განადგურებულია. წერილობითი თუ სხვა ხასიათის დოკუმენტური ცნობების სიმწირის გამო ჩვენთვის საინტერესო ეკლესიის ისტორიული ასპექტების აღდგენა, ძირითადად, საველე მასალებზე დაყრდნობით გვიხდება.¹¹⁰

გადმოცემით, ძველი „ქართველების ეკლესიის“ არსებობის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა ქრისტიანი იყო. ხალხური გადმოცემით, ოსმალთა დროს დაგვა-კვირიკეს მხარეს, თურმე მეჰმედის ჯარი მოსდგომია. მას ამ ადგილების ალება და დაპყრობა სურდა. ქართველები არ დანებებიან, მაგრამ მეჰმედს ბრძანება გაუცია, ქართველები მწკრივში ჩაუყენებიათ და მოუთხოვიათ „მუსლიმანობა მიიღეთ“. ვინც უარს განაცხადებდა, თავს ჰკვეთდნენ. რამდენად რეალურია ამ გადმოცემის სიუჟეტი, ძნელი დასადგენია, მაგრამ სამხრეთ საქართველოში რელიგიურ ძალადობას რომ ადგილი ჰქონდა ამას სხვა გადმოცემებიც მოწმობს. ამასთანავე, საინტერესოა გადმოცემაში მოხსენიებული მეჰმედის პიროვნება. საინტერესოა მასში კონსტანტინეპოლის ამღები სულთან

109 სემ, დღიური II-031.

110 სემ, დღიური II-032.

მეჭმედ II იგულისხმება თუ ოსმალეთის დიდი ვეზირის ტიტულის მატარებელი რომელიმე მეჭმედ ფაშა? მოცემულ შემთხვევაში ეს კითხვა პასუხგაუცემელია. უფრო ლოგიკურია, მივიჩნიოთ, რომ ამ სახელის ქვეშ იგულისხმება, ზოგადად, ოსმალური ძალმომრეობის პეროდი აჭარაში და სახელი მეჭმედი (მაჰმადი) ოსმალთა სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება.

ადგილს, სადაც წმ. გიორგის ტაძარია მოსახლეობა **საყდარ(ი)**'ს ეძახის, თავად ტაძარსაც **საყდარ(ი)**'ს უწოდებს. მის მიმდებარე ადგილს კი **სასირე** ჰქვია. ხალხური გადმოცემით, სასირეზე ძველი გზა გადიოდა. ამ გადმოცემებით ჩანს, რომ წმ. გიორგის ტაძარი გზასთან ახლოს მდებარეობდა. გადმოცემის მიხედვით, კვირიკეში დასახლებულ ბერძნებს ნაეკლესიარზე მხოლოდ ჯვარი დახვედრიათ. ახალმოსახლე ბერძნები განიცდიდნენ უეკლესიობას და ნაეკლესიარზე ხის პატარა, ლამაზი ეკლესია აუშენებიათ. ხის ეკლესიასთან დაკავშირებით ხალხში დაცულია ცნობა, რომ იგი ქართველს, სოფელ ზედა დაგვაში, ადგილ **ლაზისტან(ი)**'ში მცხოვრებ, სარწმუნოებით მაჰმადიან ხელოსანს, გვარად გრძელიძეს აუგია.¹¹¹ გადმოცემის მიხედვით ეკლესიის მშენებლობის დროს ბერძნებს ხელმძღვანელობდა ხუთი ბერძენი, მათ შორის მურადოვების გვარიდან ერთი კაცი, შონუსების გვარიდან სამი კაცი და ერთიც ამ ჯგუფის მოთავე პოლიტა იოსიფიდი. ტაძრის ეზოში არსებული საფლავის ქვიდან, რომელიც, ხალხური ინფორმაციით, პოლიტა იოსიფიდის საფლავის ქვაა, ირკვევა, რომ იგი 1908 წელს გარდაცვლილა. ზემოთ აღნიშნულ პირებს დაუწყიათ ფულის შეგროვება და სულ 500 რუბლი შეუგროვებიათ. ამის შემდგომ მიუმართავთ მოხელისათვის, კერძოდ გრძელიძისათვის. მას უკითხავს მათთვის, თუ რამდენი ჰქონდათ ფული და უთქვამს, რომ ეგ თანხა არაა საკმარისი, რადგან თქვენს საქმეს 3000 სჭირდებაო. ბედნები დაღონებულები გამობრუნებულან უკან. ამის შემდეგ გრძელიძეს სიზმარში გამოცხადებია წმიდა გიორგი ხმლით ხელში და უთქვამს მისთვის, რომ წასულიყო, მოენახა ის ხალხი და ხის ეკლესია აეგო. ისიც ასე მოქცეულია და ხალხური ვერსიით ასე აუგია ქართველ მაჰმადიანს ქრისტიანული ტაძარი.¹¹²

მას შემდეგ, რაც ხანძარმა გაანადგურა ხის ტაძარი, ბერძნებს გადაუწყვეტიათ ქვის ტაძრის აგება (ტაბ. X. სურ. 138-143). ახალი ტაძრის მშენებლობა ითავა ხრისტო იოსიფიდიმ. ტაძარი საბჭოთა პერიოდამდე, ანუ ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლამდე ფუნქციონირებდა, შემდგომში ტაძარში ბიბლიოთეკა განუთავსებიათ. გადმოცემით, საბჭოთა პერიოდშიც, ეკლესიას „უყურებდა“ ანუ უვლიდა ელენე (ლენა) ალექსის ასული ქსანთოპულო. ელენეს ქმარი იყო ჩილინგარიდი, მაგრამ ქსანთოპულოდ იწოდებოდა. თავად ელენეს ქალიშვილობის გვარი იოსიფიდი იყო. იგი ტაძართან ახლოს ცხოვრობდა. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდა ხრისტო იოსიფიდის შვილი. ელენე გვიან ლამემდე, ოთხ საათამდე რჩებოდა ტაძარში (ბიბლიოთეკაში) და ლოცულობდა. მას კარგად სცოდნია ბერძნული და მშობლიურ ენაზე ლოცულობდა. მისი ლოცვის დასასრულს ეკლესიის სახურავზე წმიდა გიორგი დადიოდა და ელენეს მისი ცხენის ფეხის ხმაც ესმოდა: „დანგ, დანგ, დანგ, დანგ. დედა ელენა გვეუბნებოდა წმინდა გიორგი მოდისო“, – იხსენებენ სოფლის მკვიდრნი.

111 სემ, დღიური II-033.

112 სემ, დღიური II-034.

ეს ამბავი მალე გავრცელებულა. გადმოცემით ხალხი ლამისთევეითაც დადიოდა ამ ტაძარში, რათა წმიდა გიორგის სახურავზე სიარულის ხმა მოესმინა.¹¹³

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში ეგ. წ. „გარდაქმნის“, „პერესტროიკის“ პერიოდი იწყება, რომელიც რელიგიისადმი დამოკიდებულებაშიც გამოვლინდა. 1983 წლიდან ქვედა კვირიკეს მცხოვრებლები ახალი ტაძრის აგებას იწყებენ, რადგან ძველი ტაძარი, რომელშიც ბიბლიოთეკა იყო განთავსებული მცირე ზომის იყო. გადაწყვეტეს მისი რესტავრაცია და უფრო დიდი ტაძრის აგება. ხალხის ამგვარ გადაწყვეტილების საფუძვლად, გადმოცემის თანახმად, ერთი შემთხვევა დაედო, რომელიც ბიბლიოთეკარს ლიანა ცენტერაძეს შეემთხვა.¹¹⁴ ერთ დღესაც, როცა ბიბლიოთეკა გაუღია ლიანას დაუნახავს, რომ „ფეჩის“, ანუ ლუმელის ქვეშ გველი იწვა. მეუღლეს მისთვის ურჩევია, რომ დაეკეტა ბიბლიოთეკა და არ შესულიყო, ხოლო როცა მოგვიანებით გაუღია კარი გველი იქ აღარ დახვედრიათ. ეს ამბავი ბერძნებს ერთგვარ მინიშნებად ჩაუთვლიათ და ახალი ეკლესია აშენება გადაუწყვეტიათ. სამშენებლო სამუშაოები ღამით წარმოებდა, რადგან „კომუნისტების დროს“ დღისით ვერ ბედავდნენ. მიუხედავად სიფრთხილისა, ხელისუფლებას მაინც გაუგია. გადმოცემით, მშენებარე ეკლესიის დანგრევა ვერ გაუბედავთ, თუმცა „რაც ხატები იყო, სულ ტალახში გადაუყრიათ“.¹¹⁵

ახალი ეკლესიის საძირკვლის მომზადების დროს შემთხვევით აღმოჩენილა უფრო ძველი ტაძრის – „ქართველების ეკლესიის“ არსებობის დამადასტურებელი ნაშთები, კერძოდ, სამარხი ძვლების ნაშთებით. ეზოში ჭურის ნაშთები, ნაეკლესიარის საძირკვლის ქვები, რკინის ძველი ჯვარი (ტაბ. X, სურ. 140). ახალი ეკლესიის მოქმედებისათვის ნებართვის მისაღებად თეოდორე ჩილინგარიდი და მისი ბიძაშვილი მოსკოვშიც ჩასულან, იმავე მიზნით მიუმართავთ საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისათვის. ასე შეუგროვებიათ ტაძრის ფუნქციონირების ოფიციალური ნებართვები და ტაძარი აუმოქმედებიათ.

ქვედა კვირიკეს წმიდა გიორგის სახელობის ტაძართან დაკავშირებული ზეპირი ისტორიები ბევრ საინტერესო ლეგენდასა და გადმოცემას ინახავს, მათ შორისაა სასწაულებრივი თუ სამკურნალო ხასიათის თქმულებები. ეკლესიებთან დაკავშირებული სასწაული თუ საეკლესიო საგნის სამკურნალო თვისებები საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, სამკურნალო თვისებებს მიანერენ ტაძრის ძველ გასაღებს (ტაბ. X, სურ. 141), რითაც მკურნალობდნენ მათ, ვინც ვერ ლაპარაკობდა.¹¹⁶

ამდენად. ქვედა კვირიკეს წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის ისტორია ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კითხვის ნიშანიც ჩნდება და არაერთი საკითხი მოითხოვს დაზუსტებას, მასში ასახულია პონტოელი ბერძნების განსაკუთრებული დამოკიდებულება რელიგიისადმი, რაც ეთნიკური ერთობისა და იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი ძლიერი მუხტიც იყო.

113 სემ, დღიური I-014.

114 სემ, დღიური I-015.

115 სემ, დღიური II-034.

116 სემ, დღიური II-035.

ისე როგორც წარსულში, თანამედროვეობაშიც რელიგიური სინმინდეების დაცვა–შენარჩუნებაში ქართულ–ბერძნული ურთიერთობები ემყარება ურთიერთპატივისცემასა და თანადგომას, რაც აღნიშნულ ტაძართან დაკავშირებულ არაერთ ზეპირ გადმოცემაშია ასახული.

აჭყვის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი

სოფელი აჭყვა ადმინისტრაციულად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჩინოს თემს ეკუთვნის. საჩინოს თემი სამ სოფელს აერთინებს. ესენია: საკუთრის სოფელი საჩინო¹¹⁷ ზედა აჭყვა და ქვედა აჭყვა.

ზედა აჭყვა ზღვის დონიდან 200 მეტრზე მდებარეობს. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში 1194 სული ცხოვრობდა, ხოლო 2014 წლის აღწერის მიხედვით ზედა აჭყვის მოსახლეობა 1037 სულს შეადგენდა.

ქვედა აჭყვა ზღვის დონიდან 160 მეტრზე მდებარეობს. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში 1214, ხოლო 2014 წლის აღწერის მიხედვით 1136 სული ცხოვრობდა.

სოფელში ამავე სახელწოდების მდინარე აჭყვა ჩამოედინება. იგი სათავეს მესხეთის ქედიდან – მთა ელიასციხის დასავლეთ კალთაზე იღებს და ქალაქ ქობულეთთან შავ ზღვას ერთვის. მდინარის სიგრძე 19 კმ, აუზის ფართობი კი 37 კმ²-ია (ქსე, 1977:78)

აღწერილი სოფლები ჩაქვის საუფლისწულო მამულის შემადგენლობაში შედიოდა, რასაც უნდა უკავშირდებოდეს აჭყვაში ბერძნების დასახლება და წმიდა გიორგის ბერძნული ტაძრის აგებაც (ტაბ. X. სურ. 126-129). იგი ქვედა აჭყვაში მდებარეობს. შესასვლელთან – კედელში მარმარილოზე შესრულებული ორი რუსულენოვანი სამშენებლო წარწერაა ჩაშენებული. მათგან ერთი გვამცნობს, რომ ტაძარი 1880 წელს ადგილობრივი ბერძნების მიერაა აგებული, ხოლო მეორე წარწერიდან ჩანს, რომ იგივე ტაძარი მორწმუნე მრევლმა 1996 წელს აღადგინა.

გადმოცემით აჭყვის წმ. გიორგის სახელობის ძველ ტაძარს ხის გუმბათი ჰქონდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში ეკლესია დაიხურა და უმოქმედო იყო, თუმცა ტაძრის ეზოში დღესასწაულზე არა მხოლოდ აჭყვის, არამედ სხვა სოფლის ბერძნები, მაინც იკრიბებოდნენ და დღესასწაულობდნენ, დოლისა და აკორდეონის თანხლებით ქეიფობდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ.¹¹⁸ საბჭოთა პერიოდში საეკლესიო დღესასწაულების წესისა და რიგის მიხედვით აღნიშვნა, ბუნებრივია, აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ ამგვარი სახალხო ქეიფის მეშვეობით, ბერძნული თემი ახერხებდა ტაძრის სიახლოვეს ერთად ყოფნას. ამგვარ შეკრებებზე ახალგაზრდა გოგო–ბიჭებიც ხვდებოდნენ და ეცნობოდნენ ერთმანეთს. XX საუკუნის 60-იან წლებში სოფლის მცხოვრებლებმა ფარულად შეიტანეს ხატი და ჩუმად სალოცავად დადიოდნენ. როგორც აბრამ

117 სოფელ საჩინოს ისტორიული სახელწოდებაა ბუკნარი. საბჭოთა პერიოდში ერქვა ზედა ულიანოვკა. 1994 წელს ეწოდა საჩინო.

118 სემ, დღიური II -036.

კურტოვი იხსენებს, დაახლოებით 5-6 წლის ასაკში ბავშვები შეიპარებოდნენ ტაძარში და მინით დახურულ წმ. გიორგის ხატში ხურდა ფულს ყრიდნენ.¹¹⁹ ეს ხატი დღესაც ტაძარშია დასვენებული, ოღონდ მინის გარეშეა. იგი ერთ-ერთი ძველი ხატია, რომელიც აჭყვის წმ. გიორგის ტაძარს დღემდე შემორჩა. ეკლესიის დეკანოზად სახელდება პისტოფიდი, რომელიც, როგორც შემორჩენილი ფოტოს ნარწერიდან ირკვევა, 1912 წელს ენეოდა მღვდელმსახურებას აჭყვაში (ტაბ. X, სურ. 129). გადმოცემით, ძველად მღვდელი იყო გვარად პაპანდოპულო. მის შემდეგ ეკლესიის მღვდელი იყო გვარად დარჩია. მას საბერძნეთში ჰქონია დამთავრებული სემინარია და აჭყვაში „სუფთა ბერძნულით“, ანუ გამართული ბერძნული ენით ასრულებდა საეკლესიო ლიტურგიას. დარჩია 1937-იან წლებში დაუჭვრიათ. ამ დროიდან ტაძარი დახურული იყო, მაგრამ მის მეთვალყურეობას ბერძნული თემი მაინც ახერხებდა. საბჭოთა პერიოდში ტაძარს მიხეილ კურტოვი პატრონობდა. მას დაურგავს ნაძვის ხეები, რომლებიც დღეს ეკლესიის ირგვლივაა, იქ, სადაც სასაფლაოებია. მ. კურტოვის შემდგომ ტაძარს არისტო ანდრეადი მეთვალყურეობდა. მათი მეთვალყურეობა და პატრონობა არაოფიციალური იყო. ტაძარი არ ფუნქციონირებდა და არც სარემონტო სამუშაოები იყო ნებადართული, რამაც გუმბათის ჩამოშლა და ტაძრის ნგრევა განაპირობა. ა. კურტოვის ოჯახში შემორჩა დანგრეული ეკლესიის ფოტო (ტაბ. X, სურ. 127), რომლის ასლი ეკლესიაშიც დევს. ფოტოზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ტაძრის სახურავი და გუმბათიც ჩამოშლილი უნდა იყოს. სურათზე ტაძრის წინ დიდი ხე დგას. იგი ტაძრის გუმბათს ნაწილობრივ ფარავს, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ტაძრის დასავლეთ ნაწილს სახურავი არ აქვს და კედლებსაც დაშლა აქვს დაწყებული. კედლები სხვადასხვა ზომის ქვებითაა აშენებული. ხოლო კედლის კუთხეები, ასევე კარისა და სარკმლის ლიობები, ნათალი ქვითაა ნაგები. სურათზე ჩანს, რომ ტაძრის დასავლეთი კედლის კუთხეებსაც დაშლა აქვს დაწყებული. ფოტოს მარჯვენა ქვედა კუთხეში მოწნულ კალათში ჩადგმული ბოცაა დაფიქსირებული. ჩანს ეს ფოტო ეკლესიასთან ბერძნული თემის ტრადიციული შეკრებების დროსაა გადაღებული, მაგრამ ფოტოს გადაღების კონკრეტული თარიღი ვერ დავადგინეთ. აშკარაა, ფოტო საბჭოთა პერიოდშია გადაღებული. ფოტო ფასადის მხრიდან, ძირითადი სამანქანე გზის მხრიდანაა გადაღებული, ტაძრის ჩრდილოეთიდან. ფოტოზე ტაძრის გარშემო სასაფლაოები არ ჩანს, მხოლოდ ხე და მის ძირში გამართული ხის მაგიდა და ხისავე გრძელი დასაჯდომი მერხი ჩანს, ისეთი, როგორიც ჩვეულებრივ სოფლის თავშესაკრები ადგილისთვის იყო ჩვეულებრივ დამახასიათებელი. თანამედროვეობაში კი ტაძარი სულ სასაფლაოებითაა გარშემორტყმული (შდრ. ტაძრის ძველი და ახალი ფოტოები (ტაბ. X, სურ. 126, 127).

გასული საუკუნის 80-იან წლებში არისტო ანდრეადის თაოსნობით, ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო. ახალგაზრდა ინჟინერმა სტავრო სტეფანიდომ გუმბათი ააშენა. ტაძრის აღდგენით სამუშაოებში მას დიდი წვლილი მიუძღვის. სოფლის მკვიდრი კლარა ქრისტოფორეს

119 სემ. დღიური II -037.

ასული ორახოვა სარესტავრაციო თანხებს დაუზარელად აგროვებდა. 1996 წელს ტაძარს სამრეკლო მიაშენეს. ამ დროს მღვდელმსახურებას მამა პეტრე (ყრუაშვილი) ასრულებდა (ლეკვიშვილი, 2001:70). 1995 წელს არისტო ანდრეადი საბერძნეთში წავიდა და ეკლესიის გასაღები გადასცა სტავრო სტეფანიდის. მან ეკლესიის რესტავრაცია გააგრძელა, მაგრამ 1997 წელს საცხოვრებლად ისიც საბერძნეთში გადავიდა. ტაძრის გასაღები კი აბრამ კურტოვს დაუტოვა. რესტავრაციის დროს იპოვეს რელიეფური ფილა წმ. გიორგის გამოსახულებით. იგი ტაძრის დასავლეთი მხარის კედელშია ჩასმული (ტაბ. X, სურ. 128). რელიეფური ხატი დაზიანებული იყო. ის ნაწილი, რაც შავი შეფერილობით ჩანს ფოტოზე, ძველია, სხვა – რესტავრირებულია.

აბრამ კურტოვის ინფორმაციით, ქობულეთის ცალკეული სოფლის ბერძნული დასახლება ცალკე-ცალკე საზოგადოებებად იყო დაყოფილი. ისინი ერთიანდებოდნენ და ქმნიდნენ აჭარის ბერძენთა გაერთიანებულ საზოგადოებას, რომელსაც ხრისტოფორე პაპანდოპულო ხელმძღვანელობდა. თავად ა. კურტოვი კი აჭყვის ბერძნული საზოგადოების ხელმძღვანელი იყო, მის ჩანაწერებში, რომელიც აჭყვაში მცხოვრები ბერძნებს ეხება, ერთ-ერთ გვერდზე შემონახა საზოგადოების ბეჭედი. აღნიშნული საზოგადოებები ჩამოყალიბდა და მოქმედებდა პოსტსაბჭოთა პერიოდში, დაახლოებით 1990-იანი წლების ბოლომდე. აღნიშნული ჩანაწერების მიხედვით, 2011 წლის იანვრის მონაცემებით აჭყვაში 23 ბერძნული ოჯახი იყო დაფიქსირებული.¹²⁰



სოფ. აჭყვის ბერძნული საზოგადოების ბეჭედი

სხვა ბერძნული ტაძრების მსგავსად ბათუმის სახელმწიფო არქივში «Клировая ведомость»-ი აჭყვის წმ. გიორგის ტაძრის შესახებაც ინახება. იგი 1915 წელსაა შევსებული და მითითებულია, რომ ტაძარი 1891 წელსაა აშენებული. იგი თუნუქით გადახურული ქვის შენობა ყოფილა, სამრეკლოს გარეშე. ეკლესიას წმ. გიორგის სახელობის ერთი სატრაპეზოც გააჩნდა. შტატიტ ეკლესიას ერთი მღვდელი და ერთი მეფსალმუნე ემსახურებოდა. ეკლესიას მიწა არ ჰქონია, ხოლო ახლომდებარე ტაძრად, ცალკე გრაფაში, დაგვის ღვთისმშობლის მიძინების (მარიამის) ტაძარია მითითებული, რომელიც 8 ვერსით ყოფილა დაშორებული. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აჭყვის წმ. გიორგის ტაძართან მინერილი იყო აჭყვის წმ. პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი. წმ. გიორგის ტაძრის საეკლესიო ქონების აღწერა 1902 წლიდან დაუწყიათ. შემოსავალ-გასავლის ნიგნი თასმითა და ბეჭდით, ასევე გარდაცვალების თუ დაბადების მეტრიკის ასლები და აღსარების ჩანაწერებიც 1893 წლიდან ეპარქიის კანცელარიაში სრულად ინახებოდა. საეკლესიო წრისათვის

120 სემ. დღიური II -038.

და ბიბლიოთეკისათვის წიგნები არ ჰქონიათ. საეკლესიო თანხები საეკლესიო ბეჭდით მნათესთან ინახებოდა. ტაძართან ერთი სამრევლო სკოლა არსებობდა. იგი მღვდლის სახლში ყოფილა განთავსებული. მისი შენახვისათვის ხაზინიდან 360 მანეთი იყო გამოყოფილი. სკოლაში 32 ვაჟი და 33 გოგონა სწავლობდა.

აჭყვის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი თედორე იოანეს ძე პოპანდოპულო იყო. მისი მამაც მღვდელი ყოფილა, მაგრამ რომელი ეკლესიისა, ეს არ ჩანს. მეფსალმუნის ვინაობა ანკეტიც, ანუ «Клировая ведомость»-ის ამ ნაწილიდან არ იკითხება, მაგრამ სხვა ნაწილის მონაცემებით დასტურდება, რომ ეს მღვდელი ფედორეს ძმა – გიორგი იოანეს ძე პოპანდოპულო იყო. ეკლესიის მნათე – ანასტასი ელენოვი თავის მოვალეობას 1915 წლის 1 თებერვლიდან ასრულებდა.

მღვდელი თედორე იოანეს ძე პოპანდოპულო 1882 წლის 3 მაისს ყოფილა დაბადებული და ოზურგეთის სასულიერო სემინარიის სამი კლასი დაუმთავრებია. 1902 წლის 6 აგვისტოს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ხელდასმით აჭყვის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დიაკვნობა მიუღია, ხოლო იმავე წლის 20 ოქტომბერს იმავე ეკლესიის მღვდლად დანიშნულა. ფედორე ხაზინიდან, როგორც შტატის მღვდელი, 392 რუბლს ღებულობდა. სოფელ აჭყვაში ხის სახლი და მიწის ნაკვეთი ჰქონდა. 1915 წლისათვის ფედორეს ცოლი გარდაცვლილი ყოფილა. ჰყოლია ორი შვილი: 10 წლის იოანე და 8 წლის მარგარიტა.¹²¹

ფედორეს უფროსი ძმა გიორგი იოანეს ძე პოპანდოპულო აჭყვის წმ. გიორგის ეკლესიაში 1914 წლისათვის მეფსალმუნედ მუშაობდა. ამ დროისათვის იგი 57 წლის იყო. მისი დაბადების თარიღად 1859 წლის 15 მარტია მითითებული. მას საოჯახო განათლება ჰქონია მიღებული. აჭყვის ეკლესიაში 1891 წლიდან მუშაობდა. მისი მეუღლე კირიაკი ხარალამპის ასული ყოფილა. მათ რვა შვილი ჰყოლიათ: 1. პანაიოტი – 21 წლის; 2. არისტი (არისტიდი) – 15 წლის; 3. სოფია – 12 წლის; 4. იოანე – 11 წლის; 5. ხარიკლი – 8 წლის; 6. ხარალამპი – 6 წლის; 7. ნინა – 5 წლის და 8. მარია – 4 წლის. გიორგი ეკლესიის სასულიერო პირთა შტატში ირიცხებოდა და ხაზინიდან 122,50 რუბლს ღებულობდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სასულიერო წოდება შტატში მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდეგ ირიცხებოდა, ცხადია ფედორე და გიორგი რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენ.

აჭყვის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მეტრიკული წიგნები, როგორც ზემოთაღნიშნა, 1893 წლიდან აღირიცხებოდა. ეს ნიშნავს, რომ მრევლის შესახებ ყველაზე ადრეული ცნობები, სწორედ ამ მეტრიკულ წიგნებშია დაცული. მათგან ვგებულობთ, რომ წმ. გიორგის სახელობის აჭყვის ეკლესიაში თავდაპირველად მღვდელი იოანე პოპანდოპულო – ფედორეს მამა იყო. მეფსალმუნე კი ისევ იოანეს შვილი გიორგია,¹²² იმ დროისათვის კი როცა ეკლესიის შესახებ «Клировая ведомость»-ის ავსებდნენ მღვდელი ფედორე იყო და ამიტომაც მისი მამის იოანეს შესახებ სხვა ცნობები ჩვენამდე ვერ შემოინახა.

121 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-54, აღწ. 1, საქმე 25, გვ. 28 – 30-ა.

122 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი (აცსა) ი-80, აღწ.1, საქმე 199, გვ. 2

1914 წლისათვის აჭყვაში 75 კომლი ცხოვრობდა, მათ შორის 189 კაცი და 143 ქალი იყო. გლეხთა კატეგორიას 72 კომლი შეადგენდა, რომელშიც 180 კაცი და 13 ქალი იყო. დარჩენილი სამი კომლი სასულიერო წრეს მიეკუთვნებოდა, მათ შორის 9 კაცი და 12 ქალი იყო.¹²³

აჭყვის ტაძართან სამრევლო სკოლა არსებობდა, რომელსაც ერთი მასწავლებელი ჰყავდა, თუმცა მოსწავლეებიც ცოტა ყოფილან. 1917 წელს სკოლა სახალხო განათლების სამინისტროს დაექვემდებარა. ჩანს სკოლის მცირე ფართი მოსწავლეთა კონტინგენტს ვერ იტევდა, რის გამოც ეკლესიის მღვდელი ქრისტოფორე პაპანდოპულო ჩაქვის სუფლისნულო მამულის მმართველს სთხოვდა, რომ მას სკოლისთვის დახმარება აღმოეჩინა და საუფლისნულო მამულის ტყიდან სკოლის მშენებლობისათვის ერთი ნაბლის და ორი თხმელის ხე გამოეყო. წერილს ხელს აწერს მღვდელი ქრ. პაპანდოპულო.¹²⁴

აჭყვის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრისა და სოფლის ბერძნული მოსახლეობის ისტორიის შესახებ ამავე ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში საინტერესო მასალებია ასახული. როგორც აღინიშნა, ეს მეტრიკული წიგნები 1893 წლიდან აღირიცხებოდა. იგი აჭარის ცენტრალურ არქივშია დაცული.¹²⁵ ამ საქმეებში დაბადების, გარდაცვალებისა და ქორწინების შესახებ ცნობებია ასახული. ეს მასალები იმ მხრივაც საინტერესოა, რომ მაგალითად, ახალდაბადებულის სახელსა და დაბადების თარიღთან ერთად, მისი მშობლების ვინაობის, მოქალაქეობრივი მდგომარეობისა და სოციალური წარმომავლობის შესახებაცაა ცნობები მოცემული. იქვეა ინფორმაცია სოფლის მაცხოვრებლების შესახებ, რომლებიც ბავშვის დაბადებას ხელწერებით ადასტურებენ, იქვე მითითებულია ბავშვის ნათლია და რაც განსაკუთრებით მთავარია აღნიშნულია ეკლესიის მღვდლის, ზოგჯერ კი მეფსალმუნის ვინაობაც. ისინი დაბადების, ქორწინებისა თუ გარდაცვალების შესახებ მეტრიკულ წიგნში შეტანილ ინფორმაციას ხელწერით ადასტურებენ. გარდაცვალების აღრიცხვის მასალები კი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გარდაცვლილის ვინაობასა და გარდაცვალების თარიღთან ერთად, გარდაცვლილის ასაკი, გადაცვალების მიზეზი და დასაფლავების ადგილიცაა მითითებული.

ამდენად აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობის, მისი ცვლილების დინამიკისა და მიზეზების შესახებ საუბარი, ასევე გვართა ფორმირების (იგულისხმება თურქული „ოღლიდან“ ბერძნულ გვარებზე გადასვლა), გენეალოგიური ხაზისა თუ სხვა თემატიკის შესახებ კვლევების წარმოება. სოფელ აჭყვაში 1893, 1894 და 1895 წლების მეტრიკული წიგნების მიხედვით შემდეგი გვარები ცხოვრობდნენ:¹²⁶ Мурузь, Панчарчи, Анфусь оглы, Химониди, Иосифь оглы, Валика, Чортановь, Эленовь, Самарь оглы, Гавра, Сидиропуло, Политова, Пиштофиди, Меридовь, Понаіотова, Афинасіади, Чордань, Мерицовь, Куртовь,

123 აგსა, ფონდი ი-54, აღწ.1, საქმე 25, გვ. 30/ა-33.

124 აგსა, ფონდი ი-22, აღწ.1, საქმე 456, გვ. 365

125 აგსა, ფონდი ფ. ი-80. 1893 წლის მასალები – ს.199:1-20; 1894 წლისა – საქმე 201; 1894 წლისა – საქმე 207.

126 მეტრიკული წიგნები რუსულენოვანია. ბერძნულად ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ხელწერებია შესრულებული. ამიტომ, წყაროსთან შესაბამისობის დაცვის მიზნით, გვარებიც რუსულად მივუთითეთ.

Папандопуло, Чахურიდი, Чахურ, Куртов, Химониди, Темирь оглы, Муратов, Муратиდი, Иосифиди, Циров, Кутмирь, Панцарджи, Георгиади, Шаплахиди.¹²⁷

აჭყვის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე, საფლავის იმ ქვებს შორის, რომელთაც თარიღი შემორჩა, ყველაზე ძველი საფლავი 1911 წლით თარიღდება. ძველი სასაფლაოები ტაძრის სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარესაა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ტაძრის ძველ ფოტოზე, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, სასაფლაოები არ ჩანს. ძველ სასაფლაოთაგან მონუმენტურობით გამორჩეულია პისტოფიდების საფლავის ქვა. ესაა ოთხკუთხა ფორმა-მოყვანილობის ერთგვარი ობელისკი, რომლის სამივე მხარეს ბერძნულენოვანი ეპიტაფიებია. წარწერებიდან ჩანს შემდეგი: იაკობ პისტოფიდი, 80 წლის ასაკში, 1927 წელს გარდაიცვალა; იმავე 1927 წელს, 102 წლის ასაკში გარდაცვლილა იაკობის მეუღლე კირიაკ პისტოფიდი. იქვეა დაკრძალული პისტოფიდი, რომლის სახელი არ იკითხება. იგი 23 წლის ასაკში – 1921 წლის ივლისში გარდაცვლილა. იქვეა დასაფლავებული ანდრიანისი ანესტი 1880-1920 წლები. პისტოფიდების შთამომავლობა – სამი ძმა საცხოვრებლად უკვე საბერძნეთშია გადასული. აჭყვის წმ. გიორგის ტაძართან არსებული სასაფლაოების ეპიტაფიებზე დაფიქსირებული გვარებიდან, ზოგიერთი არაა უშუალოდ ბერძენი. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ არც აჭყვაში ცხოვრობდა, მაგრამ ისინი გარკვეულ ნათესაურ ურთიერთობაში იყვნენ ბერძნებთან. მიუხედავად აღნიშნულისა სასაფლაოზე არსებულ გვართა უმრავლესობა, მაინც სოფელ აჭყვის პოტენციურ მაცხოვრებლად უნდა მივიჩნიოთ. აჭყვის წმ. გიორგის ტაძრის სასაფლაოზე შემდეგი გვარებია წარმოდგენილი: მერიციდი, ელენიდი, კურტოვი, კარაკეტოვა, მურუზიდი, მუტოვკინა, მაკარჩუკი, აბაკელია, სიტარიდი, იამაკიდი, სტეფანიდი, მარუფიდი, პოლიტოვა, პაპანდოპულო, სპირიდი, ანდრიადი, ვასილიადი, ციროვი, ადამოვი, კოსტიკიდი, ნეანიდი, კესოვი, ვასილიადი, გავრილიდი, ცირიდი, ნეანიდი, ფეოდორიდი, კსანდოპულო, ილამიდი, სიდროპულო, სალვარიდი, ირაკლიდი, ორახოვი, სამარციდი, ფეოდორიდი-კალანდაძე, კაისიდი, კოპლატაძე, მოსიძე, სპირიდოპულო, საპლახიდი, ჩერტანიდი, ზაფირიდი, დემერჩევი, ტემიოსოვი, კეხიოპულო.

თანამედროვეობაში აჭყვის ტაძარში წმ. გიორგის ხსენების დღე 6 მაისს აღინიშნება. ამ დროს აჭარის, და არა მარტო აჭარის ბერძნები იკრიბებიან და ეკლესიის მფარველი წმინდანის ხსენების დღეს ერთად აღნიშნავენ.

აჭყვის წმიდა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი

წმიდა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი სოფელ აჭყვაში მდებარეობს. ხალხური გადმოცემით, იგი აჭყვის ბერძენი მოსახლეობის მიერ XX საუკუნის დასაწყისშია აგებული. (ლეკვიშვილი, 2001:71). შემდგომ, საბჭოთა პერიოდში ტაძარი დაინგრა და განადგურდა. იგი

127 აგსა, ფონდი ი-80, საქმე 199, გვ.1-20; საქმე 201, გვ.1-25; საქმე 207, გვ.1-19.



აჭყვის მოსახლეობის ინიციატივით აღადგინეს (ტაბ. X, სურ. 131–134). ძველი ტაძრიდან შემორჩა წმინდანების პეტრესა და პავლეს რელიეფური გამოსახულება, რომელიც ახალ ეკლესიაზე ჩრდილოეთის მხარის კედელში – კარის თავზეა ჩასმული (ტაბ. XI, სურ. 025). წმინდანებს ხელით ეკლესიის გუმბათი უპყრიათ. გუმბათის ფორმა ბერძნული ეკლესიებისათვის დამახასიათებელი გუმბათის მსგავსია. იგი ახლო მსგავსებაშია, მაგალითად, ყოროლისთავის წმ. პანტელეიმონის ეკლესიის ძველ გუმბათთან. გუმბათის ქვემოთ ოთხფურცლოვანი ვარდულია გამოსახული. წმინდანების პეტრესა და პავლეს ხსენების დღეს აჭყვის მო-

სახელობა 12 ივნისს აღნიშნავს.


ეკლესიის ირგვლივ არსებული ტერიტორიის უმრავლესი ნაწილი სასაფლაოებს უკავია, რომელთაგან შედარებით ძველი სამარხები ეკლესიის სამხრეთითაა განლაგებული. ისინი, ძირითადად ერთნაირი ფორმა-მოყვანილობის, თუმცა ზომით სხვადასხვა, გათლილი ქვებია. ახასიათებთ ბერძნულ ენაზე შესრულებული ეპიტაფიები. აჭყვის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიასთან არსებული საფლავის ძველი ქვებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები შემდეგია: ოთხკუთხა და მომალლო ფორმა-მოყვანილობა, ეპიტაფია, ქვაზე ზემოდან დადგმული ჯვარი და სასანთლე. აღნიშნულ ოთხ ნიშანთაგან პირველი ყველა ძველ მემორიალურ ქვას ახასიათებს, ხოლო მეოთხე ნიშანი – სასანთლე ზოგიერთ ძველ ქვას არ აქვს. აჭყვის გარდა სხვა ბერძნული დასახლებების სასაფლაოებზე არსებულ ვითარებასაც თუ გავითვალისწინებთ, ზოგადად, სასანთლე ბერძნული მემორიალური კულტურისათვის საერთოდ დამახასიათებელია. იგი სხვადასხვა ვარიანტებითაა წარმოდგენილი. აჭყვის წმ. პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის სასაფლაოებზე ზოგ შემთხვევაში სასანთლე საფლავის ქვაშია გამოკვეთილი, ზოგიერთს სპეციალური დასახური კარიც ახასიათებთ. შედარებით ახალ სასაფლაოებზე გვხვდება რკინისაგან დამზადებული სასანთლეები, ხოლო უფრო ახალ სამარხებზე თიხის სასანთლეებიც გვხვდება. თანამედროვეობაში მსგავსი ფორმის სასანთლეები, მაგალითად თბილისისა და ბათუმის ბაზრობებზეც იყიდებოდა. ამდენად სასანთლე, ზოგადად დამახასიათებელია ბერძნული სასაფლაოსთვის, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ აჭყვის ჩვენთვის საინტერესო ეკლესიის სასაფლაოზე ძველი სამარხების ქვებიდან სასანთლე მხოლოდ ზოგიერთს ახასიათებდა, იგი საფლავის ქვების მეოთხე საერთო ნიშნად მაინც მივიჩნიეთ. მიგვაჩნია, რომ ეს გამართლებული მიდგომაა, რადგან, როგორც აღინიშნა, სასანთლე თითქმის ყველა ბერძნული სასაფლაოსთვისაა დამახასიათებელი.

საფლავის ძველ ქვებზე ეპიტაფიები ყველა რელიეფურადაა შესრულებული (ტაბ. XI, სურ. 026, 027). საფლავის ქვებზე დაცული წარწერები დაზიანებულია და ძნელად იკითხება,

თუმცა შესაძლებელია მათი აღდგენა. ეპიტაფიები დახლოებით შემდეგი შინაარსისაა: დაიბადა 1840 გარდაიცვალა 1917 ღმერთმა აცხოვნოს ფეოდორა; დაიბადა 1888 გარდაიცვალა 1920; გარდაიცვალა 1918 წელს, იყო 75 წლისა. ღმერთმა აცხოვნოს ქრისტიანა გავრა.

როგორც ზემოთ, წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ მსჯელობის დროს აღინიშნა, აჭყვის წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია მინერილი იყო წმ. გიორგის ეკლესიაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აჭყვის ბერძნულმა მოსახლეობამ თავდაპირველად წმ. გიორგის ეკლესია ააგო, ხოლო შემდეგ წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია ააშენა, სავარაუდოდ, ანუ წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია 1891-1915 წლებშია აგებული.¹²⁸

ბერძნობთანაა დაკავშირებული, ასევე **წმიდა თევდორეს სახელობის ტაძარი**. იგი სოფელ აჭყვაში მცირე გორაკზე დგას (ტაბ. X, სურ. 130). გადმოცემით აქ ადრეც იდგა ქართველების მიერ აშენებული ტაძარი, მაგრამ საბჭოთა პერიოდში საძირკვლამდე დაზღვეულა. ძველი ეკლესიის შესახებ ხალხში რაიმე ცნობა დაცული არაა. ეკლესიის ირგვლივ არც სასაფლაოა და ადგილობრივებიც სხვა სახის ინფორმაციას ვერ იხსენებენ. პოსტსაბჭოთა პერიოდში მოსახლეობას ძველი ნატაძარლის ადგილზე უფრო დიდი ტაძრის აშენება სურდა, მაგრამ მეუფე დიმიტრის რჩევით მისი აღდგენა ძველი, შემორჩენილი ზომების დაცვით განახორციელეს (ლეკვიშვილი, 2001:71).¹²⁹ წმ. თევდორეს სახელობის ეკლესია უკვე არსებულის



ადგილზე XX საუკუნის 90-იან წლებში სტავრო ქრისტეფორიდის ინიციატივით, ხალხის შემონიშნულობებით აშენდა. ეკლესიის წმინდანის ხსენების დღე 21 ივნისს აღინიშნება.

წმ. თევდორეს ტაძრის შესახებ «Клировая ведомость»-ში არაფერია ნათქვამი. ეს ნიშნავს, რომ 1915 წლისათვის ეს ტაძარი არ იყო აგებული და არ მოქმედებდა. ბათუმის სახელმწიფო არქივში სხვა სახის რაიმე ცნობის მიგნებაც ვერ შევძელით. ამ საკითხზე ხალხური გადმოცემებიც დუმს, შესაბამისად მისი ძველი ისტორია ჯერ კიდევ იღუმალა რჩება.

თანამედროვეობაში დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ წმ. თევდორეს სახელობის ტაძარი ძველადაც ისეთივე დაგეგმარებისა იყო, როგორც ახლაა. ესაა ოთხკუთხა ფორმა-მოყვანილობის ბეტონით ნაგები და შელესილი შენობა, რომელსაც ოვალური საკურთხეველი აქვს. დასავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს სამრეკლო. ეკლესია მცირე ბორცვზე დგას. სამანქანე გზა ეკლესიათან ახლოსაა, თუმცა უშუალოდ ეკლესიამდე მხოლოდ ბილიკით შეიძლება ასვლა.

128 სემ, დღიური II-039; დღიური I-016

129 სემ, დღიური II -038.

ტაგულა X. გერძული ტაძრები აჭარაში



სურ. 108. ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი.



სურ. 109. ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ინტერიერი.




სურ. 110. ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი რესტავრაციის (2007 წ.) შემდეგ



სურ. 111. ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ინტერიერი რესტავრაციის (2007 წ.) შემდეგ



სურ. 112. წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ზარი. 1902 წ.



სურ. 113. ილია ეფრემიდის საფლავის ქვა.



სურ. 114. წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის სამშენებლო წარწერა – 1865-1871 წლები.



სურ. 115. ახალშენის ფერისცვალების (მეტამორფოზის) ტაძრის ხედი



სურ. 116. ახალშენის ფერისცვალების (მეტამორფოზის) ტაძრის ინტერიერი



სურ. 117. ახალშენის ფერისცვალების ტაძარი. 1980-იანი წლები



სურ. 118. გუმბათის დადგმა ახალშენის ტაძარზე



სურ. 119. მღვდელი ხრისტოს სტავრიდის



სურ. 120. დიმიტრი მაკრიდისა და მისი ძმის სასაფლაო. ს. ახალშენი



სურ. 121. დიმიტრი მაკრიდისა და მისი ძმის სასაფლაო. 2017 წელი



სურ. 122. ყოროლისთავის
წმ. პანტელეიმონის სახელობის
ტაძრის ძველი ხედი.



სურ. 123. ყოროლისთავის
წმ. პანტელეიმონის სახელობის ტაძარი,
2017 წელი



სურ. 124. სარკმელი. 2010 წლის ფოტო.



სურ. 125. ძველი ზარი



სურ. 126. აჭყვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი



სურ. 127. აჭყვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ნანგრევები. საბჭოთა პერიოდი



სურ. 128. რელიეფური ფილა წმ. გიორგის გამოსახულებით



სურ. 129. 1912 წ. დეკანოზი პისტოფიდისი



სურ. 130. აჭყვის წმინდა თევდორეს სახელობის ტაძარი



სურ. 131. აჭყვის წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი



სურ. 132. რელიეფური ფილა წმინდანების, პეტრესა და პავლეს გამოსახულებით.



სურ. 133. საფლავის ქვა




სურ. 134. საფლავის ქვა



სურ. 135. დაგვის ღვთისმშობლის
სახელობის ტაძარი.
სამხრეთ-აღმოსავლეთი ხედი.



სურ. 136. დაგვის ღვთისმშობლის
სახელობის ტაძრის
სამხრეთ-დასავლეთი ხედი.



სურ. 137. ტაძრის ინტერიერი



სურ. 138. ტაძრის ინტერიერი



სურ. 139. კვირიკეს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი




სურ. 140. ტაძრის ინტერიერი



სურ. 141. ძველი ჯვარი



სურ. 142. ძველი ტაძრის გასაღები



სურ. 143. წმინდა გიორგის ხატი და მიძღვნილი წარწერა



სურ. 144. წმინდა გიორგი



სურ. 145. კვირიკეს წმინდა კონსტანტინესა და ელენეს სახელობის ტაძარი




სურ. 146. ტაძრის ფასადი




სურ. 147. სარკმელი



სურ. 148. ჯვრის აღმართვა. 2017 წ.



სურ. 149. ინტერიერი



სურ. 150. საფლავის ქვა წარწერით



სურ. 151. ფერის წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველო



სურ. 152. სამლოცველოს ხედი



სურ. 153. სამლოცველოს ინტერიერი



სურ. 154. მღვდელი ილია დიამანტიდისი



სურ. 155. ილია დიამანტიდისის სასაფლაო



სურ. 156. ილია დიამანტიდისის საფლავზე, 2017 წლის 2 აგვისტო, ილიაობაზე



სურ. 157. ბერძნები ფერიაში ილიაობაზე.
2017 წლის 2 აგვისტო



სურ. 158. ილია დიამანტიდისის წყარო



სურ. 159. წმ. ქალწულმონაშე კერკირას
სახელობის სამლოცველო (XX ს. II
ნახევარი). ს. ზედა კვირიკე



სურ. 160. მ. ფუტურიდი, ს. ქსანდოპულო
და რ. ბერიძე. წმ. კერკირას
სამლოცველო. 2016 წ. 20 ივლისი

**ფერის წმიდა გიორგის სახელობის სამლოცველო
ილია დიამანტიდისი**

აჭარაში, ბათუმის სიახლოვეს, ბერძენთა განსახლების ერთ-ერთი სოფელი ფერია იყო. აქ მდებარეობს წმ. გიორგის სახელობის მცირე სამლოცველო, რომელიც ილია დიამანტიდისის ეზოშია გამართული (ტაბ. X, სურ. 150-157). შენობა დაახლოებით 12 კვ.მეტრი ფართობისაა, ორსართულიანია. უშუალოდ სამლოცველო მეორე სართულზეა მოწყობილი. რელიეფი ფერდობია და სამლოცველოს პირველი სართული სანახევროდ მინაშია შედგმული. სამლოცველოს წინ სასაფლაოა, სადაც ილია დიამანტიდისი, მისი მეუღლე სოტირია და ქალიშვილი ალაპია დაკრძალული. სამლოცველოში დასვენებულია საბერძნეთიდან წინაპრების მიერ ნამოღებული წმ. გიორგის ხატი, აქვეა სხვა ძველი ხატები (ტაბ. X, სურ. 152).

ილია დიამანტიდისი 1880 წელს დაიბადა ს. ხურმიკიანტოში, ტრაპიზონთან ახლოს, კრიპტოქრისტიანთა (ფარული ქრისტიანების), პანაიოტისა და ათინას, ოჯახში (Ασκιτζ, 2013:55-72); მძიმე ბავშვობა ჰქონდა, განათლებაც ვერ მიიღო, 17 წლის ასაკამდე მეთუნეუქედ მუშაობდა თავის ბიძაშვილთან, პეტრე დიამანტიდისთან ერთად, შემდეგ – პანაიოტის აძილიასის საცხოვრებში. 1897 წელს იქორწინა სოტირიაზე, იყიდა სახლი კარაკაძიში, რომელიც იმთავითვე გაჭირვებულთა, მშვიერთა და მიუსაფართა თავშესაფრად იქცა. ილიასა და სოტირიას ექვსი ქალიშვილი ჰყავდათ: ალაპი (დაქვრივების შემდეგ მონაზონი მარია), ვასილისა, ელენა, კალიოპი, ათინა და ოლგა.¹³⁰

ილია ღვთისმოსიში კაცი იყო, თვითნასწავლი, წერა-კითხვას, საეკლესიო გალობას და ხატწერასაც დაეუფლა, როგორც თვითონ იხსენებდა, ანგელოზი ეცხადებოდა და ასწავლიდა,¹³¹ ფარულად ეკლესიაშიც გალობდა და მუდმივად ლოცულობდა. 1918 წელს, თურქების მხრიდან მორიგი შევიწროვებისა და მუქარის შემდეგ, ოჯახი თურქეთიდან გამოიქცა, მოგვიანებით მათ ილიაც შეუერთდა, რომელმაც 15 დღე თოვლში ფეხით იარა. ილიას ქალიშვილი ალაპი ბათუმის ახლოს, მახმუდიაში (ფერია) დასახლდა, მისი მეუღლე აბრაამი შეძლებული კაცი იყო, სწორედ მან შეისყიდა სიმამრისთვის მიწის ნაკვეთი, სადაც დასახლდა ილია, სახლიც ააშენა, საცხოვრებლად გახსნა და კვლავ გაჭირვებულებს ეხმარებოდა. მისი სახლი აქაც თავშესაფრად იქცა, ყველა მგზავრს, მშვიერთსა და მწყურვალს, სიხარულით იღებდა და მასპინძლობდა. ოჯახს რამდენიმე ობოლიც ჰყავდა შეფარებული. ილია დიამანტიდისი მკურნალიც იყო, სხვადასხვა ბალახეულობას აგროვებდა და იმით კურნავდა ხალხს, განსაკუთრებით, სულიერ ავადმყოფებს. ოჯახის წევრები არაერთ საინტერესო ისტორიას გადმოგვცემენ ამის შესახებ.¹³² გადმოცემის მიხედვით, ილია დიამანტიდისის სიზმარში წმინდა გიორგი გამოეცხადა, რომელმაც სთხოვა სახლის გვერდით მისი სახელობის ეკლესია აეშენებინა (Ασκιτζ, 2013:55-72). გადმოცემის მიხედვით, ეკლესიის

130 სემ, დღიური I-017.

131 სემ, დღიური I-018.

132 სემ, დღიური I-019.

საძირკვლის მშენებლობისას, ძველი ეკლესიის კედლებს მიაგნო.¹³³ პატარა სამლოცველო ააშენა მალულად, ზემოდან თივით და ფოთლებით დაფარული, იქ ლოცულობდა და ხალხსაც ნათლავდა (ოფიციალურად ჰქონდა ამის ნებართვა, ბათუმის ეპისკოპოსის პრესვიტერი გახდა), გადმოცემით, ძალიან ბევრი ადამიანი ჰყავს მონათლული., სხვა მიტოვებულ ტაძრებსაც უვლიდა. სამლოცველოში ბევრი ხალხი დადიოდა. საბჭოთა პერიოდში ილია დიამანტიდისი და მისი ოჯახი დევნას განიცდიდა, არაერთხელ დააპატიმრეს და აწამეს, მაგრამ ვერ დაასინეს და ვერ აღრებიანეს ხელი ნირვა-ლოცვაზე, ხალხის მონათვლასა და ავადმყოფთა მკურნალობაზე. მას დღი სახელი ჰქონა, როგორც გადმოგვცემენ, წინასწარმეტყველების უნარითაც იყო დაჯილდოვებული. ხშირად იმეორებდა: „რწმენა მკვდარია კეთილი საქმეების გარეშე“.¹³⁴ მისი ცხოვრებაც ამის დადასტურება იყო.

ილია დიამანტიდისი 1949 წლის ივლისში გარდაიცვალა. ანერძის თანახმად, სამლოცველოს წინ დაკრძალეს, ეზოში. სასწაულები მის საფლავზე კვლავაც გრძელდებოდა, ოჯახის წევრები იხსენებენ, რომ საფლავი მოგვიანებით გათხარეს და ილია დიამანტიდისის ნეშტი წაიღეს გამოსაკვლევად, მერე დააბრუნეს, მაგრამ, ფაქტია, რომ 1962 წელს როცა გათხარეს ილიას საფლავი, იქ არ აღმოჩნდა მისი ნეშტი, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. სამლოცველოს და საფლავს დღესაც უვლის ოჯახის რძალი თეოდორა (ფროსია) სავიდი, რომელიც სოხუმელი ბერძენია, ბავშვობაში ილიას ოჯახში სამკურნალოდ ჩამოიყვანეს (მამამისიც მღვდელი იყო) და შემდეგ ამ ოჯახის რძალი გახდა.¹³⁵

სახლის გვერდით პატარა ხევია, სადაც წყაროა. ილია ამ წყაროს წყალს ხშირად აკურთხებდა და, როგორც სამკურნალო საშუალებას, ხალხს ურიგებდა. დღემდე, 2 აგვისტოს, ფერიის ამ სამლოცველოში ასული ბერძენები ჩადიან წყაროზე, ავსებენ და მიაქვთ სახლში, სჯერათ, რომ მას სამკურნალო თვისებები აქვს (ტაბ. X, სურ. 157).

ილია დიამანტიდისის სამლოცველო და სასაფლაო დღემდე მომლოცველთა საყვარელი ადგილია. მას ადგილობრივ წმინდანად თვლიან, სამლოცველოში მისი პორტრეტი-ხატიცაა განთავსებული. ილიაობას აღნიშნავენ 2 აგვისტოს. აქაც, ისევე, როგორც სხვა ბერძნულ ეკლესიებში, ბერძენები იკრიბებიან და ერთად აღნიშნავენ დღესასწაულს (ტაბ. X, სურ. 155, 156).

ზედა კვირიკეს წმიდა ქალწულმონამე კერკირას სახელობის სამლოცველო

წმიდა ქალწულმონამე კერკირას სახელობის სამლოცველო ზედა კვირიკეში მდებარეობს. მოცულობით მცირეა და დაახლოებით 12-15 კვ. მეტრი ფართობი უკავია. იგი ადგილობრივმა ბერძენების მიერ XX საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული.¹³⁶ წმიდა ქალწულმონამე (I ს.) კერკირას

133 სემ, დღიური I-020.

134 სემ, დღიური I-021.

135 სემ, დღიური I-021.

136 სემ, დღიური I-022.

ხსენების დღეს ეკლესია 28 აპრილს (11 მაისს) აღნიშნავს, მაგრამ ადილობრივი ბერძნები სამლოცველოს დღესასწაულს ყოველწლიურად 20 ივლისს აღნიშნავენ. ამ დღეს, ისევე, როგორც სხვა რელიგიური დღესასწაულებისას, ბერძნები სხვადასხვა სოფლებიდან მოსალოცად მოდიან (ტაბ. X, სურ. 158, 159).

სამლოცველოს აგებას ადგილობრივი მოსახლეობა გიორგი ჩილინგარიდის სახელს უკავშირებს (საცხოვრებლად გადავიდა საბრძნეთში), გადმოცემით, მან სიზმარი ნახა, რომ აქ იყო ძველად ეკლესია და თავისი სახსრებით ააშენა ეს სამლოცველო.¹³⁷

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნები დღემდე უვლიან და პატრონობენ თავიანთ ტაძრებსა და სამლოცველოებს. საბერძნეთში საცხოვრებლად გადასულებიც ხშირად ჩამოდიან, განსაკუთრებით, დიდ დღესასწაულებზე (მარიამობა, გიორგობა); ყოფილა შემთხვევები, რომ შვილები აქ ჩამოუყვანიათ და მოუნათლავთ.¹³⁸

დღემდე ბერძენი მორწმუნეები ყველა სატაძრო და დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე იკრიბებიან და ერთად დადიან მოსალოცად.¹³⁹

137 სემ, დღიური I-023.

138 სემ, დღიური I-024.

139 სემ, დღიური I-025.

§ 6. პონტოელი ბერძნები აჭარის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სამეწარმეო სფეროში

ინდუსტრიული ეპოქისათვის დამახასიათებელმა ტექნიკურმა რევოლუციამ საზოგადოებრივ ყოფაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და კაცობრიობის განვითარება დააჩქარა. ეს არ იყო მხოლოდ ახალი მანქანა-დანადგარების გაუმჯობესება. ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები, ადამიანთა ცხოვრების წესი რადიკალურად შეცვალა. სწორედ დროის გამოძახილს შეესატყვისებოდა, მაგალითად, თბილისში 1882 წელს „საკომერციო კურსების“ სასწავლებლის გახსნა, რომლის შესახებაც, სწავლის მსურველთათვის გაზეთი ივერია ყოველწლიურად იტყობინებოდა.¹⁴⁰

ქალაქი ბათუმი 1878 წლის შემდეგ კავკასიის სამრეწველო ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდა, რაც აქაურ მოსახლეობაზე, მათ შორის, ბერძნებზეც უმაღლვე აისახა. ისინი, როგორც ხელოსნები და წვრილი მოვაჭრეები ოსმალეთის მმართველობის დროსაც და შემდგომაც, რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასული, ბათუმის სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში უფრო მეტად იყვნენ ჩართული. უფრო მეტად – იმიტომ, რომ იმ დროისათვის ვაჭრობის განვითარებისათვის, ოსმალეთთან შედარებით, რუსეთის იმპერიაში გაცილებით დიდი შესაძლებლობები არსებობდა. ამასთანავე ბათუმი ძალზე მოსახერხებელი ნავსადგურის, ბაქოს ნავთობისა და ადგილობრივ სამთო მრეწველობის განვითარების მეშვეობით საერთაშორისო პორტად მალე გადაიქცა და, შესაბამისად, ბათუმს მრავალი უცხოელი კომერსანტი თუ მენარმე დაუკავშირდა. ეს ყველაფერი კი ბუნებრივად ადგილობრივ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკაზეც აისახებოდა.

ჩვენს ხელთ არსებული საველე წყაროებით და ბოლო დრომდე სამეცნიერო წრეებსა თუ სამუზეუმო სფეროში დაცული მონაცემებით, ბერძენ მენარმეთა შორის გამორჩეულ და საპატიო ადგილს ლაზარე მურადის ძე ბინიატ-ოღლი იკავებს.¹⁴¹ გადმოცემით იგი ბერძენი, გვარად ბინიატიდი იყო, მაგრამ რამდენადაც ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში საქმიანობდა, გვარსაც ოსმალური წესის მიხედვით ატარებდა (შერვაშიძე, 2011:21-24). ლაზარე ბინიატ-ოღლის სახელი საქართველოში, კონკრეტულად კი – ბათუმში, თამბაქოს წარმოებასა და მის კომერციალიზაციასთანაა დაკავშირებული. XVII საუკუნის დამლევდიდან საქართველოში ჩნდება და გავრცელებას იწყებს თამბაქო. ამ კულტურის წარმოებას ბორჩალოს მაზრის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი „საქართველოს გეოგრაფიაშიც“ ადასტურებს (ქსე, 1979:582-583). თამბაქოს 1772 წელს, ხონის რაიონის აღწერისას, გერმანელი მეცნიერი გულდენშტედტიც მოიხსენიებს (გულდენშტედტი, 1962). XIX საუკუნის 40-იან წლები და თამბაქოს წარმოების ზრდა-განვითარება რუსეთის საიმპერატორო

140 გაზეთი „ივერია“, 1882 წ. №4; 1898 წ. №1

141 ლაზარე ბინიატ-ოღლის პაპიროსის ერთ-ერთ ეტიკეტზე საკუთარი გვარი ოსმალურ, სომხურ და ქართული ენებზე აქვს დაფიქსირებული. ქართულ ვარიანტში გვარში თ ასო ტ-ითია გადმოცემული – „ბინიატ-ოღლი“ (ტაბ. XI. სურ.1). ამიტომაც გვარის ქართულად გაფორმების აღნიშნული ფორმა უფრო მართებულად მივიჩნიეთ და ტექსტშიც ყველგან „ბინიატ-ოღლი“ ვარიანტია გამოყენებული.

კარის ეკონომიკურ ინტერესებში მოექცა. ამ დროს რუსეთის მთავრობამ საქართველოში თამბაქოს საუკეთესო ჯიშის თესვები შემოიტანა და ქართველ მემამულეებს დაურიგა. 1883 წლის კანონით რუსეთის მთავრობამ საქართველოში თურქული ჯიშის – ტრაპიზონისა და სამსუნის გავრცელება დაადგინა, რომელთა კულტივირება დასავლეთ საქართველოში დაიწყო. თამბაქოს წარმოებით საუფლისწულო მამულეების მეპატრონეებიც იყვნენ დაინტერესებულნი. 1888 წლისათვის ძმებმა: ლაზარე, ჰაკი და მიხეილ ბინიატ-ოლღებმა გაერთიანებული ძალებით თამბაქოს ფაბრიკა გახსნეს. ამ საქმეში მათ ოთხმოცი ოსმალური ოქრო დაუბანდებიათ. ფაბრიკის დაარსების თარიღი – 1888 წელი თამბაქოს ერთ-ერთ ეტიკეტს შემორჩა, რომელიც ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმშია დაცული.¹⁴² სამუზეუმო მასალა რამდენიმე ათეულ ეტიკეტს ითვლის, მაგრამ ამ ეტიკეტებიდან ფაბრიკის დაარსების თარიღს მხოლოდ ერთი გვიდასტურებს. სამწუხაროდ ამ ეტიკეტებიდან ძმები ბინიატ-ოლღების კომპანიის სახელწოდება ვერ დგინდება, რადგანაც ეტიკეტებზე კომპანიის სახელწოდება არ ფიქსირდება.

თამბაქოს ფაბრიკა ბათუმში თავდაპირველად ახმედ ფამას – ახლანდელი ხულოს ქუჩაზე მდებარეობდა. მასში ოთხი საამქრო მუშაობდა, სადაც თამბაქოს გარჩევა, მისი დაჭრა, გილზებში ჩატენვა და ყუთებში ჩაწყობა ხდებოდა. წარმოების გაფართოების მიზნით 1899 წელს ფაბრიკა კალიაევის (ახლანდელი ზურაბ ბერიძის) ქუჩაზე, თურქულ ბაზართან ახლოს ორსართულიან სახლში გადავიდა. ორი წლის შემდეგ 1901-1902 წლებში, ქარხანამ ადგილმდებარეობა შეიცვალა და შაჰმიანის (ახლანდელი დ. თავდადებულის) ქუჩაზე დამკვიდრდა, სადაც ბინიატ-ოლღიმ ახალი დანადგარები შეიტანა. 1904 წლისათვის ბინიატ-ოლღიმ ათი განყოფილება გახსნა. ამ დროისათვის ბათუმში თამბაქოს ფაბრიკა „კანდილი“ და „თამარა“ არსებობდა. 1911 წელს თამბაქოს ფაბრიკა დანილოვებმაც გახსნეს, 1919 წელს ფაბრიკა „ვოსტოკიც“ გაიხსნა (შერვაშიძე, 2011:21-23). პაპიროსის «Марсь» ეტიკეტიდან ვგებულობთ, რომ ბინიატ-ოლღის თამბაქოს ფაბრიკა კომაროვსკაიას ქუჩაზე, საკუთარ სახლშიც ჰქონია, თუმცა უცნობია ეს როდის იყო. გამოშვების წელი არც ეტიკეტზე არაა მითითებული (ტაბ. XI, სურ. 1).

ბინიატ-ოლღიმ წარმოება თანდათან გააფართოვა. იგი თამბაქოს სოხუმიდან, სოჭიდან, რუსეთიდან, ართვინიდან, იალტიდან ეზიდებოდა, პაპიროსის ქალაქიდან რუსეთიდან, ხოლო მუნდშტუკები – როსტოვიდან შემოჰქონდა. თამბაქოს ნაწარმი რუსეთში, კავკასიაში, თბილისში, ბაქოში, კურსკში და სხვა ქალაქებში იგზავნებოდა.

ბინიატ-ოლღის ფაბრიკასთან დაკავშირებით საინტერესოა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-ლეიტენანტ ფ. პარკაუს საჯარო განცხადება, რომელიც გაზეთ «Черноморское Эхо»-ში გამოქვეყნდა.¹⁴³ იგი ბათუმის ოლქში არსებულ საწარმოებში მუშათა მხრიდან ამომრჩევლების არჩევას ეხებოდა. არჩევის წესი 1905 წლის 11 დეკემბერს დადგინდა. მასში განსაზღვრული იყო მამრობითი სქესის მუშათა კონტინგენტიდან თუ რა რაოდენობის

142 აჭმ. ხგ. – აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 124

143 Газета «Черноморское Эхо», №80, 1906 წ.

ამომრჩეველი უნდა აერჩიათ. სამხედრო გუბერნატორის განცხადებაში ბათუმის ოკრუგიდან, სავარაუდოდ მუშათა რაოდენობის მიხედვით, დასახელებული სულ ოთხი საწარმო იყო, მათ შორის ბინიატ-ოლლის თამბაქოს ფაბრიკაც იყო მოხსენიებული. იქვე გუბერნატორი აღნიშნავს, რომ ბინიატ-ოლლის ფაბრიკაში, 1906 წლისათვის, სულ ოთხმოცდაექვსი მუშა – მამაკაცი იყო დასაქმებული და მათ უფლება ეძლეოდათ, მხოლოდ ერთი ამომრჩეველი აერჩიათ (ტაბ. XI სურ. 11).

1899 წლის იმავე გაზეთ «Черноморский вестник»-იდან ვგებულობთ, რომ 1896 წელს ბინიატ-ოლლიმ ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში, რუსეთის საყოველთაო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, სადაც მის საქონელს მონონება დაუმსახურებია და ფართო გამოხმაურებაც მიუღია (ტაბ. XI სურ. 12). თამბაქოს ნაწარმის ეტიკეტებზე დაცული მედლების მიხედვით ჩანს, რომ ბინიატ-ოლლის სხვა გამოფენებშიც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტიკეტებზე დაცული მედლების გარჩევა ძნელია და, შესაბამისად, სხვა ინფორმაციის მიღება ძნელდება. 1920 წელს თბილისშიც ჩატარებულა გამოფენა, სადაც ბინიატ-ოლლის ნაწარმიც ყოფილა წარდგენილი და მას შესაბამისი ჯილდო თბილისშიც მიუღია. ეს შემდეგ მაპატრონეს საკუთარ ეტიკეტზეც აუსახავს. სამწუხაროდ ეტიკეტზე გამოსახულ ამ მედალზე მხოლოდ წელი და ქალაქი იკითხება (ტაბ. XI სურ. 3, 6). აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ბინიატ-ოლლის ეტიკეტები საინტერესო პირველწყაროა თამბაქოს კომერციალიზაციის, თამბაქოს ფასის, რეგოლაციამდელ ბათუმში სააქციზო საგადასახადო სისტემისა და ფაბრიკის ნაწარმის რაოდენობის, სარეკლამო საქმიანობის განვითარებისა და რეკლამის ზემოქმედების ფსიქოლოგიური მახასიათებლების, ასევე, სამრეწველო რეკლამების ესთეტიკური დონის განვითარებისა და პოლიგრაფიული საქმის შესახებაც. ეტიკეტიდან მომდინარე ინფორმაცია სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ინტერესის სფეროს შეადგენს. აქ ყურადღებას მხოლოდ ისტორიული და ეკონომიკური ხასიათის მასალებზე გავამახვილებთ.

ბინიატ-ოლლის ეტიკეტებიდან ზოგიერთ მათგანს ბეჭდური ფორმით მიწერილი აქვს, რომ მყიდველმა ყურადღება საფაბრიკო მარკას მიაქციოს. «Фабричная марка» იგივე კომპანიის სასაქონლო ნიშანია, რომელსაც მწარმოებლები თავიანთ რეკლამებზე იყენებდნენ. მაგალითად, ოფიციალურად დამტკიცებული სასაქონლო ნიშანი 1907 წელს დაარსებულ ღვინის მწარმოებელ კომპანია – „დანელია და კომპანიასაც“ გააჩნდა. ბინიატ-ოლლის ეტიკეტიდან ჩანს, რომ «Фабричная марка», კერძოდ, ეტიკეტზე მისი გამოსახვა ნაწარმის გაყალბებისაგან დაცვის ერთ-ერთი საშუალება იყო. ერთ-ერთი ეტიკეტიდან ჩანს, რომ პაპიროსზე „აია სოფიაზე“ დიდი მოთხოვნილება ყოფილა, რის გამოც ეტიკეტების გამყალბებლებიც გამოჩნდნენ. ამ გარემოების გამო ბინიატ-ოლლი მომხმარებლებს ეტიკეტის საშუალებით მიმართავდა და აცნობებდა, რომ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მისი პაპიროსის მხოლოდ ეტიკეტებს აყალბებდნენ, რადგან მათ არ შეუძლიათ მისი თამბაქოს მაღალ ღირსებას, სასიამოვნო გემოს, მის ფაბრიკაციებს – ფაბრიკულ ნაწარმს კონკურენცია გაუწიონ, ამიტომ იძულებული ვარ – აცხადებს ბინიატ-ოლლი – მომხმარებლებს ვთხოვო, რომ შეძენის სურვილის შემთხვევაში უშუალოდ მის ფირმას მიმართონ (ტაბ. XI სურ. 12). იქვე

იგი აცხადებდა, რომ თამბაქოს ნაწარმის ეტიკეტებზე «Фабричная марка» ყველგან ერთნაირი არ იყო და ქსელში მისი სხვადასხვა ვარიანტი გვხვდებოდა. საკუთარი ფაბრიკის ნაწარმის გაყალბებისაგან დაცვის მიზნით ანალოგიურ თხოვნა-მიმართვას ბინიატ-ოლლი გაზეთის «Черноморский вестник»-ს მეშვეობითაც ავრცელებდა და მყიდველებს სთხოვდა, რათა ფირმისათვის მიემართათ. თამბაქოს ნაწარმი სააქციზო გადასახადს ექვემდებარებოდა და ეტიკეტებზეც შესაბამისი ინფორმაცია იყო დაცული, ასევე, მითითებული იყო ამ ეტიკეტით წარმოებული პროდუქციის რაოდენობაც. ეტიკეტი არა მხოლოდ რეკლამის, არამედ ერთგვარი სააქციზო მარკის ფუნქციასაც ითავსებდა. ყოველი ახალი ეტიკეტი, მასზე მოცემული ნებადართული რაოდენობის გაყიდვის შემდგომ, სააქციზო გადასახადის შესაბამის სამსახურში ხელახალ შეთანხმებას საჭიროებდა. ეს კი ახალი ეტიკეტის შექმნას ავტომატურად გულისხმობდა. შესაძლოა ეს გარემოება განაპირობებდა ეტიკეტებზე საფაბრიკო მარკის («Фабричная марка»-ს) სხვადასხვა ვარიანტი რომ გვხვდებოდა (ტაბ. XI. სურ. 10). ამგვარი მსჯელობის საფუძველს იძლევა ბინიატ-ოლლის ეტიკეტები, თუმცა ამ საკითხის დაზუსტება, XIX საუკუნის მინურულისათვის რუსეთის იმპერიაში შემავალ საქართველოში მოქმედი საგადასახადო – სააქციზო სისტემის ნორმატიული დოკუმენტების უფრო დეტალური შესწავლით უფროა შესაძლებელი. გთავაზობთ აჭარის მუზეუმში დაცული მასალების – ეტიკეტების მიხედვით ბინიატ-ოლლის მიერ გამოშვებული თუ გამოსაშვებად გამზადებული პაპიროსების სახელწოდებათა ჩამონათვალს. ესენია: Фантазия, Экстра, Успехь, Орель, Победа, Кофейная, Царская, Султание, Казакъ, Османие, Наринь, Дели Баз, РО-КО-КО, VERA, Купеческая, Трапезунд, Симпатия, Победныя, Меджлись, Букет, Чудныя, Экономья, Ласточка, Народныя, Батумь, Товарищъ, Гейша, Звонь, Реклама, Крепкия, Малютка, Слава, Трудовия, Дружба, Кавказская роза, Батумская, Марсь, Маруся, Союзъ, Чудо Богатырь, Курдь, Турецкая, Голубка. სამუზეუმო მასალებში ზოგიერთი ეტიკეტი გადახაზულია, ზოგი არა. დღეის გადასახედიდან ძნელი სათქმელია ზემოთ ჩამოთვლილი ვრცელი სიიდან რომელი დასახელების ეტიკეტი იყო რეალურად გამოყენებული და რომელი არა, შესაძლოა ყველა ეტიკეტი იყო გამოყენებული, რადგან ინფორმაციას სააქციზო ფასის შესახებ ყველა შეიცავს. სამწუხაროდ, ბინიატ-ოლლის თამბაქოს ნაწარმის კოლოფი დღეს-დღეობით ჩვენთვის უცნობია. ბინიატ-ოლლის თამბაქოს ნაწარმის ეტიკეტები, როგორც აღინიშნა, მრავალფეროვან ინფორმაციას შეიცავს. აღნიშნული ეტიკეტების მიხედვით ჩანს, რომ ბინიატ-ოლლის თამბაქოს ნაწარმს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებში ჰქონია მიღებული მონაწილეობა, რაც სხვადასხვა მედლებით დასტურდება. მედლები ერთმანეთისაგან შინაარსობრივი თვალსაზრისით განსხვავდებოდნენ და გადმოსცემდნენ თუ რა დამსახურებისთვის იყვნენ ისინი გაცემული. ერთ-ერთი ეტიკეტის მიხედვით ბინიატ-ოლლის ფაბრიკას მონაწილეობა შემდეგ გამოფენებში მიუღია: 1896 წელს – ნიჟნი ნოვგოროდში, 1900 წელს – თბილისში, 1910 წელს – რომში, სპარსეთში (წელი უცნობია). ეს გარემოება ბინიატ-ოლლის თამბაქოს ფაბრიკის საწარმოო შესაძლებლობებს კიდევ ერთხელ ცხადყოფს. მაგალითად ბინიატ-ოლლის ერთ-ერთ ეტიკეტზე დატანილი მედალი გვმცნობს, რომ მის თამბაქოს მედლის სახით თურქული თამბაქოს ჯიშების

კოლექციისათვის – «ЗА КОЛЕКЦИЮ ТАБАКУ ТУРЕЦК СОРТОВЪ» ქების სიგელი – «ПОХВАЛЬН. ЛИСТЬ» (ავერსი) დაუმსახურებია. ეს წარწერა მედლის მეორე მხარეს, რევერსზეა მოცემული (ტაბ. XI. სურ. 6).

გარდა პაპიროსისა ბინიატ-ოლლის თამბაქოს ფაბრიკა სხვადასხვა ხარისხის თამბაქოსაც ამზადებდა. ეტიკეტზე რუსულად მითითებულია, რომ ეს მოსაწვეი თამბაქო იყო. ეტიკეტების მიხედვით მათი უმრავლესობა სახელწოდების გარეშეა, ზოგს კი მითითებული აქვს დასახელება, მაგალითად, თამბაქოს «Константинопольский» ეტიკეტზე მითითებული ჰქონდა რომ იგი სპეციალურად იყო დამზადებული – «Специального приготовления» და მეორე ხარისხის თამბაქო იყო. მისი ანალოგიური იყო თამბაქო «Отоманский». ფაბრიკას თამბაქო – «Путаная крошка» განსაკუთრებული შეკვეთით დაუმზადებია. ესეც, როგორც სხვა თამბაქოთა უმრავლესობა, მეორე ხარისხის იყო. ბინიატ-ოლლის საწყობი ვარშავაშიც ჰქონია. ეს მითითებულია თამბაქოს ერთ-ერთ ეტიკეტზე, რომელიც სპეციალური შეკვეთით – «По Особому Заказу» ყოფილა დამზადებული. ესეც მეორე ხარისხის მაგარი თამბაქო იყო. ჩანს, ასევე, ოდესისათვის საგანგებოდ დაუმზადებიათ პაპიროსი – «Батумский». იგი მესამე «А» ხარისხის პაპიროსი იყო, რომლის 10 ცალიანი შეკვრა 3 კაპიკი ღირდა. ისე კი, აჭარის მუზეუმში დაცული ეტიკეტების შესწავლით დგინდება, რომ ბინიატ-ოლლის თამბაქოს ნაწარმის უმრავლესობა პაპიროსი იყო. ისინი განსხვავებული დიზაინით, ხარისხით, ფასით და მონაცემებით ხასიათდებოდა.

ბათუმში ლაზარე ბინიატ-ოლლი თავდაპირველად 9 მარტის ქუჩაზე ცხოვრობდა. შემდგომ მან ლიბკნეხტის ქუჩაზე ორსართულიანი კაპიტალური სახლი აიშენა. ლაზარე 1907 წელს სამშობლოში – ქალაქ კესარიაში (თანამედროვე კეისარია, ისრაელი, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო) გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ ფაბრიკის მმართველობა შვილის – მურადისა და ძმისშვილის იოსებ ბინიატ-ოლლების ხელში გადავიდა. მათ წარმოების დონის არათუ შენარჩუნება, არამედ კიდევ უფრო გააფართოება შეძლეს. აჭარის ცენტრალურ არქივში დაცულია ბინიატ-ოლლების კომპანიის ტიტულიანი ფურცელი, საიდანაც ვიგებთ, რომ 1915 წლის 20 ივნისის მონაცემებით, თამბაქოს ფაბრიკის მეპატრონე მურადი იყო. მისივე წერილიდან ჩანს, რომ იგი, როგორც ამომრჩეველი, ქალაქ ბათუმის დუმის ხმოსანთა არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. 1915 წლის 20 ივნისს მურად ბინიატ-ოლლი ივენე მესხს სთხოვდა, რომ დართოს ნება „წერილის მიმტანს“ – გ.ე. კრუტიკს მის ნაცვლად დაუშვან არჩევნებზე.¹⁴⁴ 1918 წელს მურად ბინიატ-ოლლი საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადავიდა. იმავე წელს დანილოვისა და ბინიატ-ოლლის ფაბრიკებისა და „ვოსტოკის“ გაერთიანებით მიქოიანის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა შეიქმნა (შერვაშიძე, 2011:21-23).

ლაზარე ბინიატ-ოლლი ბერძენი იყო. გადმოცემით იგი ბოლო დრომდე მართლმადიდებლობას ფარულად ინარჩუნებდა. მას როგორც „საიდუმლო ბერძენს“ ისე მოიხსენიებდნენ. იგი

144 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, საქმე 571, გვ.105.

ბათუმში ბერძნულ ეკლესიაშიც დადიოდა (შერვაშიძე, 2011:21-23). დღემდე ჩვენამდე მოღწეული და ცნობილი ეტიკეტებიდან ლაზარეს მხრიდან საბერძნეთისადმი გამოხატული სიმპათიების შესახებ არც ერთი არანაირ ირიბ ინფორმაციას არ შეიცავს. არც მართლმადიდებლობასთან ფარული მიმართების შესახებ ვხვდებით ეტიკეტებზე რაიმე მინიშნებებს, თუმცა ამ მხრივ ორი სხვადასხვა პაპიროსის ეტიკეტი მართლაც საინტერესოა. ამ მხრივ პირველ შემთხვევაში პაპიროსის «Наринь» ეტიკეტზე გამოსახული გერბია საყურადღებო. მას თავზე გვირგვინი ადგას, საიდანაც მანტიაა დაშვებული. მანტია გაშლილია და ორივე მხარეს სამხრეების იმიტაციას ქმნის, რომელსაც ქვემო-დან ლენტი აქვს მოხვეული. მანტიის შუაზე დაახლოებით ოთხკუთხა ფარია აღბეჭდილი. ფარის ორივე მხარეს მტვირთველები – მეომარი მამაკაცები დგანან. ფარის შუაზე ჯვარია გამოსახული (ტაბ. XI. სურ. 4). გერბის მეორე ვარიანტი ასახულია პაპიროსზე «Народния». ამ პაპიროსს ეტიკეტზე მინერილი აქვს: «приготовлен собственно для потребит. Изделии моей фабрики». იგი მესამე А ხარისხის პაპიროსი იყო. მოცემულ შემთხვევაში ეს ეტიკეტი იმითაა საყურადღებო, რომ გერბის ფარზე «Л» და «Б» ასოებით რუსულენოვანი ვენზელია შექმნილი (ტაბ. XI. სურ. 7). გერბის ეს ვარიანტები ამ ეტიკეტებს სხვა ეტიკეტებისაგან მნიშვნელოვნად განასხვავებს. ჩვენამდე მოღწეული ეტიკეტების მიხედვით, ზემოთ აღწერილი გერბიანი ეტიკეტების მხოლოდ ორი ვარიანტია ცნობილი. როგორც ჩანს, გერბები ერთგვარი საფაბრიკო მარკის ფუნქციას ასრულებდნენ.

ბერძენი მოსახლეობის დასაქმების მყარი ნიადაგი ქალაქი ბათუმის სამრეწველო ობიექტები, სალიანდაგო თუ საავტომობილო გზებზე მიმდინარე სამუშაოები წარმოადგენდა. 1883 წელს ბათუმში პირველი მატარებელი შევიდა, რასაც წინ ფართომასშტაბიანი სამუშაოები უსწრებდა, რაც შემდგომშიც გრძელდებოდა. სამუშაოდ აღნიშნულ სამუშაოებში ბერძენთა ჩართულობის შესახებ დოკუმენტური მასალები მწირია, მაგრამ შეუძლებლად მიგვაჩნია ბერძენებს, განსაკუთრებით ახალმოსახლეობის პირობებში, ბათუმის ოლქში მიმდინარე სამრეწველო-ეკონომიკური პროცესებით არ ესარგებლათ.

ნავთობის ტარის წარმოებამ ბათუმში მრავალი სამუშაო ადგილი შექმნა და გარდა მუშისა სხვადასხვა პროფესიის ადამიანი დაასაქმა. ქალაქის დემოგრაფიული ზრდა ახალმოსულთა თავშესაფარს – ბინას ითხოვდა. ამ პროსექცებმაც ქალაქში მშენებელი, ინჟინერი, მუშა, ხურო, კალატოზი და სხვა ხელობის ადამიანები მოიზიდა. ისინი ნავთობის ტარის საწარმოთა კორპუსების, დამხმარე შენობების, ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ნაგებობების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობებზე მუშაობდნენ. XIX საუკუნის მიწურულს ბათუმში 30 ათასამდე ადამიანი საქმიანობდა. მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად 1900-იან წლებში ბათუმში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალოები, სადურგლოები, სამშენებლო მასალების საწარმოები, პურის საცხობები, აფთიაქები, სასაკლაო, ძეხვეულის დამამზადებელი მანუფაქტურები მოქმედებდა. ამგვარი წვრილი საწარმოები იმ დროისათვის ბათუმში 366 ერთეული აღირიცხა. ამ საქმიანობაში, ბუნებრივია, როგორც კარგი ხელოსნები, ბერძნებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

ნავთობპროდუქტების ტრანზიტი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა ბათუმის სამრეწველო ცხოვრების ერთ-ერთი მზარდი მამოძრავებელი მუხტი იყო, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა ბათუმიდან ნავთობპროდუქტების ექსპორტი თუნუქის ბიდონებით ხორციელდებოდა. ეს გარემოება ხელს უწყობდა საექსპორტო ჭურჭლის დასამზადებელი საწარმოების განვითარებას, რომელთა შორის ბერძენი **გრამატიკოპულოც** იყო ჩართული. ბათუმში მას ნავთობპროდუქტების საექსპორტო სახელოსნო ჰქონდა გამართული, რომელიც მექანიზირებულ საამქროს წარმოადგენდა და დამხმარე სახელოსნოებსაც აერთიანებდა. გრამატიკოპულოს სამანქანე განყოფილებაში ორი ორთქლის ქვაბი, რამდენიმე სამუშაო მანქანა, ოცდაოთხი თუნუქის ბიდონის, ხოლო თოთხმეტი ხის ყუთის დასამზადებელი დაზგა იდგა. სარჩილავ სახელოსნოში ექვსი ღუმელი იყო მოწყობილი, ხოლო ჩამოსასხმელ სადგურში ორი ორთქლის და ერთი ცხელის ტუმბო მოქმედებდა. გრამატიკოპულოს ქარხანა ლიანდაგით რკინიგზის სადგურთანაც იყო დაკავშირებული (**ნარკვევები**, 2008:105).

XX საუკუნის დამდეგს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამთო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. ამ დროიდან ევროპული სამრეწველო-საფინანსო წრეები სპილენძით დაინტერესდნენ. ბათუმის ოლქში უკვე ცნობილი იყო 45 სპილენძის საბადო, მათგან 11 ბათუმის, ხოლო 34 ართვინის ოლქში მდებარეობდა. XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ბათუმის ოლქი რუსეთის იმპერიის სპილენძის მრეწველობის წამყვან ცენტრად გადაიქცა. სპილენძის წარმოების ზრდასთან ერთად დასაქმებულთა რაოდენობაც იზრდებოდა. არასრული ცნობებით 1900 წელს რეგიონში 600 სამთამადნო მუშა იყო, ხოლო 1913 წლისათვის ამ რიცხვმა 2700-მდე მიაღწია. აქ სამუშაოდ გლეხები ლაზეთის, აჭარის და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდანაც ჩამოდიოდნენ, რომლებიც საბადოებზე სეზონურად მუშაობდნენ (**ნარკვევები**, 2008:113-114). სპილენძის მრეწველთა სიაში ჩანს ბერძენი ს. **სემიონიდი**. მისი საქმიანობა სოფელ ერგეს სპილენძსადნობ ქარხანასთან იყო დაკავშირებული. ბათუმიდან 11 ვერსის დაშორებით, სოფელ ერგეში, მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე, 1890 წელს პირველი სპილენძსადნობი საწარმო აშენდა. იგი პატარა, მაგრამ კარგად აღჭურვილი მეტალურგიული ქარხანა იყო. თავდაპირველად ქარხანა მადნის სადნობი ორი და სუფთა სპილენძის სადნობი ერთი ღუმელისაგან შედგებოდა. ერგეს ქარხანაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და ვარაუდობდნენ, რომ ქარხანას ყოველწლიურად 20 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი უნდა ეწარმოებინა, მაგრამ რთული გეოგრაფიული პირობების გამო იგი სრული დატვირთვით არასდროს ამუშავებულა. ერგეს ქარხანა ხოდის (ართვინის ოლქი) სპილენძის მაღაროებიდან მარაგდებოდა. ეს კი ერგედან 130 ვერსით იყო დაშორებული. ხოლიდან ჭოროხამდე, 22 ვერსის მანძილზე, მადანი უგზოობის გამო საჭაპანო ტრანსპორტით გადაჰქონდათ. იქ ნავებზე ტვირთავდნენ და ერგემდე ნავებით გადაჰქონდათ. გზის სირთულე არა თუ აძვირებდა სპილენძის მოპოვებას, არამედ ერგეს ქარხნის მომარაგებასაც აფერხებდა და მისი მწარმოებლურობაც არათანაბარი იყო. მაგალითად: 1890 წელს ერგეს ქარხანაში 291 ფუთი სუფთა სპილენძი, 1900 წელს – 7800, 1901 წელს – 9562, 1910

ნელს – 1672 ფუთი სპილენძი გამოადნეს. პრობლემის მოგვარების მიზნით მოიჯარებმა 1892 წელს ხოდის საბადოებთან ქარხანა ააშენეს, სადაც მადნის პირველადი გამოწვა – კუფერშტიინის მიღება ხდებოდა. 1908 წლიდან ხოდის ქარხნის მმართველი ბერძენი ს. სემიონიდი გახდა. იმავე წლისათვის მან ქარხანასთან სუფთა სპილენძის მისაღები ლუმელი ააშენა და წითელი სპილენძის გამოდნობა დამოუკიდებლად დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ხოდი უფრო ახლოს იყო საბადოებთან, ეს საწარმოც ერგეს ქარხნის მსგავსი პრობლემების წინაშე დადგა. მისი მწარმოებლურობაც არათანაბარი იყო. ხოდის ქარხანაში 1908 წელს 1560 ფუთი, 1909 წელს – 1400, 1910 წელს – 685, 1911 წელს – 700, 1912 წელს – 634, 1913 წელს – 457 ფუთი სუფთა სპილენძი გამოადნეს. ხელისუფლებამ არაერთი ღონისძიება გაატარა სპილენძის წარმოების გაზრდის მიზნით. 1914 წელს 500 კვ. სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური აშენდა. მაღაროს პნევმატური ბურღვის მიზნით საწნეხი მოწყობილობის მშენებლობა დაიწყო. ასევე ხოდიდან ბათუმ-არტაანის გზატკეცილამდე დამაკავშირებელი გზის მშენებლობა დაიწყო, მაგრამ ეს ღონისძიებები კავკასიის ფრონტის გახსნამ შეაჩერა (ნარკვევები, 2008:114–115).

ბერძენი მენარმეების შესახებ საინტერესო მასალებს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი 30-იანი წლების პერიოდის პუბლიკაციები, კალენდრები და, საერთოდ, ის პოლიგრაფიული გამოცემები იძლევა, სადაც სხვადასხვა სახის რეკლამები და განცხადებები იბეჭდებოდა. ეს ის პერიოდია, როცა კომერციულად სასურველია საზოგადოების შედარებით ფართო ფენას მიაწვდინო ხმა და ფირმის საქმიანობისა თუ სავაჭრო საქონლის კატალოგის შესახებ გააგებინო. ამ მხრივ ყველაზე ოპტიმალური საშუალება ნაბეჭდი პროდუქცია იყო. აქ კი გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი გაზეთს, ზოგადად პრესას ეკავა. სარეკლამო განცხადებებს გარდა გაზეთებისა, ასევე, ჟურნალებშიც ვხვდებით. ამგვარი წყაროებიდან კონკრეტულ მენარმესა თუ ფირმაზე ამოკრეფილი მასალა, ინფორმაციული თვალსაზრისით, გარკვეულწილად შეზღუდულიც იყო, რამდენადაც იგი კომერციული ისტორიების დინამიური რეკონსტრუქციის შესაძლებლობას ვერ იძლეოდა. სარეკლამო განცხადება მხოლოდ კონკრეტულ ინფორმაციას, მაგალითად ვინაობას, მისამართს, საქონლის დასახელებას, შესაძლოა ფასებს და სხვა მსგავს ცნობებს გვანვდიდა. ბუნებრივია, ბერძენი მოსახლეობის საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართულობის კვლევის თვალსაზრისით ამ მხარეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქვე საჭიროდ ვცნობთ ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ ის, რაც აღნიშნული კვლევის ფარგლებში შეგროვდა, თუნდაც არასრული სახით. აქვე ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს გავხდით ჩვენი მცდელობის შედეგად გამოვლენილ ბერძენთა იმ საქმიანობის შესახებ, რამაც ბათუმის ინდუსტრიულ განვითარებაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა.

აჭარის ბერძნული დიასპორისათვის **ეფრემიდის** გვარი ერთობ საპატივცემულოა. სავლეთ-ეთნოგრაფიული მასალების შეკრების დროსაც არაერთი ინფორმატორი ილია ეფრემიდს სიამაყით იხსენებდა, რომელმაც თანამემამულეებს და ბათუმის ქართველ მოსახლეობას იმ მიზნით, რომ ოსმალთა მმართველობის პერიოდში მართლმადიდებლური ტაძარი – დღევანდელი წმიდა

ნიკოლოზის ეკლესია აეშენებინათ, საკუთარი მიწის ფართობი უსასყიდლოდ გადასცა. ილია ეფრემიდიც აღნიშნული ეკლესიის ეზოშია დაკრძალული. სამწუხროდ ბათუმის ბერძნული თემის უხუცესთა მეხსიერებამ ილია ეფრემიდის შესახებ სხვა ინფორმაცია ვერ შემოინახა. ეფრემიდების გვარის შესახებ რომელიც 1860-იანი წლებიდან ბათუმის ისტორიის ნაწილი გახდა, ბევრი რამ არაა ცნობილი, მათ შორის, არც მათი გენეალოგიის და ილია ეფრემიდის ოჯახის შესახებ ვიცით რამე, თუმცა ბათუმსა და, ზოგადად, საქართველოში გამოშავალ პერიოდიკაში კომერციული ხასიათის რუბრიკების, კერძოდ, სარეკლამო განცხადებების შესწავლის დროს ეფრემიდთა გვარის შესახებ რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია მაინც გამოვლინდა. 1911 წელს „ბათუმის გაზეთი“-ს ფურცლებიდან (ტაბ.XII, სურ.1) ძმები ფ. და დ. ეფრემიდები საზოგადოებას ამცნობდნენ, რომ ბათუმში, მიხეილისა და სვიატოპოლკ მირსკის ქუჩების შესახვევში „10 ამ მიმდინარე ოქტომბრიდან“, ანუ 10 ოქტომბრიდან „საგალანტერეო მაღაზიაში“, დიდი ოდენობით საქონლის მიღების გამო დანიშნული იყო: დიდი იაფი ვაჭრობა“. ეფრემიდები საზოგადოებას აუწყებდნენ, რომ მათი საქონელი სრულიად ახალი ნაწარმი იყო და „მუშტრებს“ სთხოვდნენ ამაში თავად დარწმუნებულიყვნენ. სარეკლამო განცხადება წარწერით მთავრდებოდა: „ვაჭრობა ნაღდათ და შეუვაჭრებლად“. გვარი ეფრემიდი სამგლოვიარო ხასიათის განაცხადებშიც ფიგურირებს, სადაც პალასა ეფრემიდი სიძესთან გრიგორი ლოგიადისთან ერთად ნათესავებსა და მეგობრებს საკუთარი შვილის – ხრისანი ლოგიადის გარდაცვალებას ამცნობს (ტაბ.XII. სურ.2). იქვე აღნიშნულია, რომ მიცვალებულს შუადღისათვის საკუთარი სახლიდან წმ. ნიკოლოზის ბერძნულ ეკლესიაში გადაასვენებდნენ და იქედან დაკრძალავდნენ.¹⁴⁵ ანალოგიური ხასიათის განცხადებებით 1899 წლისათვის ბათუმში ფიქსირდება გვარი **გრიგორიადი**,¹⁴⁶ კერძოდ, ძმები ხრისტო და ივანე ხრისტოს ძე გრიგორიადები (ტაბ.XII. სურ.3).

მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი მეაბრეშუმეობის განვითარება იყო. ბერძნები მეურნეობის ამ დარგშიც იყვნენ ჩართულნი და აბრეშუმის ჭიის კვერცხებით ვაჭრობას მისდევდნენ. ერთ-ერთ სარეკლამო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ბალდადური ჯიშის აბრეშუმის კვერცხებით ვაჭრობას აპოსტოლოდისის და თემჯიანის ფირმა მისდევდა (ტაბ.XII. სურ.4). მათი საქმიანობა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურთან იყო შეთანხმებული. ბანდეროლი, ბეჭედი და ყუთებიც აღნიშნული სადგურისა იყო. განცხადების მიხედვით, მსურველებს ა. მნაცაკანიანისათვის საკუთარ სახლში უნდა მიემართათ, რომელიც მარიას პროსპექტზე, კომერციული ბანკის ქვემოთ მდებარეობდა.¹⁴⁷ საფართლო მაღაზიის მეპატრონე ა. დიმიტრიადი კი გაზეთის საშუალებით აცხადებდა, რომ ახალი მოდის საფართლო მაღაზიაში 1911 წლის 10 ოქტომბრიდან – ორშაბათიდან „გადაწყობილი საქონლის პარტიების დიდი იაფი ვაჭრობა იწყებოდა (ტაბ.XII. სურ.5). ამ განცხადებიდან ჩანს, რომ დიმიტრიადი გარდა ფართლეულისა

145 Газета «Черноморское Эхо», 1906 г.

146 Газета «Черноморский Вестник» 1899 г. № 65

147 Газета «Черноморский вестник», 1899 г. № 65

სხვა საქონლითაც ვაჭრობდა. იმავე განცხადებაში მითითებულია, რომ „დანარჩენი საქონელი იაფად – ფაბრიკის ფასების შესაბამისად გაიყიდებოდა. მაღაზია სალამოს საათებში – 10-დან 20 საათამდე უფრო „დაკლებულ ფასებში“ ივაჭრებდა. სარეკლამო ხასიათის განცხადებაში მაღაზიის მისამართის მითითებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. დიმიტრიადის განცხადებაში კი მისამართი არ ჩანს. ამ შემთხვევაში ორი ვარაუდი შეიძლება გამოითქვას: კერძოდ, შესაძლოა აღნიშნული მაღაზია ქალაქის საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი იყო და მისი მითითება მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს ანდა საგაზეთო რეკლამის ვიზუალურ და ტექსტობრივ გადატვირთვას მოერიდნენ. სტილისა და შინაარსის თვალსაზრისით, დაახლოებით ანალოგიურია ა. დიმიტრიადის „მოდურ-მანუფაქტურული“ მაღაზიის 1906 წლის სარეკლამო განცხადება.¹⁴⁸ მისი ტექსტი რუსულ ენაზეა შედგენილი, იმ მცირე განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში 2 დეკემბრიდან დარჩენილი საქონლის იაფი ვაჭრობა ცხადდებოდა. ეს აბრეშუმის, მატყლისა და მაუდის საქონელი იყო. სხვა საქონელზე მაღაზია ათპროცენტთან ფასდაკლებას აცხადებდა. მოცემული განცხადებებიდან ერთი 1906 წელს ეკუთვნის, ხოლო მეორე – 1911 წელს. არც ერთ მათგანს მისამართი მითითებული არ აქვს. ამიტომ, მიუხედავად გვარის დამთხვევისა და განცხადებების შინაარსობრივი მსგავსებისა, გადაჭრით მაინც ძნელია ითქვას, რომ ეს ორივე განცხადება ერთი და იმავე პიროვნების მაღაზიის რეკლამებია. ა. დიმიტრიადი შესაძლოა ბათუმის ხმოსანი და მეორე გილდიის ვაჭარი – ახილეს დიმიტრის ძე დიმიტრიადი იყოს. მის შესახებ ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ინიციალები ა.დიმიტრიადი ბევრგან ემთხვევა ერთმანეთს, ვფიქრობთ ეს საკითხი, ანუ ა.დიმიტრიადისა და ახილეს დიმიტრიადის იდენტიფიკაცია უფრო დამაჯერებელ და დაზუსტებულ ინფორმაციას საჭიროებს.

XX საუკუნის დასაწყისის საგაზეთო განცხადებები, შესაბამისი დარგის მკვლევართათვის, რეკლამის თავისებურებების, მათ შორის, ტექსტის სტილისა და ვიზუალური გაფორმების მიხედვით საინტერესო ინფორმაციას იძლევა, თუმცა, გარდა ამისა, იგივე რეკლამები, ზოგ შემთხვევაში, შინაარსობრივადაც მოცულობითია და საინტერესოა იმ დროის სავაჭრო ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის თვალსაზრისითაც. ამის მკაფიო დადასტურებად 1911 წლის „ბათუმის გაზეთში“ მ. პარასკევოპულოს საგაზეთო განცხადება მიგვაჩნია. უფრო ნათელი სურათის წარმოსაჩენად ტექსტის სრულ ციტირებას მოვახდენთ: „მ. პარასკევოპულო მუდმივი პირობით შეეკრა რუსეთისა და საზღვარგარეთის ფაბრიკებს, რომ უგზავნონ მას ყოველგვარი საგალანტერიო ახალ მოდის საქონელი, იმდენი, რომ მას შეეძლოს პარტიობით და ცალკ-ცალკე ჰყიდოს, როგორც ბათუმში, ისე მთელ კავკასიაში. ეს იმ მიზნით, რომ მაღაზია თანდათან აქციონ პარტიობით სავაჭრო საწყობათ. 15 დღის ფაბრიულ ფასებზე წვრილი ვაჭრობით გამოცდილი, მან გადასწყვიტა ეკონომიური საწყობების მსგავსად ჰყიდოს საქონელი მუდამ ფაბრიკულ ფასად, როგორც პარტიობით, ისე წვრილ წვრილათაც. ფირმა დაკმაყოფილდება იმ

148 Газета «Черноморское Эхо», №80, 1906 г.

კომისიით, რასაც მიიღებს იგი ფაბრიკებიდან დიდ ალებ-მიცემობისათვის. ამასთან დავსძენთ, რომ დიდი პარტიული ვაჭრობითა და ოცდაათ წლის ოპერაციებით გამოცდილმა ფირმამ მიაღწია საქონლის მოპოვების ისეთ საშუალებას, როგორც მიუწვდომელია სხვებისათვის და ამიტომ ფასები ყველაფერზე, გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ყოველგვარ შემტყუებელ და მომლორებელ იაფ ვაჭრობაზე, რაშიც ყველა დარწმუნდება პირველათვე“ (ტაბ.XII. სურ.6). აი, ასეთი ვრცელი ტექსტი აქვს შერჩეული მ. პარასკევოპულოს საკუთარი ფირმის სარეკლამოდ, რომელსაც დასაწყისში გამორჩეული შრიფტით აწერია „ჯერ არყოფილი იაფობა“. მოცემული ტექსტი მრავალმხივან საინტერესო, პირველ რიგში იმით, რომ მ. პარასკევოპულოს ფირმას არსებობა 30 წლის წინ, 1880-იანი წლებიდან დაუწყია. თუ ეს თარიღი სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ისიც უნდა დავეუშვათ, რომ მ. პარასკევოპულო ბათუმელი ბერძენია ანდა დიდი ხნის ბათუმის მაცხოვრებელი და არა 1878 წლის შემდგომ განვითარებული მოვლენების შედეგად ლტოლვილი. თუმცა ვერც იმას გამოვირცხავთ, რომ ბოლო პერიოდში ლტოლვილ ბერძენთა შორის მეტ-ნაკლებად შეძლებული ოჯახიც ყოფილიყო, რომელმაც სავაჭრო საქმიანობა ბათუმში წამოიწყო ან გააგრძელა. მოცემულ ტექსტში ფირმის სტრატეგიაც გამოსჭვივის, კერძოდ, გარკვეული გამოცდილების მიღების მიზნით თხუტმეტი დღე მ. პარასკევოპულოს ფაბრიკული ფასებით უვაჭრია, რის შემდგომ გადაუწყვეტია, რომ უმჯობესი იქნებოდა „პარტიებით“ – ბითუმად ვაჭრობა დაეწყო. ამ მიზნით მ. პარასკევოპულო შეთანხმებულა ფაბრიკებთან – საქონლის უშუალო მწარმოებლებთან. შესაძლოა თავად მწარმოებლებმა შესთავაზეს მას, რომ საბითუმო ვაჭრობისათვის მიემართა, ოღონდ ფაბრიკის მიერ შეთავაზებულ ფასებში და თავად მწარმოებელი მას ე. წ. „საკომისიოს“, იგივე, ხელფასს გადაუხდიდა. ამ შეთანხმებას მ. პარასკევოპულო „საქონლის მოპოვების სხვებისათვის მიუწვდომელ საშუალებას“ უწოდებს, რომელსაც მისმა ფირმამ მიაღწია. აღნიშნული პერიოდის საგაზეთო განცხადებებში იშვიათია მსგავსი სახის ვრცელი ტექსტები. აქედანაც ჩანს, რომ ფირმის მესაკუთრეს ამით სურს მის მიღწევებს განსაკუთრებულად გაუსვას ხაზი.

XIX საუკუნის ბოლოსათვის ბათუმში მოღვაწე წვრილი, საშუალო თუ მსხვილ ვაჭარ-მრეწველთა ეკონომიკური პოლიტიკისა თუ სტრატეგიების კვლევა ცალკე თემაა, მაგრამ მოცემული სარეკლამო ტექსტი – პარასკევოპულოსა და საქონლის მომწოდებელს შორის არსებული შეთანხმება ფაქტიური დადასტურებაა თუ, როგორ აღწევდა და რა ფორმით მკვიდრდებოდა ბათუმის ოლქის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალი. მართალია პარასკევოპულოს რეკლამაში ერთგვარი სიამაყეც შეიძლება ამოვიკითხოთ, მაგრამ ცხადია ამ შეთანხმების ეკონომიკური ქვეტექსტი თავად პარასკევოპულოსათვის, ალბათ, ბოლომდე მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო.

საგალანტერიო საქონლით ბათუმში ბერძენი ე. წ. ხიოტიდი ვაჭრობდა. მის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი რომ გაზეთის «Черноморское Эхо»-ს საშუალებით ე. ხიოტიდი მომხმარებლებს ატყობინებდა, რომ მისი მაღაზია მიხაილოვის ქუჩაზე – თუმანოვის სახლში გადავიდა (ტაბ.XII. სურ.7).

ბერძენ მენარმეთა შორის ცნობილი იყო მ. კ. მეტალიდი. იგი ღვინით, გასტრონომიული და საკონდიტრო საქონლით ვაჭრობდა (ტაბ. XII. სურ. 8). მისი მაღაზია ბათუმში მიხაილოვსკის ქუჩაზე, თუმანოვის სახლში მდებარეობდა. მას უცხოური – საზღვარგარეთული და რუსული საქონელი ჰქონდა. ამ საქონელს მ. კ. მეტალიდი მწარმოებლებისაგან სამხრეთ რუსეთის ბაზრობებზე პირადად ყიდულობდა. აღნიშნული სარეკლამო განცხადება მოკლე და ლაკონური ტექსტებით იყო აგებული. ტექსტში მაღაზიის მეპატრონის გვარია გამოკვეთილი, შემდეგ მასში ყურადღება სავაჭრო საქონლის სახეობაზეა გამახვილებული. ეს ინფორმაცია განაცხადის თავშია მოქცეული და შემდეგი ცნობით იწყებოდა: «Первоклассный Винно-Гастрономический и Кондитерский Магазин». რეკლამის მესამედი სივრცე სხვადასხვა სახის ხილ-ბოსტნეულით შექმნილ კომპოზიციას უკავია. რეკლამა შავ-თეთრია. კომპოზიციის ბოლოში, ერთ სტრიქონზე რუსულად შემდეგი მინაწერი – «Динк. Новак. И Побуда. Одесса». სამწუხაროდ ამ წარწერასთან დაკავშირებით ძნელია რაიმეს თქმა. შესაძლოა ეს ქალაქების ანდა ბაზრობების შემოკლებული დასახელებები იყოს, რადგანაც სტრიქონის ბოლოს ქალაქ ოდესის სახელიც ფიგურირებს.

მიხაილოვის ქუჩაზე მითითებული თუმანოვის სახლი დღევანდელი აბაშიძის №16-ია. 1899 წლის მონაცემებით აქვე ჰქონია მაღაზია უ. გ. ნიკიფორიდის.¹⁴⁹ თავად ნიკიფორიდის შესახებ ცნობილია ის, რომ სავაჭრო პარტნიორობით იგი ბარონ ფონ-კუჩენბახის სამმართველოსთან იყო დაკავშირებული. მისი მმართველი ს. გ. მიხელსონი («С. Г. Михальсень») განცხადებაში ბათუმის პუბლიკას აცნობებდა, რომ მისი ფირმის ზეთი თუ კარაქი (მითითებულია Масло), მხოლოდ ნიკიფორიდის მაღაზიაში იყიდებოდა. ანალოგიური ცნობა იმავე გაზეთში პრინც ოლდენბურგის შამპანურის განცხადებაშიც დასტურდება, სადაც აღნიშნულია, რომ მათი შამპანური ბათუმში მხოლოდ ძმები ოგანეზოვების, ნ. მ. ნიკიფორიდის და ი. გ. დუმბაძის მაღაზიებში იყიდება. როგორც სხვა სარეკლამო განცხადებებიდანაც იკვეთება უცხოელ – საზღვარგარეთელ მრეწველებთან კონტაქტი ვაჭარ-კომერსანტებისათვის მომგებიანი და მყიდველისთვისაც მიმზიდველი იყო. ნ. მ. ნიკიფორიდის შემთხვევაში ნათლად ვლინდება, რომ მას უცხოელ მწარმოებლებთან პირდაპირი ურთიერთობები ნამდვილად ჰქონდა. ბათუმში იმ დროს უცხოური ნაწარმი ფასობდა. ჩვენი ყურადღება ამ გარემოებამ იმ მხრივ მიიპყრო, რომ სარეკლამო განცხადებებში მაღაზიის მეპატრონეები ამას ყოველთვის აღნიშნავდნენ.

თანამედროვე ბათუმში აბაშიძის ქ №16-ში მდებარე ორსართულიანი სახლი XX საუკუნის დასაწყისშია აგებული. მისი მეპატრონე იყო ნიკიფორიდი. პირველ სართულზე განთავსებული იყო ნიკიფორიდისა და მეტალიდის გასტრონომიული მაღაზია, სადაც ყველა სახის ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობდნენ. საბჭოთა პერიოდში კერძო საკუთრების ნაციონალიზაციის შემდეგ მუშათა კოოპერატივი გაიხსნა. მე-3 ფოტოზე 60-80-იან წლებში სასურსათო მაღაზია იყო. მესამე ფოტოზე თავდაპირველი აივანი უკვე მოხსნილია და ეზოში შესასვლელი ჭიშკარიც მარცხნივ აღარ არის (ტაბ. XII. სურ. 9).

149 Газета «Черноморский Вестник» 1899 г. № 65

ბათუმის საქალაქო ცხოვრებაში სხვადასხვა საზოგადოებები გასული საუკუნის დასაწყისში საქველმოქმედო საღამოებს აწყობდნენ. ამგვარი საღამოების შესახებ ისინი ქალაქის მაცხოვრებლებს წინასწარ აცნობებდნენ და შესაბამის ინფორმაციას აწვდიდნენ. ცნობა საქველმოქმედო საღამოების შესახებ გაზეთებში ქვეყნდებოდა. 1906 წლისათვის ბათუმში ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოება მოქმედებდა. როგორც ჩანს ეს საზოგადოება ქალაქ ბათუმში არსებული ბერძნული სკოლის შენობასაც იყენებდა. 1906 წლის 2 დეკემბერს ღარიბთა დახმარების მიზნით «Танцевальный вечер с безпроигришным базаром и бужетом» მოუწყვია. განცხადებასთან ერთად ცნობაში ბილეთის ღირებულება – 1,10 მანეთი და საღამოს დასაწყისი – საღამოს 8 სთ. და 30 წუთია მითითებული. განცხადება საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ცნობილი ბერძენი მენარმისა და ქველმოქმედის მიხეილ რანგოსის მაღაზიის მისამართს აკონკრეტებს. განცხადებას ბოლოში მიწერილი აქვს, რომ საქველმოქმედო საღამოზე დასასწრები ბილეთები მ. რანგოსის მაღაზიაში – ქუთაისის ქუჩაზე იყიდება (ტაბ. XII. სურ. 10).

სარეკლამო განცხადებების გარდა მიხეილ რანგოსის სახელი ფიგურირებს ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესიასთან დაკავშირებულ ნარატივებში. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემად ძირძველი ბათუმელების და აჭარის ბერძნული მოსახლეობის ზეპირ ისტორიებში ჩანს. ამგვარ გადმოცემებში მ. რანგოსის, როგორც ქველმოქმედის სახელი, დღემდე ცოცხლობს. ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში დაცული ხატების მინაწერები გვამცნობს, რომ XX საუკუნის დასაწყისში კუნძულ ქიოსის ბერძენებმა ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიას – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, წმიდა ნოკოლოზისა და წმიდა გიორგის დიდი ხატები შესწირეს. ეს ხატები დღემდე დაცულია ეკლესიაში, აქვს შესაბამისი წარწერები, რამაც განსაზღვრა მ. რანგოსის სახელის ხანდაზმულობა ბათუმის საზოგადოებაში და განსაკუთრებით აღნიშნული ეკლესიის მრევლში.¹⁵⁰

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული მასალები ძირითადად მიხეილ რანგოსისა და მისი ძმის ოჯახებსა და ქონებრივ მდგომარეობას ეხება.

1904 წელს შედგენილ ქონების შეფასების ანგარიშში, რომელსაც ხელს აწერენ ბათუმის ქალაქის თავი და „საკრებულოს წევრები“ (*ხელწერები გაურკვეველია*), ვგებულობთ, რომ მიხეილ რანგოსი ცხოვრობდა ბათუმის მესამე საპოლიციო უბანში – ვლადიკავკაზის ქუჩაზე. ანგარიში, როგორც ჩანს სტანდარტული შაბლონის სახის ბლანკი იყო, მასში ზოგიერთი ველი შეუვსებელია. ქონების აღწერის სვეტში კი მითითებულია, რომ მ. რანგოსი ფლობდა ქვის ორსართულიან სახლს, რომელსაც გააჩნდა სარდაფი. სახლი დახურული იყო წითელი კრამიტით. ქონება შეფასებულია 15000 რუსულ რუბლად, ხოლო სახლის შემოსავლიანობა 1500 რუბლითაა განსაზღვრული.¹⁵¹

150 აღნიშნული ხატების შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ – „პონტოელ ბერძენთა მონუმენტური არქიტექტურა და მემორიალური კულტურა“, ქვეთავი „ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია“.

151 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 0-6; აღწ. 1; საქმე 284, გვ. 69.

რანგოსების, კერძოდ, მათი ოჯახის შემადგენლობის შესახებ ანალოგიურ ცნობებს იძლევა 1907 წლის 20 სექტემბრით დათარიღებული საარქივო დოკუმენტი. ამ მასალიდან ჩანს, რომ ბათუმის ბერძნული ეკლესია 1907 წლისათვის გურია-სამეგრელოს ეპარქიაში შედიოდა. დოკუმენტი საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორის მიერაა შედგენილი და მასში მიხეილ რანგოსის ოჯახის შემადგენლობაა ჩამოთვლილი. ესენია: თავად მიხეილ რანგოსი, მისი მეუღლე მარია ნიკოლაევნა; გიორგი რანგოსი, მისი მეუღლე ანგელინა (გვარი არ იკითხება-თ.ტ.) და გიორგის შვილები ელენე და კონსტანტინე. ეს დოკუმენტი იმ მხრივ იქცევს ყურადღებას, რომ მასში გიორგის მეუღლის სახელი უფრო სწორი ფორმითაა მოცემული – ანგელინა. გარდა აღნიშნულისა აქედან ვგებულობთ მიხეილ რანგოსის მეუღლის შესახებაც, რომ იგი იყო მარია ნიკოლაევნა. ამასთანავე საინტერესოა, რომ დოკუმენტს ხელს აწერს მღვდელი მატფეი (მატვეი/მათეოს) მანოსი.¹⁵² მის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ მოღვაწეობდა ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და ყოროლისთავის წმიდა პანტელეიმონის ეკლესიის ეზოს სამხრეთის კედელთანაა დაკრძალული. თანამედროვეობაში სასაფლაო მოშლილია, მაგრამ საფლავის წარწერიანი ქვა, როგორც ჩანს დროს გადაურჩა და იგი ეკლესიის სამხრეთის კედელშია ჩასმული. მატფეი მანოსის საფლავის მემორიალური წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ღირსმოსაგონარ ღვთის მსახურს მათეოს მანოსს. 1861-1922. ბათუმის მადლიერი საზოგადოებისაგან“ (მგელაძე, ტუნაძე, 2017:231).

1911 წელს შედგენილი ქონების უწყისის მიხედვით მიხეილ რანგოსი იყო რუსეთის ქვეშევრდომი მოქალაქე. მისი უძრავი ქონება – სახლი ბერძნულ ქუჩაზე, პოლიციის პირველ უბანში მდებარეობდა. სახლი შემდეგი ქუჩებით იყო შემოსაზღვრული: Греческая, Михайловская. რანგოსის მოსაზღვრეები ყოფილან ბერძნები გვარად ამბერიდი და ფონაიდი.¹⁵³

რანგოსების ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბათუმის წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძნულ ეკლესიასთან, რაც არა მხოლოდ შეწირული ხატებით, არამედ საარქივო მასალებითაც დასტურდება.

1899 წლის 26 სექტემბერს მიხეილ რანგოსი ბათუმის წმ. ნიკოლოზის ბერძნული ეკლესიის მრევლის მიერ, ღია კენჭისყრით, სამი წლის ვადით, ვაჟთა ბერძნული სასწავლებლის რომელიღაც თანამდებობაზე იყო არჩეული. დოკუმენტიდან არ ჩანს რა თანამდებობაზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მ.რანგოსთან ერთად არჩეული იყვნენ ნიკოლაი იაკომისი (გვარი კარგად არ იკითხება, საჭიროებს დაზუსტებას) მიხეილ პარასკევოპულო, კონსტანტინე სიმულოვი, მიხეილ მიხეილიდი, პანაიოტ სიმონოვი, შეიძლება ეს სასწავლებლის სამეთვალყურეო საბჭო იყო. აღსანიშნავია, რომ ამავე დოკუმენტში მ. რანგოსისა და მ. პარასკევოპულოს გვარების გასწვრივ ფრჩხილებში მიწერილია, რომ ისინი 1899 წლისათვის ოფიციალურად თურქეთის ქვეშევრდომობაში იყვნენ. აღნიშნულ საარჩევნო ოქმს სულ 20 ხელწერა ახლავს, რომელთა შორის ახილეს დიმიტრიადის ხელწერაცაა. არჩევნებს ესწრებოდა სასწავლებლის ზედამხედველი (გვარი არ

152 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-56, აღწ. 1, საქ. 3, გვ.2,52,74.

153 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-6, აღწ. 2, საქმე 693, გვ. 145, 146.

იკითხება). არჩევნებისა და ხელწერების სინამდვილე, ხელწერითა და ეკლესიის ბეჭდით, მღვდელ კონსტანტინე ცანდუკოვის მიერაა დადასტურებულია.

საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორის ბათუმის წმ. ნიკოლოზის ბერძნული ეკლესიის მონაცემებით, კერძოდ, მათ შორის ვინც 1915 წელს გაიარა აღსარება, ფიგურირებს გიორგი კონსტანტინეს ძე რანგოსი, მიხეილ რანგოსის ძმა. ამავე სიიდან ვგებულობთ, რომ გიორგის მეუღლე იყო ანგელიკა გიორგის ასული (გვარი არ იკითხება – თ.ტ.). მათ ჰყოლიათ ორი შვილი ელენე და კონსტანტინე. ამ დოკუმენტს ცხრილის სახე აქვს და გვერდით სვეტებში ციფრებია მითითებული, რომლის დანიშნულება გაურკვეველია.¹⁵⁴

1924 წლისათვის მიხეილ რანგოსი ბათუმში – ჯაფარიძის ქ. №34–ში ცხოვრობდა. XX საუკუნის 20–იანი წლები, ეს ის პერიოდია, როცა ქალაქებში და, მათ შორის ბათუმშიც კერძო საკუთრების მუნიციპალიზაცია, ანუ ჩამორთმევა და სახელმწიფოს – ქალაქის საკუთრებად გამოცხადება ძალზე აქტიური იყო. სწორედ ეს პროცესი შეეხო 1924 წელს მ. რანგოსის ოჯახს. დოკუმენტის მიხედვით, კოლექტიური დადგენილებით, რანგოსისათვის ჩამოურთმევიათ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არსებული ორი ერთსართულიანი ქვის შენობა, სარდაფებთან ერთად. დოკუმენტზე მითითებულია სხდომის ოქმი №38 §781. სამწუხაროდ ვერ დგინდება რა სახის კოლექტიური შეკრება იყო, მაგრამ ფაქტია ეს იქნებოდა ქ. ბათუმის, ან აჭარის მასშტაბით არსებული კოლექტიური ორგანო. ეს საკუთრება საერთო ფართობით მთლიანობაში 66 არშინს,¹⁵⁵ ანუ დაახლოებით 47 კვ. მეტრს შეადგენდა, რომელიც თხუთმეტ ოთახად ყოფილა დაყოფილი. თუ ჩვენი გამოთვლა სწორია მაშინ 47 კვ. მეტრი ძალზე ცოტაა 15 ოთახისათვის. შესაძლოა 47 კვ მეტრი მხოლოს ერთი სართულის ფართობია და არა სამივე სართულისა, სარდაფის ჩათვლით. აღნიშნული სახლის თვიური შემოსავალი ზემოთ აღნიშნული დადგენილების მიხედვით, შეუფასებით 59 მანეთად და 76 კაპიკად. ამავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ შენობა საშუალო შეკეთებას მოითხოვდა. აღნიშნულ დადგენილებას ხელს აწერენ ხ. ლორთქიფანიძე, განყოფილების გამგე ჭედია და საქმის მწარმოებელი ვლ. (სავარაუდოდ „ვლადიმერი“.) გვარი არ იკითხება.¹⁵⁶ აღნიშნულ საკითხს, ანუ კერძო საკუთრების მუნიციპალიზაციას ეხება მეორე დოკუმენტი, სადაც მოცემულია მუნიციპალიზირებული სახლების ჩამონათვალი. ამ სიაშიც ფიგურირებს მ. რანგოსის სახელი, სადაც რანგოსის გვარის გასწვრივ ორი მისამართია, ერთი ჯაფარიძის ქუჩაზე, რაც ზემოთაც იყო ნაჩვენები და მეორე ზინოვიევის ქუჩის №68. აღნიშნული დოკუმენტი შედგენილი და ხელმოწერილია 1924 წლის 27 ნოემბერს.¹⁵⁷

მიხეილ რანგოსი ბათუმში კომერციულ საქმიანობასაც ეწეოდა. ამის შესახებ ბათუმის 1902 წლის «адресь ежегодник»–ში ორ ადგილზეა ინფორმაცია მითითებული (Адрес Ежегодник

154 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ი-54, აღწერა 1, საქმე 5, გვ. 2,43,60.


155 ძველებური რუსული სიგრძის საზომი, უდრის 16 ვერშოკს, ანუ 71,12 სანტიმეტრს; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

156 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-9, აღწ. 1, საქ. 131, გვ.10.

157 იქვე, გვ 49-51.

Батума, 1902:87,104). ეს ერთგვარი სარეკლამო განცხადებებია. ამ მასალებიდან ვგებულობთ, რომ ბათუმში ქუთაისის ქუჩაზე, კაკაბაძის სახლში მ. რანგოსს ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის მალაზია ჰქონდა. ირკვევა, რომ აღნიშნული სუბტროპიკული ხილი მას იტალიიდან ჩამოჰქონდა ან იქედან ამარაგებდნენ. იქვე ტექსტში მთავარი სანყოფანო იტალიის ქალაქები «Катании и Мессине»-ა მითითებული. მეორე ტექსტიც კატანური და მესინური ფორთოხლისა და მანდარინის სარეკლამო განცხადებაა (ტაბ.XII. სურ.11).

მიხეილ რანგოსი ბათუმში, ფერიის სასაფლაოზე დაკრძალული, თუმცა სასაფლაოს კონკრეტული ადგილმდებარეობა უცნობია. საფლავის ქვა, რომელსაც ბათუმის ბერძნული საზოგადოების ხელმძღვანელმა მარია მოროზოვმა მიაგნო, ეკლესიის შესასვლელთანაა გადატანილი. მ.რანგოსის საფლავის ქვა მასიური ზომის მარმარილოს კვარცხლბეკია, რომელსაც ზემოდან ჯვარი აქვს დადგმული. საფლავის ერთ მხარეს ბერძნულ ენაზე შესრულებული ეპიტაფიაა, რომელიც შემდეგი შენაარსისაა: „აქ განისვენებს მონა ღვთისა მიხაილ კ. რანგოსი, ქიოსის კალამატაში დაბადებული 10.09.1861, გარდაიცვალა 28.02.1910“, მეორე მხარეს კი თავად რანგოსის ფოტოა, რომელიც დაზიანებულია.



მ. რანგოსის პორტრეტი მისივე საფლავის ქვიდან

ბათუმის სამრეწველო და საფინანსო ცხოვრების განვითარებას თან სააქციო საზოგადოებათა დაარსება ახლდა. ბათუმის მასშტაბით ამ მხრივ გამორჩეული ადგილი მოსათუთიებელ ქარხანას ეკავა. იგი „შელენგოვსკი და კომპანიის“ სახელით იყო ცნობილი და მოთუთიებელი თუნუქისაგან გადახურვის კონსტრუქციებს ამზადებდა. ბათუმის ნესტიანი კლიმატის პირობებში ამ ტიპის სახურავები ტრადიციულ კრამიტს მნიშვნელოვნად სჯობნიდა, რამაც აღნიშნული წარმოების ზრდა-განვითარება მნიშვნელოვნად განაპირობა. ამ საწარმოს მეპატრონე იყო შელენგოვსკი, რომლის სააქციო საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 225 000 მანეთს უდრიდა. საზოგადოების „შელენგოვსკი და კომპანიის“ აქციონერები ქართველ, რუს, პოლონელ და ებრაელ საქმოსნებთან ერთად ბერძნებიც იყვნენ. გარდა სახურავისა, კომპანია კედლების გადასაკრავ მასალასაც ამზადებდა და შეკვეთებსაც მთელი სამხრეთ კავკასიის მასშტაბით აწარმოებდა. ქარხანამ 1908 წელს 110 834 მანეთის პროდუქცია, ხოლო 1914 წელს – 410 მუშით 469 000 მანეთის პროდუქცია დაამზადა (ნარკვევები, 1972:41).

1901 წლისათვის ბათუმში მოქმედებდა ნავთის ტარის ცხრა „ქარხანა“, რომლებსაც თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების დამამზადებელი საამქროები ჰქონდა. ეს საწარმოები როტმილდს, რინნერს, მანთაშევს, სიდერიდისს, ცივიანოვს, გრამატიკოპულოს, სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკს, ხაჩატრიანცს და სხვა კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ (ნარკვევები, 1972:46).

ბათუმში მოქმედი ფაბრიკა-ქარხნები სეზონურად დროებითი მუშახელის დაქირავებას ხშირად მიმართავდნენ. ეს პრაქტიკა იმ მხრივაც ამართლებდა, რომ თავად საწარმოთა წარმოების ტემპები არათანაბარი და არასტაბილური იყო. ეს გარემოება მუშახელის რაოდენობრივ ცვლასაც საჭიროებდა, რაც დაქირავებული შრომის ხარჯზე ქარხნების მეპატრონეებისათვის უფრო უმტკივნეულო და მოსახერხებელი იყო. საქართველოს მრეწველობაში, ტრანსპორტში, ასევე, საქალაქო ცხოვრების სხვა სფეროებში დასაქმებული დაქირავებული მუშახელის რიცხვი 1913 წლისათვის 100 ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ამაში სეზონურად მომუშავე, დროებით დაქირავებული მუშახელი არ შედიოდა. საქართველოში არსებული დაქირავებული მუშახელის დიდ უმრავლესობას ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენდა. კაპიტალისტურ მრეწველობაში ჩაბმული მუშების 80% ქართველები იყვნენ. ბათუმის მსხვილი საწარმოების მუშების ეროვნული შემადგენლობა 1903 წელს ასეთი იყო (Чахвашвили, 1958:49. იხ.: ცხრილი 4).

საწარმოს დასაელება	მუშათა საერთო რაოდენობა	ეროვნული შემადგენლობა %					
		ქართველი	სომეხი	რუსი	თურქი	ბერძენი	სხვა
როტშილდის ქარხანა	1500	76	5	8	6	—	5
მანთაშევის № 1 ქარხანა	1100	30	65	3	—	—	2
მანთაშევის № 2 ქარხანა	650	57	34	4	—	—	5
ხაჩატრიანცის ქარხანა	470	5	86	2	6	1	—
სიდერიდისის ქარხანა	320	10	34	1	25	30	—

1903 წლის მონაცემებით ბერძენი მოსახლეობიდან ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმული იყო 31 კაცი. ეს მუდმივი დაქირავებული და არა დროებით, სეზონურად მომუშავე ბერძენები იყვნენ. აქედან ერთი ხაჩატრიანცის ქარხანაში, ხოლო 30 სიდერიდისის ქარხანაში მუშაობდა (ნარკვევები, 1972:75). სიდერიდისის ქარხანაში ბერძენთა რაოდენობრივი სიჭარბე შემთხვევითი არ ყოფილა. იგი წარმოშობით ბერძენი იყო. მისი კომპანია 1889 წელს იყო დაარსებული და 1891 წლისათვის უკვე სამ სანავთობე რეზერვუარს, ხისა და თუნუქის ბიდონების დამამზადებელ ქარხნებს ფლობდა. ბათუმში ქალაქის ხელმძღვანელობასთანაც იყო დაახლოებული და კარგი ავტორიტეტითა და გავლენითაც სარგებლობდა, განსაკუთრებით, ბერძნულ საზოგადოებაში. იგი ბათუმის თვითმმართველობის ბერძენ ხმოსნებსაც აფინანსებდა და ხელს უწყობდა. ბათუმში ჩამოსული ბერძენების უმრავლესობაც სიდერიდისის ქარხანაში საქმდებოდა. ბათუმში სიდერიდისის ქარხნის სიახლოვეს გახსნილი იყო უფასო თავშესაფარი, სადაც ბათუმში ჩამოსული უსახლკარო ბერძენები აფარებდნენ თავს (გოგოლიშვილი, 2016:77–79).

ბათუმის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი უკავია **დიმიტრიადების** გვარს. საარქივო მონაცემების მიხედვით, აღნიშნული გვარის პირველი ცნობილი წარმომადგენელი იყო ახილეს დიმიტრის ძე დიმიტრიადი. მის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა ახილესის სამსახურებრივი „ფორმულარი“, რომელიც 1911 წელსაა შედგენილი.¹⁵⁸ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დიმიტრიადების გვარის ეს შტო ბათუმში ტრაპიზონიდან იყვნენ გადმოსულები. პირველი, როგორც ჩანს, ბათუმში ახილესის (აქილევსი) მამა – დიმიტრი დასახლებულა. თავად ახილესის ქონებრივ მემკვიდრეობაში აღნიშნულია, რომ მას ბათუმში ორსართულიანი ქვის სახლი ჰქონდა, რომლის ნახევარი მამისგან – დიმიტრისგან ანდერძით მიუღია.

ახილეს დიმიტრიადი 1861 წლის 4 აპრილს დაიბადა. ქალაქ ტრაპიზონში ექვსკლასიანი ბერძნული სკოლის ხუთი კლასი დაამთავრა. მართლმადიდებელი აღმსარებლობის ახილესი, სოციალურად ვაჭართა ფენას მიეკუთვნებოდა. ახილეს დიმიტრიადის ჯილდოების სია ასე გამოიყურება: 1888 წელს, ალექსანდრე მესამის ბათუმში სტუმრობის დროს, ახილესი იმპერატორის დაცვაში იღებდა მონაწილეობას, რისთვისაც იგი დაჯილდოებული იყო ვერცხლის მედლით სტანისლავის ლენტზე. 1900 წლის 1 იანვარს გადაეცა ოქროს მედალი წმ. ანნას ლენტით მკერდზე სატარებლად. 1905 წლის 1 იანვარს გადაეცა ვერცხლის დიდი მედალი, სტანისლავის ლენტით ყელზე სატარებლად. 1908 წლის 6 მაისს ახილესი, როგორც ბათუმის ციხის კომიტეტის დირექტორი, დაჯილდოვდა ოქროს დიდი მედლით, ყელზე სატარებლად წმ. ანნას ლენტით.

ახილეს დიმიტრიადის საზოგადოებრივი საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალაქ ბათუმთან. 1894 წლიდან 1911 წლის 5 ივნისამდე იყო ქალაქ ბათუმის ხმოსანთა წევრი. 1894 წლის 21 დეკემბრიდან იგი არჩეული იყო ბათუმის საქალაქო გამგეობის ბათუმის სავაჭრო დეპუტაციის შემადგენლობაში. 1901 წელს სავაჭრო დეპუტაციის წევრად იგი ხელახლა აირჩიეს. 1905 წლის 24 იანვრიდან ახილესი ბათუმის სავაჭრო დეპუტაციის წევრი კვლავ ხდება. ბათუმის საქალაქო გამგეობამ ახილესი 1898 წლის 7 დეკემბერს სახელმწიფო სამრეწველო საგადასახადო ზედამხედველობის კომისიის წევრად აირჩია. ოფიციალურად ახილესი ქ. ბათუმის ვაჭართა ფენის ოჯახთა სიაში 1902 წლიდან ირიცხებოდა, თუმცა 1892 წლიდან ბათუმის მეორე გილდიის ვაჭარი იყო. 1910 წლის 12 მაისიდან ახილესი ბათუმის საქალაქო დუმის აღმასრულებელი კომისიის წევრია და ქალაქის უძრავი ქონების საერთო აღწერა–შეფასების აღმასრულებელი კომისიის მუშაობაში ლებულობდა მონაწილეობას.

ახილესი დაოჯახებული იყო კალიანა ნიკოლაის ასულ ეფრემიდიზე. მათ რვა შვილი ჰყავდათ, ყველა მართლმადიდებელი. ნიკიფორე – დაბადებული 1890 წლის 10 ივნისს; ევგენია – დაბადებული 1893 წლის 19 მარტს; დიმიტრი – დაბადებული 1895 წლის 21 აგვისტოს; ნიკოლოზი (ნიკოლაი) – 1898 წლის 3 მაისს; ურანია – დაბადებული 1899 წლის 29 დეკემბერს; ელიზავეტა – დაბადებული 1901 12 ივნისს; პოლიქსენა – დაბადებული 1905 წლის 26 ივლისს; იოანე – და-

158 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, აღწ. 1, საქმე 472, გვ.8-10.

ბადებული 1908 წლის 24 ივნისს. ამ სახელის გასწვრივ ფანქრით მიწერილია მისი მეორე სახელი – ოდისეი.

1914 წლის 19 მაისიდან ახილეს დიმიტრიადი ბათუმის წმ. ნიკოლოზის ბერძნულ ეკლესიაში მნათეს მოვალეობას ასრულებდა.¹⁵⁹

ბათუმი ისტორიულადაც მრავალენიკური ქალაქი იყო, რაც ბათუმის ხმოსანთა ეროვნული შემადგენლობაშიც აისახებოდა. ბათუმის სათათბიროს პირველი მოწვევის პირველი ბერძენი ხმოსანი ნიკოლოზ ეფრემიდი იყო. შემდგომ სათათბიროში წარმოდგენილი იყვნენ ახილეს დიმიტრის ძე დიმიტრიადი და მიხაილიდი.

1899 წლის 2 იანვარს ბათუმის სათათბიროში არჩეული იყვნენ: ტიმოლეონ პერიკლეს ძე ტრიანდაფილიდისი, პანაიოტი სიმონის ძე სიმეონიდი, მიხეილ ტრიანდაფილიდისის ძე მიხაილიდი და ახილეს დიმიტრის ძე დიმიტრიადი. ბერძნები განსაკუთრებით მრავლად ჩანდნენ 1907 წლის მოწვევის სათათბიროში. ესენი იყვნენ: გრიგორიადი, ა.დიმიტრიადი, მავროპულო, მიხაილიდი და ტიმოლეონ ტრიანდაფილიდისი. ბოლო მოწვევის ბერძენი ხმოსანი იყო ოდისეი ლაზარიდი.¹⁶⁰

ქალაქ ბათუმის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბერძნული დიასპორა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ბერძნები იმთავითვე ჩართულნი იყვნენ ქალაქის არა მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის სათათბიროს არჩევნებში და ამ გზით ბათუმის საქალაქო ცხოვრების განვითარებაში თავიანთი წვლილიც შეჰქონდათ.

159 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-54, საქმე 25, გვ.1,2; შდრ.: აცსა, 2010:88.

160 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 7, საქმეები: 216, 312, გვ.2; 435, გვ.1-15; 508, 747.

ლ. ბინიატ-ოღლის ეტიკეტები, მათზე დაცული ფაბრიკული მარკები და სხვა მასალა



სურ. 1. პაპიროსის „მარსი“ ეტიკეტი სამენოვანი წარწერით, განსხვავებული საფაბრიკო მარკისა და ფაბრიკის მისამართის მითითებით



სურ. 2. მოსანევი თამბაქოს „სამსობლო“ ეტიკეტი



სურ. 3. პაპიროსის «Фантазия» ეტიკეტი



სურ. 4. ჯვრიანი გერბი.



სურ. 5. ოსმალურენოვანი ვენზელი



სურ. 6. მედალი



სურ. 7. გერბი რუსულენოვანი ვენზელით „Л. Б.“.



სურ 8. ეტიკეტი



სურ. 9. ეტიკეტი



სურ. 10. ლ. ბინიატ ოღლის ეტიკეტებზე დაცული საფაბრიკო მარკები

ОБЪЯВЛЕНІЕ

Военнаго Губернатора Батумской Области.

Руководствуясь ст. 8 Правиль о выборахъ отъ рабочихъ (раздѣль У ВѢСОЧАЙШАГО Указа 11-го декабря 1905 г.) объявляю во всеобщее свѣдѣніе, что изъ числа дѣйствующихъ ниже предпріятій фабрично-заводской промышленности въ Батумской Области имѣютъ право, на основаніи ст. 1-й вышеуказанныхъ правилъ, принимать участіе въ избраніи выборщиковъ рабочіе слѣдующихъ предпріятій:

ВЪ ГОР. БАТУМЪ: 1) Ищично-жестяночнаго завода нефтепромышленнаго и торговаго общества А. И. Магашева и К^о, съ общимъ числомъ рабочихъ мужского пола—1027 человекъ; число подлежащихъ избранію отъ нихъ уполномоченныхъ равно 1-му.

2) Ищично-жестяночнаго завода Спиридона Афанасьевича Сидеридеса, съ общимъ числомъ рабочихъ мужского пола—350; число подлежащихъ избранію отъ нихъ уполномоченныхъ равно 1-му.

3) Табачной фабрики Лазаря Мурадовича Биніать-Оглы съ общимъ числомъ рабочихъ мужского пола—86; число подлежащихъ избранію отъ нихъ уполномоченныхъ равно 1-му.

4) Дѣло ст. Батумъ Закавказскихъ Казенныхъ желѣзныхъ дорогъ съ общимъ числомъ рабочихъ 97; число подлежащихъ избранію отъ нихъ уполномоченныхъ равно 1-му.

ВЪ АРТВИНСКОМЪ ОКРУГѢ: 5) Чинкатхевскаго мѣдно-плавильнаго завода съ его Дзавсульскими рудниками, принадлежащаго Кавказскому мѣдно-промышленному Обществу съ общимъ числомъ рабочихъ 666; число подлежащихъ избранію отъ нихъ уполномоченныхъ равно—1-му.

Подлинное подписалъ: Военный Губернаторъ Батумской Области Генералъ-Лейтенантъ Ф. Паркуа.

სურ.11. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ფ. პარკაუს საჯარო განცხადება, გაზეთი „Черноморское Эхо“, 1906 წ.

ВНИМАНИЮ Г. Г. ПОТРЕБИТЕЛЕЙ

табачныхъ издѣлій фабрики

Л. БИНИАТЬ-ОГЛЫ.

удостоенныхъ похвальнаго отзыва на всероссійской выставкѣ 1896 г. въ Нижнемъ-Новгородѣ.

Въ виду громаднаго спроса на издѣлія моей фабрики, въ особенности на папирасы

„ДИЯ СОФІЯ“ 25 шт. 15 коп.

напались подражатели, которые поддѣлывая только этикетъ не могутъ конкурировать въ высокомъ достоинствѣ и пріятномъ вкусѣ моихъ фабрикатовъ. А потому, нахожусь вынужденнымъ проситъ г. потребителей обращать при покупкѣ особое вниманіе на мой фирму.

Съ почтеніемъ, Л. Биніать-оглы. 566 (3—3).

სურ.12. პაპიროსი „აია სოფია“-ს რეკლამა.

სხვადასხვა პერიოდულ პრესაში დაცული სამრეწველო განცხადებები – რეკლამები

ქმ. ფ. და დ. ეფრემიდები

(მიხეილის და სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩების მოსახვევში)

ამით აუწყებენ პატივცემულ ქ. ბათუმის საზოგადოებას, რომ 10 ამ
მიმდინარე ოქტომბრიდან ხსენებულ ფირმის

— **ს ა გ ა ლ ა ნ ტ ე რ ე ი ო მ ა დ ა შ ი ა შ ი** —

დანიშნულია დიდძალისაქონლის მიღების გამო საგალანტერიო ნივთების

დიდი იაფი ვაჭრობა

გასაყიდათ დანიშნული საქონელი სრულიად ახალი ნაწარ-
მოებია, რაშიაც სთხოვენ ბ. ბ. მუშტრებს, რომ თითონ
დარწმუნდენ პარადათ.

→ **ვაჭრობა ნაღდათ და შუუვაჭარადათ.** ←

სურ.1. ფირმის „ქმ. ფ. და დ. ეფრემიდები“ საგალანტერეო მაღაზია

Григорій Логіади и Паласа Эфремиди
извѣщают о кончинѣ перваго жены, и вто-
рого родной дочери


ХРИСАНИ ЛОГІАДИ

Просятъ родственниковъ и друзей пожаловать завтра въ
3 часа пополдни на выносъ тѣла изъ собственного дома
въ греческую Церковь Св. Николая, а оттуда прямо на
кладбище.

სურ. 2. გრიგორი ლოგიადის მეუღლის და პალასა ეფრემიდის ქალიშვილის – ხრისანი ლოგიადი გარდაცვალების ცნობა.



სურ. 3. ივანე ხრისტოს ძე გრიგორიადის გარდაცვალების ცნობა



სურ. 4. ფირმა „აპოსტოლიდისი და თემჯიანი“. ბათუმი. მარიას პროსპექტი

დიმიტრიადის

↖ ასეთ მოდის საუბროდღა მდგახაძი ↗

1911 წ. 10 თებერვლიდან, ორშაბათიდან

დახიბნულია ვადაწყობილი საქონლის მარტყისი

დიდი იაფი ვაჭრობა

დახანხეხი საქონელი ვა თუიღუბა უბნობის უფსენსე

10%—20% უზრო დაკლავულ ვანაბში

Въ модно-мануфактурномъ магазинѣ

А. ДИМИТРИАДИ

со 2 сего декабря

назначается дешевая продажа

разныхъ остатковъ:

шелковыхъ, шерстяныхъ, суконныхъ и бумажныхъ. Въ продолженіе же дешевой продажи съ остальныхъ товаровъ дѣлается скидка 10 проц. съ существующихъ цѣнъ. 1919 (10—2)

სურ. 5. ა. დიმიტრიადის სავაჭრო მაღაზია

ჯერ არსოფილი იაფობა

მ. პარასკევოპულო

მუდმივი პირობით შეეკრა რუსეთისა და საზვარ-გარეთის ფაბრიკებს, რომ უგზავნონ მას ყოველგვარი საგალანტერიო ახალმოდის საქონლები, იმდენი, რომ მას შეეძლოს პარტიობით და ცალკ-ცალკე ჰყიდოს, როგორც ბათუმში, ისე მთელ კავკასიაში. ეს იმ მიზნით, რომ მალაზია თანდათან აქციონ პარტიობით საცაქრო საწყობათ. 15 დღის ფაბრიკულ ფასებზე წვრილი ვაჭრობით გამოცდილი, მან გადასწყვიტა ეკონომიურ საწყობების მსგავსათ ჰყიდოს საქონელი **მუღამ** ფაბრიკულ ფასათ, როგორც **პარტიობით**, ისე **წვრილ-წვრილათაც**. ფირმა დაკმაყოფილდება იმ კომისიით, რასაც მიიღებს იგი ფაბრიკებიდან დიდ ალებ-მიცემობისათვის. ამასთან დავესქნეთ, რომ დიდი პარტიული ვაჭრობითა და ოცდა ათის წლის ოპერაციებით გამოცდილმა ფირმამ მიიღწია საქონლის მოპოვების ისეთ საშვალებას. როგორც მიუწოდებელია სხვებისათვის და ამიტომ ფასები ყველაფერზე, გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ყოველგვარ შემტყუებელ და მომლორებელ იაფ ვაჭრობაზე. რაშიაც ყველს დარწმუნდება პირველათვე.

სურ. 6. მ. პარასკევოპულოს საგაზეთო განცხადება, „ბათუმის გაზეთი“ 1911 წ.

Много-галантерейный магазинъ

Е. Н. ХЮТИДИ

— ПЕРЕШЕЛЪ —

въ домъ Туманова, на Михайловской улицѣ.

1956 (5-1)

სურ. 7. ე. ნ. ხიოტიდის მაღაზია. გაზეთი „Черноморское Эхо“, 1906 წ.

ПЕРВОКЛАССНЫЙ
ВИНО-ГАСТРОНОМИЧЕСКИЙ и
КОНДИТЕРСКИЙ
МАГАЗИНЪ
ЗАГРАНИЧНЫХЪ РУССКИХЪ
ТОВАРОВЪ
М.К. МЕТАЛЛИДИ
БАТУМЬ.

Михайловская
 д. Туманова

Открытъ.

Полняется ежедневно поступающими товарами личной закупки владельца, вернувшегося съ рынковъ юга Россіи.

1850 (4—3)

ПЕРВОКЛАССНЫЙ
ВИНО-ГАСТРОНОМИЧЕСКИЙ и
КОНДИТЕРСКИЙ
МАГАЗИНЪ
ЗАГРАНИЧНЫХЪ РУССКИХЪ
ТОВАРОВЪ
М.К. МЕТАЛЛИДИ
БАТУМЬ.

Михайловская
 д. Туманова

Открытъ.

Полняется ежедневно поступающими товарами личной закупки владельца, вернувшегося съ рынковъ юга Рвссіи.

1850 (4—3)

სურ. 8. მ. რ. მეტალიდის მაღაზია. გაზეთი „Черноморское Эхо“, 1906 წ.



სურ. 9. უ.გ. ნიკიფორიდის მალაზია
(ფოტოები ნუგზარ მსხალაძის კოლექციიდან)

Сегодня, 2 декабря
 Батумскимъ Греческимъ Благотворительнымъ Брат-
 ствомъ въ зданіи Греческой школы устраивается
ТАЩЕВАЛЬНЫЙ ВЕЧЕРЪ
 съ безпроигрышнымъ базаромъ и буфетомъ
въ пользу бѣдныхъ.
ВХОДЪ 1 Р. 10 КОП.
 Билеты продаются въ магазинѣ М. Рангосъ, Кутаисская ул.
 Начало въ 8^{1/2} час. вечера.
 1926 (2—1)

სურ. 10. ბერძნული საქველმოქმედო საღამო. გაზეთი „Черноморское Эхо“, 1926 წ.

РАНГОСЪ М. К. Складъ лимонъ, апель-
 синъ и мандариновъ *Мессинскихъ и катинскихъ.*
 Кутаисская, д. Какабадзе.

Рангосъ М. К. Лимонъ, апельсинъ и мандаринъ
Месинскихъ. Кутаисская улица, д. Какабадзе. Главный
 складъ въ Италіи въ гор. Катаніи и Мессинѣ.

სურ. 11. მიხეილ რანგოსის კომერციული საქმიანობა ბათუმში, 1902 წ.

§ 7. განათლება და ბერძნული სკოლები

„ჯარისა და ბათუმის მართლმადიდებელი მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ერთი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ტაძარი იყო, რომლის მშენებლობა 1871 წელს დასრულდა, მასთან სამრევლო სკოლა მოქმედებდა – ერთადერთი სასწავლო დაწესებულება ბათუმში“ – ნერდა შტაბს-კაპიტანი ტ. ტ. სტეფანოვი 1878 წელს თავის ისტორიულ ნარკვევში, რომელიც რუსული ჟარების ბათუმში შესვლას ეხებოდა (Стефанов, 1906:106). რეგიონში არ იყო არცერთი სახელმწიფო სკოლა. ა. ფრენკელი აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე ბათუმში მოქმედი ერთადერთი, ე.წ. „ევროპული სკოლა“, 1861 წელს დაარსებული ბერძნული სკოლა იყო. სკოლა ბერძნული ტაძრის გვერდით მდებარეობდა, სწავლება ბერძნულ ენაზე, ბერძნული პროგრამით მიმდინარეობდა. ბათუმის პრისტავ ჟურელის 1879 წლის ანგარიშის მიხედვით სკოლაში, რომელსაც ბერძნული ტაძრის მღვდელი ხელმძღვანელობდა და რომელიც 2 ოთახში იყო განლაგებული, 40 მოსწავლე სწავლობდა, ერთადერთ მასწავლებელს კი ჰონორარს შეძლებული მშობლები უხდიდნენ (Френкель, 1879:85; Месхи, 1906:589; Вейденбаум, 1901:101).

„ქალაქის ერთადერთი სასწავლო დაწესებულება“ ნაწილია შავიზღვისპირეთის ბერძნულენოვანი განათლების სისტემის ისტორიისა, რომელიც განვითარებას მე-19 ს შუახანების ოსმალეთის იმპერიაში იწყებს, როცა ტანზიმატის პერიოდის რეფორმებმა ხელი შეუწყო იმპერიის ეთნოკონფესიური უმცირესობის ემანსიპაციას. პონტოელი ბერძნები, ისევე როგორც ანატოლიის სხვა ბერძნული ჯგუფები, აგრძელებდნენ ურთიერთობას საბერძნეთთან, საიდანაც ჩამოჰყავდათ მასწავლებლები, ჩამოჰქონდათ სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო პროგრამები. 1878 წელს ტრაპიზონის ვილაეთში 50 დაწყებითი (პროგიმნაზია) და 6 საშუალო (გიმნაზია) სკოლა იყო. მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ყველა მრევლს თავისი სკოლა ჰქონდა, სულ 95, და აქ მამაკაცთა 18% და ქალთა 6% სწავლობდა (Попов, 2010:109).

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იწყება პონტოელი ბერძნების რუსეთის იმპერიის საზღვრებში დასახლების პროცესი. საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1763 წელს მეფე ერეკლე II მოწვევით ბერძენი მემთამაძნეების 800 ოჯახი ჩამოსახლდა. 1810-1840 წწ საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციისა და რუსეთ-თურქეთის ომის (1828-1829 წწ) შემდეგ პონტოელი ბერძნების პირველი ნაკადი გამოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში. ყირიმის ომის შემდეგ 1856-1866 წწ 6000 პონტოელი ბერძენი ჩასახლდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში (საქართველოში – ნალკის რაიონში). პონტოელების ჩამოსახლებამ მასობრივი ხასიათი (17 000 სული) მიიღო 1878-1884 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წწ) შემდეგ (საქართველოში – სოხუმისა და ბათუმის რაიონები).

ბერძნული საზოგადოების კულტურულმა და სულიერმა ცხოვრებამ განაპირობა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება უცხო მიწაზე. თითქმის ყველა დიდ სოფელში, სადაც ბერძნები

ცხოვრობდნენ, მოქმედებდა სკოლები და კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოებები. მოგვიანებით, სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ბერძნული თემების კონსოლიდაციას ხელი შეუწყო 1926 წლის რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისრის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედი ბერძნული სკოლებისათვის ერთიანი ენის – დიმოტიკის ლიტერატურული ფორმის დამტკიცებამაც. კვალიფიციური ეროვნული კადრები ახალციხის, სოხუმის, ბათუმის, წალკის, სოფელ სანტას პედაგოგიურ ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში მზადდებოდა.

ბერძნული (კათარევუსა), როგორც უცხო ენა, ისწავლებოდა რუსეთის იმპერიის იმ რეგიონების სკოლებში, სადაც პონტოელი ბერძნების დიდი ჯგუფები ცხოვრობდა. საზოგადოებრივ საწყისებზე იხსნებოდა სკოლები, სადაც თავდაპირველად ბერძნულ ენას ტრაპიზონის მოსამზადებელი სკოლის კურსდამთავრებულები ასწავლიდნენ. 1917 წელს ბერძენთა თბილისისა და ტაგანროგის ყრილობებზე დაისვა ბერძნული სკოლების ნაციონალიზაციისა და რეორგანიზაციის საკითხი, დამტკიცდა აუცილებელი შვიდწლიანი სისტემა (პირველი 2 წელი დიმოტიკიზე, 5 – კათარევუსაზე). სახელმძღვანელოები საბერძნეთიდან ჩამოჰქონდათ. 1919 წლისათვის 148 სკოლა მოქმედებდა, აქედან საქართველოში თბილისის გუბერნიაში (ბერძენი ეროვნების მოსახლეობა – 50306 სული) 24 სკოლა 29 მასწავლებლით, ქუთაისის გუბერნიაში (ბერძენი ეროვნების მოსახლეობა – 20095 სული) 18 სკოლა 25 მასწავლებლით, ხოლო ბათუმის ოლქში (ბერძენი ეროვნების მოსახლეობა – 7469 სული) 2 სკოლა 8 მასწავლებლით. 1926 წლიდან სწავლება რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისრის გადაწყვეტილებით მხოლოდ დიმოტიკიზე მიმდინარეობდა. გამოიცა სახელმძღვანელოები დონის როსტოვის, მარიუპოლისა და კიევის ტიპოგრაფიებში. 1928 წელს საქართველოში 106 ბერძნული სკოლა მოქმედებდა (Читлов, 2000:282-292, 298). პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად ბერძნული სასწავლებლების ბაზაზე 30-იან წლებში კრასნოდარში, დონის როსტოვსა და სოხუმში შეიქმნა ბერძნული პედაგოგიური ტექნიკუმები. 30-იანი წლებისთვის საქართველოში უკვე 140 ბერძნული სკოლაა.

ბათუმში, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1878 წლამდე მხოლოდ ერთი (ბერძნული) სკოლა მოქმედებდა. სკოლა, რომლის დაარსების ნებართვა ოსმალეთის მთავრობისაგან ტრაპიზონის მიტროპოლიტის შუამდგომლობით 1956 წელს მიიღეს, 60-იან წლებში ამოქმედდა (1861 (კომახიძე, 1989:10), 1963 (Λουκαძის, 2014:40) ან 1966 წ¹⁶¹). დაწყებითი სკოლა ოთხწლიანი იყო. იოანის კალფოლლუს მონაცემებით ბერძნული სკოლის პირველი მასწავლებელი ელევთერიოს კოსეოლლუ იყო, რომელიც 1865 წლის ხანძრის შედეგად განადგურებული სკოლის აღდგენამდე ბავშვებს საკუთარ სახლში ამეცადინებდა (Λουκαძის, 2014:42). ბათუმის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, ბერძენი მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია სკოლის გაფართოება, ის შვიდწლედად გადაკეთდა, რომელთანაც საბავშვო ბაღი და ქალთა სასწავლებელი (1893 წ.) მოქმედებდა. ამ სკოლაში აქილეს დიმიტრიადი, გრიგორის ქსინოპულო და სხვა

161 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმოწერა და ოქმები 1886-1887 წწ. გვ. 6

პედაგოგები ასწავლიდნენ. უცხო ენად ისწავლებოდა ფრანგული. სკოლის კურსდამთავრებულები სწავლას ტრაპიზონის სასწავლებელში (frontisthrio) აგრძელებდნენ. 1886 წლიდან იმპერატორ ალექსანდრე III ბრძანებით ბათუმს პორტო ფრანკოს სტატუსი მოეხსნა, გააუქმეს ფრანგული ენის სწავლება და შემოიღეს რუსული ენის აუცილებელი სწავლება. ბერძნული სკოლა ისევ ხუთწლიანი გახდა. დირექტორი რუსული ენის სპეციალისტი აქილეს მეტაქსა იყო, რომელიც ამ თანამდებობაზე სავსულიდომ შეცვალა. 1883 წელს ბერძნული სკოლისათვის გამოიყო მიწის ნაკვეთი, სადაც ბერძნულმა დიასპორამ ააშენა ერთსართულიანი ქვის შენობა სკოლისათვის. გიორგი მიხაილიდის, გიორგი მავროპულოსა და გიორგი პისტოფიდის ძალისხმევით მეორე ბერძნული სკოლა გაიხსნა. ბერძნული სკოლის კედლები მოხატული იყო საბერძნეთის განმათავისუფლებელი რევოლუციის ეპოქის მოტივებზე შექმნილი სცენებით, რომლებიც 1918 წელს თურქებმა შეათეთრეს. ვაჟთა სკოლას ხელმძღვანელობდა თეოდორ გრამატიკოპულო, ქალთა სკოლას კი – ამალია ბუროვილი («Батуми», 1998:4; Mouratidou, 1992:109).

XIX ს 80-იან წლებში მოქმედებს ბერძნული საზოგადოებრივი სასწავლებელი, რომელიც მდებარეობდა ბერძნულ ქუჩაზე (ამჟამად ფარნავაზ მეფის ქ.). საინტერესო ინფორმაციაა დაცული 1886 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებული ბერძნული სასწავლებლის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრების დადგენილებაში: ბათუმის ბერძნულ მოსახლეობაში განათლების გავრცელების მიზნით ბათუმში 1866 წლიდან არსებული ბერძნული სასწავლებელი გადაკეთდეს ორკლასიან სემინარიად, საქალაქო საზოგადოებრივ სასწავლებლად ხუთწლიანი კურსებით; ახალი სასწავლებლის პროგრამა გაუთანაბრდეს იმპერიაში არსებული მესამე კატეგორიის სასწავლებლებს. სახელმწიფო – რუსული – ენა ისწავლებოდეს ყოველ კლასში სწავლების მეორე წლიდან; შედგეს ახალი სასწავლო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება ბათუმის ბერძნული მოსახლეობის მოთხოვნები და წარედგინოს დასამტკიცებლად სასწავლო ხელმძღვანელობას; სასწავლებლის კონტიგენტი განისაზღვროს 150 წევრით ორივე სქესისათვის, ხუთი მასწავლებლით, ერთი ზედამხედველით, რომელიც ამავე დროს რუსული ენის მასწავლებელია. ყველა განყოფილებისათვის იქნება საღვთო რჯულის ერთი მასწავლებელი; აღიძრას შუამდგომლობა სასწავლო ორგანოებში დასამტკიცებლად, რათა სწავლა დაიწყოს პირველ სექტემბერს.¹⁶²

ბერძნული სასწავლებლის ზედამხედველად ინიშნება იოანის/იანის საულიდისი, რომელსაც იმავე წლის 22 აგვისტოს სახალხო სკოლების ინსპექტორი სთავაზობს, სასწავლებლის პროგრამის შედგენის დროს ისარგებლოს მისი უმაღლესობის მიერ 1872 წლის 3 მაისს დამტკიცებული ორსაფეხურიანი სასწავლებლებისათვის დამტკიცებული ნიმუშით.

საინტერესოა 1886 წლის 13 დეკემბერით დათარიღებული სტატისტიკური ცნობარი სასწავლებლის პირადი შემადგენლობისა და მოსწავლეების შესახებ ინფორმაციით.¹⁶³ მოსწავლეთა

162 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმოწერა და ოქმები 1886-1887 წწ, გვ. 6

163 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო

საერთო რაოდენობა – 118, მათ შორის 77 ვაჟი და 41 გოგონა. პირველ ჯგუფში რეგისტრირებულია 43, მეორეში – 32, მესამეში – 22, მეოთხეში კი 21 მოსწავლე. სარწმუნოებით მართლმადიდებელია 118, ეროვნებით 117 ბერძენი და 1 ქართველი ყოფილა.

სასწავლებელი გახსნილა 1886 წელს, კერძო სახლში. სასწავლებლის ბიბლიოთეკაში იყო 180 დასახელების 210 ტომი წიგნი, საერთო ღირებულებით – 600 მანეთი. სასწავლებლის შენახვა ჯდება 2350 რუბლი, შემონირულობებიდან მიუღიათ 800 რუბლი; ხოლო სწავლის ქირისგან – 600 რუბლი.

1886 წლის 1 ნოემბრისათვის სასწავლებელში ასწავლიდნენ შემდეგი პედაგოგები (სია შედგენილია სასწავლებლის ზედამხედველის მიერ¹⁶⁴):

1. **საულიდი ივანე კონსტანტინეს ძე**, 31 წლის, დაბადებული 1856 წლის 27 იანვარს. აქვს მასწავლებლის დიპლომი. 1886 წლის 1 სექტემბრიდან არის სასწავლებლის ზედამხედველი (საფუძველი: სახალხო სკოლების დირექციის 1886 წლის 18 აგვისტოს №1034 განკარგულება). მეუღლე ენრიეტა, ბათუმელი იოანე იოსიფიდის ქალიშვილი. შვილები არ ჰყავთ. ანაზღაურება – 800 რუბლი.

2. **სინაროს ტრიანდაფილ იოანეს ძე**, 35 წლის. დაიბადა 1852 წლის 25 მარტს. აქვს ბერძნული ენის მასწავლებლის დიპლომი. ბერძნულ სკოლაში მასწავლებელია 1886 წლის 1 სექტემბრიდან. დაოჯახებულია. მეუღლე სოფი, მღვდელ აპოსტოლოს ქალიშვილი. ჰყავთ ერთი ვაჟი – თეოდორი. ანაზღაურება – 600 რუბლი.

3. **კაკულიდი კაკული გიორგის ძე**, 20 წლის. დაიბადა 1867 წლის 17 მარტს. ფოთის მცხოვრები. აქვს კურსების დამადასტურებელი დიპლომი. ბერძნული სკოლის მასწავლებელია 1886 წლის 1 სექტემბრიდან. ანაზღაურება 300 რუბლი, უცოლშვილო

4. **კეფალა ვასილიკი პანაიოტის ასული**, 21 წლის. დაიბადა 1865 წლის ოქტომბერში, თურქეთის ქვეშევრდომი. ბერძნული სკოლის მასწავლებელია 1886 წლის 1 სექტემბრიდან. აქვს ათენის ქალთა გიმნაზიის კურსების დამამთავრებელი დიპლომი, მასწავლებლის ჩინით. ანაზღაურება 300 რუბლი, გაუთხოვარი (მოგვიანებით, ფონდში დაცული მიმონერიდან ჩანს, ის არ იყო თანახმა ემუშავა ამ ანაზღაურებით და სასწავლებლის სამეთვალყურეო კომიტეტმა ის ჩაანაცვლა თბილისის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებულით ელენე მაქსიმეს ას. ალექსანდროვათი. №2514 წერილით კომიტეტი ითხოვს მის დამტკიცებას ქალთა განყოფილების გამგედ, ასევე ყოველ კლასში რუსული ენის მასწავლებლად დანიშვნას¹⁶⁵).

1890 წელს ბერძნულ სასწავლებელში სწავლობდა 20 ქალი და 70 ვაჟი.

XIX ს ბოლოს ბათუმში მოქმედებს ვაჟთა ორკლასიანი სასწავლებელი (ზედამხედველი – ფ. გრამატიკოპულო), საღვთო სჯულის მასწავლებლები მღვდლები კონსტანტინე ცანდუკოვი და

დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმოწერა და ოქმები 1886-1887 წწ, გვ. 22-22ა

164 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმოწერა და ოქმები 1886-1887 წწ, გვ. 24

165 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმოწერა და ოქმები 1886-1887 წწ, გვ. 52

მატვეი (მათეოს) მანოსი, მასწავლებლები – ფ. გრამატიკოპულო, დ. ვაიანიდი, გ. კერაფულიდი. მოქმედებდა სამრევლო სკოლა გოგონებისთვის. საღვთო სჯულის მასწავლებლები კონსტანტინე ცანდეკოვი (მმართველი), მღვდელი მატვეი (მათეოს) მანოსი, ბერძნული ენისა და ხელსაქმის მასწავლებელი მარტა კორნელზენი, რუსული ენისა და არითმეტიკის მასწავლებელი ეკატერინა ვრეტუ.

აჭარის არ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული 90-იანი წლების დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ბერძნულ ენას თანდათან ანაცვლებენ რუსული ენით. მაგალითად საკმარისია მოვიყვანოთ ბერძნული სკოლის სამეთვალყურეო კომიტეტის სახელზე მიღებული კავკასიის სასწავლო ოლქის სახალხო სკოლების დირექტორის წერილი (1892 წლის 19 ნოემბერი. წერილი №2032),¹⁶⁶ სადაც ის აღნიშნავს, რომ ენების სწავლების საათების განაწილება (32 საათი ბერძნული ენისათვის და 24 საათი რუსული ენისათვის) არაა მართებული და არ შეესაბამება მოზარდი თაობის საჭიროებებს, რომლებმაც, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებმა, რუსული მშობლიურ ენაზე უკეთ უნდა იცოდნენ. დირექტორი ითხოვს გაკვეთილების ახალი განრიგის შედგენას, სადაც რუსული ენის გაკვეთილებს დაეთმობა 32, ხოლო ბერძნულს – 12–18 საათი. ასევე ითხოვს არითმეტიკისა და საღვთო სჯულის რუსულ ენაზე სწავლებას. წერილში ნახსენებია, რომ ბერძნული ენის ორი მასწავლებლის ნაცვლად საკმარისია დასაქმდეს ერთი, მაგრამ რუსული ენის მცოდნე.

იგივე ხასიათის ტენდენცია შეინიშნება დირექტორის 1891 წლის 15 იანვრით დათარიღებულ №82 წერილში,¹⁶⁷ სადაც საუბარია სასწავლებლის ბერძნული ენის მასწავლებლებზე, ხარლამპი დიმიტრისისა და იოანის კუსისზე, რომლებსაც სამსახურის შენარჩუნებას რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების პირობით სთავაზობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვალდებული იქნებიან დატოვონ სამსახური სასწავლებელში. ამასთანავე, სასწავლებლის ადმინისტრაციისაგან ითხოვს, თადარიგი დაიჭირონ, რომ სამომავლოდ უცხოელები არ იყვნენ დაშვებულნი მასწავლებლად, თუნდაც დროებით.

ბათუმის ბერძნული სასწავლებელი შეუმონმებიათ 1898 წლის 7 ნოემბერს.¹⁶⁸ მოცემულია შემონმების შედეგები, კერძოდ: სიის მიხედვით ირიცხებოდა 114 მოსწავლე, მათ შორის პირველ განყოფილებაში – 51, მეორეში – 17, მესამეში – 28, მეოთხეში – 14, მეხუთეში – 4. შემონმების დროისათვის სასწავლებელში ყოფილა 108 მოსწავლე.

საიმპერატორო ეკონომიკური საზოგადოების სტატისტიკური კომისიის მიერ ბათუმის ბერძნულ სასწავლებელზე შევსებული ბლანკიდან ირკვევა, რომ სასწავლებელი დაარსებულა 1886

166 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფბერონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 3, მიმოწერა და ოქმები, გვ. 4-4ა

167 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 3, მიმოწერა და ოქმები, გვ. 8-8ა

168 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 3, მიმოწერა და ოქმები, გვ. 20-21

ნელს. ამ დროისათვის ბათუმში ყოფილა ქართული სკოლა, სომხური დაწყებითი სკოლა, რუსული სკოლა, ბერძნული სამრევლო (ქალთა) სასწავლებელი.¹⁶⁹

ბერძნული სასწავლებლის აგებაზე დახარჯულა 16 000 რუბლი. იგი ბათუმის ბერძნული საზოგადოების შემოწირულობებით აგებულა. სასწავლებელმა 1894 წლისათვის მოსწავლეთა საჭიროებაზე დახარჯა 2150 რუბლი; დაზღვევაზე – 44 რუბლი; გათბობა-განათებაზე – 60 რუბლი; მომსახურებასა და სისუფთავის დაცვაზე – 120 რუბლი; ავეჯსა და საკლასო მოწყობილობებზე – 60 რუბლი; წიგნებსა და სასწავლო საშუალებებზე – 16 რუბლი. სასწავლებელს ამ წლის მონაცემებით სახელმწიფოსაგან, ქალაქისაგან არაფერი მიუღია, თუმცა ჩანს, რომ ქალაქის შემოსავლებიდან მას ჰქონდა მიღებული 500 რუბლი. სტატისტიკური ბლანკის მე-10 პუნქტის „1894 წლის გადასახადი“ გასწვრივ აღნიშნულია 670 რუბლი.

სასწავლებელში 1894 წლისათვის ირიცხებოდა 85 მოსწავლე, მათ შორის ყველა ვაჟი, ხოლო 1895 წლის იანვარში ირიცხებოდა 91 ვაჟი. მშობლიური ენის მიხედვით 91-ვე ბერძნულენოვანი იყო და ყველა მართლმადიდებელი. გლეხური წარმომავლობის – 80, ხოლო 11 – ვაჭრის ოჯახიდან.

სტატისტიკური ცნობარი შევსებულია 1896 წლის 16 მარტს (სტატისტიკური ცნობარის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი გ. სპიროვი). მისი შევსების დროისათვის სასწავლებელში 87 ბავშვი სწავლობდა.

მოსწავლეთა ასაკობრივი მონაცემები

მოსწ.ასაკი	7	8	9	10	11	12	13	14	15
რაოდენობა	8	9	18	14	13	15	8	4	2

სასწავლებელში პირველ წელს მიუღიათ 14, მეორე წელს – 25, მესამე წელს – 24, მეოთხე წელს – 18, მეხუთე წელს – 10 მოსწავლე.

კლასგარეშე საკითხავი სასკოლო ბიბლიოთეკა მოეწყო 1886 წელს, ნებაყოფილობითი შემოწირულობების ხარჯზე. ბიბლიოთეკის მოწყობაზე სასწავლებელმა დახარჯა 39 რუბლი. ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები და კურსდამთავრებულებიც. გამოწერილი ჰქონდა გაზეთები: «Черноморский вестник» – მასწავლებლების ხარჯით, «Вестник воспитания», კავკასიის სასწავლო ოლქის რწმუნებულის გამოცემული ცირკულარი – სასწავლებლის ხარჯით.

ბათუმის ბერძნულ სასწავლებელს ჰქონია 4 საკლასო ოთახი.

სასწავლებლით სარგებლობდნენ სხვა, მათ შორის თურქეთის, სოფლებიც. მითითებულია, რომ სასწავლებელში სწავლობდნენ მოსწავლეები ტრაპიზონიდან – 20, კერასუნიდან (გირესუნი) – 5, არხაშორიდან – 3, ყოროლისთავიდან – 3, სურმენედან – 20, ხოლო სანტადან – 1 მოსწავლე.

¹⁶⁹ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 3, მიმოწერა და ოქმები, გვ. 24-26ა

სასწავლებელში ასწავლიდნენ სიმღერას (ასწავლიდა ზედამხეველი დიდი დასვენების დროს), ერთ-ერთი საგნად დასახელებულია ტანვარჯიში და მასზეც იგივე ინფორმაციაა. ჩამოთვლილია სხვა საგნები: ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა, მებალეობა. სასწავლო წელი იწყებოდა 1 სექტემბრიდან და გრძელდებოდა 30 მაისამდე, მიღება ხდებოდა ყოველწლიურად.

ბიბლიოთეკის გრაფაში მითითებულია, რომ აქ დაცულია კლასგარეშე საკითხავი 180 ბერძნულენოვანი და 20 რუსულენოვანი წიგნი. თვალსაჩინოების საშუალებებში ჩამოთვლილია: გლობუსი, ევროპის, აზიის, რუსეთისა და კავკასიის მხარის რუკები, ატლასი, მიკროსკოპი. მოსწავლეები წიგნებსა და სხვა სასწავლო სახელმძღვანელოებს საკუთარი ხარჯით იძენდნენ. ზოგიერთი მოსწავლე წიგნებს იღებდა ზედამხედველისაგან.

დაცულია მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ცნობები 1893/94, 1894/95 და 1895/96 სასწავლო წლების მიხედვით. იქვე მითითებულია, რომ 1893/94 სასწ. წლისათვის მოცემულია მიახლოებითი ციფრები.

სასწ.წ	სექტ.	ოქტ.	ნოემ.	დეკემ.	იანვ.	თებ.	მარტი	აპრ.	მაისი
1893/94	81	76	76	76	74	70	70	65	61
1894/95	111	111	111	104	111	98	91	85	80
1895/96	98	65	80	91	85	91	91		

1907 წლისათვის სასწავლებელში ასწავლიდნენ შემდეგი მასწავლებლები (1907 წლის 2 მაისი №12 პატაკის დანართი, ინფორმაცია მოცემულია პირველ პირში):¹⁷⁰

1. გრამატიკოპულო ფეოდორ ხრისტოფორეს ძე. მართლმადიდებელი ოჯახის შვილი. ნოდება არ მაქვს. მასწავლებლის ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულებისთვის [გაურკვეველია] საქართველოს საეპარქიო სასწავლებლების საბჭომ 1892 წელს დამაჯილდოვა ბიბლიით, ხოლო შემდგომ 1892 წელს – ფულადი ჯილდოთი 50 რუბლის ოდენობით. ვლადიკავკაზის ბერძნული საზოგადოების დაწყებითი სამრევლო სკოლის გამგის მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისთვის ვლადიკავკაზელი ბერძნების მიერ დაჯილდოებული ვარ სასწავლებლის გადაწყვეტილებით: 1) 1895 წელს ვერცხლის საათით, 2) 1898 წელს ვერცხლის ჩაის სერვიზით, 3) 1906 წელს ოქროს საათით. დაბადების თარიღი 1867 წლის 8 ივნისი. ბერძნული განათლება მივიღე გიუმუშხანის პროგიმნაზიაში, ხოლო რუსული – ყარსის საქალაქო სასწავლებელში, რომლის სასწავლო კურსი 1885 წელს დავამთავრე. იმავე სასწავლებელში მოვისმინე გაკვეთილების სწავლების ერთწლიანი კურსი და ჩავაბარე გამოცდები, 1886 წელს მივიღე ორკლასიანი დაწყებითი სამრევლო და საქალაქო სასწავლებლების მასწავლებლის ნოდების მონაწილეობა. 1889 წლამდე ვმსახურობდი სოფლის კერძო სასწავლებელში, ხოლო 1889 წლის სექტემბერში ქართული საეპარქიო სამასწავლებლო

¹⁷⁰ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: 0-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 4, მიმოწერა და ოქმები, გვ. 15-15ა

საბჭოს მიერ დავინიშნე საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლად, 1904 წლის ოქტომბერში [გაურკვევლად] ოლქის სახალხო სკოლების დირექტორად. დავინიშნე ვლადიკავკაზის ბერძნების ერთკლასიანი სკოლის გამგედ, ხოლო 1906 წლის სექტემბრიდან აღნიშნულ სასწავლებელში ვიკავებ ზედამხედველის თანამდებობას. სამსახურიდან გათავისუფლებული არ ვყოფილვარ. დაქორწინებული ვარ არდაგანელი მემჩანის ქალიშვილზე [სახელი]. გვყავს ქალიშვილი და ვაჟი, რაიმე ქონება არ გამაჩნია.

2. შაინოვი დიმიტრი ვასილის ძე. ვაჭრის შვილი. მართლმადიდებელი. ჯილდოები და ფულადი საშუალებები არ გამაჩნია. დაიბადე 1885 წლის 5 ივლისს. დავამთავრე ქუთაისი რეალური სასწავლებლის კურსი 1905 წელს. მასწავლებლის ნოდება არ მაქვს. მასწავლებლად ვირიცხები 1906 წლის სექტემბრიდან. დაქორწინებული ვარ. შვილები არ გვყავს, საგვარეულო ქონებას არ ვფლობ.

3. დიმიტრი ივანეს ძე ვოიცინი. ბერძნული ენის მასწავლებელი. უცხოელი. მართლმადიდებელი. დაბადებული 1873 წლის 14 ნოემბერს. 1891 წელს დავამთავრე პედაგოგიური განყოფილების კურსი ბულგარეთის გიმნაზიაში. კურსის დამთავრებისთანავე დავიკავე ბერძნულის მასწავლებლის თანამდებობა ბულგარეთის ბერძნულ სკოლებში უწყვეტად 1906 წლის მაისამდე. ხოლო 1906 წლის ნოემბრიდან მიკავია მასწავლებლის თანამდებობა მოცემულ სასწავლებლებში.

4. გიორგი კონსტანტინეს ძე კარაფულიძე. [...] უცხოელი. მართლმადიდებელი. დაბადებული 1865 წლის 22 აპრილს. დავასრულე ტრაპიზონის გიმნაზიის კურსი თურქეთში [...]

1908 წ. ბათუმში გაიხსნა პირველი ბერძნული საქალაქო დაწყებითი სასწავლებელი (მისამართი: დონდუკოვ-კორსაკოვის (ამჟამად კ. გამსახურდიას) ქ. 37, გამგე – ანასტას ლაზარიძე). სასწავლებლის 4 განყოფილებაზე სწავლობდა 8-დან 14 წლამდე ასაკის 148 ბავშვი.

1916 წელს მოცემულია სასწავლებლის პედაგოგთა შესახებ არსებული სტატისტიკური ცნობები:¹⁷¹

1. მღვდელი **კონსტანტინე ტრიფონის ძე ცანდუკოვი** (წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ტაძრის მღვდელმსახური 1896-1917 წწ) ასწავლიდა საღვთო სჯულს. დაუმთავრებია ერევნის სამასწავლებლო სემინარია. ანკეტის შემდეგი პუნქტის კითხვაა „აქვს თუ არა მასწავლებლობის მოწმობა ან გამოცდილება“, სადაც არაფერია მითითებული. მართლმადიდებელი. დაოჯახებული. ზოგადად თანამდებობაზე იმყოფებოდა 1894 წლიდან, ხოლო მითითებულ თანამდებობაზე იყო 1908 წლიდან. შემდეგი პუნქტი ითვალისწინებს თუ რა ჯილდოები აქვს მიღებული – მიღების ვადა და ბოლოს მიღებული ჯილდო. აქ მითითებულია, რომ იგი ფლობდა წმ. ანნას ორდენს. ხელფასი – 240 რუბლი.

2. მასწავლებელი და გამგე **ანასტასი მაქსიმეს ძე ლაზარიძე** ასწავლიდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს. დაუმთავრებია ერევნის სამასწავლებლო სემინარია. ანკეტის პუნქტზე „აქვს თუ

¹⁷¹ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 7, მიმოწერა და ოქმები, გვ. 50

არა მასწავლებლობის მოწმობა ან გამოცდილება“, არაფერია მითითებული. მართლმადიდებელი. დაოჯახებული. ზოგადად თანამდებობაზე იმყოფებოდა 1900 წლიდან, ხოლო მითითებულ თანამდებობაზე – 1908 წლიდან. ბოლოს მიღებულ ჯილდოებში მითითებული ინფორმაცია არ იკითხება გარკვევით. ჩანს, რომ ხელფასს იღებდა 980 რუბლს (მითითებულია 800+180). არც ბინის გრაფაში მოცემული ინფორმაცია არ იკითხება გარკვევით.

3. **კილინკაროვა ოლგა ალექსანდრეს ასული და დიმიტრიადი ევგენია აქილევის ასული.** ორივე ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს ასწავლიდა. დაუმთავრებიათ თბილისის მესამე ქალთა გიმნაზია. დამთავრებული აქვთ 7 კლასი. მითითებულია, რომ მასწავლებლის მოწმობა აქვთ. მართლმადიდებლები. ოჯახური მდგომარეობაში აღნიშნულია – „ქალიშვილი“ (Дев.). თანამდებობაზე არიან 1910 წლიდან, ხოლო მითითებულ თანამდებობაზე – 1913 წლიდან. ჯილდოების სვეტში მითითებულია ციფრები: 600 + 60 = 660. ჩანს, რომ ხელფასი 980 რუბლი იყო (მითითებულია 800+180), ბინის ქირა – 200 რუბლი.

4. მასწავლებელი **კონსტანტინიდი სტილიან ილიას ძე.** ასწავლიდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს. დაუმთავრებია ხონის სამასწავლებლო სემინარია. ანკეტის შემდეგი პუნქტის კითხვაა „აქეს თუ არა მასწავლებლობის მოწმობა ან გამოცდილება“, სადაც არაფერია მითითებული. მხოლოდ ტირეა გასმული. მართლმადიდებელი. დაოჯახებული. ზოგადად თანამდებობაზე იმყოფებოდა 1908 წლიდან, ხოლო მითითებულ თანამდებობაზე იყო 1911 წლიდან. ბოლოს მიღებულ ჯილდოებში მითითებული ინფორმაცია არ იკითხება გარკვევით. ჩანს, რომ ხელფასს იღებდა 980 რუბლს (მითითებულია 800+180). არც ბინის გრაფაში მოცემული ინფორმაცია არ იკითხება გარკვევით.

ბათუმში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მოქმედებს ბერძნული სკოლა (№6 ბერძნული სკოლა), რომელიც ს. შაუმიანის (ამჟამად დ. თავდადებულის) ქუჩაზე მდებარეობდა (ახლანდელი ანდრია პირველწოდებულის სახ. სკოლის შენობა), სადაც თურქეთიდან ლტოლვილი ძმები კანონიდები ასწავლიან. ბერძნულსა და მათემატიკას ასწავლიან ი. კიდონიდი, ხ. ცაცანიდი, ე. პილიდი, დ. გავრილიდი, კესიდი, ქართულ ენას – რაჟდენ ჩიმაკაძე. უმცროს კლასებს ასწავლის პაპანდოპულო. 1929 წლისათვის სკოლაში 279 ვაჟი და 213 გოგონა სწავლობს. თავდაპირველად სკოლის შენობა ერთსართულიანი იყო, სვეტებიანი ვერანდით ეზოს მხარეს, მაგრამ მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდამ (სკოლა 1924 წელს შვიდწლედად, ხოლო 1929 წელს ათწლედად გადაკეთდა) 30-იან წლებში მეორე სართულის დამატების აუცილებლობა გამოიწვია (ტაბ. XIII, სურ. 162-166, 168). გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანის“ 1934 წლის 5 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული შ. ცაიშელის სტატიაში უკვე საშუალო სკოლადაა მოხსენებული (ცაიშელი, 1934:V).

1921 წლის 5 ივლისს გამოვიდა საგანგებო კომისიის ბრძანება უსწავლელობის ლიკვიდაციისა და წერა-კითხვის სკოლების გახსნის შესახებ. ქალთა სასწავლებლის შენობაში ბერძენისათვის გაიხსნა წერა-კითხვის სკოლა. ბერძნული სკოლები იყო ახალშენში, დაგვაში, აჭყვასა და კვირიკეში.

ახალშენის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი აშენდა 1894 წელს. ტაძრის საკურთხებლად ბერძნებმა მოინვიეს ფოთიდან მღვდელი დ. პ. პისტოპულოსი. ტაძრის სამრეკლო ხის იყო, თეოდოროს ხურტიდისმა აჩუქა ტაძარს ლითონის სამრეკლო. 1893 წელს (სხვა მონაცემებით 1884 ან 1885 წელს¹⁷²) გაიხსნა სამრეკლო სკოლა. პირველი მასწავლებელი იყო მღვდელი დ. პ. პისტოპულოსი (წარმოშობით სურმენადან, ეგზარხოსმა მას კურთხევა მისცა ახალშენში ემსახურა). გარდა მღვდელი პისტოპულოსისა, აქ მსახურობდნენ ევსტათიოს მაკრიდისი ხაჯი-იორი, მღვდელი კ. კონსტანტინიდისი და ხრისტოს ტავრიდისი (Aggelidh~, 1999:307) (ტაბ. X, სურ. 119). სამკლასიან შენობას მოგვიანებით სამი საკლასო ოთახი მიაშენეს, ამოქმედდა ბერძნული ხუთკლასიანი დაწყებითი სკოლა. სკოლის პირველი გამგე-მასწავლებელი იყო ილია პისტოპულო, მოღვაწეობდნენ პედაგოგები: დიმიტრი გრამატიკოპულო, გიორგი კაკულიდი, კონსტანტინე ანტონიადი და სხვები. სკოლაში სწავლა ფასიანი იყო. მასწავლებლებს განათლება ტრაპიზონის გიმნაზიაში ჰქონდათ მიღებული. 1932 წელს ახალშენის დაწყებითი სკოლა შვიდწლედ გადაკეთდა. 1938-39 წლებში კი ბერძნული და ქართული სკოლები ქართულ შვიდწლიან, ხოლო 1940 წლიდან საშუალო სკოლად გადაკეთდა (ტაბ. XIII, სურ. 169-172).

კვირიკეს წმინდა კონსტანტინესა და ელენეს სახელობის ტაძრის შენება დაიწყო 1902 წელს (1909 წელს სახელმწიფოს მიმართეს დახმარებისთვის, ვინაიდან მშენებლობა უსახსრობის გამო გაჭიანურდა). მსახურებდა მღვდელი ი. ნ. ცალიკოფი. სკოლამ მოქმედება დაიწყო 1905 (1910¹⁷³) წელს. სწავლება წარმოებდა ბერძნულად. მასწავლებლები ტრაპიზონიდან ჰყავდათ მოწვეული (არქივის 1928 წ. მასალებიდან ჩვენთვის ცნობილია პედაგოგების გვარები: ა. პუმპურიდი, ეფრემიდი)(Aggelidh~, 1999:311).

ბერძნული სკოლები აჭყვავშირდა ტაძრებთან (წმინდა გიორგის სახელობის – 1890-91 წწ და პეტრე-პავლეს სახელობის – 1905) მოქმედებდა. პირველი მასწავლებელი ორივე სკოლაში მღვდელი ფ. ნ. პაპადოპულოსი იყო. ასწავლიდა მშობლიურ ენას, არითმეტიკას, მართლწერას, გეოგრაფიას, სიმღერას (Aggelidh~, 1999:305).

ქობულეთის ბერძნულ სკოლებთან დაკავშირებით საინტერესოა არქივში დაცული რევიზორის [რევიზორის ვინაობის შესახებ ჩანაწერი გაკრული ხელითაა] 1921-22 წლების ანგარიში. 1921-22 წლებში ქობულეთში 13 სკოლაა 35 მასწავლებლითა და 630 მოსწავლით, აქედან 3 ბერძნული სკოლაა, რომლებშიც 152 მოსწავლე სწავლობს და 6 მასწავლებელი ასწავლის (ფონდი 5, ოქმი 4, გვ. 1). რევიზორი ანგარიშში ერთ თავს უთმობს სამ ბერძნულ სოფელს, რომლებშიც მოსახლეობის უმეტესობას ბერძენი ეროვნების მოქალაქეები შეადგენს. სოფლებში არსებული მდგომარეობის აღწერისას, რევიზორი აღნიშნავს, რომ ბერძნები ქობულეთში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 1885 წელს¹⁷⁴ ჩამოვიდნენ ტრაპიზონის ვილაეთიდან და დასახლდნენ სამ სოფელში:

172 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: რ-5, აღწერა 1, საქმე 200

173 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: რ-5, აღწერა 1, საქმე 200

174 ს. ტაბაღუას ბერძნების დაგვაში ჩასახლების დასაწყისად 1881 წელი აქვს მითითებული: C.

დაგვაში, აჭყვასა და კვირიკეში, რომლებიც დაცლილი იყო თურქეთში მუჰაჯირებად წასული ადგილობრივი მოსახლეობისაგან (ფონდი 5, ოქმი 4, გვ. 2). 20-იანი წლების დასაწყისში ბევრმა ბერძენმა, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც მნიშვნელოვანი ქონება შეიძინა, გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნებულიყო, რადგანაც კომუნისტების მოსვლით მათ რელიგიურ და სულიერ უფლებებს და თავისუფლებას საფრთხე დაემუქრებოდა. ბერძენების უკუმიგრაციას დემოგრაფიული ცვლილებები მოყვებოდა. 1921 წლისთვის აჭყვაში 110 ოჯახი ცხოვრობდა, რევიზიის დროისათვის კი 50 იყო დარჩენილი, რომლებსაც არ ჰქონდათ გადაწყვეტილი დარჩებოდნენ თუ დაბრუნდებოდნენ სამშობლოში.

რევიზორის ანგარიშში აღწერილია სკოლის შენობა-ნაგებობები, რომლებიც მოუწესრიგებელი და მოუვლელი იყო იმ მიზეზით, რომ მოსახლეობას ისტორიულ სამშობლოში სურდა დაბრუნება. მნიშვნელოვანია ინფორმაცია სკოლების მართვის ფორმის შესახებ. მათ თავდაპირველად საეკლესიო ორგანოები მართავდნენ და სწავლება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, რუსული და ქართული ენები არ ისწავლებოდა. მას შემდეგ, რაც სკოლების მართვა განათლების სამინისტროს ხელში გადავიდა, ბერძნული ენის საათების რაოდენობა შემცირდა რუსული და ქართული ენების საათების გაზრდის ხარჯზე. დაგვაში, სადაც ბერძნულ ოჯახებთან ერთად ცხოვრობდნენ ქართული ოჯახებიც, არ იყო ქართული სკოლა. რევიზორი ანგარიშში ორ გზას სახავს პრობლემის გადასაწყვეტად: 1/ ბერძნულ სკოლაში ქართული განყოფილების გახსნას და 2/ ქართული ენის მასწავლებლის მოწვევას, რადგან თავად ბერძნებიც ითხოვენ სახელმწიფო ენის შესწავლას.

საანგარიშო წლისათვის ბერძნულ სოფლებში 152 ბერძენი მოსწავლეა და 6 ბერძენი მასწავლებელი, აქედან ჩაქვი – 17 მოსწავლე, დაგვაში – 65 მოსწავლე და 3 მასწავლებელი, აჭყვაში – 35 მოსწავლე და 2 მასწავლებელი, კვირიკეში – 35 მოსწავლე და 1 მასწავლებელი. დაგვაში 4 სექციაა 65 მოსწავლით, რომელთაგან 37 გოგონა და 28 ვაჟია. კვირიკეში 3 სექციაა. ჩაქვის სკოლა 2 – რუსული და ქართული განყოფილებებისაგან შედგებოდა, სწავლობდა 13 ქართველი, 17 ბერძენი და 18 რუსი ეროვნების მოსწავლე. სამწუხაროდ, არაა აღნიშნული კონკრეტულად რომელ სექტორზე სწავლობდნენ ბერძენი ეროვნების ბავშვები (Loukasbili, 2008:145-150).

ჩვენს ხელთაა არქივში დაცული მასალა, რომელიც ასახავს ბათუმის ბერძნული სკოლების გამგის ხ. ცაცანიდის მიერ 1928 წლის მაისში აჭარის ბერძნულ სკოლებში ჩატარებული რევიზიის შედეგებს.¹⁷⁵ ანგარიში თარიღდება 1928 წლის 3 ივნისით. ამ დროისათვის 4 ბერძნული (კვირიკე, დაგვა, აჭყვა, ახალშენი) სკოლა და ქართულ სკოლებთან მოქმედი 3 განყოფილება (აჭყვა, ქობულეთი, ჩაქვი).

მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლებში მუშაობს 18 მასწავლებელი, მათგან ოთხი – ქართულ ენას ასწავლის, 2 – რუსულ ენას, ხოლო ბერძნული ენის მასწავლებლები განათლების ცენტრისა და გამოცდილების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან: პედაგოგიური გამოცდილებითა

Табагуа, Колхоз села Дагва (исторический очерк), изд. «Сабчота Аджара», Батуми, 1982, с. 7

175 აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: რ-5, აღწერა 1, საქმე 101

და განათლებით – 6, საშუალო გამოცდილებითა და განათლებით – 4, საშუალო გამოცდილებითა და არასრული განათლებით – 1, დაბალი გამოცდილებითა და საოჯახო განათლებით – 3.

სკოლები მუშაობენ აჭარისთვის შემუშავებული ბერძნულად თარგმნილი პროგრამების მიხედვით. სწავლების მეთოდები, ყოველთვის არაა დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მასწავლებლები მოსწავლეებისადმი მომთხოვნი არიან. მასწავლებლის დატვირთვა კვირაში 24 საათზე ნაკლები არაა, არის სკოლები, სადაც კვირაში 29 და მეტ გაკვეთილს ატარებენ. კომპლექსური მიდგომა ხორციელდება მასწავლებელთა შესაძლებლობების მიხედვით. სახალხო განათლების კომიტეტი მოსწავლეებს წიგნებით, რვეულებითა და სასწავლო საგნებით ამარაგებს. სკოლების შენობების უმეტესობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, დაგვის სკოლისა და ჩაქვის განყოფილების გამოკლებით. სკოლები ყოველწლიურად მარაგდება რუკებითა და სხვა სასწავლო საშუალებებით. არ არის ბიბლიოთეკა.

ერთიანად სკოლებში 409 მოსწავლე სწავლობს (ვაჟები – 248, გოგონები – 161). ყოროლის-თავის მონაცემებთან ერთად მოსწავლეთა რაოდენობა 427-ს აღწევს (საინტერესოა ფაქტი, რომ რევიზორმა ვერ მოახერხა ყოროლისთავის სკოლის შემოწმება, რადგან მასწავლებელმა მიხაი-ლიდისმა ის არ მიიღო, არადადამაკმაყოფილებლად ჩათვალა რა მის მიერ წარდგენილი მანდატი და საექვოდ მიიჩნია მისი კომპეტენცია). ღარიბი ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი განათლების გარეშე რჩება.

1927 წ. ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში გაიხსნა ბერძნული განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა დ. კანონიდი, მოგვიანებით ხ. ცაცანიდი (ტაბ. XIII, სურ. 167).

ენის საკითხი საბჭოთა კავშირის ბერძნულ მოსახლეობაში არ განისაზღვრებოდა მხოლოდ კათარევეუსასა და დიმოტიკის შორის არჩევანით, როგორც ეს საბერძნეთში ხდებოდა. ენის განსაზღვრის აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ პონტოელი ბერძნები პონტოური დიალექტის სხვადასხვა კილოებზე, ბერძენთა მცირე ჯგუფი (ყირიმი) კი – დიმოტიკიზე საუბრობდა. სკოლებში სწავლება კათარევეუსაზე მინდინარეობდა (Karpozhou, 1991:222-225).

1920-1930 წლებში სსრკ-ში იყო მცდელობა პონტოური დიალექტი გადაქცეულიყო პონტოელი ბერძნების სალიტერატურო ენად. ამ ენაზე გამოიცემოდა გაზეთები, სხვადასხვა სახის ლიტერატურა. 1932 წელს კოსტას ტოპხარასმა (კანონიდისმა) გამოსცა პონტოური ენის გრამატიკა (დონის როსტოვის გამომცემლობა „კომუნისტი“) – I gramatikh ti romeiku ti ponteiku ti glo-a- tou K. Topcara (ტაბ. XIII, სურ. 177). ლიტერატურული ფორმის ბაზად გამოყენებული იქნა პონტოური დიალექტის ტრაპიზონური გამოთქმა. მანამდე პონტოელი ბერძნები წერისას იყენებდნენ კათარევეუსას. 1926 წელს ბერძენი ინტელიგენციის წარმომადგენლების კონფერენციაზე (10/05/1926) მიიღეს დიმოტიკიზე გადასვლისა და ბერძნული ანბანის რეფორმის გადამწყვეტილება. პარალელურად გრძელდებოდა პონტოურ დიალექტზე ბეჭდვის პრაქტიკა ფონეტიკური ორთოგრაფიის გამოყენებით. 1926-35 წწ გრძელდებოდა პოლემიკა ერთის მხრივ, დიმოტიკის გამოყენებისა და, მეორე მხრივ, დიალექტებზე დაფუძნებული რამდენიმე ბერძნული

ენით სარგებლობის მომხრეებს შორის, რაც დასრულდა 1936 წელს სოხუმში ბერძენი მასწავლებლების ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებით შენარჩუნებულიყო ერთიანი ბერძნული ენა – დიმოტიკი (Попов, 2010:108-109). უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთი კავკასიის პონტოელი ბერძნებისაგან განსხვავებით ამიერკავკასიის ბერძნებმა უკეთ შეინარჩუნეს თავიანთი დიალექტი (რუსეთში 1927 წელს იყო ასოების მოხაზულობის გამარტივებისა და რუსული ასოებით ჩანაცვლების მცდელობა).

აჭარის არ ცენტრალური სახ. არქივის ფონდებში დაცულია დოკუმენტაცია ატესტატების, დიპლომების, საკლასო ჟურნალების და ა.შ. სახით, რომელიც ამ პერიოდშია შექმნილი, 20-ასოიანი ანბანის გამოყენებით (ტაბ. XIII, სურ. 176). ისტორიული ორთოგრაფია შეცვლილია ფონეტიკურით. ამოღებულია დიფთონგები, ერთნაირი ჟღერადობის ხმოვნებიდან დარჩენილია მხოლოდ i და o , ou -ს ნაცვლად გამოიყენება u , სილმებიდან (s , $-$) დატოვებულია მხოლოდ s ფორმა, ორმაგი თანხმოვნები იწერება ჟღერადობის მიხედვით ξ – $\kappa\zeta$, ψ – $\pi\zeta$. ბერძნული ანბანი რეფორმის შედეგად შედგება 20 ასო-ბგერისაგან: 5 ხმოვანი: a, e, i, o, u , 15 თანხმოვანი: $b, g, d, z, q, k, l, m, n, p, r, \sim, t, f, c$. მახვილები აღარ ისმება ერთმარცვლიან სიტყვებზე და ამოღებულია ხმარებიდან მახვილი ბოლო მარცვალზე.

40-იან წლებში მოხდა სხვა ევროპულ ეროვნულ ჯგუფებთან ერთად კავკასიის ბერძნული მოსახლეობის დეპორტაცია. 1938 წლის 31 იანვრის დადგენილებით პოლიტბიურომ მოითხოვა როგორც უცხოეთის, ისე საბჭოთა მოქალაქე პოლონელების, ლატვიელების, გერმანელების, ესტონელების, ფინელების, ბერძნების, ირანელების, ხარბინელების, ჩინელების, რუმინელებისგან შემდგარი ჯაშუშურ-დივერსიული კონტიგენტის დარბევის ოპერაციის ჩატარება. 1942 წლის გაზაფხულზე ლ. ბერიას ხელმონერელი 157-ე დირექტივით დაიწყო ბერძენი მოსახლეობის წმენდის პირველი ტალღა, მეორე და მესამე გადასახლება 1944 და 1949 წელს მოხდა. 1949 წელს ყაზახეთის მიმართულებით გამგზავრებული 26 ეშელონიდან 19 საქართველოდან იყო. 1956 წელს მოხდა რეპრესირებულთა ნაწილობრივი, ხოლო 1991 წელს სრული რეაბილიტაცია (კანონი რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციის შესახებ) (Зейналова, 2010:102-122).

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის გადაწყვეტილებით ბერძნული რაიონების ლიკვიდაციასთან ერთად მოხდა ბერძნული სკოლების დახურვა, სწავლება რუსულ ენაზე გადავიდა, ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს ბერძნულენოვანი წიგნები, შეწყდა ბერძნული გამომცემლობების საქმიანობა. ბათუმის №6 ბერძნული სკოლა 1938 წლიდან ხელის ერთი მოსმით ბელინსკის სახელობის №8 რუსულ სკოლად იქცა.

მე-6 ბერძნულ სკოლაში, რომლის დირექტორი დიმიტრიოს კანონიდისი იყო, ბერძნულ ენას და ისტორიას ასწავლიდნენ დიმიტრიოს კანონიდისი და ალექსანდროს დიამანდოპულოსი (ისტორიკოსი, ფილოლოგი, პოეტი, მწერალი, მეტსახელად ბერძენი, რადგანაც პონტოელი არ იყო, ცნობილი ასევე ფსევდონიმით „რიონის“); მათემატიკას, ფიზიკას – ივან კიდონიდისი (რომელიც ცნობილი იყო საგნის ახსნის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდიკით,

იყო სსრკ ფიზიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორი (Мазманиди, 2011:10; Аскурава, 1995) და ხრისტოფორ ცაცანიდისი, ქართულს – ელენა მეგრელიძე, ბუნებას და ბიოლოგიას – ქრისტოფოროს ქსინოპულოსი, ბიოლოგიას და ქიმიას – მარია მატვიენკო, ფიზიკულტურას – ვანია ატროშენკო, კონსტიტუციას – პარასკევოპულოსი (Mouratidou, 1992:138), დიამანდოპულუ ევდოქსია, მიროფორა ღრამატიკოპულუ (რუსული ენის მასწავლებელი), პანიდი ვასილიოს (ხაზვის მასწავლებელი), ღრილორიოს პაპადოპულოსი, ილექტრა კოტიდუ, ეკატერინა პილიდუ, ევტიხია პილიდუ, პანაიოტის კესისოლლუ, მიხაილიდისი (ტანვარჯიშის მასწავლებელი) (Mouratidou, 1992:148).

აჭარის ბერძნული საზოგადოების ყველაზე დამსახურებული წევრები იყვნენ პედაგოგები: თეოდორ გავრილიდი (წლების განმავლობაში მე-5 სკოლის დირექტორი), დ.ი. კალანტიდი (მე-6 ბერძნული სკოლის დირექტორი), მ. კუციდი, ა. ცერბოსი, ი. კოტიდი, დ. ჩილინგარიდი, ა. დიამანდოპულო, კ. პანიდი, დ. მიხაილიდი (ტაბ. I, სურ. 039), კ. პოლიბრონიდი, პ. ქსინოპულო, ა. პარასკევოპულო, კ. ივანოვი, ქ. ქ. ქსანტინიდი, ქ. მავრიკიდი, პ. მავრიკიდი, ვ. დელავერიდი და სხვები. განსაკუთრებული ღვაწლი აქვთ ბერძნული ენის სწავლებისა და გავრცელების საქმეში სკოლების დირექტორებს ირაკლი შონუსს (ხიონიდის), ვლადიმერ მისტაკოპულოს (მე-3 რუსული სკოლის დირექტორი), ნიკოლოზ აეროპულოს (დაგვის სკოლა), ხრისტო ქსანტინიდისსა და გიორგი ვიონიდის (ახალშენი), გ. მურადოვს (დაგვა).

ბერძნული ენის სწავლება საბჭოთა კავშირში განახლდა 50-იან წლებში. 1958-დან 1964 წლამდე საქართველოში, იმ რეგიონებში, რომლებსაც პონტოელი ბერძნების მასობრივი გასახლება არ შეხებია, რამდენიმე ბერძნული სკოლა გაიხსნა. 1958 წელს თ. ყაუხჩიშვილმა 1926 წლის ანბანის საფუძველზე მოამზადა და გამოსცა ბერძნული ანბანი.

ბათუმში ბერძნული ენის სწავლება განახლდა 1981 წელს ბათუმის №3 საშუალო სკოლის დირექტორ ირაკლი შონუსისა და ახალგაზრდა პედაგოგ მარია კეფალიდის ძალისხმევით. წლების განმავლობაში ჯერ №3 საშუალო სკოლაში, შემდეგ კი ბერძნულ საზოგადოებაში ახალ ბერძნულ ენას ასწავლიდა და დღემდე ასწავლის ჟანა ქსანტინიდი (Μιστακοπουλο, 1994:3)(ტაბ. XV, სურ. 276).

მნიშვნელოვანია, რომ დღეს საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტში წარმატებით მუშაობს ახალი ბერძნული ენის კათედრები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წვლილი ახალი ბერძნული ენის სწავლების საქმეში.

1996 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უნივერსიტეტის ფორმირების დღიდან ისწავლება კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის დისციპლინები, გაიხსნა ახალი ბერძნული ენისა და ლიტერატურის განყოფილება (კოორდინატორი, პროფესორი მ. გიორგაძე) (ბსუ-75, 2010: 110-112). 1999 წლიდან მოქმედებს სასწავლო აუდიო-ვიდეო საშუალებებით აღჭურვილი კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის კაბინეტი მდიდარი სპეციალიზირებული ბიბლიოთეკით. 1996-2012 წლებში ნეოგრეცისტიკის სპეციალობაზე 141 სტუდენტი სწავლობდა (ტაბ. XV, სურ. 305-306, 309-310). ახალი ბერძნული ენის

ტაბულა XIII. ბათუმის ბერძნული სკოლები და ბერძენთა
ღიასკორა



სურ. 161. ბათუმის № 6 ბერძნული სკოლა 1938 წლამდე



სურ. 162. ბათუმის № 6 ბერძნული სკოლა 1938 წლამდე



სურ. 163. ბათუმის № 6 პერძნული სკოლა 1938 წლამდე



სურ. 164. ბათუმის № 8 რუსული სკოლა, 1938 წლიდან



სურ. 165. ბათუმის № 8 რუსული სკოლა, 1970-იანი წლები



სურ. 166. ბერძენი სტუდენტები, ბათუმი, 1927 წ.



სურ. 167. ბათუმის ბერძნული სკოლა, 1938 წელი



ქართული საშუალო სკოლა

სურ. 168. ახალშენის პირველი არასრული საშუალო სკოლა, 1938 წელი (ბერძნული შვიდწლედით 1938 წლამდე)



სურ. 169. ახალშენის ქართული საშუალო სკოლა, 1940 წელი



სურ. 170. ახალშენის სკოლის შენობა




სურ. 171. ახალშენის სკოლის შენობა



სურ. 172. წითელი ოქტომბრის სკოლის ბერძენი მოსწავლეები




სურ. 173. ქობულეთის სკოლა, 1944 წ.



სურ. 174. ბათუმის ბერძნული საზოგადოებრივი სასწავლებლის გეგმა, 1902 წ.



სურ. 175. ჩილინგირიდი ალექსანდრას ატესტატი, შედგენილი ქართულ, ბერძნულ და რუსულ ენებზე, 1926 წ.



სურ. 175 ა. დიმიტრი კოტიდის ბერძნული შვიდწლედის დამთავრების (1929 წ.) მოწმობა, გაცემულია 1932 წ.



სურ. 176. ბერძნული ენის სახელმძღვანელო, 1932 წ.



სურ. 177. ბათუმი, 1912 წ. ბერძნები ეროვნულ სამოსში. ბიჭუნა პირველი რიგის ცენტრში ოდისეი დიმიტრიადი, შემდგომში ცნობილი დირიჟორი, ასევე, გ. მავროპულო და ა. დიმიტრიადი – ბათუმის ქალაქის ხმოსნები



სურ. 178. შეხვედრა ბათუმის ბერძენთა სათვისტომოში, 1996 წელი, ცენტრში ოდისეი დიმიტრიადი, ასევე იანის კესისოვი, მარიაკა მოროზოვა, ნიკოლოზ მაზმანიდი, იოსებ ვენეტიკიდი და სხვები



სურ. 179. ბერძენთა ეროვნული დღესასწაული ბათუმის ბერძენთა სათვისტომოში, 2015 წლის 25 მარტი



სურ. 180. ბერძენთა ეროვნული დღესასწაული ბათუმის ბერძენთა სათვისტომოში, 2015 წლის 25 მარტი



სურ. 181. კესისოვების ოჯახი, იანის კესისოვი (აჭარის ბერძენთა საზოგადოების თავმჯდომარე, 1991-204 წლებში), ნატა კესისოვა, იორდან კესისოვი ოჯახით და პარის კესისოვი



სურ. 182. ო. დიმიტრიადი და ნ. მაზმანიდი ბათუმის დელფინარიუმში



სურ. 183. ბერძენთა ეროვნული დღესასწაული ბერძენთა სათვისტომოში,
2017 წლის 25 მარტი



სურ. 184. ბერძენთა ეროვნული დღესასწაული ბერძენთა სათვისტომოში,
2017 წლის 25 მარტი, მარიკა მოროზოვა, ბათუმის ბერძენთა დიასპორის თავმჯდომარე



სურ. 185. ბერძენთა ეროვნული დღესასწაული ბერძენთა სათვისტომოში,
2017 წლის 25 მარტი, იანის კესისოვი



სურ. 186. ბერძენთა ეროვნული დღესასწაული ბერძენთა სათვისტომოში,
არისტარხ ცანდეკოვი, 2017 წლის 25 მარტი,



სურ. 187. ბერძენთა ეროვნული დღესასწაული ბერძენთა სათვისტომოში,
2017 წლის 25 მარტი



სურ. 188. ბერძენთა ეროვნული დღესასწაული ბერძენთა სათვისტომოში,
2017 წლის 25 მარტი



სურ. 189. 1916-1923 წლებში დაღუპულ ბერძენთა პანაშვიდი ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, 2017 წლის 19 მაისი, კოლივა (კოლიო)



სურ. 190. 1916-1923 წლებში დაღუპულ ბერძენთა პანაშვიდი ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, 2017 წლის 19 მაისი



სურ. 191. 1916-1923 წლებში დაღუპულ ბერძენთა პანაშვიდი ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, 2017 წლის 19 მაისი




სურ. 192. 1916-1923 წლებში დაღუპულ ბერძენთა პანაშვიდი ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, 2017 წლის 19 მაისი



სურ. 193. 1916-1923 წლებში დაღუპულ ბერძენთა პანაშვიდი ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, 2017 წლის 19 მაისი




სურ. 194. 1916-1923 წლებში დაღუპულ ბერძენთა პანაშვიდი ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, 2017 წლის 19 მაისი



სურ. 195. ეროვნულ უმცირესობათა ფესტივალზე ბათუმის ბულვარში, 2017 წლის 31 ივლისი, მარიანა აპოსტოლი



სურ. 196. ეროვნულ უმცირესობათა ფესტივალზე ბათუმის ბულვარში



სურ. 197. ეროვნულ უმცირესობათა ფესტივალზე ბათუმის ბულვარში



სურ. 198. ეროვნულ უმცირესობათა ფესტივალზე ბათუმის ბულვარში



სურ. 199. ეროვნულ უმცირესობათა ფესტივალზე ბათუმის ბულვარში, ელენა სიდროპულო, მარიანა აპოსტოლი, იოლანტა კესოლი და სხვები

სპეციალობის კურსდამთავრებულები მზია ქაღიძე და მადონა ჯინჭარაძე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდნენ დაგვის სკოლაში ბერძნული ენის მასწავლებლებად, ნანა კვაჭაძე – ბათუმის მე-7 და მე-16 სკოლებში (ტაბ. XV, სურ. 305, 309). წლების მანძილზე უნივერსიტეტში ადგილობრივ მასწავლებლებთან (ნ. ძნელაძე, მ. ცენტერაძე, ნ. ლუკაშვილი) ერთად ახალ ბერძნულ ენას ასწავლიდნენ საბერძნეთიდან მოწვეული მასწავლებლები ანდონის ცობანგეორგიუ, გიორგოს ლევენტისი, აპოსტოლოს სულიოსი და გიორგოს ფონტრიე (ტაბ. XV, სურ. 311).

თავი III. პონტოელ ბერძენთა ტრადიციული სულიერი კულტურა

§ 8. ქორწინება და საქორწინო ტრადიციები და ფოლკლორი

აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძენების ტრადიციული კულტურის მნიშვნელოვანი სფერო სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში საქორწინო ტრადიციები იყო, რომელიც იმ სახითაა წარმოდგენილი, როგორც იგი საველე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების შეკრებამ წარმოგვიჩინა. ქალაქ ბათუმში ბერძენთა საქორწინო ტრადიციებთან მიმართებაში, ყურადღება ყოფა-ცხოვრების ისტორიის ცალკეულ მხარესაც მიექცა.

ქორწილი პონტოელ ბერძენებში მოიხსენიება ტერმინით **χαράν**, რაც ითარგმნება, როგორც სიხარული.

საქორწინო წყვილი ერთმანეთს უმეტესად საეკლესიო დღესასწაულების დროს ეცნობოდა ანდა ასეთ დროს ვაჟის დედა რომელიმე სასურველ გოგონას თუ შენიშნავდა, მოიწონებდა, ამაზე შვილსაც მიუთითებდა. თუ შვილსაც მოეწონებოდა და მშობლებს დაეთანხმებოდა, მაშინ საქმე სანახევროდ გადანყვეტილად ითვლებოდა. შვილები მშობლების სურვილის წინააღმდეგნი იშვიათად იყვნენ.

პონტოელ ბერძენთა ოჯახში ქორწინება რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა. მასში მხარეებს შორის მოლაპარაკება, ნიშნობა, საკუთრივ ქორწილი და ქორწილის შემდგომ შესასრულებელი წეს-ჩვეულებები იგულისხმებოდა. ბერძნული ქორწილი, როგორც ძველად, ისე ახლაც შემდეგი ნაწილებისაგან შედგებოდა: მოლაპარაკება, ნიშნობა, ქორწილი და ქორწილის შემდგომი პერიოდი.

ქორწინებისთვის საუკეთესო დროდ მიიჩნეოდა პერიოდი ქრისტეშობამდე, ასევე დროის შუალედი ნათლისღებასა და აღდგომას შორის.

ბერძნული ტრადიციით, ვაჟის საქორწინო ასაკი 18-20 წელს არ სცილდებოდა, ხოლო ქალიშვილისა – 16-18 წლებს შორის მერყეობდა. საერთოდ, ცდილობდნენ ქალიშვილი პირველი მაჭანკლის მოსვლისთანავე გაეთხოვებინათ, რადგან ასეთი შეხედულება არსებობდა: „პირველი ბედნიერება ბრილიანტია, მეორე ოქრო, მესამე კი – ვერცხლი (Демурова, 1982:26-27).

თუმცა, გოგონების მშობლებს ადრეულ ასაკში არ ემეტებოდათ შვილი გასათხოვად. შემდეგ გამონათქვამსაც იყენებდნენ: «**Τα κορίτσα αφήντε ατα, για λυριτσήν θα παίρνε, για ταισλτσή**» („გოგონებს თუ დატოვებ გაუთხოვრებს, ან ლირაზე დამკვრელს გაყვებიან ცოლად, ან ტაულზე დამკვრელს“/ადრეულ ასაკში თუ არ გათხოვდებიან, მაინც კარგ ბედში მოხვდებიან).¹⁷⁶

ქორწინების ტრადიციას პონტოელი ბერძენები გარკვეული თანმიმდევრობის დაცვით და განსაკუთრებული რიტუალების შესრულებით ახორციელებდნენ:

176 სემ, დღიური I-025.

თავდაპირველად ხდებოდა სასიძოსთვის შესაფერისი საპატარძლოს ძიება, რაც ხალხში მოიხსენიებოდა როგორც «**αράξιμαν**» – მოძებნა. საპატარძლოს შესარჩევად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის ხასიათს და როგორც ფიზიკურ, ასევე ეკონომიკურ შესაძლებლობებს. სასურველი იყო ოჯახის მომავალი დიასახლისი სისუფთავის მოყვარე, მშრომელი, მისაღები გარეგნობის და ძლიერი, წელგამართული ოჯახიდან ყოფილიყო. ხალხის აზრით, საპატარძლო თავისი ოჯახის სარკეს წარმოადგენდა, ამიტომაც ამბობდნენ:

«**Τέρεν τὴν οὐσίαν καὶ ἔπαρ τὸ πάνιν – τέρεν τὴν μάνα καὶ ἔπαρ τὸ κορίτζ**» („კუთხეს შეხედე და ტილო აიღე, დედას შეხედე და ქალიშვილი ისე შეირთეო“) (Αθανασιάδης, 1970:123).

კიდევ ერთი ტრადიცია, რომელსაც ქორწინებამდე ჰქონდა ადგილი პონტოელბერძნებში ცნობილი იყო, როგორც «**Τὸ ψαλάφειμαν**», ხოლო აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებთან «**ψαλαφόν**» და ეს სხვა არაფერია, თუ არა მაჭანკლობა. ამ ტრადიციასაც ერთგულად ინარჩუნებდნენ აჭარაში ცხოვრებისას ბერძნები. მას შემდეგ, რაც (ხშირ შემთხვევაში) სასიძოს მშობლები, ზოგჯერ კი თავად სასიძო მოინონებდა რომელიმე ქალიშვილს, მაჭანკალს მიუგზავნიდნენ ოჯახში იმის გასაგებად, თანახმა იყო თუ არა მეორე მხარე მოლაპარაკების გასაგრძელებლად. თუ მაჭანკალი (ή **προξενήτρα**), რომელიც სასიძოს ოჯახის ახლობელი ან მეზობელი იქნებოდა, საპატარძლოს ოჯახში მისვლისას დადებით პასუხს მიიღებდა, იტყოდნენ: «**ἔχτησεν ἄπό**», რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „მან ის ააშენაო“ ანუ საქმე გამოუვიდაო. იმ შემთხვევაში, თუ ქალიშვილის მშობლები უარზე იყვნენ, ადგილი ჰქონდა მოტაცებასაც (**σέρσιμο**).

საპატარძლოს შერჩევის შესაძლებლობა ახალგაზრდა ვაჟებს ჰქონდათ ქორწილში, სამგლოვიარო ცერემონიაზე, სხვადასხვა სახის სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროს, თუმცა, ძველად ხდებოდა სრულიად უცნობი და ერთმანეთის უნახავი ახალგაზრდების შეუღლებაც, რაც დროთა განმავლობაში დავინწყებას მიეცა.

საქორწინო წყვილის შერჩევა, ჩვეულებრივ, ოჯახების შეთანხმების გზით თუ თავად წყვილთა ნება-სურვილით ხდებოდა. წყვილთა ნება-სურვილით შემდგარი ქორწინება განსაკუთრებით ქალაქურ დასახლებებში მცხოვრებ ბერძნულ ოჯახებს ახასიათებდათ. მაგალითად, ჩვენი რესპოდენტის – ანტიგონე ჩილინგარდის დედას თავისი მშობლებისათვის განუცხადებია, რომ მოსწონს აქილევსი და ასე უთქვამს: „მე მინდა აქილევსი“.¹⁷⁷ ეს იყო მისი არჩევანი და მშობლებიც იძულებული გამხდარან ქალიშვილის ნება-სურვილს დამორჩილებოდნენ. როცა სახლში ახალგაზრდა ადამიანი ცოლის მოყვანის შესახებ სურვილს გამოთქვამდა, ე. ი. არჩევანს გააკეთებდა, შემდეგ ბიჭის მშობლები საპატარძლოს ოჯახს სტუმრობდნენ და საუბარში მასპინძლებს თანდათან მისვლის მიზეზს აცნობებდნენ, თუმცა, გოგოს მშობლებისთვისაც, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა გზით ეს ამბავი წინასწარ იყო ცნობილი. დათავისების წესის შესრულების პროცესში, ბუნებრივია, მომავალი სასიძოს ოჯახით საპატარძლოს მხარეც ინტერესდებოდა. მოლაპარაკების დროს მხარეები

177 სემ, დღიური I-026.

თუ შეთახმდებოდნენ, უფრო ზუსტად, თუ ქალის მშობლები თანხმობას განაცხადებდნენ, მაშინ სტუმრებს ყავითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სუფრას არ შლიდნენ. პონტოელ ბერძნებში თანხმობისა და სუფრის გაშლის შემთხვევაში, საქორწინო წყვილთა მომავლის შესახებ იმავე დღეს საუბრობდნენ, მოლაპარაკების საფუძველზე, მხარეები ნიშნობის დროსა და სტუმართა რაოდენობაზეც თანხმდებოდნენ. ეს ცერემონია თუ ამგვარი შეთანხმება ბერძნულად **ლოგოე**’დ იწოდებოდა, რაც ქართულ „სიტყვის მიცემა“-ს შეესაბამებოდა. თუ ადრე სხვების ჩარევით და შუამავლებით ქორწინდებოდნენ, ანდა ახალგაზრდები საეკლესიო დღესასწაულებზე ერთმანეთს ახლო ნათესავების ხელშეწყობით ეცნობოდნენ, ჩვენს დროში მათ ერთმანეთის გასაცნობად უფრო დიდი შესაძლებლობები აქვთ.

მომავალი დიასახლისისგან შეძენილი ოჯახი გარკვეული ვალდებულებების აღებას მოელოდა, რაც, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ იყო გასათხოვი გოგონებისთვის. მათ კარგად იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ ახალ ოჯახში და მზად იყვნენ ამისთვის. რძლის ვალდებულებების შესახებ საუბარია შემდეგ გართიმულ სტრიქონებში:

«**Νύφε δ’ἔβα σὸ νερόν** (რძალო, წადი წყალზე),
Νύφε δ’ἔβα σὰ χορτάρια (რძალო, წადი ბალახის მოსატანად)
Νύφε σπόγγον τὸ μαντρίν (რძალო, გამოხვეტე ბოსელი)
Νύφε πλ’ἔξον καὶ τα’ορτάρια (რძალო, მოქსოვე წინდები)».

თუმცა, რაც არ უნდა მოენადინებინა რძალს ან სიძეს, იცოდნენ, რომ ისინი ვერ დაიკავებდნენ შვილების თანასწორ ადგილს ოჯახში, ანუ როგორც ხალხური სიბრძნე ამბობს:

«**Γαμπρός ἴσός ’κι ἴνεται καὶ νύφε θυγατ’ρα**» („სიძე ვაჟი ვერ გახდება და რძალი – ქალიშვილი“ (**Αθανασιάδης** 1970 :82).

რაც შეეხებოდა სასიძოს, ისიც უნდა ყოფილიყო მშრომელი, კარგი ავტორიტეტის მქონე და ეკონომიკურად ძლიერი ოჯახიდან.

საინტერესოა, ორი ურთიერთგამომრიცხველი აზრის მქონე გამონათქვამის არსებობა, სადაც სწორედ მომავალი სასიძოს ბავშვობიდან შერჩევაზეა საუბარი:

«**Ἄς σ’ οἴλων τὸ καλὸν τὸ παιδίον κι ἄς σ’ οἴλων ὁ κακὸν ἄντρας**» („ყველაზე კარგი ბავშვი შეიძლება ყველაზე ცუდი კაცი დადგეს“) (**Αθανασιάδης** 1970 :81).

«**Ἄς σ’ οἴλων τὸ κακὸν τὸ παιδίον κι ἄς σ’ οἴλων ὁ καλὸν γαμπρός**» („ყველაზე ცუდი ბავშვი შეიძლება საუკეთესო სიძედ გაიზარდოს“)(იგივე:81).

ბერძნები ქორწინების დროს წყვილთა რელიგიას, მათ ეთნიკურ წარმომავლობას, ასევე, ახალგაზრდების სულიერ, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და პროფესიული ცოდნას – ხელობას – ითვალისწინებდნენ. პონტოელ ბერძენს იშვიათად არა ბერძენისათვის მიეთხოვებინა ქალიშვილი, თუმცა, ქორწინებას ქართველთან, რუსთან და სომეხთან, როგორც ქრისტიანებთან, შესაძლებლად თვლიდა, შესაბამისად, პონტოელ ბერძნებში ეთნიკურად შერეულ ქორწინებებსაც ჰქონდა ადილი. რატომ ქორწინდებოდნენ ბერძენი მამაკაცები ქართველ მანდილოსნებზე?

ბიეთნიკური ქორწინების პირობებში რელიგიურ კუთვნილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე, ბერძენი ოჯახების მხრიდან ადგილობრივ ქართულ გარემოში დამოყვრებული ოჯახების, როგორც საყრდენის, მოწონებას, სიახლოვე და მჭიდრო ურთიერთობები განსაზღვრავდა. ბერძენები უმეტესად დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველ ქალებზე ქორწინდებოდნენ ანდა ბერძენი ქალები თხოვდებოდნენ იქ მცხოვრებ ქართველებზე.¹⁷⁸ ამდაგვარი ქორწინებების შესახებ საინტერესო ზეპირი ისტორიებიცაა შემონახული. რადგან აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძენები ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად სხვა მხარეში გარე სამუშაოებზე ხშირად დადიოდნენ, ამდენად საცოლეებსაც იქ ეცნობოდნენ. საველე-ეთნოგრაფიული დაკვირვებების პერიოდში ჩვენ საქორწინო წყვილებზე არაერთი საყურადღებო ბიოგრაფიული ფაქტი დავადგინეთ. სოფელ კვირიკეში კუკური მურადოვის მეუღლე – ანიკო ნიკოლეიშვილი – ეთნიკურად ქართველი იყო. მომავალი ცოლ-ქმრის გაცნობა ახლობლების მეშვეობით განხორციელდა. ანიკოს დედამთილი, ე. ი. მურადის დედა ზესტაფონიდან ყოფილა, ხოლო მისი ძმისშვილი – ბერძენთა რძალი იყო. წყვილს 1964 წელს ერთმანეთი მათი მეშვეობით გაუცნია. ანიკო ნიკოლეიშვილი იმერელი იყო და სამტრედიასში, ხოლო მისი ბერძენი მამამთილის ცოლი, ისიც იმერელი ქართველი, ზესტაფონში ცხოვრობდა. კუკური თვრამეტი წლის ანიკოზე ოცდასამი წლის ასაკში დაქორწინებულა. დღეს მათ ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავთ. გოგონები ქობულეთში ცხოვრობენ, ხოლო ვაჟი საბერძნეთშია ემიგრირებული. ანიკოს რძალიც იმერელი ქართველია, მისი ორი ქალიშვილის მეუღლე კი – ბერძენი. ერთ-ერთი, გიორგი კუსიდი, სოფელ დაგვიდან ქობულეთში დამკვიდრებულა. სხვათაშორის, კუკური მურადოვის მამა – თედორე, რომელიც საბუხრე ქვების დამუშავებით იყო დაკავებული, გარე სამუშაოებზე ზესტაფონში დადიოდა. შვილისათვის – კუკურისათვის, სწორედ მან შეარჩია საცოლე – ზესტაფონელი ანიკო ნიკოლეიშვილი [მთხრობელი: ანიკო ნიკოლეიშვილი, 1946, სოფელი კვირიკე (ქობულეთის რაიონი)].¹⁷⁹ მსგავსია ცნობილი ბათუმელი ფეხბურთელის, ანზორ კავაზაშვილის პონტოელ წინაპრებთან დაკავშირებული ისტორია: ტრაპიზონიდან საქართველოში ჩამოსული ბაბუა, ქვისმთლელი კონსტანტინოს ხრისტოფოროსის ძე კავაზისი, ტაძრის მშენებლობაზე მუშაობდა ჩოხატაურში, სოფელ სამებაში, სადაც დაქორწინდა ადგილობრივ ქალიშვილზე მინადორა ბურჭულაძეზე. კოსტა-ბერძენი, როგორც მას აქ უწოდებდნენ, გურიაში დარჩა საცხოვრებლად და გვარიც შეიცვალა. მისი ვაჟი, ამბერკი კავაზაშვილი ბათუმში დაფუძნდა. მოგვიანებით კოსტას კავაზისის შთამომავლების ნაწილმა ბერძნული გვარი დაიბრუნა.¹⁸⁰

ბერძენები ქორწინებას აჭარლებთანაც დასაშვებად მიიჩნევდნენ. პონტოელი ბერძენისათვის მუსლიმან აჭარელთან დამოყვრება მიუღებელი არ იყო გამომდინარე იქედან, რომ მიუხედავად მაჰმადიანობისა, კულტურაში ტრადიციულ ელემენტებთან ერთად, აჭარული ოჯახი იმ

178 სემ, დღიური II -041.

179 სემ, დღიური II -042.

180 Н. Кавазис, Анзор: путь в Большой футбол, газета «Батуми», №3, 1994, с. 3

ქრისტიანულ ჩვევებს ინარჩუნებდა, რომელსაც ხშირად ფარულად და ქვეცნობიერად წარმართული და მუსლიმანური ფასეულობების საფარქვეშ ასრულებდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ აჭარლები და პონტოელი ბერძნები სოფელში მეზობლობდნენ, ყოველდღიური ცხოვრების რიტმსა და ცხოვრებისეულ ციკლში ერთობლივად იყვნენ ჩართულნი. ყოფილა შემთხვევები, როცა საქორწინო წყვილის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც აჭარელი იყო და ქორწინებაში ბერძენთან იმყოფებოდ, ქრისტიანულად მონათლულა და მართმადიდებელი გამხდარა.¹⁸¹

ბერძნულ დიასპორაში შერეულ ქორწინებას ხშირად ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით, რუსი ეროვნების წარმომადგენლებთან, მაგრამ მაინც ბერძენი ბერძენზე დაქორწინებას ამჯობინებდა, ბერძნული დიასპორის წევრები ქორწინებას ეთნიკურად და რელიგიურად ერთმორწმუნეებთან არჩევდნენ, რაც ბუნებრივია, მათ სურდათ შეენარჩუნებინათ თავისი ეთნიკური იდენტობა, რელიგია და ტრადიციული თვითმყოფადობა. პონტოელი ბერძნები მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველები იყვნენ, ეს საქორწინო ტრადიციებშიც აისახებოდა. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც, მიუხედავად აკრძალვისა, წყვილები ტაძარში იწერდნენ ჯვარს, საეკლესიო წესების დაცვით. ტაძარში დაქორწინებისათვის განკუთვნილი ქალის თავსაბური ბევრ ოჯახში განსაკუთრებულად ინახებოდა.¹⁸²

ბერძნული დასახლების მთლიანობისა და ერთიანობის ერთ-ერთ გამომხატველი ეკლესია იყო. საეკლესიო დღესასწაული ახალგაზრდობისა და, საერთოდ, მოსახლეობის თავშეყრის მიზეზი ხდებოდა. სწორედ საეკლესიო დღესასწაულების პერიოდში მოწყობილი თავყრილობისას მომავალი წყვილების შერჩევას ჰქონდა ადგილი და იქ საპატარძლოების დათავისებაც ხდებოდა. ბერძენი გოგონას სადღესასწაულო სამოსის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი თეთრი თავსაფარი იყო. დღესასწაულის მსვლელობის დროს დასაქორწინებელი ვაჟი გოგონას მანდილს მხარზე თუ გადაუგდებდა, ეს ნიშნავდა, რომ მას და მის ოჯახსაც იგი ცოლად მოწონებული ქალიშვილის მანდილის მხრებზე შეგდებისას ვაჟი სიტყვიერადაც დააყოლებდა „ძალა ღმერთისაგან, გოგო ჩემიო“ (Демурова, 1984:13). ბუნებრივია, ეს წესი გოგოს დათავისების მიმანიშნებელი იყო. ქალზე ხელის დადებით, მისკენ ქუდის სროლით დათავისება, რაც ქალიშვილზე მამაკაცის – მომავალი მეუღლის – უფლების გამომჟღავნებად ითვლებოდა, ცნობილი ადგილობრივ მოსახლეობაში – აჭარლებშიც იყო. აჭარის მთიანეთში ქალზე მანდილის – **სილგი**'ს მოხდით დათავისების ფაქტი დიდხანს იყო შემონახული. ეს წესი აჭარის მეზობელ ტაო-კლარჯეთს და მის მომიჯნავე შავშეთ-იმერხევსაც შემორჩა. საინტერესოა, რომ აღნიშნული ჩვეულება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპისრეში მცხოვრებ იმ ლაზებსაც ახასიათებდათ, რომლებიც ისტორიულად ანატოლიელ ბერძნებთან მჭიდრო კულტურულ კვშირში იყვნენ (მგელაძე, 1996:213). საერთოდ, ეს წესი საზოგადოებრივი ცხოვრების ადრეულ საფეხურზე, პატრილოკალურ დასახლებაში, როგორც ჩანს, უნივერსალური მოვლენა უნდა ყოფილიყო და არა მარტო საქართველოსა თუ ზოგადად კავკასიის მოსახლეობისათვის,

181 სემ,დღიური II -043.

182 სემ,დღიური II -044.

არამედ მსოფლიოს მრავალი ხალხისათვის იყო ნიშანდობლივი. ქალის დათავისებამდე აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძენი თავისი რჩეულის შესახებ ჯერ მშობლებს განუცხადებდა, რადგან მათთან შეთანხმება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ, ოჯახის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, ქალის დათავისების აღნიშნულ წესს ასრულებდა.

მას შემდეგ, რაც დაინტერესებული მხარე (სასიძოს ოჯახი) საპატარძლოს ახლობლებისგან მიღებაზე თანხმობას მიიღებდა, მომავალ კვირა დღეს ნიშნობის ჩასატარებლად იწყებდა სამზადისს, რაც პონტოელ ბერძნებში მოიხსენიებოდა როგორც «**συσμάνδ, σουσμάνδεμαν** ან **თჟამდ**», – ესე იგი ნიშნობა.

ნიშანში პატარძლისათვის განკუთვნილი საჩუქრები, ნიშნობის ბეჭედი, რამდენიმე ნაჭრის საკაბე და ფეხსაცმელი ერთიანდებოდა. საჩუქრებს პატარძალთან სპეციალური ჩანთით წინასწარ აგზავნიდნენ. ვისაც სასაჩუქრე ჩანდა პატარძალთან მიჰქონდა ათი-თხუთმეტი მანეთით ჯილდოვდებოდა. საქმროს საჩუქრებს სამი-ოთხი პერანგის, პიჯაკისა თუ ბეჭედის სახით საცოლვეც უმზადებდა. ტერმინი **ნიშან’ი** მათ ადგილობრივი მოსახლეობისაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ნიშნობის აღმნიშვნელად ბერძნებში ტრადიციული ტერმინი – **სიმაღია**’ც გამოიყენებოდა (გიორგაძე, მგელაძე, 2002²). **სიმაღია** სადღესასწაულო ვითარებაში ჩაივლიდა ხოლმე. ეს იყო დასამოყვრებელ ოჯახთა პირველი შეკრება, სადაც ურთიერთგაცნობა და დაახლოება ხდებოდა. საქმრო წვეულებაზე იმ ადამიანებს მიიპატიჟებდა, ვისთანაც ახლო ნათესაურ ურთიერთობებში იმყოფებოდა და მეგობრობდა. მოწვეულთა რიცხვი დაახლოებით თხუთმეტს უახლოვდებოდა. თავის მხრივ, ნათესავ-მოყვრებს მომავალი საპატარძლოს მხარეც იწვევდა, მაგრამ, როგორც ეს აჭარის ადგილობრივ მოსახლეობაშიც ტრადიციულად ხდებოდა, ბერძნებიც წვეულებაზე დედის მხრის ყოფნას უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. ნიშნობისათვის ვაჟი საჩუქრებს ამზადებდა და საცოლის ოჯახში თანხმლებლებით მიემგზავრებოდა. პატარძლის სახლში წვეულებისათვის განკუთვნილი ღვინის მიტანაც საქმროს მხარის ვალდებულება იყო.

ნიშნობისას საჩუქრებს, პირველ რიგში, სარძლოს ჩუქნიდნენ, თუმცა როგორც ითქვა, ბეჭედი საპატარძლოს გამზადებული საქმროსათვისაც ჰქონდა. ეს საჩუქრები ზოგადად ნიშნის – **სიმაღემა**’საგან შედგებოდა. **სიმაღემა** კი სამკაულებისაგან – ბეჭდებისაგან და სხვა ტიპის საჩუქრებს მოიცავდა (გიორგაძე, მგელაძე, 2002). საკუთრივ ნიშნობის პროცესს, თავდაპირველად, მომავალი მეფე-პატარძალი არ ესწრებოდა. ისინი ცალკე ოთახში იმყოფებოდნენ და სტუმრებთან იმ დროს შედიოდნენ, როცა მათ სადღეგრძელოს იტყოდნენ. მომავალი სადედამთილო ახალგაზრდებს სწორედ ამ დროს ეძახდა, ულოცავდა და საპატარძლოს ბეჭედსაც ჩუქნიდა. სხვათაშორის, არა მარტო ნიშნობის, არამედ საქორწილო ნადიმის დროსაც ამ წესს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონშიც იცავდნენ. პონტოელი ბერძნები თვლიდნენ, რომ ნიშნობის შემდეგ პატარძალი ქმარს ეკუთვნოდა. ახალგაზრდებს ნება ეძლეოდათ დღესასწაულების დროს ამა თუ ოჯახში სტუმრად ერთად წასულიყვნენ, ქორწილამდე საქმროს შეეძლო საცოლის ოჯახში მისვლა და მასთან შეხვედრა. ხშირად ეს დედის თანდასწრებით ხდებოდა. უმეტესად საპატარძლოს დედა

სიძე-დედოფლის შუაში ჯდებოდა, რათა საქორწინო წყვილს შორის სასიყვარულო ხვევნა-კოცნას ადგილი არ ჰქონოდა. მოგვიანო პერიოდში კინოსა და თეატრის შემოსვლის შემდეგ საქორწინო წყვილს უფლება ჰქონდათ იქაც ევლოთ.

სასიძო მშობლებთან და ნათესავებთან ერთად მიემართებოდა საპატარძლოს სახლისკენ და ნიშნთან (ბეჭედთან ერთად) სხვა საჩუქრებსაც გადასცემდა მომავალ მეუღლეს. ბეჭედი – «**τὸ δαχτυλίδ**» სასიძოს ოჯახური ბიუჯეტიდან გამომდინარე იყო ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის. პონტოში ცხოვრების დროს ხშირად ამ პროცესიას სასულიერო პირიც ახლდა, რაც დროთა განმავლობაში აჭარაში მიგრირების შემდეგ იშვიათად ხდებოდა. ახალ მოყვრებს ბეჭედებთან ერთად თან მიჰქონდათ ე.წ ნიშნობის პური – «**συσμαδιψάμ**», მოხალული თხილი – «**τὰ καβισριδισμ'ῶα λεφτοκάρια**» და კანფეტები – «**τὰ κουφέτα**». ნიშნობის დღეს ქორწილთან დაკავშირებით საბოლოო გადანყვეტილებას იღებდნენ, მომავალ ცოლ-ქმარს ბედნიერებას და დღეგრძელობას უსურვებდნენ, რაც მთქმელების თქმით შემდეგნაირად გამოიხატებოდა:

«**Νὰ ζ'ῆνε καὶ νὰ χ'ῤευνε!**» – „იცოცხლეთ და იხარეთ!“

«**Ὁ Θεὸν νὰ πῶλυ χρονὶ εἰσῶε!**» – „ღმერთმა გადღეგრძელოთ, მრავალი წელი გაცოცხლოთ!“¹⁸³

ნიშნობა, როგორც წესი, ღვინით სრულდებოდა. სოფლად მცხოვრები პონტოელი ბერძნების ნიშნობის დროს მექორწინელები სხვადასხვა ხასიათის თამაშობებით ერთობოდნენ, მაგრამ ამ მხრივ **ფატიკა (ფადიკა)** გამოირჩეოდა, რომელიც სამხრეთ საქართველოს ქართულ მოსახლეობაში გავრცელებულ ფათიკოსა და ბერიკაობა-ყეენობასთან ძალზე ახლოს იდგა, რაც ანატოლიასა და საქართველოში ბერძნულ-ქართული კულტურული გავლენების კიდევ ერთი დადასტურებაა. წარმოდგენა **ფატიკა** ამ დროსაც იდგმებოდა. ჩვეულებრივ, მამაკაცი ქალის კაბას იცვამდა და ცეკვავდა. წარმოდგენაში მონაწილეობას თორმეტი მამაკაცი ღებულობდა: ფადიშაჰი, მზარეული, ექიმი, ოფიცერი და სხვები. **ფადიშაჰი** მღეროდა, ხოლო სხვები „სკიპტრაზე“ უკრავდნენ, შემდეგ კი – სიუჟეტის თეატრალიზაციას ახდენდნენ, რომლის ამოსავალი ფატიკას ავადმყოფობა იყო. იგი ტკივილისაგან იგრიხებოდა და მიწაზე ეცემოდა. მოსეირნებიც ექიმს ეძებდნენ, მაგრამ ამ დროს შენუხებული სახით ეშმაკი – **შაითანი** გამოჩნდებოდა. იგი ავადმყოფს ჯოხით სცემდა. ყველანი ყვიროდნენ, იყო ღრინაცელი და არეულობა, მაგრამ უეცრად ჟანდარმები გამოჩნდებოდნენ და მიუღებელი ეშმაკი არენიდან გაჰყავდათ. ბოლოს ექიმი მოდიოდა და ავადმყოფს მკურნალობდა, მკურნალობაში კი – ფულს ღებულობდა. ამდენად, ნიშნობა სადღესასწაულო განწყობით და საერთო მხიარულების გარემოში მიმდინარეობდა.¹⁸⁴

ნიშნობის დღეს გადაწყდებოდა ქორწილის დროც. ჩვეულებრივ გამოსასვლელ დღეებს – შაბათსა და კვირას არჩევდნენ. ღარისა დემურავას მიერ ბერძნულ დიასპორაში საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს შეკრებილი მასალებით, დრო ნიშნობიდან ქორწილამდე რამდენიმე თვეს გრძელდებოდა, მაგრამ მისი აზრით წარსულში ეს დრო უფრო ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო

183 სემ, დღიური I -027.

184 სემ, დღიური II -045.

(Демурова, 1982:3; 1987:3-4; დემუროვა, 1987:65-70). საერთოდ, ქორნილი განსაკუთრებულ სამზადისს საჭიროებდა. მას უმეტეს შემთხვევაში სახლში იხდიდნენ. სუფრის მომზადებაში მეზობლები-სა და ახლო ნათესავების მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩვეულებრივ, საქორნილო სამზადისში მონაწილეები – ძმები, დები, ბიძა-დეიდები, ბიძაშვილები და მეზობელ-ახლობლები იყვნენ. სტუმართა რაოდენობა ქალაქში დაახლოებით ოცდაათი-ორმოცი ადამიანით შემოიფარგლებოდა, სოფლად კი ეს რიცხვი ორმაგად იზრდებოდა. საქორნილო წყვილის ოჯახებში საჩუქრად ჭურჭელი და თეთრეული მიჰქონდათ. გვიან ფულის ჩუქებაც დაიწყო. პონტოელ ბერძენთა სტუმართა წრეში გამოკვეთილი ადგილი ნათლიასა და მის ოჯახს ეკავა. ნათლიას როლი იმდენად დიდი იყო, რომ სასიძო საპატარძლოს ოჯახში მასთან ერთად მიემგზავრებოდა.

ნიშნობიდან ორი კვირის შემდეგ პონტოელი ბერძენები კიდევ ერთ რიტუალს ატარებდნენ, რომელიც მოიხსენიებოდა, როგორც «Γαμπροαλέ» – სიძის მოპატიჟება. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენებთან კი – «Γαμπροαλέματα». ამ რიტუალის არსი შემდეგში მდგომარეობდა: საპატარძლოს მშობლები სასიძოს შინ მოიპატიჟებდნენ, ეს უკანასკნელი ახლობლებისა და ლირაზე დამკვრელის თანხლებით სტუმრობდა ახლად შექმნილ მოყვრებს, საპატარძლოს ოქროს ჯვარს ჩუქნიდა და სამაგიეროდ მანდილს მიიღებდა, როგორც სიყვარულში ერთგულების სიმბოლოს.¹⁸⁵

ქორნილის დღემდე 8 დღით ადრე ხდებოდა «Λογόπαρμαν» – სიტყვის, პირობის აღება. აჭარაში ეს რიტუალი ცნობილი იყო, როგორც «λογοκόψημον» – სიტყვის გაჭრა და იგი შემდეგში მდგომარეობდა: სალამოს სასიძოს ოჯახის წევრები (მამა, ბიძა და მომავალი მეჯვარე) საპატარძლოს სტუმრობდნენ და სიტყვას აძლევდნენ, რომ მომავალ კვირას დანიშნული ქორნილისათვის ყველაფერი მზად იქნებოდა. ეს რიტუალი ხანმოკლე სუფრით მთავრდებოდა.

წინა საქორნილო რიტუალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა «Τὸ λουτρόν τῆς νύφης» („საპატარძლოს დაბანა“), რომელიც პონტოში იყო მიღებული, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შორის კი – იშვიათობას წარმოადგენდა. შესაბამისად, ქორნილის წინა დღეს საპატარძლოს აბანოში წასვლა სასიძოს ან მეჯვარის ხარჯებით, დავიწყებას მიეცა.

ნიშნობის და, საერთოდ, ქორნილების ერთ-ერთი პირობა მზითვი გახლდათ. მზითვი – პრიკო სხვადასხვა ნივთებისაგან: ხის კომოდისგან – სკრინო¹⁸⁶საგან შედგებოდა, რომელშიც სამზითვო ქონება, ლოგინისათვის საჭირო ატრიბუტები, უმეტესად, თეთრეული თავსდებოდა. საპატარძლოს ტანისამოსი წინასწარ იყო მომზადებული და, როგორც ზემოთაც ითქვა, პატარძლის ოჯახში მიტანილი.

ძველი პონტოური ბერძნული ქორნილი პატარძლის მამისეულ სახლში ქორნილს არ ითვალისწინებდა. ადრე პატარძალი ქმრისეულში უმაღვე მიჰყავდათ და ქორნილი ვაჟის მამისეულ სახლში იმართებოდა. ბერძნული ქორნილი რიგი წეს-ჩვეულების, მათ შორის, მუსიკის თანხლებით ტარდებოდა, რაც ქორნილს ტრადიციულ იერსახეს ანიჭებდა. ასევე, საქორნილო ურთიერთობები

185 სემ, დღიური I-028.

არაერთ მაგიურ ქმედებასთან იყო დაკავშირებული. როცა საქმრო საპატარძლოსთან ერთად ეკლესიაში მიდიოდა, მფარველობის მიზნით, უკანა რიგებში ახლობლები დგებოდნენ და საქორწინო წყვილს თვალყურს ადევნებდნენ, განსაკუთრებით მეთვალყურეობდნენ სასიძოს დაშნას, რათა იგი უცხოს ხელში არ აღმოჩენილიყო, რადგან ამას, გადმოცემით, შესაძლოა, სიძე-პატარძლის მოჯადოება გამოენვია, ამასთან, ეს ფაქტი საცოლესა და საქმროს ურთიერთობების ჩაშლასაც გამოიწვევდა, რაც წარმოდგენების თანახმად საბოლოოდ მათი გაყრით დასრულდებოდა. საქორწინო ცერემონიალის პერიოდში წყვილი გადაჯვარედინებული ხანჯლების ქვეშ გადიოდა, მაგრამ სანამ ახალდაქორწინებულები გაივლიდნენ, თუ ვინმე მოასწრებდა დაშნების ქვეშ მანამდე გავლას, მაშინ ეს საქმროს მამაკაცურ ძალაზე უცილობლად აისახებოდა (დემუროვა, 1984:24, 48). საპატარძლოს სახლში მისულ სიძეს გამოსასყიდის გარეშე კარ-მიდამოში არ შეუშვებდნენ. საპატარძლოს სახლში შესვლის დროსაც გამოსასყიდის გადახდა კვლავ უნდა მომხდარიყო, რადგან გამოსასყიდის გარეშე მთავარ ოთახში ვერავინ ვერ შევიდოდა. საპატარძლოსათვის გამოსასყიდს საპატარძლოს დაქალებიც ითხოვდნენ. ამ დროს დედოფალი ჩაცმულ-მოკაზმული იყო და საქმროს ელოდებოდა. ოთახში ნეფე-პატარძალს ერთად აყენებდნენ. მათ თავზე კანფეტებსა და თხილს გადააყრიდნენ, რის შემდეგ ნეფე-დედოფალი გაშლილ სუფრასთან ნათლიასა და ნათლიდედას გაჰყავდათ. სასიძო და ნათლია ერთნაირად იყვნენ შემოსილნი. წყვილს ახლომდგომნი ულოცავდნენ, რის შემდეგაც მაგიდებს სტუმრებიც შემოუსხდებოდნენ და ჩვეულებრივი ლხინი იწყებოდა. ახალდაქორწინებულებს სუფრაზე ცენტრალური ადგილი ეკუთვნოდათ, მათთან მაგიდაზე გვერდით ნათლია და ნათლიდედა ისხდნენ. ქორწილის მსვლელობის შუა ნაწილში და საერთო მხიარულების პროცესში ერთ-ერთ მაგიდას საჭმელ-სასმელისაგან ათავისუფლებდნენ, მაგიდაზე ახლობლები, მეზობლები და, საერთოდ, მოწვეული სტუმრები საჩუქრებს ალაგებდნენ. ამ დროს, სუფრის თავში, ერთ-ერთი შინაური სახით წვეულებისაკენ და ნეფე-პატარძლისაკენ დგებოდა, პრეზენტაციულად მირთმეულ საჩუქრებს და, ასევე, მჩუქებლის ვინაობასაც ასახელებდა (Демурова, 1982:4-5; 1987:4-5). სტუმართაგან მორთმეული საჩუქრების დემონსტრირების დაახლოებით ამდგვარი ჩვეულება დასტურდება საქართველოს ზოგიერთი კუთხის მოსახლეობის საქორწინო ტრადიციებში, მაგალითად, ბორჯომის ხეობაში. სხვათა შორის, ბერძნულ ქორწილში, აღნიშნულმა წესმა, ბოლო დროს, მეზობელი ქართველი მოსახლეობის ზეგავლენით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახე იცვალა. საჩუქრებისათვის ცალკე მდებარე მყუდრო ოთახში დგას მაგიდა, სადაც სტუმრები მათთვის განკუთვნილ რვეულში სახელითა და გვარით აღინიშნებიან და ამავდროულად ნეფე-პატარძლის სადღეგრძელოს სვამენ.

ქორწილის დღისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდა როგორც პატარძალი (**νύφη**), ასევე სიძე (**γαμπρόν**). ქორწილის დღეს, დილით სიძის ოჯახში მოიწვევდნენ დალაქს და მისაღებ ოთახში ხდებოდა მისი მონესრიგება. დალაქი მხოლოდ მაშინ შეუდგებოდა საქმეს, როცა დასაჩუქრდებოდა და სიძეს მიმართავდა «**καλορίζκος!**» – მშვიდობაში! ამ სურვილის სიტყვასიტყვით თარგმანი კი სრულიად განსხვავებულია: „კარგ ფესვად!“ მას შემდეგ, რაც სიძის მეგობრები იმღერებდნენ და

იცეკვებდნენ, სიძე ჩაიცვამდა ამ მნიშვნელოვანი დღისთვის შესაბამის ტანსაცმელს, «**γαμπριάτικα ρούχα**» – ე.წ. სიძის სამოსს და იწყებოდა მისთვის საჩუქრების გადაცემა, «**τὸ χάρισμα**» – „ჩუქება“.¹⁸⁶

რაც შეეხება პატარძალს, მისი დავარცხნა, ჩაცმა და მორთვაც ახლობლების გარემოცვაში დიდი ზარ-ზეიმით ხდებოდა. პატარძლის ოჯახში მოსვლას და მის წამოყვანას აჭარაში მოიხსენიებდნენ, როგორც «**συμφέπαραμα**», მაშინ როცა საერთო, უფრო მეტად გავრცელებული ტერმინი იყო «**σφόπαραμα**» და ითარგმნებოდა, როგორც პატარძლის წამოყვანა. ეს რიტუალი იწყებოდა იმით, რომ სიძის სახლიდან პატარძლის ოჯახისკენ მუსიკის, ცეკვა-სიმღერის თანხლებით მოემართებოდა პროცესია, რომელსაც სათავეში ედგა სიძე მეგობრებისა და მეჯვარის თანხლებით. როცა მაყარი პატარძლის სახლს მიუახლოვდებოდა, ჭიშკრის წინ იჭიმებოდა ბანარი – «**τραβούσαν σκίβν**» და სიძეს არ ჰქონდა სახლში შესვლის უფლება მანამდე, სანამ მეჯვარე „ქათამს არ გამოისყიდდა“. ამ ტრადიციას მოიხსენიებდნენ როგორც „ქათმის ყიდვას“ – «**ἡ αγοράτῆς κοσσάρας**» და ქობულეთში დაბადებული და გაზრდილი, ამჟამად კი ისტორიულ სამშობლოში, საბერძნეთში მცხოვრები მარია გრამატიკოპულოს ინფორმაციით, „ძალზე გავრცელებულ საქორწინო ტრადიციათა რიცხვს მიეკუთვნებოდა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შორის“.¹⁸⁷ ზემოთხსენებული მთქმელი შემდეგნაირად აღწერს ამ საქორწინო რიტუალის ჩატარების პროცესს: „სასაცილოდ მორთული ქათამი, რომელსაც სპეციალურად შეკერილ სასაცილო ტანსაცმელსაც აცმევდნენ, მეჯვარეს უნდა ეყიდა პატარძლის ნათესავებისგან და მხოლოდ სასურველი თანხის მიცემის შემდეგ შეუშვებდნენ სიძეს თავისი თანმხლებითურთ სახლში. ამის შემდეგ მას დამალული პატარძალი უნდა ეპოვნა, რასაც „პატარძლის ძებნის“ წესი – «**Ἀράεμαν τῆς νῆφες**» – ერქვა.¹⁸⁸

პონტოში, ახალშექმნილი ოჯახის დალოცვის შემდეგ პროცესია ეკლესიისკენ მიემართებოდა ჯვრის დასაწერად – «**για στεφάνομα**», რაც იშვიათი იყო აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენებთან, ვინაიდან როგორც თვითმხილველნი იხსენებენ, სოფლების ეკლესიათა უმრავლესობა დაკეტილი იყო და ლიტურგია არ ტარდებოდა. ამიტომაც იძულებული იყვნენ ან მალულად დაეწერათ ჯვარი სოფლის რომელიმე ოჯახში, ან ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში მიდიოდნენ.

ქორწინის საბოლოო ეტაპზე სიძის ოჯახში იშლებოდა სუფრა, რომელიც იმართებოდა ორივე მხარის მონაწილეობით. საქორწინო სუფრა სავსე იყო პონტოელ ბერძენთა ტრადიციული კერძებით და არა მხოლოდ. ერთ-ერთი მონათხრობის მიხედვით, აქ ვნახავდით შემდეგ კერძებს: «**κοφτάδες**» – ტოლმა, «**κοσσαρή κρέας**» – ქათმის ხორცი, «**μουχτερή κρέας**» – ღორის ხორცი, «**γემιστ'ε μαντζάνες**» – შეკმაზული ბადრიჯანი, «**τσουμιχτά**» – ბოსტნეულის ფხალი, «**τυρία**» – ყველი, «**έλι'ε**» – ზეთისხილი, «**τουρσία(άγγουρία, λαχανί)**» – მჟავე კიტრი, კომბოსტო და სხვა, ასევე ვხვდებოდით ადგილობრივ, ქართულ კერძებს, რომელთა ქართული სახელები უცვლელად

186 სემ, დღიური I-028.

187 სემ, დღიური I-029.

188 სემ, დღიური I-030.

შევიდა მათ ლექსიკაში. მაგალითად, პონტოელ ბერძენთა საქორწილო სუფრას აუცილებლად ამშვენებდნენ: «Τὰ χατσαπούρια» – ხაჭაპურები, «τὰ τσάντια» – ქაღებები, «τὰ σασλίκια» – მწვადები, «τὸ σατοΐφι» – საცივი და მრავალი სხვა.¹⁸⁹

თუმცა, ძველად საქორწინო რიტუალი აქ არ მთავრდებოდა. ლხინის შემდეგ ტარდებოდა «Τὸ ἀποκαμάρωμαν» – „ოთახში განმარტოების რიტუალი“ და მას ადათის მიხედვით მოჰყვებოდა სიმღერა «θυμαιστόν» შემდეგ კი – პატარძლის პირველი ცეკვა. ამ ცეკვაში 7 წყვილი და ერთი ცალკე მყოფი ადამიანი მონაწილეობდა და მისი სახელწოდებაც «Ἐφτά ζευγάρια καὶ τὸ τεκ» – „შვიდი წყვილი და ერთი მარტო“ სწორედ აქედან მომდინარეობდა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამ წყვილების წევრები ერთხელ უნდა ყოფილიყვნენ დაოჯახებულნი, «μονοστ’φανα», «πρωτοστ’φανα», სხვა შემთხვევაში, მათ არ ჰქონდათ ცეკვის უფლება.

ქალიშვილის დედასთან დამშვიდობება ამაღელვებელ მომენტს წარმოადგენდა, და ნალვლიანი სიმღერის ფონზე ხდებოდა:

Σ ἡμερον μάρως οὐρανός, σ ἡμερον μάρη ἡμ’φα (დღეს შავია ცა, დღეს შავი დღეა),

Σ ἡμερον θὰ χωρίζονταν μάνα καὶ θυγατ’φα (დღეს დედა– შვილის დაშორების დღეა).

Σ ἡμερον τ’ἡλιοκόρασον δὺο καρδία ἔχει (დღეს მზის ქალიშვილს ორი გული აქვს),

τ’σαν ἀφ ἴγει ση κυρὸν καὶ τ’ἄλλο παίρ’ καὶ πᾶει (ერთს მამის სახლში ტოვებს, მეორე – თან მიაქვს).

Ὅσ ἡμερον τὸ κόρασον δὺο πόρτας ἀνοίγει (დღეს ქალიშვილი ორ კარებს აღებს),

τ’έναν ἀνοίγει καὶ ἀσπαλεί καὶ τ’ἄλλο ἀνεί καὶ ἐμπαίνει (ერთს აღებს, ივიწყებს, მეორეს აღებს და შედის) (Χαϊρόπουλος 2007:58).

პატარძლის ოჯახში ქორწილი მთელი ღამე გრძელდებოდა. პატარძლის წამოყვანისას მაცრიონს მასპინძლები ბანრით გზას უკეტავდნენ. საქმრომ წინააღმდეგობის გარეშე რომ გაიაროს, ამისათვის გამოსასყიდი უნდა გადაიხადოს. გამოსასყიდის გადახდას თავზე ნათლია იღებდა. ამდენად, მეორე დღეს პროცესია სიძის ოჯახში ინაცვლებდა. აქ დედოფალს დედამთილი ხვდებოდა, რომელიც ახალდაქორწინებულებს თავზე კანფეტებსა და ფულს გადააყრიდა, ასევე, ოქროს ყელსაბამს აჩუქებდა. შემდეგ ნეფე-დედოფალი ოჯახის ძირითად სამყოფ ოთახში მიჰყავდათ, სადაც შესასვლელ კარებთან დედოფალს თეფშს დაუდებდნენ. პატარძალს თეფში უნდა გაეტეხა. სამყოფ ოთახში დედოფალს კალთაში პატარა ბიჭს ჩაუსვამდნენ, რაც ვაჟიანობის სურვილსა და მშობიარობის თავისებურ იმიტაციას გამოხატავდა. ეს უკანასკნელი საქორწინო ჩვეულება ქართველებში და ქართველური წარმომავლობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფებში ფართოდ იყო გავრცელებული. საპატარძლოს ოჯახში ქეიფი მთელი ღამის მანძილზე გრძელდებოდა, უკრავდა მუსიკა, მიწვეული სტუმრები ცეკვავდნენ და საერთო სამხიარულო ფონს ქმნიდნენ, განსაკუთრებით, ახალგაზრდები მხიარულობდნენ. ქორწილის მონაწილენი, ძირითადად, ბერძნულ ცეკვებს

ასრულებდნენ. ზოგიერთ სოფელში მუსიკოსები ტრადიციულ ინსტრუმენტზე – ქემენჩეზე უკრავდნენ. ბერძნულ მოსახლეობაში ვაჟის ოჯახში ქორწილი მთელ დღეს, ზოგჯერ, დღე-ღამითაც კი გრძელდებოდა, ამდენად, საქორწილო ფოლკლორის რეპერტუარიც მრავალფეროვანი იყო. ლექს-სიმღერები თეატრალიზებული სიუჟეტების თანხლებით სრულდებოდა. ერთ-ერთი ასეთი იყო „ბერიკაცი და დედაბერი“. ბერიკაცი და დედაბერი რის ვაივაგლახით დადიან – ლასლასებენ, უკვე ცხოვრებისეული ციკლის ბოლო საფეხურს მიაღწევენ. მოხუცი დაეცემა და დედაბერს ალერსიანად მოუხმობს. ისინი თავიანთ ცხოვრებას იხსენებენ და ასკვნიან, რომ ყველანი იმისათვის იბადებიან, რათა საბოლოოდ გარდაიცვალონ. ხიდზე მოკლევადიანი გოგონა დგას, იგი თვალებით სასურველს გაფაციცებით ეძებს და ახალგაზრდა დევგმირს ელოდება. ისიც მოდის და გულები ერთმანეთს ერწყმიან და ერთმანეთს ტკბილად ეამბორებიან, მომავალ ქორწინებაზე ჩურჩულით საუბრობენ, მსჯელობენ თუ როგორ ჩატარდება საქორწინო ცერემონიალი. გოგონა პატარძალი გახდა, თეთრი კაბა ჩაიცვა და საბოლოოდ ისინი დაინიშნებიან. სიმღერა დედაზეც მრავალმხრივია საინტერესო. დედა – ცივი წყალია, რადგან პონტოელი ბერძნების აზრით, დედა ყველაზე მეტად წყალს აფასებს. დედა ეს ბორცვია, მთაა, რომელიც ყველაზე რთულ ვითარებაში დაგიცავს. ამქვეყნად დედის სიყვარულზე უფრო ამაღლებული სიყვარული არ არსებობს.¹⁹⁰

ქორწილი მთავრდებოდა, პატარძალი პირველი ღამის შემდეგ სარეცლის ზენარს მალავდა. სახლეულის ქალები ზენარს ნახულობდნენ და ქალის სინმინდეს საჯაროდ ადასტურებდნენ. საღამოთი პატარძლის მხარე ჰალვას ამზადებდა და ქმრის სახლში გადაჰქონდა. ამასთან, საქალიშვილო ზენარც გასარეცხად პატარძლის დედასთან მიჰქონდათ. დედა ზენარის მიმტანთ ტკბილეულობით უმასპინძლდებოდა, მეორე დღეს კი – პატარძლის ოჯახში ჰალვა კეთდებოდა. საქმროს მხრიდან მაცნეს ელოდნენ, რომელსაც დედოფლის ქალწულობისა და პატიოსნების ამბავი უნდა მიეტანა. პარალელურად, სოფლურ დასახლებებში, თეთრეული თვალსაჩინო ადგილზე საქმროს სახლშიც გაჰქონდათ. ჩვეულებრივ, ამ თეთრეულს პატარძალი მალავდა, მაგრამ ოჯახის შინაური ქალები მას ნახულობდნენ. ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, თეთრეული პატარძლის დედის ოჯახში გასარეცხად მიჰქონდათ. ქორწილის შემდეგ ახალდაქორწინებულები, უკვე ცოლ-ქმარი, ერთი კვირის მანძილზე ოთახიდან არ გამოდიოდა, რადგან მოსახლეობის წინაშე წარდგომა სირცხვილად ითვლებოდა. ამ პერიოდში უფროსი რძალი, შესაძლოა, დედამთილიც, ახალგაზრდებს საკვებს ოთახში უზიდავდა. შვიდი დღის შემდეგ უფროსი რძალი პატარძალს ოთახიდან გამოიყვანდა და მას საოჯახო საქმიანობაში ჩააბამდა, იმ საოჯახო საქმიანობის შესრულებაში უწყობდა ხელს, რომელიც მას ევალებოდა. იგი ოჯახში ყველას თბილად ეპყრობოდა, წევრებს ხელზე კოცნიდა და საოჯახო მოვალეობების შესრულებას იწყებდა (Демурова, 1982:23; 1987:6).

ქორწილის შემდგომი პერიოდებიც, პონტოელ ბერძნებში ტრადიციული წესითა და შესაბამისი რიტუალებით სრულდებოდა. საქორწინო ცერემონიალის კულმინაცია ე. წ. ნიქერპარმანი

190 სემ, დღიური II – 046.

იყო, რაც ქორნილის შემდეგ პატარძლის მამისეული სახლიდან მისი ქმრის მშობლების სახლში გამგზავრებას გულისხმობდა. აქაც პატარძალი ქმრისეულში მზის ჩასვლამდე უნდა მისულიყო (Зайковская, 1989:105-107-108). ეს იყო ის ჩვეულება, რომელსაც პონტოელი ბერძნების მეზობელი ქობულეთელი ისევე, როგორც მთლიანად ქოროხის აუზის ქართული მოსახლეობა, ფენაქცივი'ს სახელით იცნობდა.¹⁹¹

ორი ძალიან საინტერესო საქორნილო ტრადიციის არსებობის შესახებ მოგვითხრო პროფესორმა ნ. მაზმანიდიმ. ეს ტრადიციები ცნობილი ყოფილა სახელწოდებებით «Γαρσιλάεμαν» და «Κοσσαροκλέψιμον». ტერმინი «Γαρσιλάεμαν» წარმოდგება თურქული სიტყვისგან «Γαρσιλ», რომელიც პირდაპირს ნიშნავდა და მისი არსი გამოიხატებოდა ქორნილის დღეს, მოცეკვავე ხალხის პირდაპირ მდგომი ქემენჯეზე დამკვრელის დასაჩუქრებაში: «Σὸ ρωμῆικο γάμον ὁ κεμεντζετζής, ποῖος ὄλην τὴν χαρὰν ἔπεζε σὴν κεμεντζέν, σὸ χορὸν ἔσούμονεν τὸ γαμπρό, ἀτῶν συγγενῶν τὴ γαμπροῦ (τὸν θεῖον,τὴν θείαν, τὸν ἐξάδελφον) καὶ ἔπεζε κάτ σκοπόν σὸ κεμεντζέ. Ἐπεκεὶ ἐπέγνε καὶ γονάτεψε σὸν ἄλλον κεκά, σὸ δ' ἄτερον, σὸ τρίτον καὶ ἄρα ἄς, ὅς ἔπρεπε νὰ γυρίζ. Ὅς ἔπρεπε νὰ χαρίζε ἀτὸν σὸ γαρσιλάεμαν τὸ χρήμα ὅσον ντὸ ἐπόρναν, (ἐσήρνε ἡ καρδιά)... Ἐβάλναν τὸ χρήμα σὸ πανταλὸν ἄτ, σὸ πουκάμισο, σὸ κεφάλ, σὴ ράσιν καὶ ὄνταν ἐτελίωνε τὸν κύκλο, τὸ χρήμαν τὸ ἐμάζεψε ὁ κεμεντζετζής, τὸ ἔδινε σὸν νοικοκῆρη» („პონტოელ ბერძენთა ქორნილში ქემენჯეზე დამკვრელი, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში ართობდა ხალხს, ცეკვის დროს უახლოვდებოდა სიძეს ან მის ნათესავებს (ბიძას, მამიდას, ბიძაშვილს) და მელოდიას უკრავდა, შემდეგ დაიხრებოდა ან დაიჩოქებდა ერთის, მეორის, მესამის პირდაპირ და ასე ყველას წრიულად ჩამოუვლიდა. ყველანი ვალდებული იყვნენ მისთვის ფული მიეცათ (რამდენიც შეეძლოთ ან სურდათ)... ფულს შარვალში, პერანგში, თავზე, ზურგში უდებდნენ და როცა წრის შემოვლას დაასრულებდა, შეგროვილ თანხას ოჯახის უფროსს გადასცემდა“).¹⁹²

მეორე საქორნილო ტრადიცია სახელწოდებით «Κοσσαροκλέψιμον» (ქათმის მოპარვა), რომელსაც ძირითადად სოფლებში ჰქონია ადგილი, შემდეგნაირად ხორციელდებოდა: პატარძლის ნათესავები სიძის ნათესავებს ქათმებს პარავდნენ და მეორე დღეს უმასპინძლდებოდნენ, რასაც შემდეგ ხუმრობები მოჰყვებოდა. მთქმელი იხსენებს: «Ὁ πεθερό μ, ὁ Κωστής ὁ Κέρογλης ἐνθιμέθεν ντὸ ἐπεινάνε ἀτοί στὰ παλαιὰ τὰ χρόνια τὸ «Κοσσαροκλέψιμον» καὶ ἐμάζεψαν δύο-τρία ὀμμάτ καὶ ἐπήγανε σὴ θείο μοῦν σὸ Θόδωρον σὸ σπίτ, σὸ πινέσ. Ἀτὸς εἶχε καλὰ κοσσάρας... Τὰ κοσσάρας ἐκοιμούσανε... Ἀτὸς μὲ τὸ φενέρ ἐχώρσεν καὶ ἐπέρε ὅλα τὰ χοντρά κοσσάρας (τρία-τέσσερα κομμάτια), ἔσφαξεν ἀτὰ καὶ ἐφέρειν ἀτὰ σὸ σπίτ. Ἐφτόλζαν ἀτὰ, ἔβρασαν ἀτὰ, ἔψησαν ἀτὰ καὶ τὸ πρῶτ, ὄνταν ἔβαλαν ἀτὰ σὸ τραπέζ, ὁ θεῖον μοῦν ὁ Θόδωρον εἶπεν: Ὁοο, αἶκα νόστημα κοσσάρας! Ἀτσάπ, ποῦ ἔβρες ἀτὰ; Σὸν τόπον ἀπάν ἔβρατὰ – εἶπε ὁ Κωστ ἴτ. Ἄμα ὄνταν ὁ θεῖον π ἴγε σὸ σπίτ καὶ εἶδε, ντὸ τὸ πιν' ἔ ἀνοιχτὸ ἐν καὶ τὰ καλὰ τὰ κοσσάρας κ' ἐν, ἀπότες ἐγρήξεν ὄλα» („ჩემმა სიმამრმა, კოსტა კეროვმა

191 სემ, დღიური II-047.

192 სემ, დღიური I-032.

ჩვენი ქორწილის დროს გაიხსენა ერთი ძველი ადათი – „ქათმის მოპარვა“, შეაგროვა ორი-სამი ადამიანი და წავიდნენ ბიძაჩემის, თოდორის სახლში, მის საქათმეში. ბიძაჩემს კარგი ქათმები ჰყავდა. იმ დროს ქათმებს ეძინათ. კოსტამ მიანათა, შეარჩია ყველაზე კარგი 2–3 ქათამი, დაკლა და სახლში წამოიყვანა. ოჯახში ქათმები გაპუტეს, მოხარშეს, მოამზადეს და დილით, როცა სტუმრებს მიართვეს, ბიძაჩემმა უთხრა: კოსტა, რა გემრიელი ქათმებია, სად იშოვეო? მან წაიყრუა. როცა თოდორი სახლში მივიდა და ნახა საქათმე ღია იყო და მისი ქათმები გაუჩინარებულიყვნენ, მაშინ მიხვდა ყველაფერს“).¹⁹³

ზემოთ მოყვანილი ისტორიული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები ნათელყოფს, რომ, ისტორიული თვალსაზრისით, აუცილებელია არა მხოლოდ პონტოელი ბერძნების საქართველოს შავიზღვისპირეთში დასახლების ისტორიის, ჩამოსახლების პერიოდში და, შემდეგაც, მათი დემოგრაფიული მდგომარეობის, არამედ, დასახლების პირობებში მათი ცხოვრების წესის შესწავლა. ქორწინებისა და საქორწინო ტრადიციების, ბუნებრივია, მეზობელი ეთნოგრაფიული ჯგუფებისა და, საერთოდ, მეზობელი ხალხების საქორწინო ჩვეულებებთან შედარებითი ანალიზის ფონზე, შესწავლა, ზოგადად, ბერძნული ეთნოსის ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობათა სისტემის შესაცნობად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პონტოელ ბერძენთა ტრადიციულ ყოფაში ისეთი არქაული კულტურული პლასტები იჩენს თავს, რომელიც თავად თანამედროვე ბერძენი ხალხის ყოველდღიურ ყოფაში დიდი ხანია, გამქრალია.

§ 9. ოჯახი და საოჯახო ყოფა, საყოფაცხოვრებო ფოლკლორი

ოჯახი საზოგადოებაში ადამიანთა ბიოსოციალური ერთობის უნივერსალური ფორმაა. იგი საქორწინო წყვილთა მიერ ერთ ჭერქვეშ განხორციელებული ბიოლოგიური კვლავნარმოებისა და შთამომავლობის ტრადიციულად აღზრდა-სოციალიზაციის ყველაზე ინტიმური და ისტორიულად აპრობირებული სოციალური ინსტიტუტია. ზოგჯერ საქორწინო წყვილთან ერთად ოჯახში ვაჟის მშობლები და ცოლ-ქმრის მემკვიდრეები, ასევე, მონათესავე საქორწინო წყვილები – ძმები, მათი ცოლები და შვილები ცხოვრობენ. ამის მიხედვით, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სახლეულისა და ოჯახის სხვადასხვა ფორმა არსებობდა. სახლეული, სადაც ერთი საქორწინო წყვილი და მათი დაუქორწინებელი შვილები იყო წარმოდგენილი, ბუნებრივია, ოჯახად – ნუკლეარულ (ბირთვულ) ოჯახად იწოდება. სახლეული, რომელშიც რამდენიმე საქორწინო წყვილი ცხოვრობდა ოჯახთა ჯგუფის, ხოლო გაფართოებული სახლეული – დიდი სახლეულის სახელით მოიხსენიება. სახლეულის ფორმათა ასეთმა მრავალფეროვნებამ საოჯახო ტიპის სოციალური გაერთიანებების აღსანიშნად შესატყვისი ტერმინებიც წარმოშვა, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განიმარტება. ასეთი ტერმინებია: „საოჯახო თემი“, „დიდი ოჯახი“, „გაფართოებული ოჯახი“, „ინდივიდუალური ოჯახი“ და სხვ., რომლებიც სოციალური ორგანიზაციის სასურველი ტიპის ბუნებას, რა თქმა უნდა, ყოველთვის ადეკვატურად არ ასახავდნენ (მგელაძე, 2011:290-310). ამასთან, ოჯახს ეთნოსის კვლავნარმოებაში, ეთნიკური ტრადიციებისა და მისთვის დამახასიათებელი ნიშნების თაობათა შორის გადაცემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამიტომ, საზოგადოებრივი განვითარების პროცესში, ოჯახის ადგილისა და როლის დადგენას აქვს დიდი თეორიულ-მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

აჭარაში მცხოვრები ბერძნების ოჯახისა და საოჯახო ყოფის შესახებსაინტერესო ცნობები მოგვეპოვება, რომელთა თანახმად, სოციალური ორგანიზაციის დასახელებული ტიპები და ფორმები განხილულია პატარა – ინდივიდუალური ოჯახის სახით, რომელიც ორ თაობას – მშობლებსა და შვილებს აერთიანებდა, ხოლო დიდი სახლეული – სამ თაობას აერთიანებდა (დემუროვა, 1987:65-71). ასეთივე იყო ქობულეთის რეგიონის სოფლებში ოჯახების უმეტესობა: სახლეული წარმოდგენილი იყო ორი – დიდი და პატარა ოჯახის სახით, რომელთა შორის ინდივიდუალური – პატარა ოჯახი დომინირებდა. ამას ახსნაც ეძებნება. XX საუკუნის დასაწყისამდე დიდი სახლეულის არსებობა საოჯახო მეურნეობის სპეციფიკით, ფეოდალური და საგადასახადო სისტემით, სოციალურად და ქონებრივად დაწინაურებული ფენის მხრიდან დიდი სახლეულის, როგორც ძლიერი სამეურნეო უჯრედის შენარჩუნების დიდი სურვილით იყო გამოწვეული, ასევე, ყოფისა და კულტურის ტრადიციული ფორმების იმ ეთნიკური ფუნქციით, რომელიც ეროვნული თვითშეგნების დაცვისა და გალრმავეების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენდა. ბევრი მიიჩნევს, რომ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთი, თუნდაც მხოლოდ ანატოლიის, ტერიტორიაზე დიდი სახლეულები არსებობდა როგორც წარსულის გამოძახილი – ოჯახის ძველი ფორმების გადმონაშთი ფორმები, მაგრამ, უნდა

ვიცოდეთ, რომ ვერც ერთი ცოცხალი სოციალური ორგანიზმი არსებულ გარემოში ვერ იარსებებს, თუ მას ყოფაში ადეკვატური საფუძველი არ გააჩნია, თუნდაც იგი სოციუმში სპორადულად გვხვდებოდეს. დიდი სახლეულები არსობრივად და ტიპოლოგიურადაც პატარა – ინდივიდუალური ოჯახებისაგან განსხვავდებოდნენ ქონებაზე საერთო-საზოგადოებრივი საკუთრებით, წარმოებისა და მოხმარების კოლექტიური ფორმებით. ოჯახის ეკონომიკურ საფუძველს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, სახნავ-სათესი და სათიბი ნაკვეთები, საქონელი, ფუტკარი, ვაჭრობა და ხელოსნობა, საშოვარზე სიარული და სხვ. შეადგენდა. სანარმოო ძალთა განვითარების დონე, მეურნეობის თავისებურებები და სახლეულის სტრუქტურა შრომის განაწილების ხასიათს განსაზღვრავდა. ნახევრად ნატურალური და მრავალპროფილიანი მეურნეობის წარმოება მნიშვნელოვანი რაოდენობით სამუშაო ძალის გაერთიანებას მოითხოვდა, რაც წარმოადგენდა დიდი სახლეულისა და შრომის სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის კონსერვაციის მიზეზს. ამდენად, პონტოელ ბერძენთა ოჯახები, საბოლოო ჯამში, უმეტესად, მცირერიცხოვანი იყო. იგი ძირითად ორ ანდა სამ თაობას აერთიანებდა, ხოლო ორი-სამი თაობის შემდეგ იყოფოდა. ბერძნული სახლეული მშობლებისა და დაუქორწინებელი შვილებისაგან შედგებოდა, ხოლო ზოგჯერ რამდენიმე ოჯახისაგან, რომლებიც მშობლებს – მამასა და დედას, მეუღლეებს – ქმარსა და ცოლს, შვილებს, მათ შორის, დაქორწინებულ შვილებსა და შვილიშვილებს მოიცავდა. ასეთ პირობებში სახლეულში რძლები ინკორპორირებული იყვნენ. ჩვეულებრივ, დაოჯახებული ვაჟები მშობლებთან ერთად იშვიათად ცხოვრობდნენ. დასტურდება ისეთი ოჯახებიც, რომლებშიც მშობლები დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. ისე კი ისინი უმეტესად დაუქორწინებელ შვილთან ანდა გაუთხოვარ ქალიშვილთან ერთად თანაცხოვრობდნენ. ლარისა დემუროვას მონაცემებით, დიდი ოჯახები ბერძნებში მცირე რაოდენობით იყო, რადგან ბერძნები ცდილობდნენ, ახალდაქორწინებული წყვილისათვის მიწის ნაკვეთი და ცალკე სახლი აეშენებინათ (Демурова, 1983:3; 1984:16-17, 28). დიდ სახლეულებად ცხოვრება, უმთავრესად, თურქულენოვანი ბერძნებისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო მცირე ოჯახებად – ელინოფონები ცხოვრობდნენ. საკუთრივ აჭარის, განსაკუთრებით, ქობულეთისა და ბათუმის შემოგარენში მცხოვრები ბერძნების სახლეულთა მცირერიცხოვნებას არა მარტო მათი ცხოვრების წესი, არამედ ადგილზე სამეურნეო-ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორებიც განაპირობებდა. აქ მეურნეობრივი ცხოვრების ორგანიზაციისათვის არ იყო საჭირო დიდი რაოდენობის შრომითი რესურსები, მაღალმთიანეთისაგან განსხვავებით, სადაც მესაქონლეობისა და მინათმოქმედების სიმბიოზი, ცხოვრებისეული ციკლის უკეთ ორგანიზაციის მიზნით, სერიოზულ შრომით დაჯგუფებას მოითხოვდა; მაშინ, როცა ბათუმის სანახები და კინტრიშის ხეობის სოფლებში მესაქონლეობა ალპური და სეზონური ხასიათის კი არ იყო, არამედ წლის განმავლობაში ძირითად კარ-მიდამოსთან მიბმული.

ბერძნებს ახალმოსახლეობა საქართველოს შავიზღვისპირეთის დიდ მონაკვეთში – აჭარაში ოსმალთა სამასწლოვანი მმართველობისა და მუსლიმანური რელიგიის ზეგავლენის პირობებშიც მოუწია, სადაც, მიუხედავად ეთნოკონფესიური გავლენებისა, ისტორიულად ჩამოყალიბებული

ლოკალური თავისებურებების გვერდით, ოჯახის სახით ნათესაობის სისტემის ამ უჯრედმა მტკიცედ შემოინახა ანატოლიაში წარმოქმნილი ზოგადბერძნული ბუნება, ბერძნული საოჯახო ქონებრივ-სამართლებრივი ნორმები. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, აჭარის სოფლებში, განსაკუთრებით, ბარის რეგიონებში, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გამოცოცხლებასთან ერთად, მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის პროცესიც დაჩქარდა. დაიწყო ვაჭრობისა და საშოვარზე გასვლის აქტივიზაცია და გლეხურ მეურნეობაში ფულის მასა გაიზარდა, მაგრამ ურბანიზაციის პროცესებმა ხალხური ხელოსნობის – ხურობისა თუ შინამრეწველობის – დაცემაც გამოიწვია. აღნიშნულმა ფაქტებმა უშუალოდ ოჯახსა და საოჯახო ყოფაზე ზეგავლენა მოახდინა, ნახევრად-ნატურალური გლეხური მეურნეობის რღვევა დაჩქარა და ოჯახის თვისობრივი – სოციალური და რიცხობრივი ცვლილებები გამოიწვია, რამაც საბოლოოდ დიდი თუ შედარებით მრავალრიცხოვანი სახლეულების რღვევაც განაპირობა. ბუნებრივია, ბარის პირობებში ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ეს ანატოლიიდან ჩამოსახლებულ ბერძნებსაც შეეხო, რადგან ისინი უკვე გარემოსთან ადაპტირებული და საზოგადოებრივი გარემოს ორგანული ნაწილი იყვნენ.

ბერძნები საქართველში, აჭარის ტერიტორიაზე, ძირითადად, ქობულეთურ ეთნოგრაფიულ გარემოში ცხოვრობდნენ. აჭარის მთაში ადრე სახლეულთა სხვადასხვა ფორმა არსებობდა. მთის აჭარის ოჯახის სოლიდარული ბუნებისა და მმართველობის დემოკრატიულობის გვერდით, ადრინდელ სახლეულებში ერთპიროვნული სიმკაცრის ელემენტებიც კია დადასტურებული, რაც ძველთაგანვე მომდინარე ცხოვრების პატრიარქალური წესით, ისლამზე დაფუძნებული შარიათის ზეგავლენითა და, ასევე, სავაჭრო-ფულად ურთიერთობაში ოჯახების ჩართვით უნდა აიხსნას. მართალია, მსგავსი მოვლენები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მათი შესწავლა დიდი სახლეულის განვითარებისა და დაშლის პროცესის გამოვლენის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა. მმართველობაში ერთპიროვნული სიმკაცრის ელემენტების არსებობა, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სიტყვა დესპოტიურითაც აღინიშნებოდა, აჭარული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს შეესაბამებოდა, რაც თითქოს არ შეიძლება საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების საოჯახო ყოფაზე ითქვას. რაც შეეხება პატარა ოჯახის მმართველობას, აქ, რადგან მამა საოჯახო ქონების ერთპიროვნულ მესაკუთრედ ითვლებოდა, შესაბამისად, ოჯახის მმართველობაშიც მისი განუსაზღვრელი უფლებები არსებობდა. პატრიარქალიზმის ნიშნები ბერძნული ოჯახის დამახასიათებელი ნიშნებია და ეს ნატურალური მრეწველობის პირობებში ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ დესპოტიზმის ელემენტები ოჯახის ფარგლებში ნაკლებად შეიმჩნეოდა.

სახლეულის ხელმძღვანელი ასაკით უფროსი მამაკაცი იყო, თუმცა გარკვეულ ვითარებაში, მაგალითად, ქმრის გარდაცვალების დროს ამ მოვალეობას ქვრივი ქალიც ასრულებდა. საერთოდ, სახლეულში ქალებს – რძლებს, ჩვეულებრივ, სახლის უფროსის ცოლი ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, მმართველობისა და შრომის ორგანიზაციის ხასიათი სახლეულის შემადგენლობასა და

ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. თუ ოჯახი მშობლებისა და მცირეწლოვანი შვილებისაგან შედგებოდა, მაშინ ოჯახს, ბუნებრივია, მშობლები ხელმძღვანელობდნენ. ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ ბერძნებში სახლეულის უფროსი, მამა – **პატრი** – განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ, ბუნებრივია, ეს ასე არ იყო, თუმცა სახლის უფროსის ძალაუფლება გარკვეულ სფეროებში ხელშეუვალი მაინც იყო, ხოლო მისი გადაწყვეტილებები ზოგჯერ განუსაზღვრელად უნდა აღსრულებულიყო, რასაც ბავშვებს უკვე ადრეული ასაკიდანვე შთავგონებდნენ. დაუმორჩილებლობა, წინააღმდეგობის განწვევა დაუშვებელი იყო. ისიც სახლეულის წევრებისაგან ნებისმიერი საქმის გულმოდგინედ შესრულებას მოითხოვდა (Демурова, 1983:2-3). სახლეულის წევრები ყველა საჭირობო საკითხს ჯალაბის უფროსთან ათანხმებდნენ და მის გადაწყვეტილებებს ეთანხმებოდნენ. იგი იყო სახლეულში ფინანსების ძირითადი შემომტანი. პატრიარქალური ცხოვრების წესის ცალკეულმა ელემენტმა ბერძნულ, განსაკუთრებით, პონტიელ ბერძნულ ოჯახებში, თავი დიდხანს შემოინახა. რადგან სახლეულის ქალები ჯალაბის უფროსი მამაკაცის მეუღლეს ემორჩილებოდნენ, ამდენად, ეს ბუნებრივად სახლის უფროსისადმი მორჩილებას, შესაბამისად, პატრიარქალური გაგებით თანადგომას გულისხმობდა. როცა სახლის თავი მოულოდნელად გარდაიცვლებოდა, მაშინ ჯალაბის უფროსობასა და მმართველობას თავზე სწორედ სახლეულის წინამძღოლის ცოლი ღებულობდა. თუ შვილები ზრდასრულები იყვნენ, ისინი დედას სახლეულის მართვა-გამგეობაში ეხმარებოდნენ. უფროსი ქალი რძლებსაც მეთვალყურეობდა, წინაპრებისაგან შეძენილ ჩვეულებებს კარგად ფლობდა და, შესაბამისად, საოჯახო ტრადიციებსაც მკაცრად იცავდა. ამასთან, იგი იმ სათავსოს აკონტროლებდა, სადაც სახლეულის პროდუქცია ინახებოდა. საკვები მარაგის მოვლა-პატრონობაც მისი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა იყო, რადგან სახლეულის წევრთა სიცოცხლისუნარიანობა უპირველესად ზამთრის მარაგზე იყო დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სახლეულში მისი როლი ამ მხრივაც დაფასებული იყო და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ოჯახის სიცოცხლისუნარიანობა მის გამჭრიახობასა და სამართლიანობაზე დიდად იყო დამოკიდებული.

უფროსი ქალის გარდაცვალების შემთხვევაში, სახლეულის მმართველობას სახლეულში მომდევნო უფროსი ქალი ღებულობდა.

პატრიარქალური ცხოვრების წესი და პატრიარქალური ყოფა-ცხოვრება, დროთა განმავლობაში შეიცვალა, დაირღვა, მაგრამ გარკვეულ სფეროში მისი ელემენტები შენარჩუნდა, განსაკუთრებით, სოფლის ტრადიციულ საზოგადოებაში.

როგორც დიდი სახლეულის, ისე ინდივიდუალური – ნუკლეარული ოჯახების წევრებს შორის უფლება-მოვალეობები, სქესობრივ-ასაკობრივი პრინციპების გათვალისწინებით, წინასწარ იყო განსაზღვრული. ოჯახის უფროსს მოეთხოვებოდა ბრძენი, გონიერი, სანიმუშო ორგანიზატორი, შრომისმოყვარე და კეთილდღეობის სამართლიანი გადამნაწილებელი ყოფილიყო.

სახლეულში შედარებით ხანდაზმულთა საქმიანობა მათ ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე იყო დამოკიდებული. მამაკაცის საქმიანობის სფეროს ხელოსნობა, უმეტესად ხით

ხურობა, მჭედლობა, წარმოადგენდა. ისინი შრომის იარაღების, საოჯახო, ამასთან, ვერცხლის ჭურჭლეულობის შეკეთებით იყვნენ დაკავებულნი. ხელოსნობა, როგორც არაერთხელ აღინიშნა, კომერციული საქმიანობის სფეროსაც შეადგენდა. პონტოელ ბერძნებს სხვადასხვა სახის სახელოსნო სამუშაოების შესასრულებლად სხვა სოფლიდან, ხეობიდან და რეგიონიდან მსურველი ოჯახებიც იწვევდნენ. ასევე, მამაკაცები მინას ხნავდნენ, მარცვლეულს თესავდნენ, ხოლო რაც შეეხება მოსავლის აღებას, მასში, როგორც მამაკაცები, ისე ქალები იღებდნენ მონაწილეობას.

ქალებს შორის მოვალეობები განსაზღვრული და გამიჯნული იყო. პონტოელი ბერძენი ქალის საქმიანობის სფეროს საოჯახო სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება, რძის ნაწარმიდან ყველისა და ერბოს დამზადება, საქონლის მოვლა და სახლეულში დიასახლისობა – სახლის დაგვა, სადილის მომზადება, ბავშვების აღზრდა შეადგენდა. უფროსი ქალი საკვების მომარაგებითა და სახლეულის წევრთა სადილ-ვანშამის ორგანიზაციის საკითხებითაც იყო დაკავებული. ამდენად, ქალებს შორის სახლეულის წევრთათვის სადილის მომზადება – დედამთილის, სახლის უფროსის მეუღლის პრეროგატივა იყო.

მნიშვნელოვანი იყო სახლეულში რძლების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა რძლის ადგილი. მას, სახლეულში, როგორც ახლად ინკორპორირებულ წევრს, განსაკუთრებული მოთხოვნები ჰქონდა წაყენებული. იგი, როგორც სხვებთან შედარებით ახალგაზრდა, საკმაოდ შრომატევად სამუშაოებს ასრულებდა, მაგრამ ამ საქმეში მას სხვა რძლებიც ეხმარებოდნენ: სახლეულ ის წევრთა ტანსაცმელს რეცხავდნენ, რთავდნენ, ქსოვდნენ და კერავდნენ სამოსს, სხვადასხვაგვარ სამკაულებთან მისადაგებულ ალკაზმულობას ამზადებდნენ, ორნამენტების გამოყვანაშიც განაფულები იყვნენ და, უმეტესად, მათ მიერ დამზადებული ქსოვილები სამომავლოდ მზითვისათვის ინახებოდა. საერთოდ, ქალებს რთვა-ქსოვისა და ქარგვის ხელოვნება ახალგაზრდობიდანვე, მამისეულ სახლში ჰქონდათ შეძენილი. ამიტომ გათხოვილ ქალებს ოჯახში უადვილდებოდათ ბალიშზე – **ანდროტ**ზე მაქმანის ამოქარგვა, საბნისა და სანოლის გადასაფარებლის, ასევე, შიდა ტანსაცმლის შეკერვა, ამასთანავე, ისინი ტანსაცმლის მკერდის ნაწილს ნაქარგით ამკობდნენ (Демурова, 1984:10, 24). რძლები ბალჩასა და ბოსტანში შრომობდნენ, წყალი მოჰქონდათ, ბუხარში ცეცხლს აჩალებდნენ, ძროხებსაც წველიდნენ, საძროხეს, ე. წ. **მანდრი**სა და საცხოვრებელ სახლსაც გვიდნენ. ისინი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ და, ბუნებრივია, შრომასაც თანაბრად ინაწილებდნენ. ისე, ახალგაზრდა რძლის ძირითადი მოვალეობა, მაინც, კარ-მიდამოსა და სცხოვრებლის სისუფთავესა და სიკობტავეზე თვალყურის დევნება იყო. ტრადიციისამებრ მამაკაცები საქალებო საქმიანობაში არ ერეოდნენ, განსაკუთრებით, სახლეული დიდი თუ იყო, რის გამოც ისინიც ცდლობდნენ საერთო ინტერესების გათვალისწინებით ეცხოვრათ. გაუყოფელ სახლეულში ცხოვრება და წევრის სახლეულის სხვა წევრებთან თანაარსებობა საერთო ინტერესების გაზიარებასა და მოთმინებას მოითხოვდა. განსაკუთრებით ეს ახალგაზრდა რძლებს ეხებოდა.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში ბერძნების საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტი მათ, თავის დროზე, ანატოლიიდან

გადმოჰყვით. სანტაშიც სახლეულის ნევრებს – ქალებსა და მამაკაცებს შორის შრომა ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული წესების მიხედვით იყო გადანაწილებული. იქაც, უფროსი მამაკაცის სახლეულში არყოფნისას მის მოვალეობას მისი მეუღლე – უფროსი ქალი ასრულებდა. ყველანი შრომობდნენ და შემოსავალი სახლეულის საერთო ყულაბაში შეჰქონდათ. სახლის უფროსი ოსმალეთშიც ასაკით უფროსი იყო. უმეტესად, ეს პატივი სახლეულის ბაბუს – **პაპული**’ს პრეროგატივა იყო. იმ შემთხვევაში თუ სახლის უფროსი გარე სამუშაოებზე გავიდოდა ოსმალეთშიც მეუღლე ოჯახის ბიუჯეტსა და სახლეულის საქმიანობას მუდმივად თვალყურს ადევნებდა.

ადრე სახლეულის ნევრებს შორის ურთიერთობებში გარკვეული აკრძალვები არსებობდა, თუმცა ე. წ. განრიდების ჩვეულება, გარკვეულწილად, მოდიფიცირებული და სახეცვლილი სახით შემონახა, მაგრამ საერთო, უნივერსალური პატრიარქალური ნიშნები მკაფიოდ შეინარჩუნა. ჩვეულებრივ, სახლეულში ახლად შემოსულ პონტოელ ბერძენ რძალს უფროსების წინაშე მათ გვერდით დაჯდომა არ შეეძლო, ასევე, სახლეულის სატრაპეზო საერთო მაგიდასთან სხვებთან ერთად ჯდომა ეკრძალებოდა ისე, როგორც სახლეულის მოზარდ ნევრებს, რომლებიც ცალკე მაგიდასთან სადილობდნენ. საკვები საერთო გობში იხარშებოდა და სახლეულის თითოეული წევრი გობიდან საჭმელს, თავის ლუკმას, ხის კოვზით იღებდა. ამ დროსაც უფროს-უმცროსობის წესი დაცული იყო. რძალი ყველაზე ბოლოს სადილ-ვახშმობდა. სწორედ ტრაპეზის დროს იცავდნენ სახლეულის მკაცრ შიდა განაწესს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სუფრასთან ჯერ უფროსი მამაკაცები სხდებოდნენ. მამაკაცების შემდეგ ქალები სადილობდნენ, ხოლო ბავშვები საჭმელს ცალკე მიირთმევდნენ (Демурова, 1984:23-25). აქვე, აუცილებელი იყო რძალი მოსულ სტუმარს მარჯვენა ხელზე კოცნით შეგებებოდა. საღამოთი უხუცესებისათვის მას ფეხები უნდა დაეთბილა. ეს ძველი პატრიარქალური წესი ბერძენთა მეზობლად მცხოვრებ ეთნიკურ წრეებში, მათ შორის, ქართველებში, განსაკუთრებით, აჭარის მთის მოსახლეობაში ადრე ფართოდ იყო გავრცელებული.

მამამთილსა და დედამთილს ახალგაზრდა რძალი განსაზღვრული დროის მანძილზე არ ელაპარაკებოდა, განსაკუთრებით, მამამთილს, თუმცა ტაბუირების დრო სხვადასხვა შეიძლება ყოფილიყო. ამდაგვარ აკრძალვას კინტრიშის ხეობის სოფლების პონტოელი ბერძენები **სტიმამა**’ს უწოდებდნენ, რომელიც დუმილს, ჩუმად ყოფნას ნიშნავდა. პატარძალი **სტიმამა**’ს გარკვეული დროის, უმეტესად, რამდენიმე თვის შემდეგ დედამთილთან წყვეტდა, თუმცა რიდს მის მიმართ მაინც ინარჩუნებდა, მაგრამ მამამთილის წინაშე დუმილი წლების მანძილზე გრძელდებოდა. ასეთი აკრძალვები წარსულში დიდი ხნის მანძილზე, შესაძლოა, სიცოცხლის ბოლომდეც გრძელდებოდა, მაგრამ როცა სახლეულის ნევრები ერთობლივ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ, ჰქონდათ მუდმივი ყოველდღიური კონტაქტები, ბუნებრივია, ტრადიციული აკრძალვების დაცვა ძნელი იყო. ამიტომ, მამამთილი რძალს თხოვნით მიმართავდა დუმილის ჩვეულება დაერღვია და მის წინაშე ალაპარაკებულიყო. ასევე, ეკრძალებოდა ახალგაზრდა რძალს სახლეულის და, მითუმეტეს, სოფლისა თუ თემის უფროსი მამაკაცების წინაშე საუბრის წამოწყება, სითამამის გამოჩენა. სხვათა შორის, რძალ-მამამთილის ამდაგვარი ქცევა ლიტერატურული და

საველე-ეთნოგრაფიული წყაროების საფუძველზე, კავკასიის არაერთი ხალხის, მათ შორის, ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფის ყოფაშიც დასტურდება. დედამთილისა და მამამთილის მიმართ რძლის პატივისცემა სხვადასხვა პატრიარქალურ ქცევაში იყო გამოხატული, რომელიც, როგორც სოციალური ცხოვრების უნივერსალური ფორმა, წარსულში მრავალ ხალხს ახასიათებდა. ანატოლიის ტრადიციული მოსახლეობისა და კავკასიის მთიელების მსგავსად ადრე ბერძენი რძალი სახლეულის უფროს წევრზე ზრუნავდა. იგი ახალგაზრდობის პერიოდში ვალდებული იყო დედამთილისა და მამამთილისათვის, როგორც აღვნიშნე, ფეხები დაეხანა, მათ წინაშე თავსაბურის გარეშე არ გამოჩენილიყო, თმები დაეხანა ანდა დაევარცხნა. იგი თანატოლ რძლებთან ერთად სუფრასთან ცალკე ჯდებოდა და სადილობდა. როდესაც რძალს მცირეწლოვანი შვილი ძუძუთი უნდა გამოეკვება, იგი მკერდს იფარავდა, ასევე, უცხოთა წინაშე ჩვილის ხელში აყვანასა და მით უმეტეს ალერსს ერიდებოდა.

პონტოელ ბერძნებში აკრძალვები მამაკაცსაც ეხებოდა. მამა უცხოთა თანდასწრებით შვილის მოფერებას, ბავშვების ხელში აყვანას ერიდებოდა. დროთა განმავლობაში ტრადიციები იცვლებოდა, თაობათა შორისი ურთიერთობებიც. თუ ადრე ამდაგვარ აკრძალვებს მკაცრად იცავდნენ, დღეს უკვე ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ სოციალურ ჯგუფებს შორის რიდი, ასაკისა და სქესის გათვალისწინებით, ბერძნულ ტრადიციულ ოჯახებს დღესაც შემორჩა. საოჯახო და საზოგადოებრივი აკრძალვები – **სტიმამა** – ბერძნებმა პონტოდან – მათი გადმოსახლების ადგილიდან შეინარჩუნეს. იქაც, რძლები მამათილსა და დედამთილს უფროსების თანდასწრებით ჩვილს ძუძუს არ აწოვებდნენ, მათ წინაშე – თმას არ ივარცხნიდნენ, მოზარდებს ნაკლებად ეალერსებოდნენ.¹⁹⁴

სახლეულში ოჯახის თითოეულ წევრს ადრე ოროთახიან ხის მინურ სახლში საკუთარი კუთხე გააჩნდა. ახალი საქორწინო წყვილის გაჩენის შესაბამისად, როცა სახლეული ფართოვდებოდა, რომელიმე პოტენციური განაყოფისთვის ძმები ერთობლივად ცდილობდნენ ახალი საცხოვრებლის აგებას. ტრადიციულად სახლში ხანდაზმულ მშობლებთან უმცროსი ვაჟი რჩებოდა. ამდენად, დაოჯახებულ და სახლს გამოყოფილი უფროსი ძმა, რომელსაც მშობლები მიწის ნაკვეთს უწილადებდა, მშობლების დახმარებით საცხოვრებელს აგებდა. უმცროსი მშობლებთან რჩებოდა. ამდენად, სახლეულის სეგმენტაციისას კუთვნილი წილი უფრო ვაჟებს გამოეყოფოდათ. მათ შორის, უყურადღებოდ არც მშობლები რჩებოდნენ. მშობლებს უყურადღებოდ არც უმცროსი შვილი რჩებოდა, რომელიც, უმეტესად, საცხოვრებლად დედ-მამასთან რჩებოდა. განაყოფ შვილს, თუ ამის შესაძლებლობა იყო, მშობლები მიწის ნაკვეთს გამოეყოფდა ანდა უყიდა და ახალი სახლის მშენებლობაშიც ეხმარებოდა.

სახლეულის გაყოფა თითქმის იმავე წესით მიმდინარეობდა, როგორსაც ადგილი კავკასიისა და ანატოლიის ხალხების ტრადიციულ პერიფერიებში ჰქონდა.

194 სემ, დღიური II-048.

კონკრეტული საველე წყაროები განსაკუთრებითაა ფასეულია, რადგან მათში სახლეულებისა და ოჯახების შიდა იერსახეა ასახული: კვირიკელი თედორე მურადოვის შთამომავლები იყვნენ: მათე, ანესტი, აბრამი (აბრამა), ესტატე, კუკური და გიორგი. ისინი თავიდან ერთ ქერქვეშ ცხოვრობდნენ. კუკურის მამა 1914 წელს საქართველოში დაიბადა, ხოლო მისი წინაპრები საქართველოში ოსმალეთიდან კონფლიქტების შემდეგ გადმოვიდნენ და დამკვიდრდნენ. მურადოვები, რომლებიც ოსმალეთიდან ქობულეთის რეგიონის სოფელ კვირიკეს უბან **სასირეთში** დამკვიდრდნენ, თავდაპირველად, ორი კომლი იყო. მათი ძველი სახლეულის საერთო ქონებას შეადგენდა ორი ძროხა – **ხტინონ**, ათი-თორმეტი „ოჯახი“ ფუტკარი, ერთი ღორი, რომელიც საშობაოდ იკვლებოდა. საერთოდ, ღორი საღორეში მუდმივად ჰყავდათ დამწყვედული, გარეთ არ უშვებდნენ, რადგან მუსლიმ მეზობლებს ერიდებოდნენ. კარ-მიდამოში **ფურუნი** – ფურნე იდგა, სადაც პური და ბერძნული **პასკა** ცხვებოდა. აქვე იყო **ახორი**, რომელსაც ზემოთ **სათიბე** ედგა. **სათიბე**ში საზამთრო თივა ინახებოდა. კარ-მიდამოში მსგავსი კულტურის ელემენტთა საყოფაცხოვრებო განლაგება ტიპური იყო ქოროხის აუზის, ასევე, შავიზღვიპირეთის მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში, რაც იმას მიანიშნებს, რომ ტრადიციულ კულტურაში ინტეგრაციის პროცესი საკმაოდ ღრმად იყო გავრცობილი. ეს პონტოელმა ბერძნებმა აჭარაშიც გადმოიტანეს და, ვფიქრობთ, ადგილზე მათ ამ მხრივ დიდი სხვაობა არ დახვდათ, რადგან ქართულ-კავკასიური და ანატოლიური მოსახლეობის კულტურის ისტორია მსგავსი იყო, ბუნებრივია, ეთნიკური და ეთნო-კონფესიური ჯგუფების ლოკალური ნიშნების თანამონაწილეობით.

თედორეს მამა მოხელე იყო, ზესტაფონში მუშაობდა – ბუხრებს აშენებდა, ქვებსაც თლიდა. მათე სახლეულში მიწის დამუშავებით იყო დაკავებული. საბჭოთა კოლექტივიზმაც აქტიურად იყო ჩამბული, ჩაის დარგვით იყო დაკავებული. სახლეულში ესტატე ფეიქრულ საქმეებს ხელმძღვანელობდა. იგი შემდეგ ვინრო წრეში ცნობილი მკერავი იყო, ქობულეთში სამკერვალოც კი ჰქონდა გახსნილი. მურადოვების შთამომავლები სახლეულში მენველ საქონელს დღესაც ინარჩუნებენ და ძროხა ბაგურ კვებაზე ჰყავთ. ძროხა დაახლოებით 10-12 ლიტრა რძეს ინველის, მათ ციტრუსის – მანდარინის – ბალიც აქვთ. ბაღში, ძირითადად, ახალგაზრდა ქალები შრომობდნენ.

ძველ კარ-მიდამოსთან ახლოს **ბოსტანი** ცალკე იყო გამოყოფილი. ბაღია-ბაღში მანდარინის ნერგებიც იყო წარმოდგენილი. საცხოვრებლის ზემოთ ტყეები იყო, საიდანაც სახლეულის ნევრები შეშას ეზიდებოდნენ. ძველი სახლი – **სპიტ**ი, საიდანაც მურადოვთა ეს გენეალოგიური შტო განაწილდა – **ბინა ოჯახად** იწოდებოდა. განაყოფებმა **ბინა სახლი**დან ოდნავ ზემოთ ახალი საცხოვრებელი ააგეს. მათგან ერთი ძმა – ესტატე საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა. შემდეგ ძველი სახლის ნაცვლად ახალი და უფრო დიდი – ორსართულიანი სახლი აშენდა. ძველ სახლს ორი ბუხარი ჰქონდა, ერთი – ქვედა, ხოლო მეორე – ზედა სართულზე. ქვედა სართული მიწური – მიწატკეპნილი იყო. სახლეულში ბევრნი ცხოვრობდნენ, საქმიანობის სფეროც შესაბამისად იყო განაწილებული. ძველი სახლის მიწატკეპნილი და შუშაბანდიანი სახლის ზედა სართულში

სანოლები იყო გამართული. იქ, სადაც მინატკეპნილი ოთახი იყო, რუსული ენის გავლენით – **პადვალად** მოიხსენიებოდა, პრესტიჟული სამყოფი იყო, რადგან იქ დედამთილ-მამათილი ცხოვრობდა, იქვე იყო ბუხარი და სალამოობით სახლეულის წევრთა სამყოფი – თავშესაყრელი ადგილი იყო. ბუხარში კერის ჯაჭვი და სამფეხიცი იყო, რათა შრომის შემდეგ სადილ-ვახშამი დროულად და ხარისხიანად – გემრიელად მომზადებულიყო.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ოჯახის განვითარების ისტორიაში სერიოზული ცვლილებები დაიწყო. ამას ხელი საბჭოთა მმართველობის ჩამოყალიბებამაც შეუწყო. ცვლილებები პონტოელ ბერძენთა სოციალურ ცხოვრებასაც შეეხო. ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სამართლებრივმა ცვლილებებმა სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი მიმართულებით აქტივიზაცია გამოიწვია. მომდევნო ხანებში განვითარებულმა ურბანულმა პროცესებმა დაარღვია საოჯახო და ნათესაური კარჩაკეტილობა და თანამედროვე ოჯახების ფორმირებას შეუწყო ხელი. ახალი ტიპის ოჯახის გენდერულ სტრუქტურაში, ზოგადად მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმირების ფონზე, ქალისა და მამაკაცის იურიდიული თანასწორობის საკითხი უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ქალის ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლამ, კულტურისა და განათლების დონის ზრდამ, ბუნებრივია, პონტოელ ბერძენთა ყოფაზე უშუალო გავლენა მოახდინა. სწორედ, ორივე სქესის წარმომადგენელთა თანასწორობა, ოჯახის წევრთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფართო მასშტაბით ჩართვა, რამაც სახლეულის წევრთა ეკონომიკური დამოუკიდებლობაც განსაზღვრა, ოჯახისა და ნათესაური ურთიერთობის ახალი საფუძველი გახდა.

ზემოთ მოყვანილ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალებს კარგად ეხმიანება სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციების დრო მოპოვებული ფოლკლორული მასალაც.

ხალხურმა სიმღერებმა, რომლებიც თაობიდან თაობას გადმოსცეს პონტოელმა ბერძენებმა, ღირსეულად გაუძლო დროის დინებას და ნათლად ასახა წარსულის ტრადიციების, რიტუალებისა და თანამედროვე ყოფის სინთეზი. ტრადიციული კულტურის ელემენტები პონტოელი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას ამრავალფეროვნებს და ჭირსა თუ ლხინში საკუთარ ფესვებს ახსენებს.

ზემოთხსენებულ სიმღერათა უმრავლესობა ინდივიდუალურად სრულდება, თუმცა ვხვდებით გუნდურ, საცეკვაო, სუფრულ და სხვა ნაწარმოებებს. რაც შეეხება შინაარსის მიხედვით დაყოფას, პონტოელ ბერძენთა ხალხურ სიმღერებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი თემატიკა (საისტორიო, საქორწინო, სამგლოვიარო, რელიგიური, საბავშვო, სანესჩვეულებო, შრომის და სხვ.) მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობით ხალხში დღემდე გადასახლების თემაზე შექმნილი ნოსტალგიისა და ეროვნული ტკივილის გამომხატველი სიმღერები სარგებლობს. სწორედ ეს სიმღერებია ძირითადად შემორჩენილი პონტოელ ბერძენთა მეხსიერებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სიმღერებს უმეტესად დღესასწაულებზე მღეროდნენ, ისინი სევდიანი შინაარსის იყო და ეს ბუნებრივია: ხალხურ სიმღერებში ტრაგიკული პონტოელი ხალხის ტრაგიკული ხვედრით აღსავსე ცხოვრებაა აღბეჭდილი :

«Πουλοποι, κ' ενεσπάλα σε κ'εγώ σὴ ξηνητία (შვილო, არ დამვიწყებინარ უცხოობაში ყოფნის დროს),

Θὰ ἀφήνω σας καὶ πάω, θὰ καίῃ ἡ καρδία (დაინვევა ჩემი გული, გტოვებთ, წავალ სამუდამოდ).

Πουλόποιμ κεν ἐρώσθησα, ἐγὼ θὰ ἀποθάνω (ავად გავხდები, მალე წავალ საიქიოს შვილო),

Θὰ τρώει μετ'ἐρημον τὸ χῶμα καὶ λ'ῶω θὰ γλητῶνω (შემეჭამს შავი მიწა და ვამბობ: დავისვენებ-მეთქი),

Πηδιαβαίνω τὰ ρασιὰ καὶ ὄλα τὰ χარიὰ (უნდა მოვიარო მთები, მოვინახულო სოფლები),

σήμερα ἀποχορίζουμαι ἀσεμά τὰαυλία (დღეს ჩემს საყვარელ ეზო-კარს დავემშვიდობები).¹⁹⁵

აღსანიშნავია, რომ პონტოურ სიმღერებში, როლებსაც თან გასდევს ტრაგიკული ელფერი, რაც პონტოელი ხალხის მძიმე ცხოვრებით და ბედის უკუღმართობით იყო განპირობებული, დიდი წვლილი სწორედ ოჯახის ბურჯს, მის სულიერ მასაზრდოებელს – ქალს – მიუძღვის.

ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ და პოპულარულ სიმღერაში «Τῆ Τρίχας τὸ γεφύρι»¹⁹⁶ – „ტრიხას ხიდი“ სწორედ ქალი წარმოადგენს იმ პიროვნებას, რომელიც ღირსეულად ასრულებს თავის ვალდებულებებს და საკუთარ მხრებზე იტვირთავს საზოგადოების გადარჩენის მისიას. სიმღერა ეფუძნება მითს ტრიხას ხიდის შესახებ. საუბარია ტრაპიზონიდან დაახლოებით 18 კილომეტრის მოშორებით, ერზერუმის გზის მარცხენა მხარეს მდებარე მშენებარე ხიდზე, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო, ყოველ ღამე ინგრეოდა და ერთადერთი გამოსავალი ადამიანის მსხვერპლად შეწირვა იყო. ხელოსანი ვერ იმეტებს მშობლებს, და-ძმას, შვილებს, თუმცა გამოსავალს მაინც პოულობს. საინტერესოა მისი ბოროტ ძალასთან დიალოგის ამსახველი სტრიქონები:

«Ἄν δίγω σε τὸν κύρη μου, ἄλλο κύρηγν πά 'κ' ἔχω (მამაჩემი რომ მოგცე, მამის გარეშე დავრჩები)!

Ἄν δίγω σε τὴ μάνα μου, ἄλλο μάναγν πά 'κ' ἔχω (დედაჩემი რომ მოგცე, არც დედა მეყოლება)!

Ἄν δίγω σε τ' ἀδέλφια μου, ἄλλ' ἀδέλφια πά 'κ' ἔχω (ჩემი და-ძმა რომ მოგცე, და-ძმის გარეშე ვიქნები)!

Ἄν δίγω σε καὶ τὰ πουλιά μ', ἄλλο πουλιά πα κ' ἔχω (ჩემი შვილები რომ მოგცე, უშვილებოდ დავრჩები)!

Ἄν δίγω σε τὴν κάλη μου, καλύτερον εὐρήκω (ჩემი მეუღლე რომ მოგცე, მასზე უკეთესს ვიპოვი)!»¹⁹⁷

გამოსავალი, ამ შეთხვევაში, სხვა არაფერია, თუ არა მეუღლის მსხვერპლად გაღება. ეს უკანასკნელი თავის განაჩენს მშვიდად იღებს და ღირსეულად იტანს. უშიშარი პონტოელი ქალის

195 სემ, დღიური I-035.

196 საყოველთაოდ გავრცელებული ხალხური ლექს-სიმღერის – «Του γιοφουριὸς της Ἀρτας»-ადგილობრივი ვარიანტია.

197 სემ, დღიური I-036.

სურვილია, საკუთარი თავი მსხვერპლად გაილოს, რომ გამძლე ხიდი აშენდეს. მისი ერთადერთი სადარდებელი აკვანში მყოფი ჩვილია, რომელიც ობლად დარჩება.

„ტრიხას ხიდი“ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შორის იმდენად პოპულარული ხალხური სიმღერა იყო, რომ მის საფუძველზე თეატრალური წარმოდგენებიც იმართებოდა, კერძოდ სოფელ ახალშენში – ბერძენთა თეატრალური დასის მიერ.¹⁹⁸

სამწუხაროდ, ხალხური სიმღერების გმირ ქალთა უმრავლესობის ცხოვრება ტრაგიკული განცდებითაა აღსავსე, რასაც განაპირობებს როგორც ისტორიული მოვლენები, ასევე ოჯახში არსებული პრობლემები. ამის ნათელ დასტურს წარმოადგენს ხალხური სიმღერა «**Ἡ Τρυγώνα**» – „ტრილონა“. ამ სიმღერის მთავარი გმირი – ტრილონა ახალგაზრდა ქალია, რომელსაც უღირსი და უმადური ქმარი ჰყავს. გარდა იმისა, რომ იგი თვითონ ასრულებს მძიმე საოჯახო საქმეებს, მამაკაცის მისიასაც კისრულობს და ტყიდან შეშა მოაქვს:

«**Ἀκεί πέραν σ' ὀρμανόπον, ἔστεικεν κι ἐποῖεν ξύλα** (იქ, გაუვალ ტყეში იდგა და შეშას აგროვებდა)...»¹⁹⁹

«**Ἡ Τρυγώνα μ'εἶ' ἀντζ(α) πάει σ' ὀρμάν'** σερεῦ' τσατσ(α)...»

პონტოელი ქალი ერთგულებას იჩენს როგორც ოჯახური, ასევე ეროვნული ტრადიციების მიმართ. ხალხურ სიმღერაში «**Αιχμάλωτον**» („ტყვე“) მოთხრობილია ერთ–ერთი ქალის ისტორია, რომელიც ორსულად მყოფი მოხვდა ტყვედ. მისი ვაჟკაცური შემართება და შვილის ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებით აღზრდა – მონივნებას იმსახურებს:

«**Υιέ μ', ἄν ζῆς καί γίνεσαι, σὴν Ρωμανίαν** φύγον (შვილო, თუ იცოცხლებ, რომანიაში (იგულისხმება პონტოში) წადი),

ἔκει ἔεις κύρ' Ἀνδρόνικον, καλαδελφόν Ξαντίνον (იქ არიან მამაშენი ანდრონიკე და ძმა – ქსანდინო)...»²⁰⁰

ასე ასწავლის ტყვედ ჩავარდნილი დედა შვილს იმ იმედით, რომ ოდესმე დაუბრუნდება თავის ფესვებს.

პონტოელ ბერძენთა სიმღერებში კარგად ჩანს საზოგადოებაში არსებული პრობლემები, თანასწორუფლებიანობის დარღვევის ფაქტები – კონკრეტული ოჯახის მაგალითზე. ეს ფენომენი კიდევ უფრო მკვეთრადაა წარმოდგენილი სიმღერაში «**Νύφε και ἀντραδέλφισσα**» – „რძალი და მული“; ქალები – რძალი და მული ერთდროულად მშობიარობენ, მაგრამ სრულიად განსხვავებულ პირობებში: მამინ, როცა რძალი ღვთის ანაბარადაა მიტოვებული, მულს ყველა თავს ადგას:

«**Τὴν ἀντραδ' ἀφισσα** κρατοῦν χίλιοι-μῦριοι μαμῆδες (მულს იჭერს უამრავი მომვლელი),

τὴν νύφην τὴν ξενίτζικον Ἀγ' ρ' ἴς κι ἡ Παναγία (რძალს კი, უცხოს – წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი)»²⁰¹

198 სემ, დღიური I-034.

199 სემ, დღიური I-037.

200 სემ, დღიური I-038.

201 სემ, დღიური I-040.

მშობიარობის შემდეგ რძალს ოქროსთმიანი ვაჟი ეყოლება, მული კი – სამთავიან გველს გააჩენს. დედამთილის მცდელობა – ახალშობილები შეცვალოს, ამოა; ვაჟი სამი დღის ასაკში ალაპარაკდება და სამართლიანობა აღსდგება.

ამ სიმღერებში ფოლკლორში კარგად ცნობილი რძალ-მულიანის და რძალ-დედამთილიანის თემებია გამოკვეთილი.

ქალის, როგორც მზრუნველი დედის სახე კარგადაა წარმოჩენილი ხალხურ სიმღერაში «**Η μάνα έν κρύον νερόν**» – „დედა ცივი წყალია“, სადაც დედა წარმოდგენილია იმ პიროვნებად, ვისი ამაგიც აუნაზღაურებელია ოჯახისა და, ზოგადად, საზოგადოების წინაშე. ეს სიმღერა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა უსაყვარლეს ხალხურ სიმღერათა რიცხვს მიეკუთვნება, რასაც მისი შინაარსი განაპირობებს:

«**Η μάνα 'σ' βράχος, η μάνα 'σ' ραχήν** (დედა კლდეა, დედა მთა)...

η μάνα 'σ' το στ'ήριγμα, τη χαράς το κλαδόν (დედა დასაყრდენია, სიხარულის ტოტია),

τ' ατην 'ξ η εγάπη 'κι ευρ'ίται ση γην (მისი სიყვარულის მაგვარი ქვეყნად არაფერია)».²⁰²

პონტოურ ხალხურ სიმღერებში იკვეთება უშიშარი, მებრძოლი, ოჯახის წევრებისა და ინტერესების დამცველი პონტოელი ქალის სახე, რომლის პორტრეტში გაერთიანებულია ისეთი თვისებები, როგორცაა: თავისუფლებისმოყვარეობა, მზრუნველობა, ერთგულება და სიყვარულის უნარი. სწორედ ამ თვისებების წყალობით გაუძლო ცხოვრებისეულ სიძნელეებს, ახლობელი ადამიანების სიკვდილით გამონვეულ ტკივილს, განშორებას, გადასახლებებს, სიდუხჭირესა და ღირსეული სახე შეინარჩუნა როგორც თავისი, ასევე მომავალი თაობების წინაშე; პონტოელი ბერძენების იდენტობის შენარჩუნებაში უდიდესი წვლილი სწორედ ქალს – პონტოელ დედას მიუძღვის.

პონტოური ფოლკლორის ნიმუშები იმ საუკუნეებით გაჯერებულ სევდას იტევს, რაც მათ მათ ტრაგიკულ ბედს დაჰყვა, ამ სიმღერებში თხრობა 1453 წლიდან იწყება, როცა „თურქეთმა დაიპყრო ბიზანტია“, დასტირიან „მშობლიური კერისა და ოჯახის მიტოვებას“, „დედებისა და შვილების გაყრას“:

„გაიქცნენ და დაიფანტნენ,

გემებზე ყველანი ცალ ცალკე,

დედები შორს დარჩნენ

შვილებიდან“.²⁰³

დასტირიან საკუთარ ბედუკუდმართობას:

„უბედური პონტოელი,

ქვეყნიდან გარიყული,

რა დაუშავა ღმერთს,

202 სემ, დღიური I-041.

203 სემ, დღიური I-042 (მთქმელი გიორგი მალკოციდი, მასალა ჩაწერილია დაგვაში, 2000 წ.).

დანყევლილი რომ არის“.²⁰⁴

ნოსტალგიური განწყობით გამოირჩევა არაერთი ფოლკლორული ტექსტი:

„ვნყველი შორეულ გზას,
სადაც არ მიდის ჩემი ხმა,
თვალეები დამიბნელდა
მონატრებისგან“.²⁰⁵

პონტოელ ბერძენთა მიგრაციის პროცესებს და რეპატრაციის სირთულეებს ეხმიანება ირონიულად შემდეგი ფოლკლორული ნიმუში:

„ადექი დილით, მითხარი,
- იორიკა, საბერძნეთში მივდივარ.
ვითომ შენთვის მოამზადეს
იქ თაფლი და რძე“.²⁰⁶

ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება პონტოელ ბერძენთა ოდინდელი ნატვრა იყო, მაგრამ ფოლკლორულმა ნიმუშებმა შემოინახა ის სევდაც, რასაც უფროსი თაობის პონტოელებში მეორე სამშობლოდ ქცეული საქართველოსა და მათთვის ესოდენ ძვირფასი ტაძრების დატოვება იწვევდა:

„არასოდეს წავალ
სამუდამოდ საბერძნეთში,
არ დავტოვებ ოჯახს,
და ჩემს ლამაზ ეზოს,
წავალ საბერძნეთში
ორ წელიწადში ერთხელ,
მოვეხვევი მეგობრებს და
ვაკოცებ პატარა ბარტყებს.
არ მივატოვებ ძვირფას ღვთისმშობელს
და უნატიფეს ჩემს ეკლესიას“.²⁰⁷

204 სემ, დღიური I-043.

205 სემ, დღიური I-044 (მთქმელი კონსტანტინე კუსიდი, მასალა ჩაწერილია დაგვაში, 2000წ.)

206 სემ, დღიური I-044 (მთქმელი მატვეი პილიდი, მასალა ჩაწერილია 2000 წელს).

207 სემ, დღიური I-045 (მასალა ჩაწერილია დაგვაში, 2000 წელს).

§ 10. ბავშვის დაბადებასთან და აღზრდა-სოციალიზაციასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და ფოლკლორი

ბავშვის, განსაკუთრებით, ვაჟის, დაბადება პონტოელ ბერძნებში ისე, როგორც სხვა ხალხებში, სადაც პატრიარქალური ცხოვრების წესი ტრადიციულ სტერეოტიპებში რეალიზდებოდა, უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნეოდა.

ცნობილია, რომ ძველად, პონტოში ცხოვრების დროს, ქალის ორსულობა (ή Βαρασία) იმალებოდა და ხშირად ორსულ ქალს (ή βαρυσμύττζα) ერიდებოდა თავისი მდგომარეობის გამხელა ოჯახის უფროსი წევრებისათვის. იყო ისეთი ფაქტებიც, როცა ქალის ორსულობის შესახებ ოჯახში ბავშვის დაბადების დროს იგებდნენ. ეს გარემოება დროთა განმავლობაში შეიცვალა და რძალსა და ოჯახის უფროს წევრებს შორის, (დედამთილთან – ή πεθεράν და მამამთილთან – ὁ πεθερόν) ურთიერთობამ შედარებით უფრო უშუალო ხასიათი მიიღო. ამასთან, უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობა შენარჩუნდა და ურყევ ტრადიციად გადაეცა მომავალ თაობებს.

მშობიარე ქალი, მისი ჯამრთელობისა და მემკვიდრის დღეგრძელობის მიზნით, მრავალ აკრძალვას ექვემდებარებოდა. მისთვის არ შეიძლებოდა პირუტყვის დაკვლის პროცესზე თვალყურის დევნება, მაგრამ თუ ეს მაინც ასე მოხდებოდა, მაშინ იგი შემალღებულ ადგილზე უნდა დამდგარიყო, ვთქვათ, მაღალ სკამზე. სანინაალმდეგო შემთხვევაში, მომავალი ბავშვი სუსტი და უძლური დაიბადებოდა. ორსული თუ ჩვილბავშვიანი ქალისადმი ამ ტიპის აკრძალვები პონტოელ ბერძენთა საოჯახო ყოფაში საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მაგალითად, დაუშვებელი იყო მდგომარეობაში მყოფ ქალს ქათმის დაკვლისათვის ეცქირა, მაგრამ ეს თუ მაინც მოხდებოდა, მაშინ ქათმის ხორცს იატაკზე დებდნენ, ქალს აფარებდნენ და სამჯერ ფეხს ადგამდნენ. აკრძალვები ფეხძიმე ქალების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხებოდა. მას არ შეეძლო ახალშობილისათვის თეთრი ქსოვილები წინასწარ მოემარაგებინა, რაც მისი სიცოცხლისათვის სახიფათო იქნებოდა. აკრძალვები დღე-ღამის ციკლშიც იჩენდა თავს. დაუშვებელი იყო მზის ჩასვლის შემდეგ, ღამით სახლიდან გარეთ გასვლა ანუ როგორც პონტოელი ბერძნები ხატოვნად ამბობდნენ – „როცა მზე ზღვაში ეშვება“.²⁰⁸ სხვათა შორის, პონტოელ ბერძნებში ორსულ ქალებს აკრძალვები საკვების მოხმარებაშიც ეხებოდა. საკვების ამ რიგს ეკუთვნოდა: ხორცი, თაფლი, ბრინჯი, კანფეტი, კაკალი.

ორსული ქალი ვალდებული იყო დაეცვა მთელი რიგი წესებისა, რომლებიც, დღეს დავიწყებულია, მაგრამ მათ ღრმა კვალი დატოვეს პონტოელ ბერძენთა ცნობიერებაში, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ხალხში არაერთი გამოთქმაა შემორჩენილი:

- «Σὴ κοισσοῦν μὲ τὰ πούλια κ' ἔπρεπε νὰ πάει, νὰ τὰ φαίῃ για νὰ μὴν πατ' ἔκεται τὸ μωρό. Ἡ κοισσοῦν πὰ ἔσῃ πούλια κ' ἐσὺ πὰ ἀναμένῃ πούλι καὶ ἄμα τυχὲν νικά σὲ καὶ βλάπτ τὸ μωρό, ἀπὸ νὰ μὴν ἔπορεῖ νὰ πορπατεῖ» („ორსული ქალი არ უნდა მისულიყო წინილებიან კრუხთან,

არ უნდა დაეპურებინა, რომ მომავალი შვილისთვის კრუხს არ ევნო, არ დაესნეულე-ბინა. კრუხს ხომ მისი შვილები (წინილები) ჰყავს, შენც შვილს ელოდები და შეიძლება დაგამარცხოს, ბავშვს ზიანი მიაყენოს და ბავშვმა ვერ გაიაროს“).

- «**Κ'έπρεπε νὰ βάλνε σὴ φωτάν ατς νε τὸ ψαλίδ, νε τὸ μαshaίρ, νε βελόν**» („წინსაფრის ჯიბეში არ უნდა ჩაედო არც მაკრატელი, არც დანა და არც ნემსი“)
- «**Βαρεσμέντζα ἡ γαρή κ ἐπορούσεν ἄβαφτεῖζ ἄλλο μαρό καὶ κουμπάρα πὰ κὶ γίντονε νὰ ἴνεται**» (არ ჰქონდა ბავშვის მონათვლის ან მეჯვარედ ყოფნის უფლება);
- «**Κ'έπρεπε νὰ μασχαρεῖν ἄρρωστον ἄθρωπον**» („არ უნდა დაეცინა უძილური, უმწეო, უშნო ადამიანებისთვის“), რათა არ დასჯილიყო და ეს ყველაფერი მის შვილს არ დამართნოდა;
- „ეკრძალებოდა ბავშვის მონათვლა ან ქორწილში მეჯვარეობა“, განსაკუთრებულად „ფრთხილად უნდა ყოფილიყო წმინდა ვლასის დღესასწაულზე (**ἉΓΑΙ – Ζαρέα**) თუკი უნდოდა, რომ ბავშვი რაიმე ნაკლით არ დაბადებულიყო, ვინაიდან იყო შემთხვევები, როცა ორსულმა დედამ ამ დღეს მოკრიფა ყვავილი ან სარეცხი გარეცხა და ბავშვს თავზე ყვავილივით გაფურჩქნული ან დაღვრილი წყალივით ლაქა ჰქონდა გამოსახული. ასევე, „დედამ ცომი მოზილა და ბავშვი მოკრუნჩხული ხელებით დაიბადა“²⁰⁹ და მრავალი სხვა.

პონტოელი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ წმინდა გიორგი მგზავრთა მფარველი წმინდანიც იყო. ამიტომაც, ადრე სახლიდან გასული მგზავრის კეთილდღეობას წმიდა გიორგის – **აერს** შეს-თხოვდნენ. ამასთან, იგი მათი ბავშვების, განსაკუთრებით, მშობიარეთა, უფრო მეტიც, დედის საშოში მყოფი ბავშვების მფარველიც იყო, რადგან საშოში მყოფი ჩვილიც მგზავრად მიიჩნეოდა, ამიტომაც წმიდა გიორგი ბავშვთან ერთად ბებიასავე მფარველობდა. მომავალი მამა როცა იძულებული იყო ვინმესათვის ეთქვა, რომ მისი ცოლი ბავშვს ელოდებოდა, მოსაუბრეს ასე განუმარტავდა: „მე ამის გაკეთება არ შემეძლია, რადგან ჩემი ბავშვი ჯერ კიდევ გზაშიაო“.²¹⁰ ბებიასავე **მამი** ფეხძიმე დედაკაცთან მიდიოდა და მომზადების შემდეგ **პანაგია**'ს – ღვთისმშობელს ლოცვით მიმართავდა, შემდეგ ფეხძიმე ქალის მუცელს ჯვარს გადასწერდა და მის მთავარ თანაშემწეს – წმიდა გიორგის ეძახდა: „აერ ჩემო, მე შენი იმედი მაქვს – იჩქარე“ (Зайковская, 1989:110-111).

ბავშვის დაბადების მოლოდინში ოჯახის რძალი თავს ვალდებულად თვლიდა, მოენესრიგებინა სახლი, რათა ჩვილის სანახავად მოსულ სტუმრებს ყველაფერი წესრიგში დახვედროდა და ზედმეტი მითქმა-მოთქმისათვის საბაზი არ მისცემოდათ. ასევე, „მომავალი დედა ბავშვის ტანსაცმელს (**τὴ μαρὶ τὰ λώματα, τὰ ἐμπάλλια τὴ μαρὶ**) წინასწარ მოამზადებდა, შეკერავდა ან ახლობლებისგან მიიღებდა დროებით ან საჩუქრად, რათა პირველ ხანებში ჩვილი უზრუნველყოფილიყო ყველაფრით, რაც საჭირო იქნებოდა უახლოეს მომავალში. ხშირ შემთხვევაში ეს იყო : «**πανάκια, πανία**» – ტილოები, «**shepοmάντηλα**» – ხელებზე მოსახვევი ტილოები, «**ποδοmάντηλα**»

209 სემ, დღიური I-046.

210 სემ, დღიური II-050.

– ფეხების შესახვევები, «σκουφάκιον» – ქუდი, «καλτσόπα, ὀρταράκια» – წინდები, «καμισόπα» – პერანგები და სხვა“.²¹¹

მშობიარობის დროს ფეხბიძე ქალი დედის მამისეულ სახლში მიემგზავრებოდა, რათა მშობიარობისას იგი დედის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილიყო (დემუროვა, 1986:100-101). მას უფლება არ ჰქონდა ქმრის სახლში ორმოცი დღის გასვლამდე დაბრუნებულიყო. თუ იგი ამ წესს დაარღვევდა, მაშინ, ხალხური რწმენით, მის სახლში თავგები ძრომას დაიწყებდნენ. ეს ჩვეულება ქართველებში, მათ შორის, აჭარის ტრადიციულ მოსახლეობაში, არამედ ადრე ანატოლიისა და კავკასიის სხვა ხალხებშიც ფართოდ იყო გავრცელებული და როგორც მიაჩნიათ სათავეს საკმაოდ ძველი პერიოდიდან იღებს. პონტოელ ბერძენებს მიაჩნდათ, რომ თუ მშობიარე ქალი ორმოცი დღით ადრე მივიდოდა მამისეულ სახლში, მაშინ საცხოვრებელში ნებისმიერ თავგს შეეძლო შეძრომა.

ტრადიციულად, ფეხბიძე ქალი მამისეულ სახლში ბებიაქალის დახმარებით მშობიარობდა. როდესაც ბავშვის ამქვეყნად მოვლინების დრო დგებოდა («ἐντόκων τὰ πόνια»), მშობიარე ქალთან (ἡ κοίσιπονέτρα) მეან ქალს (ἡ μამμή) მოიხმობდნენ ოჯახში. აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები ადასტურებენ ასეთი მეანი ქალების არსებობას სოფლებში და მათი დახმარებით როგორც ბერძენი, ასევე ქართველი ბავშვების დაბადების ფაქტებს.

სოფელ ყოროლისთავის (ჩაისუბნის) მკვიდრი ბერძენი მეანი ქალი, 85 წლის თეოდორა ტაქსიდი–სეიდიდი იხსენებს: «Ἐγὼ ὄνταν ἐποίνα παιδία, ἡ μამμ ἡἔρχουνταν καὶ ἄσν μამμ ἡἔμαθα αὐτὸ τῆ δουλεία, καὶ ὑστερία ποῦ ἔμαθα, ὅπου εἶσθε ἔγκυα σὸ χάριον, ἐπήγαινα καὶ ἔλευθέρωνα παιδία. Σεράντα πα ἰδία πήρα, ὄλα ἔν καλά, ὄλα ἔν ζωηρά, τὰ κορίτσια ἔν τρισαν, τὰ παιδία πάντρεψανε... Ἔσαν κυρταῖδες, ἔσαν ρωμαῖοι, ὄλοι ἔσανε ἄσὸ Κορολιστάβ».²¹² („როცა საკუთარ შვილებს ვაჩენდი (ის 11 შვილის დედა იყო), ჩემთან მეანი ქალი მოდიოდა და მისგან ვისწავლე ეს საქმე. შემდეგ, სადაც მომლოგინე ქალი იყო სოფელში, მივდიოდი და ბავშვების გაჩენაში ვეხმარებოდი. 40 ბავშვი დაიბადა ჩემს ხელში და ყველანი კარგად არიან, ყველანი ცოცხლობენ. გოგონები გათხოვდნენ, ვაჟები დაოჯახდნენ... იყვნენ ქართველები, პონტოელი ბერძნები, ყველანი ყოროლისთავში ცხოვრობდნენ“).²¹³

ძველად, სოფელში მშობიარობის შემდეგ ქალს ქსოვილით, უმეტესად, შალის ქსოვილით მუცელს შეუკრავდნენ. მთხრობელების, მაგალითად, მარიამ პაპანდოპულოს ცნობით, პონტოელი ბერძენი ქალები ცალკე ოთახში მშობიარობდნენ, მაგრამ ხდებოდა ისეც, როცა ქალი ბავშვს ქმრის ოჯახში აჩენდა, რომლის დროსაც ბებიაქალის როლი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. იმისათვის, რომ ქალს იოლად ემშობიარებინა, მის წინ თასს დებდნენ და მასში ნელ-თბილ წყალს ასხამდნენ. თასი ყველა მხრიდან ხელში ქალებს ეკავათ. მშობიარეს ტასზე სვამდნენ. მამაკაცები ამ დროს სახლის ზღურბლს ტოვებდნენ და კარ-მიდამოში ანდა მის მახლობლად იმყოფებოდნენ.²¹⁴

211 სემ, დღიური I-047.

212 სემ, დღიური I-048.

213 სემ, დღიური I-049.

214 სემ, დღიური II – 051.

პონტოურ დიალექტზე ბავშვის გაჩენაზე იტყოდნენ: «Ἐποίκην μωρόν», რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ბავშვი შექმნა“, იგულისხმებოდა, ბავშვი მოავლინაო. ასევე იყენებდნენ გამონათქვამს «Ἐλευτέρωθεν» – „გათავისუფლდა“ და ამ შემთხვევაშიც იგივე მოიაზრებოდა. ახალშობილის სანახავად მოსული მნახველები, როგორც წესი, დედას ეტყოდნენ: «Ἄς'σὸν Ἄε-Λευτ'ρ' ἔρχομαι» – „წმინდა ელევთერიოსისგან მოვდივარო“, რადგან სწორედ წმ. ელევთერიოსი «Ἄϊ-Λευτ'ρ'» ითვლებოდა მომლოგინე ქალების მფარველად, ხოლო სიტყვა «Ἐλευθέρια» ნიშნავს თავისუფლებას. ასე რომ, გასაგებია რატომ ხმარობდნენ პონტოელი ბერძნები ქალის მშობიარობისთვის ტერმინს «Ἐλευτέρωθεν».

დედის მშვიდობიანად მოლოგინების შემდეგ, ოჯახის უფროსი მეან ქალს შეძლებისდაგვარად სცემდა პატივს.²¹⁵

ბავშვს დაბადებისთანავე ჭიპლარს ჭრიდნენ და სპეციალურად მისთვის მომზადებულ ქსოვილში ახვევდნენ. ახალდაბადებულ ბავშვს ოდნავ შემარილებულ წყალში ავლებდნენ და დედას სანოლში უწვენდნენ, რომელიც ამ მდგომარეობაში დედის გვერდით დაახლოებით ერთ კვირას ატარებდა. მას ამ პერიოდის მანძილზე ბრინჯის ფაფით უმასპინძლებოდნენ. პონტოელ ბერძნებში ნამშობიარები ქალი „უნმინდურად“ ითვლებოდა. „განწმენდამდე“ მას უფლება არ ჰქონდა საკვებს მიკარებოდა, მას არც საჭმლის გაკეთება შეეძლო, ქალს ორმოც დღემდე ქმართან სქესობრივი კავშირიც ეკრძალებოდა, რაც ბავშვის ნათლობის შემდეგ უკვე მისაღები იყო. ისე, ახალდაბადებულს მანამ არ დაბანდნენ, სანამ მას ჭიპი არ მოძვრებოდა, დაახლოებით ორი დღე. ზოგნი თვოდნენ, რომ ჩვილის დაბანა ერთი კვირის შემდეგ იყო მიზანშეწონილი, რადგან მისი გაცივებისა ეშინოდათ. ჩვილს შემარილებულ წყალში სამი დღის მანძილზე ბანდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ მარილი სიბინძურის, ავადმყოფობისა და დეზინფექციის უებარ საშუალებას წარმოადგენდა. ბავშვს, ასევე, ყურთან, პირთან, ხელებთან, ილლიაში, ფეხებთან მარილი უნდა წაუცხონ, რათა მისგან ავი სული გამოიდევენოს. ნამშობიარები ქალიც დაახლოებით თხუთმეტი-ოცი დღე ბანაობისაგან თავს იკავებდა. ჭიპლარს შემწვარ და დაფქვილ ყავაში ჩადებდნენ და ქსოვილში შეახვევდნენ, ჩვილს ჭრილობაზე ადებდნენ. ითვლებოდა, რო დაფქვილი ყავა ნესტს იწოვდა და ჭრილობას აშუშებდა. ჩვილის ჭიპს ამრობდნენ და ქსოვილში ახვევდნენ. მოზარდის სკოლაში წასვლის დროს კი – დედა ქსოვილში გახვეულ ჭიპს აიღებდა, სასურველ ადგილზე, როცა სკოლები შემოიღეს, სკოლის ეზოსკენ მიჰქონდა და სადღაც შენობის მახლობლად დააგდებდა ანდა მიწაში ფლავდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მომავალში ბავშვი კარგად ისწავლიდა. ასეთ ჩვეულებას დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც დიდხანს იცავდა, სადაც ჭიპლარის ჩაფლვის ინიციატორები ძირითადად მამა ანდა ბაბუა იყვნენ. ბავშვის ფეხის ადგმის პროცესიც გამორჩეული იყო. როცა დედა დაკავებული, ხოლო ბავშვი უკვე მოზარდი და მოღონიერებული იყო, მომალლო, ოთხკუთხა ჯორკოზე გადაახტუნებდნენ, ფეხებს შალით შეუკრავდნენ და ისე აყენებდნენ, ფეხზე დგომა რომ ესწავლა. ფეხის

ადგმისას ახლობლები სკამს გადააბრუნებდნენ და დაზიანების თავიდან აცილების მიზნით შალით შეფუთავდნენ. საერთოდ კი – თუ ბავშვი ფეხს დიდხანს არ აიდგამდა, მაშინ მიიჩნევდნენ, რომ ფეხები უხილავი ძალების მიერ იყო დაბმული. ფეხების ახსნა კი მხოლოდ წმიდა გიორგის შეეძლო. ამიტომ, ბავშვი დღესასწაულზე აერას ეკლესიაში გაყავდათ, სადაც ღამეს გაატარებინებდნენ. ძილში ბავშვი ხედავდა, რომ ფეხზე მას შავ ტანსაცმლიანმა ხანდაზმულმა მხედარმა თეთრი ცხენით გადაურა. პონტოელთა რწმენით, ამის შემდეგ ბავშვი აუცილებლად გაივლიდა. ასეთი გადმოცემები პონტოელებში მრავლად არსებობდა (დანვრ. იხ.: Зайковская, 1989:112).

პონტოელი დედები დიდ ყურადღებას და სიფრთხილეს იჩენდნენ ჩვილის მოვლისას და გარკვეული წესებს იცავდნენ. კერძოდ, მ. მურატიდუს თქმით:

- «Ἐπείνανε ἀκήσεις σὰ μωρὰ σὸ κεφάλ, σὴ γούλαν καὶ ἔλεγαν: Ἄρκον ταπεινός, κ' ἐσὺ χοντρός» („სპეციალურ ვარჯიშებს უკეთებდნენ ფეხებზე, ყელზე, რომ ბავშვს გრძელი ფეხები და ღამაზი ყელი ჰქონოდა და ამბობდნენ: დათვი – მჭლე და შენ – მძლე“);²¹⁶
- «Σὸ νερόν ἔβαλναν τὸ χῶρ(ν)» („ჩვილს კვერცხისგულიან წყალში ბანდნენ“), ან ცოტა მარილს ჩაყრიდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მარილიანი წყალი გარდა იმისა, რომ სასარგებლო იყო ჯანმრთელობისთვის, ბავშვის ხასიათზე დადებითად იმოქმედებდა, სხვაგვარად ჩვილი ქირვეული გაიზრდებოდა და ამ შემთხვევაში ამბობდნენ: „უმარილო ბავშვიაო“ – «ἄναλον παιδί(ν) ἐν»²¹⁷ .

ასევე, მეანი ქალბატონის, თ. ტაქსიდის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ:

- «Τὸ μωρό ἔλουζαν καὶ ἔβαζαν τὸ δαχτυλίδ σὸ νερόν» („ახალშობილის დაბანისას ოქროს ბეჭედს აგდებდნენ წყალში“), რადგან მიაჩნდათ, რომ ამგვარად წყალი სუფთა და სასარგებლო ხდებოდა;
- «Σεράντα ἡμέρας τὸ μωρόν κ' ἔβγαζαν ἄσὸ σπίτ, ἢ μამὰ πὰ κ' ἔβγαინε» („40 დღის განმავლობაში ბავშვი არ გაჰყავდათ სახლიდან, არც დედა გადიოდა“);
- «Ἡ μάνα βύζανε τὸ μωρόν ατς» („ჩვილი, როგორც წესი, დედის რძით იკვებებოდა“).²¹⁸

როცა დედას არ ჰქონდა რძე, ამ დროს ნათესავი, მეზობელი ან სრულიად უცნობი ქალბატონი ხდებოდა ბავშვის დედობილი. სოფელ კვირიკეში დაბადებული და გაზრდილი, ვ. მავროპულო – კურტიდისის მონათხრობის მიხედვით, „თუ რომელიმე დედას არ ჰქონდა რძე, სხვა ქალი აჭმევდა მის ბავშვს და თუ მათი შვილები ბიჭი და გოგო იყვნენ, არ შეიძლებოდა მათი ქორწინება, ისინი დაძმებად ითვლებოდნენ“: «Ἄμα κάποια μάνα κ' εἶσθε γάλα, ἢ ἄλλεσα γυναίκα ποῖος τὸ εἶσθε, ἐβυζάλιζε τὸ μωρό καὶ τὰ μωράτς ἂν ἐν ἄγὼρ καὶ κορίτς, κ' ἔπρεπε νὰ παύρνε ἕνας τὸν ἄλλον, ἔν ἂν ἔφια».²¹⁹ ისევე, როგორც ქართულ ტრადიციაში ძუძუმტეებთან მიმართებაში.

216 სემ, დღიური I-051.

217 სემ, დღიური I-052.

218 სემ, დღიური I-053.

219 სემ, დღიური I-054.

პონტოელი ბერძნები გვიამბობენ, რომ ახალდაბადებულის მიმართ პირველი კვირის მანძილზე განსაკუთრებით ფრთხილად ყოფნა იყო საჭირო. მაგიური ქმედებები ბავშვისა და დედის ჯამრთელობის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული. როცა ჩვილს ეძინა, მაშინ მისი სახის ნახევარს ქსოვილის ნაჭრებით ფარავდნენ, რათა იგი არ გათვალულიყო. ბავშვისათვის არ შეიძლებოდა ზურგის მხრიდან ყურება, რადგან შესაძლოა ბავშვს „თვალი სცემოდა“, არ შეიძლებოდა ცარიელი აკვნის დარწევა, რადგან იგი უბედურებას მოიტანდა და ბავშვის სიკვდილს განაპირობებდა. ასევე, იკრძალებოდა ბავშვის ქება, ხდებოდა სიმბოლურად სამჯერ გადაფურთხება და ხელზე კოცნა. ჩვილს ფრჩხილებს წლამდე არ მოქნიდნენ, თმებსაც წლამდე არ შეჭრიდნენ. თუ ამ ჩვეულებას დაარღვევდნენ, მაშინ ბავშვი არ გაიზრდებოდა. ოჯახის წევრები ცდილობდნენ ბავშვს დროულად დაეწყო ლაპარაკი. ამ მიზნით მათ სახლში ჩიტი შემოჰყავდათ და მას ფეხს ადგამდნენ. მათი რწმენით, ამის შემდეგ ბავშვი ლაპარაკს დაიწყებდა. ამ მხრივ საყურადღებოა სხვადასხვა ხასიათის ანატოლოური და ქართულ-კავკასიური ჯადოსნური ზრაპრები, სადაც ჩიტი ენის ცოდნასთანაა დაკავშირებული, თუმცა „ჩიტის ენა“ ყველამ როდი იცოდა. როგორც ვხედავთ, პონტოელ ბერძნებში ახალდაბადებულის და ახლად ნამშობიარები ქალის მისამართით რიგი ხალხური აკრძალვა არსებობდა, რაც კვლავ მათ ჯამრთელობისა და დღეგრძელობის უზრუნველსაყოფისათვის სრულდებოდა. ჩვეულებრივ ბავშვის მეტყველების მფარველად წმიდა გიორგი მიიჩნეოდა. იგი მონანილეობას ისეთ ჩვეულებაში ღებულობდა, რომელზეც ბავშვის „პირის გაღება“ სრულდებოდა. თუ ბავშვი დიდხანს ვერ დაილაპარაკებდა, მაშინ იტყოდნენ „ანიგომე ტო მორონ ტო სტომანეტე“ – „ბავშვს პირი გაუღოთ“. მშობლებს ანდა ბავშვის ბებიას ჩვილი იმ სოფელში გაყავდათ, სადაც **აერა**'ს ეკლესია იდგა. ეკლესიის კარებს გასაღებით აღებდნენ და შემდეგ ამავე გასაღებით ბავშვის პირის გაღების იმიტაციასაც ახდენდნენ, თანაც დააყოლებდნენ: „აერ ჩემო, როგორც ჩვენ შენს კარებს ვაღებთ გასაღებით, ისე გაიღოს ბავშვის პირი და დაე მან ლაპარაკი დაიწყოს“. რიტუალის შემდეგ ეკლესიის კარებს კეტავდნენ და ყველანი სახლში ბრუნდებოდა. წმინდანი მთხოვნელებს ბავშვის ფეხის ადგმაში ეხმარებოდა (იხ.: *Зайковская, 1989:112*). აკრძალვასთან დაკავშირებულ ჩვეულებათა ციკლი შვილისა და დედის თითქმის ყველა ცხოვრებისეულ სფეროს მოიცავდა. მაგალითად, სახლეულში მოსული ნათესავ-მეზობლები ბავშვს პირველად როცა ნახულობდა, მაშინ აუცილებელი იყო მათ მის მხარეს მიბრუნებულიყვნენ, სამჯერ გადაეფურთხებინათ და ეთქვათ: „არ იყოს თვალი“ ე. ი თვალი არ გეცესო, რითაც ბავშვი გათვალვისაგან დაცული იქნებოდა. ამის გარდა, ტრადიციულად, ჩვილის სამყოფში ღამით შესვლა დაუშვებელი იმიტომაც იყო, რომ, როგორც მიიჩნევდნენ, ამით ბავშვის ძილს მიითვისებდი ანდა სიმშვიდეს დაურღვევდი, მაგრამ სახლეულში ღამით სტუმარი მაინც თუ მოხვდებოდა, მაშინ უპირველესად მას ცეცხლთან მიიყვანდნენ, რომელსაც განწმენდის ძალა გააჩნდა. ცეცხლს შეეძლო ყველაფერი იმის წაღება, რაც ბოროტ და ავ ძალასთან იყო დაკავშირებული. ახალმოლოგინებულის, ჩვილისა და მნახველების მხრიდან კერაზე ცეცხლისადმი

დამოკიდებულება ანატოლიისა და კავკასიის ხალხებში, მათ შორის ქართველ ხალხში, მრავალფეროვანი სიუჟეტებით საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი. ახალმოლოგინებული ქალი სანოლიდან ათი დღე არ დგებოდა. დედა-შვილი განსაზღვრული დროის მანძილზე სახლიდან გარეთ არ გადიოდნენ. გარეთ არც ბავშვის თეთრეულს არ აფენდნენ, რადგან შესაძლოა ბავშვი ავად გამხდარიყო. საღამოთი აუცილებლად ტანსაცმელი სახლში უნდა შემოეტანათ და დილაამდე შეენახათ. ამ მხრივ ზიანთან დაკავშირებით პონტოელ ბერძნებში არაერთი გადმოცემა არსებობდა. მთხრობელთა ცნობით, ერთხელ დედამთილმა ბავშვის თეთრეული ღამით გარეთ გაფენილი დატოვა – ჩამოხსნა დაავინყდა, დილით კი ნახეს, რომ თეთრეული გადარჩეული, მიმოფანტული და დაგლეჯილი იყო. ღამით ტყეში მცხოვრები „ჯაზები“ – ეშმაკები მოსულან. ბავშვი ავად გამხდარა. დაიწყეს ბავშვის დედაბრებთან – ექიმბაშებთან ტარება, რომლებიც ოჯახს დაეხმარნენ, რათა ბავშვს ჯადო ახსნოდა. ეს კი იმით ახსნეს, რომ ტყეში მცხოვრებმა ჯადოქრებმა – ძაქსებმა ჩვილი მოაჯადოვეს. მათ ამით სიბრაზე გამოხატენ. ბავშვის ავადმყოფობა მის გონებაჩლუნგობაშიც შეიძლებოდა გამოხატულიყო. ბავშვის გარეცხილი თეთრეულის გარეთ ღამით დატოვება შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბავშვს წელი შეუსრულდებოდა. ჩვილობის პერიოდში კი, წყალს, რომელშიც ბავშვს აბანავებდნენ, ე. ი. ნაბან წალსაც გარეთ არ აქცევდნენ, რადგან შესაძლოა მასზე ვინმეს ფეხი დაედგა – ადგილი გაეტკეპნა და ამით ჯამრთელი ბავშვისათვის ზიანი მიეყენებინა. ნაბანი წყალი სახლში დილაამდე უნდა დარჩენილიყო, შემდეგ კი წყალს სადღაც ხის ძირში ასხამდნენ. ამასთან, მზის ჩასვლის შემდეგ წყლის გადაღვრა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, რადგან ესეც ბავშვს ზიანს მიაყენებდა. აქაც, როგორც ჩანს, ღამისეული დემონური სამყაროს პერსონაჟებს უფრთხოდნენ. ახალდაბადებულთან დაკავშირებით პონტოელ ბერძნებში აკრძალვები საკმაოდ მკაცრად იცვებოდა. ახალდაბადებული ბავშვის სისუსტის შემთხვევაში, სისუსტე, რომ არ განვითარებულიყო ანდა ჩვილს დაავადებებისადმი მიდრეკილება რომ არ ჰქონოდა, მაშინ მას ხელში აიყვანდნენ და ქათმის ხორცზე სამჯერ ფეხს ადგმევინებდნენ. ამასთან, მაგიურ სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ: „მე შენ ფეხს გადგამ, შენ კი ეს არ შეგიძლია“. ასევე, მიუღებელი იყო აუნონელი ხორცის ბავშვის გვერდით დადება, ისე როგორც ბავშვის მახლობლად ქათმის დაკვლა, მაგრამ თუ ამას მაინც ექნებოდა ადგილი, მაშინ ქათამს აიღებდნენ და იატაკზე კაკუნით წარმოთქვამდნენ: „მე შენ გიკაკუნებ, შენ კი მე – არა“. ბავშვის მახლობლად სროლაც არ შეიძლებოდა, ისე როგორც არ შეიძლებოდა ბავშვის ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა, რათა ჩვილი არ გათვალულიყო. შეუძლოდ მყოფი ბავშვი რომ გამოჯამრთელებულიყო, შვიდი ეზოდან ისეთი წყალი უნდა შეკრებილიყო, რომელიც არავის ჰქონდა დანალევი. ასეთ წყალს ათბობდნენ და ბავშვს შიგ აბანავებდნენ. საერთოდ, სამი, ისე როგორც შვიდი, როგორც საკრალური ციფრები, არა მარტო ბერძენთა, არამედ ქართველებისა და სხვა მრავალი ხალხის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში ფართოდ ფიგურირებს. ახალდაბადებული ბავშვის ორმოცდაათლიანი აკრძალვები **პატი ეტემორონო**’დ

ონოდებოდა (იხ. Демурова, 1983:12; 1985:12). პონტოელი ბერძნების უმეტესობა თვლიდა, რომ ორმოცი დღის ფარგლები ჩვილისათვის განსაკუთრებულად სახიფათო იყო. ამიტომ, ახალდაბადებული ორმოცი დღის განმავლობაში გარეთ კარ-მიდამოშიც კი არ გაჰყავდათ. ნათლობამდე ბავშვს საკუთარი სახელით არ მოიხსენიებდნენ და შვილს დედა სხვადასხვაგვარად მიმართავდა, მაგალითად, ასე: „ჩემო ოქრო“, „ჩემო თოჯინა“...

ახალდაბადებულს ძუძუს დაბადებისთანავე, იმავდროულად არ მოაწოვებდნენ. პირიქით, ჩვილს დედის მკერდსა და რძეს თანმიმდევრულად აჩვენებდნენ, ისიც დაბანილი და უსაფრთხო მკერდიდან მცირე ულუფებით. ისე, ბავშვის დედის რძით გამოკვების რეჟიმი განსაზღვრული არ იყო. როცა ბავშვი ჭირვეულობასა და ტირილს დაიწყებდა, დედა ჩვილს ძუძუს სწორედ მაშინ აწოვებდა. დედის რძით ბავშვი ერთი-ორი წლის განმავლობაში იკვებებოდა. სატყუარას – სანოვის ნაცვლად სუფთა ქსოვილს იყენებდნენ, მასში პურსა და შაქრს დებდნენ, კვანძავდნენ და მანოვარის ნაცვლად ჩვილს პირში უდებდნენ. ასეთ სანოვს ვიზერო ერქვა (Демурова, 1984:39-38; 46-47). დროთა განმავლობაში, ფაფას რძესთან ერთად კარტოფილის ფქვილიდან ამზადებდნენ და ჩვილს საკვებად დედის რძესთან დამატებითი რაციონის სახით აძლევდნენ. თანმიმდევრულად ბავშვი კვების სხვა რეჟიმზე გადაყავდათ. დროთა განმავლობაში, ჩვილის ზრდასთან ერთად, დედები იწყებდნენ ბავშვისთვის ძროხის რძის (κτηνὴ γάλακ) და ფაფების (λαπάκ, ρυζάλευρο) მიცემას. რთული ცხოვრებისეული პირობების გამო, ბავშვები არ იყვნენ განებივრებულნი მრავალფეროვანი საკვებით.

პონტოელი ბერძნები აკვანს – კუნის თუ კუნინს ეძახიან. აკვანს, როგორც პონტოელი ბერძნები გადმოგვცემენ, ბავშვის დედა ადგილობრივ ოსტატებს ამზადებინებდა. დამზადებულ სარწევ სანოლს გარკვეული საზღაურის ფასად იძენდნენ, თუმცა მისი დამზადება ბერძნებმაც იცოდა. კუნში რბილი ლეიბის ნაცვლად გაცხელების შემდეგ გამთბარ სილას ყრიდნენ, ხოლო ზემოდან თივას აფენდნენ. კუნში ჩვილი ერთ წლამდე ჰყავდათ, ან მანამ, სანამ მას აკვანში წოლა სიამოვნებდა, უმეტესად, წლიდან წლინახევრის ასაკამდე, შემდეგ იგი დედის გვერდით ჩვეულებრივ სანოლში გადაჰყავდათ. ასე ხდებოდა პონტოელ ბერძენთა ყველა ოჯახში. აკვანში ბავშვი ზრდის პროცესში იმყოფებოდა, შემდეგ კი, თანდათანობით, ხუთ წლამდე დაძინებას დედასთან ერთად იწყებდა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ სანოლში მის გარეშე ისვენებდა. აკვანში ჩვილს არ კრავდნენ, არამედ სამკუთხოვანი ფორმის თავსაფარში ახვევდნენ. ზოგიერთი მთხრობელი გვიმტკიცებს, რომ პონტოელი ბერძნები ადრე ბავშვს კუნში აწვენდნენ, შემდეგ კი – კუნინი გავრცელდა (Демурова, 1984:34). ჩვილი აკვანში ერთი კვირის შემდეგ გადაჰყავდათ. იქვე ჩვილს დალოცავდნენ – ლოცვის ტექსტებს წარმოთქვამდნენ, რომ აკვანი ბედნიერების მომტანი ყოფილიყო. სანოლში ახალდაბადებულს ფეხები არტახებით ჰქონდა შეკრული, რომელიც ნახევრადმრგვალი იყო. კუნის შუაში არდის შიბათისათვის ამონაჭერი იყო მონყობილი, ხოლო ქვემოთ ბანკა, ე. წ. ცუკა იდო. სადაც ბავშვის მონაშარდი ჩაედინებოდა (Демурова, 1984:41). კუნში ბავშვს საკრავში მჭიდროდ აკრავდნენ, რომელსაც პონტოელი ბერძნები კუნოდმატა'ს ეძახდნენ. კუნში ბავშვი დღის საკმაოდ

დიდ მონაკვეთში იმყოფებოდა. კუნის ტიპის ბავშვის სანოლს პონტოელ ბერძნებში, უმთავრესად, დიდი გავრცელება სოფლის მოსახლეობაში ჰქონდა.

პონტოელ ბერძენთა აკვანი, როგორც ბავშვის მოვლა-პატრონობისა თუ ჰიგიენის დაცვის, ისე საკრალური თვალსაზრისითაც მრავალმხრივ საინტერესო იყო. რესპოდენტები მოგვითხრობენ, რომ ადრე ჩვილს სანოლში თავქვემ დანას ამოუდებდნენ ანდა გვერდით დაუდებდნენ. თავად აკვანი ატლასის ნაჭრებით იყო მორთული. აკვნის თავზე სხვადასხვგვარი ამულეტი ეკიდა, რომლებიც ასევე ახალდაბადებულს ავი თვალისაგან იცავდნენ. ამულეტის როლს ნიჟარები, პატარა ზომის გადანაჭარები ასრულებდნენ, რომლებიც აბრეშუმისა თუ ატლასის ნაჭრებზე თავთან – ჯვართან სხვადასხვა საგნებთან ერთადაც იკიდებოდა. მათი აზრით, ისინი ბავშვის მცველები იქნებოდნენ. თანამედროვეობაშიც, აკვანზე გათვალვის საწინააღმდეგოდ აკვნის თავთან ნიჟარებს, ასევე, ავგოროზს – შავ თვალს, მინისაგან დამზადებულ საგანს კიდებდნენ, დიდი წერტილები ჰქონდა დასმული და თვალის გულის ფორმას ატარებდა. ასევე, აკვანზე ბავშვის საჩხრიალო სათამაშოს ადგილზე ვერცხლის პატარა ზარს ანდა ნინასწარ დამაშხული – გახურებული კრავისა თუ ბატკნის სახსარს დაკიდებდნენ. მანამდე კი მას კარგად გამოაშრობდნენ – ახმობდნენ, ხოლო შემდეგ აფერადებდნენ. ბავშვისათვის **იტემანი**'ს ლოცვა აუცილებლობას წარმოადგენდა. საინტერესოა ჩვეულება, რომელიც ბოროტი ძალებისაგან ბავშვის დაცვის მიზნით მისი ხელების მოკაზმულობა-საც ითვალისწინებდა. ჩვილს ხელისკუთხის ზოლებზე უკეთებდნენ. ზოლებს შუბლზეც ავლებდნენ, რასაც **კარვონ**'ი ერქვა. ამ ტიპის ყველა თვალის საწინააღმდეგო ამულეტს პონტოელ ბერძნებში **მატიზინიხონ**'ი (/მატიზინიფონ'ი) ეწოდებოდა.

კუნში, რომელშიც ჩვილი გარდაიცვლებოდა, უბედო აკვნად მიიჩნეოდა. ამიტომ მას აგდებდნენ. პონტოელ ბერძნებში ფართოდ იყო გავრცელებული ჩვეულება, რომელიც ბავშვის ფიქტიური ყიდვა-გაყიდვის პროცესს გამოხატავდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ამა თუ იმ ოჯახში ბავშვები ბავშვობის ადრეულ ასაკში ზედიზედ იხოცებოდა. ამ დროს რომელიმე მონათესავე ანდა ახლობელი ოჯახი თითქოს ბავშვს ყიდულობდა და მანამ ზრდიდა, სანამ საფრთხილო ასაკი არ გაივლიდა. შემდეგ ბავშვს მშობლიურ სახლში აბრუნებდნენ. საყურადღებოა, რომ ანალოგიური ჩვეულება ადრე ფართოდ იყო გავრცელებული პონტოელი ბერძნების გარემოცვის ქართულ მოსახლეობაში, მაგალითად, აჭარლებში, სადაც იგი **ბალნის გაყიდვის** სახელწოდებით იყო ცნობილი. ადრე, ბავშვის ავადმყოფობის ანდა სიკვდილიანობის შემთხვევაში მოძმეთა და მეზობელთა მორალური და მმატერიალური მხარდაჭერა დიდი იყო. მაშინაც, როცა დედას შვილი არ ეზრდებოდა და უკვდებოდა, ქმრის ძმების, განაყოფი ბიძაშვილებისა თუ მეზობლის რომელიმე ოჯახი, არსებული ჩვეულების თანახმად, ახალდაბადებული ბავშვის მშობლებს ფულს უხდიდა და ჩვილს ფორმალურად ყიდულობდა. მყიდველნი ხალხმრავალი და მრავალშვილიანი სახლეულიდან უნდა ყოფილიყვნენ. ფორმალური მყიდველის როლში გამოსული ოჯახის დიასახლისი ბავშვს ორმოცი დღის განმავლობაში თავის პერანგში ახვევდა და, ფაქტიურად, შვილად აყვანის ინსცენირებას ახდენდა. იგი გარკვეული დროის ვადით მფარველისა და მომვლელის როლს ასრულებდა. ეს

უმეტესად სიმბოლიზებული ჩვეულება იყო, რამდენადაც ბავშვი, ხშირ შემთხვევაში, მამისეულ ოჯახს არ ტოვებდა (დანვრ. იხ.: მგელაძე, 1989:48-49;).

ლარობ ოჯახებში, სადაც კაკლის ხისგან დამზადებული აკვნის შექმნის საშუალება არ ჰქონდათ, თავად აკეთებდნენ ქერზე ჩამოსაკიდ სარწევს, ე.წ. «σαλουτζάκ', σαλαγάτ'». აკვანი აჭარის პონტოელ ბერძნებში ცნობილი იყო სახელწოდებით «λαίστ'ρα» ან «κουίν».²²⁰

იავნანები: წარმოშობით წარმართული საკულტო-რიტუალის უძველეს საგალობელს, „იავნანას“, რომლის დანიშნულებად დროთა განმავლობაში ბავშვის დაძინება იქცა, პონტოელი დედებიც მღეროდნენ. როგორც წესი, ჩვილი აკვანში იწვა და დედის ან ბებუის ალერსიან სიმღერას უსმენდა.

საბერძენეთის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულად მოიხსენიებენ იავნანებს: «κανακίσματα», «νεριάσματα», «νιανία», «σπνωτικά», თუმცა ყველაზე გავრცელებული ფორმაა «ναναρίσματα» ან «ναουρίσματα», მაშინ როცა პონტოელ ბერძენთა დიალექტში იავნანას უწოდებენ «Νανία, νάνι, λολαία».

ბავშვის აკვანში ჩანვენიას პონტოელი დედები იტყოდნენ მოკლე ლოცვას:

- «Ἐλα, Χριστ' ἄ', καὶ Παναγία» („მოდი ჩემო ქრისტე და ღვთისმშობელო!“)
- «Ἐλα, Χριστέμ', 'ρσ' ὄνομας'!» („მოდი ქრისტე, სახელითა შენითა“) და აკვნის რწევას იწყებდნენ («ἐκοίνιζαν τὸ κουίν, ἐλάιζαν τὴ λαίστ'ρα»).

როგორც წესი, იავნანას წინ უსწრებდა გაგრძელებული მელოდიის წამღერება, რომელიც ბავშვს სიმშვიდეს გვრიდა. ამ პროცესს ეწოდებოდა «γαλ' ἔσμαν τὴ μωρί» ანუ ბავშვის დამშვიდება, ჩვენს რეგიონში კი ცნობილი იყო ტერმინით «γάλιασμαν». ჩვილს ტირილის დროს პირში უდებდნენ სანოვარას, «τὸ λάστιχον τὴ μωρί» ან თხელ ნაჭერში გახვეულ ლუქუმს – «βυζορόν, βυζερόν». როგორც კი ბავშვი შეწყვეტდა ტირილს, დედა იავნანის სიმღერას იწყებდა.²²²

სამწუხაროდ, პონტოელ ბერძენთა იავნანები არ გამოირჩევა სიმრავლით, თუმცა ის იავნანები, რომლებიც შემორჩენილი და დაფიქსირებულია წყაროებში, მაინც გვიქმნიან ნათელ სურათს, თუ როგორ ამშვიდებდა პონტოელი დედა თავის პირმშოს, რას უსურვებდა ძილის წინ, როგორ ივინებდა მთელი დღის დაღლილობას და თავის პირმშოსადმი მიძღვნილ სიმღერაში რაოდენ დიდ სიტბოს და სიყვარულს აქსოვდა.

ჩვენს მიერ ჩანერილი იავნანას ტექსტი, რომელიც მთქმელს, მარგარიტა მურატიდუს ბებიისაგან გაუგონია და უსწავლია, ორმაგად მნიშვნელოვანია: იგი წარმოადგენს აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებთან დაკავშირებულ იშვიათ ფოლკლორულ მასალას და საშუალებას გვაძლევს კონკრეტული იავნანის ტექსტი შევადართო სხვა, უკვე ცნობილ პონტოურ იავნანებს, რაც გვეხმარება მათი საერთო თუ განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენაში.

220 სემ, დღიური I-055.

221 Μωσισὴδὴ Παναγιᾶτῃ «Ποντιακὰ ναουρίσματα – ταχταρίσματα (ταντινίσματα)» <http://e-ptolemeos.gr/pontiaka-nanourismata-tachtarismata-tantinismata-tou-moisiadi-panagioti/>

222 სემ, დღიური I-056.

იავნანა ჩვილისადმი მიმართვით და კეთილი სურვილებით იწყება:

Νάνι, νάνι τὸ μικρόνι ნანი, ნანი პანანინა,
Αὔρι πάλι θὰ μερώνει. ხვალ ისევ გათენდება დილა.
Κάληνύχταν ἀπερνάς, კარგად გაატარე ღამე,
ἔμορφα νὰ ἐξυπνάς ღამაზად გაიღვიძე
καὶ ὄλους νὰ χαμογελάς, და ყველას გაუღიმე
νάνι, νάνινα.... ნანი, ნანი“.²²³

იავნანის მთქმელს სურს, ჩვილმა თავიდანვე იცოდეს, რომ როცა ის გაიზრდება, ბევრი რამ მასზე იქნება დამოკიდებული ცხოვრებაში, ამიტომ თავიდანვე უნდა შეეცადოს შეისმინოს ის, რასაც უფროსები ასწავლიან და გაითვალისწინოს მომავალში:

Τὰ παιχνίδια ἐσ’ ἔπερμ’ ἔνε, სათამაშოები გელოდებიან,
Καλημ’ ῥα ἐσ’ ἔλ’ ἔνε. დილა მშვიდობისას გეტყვიან.
Προσπαθὰ πολλὰ νὰ φῶς შეეცადე კარგად ჭამო,
Προσπαθὰ νὰ πορπατάς შეეცადე გაიარო
Προσπαθὰ νὰ ὀμιλάς ეცადე ილაპარაკო
καὶ ὄλα τὰ κατικοντάς და ყველა ვალდებულება
ἴδιον ἐστὶν νὰ φτάς., νάνι νάνινα. შენ თავად შეასრულო, ნანი ნანი“²²⁴

იავნანის დიდი ნაწილი ეთმობა ჩვილის მიმართ სიყვარულის გამოხატვას და მოწოდებას, მანაც სიყვარულით უპასუხოს ახლობლებს:

Ἐσὲν ὄλοι ἀγαποῦμε, შენ ხომ ყველას გვიყვარხარ
ἢ μαμά καὶ ὁ μπαμπάς, დედიკოს და მამიკოს
ἢ γιαιγιά καὶ ὁ παππούς, ბებიას და ბაბუას
κ’ ἐστὶν πὰ ἀγάπα αὐτούς! შენც გვიყვარდეს ისინი!

იავნანის კულმინაციურ ნაწილში დედა არიგებს შვილს: გაითვალისწინოს ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები, სიკეთე და ბოროტება და არწმუნებს მას იმაში, რომ ილოცებს მისი კეთილდღეობისთვის:

Ἡ ζῶ ἦν ἔμορφη, ცხოვრება მშვენიერია ,
ἔσῃ καὶ δυσκολίας სიძნელეებიც ახლავს,
Τὰ ρδομάς νὰ φωτιζ’ ἔ შენი გზები გაენათოს
ὁ Θεός καὶ ἡ Παναγιάς. უფალს და ღვთისმშობელს“.²²⁵

შეიძლება ითქვას, რომ პონტოელ ბერძენთა იავნანები გამოირჩევიან ჩვილის გადაჭარბებული დახასიათებებით შვილის მიმართ სიყვარულის გამოსახატავად. აქ გამოიყენებენ შემდეგ

223 სემ, დღიური I-057.

224 სემ, დღიური I-058.

225 სემ, დღიური I-059.

გამონათქვამებს: «**μικρίτσικον**» (პანიაჲ), «**βασιλικόν κλωνάριν**» (სამეფო ყლორტო), «**πουλί-μ'**» (ჩემო ჩიტო), «**πουλόπομ'**» (ჩემო ჩიტუნავ), «**αρνίμ', αρνόπομ'**» (ჩემო კრავო), «**βασιλόπουλο**» (უფლისწულო), «**τ' αηδονάκιμου**» (ჩემო ბულბულო), «**περιστεράκι μου**» (ჩემო მტრედუნა), «**πουλλί μ' γλυκύτσικον**» (ჩემო ტკბილო ჩიტო), «**τέκνων ζαχαρωμένον**» (დაშაქრულო შვილო), «**τέκνον αγαπημόσον**» (საყვარელო შვილო) (**Γαλανίδου- Μπαλφουσια**, 2010:88-93).

რაც შეეხება ყოველდღიურ მეტყველებაში ძალზე გავრცელებულ მიმართვის ორ ფორმას: «**γιαβρύμ**» და «**ρίζαμ'**», რომლებიც იავენანებშიც გვხვდება და ითარგმნება, როგორც „საყვარელო“, მათი პირდაპირი მნიშვნელობა სრულიად განსხვავებულია: «**γιαβρύμ**» – ნიშნავს „ჩემო შთამომავალი“, ხოლო «**ρίζαμ'**» – „ჩემო ფესვო“, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ისინი გამოიყენებიან სწორედ სხვა ადამიანის (ძირითადად, ბავშვების) მიმართ სიყვარულისა და სითბოს გამოსახატავად. აჭარაში მიგრირებულ ბერძენთა მეტყველებაში ორივე ტერმინის გამოყენება ყოფილა მიღებული.²²⁶

ზემოთხსენებული მიმართვის ფორმები უხვადაა წარმოდგენილი ერთ–ერთი იავენანის ტექსტში, რომელიც პანო ლამფსიდის კოლექციასია დაფიქსირებული (**Γαλανίδου- Μπαλφουσια** 2010:89):

«**Νενί τὸ βασιλόπουλο, βασιλικόν κλωνάριν** (ნენი ჩემო უფლისწულო, სამეფო ყლორტო),
Νενί τ' αηδονάκι μου καὶ τὸ περιστεράκι (ნენი ჩემო ბულბულო და ჩემო მტრედუნა),
Νενί πουλλίμ' γλυκύτσικον, τέκνων ζαχαρωμένον ,νενί (ნენი ჩემო ტკბილო ჩიტუნა, დაშაქრულო შვილო, ნენი),

Νενί πουλλίμ' γλυκίτσικον, τέκνων χαρτωμένον (ნენი ჩემო ტკბილო ჩიტუნა, სიხარულის მომტანო შვილო),

Νενί πουλλόπομ' σπλαχνικόν, τ' ἔκνον αγαπημόσον (ნენი ჩემო ნაშობო ჩიტუნავ, საყვარელო შვილო)».

დაძინების დროს პონტოელი დედა შვილს უსურვებს მშვიდ, სასიამოვნო ძილს. დედის გულწრფელი სურვილი კარგად ჩანს შემდეგ მიმართვებში:

«**Καλόν ὕπνον να ἔεις!**» – „კარგი ძილი გქონოდეს!“

«**Ὁ ὕπνο σ'να εν μελόπον καὶ γλυκόν!**» – „შენი ძილი თაფლი და მურაბა !“

«**νάινι οὐς τὸν πουρνόν!**» – „ნანი ადრიან დილამდე!“

«**Ὅντες κελαηδοῦν τὰ πουλόπα, γνέφ'σὸν με τ'ατά!**» – „როცა ჩიტუნები აჭიკჭიკდებიან, მაშინ გაგღვიძებოდეს)²²⁷ და სხვა .

როცა ბებია უმღერის შვილიშვილს იავენანას, ამ შემთხვევაში კეთილ სურვილებს ჩვილის დალოცვა მოსდევს:

«**Νάνι, νάνιή γιαγιασ', πουλίμ'** (ნანი, ნანი ჩემო ბებოს ჩიტუნავ),

226 სემ, დღიური I-060.

227 სემ, დღიური I-061.

ὁ Θεὸν νὰ κόψῃ τὰ χρόνιαμ' καὶ δι' ατὰ εσέν (ღმერთმა ჩამომამჭრას ჩემი წლები და ისინი შენ მოგცეს)». ²²⁸

თუმცა, ჩვენ მიერ ჩანერილი მ. მურათიდუს მიერ ნათქვამი ბებუის იავნანა უფრო მეტად ატარებს ნოსტალგიურ ხასიათს და განსხვავდება ზემოთ მოყვანილი ბებუის ნამღერი იავნანის ტექსტისგან:

«Ναίλ' ἐμ' ἔ ποῖν ἐγ' ῥασα καὶ ἄλλο κ' ἀγαπησκούμαι (მე საბრალო მოვხუცდი, აღარავის ვუყვარვარ),

Τὰ δάκριαμ τρ' ἔχνε σ' ἄψιμον, τὰ τσιλ' δία ὄλα βσίουν' (ნაკვერჩხლებსაც ჩააქრობს ჩემი ცრემლები თუ მოხვდა),

Ἔταν καιρός, ἐγὼ πὰ ἔμ ἔμορφη περιστέρια καὶ ὀλό γερα ἐτέρνα (ერთ დროს ვიყავი ლამაზი მტრედი, ყველაფერს ვაკვირდებოდი),

Ἐχάρουμ τὸν κόσμον τσιπ πολλά, εὐχαρίστησην ἐπέρνα (ძალზე მიხაროდა სიცოცხლე, ვიღებდი სიამოვნებას),

Ἀτώρα ἄς ἐγ' ῥασα τὰ πάλαια ἐνθυμούμαι (ახლა მოვხუცდი, ვცხოვრობ მოგონებებით),

Τὰ τάρπια μὲ περήσειψαν καὶ ασὸ σκαμί κὶ σκούμαι (ჩემი დარდი გამრავლდა, სკამიდან ველარ ვდგები)». ²²⁹

გარდა იავნანებისა, პონტოელი დედა ჩვილს უმღეროდა სრულიად განსხვავებული შინაარსის და ფორმის მქონე სიმღერებსაც, რომლებიც მოიხსენიებოდა როგორც «Τὰ ταχταρίσματα» ან «ταντινίσματα». ეს არის მოკლედ თქმული, გართიმული სიმღერები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ექსპრომტად იქმნებოდა და მიზნად ისახავდა ახალგაზღვიებული პატარის გამოფხიზლებას, უკეთეს გუნებაზე დაყენებას ან ტირილის შემთხვევაში ყურადღების გადატანას. როცა ბავშვი უკვე ფეხზე მყარად დადგებოდა, მაშინ ამ სიმღერას მოიხსენიებდნენ, როგორც «ταρναρίσματα, κανακίσματα, τανταλίσματα». სახელწოდება გამოდიოდა იმ მარცვალიდან, რომელიც უფრო მრავლად იყო სიმღერაში:

Τάν – τάνα , τάν – τάνα ტან–ტანა, ტან– ტანა

Τάμ-τάμ-τάμ, ტამ–ტამ–ტამ და ა. შ. ²³⁰

აჭარის სოფლებში მცხოვრები პონტოელი ბერძნები ამგვარ სიმღერებს მსგავსი ტერმინით „ტანტანილმები“ (Τὰ ταντανίγματα) მოიხსენიებდნენ, ხოლო ამ სიმღერების შესრულების პროცესს კი – როგორც „ჩვილის ტანტანილმა“ (Ταντάνιγμα τῆ μωρῆ). თვალსაჩინოებისთვის შეიძლება ზემოთხსენებული მხიარული სიმღერების გავრცელებული ტაეპების მაგალითად მოყვანა:

Ἔναν ἔμορφον μωρόν (ერთსა ლამაზსა ბავშვსა)

Φορεῖ παλαιόν πανταλόν' (ძველი შარვალი აცვია),

228 სემ, დღიური I-062.

229 სემ, დღიური I-063.

230 სემ, დღიური I-064.

καὶ χορεύ' ἀπὸν 'σ' ἀλὼν (და ცეკვავს მინდორში),
χορεύ' λᾶζικον χορόν (ცეკვავს ლაზურ ცეკვას).

Τάμ-τάμ-τάμ ტამ-ტამ-ტამ²³¹

ან:

Βρ'χει, βρ'χει, βρ'χουμαι (წვიმს, წვიმს, ვსველდები),
'κ' ἔπορω νὰ ἔρχουμαι (მოსვლა არ შემიძლია),
στελο 'μὲ τὴν γαῖαν τῶσ' (გამოგზავნე მოსასხამი),
τσιλ'φουμαι κ' ἔρχουμαι²³² (ჩავიცვამ და წამოვალ).

ხშირად ამგვარ სიმღერებში ცალკეული ტაეპები შინაარსობრივად ერთმანეთთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს არ წარმოადგენდა მათ ნაკლს, ამგვარი სიმღერების დანიშნულება ხომ ბავშვის ყურადღების მიპყრობა იყო, რაც მსგავსი მარცვლების განმეორებით ადვილად ხერხდებოდა:

Βρ'χει, βρ'χει, βρεχάντζ' (წვიმს, წვიმს, წვიმა მოდის)
καὶ τ' ἀμάραντα γυαλτζ' (მცენარეებს ალაპლაპებს),
ἢ κοσᾶρα κακάντζ' (ქათამი კაკანებს)

καὶ ἢ γραῖα τηγάντζ' (და მოხუცი ტაფაზე წვავს).

Γραῖα, γραῖα, χόρειψον (მოხუციო, მიდი, იცეკვე!)

Γραῖα εἶμαι 'κ' ἔπορω (მოხუცი ვარ, არ ძალმიძს!)

κὶ ἂν καλοκρατεῖτε 'μεν (ცოტათი რომ დამიჭიროთ),

ἀτότεσ σεῖουμαι κ' ἐγώ (მეც აგყვებით ცეკვაში).²³³

ყველა ამგვარი სიმღერის დაბოლოებას წარმოადგენდა :

Ζίπι -ζ(π', ζ(πι- ζ(π', - ზიპი-ზიპ, - ზიპი-ზიპ,

ან: πβριμ- πβριμ', πβριμ- π.,. ტივრიმ-ტივრიმ, ტივრიმ-ტი და ა. შ

ვინაიდან ზემოთხსენებულ სიმღერათა ორი ჯგუფი იავნანები და ე.წ „ტანტანისმები“ წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებაში გაგონილ პირველ პოეტურ – მელოდიურ ქმნილებებს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ბავშვის აღზრდის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში პონტოელი დედები ხალხური მედიცინის რჩევებს იყენებდნენ, რომლებიც შთამომავლობით ჰქონდათ მიღებული მათი წინაპრებისგან. კერძოდ, როგორც სოფელ დაგვაში გაზრდილი და დაოჯახებული, ოღლა მიხაილიდი-სტილიდი იხსენებს:

- „ხველების დროს წვრილად ჭრიდნენ ხახვს, დებდნენ ქილაში, ზემოდან აყრიდნენ შაქარს და როცა წვენს შეიყენებდა, ბავშვებს აძლევდნენ“ («Γιὰ τὸν βήχην κῶφς ψιλᾶ-ψιλᾶ τὸ

231 სემ, დღიური I-065.

232 Μωσσιᾶδη Παναγιώτη «Ποντιακὰ νανουρίσματα – ταχταρίσματα (ταντινίσματα)» <http://e-ptolemeos.gr/pontiaka-nanourismata-tachtarismata-tantinismata-tou-moisiadi-panagioti/>

233 <http://e-ptolemeos.gr/pontiaka-nanourismata-tachtarismata-tantinismata-tou-moisiadi-panagioti/>

κρεμμύδ, κσείνς ἄπ' ε σὶν μπάνκκκ κκί ὄντκν βγκζουμίν, ποπζνε τὰ μωρά»);

- „სიცხის დროს ურევდნენ ძმარს და არაყს, უმატებდნენ ცოტა წყალს და კომპრესებს უკეთებდნენ ავადმყოფს. ბავშვებისთვის აცხელებდნენ ზეთს, მასში დაასველებდნენ ზენარს და გაახვევდნენ ბავშვს“(Γιὰ τὴν ζέστη ταραζάμε τὸ ξύδ με τὴν βότκκ, με λίγων νερόν κκί ἐπίναμε κκμπρέσσκκ στὰ πκκκίδκκ. Γιὰ τὰ μωρὰ ζεστéναμε ἐλάδ, κσίναμε σὸ σεντόν ἄπκκν κκί τκλζάμε τὸ μωρόν μετ' ατό);
- „ჭრილობებისთვის აკეთებდნენ მალამოს: ურევდნენ ზეთს, სანთელს და კვერცხს“ – იხსენებს ქალბატონი მიხაილიდი–სტილიდი, რაც პონტოურ დიალექტზე შემდეგნაირად უღერს: «Γιὰ πκκγ' ε ἐπέκκκν ἐλόκκφ ἡ τάρκκζκν τὸ ἐλάδ, κερκν κκί ὠβόν». ²³⁴

ახალდაბადებულს ილიასა და მუცლის ქვედა ნაწილში ხშირად გამოაყრიდა ხოლმე. ამიტომ პონტოელი ბერძნები ცვილის სანთელს აიღებდნენ და ყავის ქიქაში ზეთისხილის ზეთს ჩაასხამდნენ. შეურევდნენ და ათბობდნენ. ნაყენს ჩვილს ანთების ადგილებში მალამოს მსგავსად ნაუსვამდნენ. პირველი კბილის ამოვარდნისას, კბილს იღებდნენ და აგებდნენ, თან გადაგდების პროცესში აყოლებდნენ:

„ანიცა, ანიცა!

აიღე ჩემი კბილი,

მომე ლამაზი და მაგარი კბილი,

როგორიც ძაღლს აქვს“. ²³⁵

გათვალვა და შელოცვები: ახალშობილის ავი თვალისაგან დაცვა ყოველ დედას აუცილებლად მიაჩნდა, ამიტომაც აკვანზე სათვალავს (**Φυλακτήριον, Φυλαχτόν**) ჩამოუკიდებდნენ ხოლმე ბავშვს. საყურადღებოა, რომ ტერმინები «**Φυλακτ ἴριον**» და «**Φυλαχτόν**» ითარგმნება, როგორც დამცველი. პონტოელმა ბერძნებმა სათვალავის აღსანიშნავად ისეთი ტერმინები შეარჩიეს, რომლებიც ზუსტად ასახავდნენ თავიანთ ფუნქციას – ადამიანის დაცვას ყოველივე ავისაგან, ამ შემთხვევაში კი – ავი თვალისაგან.

თვალისცემა პონტოურ დიალექტში მოიხსენიება როგორც «**μάτιαμαν**», «**ματίασμαν**» ან «**ὀμματίασμαν**» და მის ძალაზე მეტყველებს შემდეგი ხალხური გამონათქვამი: «**Τ'ομμάτ 'ν ατ'λιθάρκ σπάζ**» („მისი თვალი ქვებს ამტვრევს“).

პონტოელ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ თვალისცემა შეეძლო ღია ფერის თვალების ან გადაბმულიწარბების მქონე ხანში შესულ ადამიანს, რომელსაც უწოდებდნენ «**σμιχτοφρσδηδες**». საგულისხმოა, რომ ქართულ ეთნოგრაფიაშიც დასტურდება ანალოგიური წარმოდგენები ჭრელ-ჭროლა თვალებიან ადამიანებთან მიმართებაში.

იმ პიროვნებაზე, რომელიც, შესაძლოა, სხვებს თვალს სცემდა, იტყოდნენ: «**Ατός ματιάζ**» („ის თვალს სცემსო“), თვალნაცემზე კი ამბობდნენ: «**Έσh ὀμμάτ**» („თვალი აქვს“), «**έν ὀμματιαγμένος**»,

234 სემ, დღიური I-066.

235 სემ, დღიური I-067.

«**Ἐματιάστεν**» („გათვალულიაო“) ან გამოიყენებდნენ ფრაზას: «**Ἄς σ' ὀμμάτιαγμαν ἐρρώστεσεν τὸ παιδίον**» („თვალისგან დაავადდა ბავშვიო“).²³⁶

როდესაც ახალშობილის სანახავად მიდიოდნენ, ან ლამაზ ბავშვს დაინახავდნენ სადმე, კეთილისმსურველნი ეტყოდნენ :

«**Φτου, νὰ μὴ ὀμματιάσκεσαι!**» („ფთუ, თვალი არ გეცეს!“);

«**Φτῆσον, νὰ μὴ παῖρ 'ὀμμάτ**» („გადააფურთხე, თვალი არ აიღვენო, არ გეცესო“);

«**Αὐτὸ τὸ μάρσ φωτάζ! Φτου, νὰ μὴ ὀμματιάσκειται!**» („ეს ბავშვი ანათებს! (იგულისხმება – ლამაზია) ფტუ, თვალი არ ეცეს!“).²³⁷

ბავშვის გათვალვის შემთხვევაში პონტოელი დედები, მიუხედავად მათი ღრმა რწმენისა ღვთის მიმართ, ფოლკლორის ერთ-ერთ არქაულ ჟანრს, შელოცვას მიმართავდნენ. შელოცვები პონტოურ დიალექტში გამოიხატებოდა სიტყვით «**Ἐόρκια**» და სხვადასხვა სახის შელოცვებიდან ყველაზე მეტად სწორედ თვალის შელოცვა იყო გავრცელებული. თუ ოჯახში არავინ იცოდა შელოცვის თქმა, სოფლის იმ მკვიდრს მიაკითხავდნენ, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ამ საქმის მცოდნე პიროვნება. მაგიური ტექსტებისა და მისნური შინაარსის სიტყვიერი ფორმულების გამოყენებას, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენდა სხვადასხვასაგნებზე, ადამიანებსა და ბუნების ძალებზე ზემოქმედების მოხდენა, პონტოელ ბერძენთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და, შესაბამისად, ზეპირსიტყვიერებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შელოცვები იმიტომაც არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფოლკლორული მასალა, რომ ამ ტექსტების მოპოვება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული: შელოცვა საიდუმლო ცოდნის სფეროს განეკუთვნება და მთქმელები შიშობენ, რომ მათ მიერ ტექსტის ხმამაღლა წარმოთქმის შემთხვევაში დაიკარგება სიტყვის მაგიური ძალა და ამიტომაც ცდილობენ შელოცვები ჩურჩულითა და ბუტბუტით შეასრულონ, ყველას არ გაუმხილონ. შელოცვები, ზოგადად, ფოლკლორის უმნიშვნელოვანეს ფენას შეადგენს. ერთი მხრივ, უდავოა, მათი კავშირი ქრისტიანულ ლოცვებთან (მიმართვა ღვთისადმი, ჯვრის, წმინდანების, ანგელოზების მოხსენიება ტექსტებში და სხვ.), მეორე მხრივ კი, აშკარაა მათი კავშირი უძველეს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან, ტრადიციებთან (გიორგაძე 1993:75).

პონტოელი ბერძენები შელოცვებს უმეტესად მაგიური რიტუალების თანხლებით ასრულებდნენ. მაგალითად: „თვალის შელოცვის დროს შემლოცველი დგამდა პატარა ჯამით წყალს, რომელშიც ჩასხმული იყო წყალი და ჯამში ყრიდა შავ ნახშირს (**καρβόν**), შემდეგ ხელში აიღებდა დანას (**μαχχαίρ**) დაინყებდა შელოცვას. დანას ბავშვს თავზე სამჯერ შემოატარებდა, ხოლო წყალს სახეზე ასხურებდა ან იღებდა ცოტა მარილს, გათვალულის თავზე სამჯერ დაატრიალებდა და წყალში ყრიდა თან ამბობდა: «**Ἄμον ντὸ λύεται τὸ ἄλας, νὰ λύεται καὶ τὸ ὀμμάτιαγμαν**» – „როგორც მარილი იშლება, ისე დაიშალოს შენი თვალიო“.²³⁸ იმის დასტურს, რომ ბავშვი ნამდვილად

236 სემ, დღიური I-068.

237 სემ, დღიური I-069.

238 სემ, დღიური I-070.

თვალნაცემი იყო, მთქნარება წარმოადგენდა.თუ მთქნარების დროს ერთი თვალი ეცრემლებოდა, გამთვალავი მანდილოსანი იყო, ხოლო თუ ორივე – მამაკაცი, ასევე მნიშვნელობა ჰქონდა მთქნარების სიხშირეს: კერძოდ, როცა შემლოცავი ნელ–ნელა ამთქნარებდა, ახალი თვალი (**νέον ματ**) იყო, ხშირად მთქნარების შემთხვევაში კი– ძველი (**παλαιόν ματ**). ამ და სხვა ხალხური საშუალებების წყალობით ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდებოდა და იგი ჩვეულ ცხოვრებისეულ რიტმს უბრუნდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ შელოცვების განდობა და გადაცემა არ არის მიღებული, ვინაიდან დაკარგავს ძალას და „არ გასჭრის“, ქალბატონმა მარგარიტა მურატიდუმ მაინც გაგვიზიარა იმ სამკურნალო შელოცვების ტექსტები, რომლებიც პატარაობაში ბებიისგან გაუგონია და ამგვარად საშუალება მოგვცა უკეთ გავცნობოდით აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ზეპირსიტყვიერების საიდუმლოებით მოცული სამყაროს ერთ პატარა ნაწილს და გარკვეული დასკვნებიც გამოგვეტანა:

Μάτι μάτι, ντ’βια χάθει, μ’ήπας είσαι απ’εμάσ-ι¹

(თვალო, თვალო, წადი დაიკარგე, იქნებ ჩვენგან ხარ?);

Μ’ήπας είσαι σπιτιανόσι, μ’ήπας είσαι γειτονάσ-ι

(იქნებ შინაურის ხარ, იქნებ მეზობლის ხარ,);

Μ’ήπας είσαι συγγενόσι, μ’ήπας είσαι χარიγός-ι

(იქნებ ნათესავის ხარ, იქნებ სოფელელის ხარ),

Μ’ήπας είσαι ξ’σος

(იქნებ უცხოის ხარ?);

Νὰ π’ῥ στήν π’ῥρα τὸ πόδι σοῦ...

(შენი ფეხი ქვისკენ წავიდეს)....

Ντ’βια, ντ’βια στὸν ἄκλοστον, στὸ τρεχοῦμενον τὸ νερόν

(წადი, წადი დაუბრუნებელში, მდინარე წყალში),

κ’εμάς ἦσυχους νὰ φτάς

(და სიმშვიდე მოგვეცი).

Σ’ενάν τὸ sh’ρι μοῦ κρατῶ σ’ἦφρον καὶ καρβόν

(ჩემს ერთ ხელში მიჭირავს რკინა და ნახშირი),

καὶ στὸ ἄλλον sh’ριν μοῦ κρατῶ τὸ σταυρόν

(და მეორე ხელში მიჭირავს ჯვარი).²³⁹

ავი თვალის განდევნის ასევე საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ზემოთხსენებული მთქმელის მიერ გადმოცემული კიდევ ერთი შელოცვა:

Μάτι , μάτι τὸ ζηλευτάρι, νὰ πὰς χάσε, ἀφίκον τὸ παιδ’

239 სემ, დღიური I-071.

(თვალო, თვალო, შურიანო, ნადი დაიკარგე, დატოვე ბავშვი),

Μὴ στεναχωρεῖς τὸ παιδί

(ნუ აწვალვ ბავშვს)...

Φτούσε, φτούσε διάβολος, νὰ πὰς βρίσκεισαι ἄλλου

(ფთუსუ, ფთუსუ, ეშმაკო, ნადი, სხვაგან იყავი).

Τὸ μαπ' ς νὰ πᾶι σὶν π'πρα, νὰ πᾶι στὸ σ'ἴφερον

(შენი თვალი მოხვდეს ქვას და რკინას),

ντὸ κρατάω στὸ shep' μ' καὶ σὰ ἄσχημα τὰ μ'ρια

(ხელში რომ მიჭირავს და ცუდ ადგილებს).

Τὰ ρδόμειας ὅλα κλεισμ'σ'α ἄπ'τὸ τ'ἴμιον σταυρόν

(შენი გზები დაკეტილია ღირსეული ჯვრისგან)....

Ὁ διάβολος ἐνηκ'θεν, ἐφ'κε σὲ μαναχόν

(ეშმაკი დამარცხდა, შენ მარტო დაგტოვა).

Φτούσε, φτούσε, ντ'β'α χᾶτει, ἄλλο κ'σ'heids ἄρακάτι

(ფთუსუ, ფთუსუ, ნადი დაიკარგე, აღარა გაქვს არაქათი)".²⁴⁰

მ. მურატიდუს გადმოცემით, შელოცვა მთავრდებოდა „მამაო ჩვენო-თი“ – (**Πάτερ ημών**). თუმცა, სხვა შემთხვევებში გამოკითხულთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ გათვალვის დროს ძირითადად მხოლოდ „მამაო ჩვენოს“ ლოცულობდნენ. როგორც ჩანს, ეს დამოკიდებული იყო ცალკეული სოფლის და ზოგჯერ ცალკეული ოჯახის ტრადიციაზე. ეს მაგალითები ადასტურებს პონტოელ ბერძენთა ფოლკლორში წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების სინკრეტიზმს, რაც, ზოგადად, დამახასიათებელია შელოცვების ჟანრისთვის. ამგვარი მასალა უხვად მოიპოვება ქართულ ფოლკლორშიც.

როგორც ზოგადად, ასევე ზემოთხსენებულ შელოცვებშიც, ძირითად, კომპოზიციურ ხერხად გამოყენებულია მიმართვა-მონოლოგი. მიმართვის ობიექტი კი ამ შემთხვევაში ავი თვალის, რომლის დამორჩილებას და განდევნას ცდილობს მთქმელი. მიმართვის ტონი კატეგორიულია. ადგილი აქვს სიტყვების გამეორებასაც, რაც, ზოგადად, დამახასიათებელია ამ სახის ფოლკლორული ტექსტებისთვის: შელოცვის ტექსტებში ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მარტო რიტმულ და ბგერით ორგანიზაციას კი არ აწესრიგებს, არამედ აზრობრივ დატვირთვასაც იძენს სიტყვის მაგიური ძალის რწმენიდან გამომდინარე (გიორგაძე 1993: 77).

პონტოელ ბერძენებს მიაჩნდათ, რომ ყველაფერი შეიძლება გაითვალოს ჭკუის, გონიერების გარდა, ამიტომაც მეტი სიფრთხილისა და გონიერებისკენ მოუწოდებდნენ ახლობლებს, რაც კარგად ჩანს გამონათქვამში: «Ὅλα ὀμματιάσκουν, τ'αχούλ μονάχον 'κ' ὀμματιάσκειται» („ყველაფერი ითვალება. ჭკუა, გონიერება კი – არა“) (**Αθανασιάδης**, 1970:109).

240 სემ, დღიური I-072.

გათვალულის შელოცვა, ხალხის რწმენით, დადებითი შედეგის მომტანი იყო, ამიტომაც ხდებოდა მისი ხშირი გამოყენება აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შორის. ავი თვალისაგან და საფრთხეებისგან, უპირველეს ყოვლისა ადამიანს მონათვლა იცავდა, ამიტომ ჰქონდა პონტოელ ბერძენებში ნათლობის რიტუალს ასეთი მნიშვნელობა.

ნათლობა: ბერძენები ბავშვებს ორმოცი დღის თავზე ნათლავდნენ. ამას **ნასანდერის** ი ეწოდებოდა. ნათლიას როლს ნათლიმამა და ნათლიდედა ასრულებდა. თუ ქალი მამისეულ სახლში იყო ნამშობიარები, მაშინ მას იქვე ნათლავდნენ. ამ დროს ბავშვს პირსახოცს, თეთრ ზენარს, პერანგებს, ასევე, ჩუქნიდნენ, რომელზეც ხუთი-ათი ცალი სანთლით ჯვარს გამოსახავდნენ. ახალშობილს წმინდა წყალში აბანავებდნენ და ამ პირსახოცით ამშრალავდნენ. შემდეგ პიჯაკს აცმევდნენ და ჯვარს ჩამოკიდებდნენ. ჩვილი სამი დღის მანძილზე ამდაგვარად იყო ჩაცმული. დროის ამ მონაკვეთში მას არ ბანდნენ. მესამე დღეს ნათლიებს, რომლებსაც მასპინძლები წინასწარ ეთათბირებოდნენ, სტუმრები მოყავდათ, სადაც ბავშვის მონათვლა ოფიციალურად ცხადდებოდა. ჩვილს საკუთარ სახელს ნათლიები არქმევდნენ. პონტოელ ბერძენებს სწამდათ, რომ ბავშვს როგორ სახელსაც დაარქმევდი, ისიც ისეთივე შინაარსის მატარებელი ადამიანი გახდებოდა. ერთი რესპოდენტის ცნობით, მათ შვილიშვილი შესძენიათ. უნდოდათ ოჯახში სიმშვიდე და ჰარმონიული გარემო ყოფილიყო. ამიტომ გოგონას ირინა დაარქვეს, რაც მშვიდობას ნიშნავდა. ისინი გვიამბობდნენ, რომ მას შემდეგ ისინი სახლეულში მშვიდად და შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. ეკლესიაში ახალდაბადებული ბავშვის დედის, რადგან იგი ორმოცი დღის მანძილზე უწმინდურად ითვლებოდა, განწმენდა ხდებოდა. ეს უმნიშვნელოვანესი რიტუალი იყო, რომელიც როგორც ჩანს წარმართმა ბერძენებმა ქრისტიანულ ცერემონიალებს დაუკავშირეს ისე, როგორც ეს სხვა მრავალი ხალხის რელიგიური ტრანსფორმაციის პროცესში განხორციელდა. ნათლობის შემდეგ ქალის მამისეულ სახლში სუფრა იმლებოდა. გარკვეული ხნის შემდეგ, უფრო დიდ და ნათლობის ბოლო სუფრას, მონათლულის მამის სახლში შლიდნენ. სტუმრიანობის პერიოდში ნათლიმამასა და ნათლიდედას ბავშვის პერანგები, ცხვირსახოცი, წინდები, პირსახოცი და სხვა ამდაგვარი ლანგრით შემოჰქონდათ. ნათლობის დროს საჩუქრებში მსხვილი სანთელი ერთიანდებოდა, რომელიც ეკლესიაში ნახევრად ჩაფერფლვას ასწრებდა, ნამწვავი კი – ბავშვის დედას თან მიჰქონდა. მშობლები ვალდებულნი იყვნენ ნათლიებს გამასპინძლებოდნენ. სადღესასწაულო სუფრაზე მონვევის მიზნით მოსანვევი ბარათის ნაცვლად ნათლიებს სანთლის ნამწვავს უგზავნიდნენ. გზავნილი ნიშნავდა იმას, რომ ნათლულის სახლეულში საღამოთი ნათლობა და სტუმართა მასპინძლობა უნდა შემდგარიყო. ნათლიებთან ერთად მოსული სტუმრები აკვანში ფულს დებდნენ, ადრე დაახლოებით ათი მანეთის ოდენობით. ნათლიდედა ბავშვს აბანავებდა, ახალ სამოსს, რომელიც მათ ჩვილს საჩუქრად გადასცენ, სრულად აცმევდა. ბავშვის დედა და ნათლია ერთმანეთს ასაჩუქრებდნენ. ამის შემდეგ მათ სახლეულებს შორის მჭიდრო კავშირები მყარდებოდა. ყოველ ახალ წელს, ბავშვი ნათელ-მირონებისაგან საჩუქრებს იღებდა.²⁴¹

241 სემ, დღიური II -052.

როგორც წესი, ნათლიები («ἡ δεξιάμηνη» – ნათლიდედა და «ὁ δεξιάμενον» – ნათლიმამა) მშობლების მეჯვარეები ხდებოდნენ. ნათლობის თხოვნას წარმოადგენდა ე.წ. ლამბადის (ἡ λαμπάδα) დიდი ზომის სანთლის მომავალ ნათლიასთან გაგზავნა. ლამბადის ფერადი, ხშირ შემთხვევაში ნითელი ფერის ლენტი უნდა ჰქონოდა ირგვლივ შემოხვეული. ბავშვის მონათვლაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა და ცუდის მომასწავებლად მიიმჩნეოდა ნათლობის კანდიდატისთვის.

პონტოში ნათლობის პროცესს ბავშვის დედა არ ესწრებოდა (არ იყო მიღებული). როგორც წესი, როდესაც ნათლობის შემდეგ ნათლია ბავშვს სახლში მიიყვანდა, დედა სამ მეტანიას გააკეთებდა მის წინაშე, ხელზე ეამბორებოდა და ეტყოდა: «Παντ' ἄξιος!» ესე იგი „მუდამ ღირსეულიო!“. ამის შემდეგ ნათლია ეტყოდა დედას: «Ὅσες τὰ ἐφτά χρόνια σ' ἔσεν τεσλ' ἦμ! (Ἀκογλου 1939:135) ანუ „შვიდი წლის ასაკამდე გაბარებ, განდობო!“». ამგვარად, ნათლია თხოვდა მშობელს: ნათლულს თვალის ჩინივით გაუფრთხილდი და ყოველივე ავისაგან დაიცავიო.

ნათლობის დღეს ბავშვის გაქრისტიანების აღსანიშნავად ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იმართებოდა. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ე.წ. „ქათმის რიტუალის ჩატარებას“ – «Τὸ ἀπίστ τῆ κοσσάρα», რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ქალის ტანსაცმელში გადაცმული მამაკაცი ლანგარით გამოიტანდა მორთულ მჯდომარე ქათამს, რომელიც ნათლიას უნდა ეყიდა. ხდებოდა ერთგვარი გარიგება ქათმის ფასთან დაკავშირებით, რაც სუფრას ხალისს და კარგ განწყობილებას მატებდა.

ნათლულისთვის ნათლიას ძღვნად ახალი ტანსაცმელი მიჰქონდა და ამ დღიდან მოყოლებული საკუთარ თავზე ვალდებულებას იღებდა: მთელი წლის განმავლობაში, შეძლებისდაგვარად, მიეცია ყურადღება შეძენილი შვილისთვის. საერთოდ, როცა ქრისტიანობის ან აღდგომის მისახარებლად ესტუმრებოდა ნათლული, ნათლიას აუცილებლად უნდა დაესაჩუქრებინა იგი («Ὅταν βιάφιζαν το μωρόν, εἰείναν τραπ' ἕξ σο σπιτ και καμιά φορά ἐκράτναν και τὸ ἀπίστ τῆ κοσσάρα. Ὁ δεξιάμενον ἔπρεπε να ἀγοράζ την στολισμένη κοσσάρα, που ἔβγαζε ἕνας ἀντρας με την φορεσιά της γαρ ἦ. Ἐείναμε πολλὰ γ' ἄτα, ὄνταν παζάρευαν για την τιμ' ἦ»).²⁴²

ნათლობიდან მესამე დღეს, ნათლია მიდიოდა ნათლულის ოჯახში (როგორც ამას უწოდებდნენ) „ბავშვის მირონიდან გამოსაყვანად“. ამ რიტუალს „ზეთიდან გამოყვანასაც“ უწოდებდნენ. ადათის მიხედვით წყალში, რომელშიც ნათლულს ბანდნენ, ნათლიას ხურდა ფული უნდა ჩაეყარა, რომელსაც ის პიროვნება დაიტოვებდა თავისთვის, რომელიც წყალს გადაღვრიდა. მირონჩამორეცხილი წყლის გადაღვრა მხოლოდ სუფთა ადგილას (ბაღში ან ბოსტანში, ხის ძირას) შეიძლებოდა. ნათლობიდან ერთ კვირაში ნათლიას მოპატიჟება ხდებოდა და პატივისცემის ნიშნად სუფრა იმლებოდა: «Τὴν Τρίτη μ' ἴα της βιάφτης ὁ δεξιάμενον ἐπ' ἔνε για να ἔβγάλ ἄσὸ μύρον, ἄσὸ λάδ το μωρόν. Ὁ δεξιάμενον ἐβάλνεν καπίκια σο νερόν, ἔλουζεν το μωρό κ' ἐπεκεί το νερόν ἔκσηναν σο κεπίν. Σε μία ἐβδομάδα μετὰ την Βιάπτηση ἐκάλναν τον δεξιάμενον και εἰείναν το τραπέζ». ²⁴³

242 სემ, დღიური I-073.

243 სემ, დღიური I-074.

როცა ჩვილს პირველი კბილი ამოკვეთდა ფაქტის აღსანიშნავად ნათლიები ბავშვს პერანგეულობას ჩუქნიდნენ, რათა დანარჩენი კბილი ბავშვს უმტკივნეულოდ ამოსვლოდა, ან ტანსაცმელს ხევენ. მონათლულს ბებია და ბაბუაც ასაჩუქრებდა. ნათლობის სუფრას ზოგჯერ მხოლოდ ნათლიები და სახლეულის ნევრები ესწრებოდნენ.

სახელის დარქმევა და მეტსახელები: პონტოელ ბერძნებთან მიღებული იყო სახელების შთამომავლობით გადაცემა. უფროს შვილს ტრადიციისამებრ ბებიის ან ბაბუის სახელს არქმევდნენ, იმის შესაბამისად, ქალიშვილი შეეძინებოდათ თუ ვაჟი.

აჭარის პონტოელ ბერძენთა წარმომადგენლის, პროფესორ ნიკოლოზ მაზმანიდის გადმოცემით, „აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები შვილებს ძირითადად ქრისტიანულ სახელებს არქმევდნენ, მაშინ როცა საქართველოს სხვა რეგიონებში (მაგალითად წალკაში) დაფუძნებულ პონტოელ ბერძნებთან, ძირითადად, ძველი ბერძნული სახელების დარქმევა იყო მიღებული“.²⁴⁴

ამგვარად, საქართველოს ამ კუთხეში მიგრირებულ პონტოელ ბერძნებთან ხშირად ვხვდებით მამაკაცის ისეთ ქრისტიანულ სახელებს, როგორცაა: იორლოს(გიორგი), დიმიტრიოს, ნიკოლაოს, პავლოს, პეტროს, იოანის, მიხაილ, კონსტანტინოს (**Γεώργιος, Δημήτριος, Νικόλαος, Πάυλος, Πέτρος, Ιωάννης, Μιχαήλ, Κωνσταντίνος**) და სხვა, ხოლო მანდილოსნებს შორის კი ყველაზე მეტად გავრცელებულ სახელებს წარმოადგენდნენ მარია, ელენი, ოლლა, დესპინა, სოფია (**Μαρία, Ελένη, Όλγα, Δ΄σπιοινα, Σοφία**) და ა. შ

ბავშვებისთვის ქრისტიანული სახელების დარქმევის ტრადიცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ ღრმა რწმენას და წინაპართა ადათების მიმართ პატივისცემის გრძნობას.

რაც შეეხება მეტსახელებს, მათ ადამიანებს არქმევდნენ თავისებური, განსხვავებული ფიზიკური თუ სულიერი მახასიათებლებიდან გამომდინარე. ზოგჯერ მეტსახელის შერქმევის საბაზად ადამიანის განსხვავებული ჩაცმულობა ხდებოდა, ზოგ შემთხვევაში კი-მისი ჩვევები.

პონტოში ნაკლებად ყოფილა გავრცელებული ქალბატონებისთვის მეტსახელების დარქმევა და ამის მიზეზს ი.ოაკიმიდუს თქმით, წარმოადგენდა ის, რომ მანდილოსნების სოციალური ყოფა უფრო მეტად შეზღუდული იყო. სიტყვა მეტსახელი თანამედროვე ბერძნულში გამოიხატება ტერმინებით «**παρατσούκλια**» და «**παρωνύμιον**», პონტოურ დიალექტში კი – «**τα προσωνίδια**»²⁴⁵

მანდილოსნების მეტსახელები, ხშირ შემთხვევაში, მათი მეუღლეების სახელებზე სლავური წარმოშობის დაბოლოების «**άβια**»-ს დამატებით წარმოიქმნებოდა. სწორედ ამგვარად აიხსნება ქვემოთ მოყვანილი ზედმეტსახელების გაჩენა: **Αλογάβια** (სიტყვიდან **αλογάς**-მეცხენე), **πογιατζάβια** (სიტყვიდან **πογιατζή**= მღებავი), **Ζουρνατζάβια** (სიტყვიდან **Ζουρνατζή**= მეზურნე)²⁴⁶ და ა.შ

აღსანიშნავია, რომ ბევრი მეტსახელის წარმოქმნა თურქული ენის გავლენითაც მოხდა, როგორც მაგალითად ქალის მეტსახელები:«**αρκιτσιάνα**»= კარგად მომღერალი (სიტყვიდან

244 სემ, დღიური I-075.

245 ტერმინი წარმოდგება თანდებული Προς-კენ და ბნიდის-„სირცხვილი“. იგივე ტერმინისგან წარმოდგება ძველი ბერძნული სიტყვა Ονειδ(ζω- ვინმეს შერცხვენა

246 Πρώτα Ιωακείμδου «Τα παρατσούκλια στην κοινώνια του χარიόν μου άλλοτε και τώρα»

to sarki= სიმღერა), «Ζιτούρα» =ზარებიანი²⁴⁷ (სიტყვიდან to zil=ზარი) ან მამაკაცის მეტსახელები: «Ο σαντουρτζ»=ერთგული (სიტყვიდან sadik),²⁴⁸ «Ο Τεντελ»=კანკალა (სიტყვიდან tentel=კანკალი) და სხვა. რაც შეეხება ადამიანის გარეგნობიდან გამომდინარე წარმოქმნილ მეტსახელებს, აქ ვხვდებით ტერმინებს: «Τσαχούρτζ»²⁴⁹ (ნაცრისფერთვალეა), καμέλτζ²⁵⁰ (კუზიანი), Γαρα-Νικόλας ან ΚαραΝικόλας (შავგვრემანი ნიკოლა), ο κουσκούρ – ნაკლიანი (სომხური წარმოშობის), σισμάντζ – მსუქანი (sisman), κούσπο – χούσπος (დაბალი და ჩაფსკენილი (სიტყვიდან kuspe), κουτσιουკ (სპარსულად kucuk=პატარა ზომის)²⁵¹ და სხვა.

პონტოელ ბერძნებთან ხშირი იყო ისეთი მეტსახელების დარქმევაც, რომლებიც ამა თუ იმ ცხოველს და მის ბუნებას უკავშირდებოდა. ასე მაგალითად ცბიერ, ეშმაკ ადამიანზე იტყოდნენ ο αλεπόν, αλεπόζ (მელაკუდა), ლომივით უშიშარზე კი – ο Ασλάντζ (ασλάν = ლომი). გარდა ამისა, ქვეშ-ქვეშა პიროვნებას ეძახდნენ – ο τάκαλον (ტურა), ხოლო საშიშ, დაუნდობელ პიროვნებას – ο κούρτο (kurt=λύκος). ზედმეტად მოლაპარაკე ადამიანზე საუბრისას იტყოდნენ ο κούκον (გუგული) და სხვა. მიღებული ყოფილა სხვა ზედმეტსახელების გამოყენებაც: Σαφλέας – ენამოშლექილი, ταραχτρα – ამრევი და სხვა.

საინტერესოა, რომ ზოგჯერ მეტსახელების დარქმევის საბაზად მათი საყვარელი კერძების სახელწოდებებიც ხდებოდა: ο κορκοτάς – ეძახდნენ კორკოტას მოყვარულს, ο χασιλάς (ხასილიას მოყვარულს), ο πλουγουράς (პლილურის მოყვარულს) და ა.შ

იყო მეტსახელების დარქმევის შემთხვევები საყვარელი საქმის მიხედვითაც. ასე მაგალითად, «Ο σ'ρανλης» ეძახდნენ სერას მოცეკვავეს.

ზოგიერთი მეტსახელის გაჩენა პონტოელ ბერძენტთა წარმოშობის ადგილებს უკავშირდებოდა. ამგვარად, სანდელ მამაკაცზე იტყოდნენ: – ο Σαντάლτζ, Σαντέτζ, სანდელ მანდილოსანზე კი – Σαντ'ჟσα. ასევე სურმენელებზე – Σουρმენჯ – (სურმენელი მამაკაცი) Σουρმენჯთა (სურმენელი ქალი) და ა.შ

იშვიათი იყო შემთხვევები, როცა მანდილოსანი თავისი ძლიერი ხასიათიდან გამომდინარე, ჩრდილავდა მეუღლეს და მამაკაცი მეტსახელს ღებულობდა – ο ρεφίლτζ (ცოლის სახელიდან – Εριφύλη-ρεφίλη).²⁵²

აჭარის რეგიონში დასახლებულთა გვარებიც ხშირად მათ მეტსახელად ქცეულა. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ზოგიერთი გვარი სრულიად იცვლებოდა: «Σην Άτσαρα πολλά επιθετα άλλαζαν και γινόνταν προσονεδε».²⁵³

247 აქ იგულისხმებოდა ისეთი ადამიანი, რომელზეც თითქოს ზარები ჩამოეკიდათ ანუ ბევრს საუბრობდნენ მასზე

248 მეტსახელიდან წარმოიშვა გვარი Σαντουρτζი

249 მეტსახელიდან წარმოიშვა გვარები: Τσαχίρτζი, Τσακίρτζი

250 Καμ'άτζ სიტყვასიტყვით აქლემს ნიშნავს

251 Γώτα Ιωακειμίδου «Τα παρατσούκλια στην κοινωνία του χωριού μου άλλοτε και τώρα»

252 <http://www.schooltime.gr/2015/09/01/ta-paratsouklia-stin-koinonia-tou-xoriou-mou>

253 სემ, დღიური I-075.

ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი გვარების ნუსხაში:

კურტიდები – კურტოლლანდ (Κούρτοβ- Κουρτίδης – Κουρτογλάντ),

ელინიდის – ელინანდ (Ελενίδης – Ελενάτ)

პაპადოპულოს – პაპადანდ (Παπαδόπουλος – Παπαδάτ),

მაზმანიდი – მაზმანანდ (Μασμανίδης – Μασμανάτ)

ღრამატიკოპულო – შიპანდ (Γραμματικόπουλος – Σιπάτ)

მერიციდის – მერიცანდ (Μερισίδης – Μεριτσάτ)

მურუზიდის – მურუზანდ (Μουρουζίδης – Μουρουζάτ)

სტეფანიდის – სტეფანანდ (Στεφανίδης – Στεφανάτ),

კოსტიკიდის – კოსტიკანდ (Κωστικίδης – Κωστικάτ)

ცირიდის – ცირანდ (Τσιρίδης – Τσιράτ)

პავლიდის – პავლანდ (Παυλίδης – Παυλάτ),

სპირიდის – სპირანდ (Σπιρίδης – Σπιράτ)

იამაკიდის – იამაკანდ (Γιαμμακείδης – Γιαμμακάτ),

ვალკიდის – ვალკანდ (Βαλικίδης – Βαλικάτ)

მავროპულო – სიახანდ (Μαυρόπουλος – Σιαχάτ),

ჩილიკისდი – ჩილიკანდ (Τσιλικίδη – Τσιλικάτ),

ჩილინგარიდი – ჩილინგარანდ (Τσιλικακίδη – Τσιλικακάτ),

პაროციდის – პაროცანდ (Παροτσιδης – Παροτσάτ)

შონუს – შონანდ (Σόνους – Σονάτ)

ქსანდოპულოს – ქსანდინანდ (Ξαντόπουλος – Ξαντινάτ)

იოსიფიდის – იოსიფანდ (Ιωσηφίδης – Ισουφογλάντ)

ფუტურიდის – ფუტურანდ (Πουτουρίδης – Πουτουράτ)

ჩილიკიდის – ჩილიკანდ (Τσιλικίδη – Τσιλικάτ)²⁵⁴და ა.შ

სხვა გვარების წარმომადგენლებზე საუბრის დროს, მათ საერთოდ არ ცვლიდნენ და ჩვეულებრივ მოიხსენიებდნენ.

ბავშვის აღზრდა: პონტოელი ბერძნები მოზარდს შრომა-საქმიანობას ადრეული ასაკიდანვე აჩვენებდნენ. სახლეულის მამაკაცები და დიასახლისები ბავშვებს შრომას დადგენილი ასაკიდან, უმეტესად, ექვსი-შვიდი წლიდან აჩვენებდნენ. ისინიც სახლეულის შრომითი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში ასაკის შესაბამისად – ასაკის გათვალისწინებით ებმებოდნენ. ბავშვები უფროსებს, ძირითადად, სამეურნეო საქმიანობაში ეწეოდნენ. ვაჟები მამას ხელოსნობაში ეხმარებოდნენ, საძოვარზე პირუტყვს მეთვალყურეობდნენ, ტყიდან შემას ეზიდებოდნენ, სახლში წყალი მოჰქონდათ. გოგონების აღზრდით კი – სახლეულის უფროსი ქალები იყვნენ დაკავებულნი. მათ

პატარაობიდანვე აჩვევდნენ რთვა-ქსოვის ხელოვნებას. ქსოვა და კერვა პონტოელი ბერძენი ქალისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა. დედა და ბებია, რომლებიც ქსოვის ტექნოლოგიებს მაღალ დონეზე ფლობდნენ, ახალგაზრდა ქალებს ქსოვისა და კერვის ტრადიციულ ხერხებს დან-ვრილებით აცნობდნენ, მაგრამ ქარგვა ახალგაზრდა ქალისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა. ხელსაქმის კარგი ცოდნა მას მომავალში სასურველ პატარძლად აქცევდა ხოლმე. ქსოვდნენ და კერდნენ წინდებს, თეთრეულს, მათ შორის, საწოლის თეთრეულს, წინსაფრებს, მოსასხამებს, ხელსახოცებს. გოგონები ყველგან ქსოვდნენ, მაშინაც კი – როცა ისვენებდნენ ანდა თამაშობდნენ. ბევრნი საქსოვ ჩხირებს მუდამ თან ატარებდა და ისინი ხალათის ჯიბეებში ეწყობო. ხელსაყრელ ვითარებაში ამოიღებდნენ, თან საუბრობდნენ და თან ქსოვდნენ (დემუროვა, 1984:9-10).

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება ბავშვობიდან იწყება; ბავშვობაში გადგმული მყარი ფესვები უდავოდ გამოიყოფს კარგ ნაყოფს – მიიჩნევენ პონტოელი მთქმელები: «Τὸ καλόν τὸ πούλιν ἄς τ' ὀβὶν κιάν' κελαιδέι.» („კარგი ჩიტი კვერცხიდან გალობსო“).

პონტოელი ბერძენები ბავშვობიდან უნერგავდნენ შვილებს მათთვის მნიშვნელოვან დაუნერგელ კანონებს და სჯეროდათ, რომ კარგი გამგონის არსებობის შემთხვევაში ისინი სასურველ შედეგებს გამოიღებდნენ. ამგვარად, შესაფერის დროს არიგებდნენ შთამომავლებს და უნერგავდნენ :

ღვთის სიყვარულს : «Ἀνθρώπων ντὸ λέει' κίγίνεται, ὁ Θεός ντὸ λέειγίνεται» („ადამიანი რასაც ამბობს, ის არ ხდება, ღმერთი რასაც ამბობს – ის მოხდება“ (ანუ როგორც ჩვენში იტყვიან: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“));

უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობას: «Πάντα κανείς νὰ λογαριάζει τσι μεγάλους!» („ყოველთვის ანგარიში უნდა გავუწიოთ უფროსებს“);

სიტყვის ზომიერად გამოყენების აუცილებლობას : «Μεγάλο βούκα φὰ και μεγάλο λόγο μη λές.» („დიდი ლუკმა შეჭამე და დიდ (იგულისხმება მძიმე) სიტყვას ნუ იტყვიო“);

სიმორცხვის დაძლევა: «Τὸ χαμελόν τ' ἄλογον ὄλ' κἀβαλκεῖν ἄτό.» („დაბალ ცხენს ყველა აჯირითებს“);

თანასწორუფლებიანობის გათავისება: «Ὅλα τὰ ψῦα ἕναν εἶναι» („ყველა სული ერთნაირია“);

ფრთხილად ყოფნას: «Ἐμεῖς κοιμοῦμεκ κι ὁ τουσσιμανάν 'κι κοιμᾶται.» („ჩვენ გვეძინავს, ხოლო მტრებს – არა“); და მრავალი სხვა (Αθανασιάδης 1970: 71-136).²⁵⁵

თამაშები: შრომის გარდა პონტოელი ბერძენი ბავშვებისათვის არც გართობა-თამაშობები იყო უცხო. პონტოელი ბავშვებიც ერთობოდნენ სხვადასხვა სახის თამაშებით, რომლებიც წყვილებში ან ჯგუფურად თამაშდებოდა. თამაშის აღსანიშნავად, ძირითადად, ხმარობდნენ ტერმინს «παίγνα», იშვიათად გამოიყენებოდა «η παίη» ან «το παιζίμον». თამაშის მოყვარულზე ამბობდნენ: «Κλώθ' από σὴν παιή και δουλείαν' κι ἐφτᾶει» („მუდამ თამაშით ერთობა და საქმეს არ აკეთებსო“).²⁵⁶

255 სემ, დღიური I-077.

256 სემ, დღიური I-078.

საბავშვო თავშესაქცევებიდან, შეიძლება, გამოიყოს შემდეგი თამაშები:

ნიაშიანი²⁵⁷: ეს იყო სოფლის ბავშვებს შორის ადრე გავრცელებული თამაში. **ნიაშიანი**'ს არსი შემდეგში მდგომარეობდა: ჯოხს დებდნენ მინდორის შუაგულში, მის მახლობლად მცველებს აყენებდნენ. მოთამაშეები ორ ჯგუფად იყოფოდნენ. თითოეული ჯგუფიდან თითო გამორბოდა და ცდილობდა ჯოხი მოეპოვებინა და თავისი მხარე გადაერბინა. გამარჯვებულთ მხარე ეწერებოდა;

ჩალდიკა: ბავშვები მინდორზე ანდა გაზონზე დიდ და პატარა ჯოხებს აჯვარედინებდნენ, შემდეგ ჯოხებს ერთმანეთზე ანდა მინდორსა თუ გაზონზე ურტყამდნენ. როცა პატარა ჯოხი ზემოდ ავარდებოდა, იგი მონანილეებს სხარტად უნდა დაეჭირათ (Демурова, 1983:27-28).

რთული ეკონომიკური პირობების გამო ბავშვებს ნაკლებად ჰქონდათ «Τὰ παιχνιτώρα» – სათამაშოები. გოგონებისთვის მშობლები აკეთებდნენ საქანელას – «λαϊστέρα», ბიჭებისთვის კიურდულს – «σαπίντασι». ყველასთვის საყვარელი სათამაშო იყო «τὸ τόπι» (ბურთი).

ვინაიდან სათამაშოების ნაკლებობას განიცდიდნენ, პონტოელი ბავშვები თავად მოიფიქრებდნენ ხოლმე თამაშებს ან მათი წინაპრების მიერ ნასწავლი თამაშებით ერთობოდნენ და ეს ბევრად ახალისებდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ თამაშები სახელწოდებებით: გოგონებისთვის τὸ «καρνακότης» („კლასობანა“), τὰ «σπιτίτζας» („მეჯვარეობანა“), «κούκλες» („თოჯინობანა“), ბიჭების თამაშებიდან კი აჭარაში დაბადებულმა და გაზრდილმა, იორდან სავეიდისმა შემდეგი თამაშები გაიხსენა: «τὸ «τιβόλ» ან «ἄψιμον» („ტყვეობანა“), τὰ «τάπαντζας» („პისტოლობანა“), τὸ «ἀρόλ ρ'σκα» („ორიოლი და რემკა“) და სხვა. არსებობდა საერთო თამაშებიც სახელწოდებებით: «τσάλτικα» – („ჩალტიკა“), «ἡ κρυφτερίτσα» („დამალობანა“), «τεκμι τσιούφτ» („კენტი თუ ლუნი“), «τὸ χονοκούστ» („გუნდაობა“), «χαζ'νά» („განძი“)²⁵⁷ და ა.შ

თამაშების ასეთი მრავალფეროვნება ხელს უწყობდა ბავშვების დაახლოებას, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ზოგადად, მათ სოციალიზაციას.

ბავშვის მეტყველება: პონტოურ დიალექტში ვხვდებით ბავშვის მეტყველების საყურადღებო მაგალითებსაც. ყველაზე ადრეულ ეტაპზე, როცა ბავშვს ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული, რომ ყველა საგანს თავისი სახელიჰქვია, სიტუაციიდან გამომდინარე, გარკვეულ სახელებს არქმევს საგნებს ან მოვლენებს (ხშირად, შესაძლებელია, არასწორი თანწყობითაც). ასევე არ არის გამორიცხული ეს სიტყვა ეკუთვნოდეს არა რომელიმე კონკრეტულ საგანს, არამედ მსგავს საგანთა ჯგუფს. ასე მაგალითად: შესაძლებელია „კაკა“ იყოს არა მარტო კანფეტი, არამედ ყველაფერი, რაც ტკბილია: შაქარი, ხილი, ნვენი. ბავშვის მეტყველების მაგალითში „ლალალა“ კი შეიძლება იგულისხმებოდეს ყველაფერი, რაც მელოდოზურ ხმას გამოსცემს და ა.შ.

საკითხის უკეთ წარმოსაჩენად განვიხილავთ სხვა შემთხვევებსაც:

257 სემ, დღიური I-079.

პონტოურ დიალექტში ბავშვურ ენაზე თავად ბავშვი აღინიშნებოდა სიტყვებით «**Βαβάν, βαβάκαν**» – ან «**νηνί, νηνίκα**», მაშინ როცა უფროსები ბავშვზე იტყოდნენ «**τὸ μωρόν**».

- ბავშვურ ენაზე ხელი გამოიხატებოდა სიტყვით «**Λελ'κα**» (ჩვეულებრივ მეტყველებაში – **τὸ sh'ρι**);
- «**Κόττσι- κόττσι**» ქართული „კრიჭი-კრიჭის“ შესაბამისი ექვივალენტია. ამგვარად აშინებდნენ ბავშვს, რომ ხელი არ მოეკიდა მჭრელი ნივთისთვის: გაიჭრებო, მაშინ როცა უფროსების ენაზე იტყოდნენ : «**θα κώπεια**»;
- «**Λολά, λολάγια- νιανία**» – პონტოელ ბავშვებში იყო გავრცელებული ნანის, იავნანის აღსანიშნავად. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, უფროსები მიმართავდნენ ტერმინებს: «**Νανία, νάνι, λολαία**»;
- «**Μά, μάκια, μάτσικα**» ნიშნავდა კოცნას, ჩვეულებრივ მეტყველებაში ხმარობდნენ ტერმინს **φιλάκι**;
- «**Μαμ, νιανία**» – ბავშვის მეტყველებაში გამოიყენებოდა საჭმელის აღსანიშნავად, მაშინ როცა გავრცელებული ტერმინი იყო «**φαίν**»;
- «**Μπού, μπουμπού**» პატარების ენაზე ნიშნავდა წყალს, ხოლო უფროსები იყენებდნენ სიტყვას «**νερόν**» (**Αθανασιάδης, 1970: 163-164**).

შინაური ცხოველებიდან ბავშვები განსაკუთრებით გამოყოფდნენ ძაღლს – «**Κούτι- κούτι**». ჩვეულებრივ იტყოდნენ: «**τὸ σκυλί, τὸ σκυλόπον**», კატას – «**Ψίψι, ψιψίκα**» (**γάτα**), ქათამს – «**Τσσίουτσιούνκα**» (**κοσσάρα, κοσσόν**);

ოჯახის წევრებთან დაკავშირებული ბავშვურ მეტყველებაში გამოვყოფდით ტერმინებს: «**Μαμάκα**» – დედა (**μαμά**), «**μπαμπάκα**» – მამა (**μπαμπάς**), «**παππούλης**» – ბაბუა (**παππούς**), «**γιαγιάκα**» – ბებია (**γιαγία**);

პონტოელ ბერძენთა ბავშვურ ენაში ყოველდღიური მოქმედების გამომხატველი ტერმინებიც მოიპოვება. მაგალითად: «**Όπα, ὄπαλια**» ნიშნავს ადგომასს (**σήκω, σκου**), «**μπούμ**» – დაცემას (**π'σιμον**), «**Πίττσι- πίττσι**» – დაბანას (**λούσιμο**), «**Χόπαχόπα**» – ცეკვას (**χορόν**) და სხვა.

ქობულეთელი მთქმელების გადმოცემით, პატარების დასახასიათებლად პონტოელ ბერძნებთან მიღებული იყო შემდეგი გამონათქვამების გამოყენება:

- «**Άφορισμός**» – ჭკვიანი და ამავედროულად ცელქი;
- «**Παρταλάχ**» – ჯეჯგვა, ჩაფსკვნილი ;
- «**Άψιμον**» – ცეცხლი ანუ სწრაფი;
- «**Φωταχ'ρι**» – ნათელი იტყოდნენ ლამაზ ბავშვზე;
- «**Χοχόλ**» – ნამცეცა ასე ეძახოდნენ პატარა ტანის ბავშვს;
- «**Χάταλον**»²⁵⁸ – ბარტყი ანუ შვილი და ა.შ

ბავშვის მიმართ სიყვარულის და ალერსის გამოსახატავად კი, მთქმელების გადმოცემით, უფროსები შემდეგ გამონათქვამებს მიმართავდნენ:

«Λελέω σε, νὰ λελέω σε!» – შენ გენაცვალე!

«Τὰ ψύαξ σ' νὰ τρώω!» – შენი სული მეჭამოს!

«Τὰ τσικάριαξ σ' νὰ τρώω!» – შენი ლოყები მეჭამოს!

«Χαρεντερίζω τὸ ψάπι!» – სულს გამიხარებ!

«Τὴν ψ' ἴμ νὰ δίγω σε!» – ჩემს სულს მოგცემ!²⁵⁹ და სხვა.

დღეს აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებში ბევრი რამ, რაც გასული საუკუნის სამოციანი და ოთხმოციანი წლების ექსპედიციების დროსაა დაფიქსირებული, დავინყებას მიეცა, თუმცა ის, რაც შემოგვრჩა, მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი.

მიცვალებულის კულტი, სამგლოვიარო რიტუალი დაკრძალვა: გარდაცვალების წინ მისულ მწოლიარე ადამიანს პონტოელი ბერძნები მღვდელს – **პაპას** მიუყვანდნენ და **ზიარება**'ს მიაღებინებდნენ, რასაც **ქინონია** ეწოდებოდა. ზიარების დროს მღვდელი საჩუქრებს არ ღებულობდა. მომაკვდავს იგი სახლში ეახლებოდა და მისი სულისათვის ლოცულობდა, ჯვარსაც გარდასახავდა, რასაც **მეტანია** ეწოდებოდა, შესაბამისად, მღვდელი მომაკვდავს აზიარებდა. რადგან პონტოელი ბერძნები **იერს** – წმიდა გიორგის მგზავრთა მფარველად მიიჩნევდნენ, ამდენად მის სულსაც მას აბარებდნენ. სულს მინისქვეშეთის პატრონი, ხარონს – **ხაროსს** აკითხავდა, მაგრამ თუ ავადმყოფობა ხანგრძლივდებოდა და მომაკვდავი წვალობდა, მდებრობითი სქესის ნათესავები წმიდა გიორგის მიმართავდნენ: „ან განკურნე ან და წაიყვანე“ (Зайковская, 1989:111). მომაკვდავის სახლეულის წევრები მღვდელს ოჯახში პატარა ტრაპეზს უწყობდნენ. თუ ადამიანი სხვაგან, მისი სოფლიდან დაშორებით ანდა უცხო მხარეში გარდაიცვლებოდა მას აუცილებლად მამა-პაპურ სახლში გადმოასვენებდნენ. ასევე, შვილები, რომ უცხოეთში ყოფილიყვნენ დაუცდიდნენ და მიცვალებულს მათი ჩამოსვლის შემდეგ დაკრძალავდნენ. პონტოელ ბერძნებში მიცვალებულს – **აპოსანემოს** ერქვა.²⁶⁰

ადრე ბერძნულ დასახლებაში ადამიანის გარდაცვალებას ეკლესიის ზარის ხმით გებულობდნენ. პონტოელი ბერძენი საბერძნეთში ანდა სხვაგანაც, რომ გარდაცვლილიყო და ამას დასახლებაში გაიგებდნენ, მოსახლეობას მომხდარის შესახებ უმაღვე ზარის დარეკვით ამცნობდნენ. ზარის რეკვის დაწყებისას ადამიანები მუშაობას თავს ანებებდნენ და ეკლესიაში მიიჩქაროდნენ, რათა გარდაცვლილის ვინაობა გაეგოთ და არსებულ ვითარებას გაცნობოდნენ. ზარი სხვადასხვაგვარი იყო: **სამახარობლო**, რომელიც შედარებით ჩქარი ტემპითა და ხმაურით ირეკებოდა და ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებული, რომელიც ნელა ირეკებოდა. ზარს სამ-ოთხჯერ

259 სემ, დღიური I-081.

260 სემ, დღიური II – 053.

ჩამოკრავდნენ. დღესასწაულის დღეებში ისე, როგორც წირვისას – **ლიტრუია**’ს და ლოცვის – **პროსევქი**’ს დროს ზარის ტემპით რეკვა იყო მიღებული.

ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში პონტოელი ბერძნები ასევე მთელ რიგ ადათებს იცავდნენ, რათა სამუდამოდ დაკარგული საყვარელი ადამიანისთვის სწორად მიეგოთ პატივი და ღირსეულად გაეცილებინათ ბოლო გზაზე.

აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები მიცვალებულს (ὁ ἀποθνήσκων) 6-7 დღის განმავლობაში აჩერებდნენ ოჯახში. ამ დროის განმავლობაში ატყობინებდნენ ახლობლებს ან შორს მყოფ ნათესავებს ახლობელის გარდაცვალების შესახებ და თავად დაკრძალვის რიტუალების ჩასატარებლად ემზადებოდნენ. ახლობლები და ნათესავები მიცვალებულს რიგრიგობით უთენებდნენ ლამეს – «**ἐμόναζανόν**». «**Τὸ μόναγμα**» ანუ ლამისთევა შემდეგში მდგომარეობდა: მგლოვიარე ნათესავები და ახლობლები მიცვალებულის ირგვლივ ისხდნენ და ჩუმად საუბრობდნენ, იხსენებდნენ მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ფაქტებს და რომ არ ჩასძინებოდათ, ლამის განმავლობაში რამდენიმეჯერ სვამდნენ ყავას“: «**Οι Ρωμαῖοι τοὺς ἀποθνήσκοντες ἐμόναζαν. Κάθονταν τῆ νύχταν καὶ ἔλεγαν διάφορα γιὰ τ’αὐτοὺς. Τῆ νύχτα ἔπειναν καθ’ ἕνα γιὰ νὰ μὴ κοιμούνται. Τὸν ἀποθνήσκον κράταγαν σο σπιτ γιὰ 6 μὲ 7 ἡμ’ρας**».²⁶¹

ჩვეულებრივ, გარდაცვლილის ახლობლები ამბობდნენ, რომ „მის სიკვდილს არ ველოდებოდი, ამიტომ წინასწარ არაფერი შეგვიძენიაო“. ამდენად, ისინი ყველაფერს ერთად ყიდულობდნენ. საერთოდაც, სახლში ფულს გარდაცვალების დღისათვის წინასწარ არავინ იმარაგებდა, რადგან მათი გადმოცემით – „სიკვდილს არავინ ელოდა“. მეორე მსოფლიო ომის (1941-1945 წლები) შემდგომ – პირველ ათწლეულში მიცვალებულს მეორე დღეს კრძალავდნენ, ე. ი. ჭირისუფალთა გარემოში მას ერთი ღამე აჩერებდნენ. განსვენებულთან ღამით მორიგეობა და მიცვალებულზე თვალყურის დევნება ხდებოდა ისე, როგორც ეს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ იცოდა. მიცვალებულის თავთან თეფშზე მოთავსებული იყო პურის მარცვლები, ხოლო ცენტრში – სანთლებს ანთებდნენ. წინა ღამით მიცვალებულს განზანდინებდნენ და სხვადასხვაგვარად მუდამ ახალ ისეთ ტანსაცმელს აცმევდნენ, რაც მიცვალებულის ასაკს შეეფერებოდა. თუ გარდაცვლილი ხანდაზმული იყო, მხოლოდ ამ შემთხვევაში, მას ტანსაცმელს წინასწარ უმზადებდნენ, მაგრამ თუ გარდაცვლილი ახალგაზრდა იყო, მაშინ მიცვალებულ ვაჟს – გამოსასვლელ კოსტუმს, ხოლო ქალს, ჩვეულებრივ, ახალ თეთრეულს აცმევდნენ. სოფლად იყვნენ ამ საქმის მცოდნე ადამიანები, რომლებსაც მიცვალებულის გაპატიოსნება – დაბანა, წვერის გაპარსვა ევალებოდათ. ჩაცმულ-მოწესრიგებულ მიცვალებულს კუბოში ასვენებდნენ და ჯვარ-შეველებულ ხელს სანთლით – გულზე ულაგებდნენ. ტრადიციულად, ქსოვილებსა და ნაჭრებს გლოვის დროს ყიდულობდნენ, მაგრამ სახლში არავინ იკერავდა. მათ შესაკერად სხვებს აძლევდნენ. პონოელ ბერძნებს ჩვეულებად ქონდათ დაკრძალვისას მიცვალებულისთვის მისთვის საყვარელი ნივთების

261 სემ, დღიური I-082.

ჩატანებადა, ასევე, სავანის ერთი ნაჭრის მოჭრა, შენახვა და ოჯახის წევრის ავადმყოფობის შემთხვევაში დანვა“.²⁶²

დასაფლავების (τὸ **λείψανον**) წინა დღით, სალამოს შეიკრიბებოდნენ ოჯახის წევრები და ხმის ამოუღებლად თვალს ადევნებდნენ როგორ გაფორმდებოდა «τὸ **καινόν**» ანუ წადილი. წადილის გასაკეთებლად საგანგებოდ მოიხმობდნენ ამ საქმის მცოდნე პიროვნებას, ხშირ შემთხვევაში ოჯახთან დაახლოებულ პიროვნებას. წადილის მოსამზადებლად აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენდა: «τὰ **κοκκία**» (**βραστόν στυάρ**) – მოხარშული ხორბალი, «**καβουρντισμ'σων ἄλευρι**» – მოხალული ფქვილი, «**ζάχαρι**» – შაქარი, «**καρῦδια**» – ნიგოზი, «**λεφτοκάρια**» – თხილი და «**καφέν**» – ყავა. მთქმელი, ვალენტინა მავროპულო-კურტიდი, რომელსაც არაერთი წადილი გაუკეთებია, შემდეგნაირად აღწერს ამ პროცესს: „დიდი ზომის ბრტყელ თეფშზე ჯერ გაფენთ მოხარშულ, მშრალ ხორბალს, შემდეგ მოხალულ ფქვილს, გატარებულ ნიგოზს და ზემოდან ვფარავთ შაქრით. წადილს ვაფორმებთ თხილით, ნიგოზით და ყავაში ამოვლებული ხორბლის კაკლებით. წადილზე გარდაცვლილის სახელის პირველ და ბოლო ასოს და ჯვარს გამოსახვენ“: «**Σ'έναν τρανόν, πλατὴν σινὴν βάζουμε βρασμένον στυάρ, ἐπεκὴ καβουρδισμένον ἄλευρ, ψυλοκομμέμα καρῦδια καὶ ἀπόπᾶν τῆ ζάχαρη. Τὰ κοκκία στολίζουμε μὲ τὰ λεφτοκάρια, καρῦδια καὶ μὲ βρασμ'σο στυάρ, βουτυγμένο σὶ καφέν. Ἀπὸν σὸ σινὴν ἐφτάμε τὸ πρώτο καὶ τὸ τελευταίον γράμμα τοῦ ὀνόματος τοῦ ἀποθαμ'σου καὶ τὸ σταυρόν**».²⁶³

ტრადიციისამებრ, წადილზე რომელიც გასვენების წინა დღეს ან ორმოცზე (**Σάσεράντα**) კეთდებოდა, ჯვარი ბოლოსკენ გახსნილი იყო, რაც ნიშნავდა, რომ მიცვალებულის სული ჯერ დედამიწაზე იმყოფებოდა. მიცვალებულის მოსახსენიებლად, ძირითადად, მიღებული იყო 40 დღის და წლისთავის აღნიშვნა, იყო 6 თვის აღნიშვნის შემთხვევებიც. წადილის კეთების რიტუალი წლისთავზე სრულდებოდა იმ განსხვავებით, რომ აქ ჯვარს ჩვეულებრივ ფორმას აძლევდნენ, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ერთი წელი გავიდა და გარდაცვლილის სულმა ზეცაში ჰპოვა სასუფეველი.²⁶⁴

პონტოელმა ბერძნებმა სამძიმარი, ე. წ. **ლიმსანო**'ს იცოდნენ, თუმცა რადგან პანაშვიდი პონტოელ ბერძნებში უცნობი იყო, ეს ტერმინი როგორც სამძიმარს, ისე პანაშვიდსა და ტირილის დღეს აერთიანებდა. მიცვალებულის დასაკრძალად ორშაბათისა და შაბათის გარდა ყველა დღე იყო მისაღები.²⁶⁵ პონტოელები ბერძნებით დასახლებულ სოფლებსა და უბნებში, ადრე, მიცვალებულის დაკრძალვაზე არც თუ ისე დიდი რაოდენობის ადამიანი მონაწილეობდა, სამგლოვიარო ცერემონიალს უფრო მეზობლები და ახლო ნათესავები ესწრებოდნენ, ეხლა კი ოჯახის მისასამძიმრებლად ახლობლები და ნაცნობები ყველა მხრიდან მოდიან (იხ.: Демурова, 1983:34-37;

262 სემ, დღიური I-083.

263 სემ, დღიური I-083.

264 სემ, დღიური I-084.

265 სემ, დღიური II-054.

1987:20). პონტოელი ბერძნები გარკვეულ აკრძალვებს, რაც მზის თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული, მიცვალებულის დატირების რიტუალებშიც იცავდნენ. დაკრძალვის დროს დაუშვებელი იყო მიცვალებულის ღია ცის ქვეშ დატირება, რაც ცოდვად ითვლებოდა. მას ნაგებობაში მხოლოდ ქალები დაიტირებდნენ. ღამით მიცვალებულის ირგვლივ განლაგებულ ნათესავებს შეეძლოთ ეხუმრათ, გაეცინათ, სამხიარულო ამბები მოეყოლათ. ეს აუცილებლად უნდა შეწყვეტილიყო მაშინ, როცა იმ პირთ, რომლებიც მიცვალებულს ღამეს უთევდნენ, დილით დასვენებულ ნათესავთა წრე ჩაენაცვლებოდა (დანვრ. იხ.: Ζайковская, 1989:108). მიცვალებულს საღამოთი მზის ჩასვლისას კრძალავდნენ.

პონტოელ ბერძნებთანაც მიღებული ყოფილა მიცვალებულის ხმით დატირება, სადაც ძირითადად გაისმოდა საყვედური მიცვალებულის მიმართ, რომელმაც სამუდამოდ დატოვა საყვარელი ადამიანები:

- «Μὲρ ἐφ’ ἄρας μὰς καὶ πὰς» – „სად დაგვტოვე და მიდიხარ?“
- «Πᾶτι κὶ ἔλογαρίσας μὰς» – „ანგარიში რატომ არ გაგვინი?“
- «Μικρὰν, ὀρφανὰν γιάτι ἐφ’ ἄρας»²⁶⁶ – „პატარები, ობლები რად დატოვე?“ და ა.შ.

აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები სიკვდილის წინ ანდერძად უტოვებდნენ, აქაური მიწისთვის მიეზარებინათ მათი სხეული:

« Ἀν αποθάῶ, θάψτε με	თუ მოგვკვდებ, დამასაფლავებთ
σὺ Κούρικας τὰ ταφία...	კვირიკეს სასაფლაოებზე
Ἀς πᾶνε κ’ ῥχονταν τὰ πουλῖα,	მივლენ და მოვლენ, ჩემი შვილები
ἀφτνε μετὰ κερῖα». ²⁶⁷	და სანთელს დამინთებენ.

ზემოთ მოყვანილი სტროფში ამა თუ იმ სოფლის მაცხოვრებლები შეცვლიდნენ ხოლმე სოფლის სახელწოდებას და ითხოვდნენ ახალშენის, დაგვის, აჭყვის და სხვა სოფლების სასაფლაოებზე დასაფლავებას. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა სასაფლაოები (**Τὰ ταφία**), ჩვეულებრივ, ეკლესიებთან ახლოს მდებარეობდა, ზოგჯერ ეკლესიის ეზოშიც ასაფლავებდნენ მიცვალებულს.

დაკრძალვის შემდეგ მიცვალებულის შესანდობარი სუფრა იშლებოდა და ხალხს სამარხვო კერძებით უმასპინძლებდნენ.

როგორც ბათუმის მკვიდრი, ნ. ჩილიკიდი იხსენებს: «**Μετά τὴ κηδεία σὸ τραπέζ εἶχαμε γλυκὸν πιλᾶφι μετσαμίντζια, ὀψάρ (τηγανιτό), κόκκινα ζυμερά φασιούλια (μἐκαρῦδία), βραστὰ καρτόφια, τυρίν, «ἐλεί ξ καὶ κρασί»**» („დაკრძალვის შემდეგ, ქელეხის სუფრაზე უნდა გვექონოდა: ქიშმიშიანი ფლავი, შემწვარი თევზი, წითელი წვნიანი ლობიო ნიგვზით, მოხარშული კარტოფილი, ყველი, ზეთისხილი და ღვინო“).²⁶⁸

266 სემ, დღიური I-084.
 267 სემ, დღიური I-085.
 268 სემ, დღიური I-086.

ე.კურტიდისის თქმით, პონტოელი ბერძნები გარდაცვლილს შემდეგნაირად ემშვიდობებოდნენ:

«Καλὸν Παράδεισον!» – კარგი სამოთხე!

«Ἐλαφρὰ τὰ χάματα!» – მსუბუქი მიწები!

«Ἄωνά ἢ μὴ ἦη!» – საუკუნო ხსოვნა!

«Νῖ ἀγιάζ᾽ καὶ νὰ μαριάζ᾽ ἢ ψυχῆσ᾽!» – კურთხეული და მირონცხებული

ყოფილიყოს შენი სული!

«Νῖ ἀναπάουσαν τὰ στίβασ᾽!» – შენმა ძვლებმა მშვიდად განისვენონ! და ა.შ.²⁶⁹

ასევე მნიშვნელოვან ადათს წარმოადგენდა ქელების სუფრაზე მხოლოდ ორი-სამი სადღე-გრძელს თქმა და სუფრის სწრაფად დასრულება. იგივე მთქმელის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, ქელებზე სათქმელ აუცილებელ სადღეგრძელოთა რიცხვს მიეკუთვნებოდა:

– მიცვალებულის შესანდობარის თქმა – «Για τὸν ἀποθαι΄σον»;

– ოჯახის წევრების დალოცვა – «Για τὴν οἰκογ΄σειαν»;

– ახლობლებისა და ნათესავების ან შთამომავლების საერთო სადღეგრძელო – «Για τοὺς συγγενές».²⁷⁰

ზოგჯერ ბოლო ორ სადღეგრძელოს აერთიანებდნენ და ქელების სუფრა მხოლოდ ორი სადღეგრძელოთი შემოიფარგლებოდა.

დაკრძალვის დროს ნათესავ-მეზობლების მხრიდან ფულად დახმარებას ადრე პონტოელ ბერძნებში ადგილი არ ჰქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულებების გავლენით პრაქტიკაში ფულადი დახმარებაც დამკვიდრდა. თანამედროვე პერიოდში ეს წესი მივიწყებას მიეცა. თუ ბერძნული ოჯახი ღარიბი იყო, მაშინ მეზობლები მატერიალური თვალსაზრისით გამორჩეულად შეენეოდნენ. საბჭოთა პერიოდში ფულადი დახმარება თითოეული კომლისაგან ათ მანეთამდე აღწევდა. ადამიანის გარდაცვალებისას, განსაკუთრებით, სახლეულში პირველი მიცვალებული თუ იყო დასვენებული, მაშინ სახლის სარკმელს ამტვრევდნენ, რასაც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში პირდაპირი პარალელები მოეპოვებოდა. მიცვალებულის კუბოს – **კასელა**’ს ახლო ნათესავები აწევდნენ. **კუბოს აწევა**’ს პონტოელ ბერძნებში **კოსიმატა** ერქვა.²⁷¹ კუბოს საფლავთან ისე დგამდნენ, რომ მიცვალებულს თავი დასავლეთისაკენ ჰქონოდა მიმართული. პონტოელ ბერძნებს გააჩნდათ საოჯახო და საოჯახო-საგვარეულო სასაფლაოები – **ტო ტაფილ**’ი, ასევე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიებზე მათი დასამარხი კუთხეები და ცალკე გამოყოფილი საფლავებიც – **ტა ტაფია**. პონტოელი ბერძნებისათვის საკუთრივ კარ-მიდამოში დაკრძალვის წესიც არ იყო უცხო, რაც რელიგიურ-სემანტიკური და სოციალური თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა და საკმაოდ ძველი ტრადიციის გამომხატველია. იგი წინაპართა გარემოსთან, საოჯახო კერასთან და სისხლით ნათესაურ ჯგუფთან სიახლოვით იყო განპირობებული

269 სემ, დღიური I-087.

270 სემ, დღიური I-088.

271 სემ, დღიური II-055.

და შესაბამისი რწმენა-წარმოდგენებითაც განისაზღვრებოდა. **მესაფლავე**’დ ოთხი ადამიანი იყო გამოყოფილი და მათ გასამრჯელო ფულადი სახით ეძლეოდათ. საფლავი დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლისა იყო. ქალებისათვის, განსხვავებით მამაკაცებისაგან, საფლავი უფრო ღრმად ითხრებოდა. ორი ანდა სამი-ოთხი წლის შემდეგ ამავე საფლავზე ადრე დაკრძალული მიცვალებულის ადგილზე სხვა გარდაცვლილ ნათესავს კრძალავდნენ, ე. ი. ძველი მიცვალებულის ზემოთ მეორე მიცვალებული იკრძალებოდა, მაგრამ იგი უცილობლად მიცვალებულის ახლო ნათესავი უნდა ყოფილიყო. საფლავის შემოღობვა ადრე ხისგან ხდებოდა. ხე დღეს ლითონმა, აჟურულმა, ზოგან კი – ბეტონის ზღუდემაც შეცვალა.

ქვრივი მთლიანად შავებში უნდა ყოფილიყო ჩაცმული, ხოლო მამაკაცები ორმოცი დღის განმავლობაში წვერს უშვებდნენ. დაკრძალვის დღეს გლოვის გამოსახატავად ხეზე ანდა სახლის კარზე, კედელზე ლურსმანს აჭედებდნენ. მიცვალებულის ტანსაცმელს – **ქორესიან**’ს მეორმოცე დღეს სხვებზე გასცემდნენ.

მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ სამგლოვიარო სუფრაზე ოჯახთან დაახლოებული – მხოლოდ უახლოესი ადამიანები რჩებოდნენ, ამჟამად კი დიდი ქელებები კეთდება. ქელებზე ხორცეულს არ მიირთმევდნენ, მაგრამ კენტი რიცხვის – დაახლოებით თერთმეტი სასმისი უნდა დალეულიყო.

ორმოცი დღის მანძილზე ოჯახი ღრმა გლოვაში იყო. დაკრძალვის შემდეგ მიცვალებულის მოსახსენებელ დღეს მაღალი ხარისხის პროდუქტი და გემრიელი საკვები უნდა შერჩეულიყო, განსაკუთრებით ისეთი, როგორც სიცოცხლეში გარდაცვლილს უყვარდა. მოსაგონებელ სუფრაზე გამოჰქონდათ ყველი, კარაქი, შეფერადებული – შეღებილი კვერცხები, კომბოსტოს ხვეულები, ფხალი, ორმოც ცალზე მეტი სარმა – ტოლმა, შემწვარი და მოხარშული ქათმები, ზეთისხილი, თხილით მოხარშული ხორბალი, სპეციალურად ამ დღისათვის გადარჩეული ხილი, კამფეტები, ნამცხვრები თუ ორცხობილები. ამასთან, სუფრაზე ისეთი განსაზღვრული საკვებიც ითვალისწინებოდა, რომლებიც სავალდებულო იყო, მაგალითად, შემწვარი თევზი, ლობიო, ფლავი, ღვინო, ასევე, სოუსი კარტოფილით, რაც დღეს იშვიათად მზადდება. მიცვალებულის სახელზე კენტი რაოდენობის სანთელი ინთებოდა, საკვები კი – საფლავზე რიგდებოდა, აქაც ღვინო კენტი რაოდენობით ისმებოდა.

დაკრძალვიდან წლის მანძილზე მიცვალებულს რამდენჯერმე მოიგონებდნენ. მოსაგონებელი დღეები **მნიძი**’ს სახელით იყო ცნობილი. დაკრძალვიდან მეშვიდე, ზოგჯერ, მეცხრე დღე აღნიშნებოდა, რაც „სულის ახსნის“ სახელწოდებითაა ცნობილი, განსხვავებით იქვე მცხოვრები ქართული მოსახლეობის ნაწილისაგან, რომლებიც მიცვალებულებისათვის მესამე, მეორმოცე და მუსლიმანების მსგავსად ორმოცდამეთორმეტე დღესაც აღნიშნავდნენ. პონტოელ ბერძნებში მეშვიდე თუ მეცხრე დღეს მხოლოდ სახლეულის – მიცვალებულის ოჯახის წევრები იკრიბებოდნენ, რომლებიც მამალს ყიდულობდნენ და ხარშავდნენ. შემდეგ ორმოცის აღნიშვნის დღე მოდიოდა. უკვე ორმოცზე ახლობლების, მეზობელ-ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების მოწვევა

ხდებოდა. საფლავზე ტრაპეზობდნენ და სასმელსაც მიირთმევდნენ. საფლავიდან დაბრუნების შემდეგ მამაკაცები წვერს იპარსავდნენ და ნათესავ-მეზობლებისათვის მიცვალებულის კარ-მიდამოში მრავალფეროვანი სუფრა იშლებოდა და ტრაპეზს მამაკაცები წვერგაპარსული მიუსხდებოდნენ. ჩვეულებრივ, როგორც დაკრძალვის, ისე მოსაგონებელ დღეებში სუფრაზე შეპატიჟება თხოვნით ხდებოდა. სუფრა ანუ **ტრაპეზი** ასეთი დღეების ორგანული ნაწილი იყო. ბევრი პონტოელი ბერძენი თვლის, რომ ტრაპეზუნი პონტოელების დედაქალაქი იყო, რომელსაც **ტრაპეზუნდა** ეწოდებოდა, რადგან თურმე იქ მეფეები ხშირად ჩადიოდნენ და იქ ტრაპეზობდნენ. ამიტომ ქალაქსაც ტრაპეზუნდა დაერქვაო (**მთხრობელი**: ვასილ მავროპულო, 1937 წელს დაბადებული, სოფელი ზედა კვირიკე, 8 სექტემბერი, 2015). ბუნებრივია, ეს ხალხური ეტიმოლოგიაა და რეალობასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. ტრაპიზონი, ძველი კოლხეთის ისტორიული მინა-წყალი უძველესი ხანიდანვე ქართველური ტომობრივი განმტოებების: ზან-ჭანებით იყო დასახლებული და შუასაუკუნეებში, განსაკუთრებით, ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეებში ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეთნიკური მდგრადობის საყრდენი იყო, თუმცა ვიცით, რომ ისტორია შემდეგში სხვადასხვა პოლიტიკური რაკურსით განვითარდა. პონტოელ ბერძენთა ნარატივებში სიტყვათა მსგავსებით ქალაქის სახელწოდების იდეა შესაძლოა თავდაპირველად ლიტერატურული გზით გაგრძელდა და შემდეგ ზეპირსიტყვიერებაში გადაიზარდა და ეს ბუნებრივიცაა თუ გავითვალისწინებთ ანატოლიაში და მთელ შავიზღვისპირეთშიც ადრე და ბიზანტიის იმპერიის არსებობის ეპოქაში ბერძენთა კოლონიებისა და დასახლებების ფართო გავრცელებასა და იმდროინდელ ადგილობრივ მოსახლეობასთან მათ მჭიდრო კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს.

უნდა ითქვას, რომ მიცვალებულის მოსაგონარ დღეებთან პონტოელ ბერძენებში აღსრულებული რიტუალები შინაარსობრივად ძალიან ჩამოგავდა საქართველოს სხვადასხვა ტრადიციულ პერიფერიებში არსებულ წეს-ჩვეულებებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი თითქმის სრულად იდენტური იყო. დაკრძალვის დღიდან მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ პონტოელი ბერძენი ხორცს პირველად მიირთმევდა. სწორედ მეცხრე დღეს ოჯახის წევრებს სუფრაზე ხორცეული პირველად გაჰქონდათ. მეცხრე დღეს ორმოცი მოჰყვებოდა, ხოლო შემდეგი, მიცვალებულის მოსაგონებელი მომდევნო საფეხური – მეექვსე თვე იყო, სადაც მეცხრე დღის მსგავსად მხოლოდ საოჯახო წრის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ და მიცვალებულის მოსაგონებელ დღეს აღნიშნავდნენ. როგორც მეცხრე და მეორმოცე დღეს, ისე მეექვსე თვეს ყველანი გარდაცვლილის საფლავზე გადიოდნენ, სადაც მიცვალებულის სახელზე საკვები რიგდებოდა, ინთებოდა სანთლები და ისმებოდა იმქვეყნად გადაადგილებული ადამიანის სულის მოსახსენებელი. მეექვსე თვის შემდეგ კი წლისთავს აღნიშნავდნენ, რომელიც შედარებით ვიწრო წრეში მიმდინარეობდა, ვიდრე ამას ორმოცზე ჰქონდა ადგილი. წლისთავის შემდეგ მიცვალებულის მოგონებას გარდაცვალებულთა მოსახსენიებელ დღეებში ჰქონდა ადგილი (იხ.: **Демурова**, 1983:34-37; 1987:20). მიცვალებულს მოსაგონებელ დღეებში მსხვერპლსაც კი სწირავდნენ. წმინდანებისა და მიცვალებულების სახელზე მსხვერპლის შეწირვა – **ტო გურპანი** პონტოელმა ბერძენებმა **პანაირები**’ს დროს იცოდნენ.

სხვათაშორის, მსხვერპლი **ყურბანი**'ს სახელწოდებით ფართოდ იყო გავრცელებული არა მარტო პონტოელ ბერძენებში, არამედ გამუსლიმანებულ ქართულ მოსახლეობასა და მთლიანად თურქეთის მუსლიმანურ თემებში. პონტოელ ბერძენებში შესანიშნავს, უპირატესად, ხანდაზმული მამაკაცები სწირავდნენ. მისი სიდიდე თავად მიზეზის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული. შესანიშნავს ღარიბებს გადასცემდნენ ანდა ეკლესიის ზღურბლთან კლავდნენ, ხოლო ხორცის ნაწილს ეკლესიაში არიგებდნენ. მთის სიფლებში შესანიშნავს ზოგჯერ საერთო ტრაპეზისათვისაც იყენებდნენ, სადაც მხოლოდ მამაკაცები იყრიდნენ თავს. შესაძლოა შესანიშნავის ხორცის ნაჭრები მამაკაცებსა და ქალებს საფლავებზე გაეტანათ და იქ მიერთვათ, მაგრამ ხორცის დაზარალებულის თუ შესანიშნავის გამღების სახლში შეტანა ანდა მისი და მისი ნათესავების მიერ ამ ხორცის ჭამა დაუშვებელი იყო. მსხვილფეხა შესანიშნავის ტყავი ნათესავის, შესაძლოა, გარდაცვლილის ნათლის სახლში ინახებოდა. რადგან წმინდა ილია სხვებთან შედარებით უფრო მრავალ-ფუნქციური ღვთაება იყო, ამდენად შესანიშნავი 2 აგვისტოს უმეტესად მის სახელზე იკვლებოდა (დანვრ. იხ.: Зайковская, 1989:105-107-108).

მიცვალებულის გლოვის, დაკრძალვისა და მოსაგონებელ დღეთა სარიტუალო ციკლში პონტოელმა ბერძენებმა არაერთი საკმაოდ ძველი ელემენტი შემოინახეს, რომლებიც შესაძლოა ბერძენთა სამშობლოშიც კი უკვე დიდი ხანია დავინწყებას მიეცა. ამასთან, მათი საკრალური სამყარო, რიგ სფეროში, ქართულ წეს-ჩვეულებათა ციკლს ძალიან ჩამოგავდა, რაც არა მარტო ხანგრძლივმა კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთობებმა, არამედ საერთო სარწმუნოებამაც, მართლმადიდებლობამაც განსაზღვრა.

აჭარაში მცხოვრებმა პონტოელმა ბერძენებმა ქართული წეს-ჩვეულებებიც შეითვისეს, მაგრამ არც ტრადიციული ბერძნული დავინწყებიათ. სოფლის მცხოვრებმა თითქმის ყველა ბერძენმა იცოდა ქართული, ქართველმა კი – ბერძნული. ამასთან, ბერძენმა მოსახლეობამ საქართველოში მათთვის დამახასიათებელი ტრადიციული ყოფა თან შემოიტანა. ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში პონტოელმა ბერძენებმა სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურულ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია განიცადეს. ახალ გარემოსთან შეგუების პროცესს, გარკვეულწილად, რელიგიური ერთობაც აჩქარებდა, რამაც ამ ორი ხალხის დაახლოებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

§ 11. პონტოელ ბერძენთა სულიერი კულტურა:

დღესასწაულები და საკულტო რიტუალები, კალენდარული საწესრეგულაციო ფოლკლორი

საქართველოს შავიზღვისპირეთში – აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძენების სულიერი კულტურა ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ყველა მკვლევარი თვლის, რომ სწორედ მიგრირებულთა რწმენა-წარმოდგენების შესწავლის საფუძველზეა შესაძლებელი ბერძენთა ძველი წესრეგულაციების აღდგენა (Зайковская, 1989:105). სავსე ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალები მნიშვნელობით უნიკალურია, რადგან პონტოელ ბერძენებში თუ ისინი ჯერ კიდევ არ გამქრალა, ფაქტია, რომ თანდათან დავიწყებას ეძლევა. პონტოელ ბერძენთა დღესასწაულთა დიდი ნაწილი რელიგიურ შეხედულებებთან იყო დაკავშირებული. მათთან საერთო-სახალხო დღესასწაულები ზოგადი ტერმინით **პანაირის** თ – **პანაგერიი** თ აღინიშნებოდა. როგორც დადგენილია დღესასწაულთა ეს ციკლი საკმაოდ ძველი წარმომავლობისა იყო და ფართოდ იყო გავრცელებული არამარტო ანტიკურ საბერძნეთში, არამედ ბერძენთა მცირეაზიურ კოლონიებშიც. როგორც მიჩნეულია, ბერძნული თემების ერთ-ერთი გამაერთიანებელი და, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, თემთა შორის ურთიერთობების განმსაზღვრელიც სწორედ ამდაგვარი ხალხური დღესასწაულები – **აიორი**, **პანაირი**, **დერი** თუ **ზიარათი** იყო, რომლებიც ჩვეულებრივ საეკლესიო დღესასწაულებს ემთხვეოდნენ, უმეტესად ისინი ზაფხულში ეწყობოდა, სადაც ბაზრობები იმართებოდა. პანაირის დროს ზაფხულში ხარების – ბულების შეჯიბრიც მიმდინარეობდა, რომელიც სხვათაშორის ბულების ქედობის სახელწოდებით ქოროხის აუზის, მათ შორის, აჭარისწყლის ხეობის მთიან მოსახლეობაში ხალხური დღესასწაულების შემადგენელი ნაწილიც იყო. პონტოელ ბერძენებში გამარჯვებულ ხარს, როგორც ხანდაზმულები მიიჩნევდნენ, ღმერთი ირჩევდა და მას მომავალი წლისათვის ინახავდნენ, ხოლო მეორეს მსხვერპლად სწირავდნენ და ხორცს საერთო ტრაპეზზე მიირთმევდნენ. პანაირის დღესასწაული საერთო სახალხო სეირნობით სრულდებოდა (Акритас, 1962:432).

პოპულარული და გამორჩეული იყო შობის, ახალი წლის, ნათლისღების, აღდგომის, წმიდა გიორგის **აერ**'ის, პანტელეიმონის, დიმიტრის, ილია წინასწარმეტყველის, ღვთისმშობლის **პანაგია**'ს სადღესასწაულო დღეები. სხვათაშორის, როგორც სავსე-ეთნოგრაფიული წყაროები გვიდასტურებენ, საბჭოთა პერიოდში რელიგიურს სხვა ტიპის დღესასწაულებით ანაცვლებდნენ, რომლებიც 7 ნოემბერს, 8 მარტს, 1 მაისსა და 9 მაისს ეწყობოდა (დემუროვა, 1984:32). მიუხედავად, ათეისტური საბჭოთა გავლენებისა პონტოელ ბერძენთა დღესასწაულები მაინც ქრისტიანული ბუნებისა იყო. საბჭოთა პერიოდშიც ახალი წლის, შობის, ნათლისღებისა და აღდგომის დღესასწაულები პონტოელ ბერძენთა მიერ, თუნდაც საოჯახო გარემოში, მაინც სრულდებოდა. პონტოელი ბერძენები დღესაც გვიყვებიან საბჭოთა პერიოდში ეკლესიებში მათი ფარული ვიზიტების შესახებ.²⁷² იმ სოფლებში, სადაც ბერძენები ცხოვრობდნენ, ამა თუ იმ წმინდანის სახელზე თითქმის ყველგან

272 სემ, დღიური II -056.

მათ მიერ ეკლესიები იგებოდა. ქობულეთის მიმართულებით, სოფელ კვირიკეში წმიდა კონსტანტინესა და ელენეს ეკლესია მდებარეობს, აქვეა წმიდა გიორგის ეკლესია; დაგვაში – მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია; აჭყვაში წმიდა თევდორეს და წმიდა პეტრესა და პავლეს ეკლესიები; ყოროისთავში წმიდა პანტელეიმონის ეკლესია, ხოლო ახალშენში ფერისცვალების ეკლესია. ყველა ტაძარში, ქრისტიანული კალენდრის შესაბამისად, მისი წმინდანს სახელობის სადღესასწაულო დღე აღინიშნებოდა. საეკლესიო დღესასწაული იყო არა მხოლოდ სოფლის მაცხოვრებელთა შეკრების, არამედ ნათესავთა, მათ შორის, სოფლიდან სხვა ადგილებში საცხოვრებლად გადასულთა შეხვედრის დრო. რელიგიური დღესასწაულები ზოგადად **პანაირ**'ის (**პანაირის**'ს) სახელწოდებას ატარებდა (Зайковская, 1989:105).

ახალი წლის დღესასწაული პონტოელი ბერძნებისათვის ყველაზე შთამბეჭდავი იყო ისე, როგორც მსოფლიოს ყველა ხალხისათვის. რადგან ახალი წელი – **ნეოხორინია** განსაკუთრებული იყო, ამიტომაც მისი ცერემონიალური აღნიშვნა ყველას უყვარდა. პონტოელი ბერძნები, როგორც ისინი მოგვითხრობენ, უპირატესად, ძველით ახალ წელს აღნიშნავდნენ, რომელიც 14 იანვარს იწყებოდა. ნაძვის ხე – **ალატ** ახალი წლის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. ახალ წელს სახლში პირველად ბავშვი – ვაჟი შედიოდა ანდა ის, რომელსაც ყველას აღიარებით კარგი ფეხი ჰქონდა, მაგრამ არცერთ შემთხვევაში იგი ქალი არ უნდა ყოფილიყო. ზოგნი სახლში დიასახლისის – **იკოკირა**'ს ხელით პირველად **იკოენია**'ს ხატს – **იკონა**'ს შემოაბრძანებდნენ. ხატს ნაძვის ხის ქვეშ დააბრძანებდნენ და ბოლოს მის ადგილზე აბრუნებდნენ. ახალი წლის ღამეს სახლის ზღურბლზე ვინც პირველად გადააბიჯებდა მფერხავად – **კალონ პოდარიკონ**'ად იწოდებოდა, ე. ი. იგი კარგი ფეხის ადამიანად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მფერხავს ტკბილეულობას აჩუქებდნენ. მფერხაობას პონტოელი ბერძნები სხვა დროსაც მიმართავდნენ.²⁷³ იმ ღამეს სუფრას მიუსხდებოდნენ და სადღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ. მანამ, სანამ თორმეტი საათი გახდებოდა სუფრა იშლებოდა და საახალწლო დღეებში იგი მუდამ გაშლილი იყო. სუფრა რაც უფრო მდიდრული და მრავალფეროვანი იყო, წელი მით უფრო ხვავრიელად ჩაივლიდა (Демурова, 1983:33). ახალ წელს სახლის დიასახლისი კარ-მიდამოში გამოდიოდა და თავზე პირუტყვს ბალანს შეაჭრიდა – „საქონელი გამრავლდება, ოჯახს ბარაქა და ხვავი ექნებაო“. ასევე, ნიშანდობლივია რომ ახალი წლის დღეებში ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც საახალწლო სადღესასწაულო – საკარნავალო ნიღბებს იკეთებდა და წითელი ფერის ბასრი კიდურების მატარებელ ქუდში ეშმაკს – შაითანს, ხოჯასა და პატარძალს განასახიერებდა, ხუმრობისა და სიცილ-გართობის ფონზე გარკვეული სიუჟეტების თეატრალურ ინსცენირებას ახდენდა. მათ ყველანი უმასპინძლებოდა. საკვებს ისინი ჩანთაში აგროვებდნენ. მასპინძლები მათ სიხარულით ელოდებოდნენ იმიტომ, რომ მათთან ხუმრობა, გართობა და სიმღერები იყო დაკავშირებული. ამის შემდეგ ისინი სოფლის რომელიმე წევრის სახლში რჩებოდნენ და სადღესასწაულო სუფრასთან სხდებოდნენ.

273 სემ, დღიური II-057.

შობა ახალი წლის შემდეგი შვიდი იანვარი იყო. იგი ქრისტიანული დღესასწაულებიდან ბერძენთათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო. ამ დღეს, ქართველთა კალანდის მსგავსად ღორი იკვლებოდა. სახლში კერაზე ხორცი იხარშებოდა, რომელსაც მარხვის შემდეგ ოჯახის წევრები მიირთმევდნენ, ამასთან, ამ დროს სათანადო რიტუალებიც სრულდებოდა, ძირითადად, სოფელში კარდაკარ მოსიარულე ადამიანები საშობაო სიმღერებს მღეროდნენ. საბოლოოდ სოფლის რომელიმე სახლთან შეჩერდებოდნენ და აქაც საშობაო სიმღერებს მღეროდნენ, სადაც ფულით, ტკბილეულითა და ხილით საჩუქრდებოდნენ.

შობა-ახალი წლის ციკლში არაერთი კალენდარული დღესასწაული არინიშნებოდა. თანამედროვე ბერძნული და ქართული თვეების სახელწოდებები ლათინური წარმოშობისაა, ისევე, როგორც ბევრი სხვა ენაში. პონტოელ ბერძენთა დიალექტში ნელინადის თორმეტი თვის სახელწოდებათა უმრავლესობა სრულიად განსხვავებულია, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ინტერესს მათი კალენდარული ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ქართველი ხალხის, ეთნოგრაფიულ ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა თვეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული სახელწოდებანი: თიბისა, თიბათვე, მკათათვე, ღვინობისთვე და სხვ. აღნიშნულ სახელწოდებათა გარდა აჭარაში გავრცელებული თვეთა სახელებია: ქირეზა (ბლის თვე, ივნისი), ჭალობა(ივლისი, აგვისტო), ჩურულა(დამპალი თვე, ივლისი). ხშირად თვეებს იმის მიხედვითაც არქმევდნენ სახელებს, თუ რა დღესასწაული, რომელი წმინდანის ხსენების დღე იყო ამ თვეში (ივანობის თვე, კვირიკობისთვე, ღვთისმშობლობა, მარიამობა, გიორგობა და ა.შ.) (გიორგაძე 1993:106-107).

იანვარი: ნელინადის პირველ თვეს თანამედროვე ბერძნულში «**Ιανουάριος**» ჰქვია, ისევე როგორც თანამედროვე ქართულში იანვარი, პონტოელი ბერძენები კი მას მოიხსენიებენ, როგორც «**Καλαντάρτε**» – „მოკალანდე“ . ამკარაა, რომ ეს სახელწოდება მათ კალანდის თქმის ტრადიციას დაუკავშირეს და ამგვარად ამ ტრადიციის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი.²⁷⁴

„კალანდის თქმა“, მართალია, სხვა დღესასწაულთა რეპერტუარშიც დამკვიდრდა, მაგრამ ადათის მიხედვით უფრო მეტად საახალწლოდ, საშობაოდ და ნათლილებას სრულდებოდა.

კალანდა (**κάλαντα**) კონკრეტულ მართლმადიდებლურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ, საზეიმო შინაარსის ერთგვარ სასიმღერო უწყებას წარმოადგენს, რომელსაც ჯგუფურად ან კარდაკარ მოსიარულე ადამიანები, ძირითადად ბავშვები ასრულებდნენ როგორც საბერძენეთის სხვადასხვა კუთხეში, ასევე პონტოში. შესაბამისად აჭარაში მიგრირების შემდეგ ამ ტრადიციამ გაგრძელება ჰპოვა. კალანდის გამგონებს (**οϊκαλανταγμέν'**) როგორც წესი ხურდა ფულით ან ტკბილეულით უნდა დაესაჩუქრებინათ პატარები, რათა მომავალ წელს კვლავ შეეღოთ მათი სახლის კარი და დაელოცათ ოჯახი.

კარდაკარ ჩამოვლის რიტუალური ტექსტები სხვა ხალხების ფოლკლორშიც მეტად გავრცელებულია (შუა აზია, სლავები, რომანული სამყარო და ა.შ) და ყველგან კალენდარული, უპირველეს

274 სემ, დღიური I- 106.

ყოვლისა, საგაზაფხულო კარნავალებს უკავშირდება. საქართველოშიც კალენდარული ფოლკლორის ეს ციკლი მჭიდრო კავშირშია საგაზაფხულო ნილბოსურ წარმოდგენებთან, რაზედაც მიყთითებს თვითონ სიტყვა „ჭონა“, რომლის ეტიმოლოგიაც ქართული ენის დიალექტებში ბენვეულის, ტყავის, ტანსაცმლის და თავსაბურავის მკეთებელს ნიშნავს. აღნიშნული ტერმინის რიტუალთან დაკავშირების მიზეზი, ალბათ ის იყო, რომ „კარდაკარ მოსიარულე მომღერლები ტყავ-ბენვეულის ტანსაცმელს იცვამდნენ და ნილბებს იკეთებდნენ“ (გიორგაძე 1993:17).

აქვე აღვნიშნავთ, რომ კარდაკარ ჩამოვლის რიტუალურ ტექსები არქაულია და ანტიკური ეპოქას უკავშირდება, კერძოდ, ძველ საბერძნეთში გავრცელებულ ე.წ. „ხელიდონისმებს“, მერცხლის სიმღერებს (გიორგაძე 1993:17).

ჩვენ მიერ ჩანერილ საახალწლო კალანდაში ბევრია საერთო ცნობილი პონტოური კალანდის ტექსტთან. აქ დალოცვის და კეთილი სურვილების ადრესატებს თანმიმდევრულად წარმოადგენენ ოჯახის წევრები (როგორც უფროსები, ასევე პატარები). ასევე, წმინდა ბასილი (აქ – **Ὁ Μέγας Βασίλης** ანუ დიდი ბასილი) მოიხსენიება პიროვნებად, რომელიც კალანდის მთქმელთ ოჯახში შესვლის ნებას აძლევს:

«Ἄρχ ἴε μηνιάς καί ἀρχ ἴε χροινός, βρισκουμες στην αὐλ ἡσοῦ,

თვის დასაწყისი, წლის საწყისი, ვიმყოფებით შენს ეზოში,

Ἐμάς στο σπῖτις ἔყγεν μας ὁ Μ΄φας ὁ Βασίλης,

წმინდა ბასილიმ მოგვიყვანა შენი სახლ-კარში“...²⁷⁵

ზემოთ ხსენებული საახალწლო კალანდის ტექსტში ნათლად ჩანს ის გარემოება, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენს მხარეში მიგრირებული პონტოელი ბერძნები ჯანმრთელობას და დღეგრძელს, სიხარულით სავსე სიცოცხლეს. ასევე ყურადღება გამახვილებულია მშვიდობის მნიშვნელობაზე ოჯახსა და სახელმწიფოში:

Ἰγάαν, ζώην καί χαρά , καλός στον κατοθῆρι,

სიცოცხლე, ჯანი, სიხარული შენი სახლის ზღურბლზედაო,

Στο σπῖτι σοῦ καί στο κράτος νὰ ἔχουμε εἶρ ἡγη.

შენს სახლსა და ქვეყანაში სულ გვექონოდეს მშვიდობაო.

Ἔρθαμε στην πόρτα σοῦ, ἔρθαμε νὰ εὐχόσμε,

მოვედით შენი სახლის კართან, მოვედით კარგი სურვილებით:

Οἱ μικροί νὰ μεγαλῶννε, οἱ γ΄ροι νὰ μὴν πονῶννε,

პატარები გაიზარდონ, ხანდაზმულებს არ ტკიოდეთ,

Τὰ πλουτά σοῦ νὰ πλεθ ἴγνε καί ὄλα σοῦ καλά νὰ πῶννε.

ბარაქა მოგემატოთ და ყველაფერი კარგად იყოს.²⁷⁶

275 სემ, დღიური I- 107.

276 სემ, დღიური I- 108.

საკალანდო ტექსტებში გაისმის მონოდება მსმენელისადმი, მაღლიერება გამოიჩინოს გასული წლის მიმართ:

«Τὸ περασμ'σον τὸ χρονὸν νὰ λ'με ευχαριστῶ,

მადლობა გადავუხადოთ ყველამ გასულ წელს,

Παλ' μαζ' μας νὰ εἶναι Παναγία καὶ ὁ Χριστὸν!»

კვლავ ჩვენთან იყვნენ ღვთისმშობელი და ქრისტე!²⁷⁷

მსგავსი შინაარსისაა სოფელ კვირიკეში გავრცელებული საახალწლო კალანდას ტექსტიც, რომელიც მთქმელის სიტყვებიდან გამომდინარე, თავად შექმნა კვირიკელი ბავშვების თხოვნით და შეეცადა განსხვავებული ტერმინები გამოეყენებინა, რათა დაგველთა კალანდის ტექსტთან მსგავსება არ ყოფილიყო შესამჩნევი:

«Ἔρθαν τὴ Θεοῦ τὰ παλικάρια, ἔγκαν χάριαν κι ευτυχίας,

მოვიდნენ ღვთის ყმანვილები, სიხარულით, ბედნიერებით

Κάλον χρόνον νὰ περνάτε, χωρὶς στεναχωρίας.

კარგი წელიწადი მოგცეთ, არ გქონოდეთ სადარდელი“.²⁷⁸

კალანდაში ვხვდებით ზემოთ მოყვანილი სურვილების ზუსტ ჩამონათვალს ბავშვების და მოხუცების მიმართ, ასევე მეორდება ტაეპები, სადაც მოკალანდე ოჯახს ბარაქასა და მშვიდობას უსურვებს. განსხვავდება ბოლო სტროფი, სადაც ხაზგასმულია ერთობის და ერთა შორის სიყვარულის აუცილებლობა:

«Καλὸς ἴσθαμε στὴν αυλ' ἡρι, τυχερό τὸ κατοθῆρι,

კეთილი იყოს ჩვენი მოსვლა, იღბლიანი თქვენს ეზოში,

Παντὰ ἀγάπη καὶ χαρὰ, καὶ στον κοσμὸν εἰρ' ἡη.

სიყვარული, სიხარული და მშვიდობა მსოფლიოში.

Νὰ εἴμερ ὄλ' ἀγαπημ'σ, νὰ μὴ χωρῶμαι ἔθνος,

მუდამ გვიყვარდეს ერთურთი, არ გავგერჩიოს ერი,

Προβλ' ἡματα τῆς ζωῆς μας νὰ λύνομαι με ἕνος».

ერთობით გადაგვეჭრას ცხოვრებისეული სიძნელები.²⁷⁹

როგორც დაგველთა საახალწლო კალანდის შემთხვევაში, აქაც ბოლო სტრიქონები მთავრდება ძველი წლის მიმართ მაღლიერების გამობატვით და სურვილით, ღვთისმშობლისა და ქრისტეს თანადგომისა:

«Τὸ περασμ'σον τὸ χρονὸν νὰ λ'με ευχαριστῶ,

მადლობა გადავუხადოთ გასულ წელს,

Παλ' νὰ μας βοηθῶν Παναγία καὶ Χριστὸν».

277 სემ, დღიური I- 109.

278 სემ, დღიური I- 110.

279 სემ, დღიური I- 111.

კვლავ ჩვენი დამხმარე იყვნენ ღვთისმშობელი და ქრისტე!²⁸⁰

სოფელ ახალშენში დაბადებულმა ბერძენმა ქალბატონმა, ვ. მურატიდუმ თავის წიგნში «**Εκατόχρονη Οδύσσεια**» ბერძენ მკითხველს საახალწლო კალანდის სრულიად განსხვავებული ტექსტი გააცნო, როგორც „ახალშენის კალანდა“ – «**Τὰ Κάλαντα τοῦ Αχαισίου**». სიმღერის დასაწყისში, რომელიც წმინდა ბასილის მობრძანების მახარობელია, შეიმჩნევა ერთგვარი მსგავსება ცნობილი პონტოური საახალწლო კალანდის ტექსტთან:

«Ἀρχιερινὰ καὶ ἀρχιχρονιὰ καὶ ἀρχ ἡκαλὸς μας χρόνος,
თვის დასაწყისი, წლის დასაწყისი და კარგი ახალი წელი

Ἅγιος Βασίλης ἔρχεται ἀπὸ τὴνΚαισαρεία.

კესარიიდან მოდის წმინდა ბასილი ჩვენი

Βαστὰ εἰκόνα καὶ χαρπὶ, χαρπὶ καὶ καλαμάρι.

ხატი და ქალაღდი უჭირავს, ქალაღდი და კალმისტარი

Τὸ καλαμάρι ἔγραφε καὶ τὸ χαρπὶ ὀμλει...» (Μουρατίδου 1992:244)

კალმისტარი წერდა და საუბრობდა ქალაღდი:

ტექსტში ჩართულია გაბაასებას წმინდა ბასილისთან და აქ თავს იჩენს როგორც მისი სადაურობის დადგენის, ასევე მისი ოჯახში შემოპატიჟების მცდელობა, რაც ტექსტს გამორჩეულობის ელფერს ჰმატებს:

Βασίλη , ἀπόθεν ἔρχεσαι καὶ ἀπόθεν κατεβαίνεις;

ბასილი, საიდან მოდიხარ და საიდან ჩამოდიხარ?

Ἀπὸ τὴν Μάνναμ' ἔρχομαι καὶ στὸ σχολεῖο μοῦ πᾶω.

დედაჩემისგან მოვდივარ და ჩემს სკოლაში მივდივარ

Κάτσε νὰ φας, κάτσε νὰ πιεῖς, κάτσε νὰ τραγοῦδ ἴρεις.

დაჯექი მიირთვი, დალიე და იმღერე რამე

Ἐγὼ γράμματα ἔμαθα, τραγοῦδια δὲν ἰξ' ἔω,

მე წერა-კითხვა ვისწავლე, სიმღერები კი- არ ვიცო

Καὶ ἀν ἰξέρεις γράμματα, πες μας τὴν ἈλφάΒ ἴτα.

თუკი წერა-კითხვა იცი, აბა ანბანი გვითხარი....

მოცემული კალანდა ტრადიციისამებრ დალოცვის სტრიქონებით გვირგვინდება:

Χρόνους πολλοὺς νὰ χαίρεσθε πάντα εὐτυχισμ' οἱ,

მრავალი წელი გეხაროთ, სულ ბედნიერნი იყავით

Σωματικὰ καὶ ψυχικὰ νὰ εἴστε πλουτισμ' οἱ.

ფიზიკურად და სულიერად ყოფილიყავით მდიდარნი

Δώστε κιἐμάς τὸν κόπομας, ἀνεῖναι ὀρισμός σας

280 სემ, დღიური I- 112.

წყალობა გაიღეთ ჩვენზე, თუკი მომცემთ ამის ნებას

καὶ Ἅγιος Βασίλειος νὰ ναι ὁ βοηθός σας.

და წმინდა ბასილიც თქვენ მუდამ დაგეხმრებათ! (Μουραπίδου 1992: 244).

კიდევ ერთი კალანდის ტექსტი გაგვაცნო ვ. მავროპულომ, რომელსაც მისი თქმით ბავშვობაში ძველით ახალ წლის დამდეგს, 13 იანვარს მღეროდა თავის თანატოლებთან ერთად:

«Ἄρχ ἡΚάλαντα καὶ ἀρχ ἡτοῦ χρόνου, კალანდის სანყისი, წლის დასაწყისი

Ἔρθαν τὰ τσορτσοπουλιὰ σὶν πόρτα მოვიდნენ პატარები შენს კართანო

ἀν ἀνοίεις μας καλὰ νὰ εἶσαι თუკი გაგვიღებ, კარგად გემყოფოს!

καὶ ἀν κ' ἀνοίεις πὰ καλὰ νὰ εἶσαι».²⁸¹ თუ არ გაგვიღებ, მაშინც კარგადო!

კალანდას თქმა, როგორც წესი სრულდებოდა ფრაზით:

– Χρόνια πολλὰ πάντα καὶ τοῦ χρόνου!» („მრავალი წელი და მომავალ წელსაც!“)

აქ იგულისხმება ის, რომ მოკალანდეებს სურთ მრავალი წლის განმავლობაში უმღერონ ამ ოჯახს და თავისთავად მომავალ წელსაც შეაღონ მათი ოჯახის კარი. ე.წ. „ახალშენის კალანდის“ ტექსტის დასასრულს ვ. მურატიდუმ მოიშველია დალოცვის ფრაზა: «Ἐτη πολλὰ», რაც ასევე „მრავალ წელს“ ნიშნავს, ვ. მავროპულომ კი სრულიად განსხვავებული დალოცვის ფორმა გამოიყენა: «Σ' ἔτη πολλὰ νὰζεῖ ὁοἶκος!» – „მრავალი წელი იცოცხლოს ამ სახლმა!“.²⁸² ამკარაა, რომ დალოცვის სამივე მაგალითს აერთიანებს ოჯახის ბედნიერების და დღეგრძელობის სურვილი.

რაც შეეხება ახალ წელთან დაკავშირებულ სხვა ბერძნულ ტრადიციებს, ახალი წლის დილას როგორც წესი, ყველა ოჯახში შედიოდა ოჯახის წევრი ან გარეშე პირი, მეკვლე (ძირითადად ბავშვები), რომელთაც ოჯახის უფროსის აზრით „კარგი ფეხი აქვთ“ – «ἔχνε καλὸν ποδαρικόν». მეკვლეს, ტრადიციისამებრ ხელში ეჭირა ხატი, ხშირ შემთხვევაში წმინდა გიორგის გამოსახულებით, ვინაიდან ამ წმიდანის მიმართ პონტოელი ბერძნები განსაკუთრებულ მონივნებითა და სიყვარულის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი.

ახალ წელს, როცა მთელი ოჯახი შეიკრიბებოდა, სუფრაზე უნდა ყოფილიყო საახალწლო ღვეზელი (Βασιλόπιτα) ანუ წმ. ბასილის კვერები, რომელშიც მონეტას მოათავსებდნენ. ღვეზლის ნაჭრები ჯერ ხანდაზმულ ოჯახის წევრებს, შემდეგ კი – ასაკით უმცროსებს ურიგდებოდათ. ის, ვისაც წილად ერგებოდა მონეტა, იღბლიანად ითვლებოდა.

ბერძნული საახალწლო სუფრის აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენდა ასევე მოხარშული კვახი (βραστόν κολοκύθ), ხურმა (χουρμάδες), ჩირი (τὰ τσίρια), ჩურჩხელები (τὰ τσοურτσχέλας) და ტრადიციული ღვინო (τὸ κρασὶν) ან ტკბილი სასმელი (კონიაკი – «κονίακ» ან ლიქიორი – «Λικέρ»)²⁸³ და სხვა. საყურადღებოა, რომ ბევრი ქართული კერძის, ისევე როგორც ჩურჩხელის

281 სემ, დღიური I- 113.

282 სემ, დღიური I- 114.

283 სემ, დღიური I- 115.

სახელწოდება უცვლელად შევიდა პონტოელ ბერძენთა ლექსიკაში და დღესდღეობითაც ამგვარად გამოიყენება.

პონტოში ქრისტეშობა 25 დეკემბერს აღინიშნებოდა, მაშინ როცა აჭარაში მიგრირებული პონტოელი ბერძენები მაცხოვრის დაბადებას ქართული საეკლესიო კალენდრის თანახმად ძველი სტილით, 7 იანვარს ზეიმობდნენ.

ქრისტეშობის წინა დღეს, ბავშვები დილაადრიან იწყებდნენ საშობაო კალანდას თქმას, რომელიც იწყებოდა მნიშვნელოვანი ამბის, ქრისტეშობის დადგომის მოლოცვით:

«Χριστός ἔγενν'θην χαράν'ς στον κόσμον, ქრისტე დაბადებულაო, სიხარული ქვეყნად,

Χα καλ ἡώρα, καλ ἡσ' ἡμ'ρα. მოსულაო კარგი ჟამი, დილა მშვიდობისა!

Χα καλόν παιδίν ὁψ' ἔγενν'θην, აჰა, კარგი ყრმა თურმე გუშინ იშვა,

ὁψ' ἔγενν'θην, οὐρανο στήθεν»²⁸⁴...გუშინ დაბადებულა და ცაში დამკვიდრებულაო...

როგორც საახალწლო კალანდის შემთხვევაში, აქაც მოკალანდეები ოჯახის უფროსს დასაჩუქრების თხოვნით მიმართავდნენ:

Ἔρθαν τῆ Χριστοῦ τὰ παλικάρια καὶ θημζ'νε τὸ νοικοκύρη,

ქრისტეს ყმანვილები მოსულანო და მამასახლის უმღერინანო:

Νοικοκύρημ' καὶ βασιλ'α, δ'βια 'ςσο ταρ'ξ' καὶ 'αα 'ςσὴν πόρταν,

ჩემო მამასახლისო და მბრძანებელო, ნადი თაროებთან და მოდი კარებთან,

Δος μὰς οὐβας καὶ λεφτοκάρια მოდი და მოგვეცი ხურმა და თხილი,

Κὶ ἀν ἀνοίεις μὰς, χαράν'ς σὴν πόρτασ' და თუ კარს გაგვიღებ, შენს სახლს სიხარული!²⁸⁵

საშობაო კალანდის თქმა, როგორც წესი სრულდებოდა დღეგრძელობის სურვილით:

- **«Καλὰ Χριστοῦγεννα καὶ σ' ἔφη πολλα!»** („კარგი ქრისტეშობა და მრავალჟამიერი!“)

ან: **«Υἱαν καὶ εὐλοῦαν»** (ჯანმრთელობა და დალოცვა!)²⁸⁶

ზემთ მოყვანილი მაგალითი პონტოელ ბერძენთა საშობაო კალანდას ყველაზე მეტად გავრცელებული და მიღებული ვარიანტია. ტრადიციისამებრ, ყველა ოჯახის კარი იღებოდა ამ საშობაო სიმღერის და კეთილი სურვილების მოსასმენად. კალანდას გამგონე დიასახლისი (ისევე როგორც საახალწლო კალანდის შემთხვევაში) ვალდებული იყო უხვად დაესაჩუქრებინა ბავშვები იმით, რაც გააჩნდა, იქნებოდა ეს ხურდა ფული თუ ტკბილეული.

საახალწლო თუ საშობაო კალანდას თქმის ტრადიციაზე საუბრისას აუცილებლად მიგვაჩნია ე.წ. „მომოღერების ადათის“ – **«Τὰ Μομογέρια»** მოხსენიება. ეს საახალწლო ადათი დღესდღეობითაცაა დაცული საბერძნეთის ერთ-ერთი რეგიონის, კოზანის 8 სოფლის მაცხოვრებელ პონტოელ ბერძენთა შორის, რომლებიც აქ 1923 წელს ტრაპეზუნდიდან გადმოსახლდნენ).²⁸⁷

284 <http://www.pontos-news.gr/article/128161/na-ta-poyme-ta-pontiaka-kalanta-ton-hristoy-gennon>

285 <http://www.pontos-news.gr/article/128161/na-ta-poyme-ta-pontiaka-kalanta-ton-hristoy-gennon>

286 სემ, დღიური I- 116.

287 აღნიშნული ტრადიცია 2016 წელს იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შევიდა.

ყოველი ახალი წლის 19 იანვარს საქართველოში მიგრირების პერიოდში პონტოელი ბერძნები აღნიშნავდნენ ნათლისღებას. ნათლისღება – «Φώτιμαν» (როგორც მას უწოდებდნენ ტრაპიზონელი, სანთელი, ორდუელი პონტოელი ბერძნები) და «Φώτισμα» (სურმენელები, ამისოელები და სხვა) დიდ ქრისტიანულ დღესასწაულად მიიჩნეოდა, ვინაიდან ეს იყო დღე, როდესაც მოინათლა მაცხოვარი და ხდებოდა წყლის კურთხევა – «**Αγιαζ'νε τὰ νερά**».

ნათლისღების წინა დღეს, საღამოს პონტოელი ბერძნები როგორც წესი, ანთებდნენ სანთლებს მიცვალებულთათვის (**Τὰ κεριά για τ'αποθαμ'τους**), რაც შემდეგნაირად ხდებოდა: ხორბლით სავსე ლანგარზე ოჯახის ყველა წევრი ანთებდა სანთლებს მიცვალებულთათვის (მეგობრებისა თუ ნათესავებისთვის) და თითოეულის სახელს ცალკე იტყოდა. ეს ტრადიცია რომ დავინწყებას არ მისცემოდა, ბავშვებს პატარაობიდან ასწავლიდნენ ლექსად შემდეგ სტრიქონებს:

«**Τὰ Φώτα θ'ἄω τὸ κεριμ'** ნათლისღებას ჩემი სანთელი მსურს
καὶ τῶν Ψυχῶν κοκκία (κόλυβα) სულების ხსენების დღეს– წადილი
καὶ τὴν Μεγάλ' Παρασκευὴν და დიდ პარასკევს (წითელ პარასკევს)
ἕναν μαντ' ἦν δάκρυα!» ცრემლების ერთი მანდილი (**Γαλανίδου-Μπαλφουσια**, 1999: 100).

როგორც ტექსტიდან ჩანს, მიცვალებული თხოვდა თავის ახლობლებს არ დაევიწყებინათ იგი და მოეხსენიებიათ ნათლისღებას, სულების შაბათს და წითელ პარასკევს, რათა მის სულს საუკუნო განსასვენებელი მოეპოვებინა. ნათლისღების დღეს ბავშვები დილიდან ამბობდნენ კალანდას, ამჯერად ეს ნათლისღების კალანდა იყო – «**Κάλαντα τῶν Φώτων**»:

«**Σὸν Ἰορδάν ο πόταμον ουρανόν ἐνοί(γ)εν**
ცა გაიხსნა მდინარე იორდანეზე
καὶ τ'Αεφός ἄμον πουλιν 'ς σὸν Χριστόν ἕκατ' ἴβεν
და წმინდა ცეცხლი ჩიტივით გადმოვიდა ქრისტეზე...“ (**Γαλανίδου-Μπαλφουσια**, 1999: 100).

„ნათლისღების კალანდას“ ახალშენის ვარიანტი შემოგვთავაზა ვ. მურატიდუმ თავის ნაშრომში, რომელიც ნათლისღების ისტორიას გადმოსცემს:

«**Καλ' ἦ ἐσπ' ῥα ἄρχοντες, κὶ ἄν εἶνα ὀρισμό ςσας,**
საღამო მშვიდობისა, ბატონებო, თუკი მომცემთ ამის ნებას
Χριστὸν τὴν θεῖαν βᾶπτισιν νὰ πω στ' ἀρχοντικὸ ςας.
ქრისტეს ღვთიურ ნათლობას ვაუწყებ თქვენს სახლს.
Σ' ἡμερᾶ ἔρχεται ὁ Χριστός, ὅτῳν παντός δεσπότης,
დღეს ქრისტე მობრძანდება, ბატონი ყოველთა,
Πρὸς Ἰορδάνην Ποταμόν, σκιρτᾷ ἡ ἀνθρωπὸ της.
მდინარე იორდანეზე შეიმცნეს მისი ადამიანობა (ხალხმა გაიგო, რომ ის ადამიანია).
Τὸν λ' ἴθει, «ἔλα, Πρόδρομε, καὶ βᾶπτισε με τ' ἄος
მიმართავს: ნათლისმცემლო, მობრძანდი და მომნათლეო,
Διὰ νὰ σώσω τοῦ Ἀδάμ ἐκτὴς φθοράς τὸ γ' ἄος.»

ადამის მოდგმას დაღუპვისგან თავი დაავალწევინო“ (**Μουραπίδου 1992:245**).

ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევის შემდეგ აუცილებელი იყო ნაკურთხი წყლის (**Τὸ ἁγιασμένον νερόν**) სახლში წაღება და მისი მოპკურება ანუ ყოველი კუთხის კურთხევა. ამასთან, ნაკურთხი წყალი ოჯახის თითოეულ წევრს უნდა დაეღია და პატარა ჭურჭლით ხატების კუთხეში – «**σὸ οἰκονοστής**» შეენახათ. დარჩენილი ნაკურთხი წყალი მთელი წლის განმავლობაში ინახებოდა ხატების კუთხეში, ოჯახის რომელიმე წევრის ავადმყოფობის შემთხვევაში კი მას დააეღვივებდნენ, რათა მალე გამოჯანსაღებულიყო.

ნათლისღების დღესასწაულით მთავრდებოდა 12 დღიანი პერიოდი ქრისტიანობიდან ნათლისღებამდე, რომელსაც პონტოელმა ბერძნებმა «**Τὰ Καλαντόφωτα**» უწოდეს და მის სახელწოდებაში ორი ტერმინი «**Κάλαντα**» – „კალანდა“ და «**Φώτα**» – „ნათლისღება“ ჩააქსოვეს, მაშინ როცა თანამედროვე ბერძნულში ეს პერიოდი მოიხსენიება, როგორც «**Δωδεκαήμερο**» ესე იგი თორმეტდღიანი.

დიდი მარხვა აღდგომის დღესასწაულს უსწრებდა. მას პონტოელი ბერძნები დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ. მარხულობდნენ ისე, როგორც ამას ქრისტიანული ეკლესია ითვალისწინებდა. დღეთა რაოდენობის მიხედვით დიდ მარხვამდე სახლში ყოველდღიურად ვაშლის ნათალს ჩამოკიდებდნენ, შემდეგ ამ ვაშლების ბურბუშელებით ბავშვებს ეთამაშებოდნენ, ზოგჯერ აშინებდნენ კიდევ. მარხვა დიდხანს გრძელდებოდა და ბავშვებს, როცა ისინი საჭმელს ითხოვდნენ, ვაშლის ბურბუშელებით სწორედ ამიტომ აშინებდნენ.

დიდმარხვის დაწყებისას ბერძნები როგორც პონტოში, ასევე აჭარაში მიგრირების შემდეგ იცავდნენ კიდევ ერთ ტრადიციას, სახელწოდებით «**Οκουκαράς**». მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა: დიასახლისები დიდ ზომის, მრგვალი ფორმის ხახვის ან კარტოფილიდან აკეთებდნენ პატარა ზომის საფრთხობელას, ეწ „კუკარას“, რომელსაც ოთახის შუაგულში, ჭერში ჩამოკიდებდნენ. კუკარას ქათმის ან მამლის შვიდ დიდ ფრთას დაამაგრებდნენ და ბავშვებს აფრთხილებდნენ: არ ეჭამათ მარხვაში ხორცი, რათა კუკარას რისხვა არ დაემსახურებინათ. ყოველი კვირის ბოლოს მას ერთ ფრთას აცილებდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ აღდგომის დრო ახლოვდებოდა.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, დიდმარხვის დაწყება თებერვლის ან მარტის თვეებს უკავშირდება, შესაბამისად ამ დროს აქვს ადგილი ე.წ „სუფთა ორშაბათის“ ტრადიციასაც. «**Καθαράδευτέρα**» – „სუფთა ორშაბათი“ დიდმარხვის პირველი დღეა. სუფთას მას იმიტომ უწოდებენ, რომ ამ დღეს ბერძენი დიასახლისები სახლის დასუფთავებით იყვნენ დაკავებულნი; ისე განმეზღვრებდნენ ჭურჭელს ცხიმისგან, რომ ალაპლაპებულიყო და მასზე ცხოველური ცხიმის არავითარი კვალი არ დარჩენილიყო. „სუფთა ორშაბათის სუფრა ტრადიციულად სამარხვოა. ამ დღეს პონტოელი ხალხი ბოსტნეულის კერძებს მიირთმევდა: «**Τὰ φασούλια**» – ლობიოს, «**τὰ λάχανα**» – ფხალს, «**τὸ κολονκύθ**» – კვახს, «**τὰ κοχλῆδια**» – ლოკოკინებს, «**τὰ κιντέατα**» – ჯინჯარს და სხვა“ (დანართი 2:204). დიდმარხვის დაწყებას უკავშირდებოდა ტერმინიც «**Εμπονέστα**», რომელიც პონტოურ დიალექტში მარხვის დაწყებას ნიშნავს.

სუფთა ორშაბათის წინა დღეს, სალამოს ან იმავე დღეს, გამთენიისას მიღებული იყო მარხვის დაწყებამდე ბოლო კვერცხის ქაშა და „პირის სიმბოლურად დალუქვა“. ამ ადათთან დაკავშირებით ამბობდნენ: «Με τ' ἄβῶν ἐβούλασάτῳ, μετ' ἄβῶν θ' ἀνοίγ' αὐτῷ» – „კვერცხით ვლუქავ და კვერცხით ვალეზ“, რაშიც იგულისხმებოდა: მარხვას ბოლო კვერცხის მიღებით ვინყებ და ნითელი კვერცხით დავასრულებო.

თებერვალი ბერძნულადაც «Φεβρουάριος» – ია. კალენდარული წლის მეორე თვის სახელი ქართულსა და ბერძნულშიც რომაულ მითოლოგიას უკავშირდება, მაშინ როცა თებერვალს პონტოელი ბერძნები ეძახიან «Ὁ Κούντουρον» (არეულს) ან Λειψός (ნაკლულს) და ამბობენ:

- «Ὁ Κούντουρον ἐν' λειψός, ποδερίζω τὸ Χριστόσ'», – „თებერვალი ნაკლულია, შენს ქრისტეს შემოვევლეო“;
- «Ὁ Κούντουρον φερ' το κρύο , να σαν ' κεινον π' ἐχ' το βίον», – „თებერვალს სუსხი მოაქვს, ნეტავ იმას, ვისაც კარგი ცხოვრება (პირობები) აქვსო“;
- «Ὁ Κούντουρον, ὁ Κούντουρον καὶ ὁ πασαλοκαφτές», – „თებერვალი, თებერვალი ჯლების მჭრელიო“ (იგულისხმება, რომ თებერვლის თვეში იმდენად ცივა, რომ ხალხს შეშა უთავრდება და იძულებული არიან ჯლებიც გამოიიყენონ შეშად). (Γαλανίδου-Μπαλφούσια, 1999:384-385)

თებერვლის თვეში პონტოში ბერძნები წმინდა ვლასის დღესასწაულს (Τ' Αε-Ζαρέα) აღნიშნავდნენ და ამ დღესთან დაკავშირებით მკაცრად იცავდნენ შემდეგ წესებს:

იკრძალებოდა ქალებისთვის მძიმე სამუშაოების შესრულება (ორსულებისთვის საჭმელის მომზადებაც კი) რათა რაიმე ცუდი არ დამართნოდათ («Ζαρ' ε» ხომ მოხრილს, მოგრეხილს ნიშნავს). თუკი რომელიმე ქალი დაივიწყებდა ამ ადათს ან აუცილებლობიდან გამომდინარე იმუშავებდა, სამი ლობიოს თესლი უნდა ჩაეთესა ან ეთქვა: «Ἦντάν κακόν θὰ ἔρται, σὶν κωσσοὺν ἢ σὰ κοτοπούλα νὰ κρούει» – „თუ რამე ცუდი მოვა, ქათმებს ან წინილებს დაატყდეს თავსო“. იმ შემთხვევაში, თუ შინაური ცხოველები ან ბავშვი რაიმე ნაკლით დაიბადებოდა, ან თუ ოჯახში ვინმე მოულოდნელად წელში მოიხრებოდა ან სახე მოეგრებოდა, სწორედ ზემოთხსენებული დღის ადათის დარღვევას მიაწერდნენ (Γαλανίδου-Μπαλφούσια, 1999:398).

მსგავსი სიფრთხილით ეკიდებოდნენ თებერვალში ქორწინების საკითხსაც, ვინაიდან მიჩნეული იყო, რომ ნაკიან წელს, 29-დღიან თებერვალში ქორწინება არ იყო კარგი წყვილისთვის, არ მოუტანდა ბედნიერებას. ამიტომაც, თავი რომ დაეზღვიათ მოსალოდნელი საფრთხეებისგან, პონტოელი ბერძნები ცდილობდნენ წინაპართა რჩევები გაეთვალისწინებინათ და თებერვალთან დაკავშირებული ადათები დაეცვათ. თებერვლის თვეს უკავშირდებოდა ხშირ შემთხვევაში დიდმარხვის დაწყების პერიოდიც, თუმცა თარიღის მონაცვლეობის გამო შესაძლებელი იყო მარტშიც გადასულიყო.

მარტს, (Μάρτιος) – კალენდარული წლის მესამე თვეს, თავისი სახელი რომაელების ომის ღმერთის, მარსის საპატივცემულოდ მიუღია. პონტოურ დიალექტში ეს სახელწოდება მცირე სხვაობითაა შესული – «ὉΜάρτες».

მარტთან დაკავშირებული გამონათქვამები განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევიან პონტოელ ბერძენთა ფოლკლორში, რაც ამ არასტაბილური თვის მიმართ მათ დამოკიდებულებას სრულად ასახავს:

- «**Ὁ Μάρτς φέρ' τὰ χελιδόνα, κελαιῖδούν καὶ λύν'ν τὰ χόνα**», – „მარტს მერცხლები მოჰყავს, ქიკვიკებენ და თოვლი დნება“;
- «**Ὁ Μαρτ'ς τὰ παλαλάτ' θὰ ἐφτάει**», – „მარტი თავის სისულელეებს ჩაიდენსო“ და სხვა.
- «**Μάρτ'-ιμ', ἀγέλαστε, καὶ ἀξερογαλγάνιστε!**», – „მარტო, გაუცინარო და უჟმურო!“ (Γαλανῦσο- Μπαλφούσια, 1999:37)

ხალხში გავრცელებული შეხედულება მარტის უჟმური, გამოუცნობი ხასიათის შესახებ არამხოლოდ წარმოჩნდა სხვადასხვა გამონათქვამში, არამედ ტერმინი მარტისგან წარმოიშვა ზმნა «**Μαρτεύκουμαι**» – „ემარტობ“ ანუ ვჯიუტობ, რომელსაც ვხვდებით შემდეგ გალექსილ სტრიქონებშიც:

«**Ὁ Μάρτ'ς ὄνταν μαρτεύκεται, δαβαίν τὸν καλαντάρην**

მარტი როცა მარტობს (ჯიუტობს, იანვარსაც გაასწრებს

καὶ ὄνταν καλομηνέκεται, δαβαίν τὸν καλοκαίρην»

და როცა კარგ გუნებაზეა, ზაფხულსაც აჯობებსო (Γαλανῦσο- Μπαλφούσια, 1999:38)

ამიტომაც ურჩევდნენ ერთმანეთს პონტოელი ბერძენები: არ გაებრაზებინათ მარტი, რათა შემდგომში პრობლემები არ ჰქონოდათ:

- «**Μὴ κουμφίζετε τὸν Μάρτ**», – ნუ გააბრაზებთ მარტს,
- «**Ἄτος ἔση πολλά εννάτ**», – მას ბევრი ინათი (ჯიუტი მხარე) აქვს.

მარტის თვის ბუნება ადამიანური ხასიათის თავისებურების აღსანიშნადაც გამოიყენებოდა: ნაკლებად მომღიმარ ადამიანზე იტყოდნენ: „გაუცინარი მარტიაო“ – «**Ὁ ἀγέλαστον ὁ Μαρτ'ς**».²⁸⁸

აპრილი: კალენდარული წლის მეოთხე თვეს, აპრილს– «**Ἀπρίλιος**» ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რომაელთა რწმენით, სწორედ ამ თვეს იწყებოდა გაზაფხული. პონტოელ ბერძენებთან აპრილს გარდა ახალბერძნულის მსგავსი ტერმინისა «**Ἀπρίλτς**», ორი სხვა სხვა სახელიც ერქვა: «**Ἄγιωργίτας**» და «**Ἀεργίτες**», რაც ითარგმნება, როგორც „გიორგობისთვე“ და ეს სახელწოდება თავისთავად წმინდა გიორგის დღესასწაულის აღნიშვნასთან იყო დაკავშირებული.

წმინდა გიორგი ითვლებოდა ქალაქებისა და სახელმწიფოების მფარველად, ასევე მინათმოქმედთა და მწყემსების მფარველ წმინდანადაც, პონტოელი ბერძენები დიდ პატივს სცემდნენ, მის სახელზე ეკლესიებს აგებდნენ და განსაცდელის ჟამს შემდეგნაირად მიმართავდნენ:

- **Ἄ'ρ' –ιμ' ἀλ' ἴγορε!** წმინდა გიორგი, სწრაფო!
- **Ἄ'ρ' –ιμ' πρόφτασον!**²⁸⁹ წმინდა გიორგი, მოგვისწარი!

288 სემ, დღიური I- 118.

289 სემ, დღიური I- 119.

მორწმუნე პონტოელ ხალხს მიაჩნდა, რომ თეთრ ცხენზე ამხედრებული, ღრუბლებსა და ჰაერში მსრბოლელი წმინდა გიორგი შეისმენდა მათ ვედრებას და სწრაფად აღმოუჩენდა დახმარებას.

საყურადღებოა ჩვენ მიერ ჩანერილი ლექსის შემდეგი სტრიქონები:

Σ' ἄν ἔμορφον ρακάκι πετούσε παλικάρι,

ყმანვილი დაფრინავდა ერთ ლამაზ მთაზეო

Αυτοῖν που ἔχνε ἀναγγ'ε , αὐτός σ' ἰλους προφτάνει,

ვისაც კი დასჭირდება, დაუდგება მხარშიო.

Ἄγλ ἦγορος, ἀνίκητος, δεν ἔχει ἀναλόγους,

სწრაფი, დაუმარცხებელი, არავინ არის მისი ბადალი,

Ἄ'ρτς με τ'άσπρο τ'άλογον προφτάνει πάντα ἴλους.

თეთრ რაშზე ამხედრებული ყველგან ასწრებს ეს წმინდანი“.²⁹⁰

წმინდა გიორგის სახელზე არაერთი ეკლესია აუშენებიათ პონტოელ ბერძნებს. ეს ტრადიცია აჭარაში მიგრირების შემდეგაც გაგრძელდა. გიორგობის დღესასწაულზე მათი თავშეყრის ადგილს სოფელ კვირიკეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია წარმოადგენდა:

Τὰ ρακάκια μοῦ τὰ ἔμορφα με τ'ατουσὸν τ' αξίας,

ლამაზია ჩემი მთები, აღსავსე მისი ღირსებით,

ἐκεῖ ποῦ π'ρνει τὸ πόδιν ατ , ἔχτ ἦσαν ἐκκλησίας.

იქ, სადაც კი ფეხი დაჰკრა, აშენდა ეკლესიები.

პონტოელი ბერძნების რწმენით, წმინდა გიორგის უდიდესი ღვანლი მიუძღვის მართლმადიდებელი ქრისტიანების წინაშე, რასაც ისინი არასდროს ივიწყებენ:

Ἐσὺ ντὸ ἔκανες για τὸν Χριστὸ για τ' ἰλους παραδείγμεις,

ის, რაც ქრისტესთვის შენ გააკეთე, ყველასთვის მისაბაძია,

Ὁρθόδοξοι οἱ Χριστιανοί παντοπινὸι οἱ φίλοις

ორთოდოქსი ქრისტიანები შენი მარადი მეგობარნია“.²⁹¹

სოფელ აჭყვის მკვიდრმა, კ. პაპადოპულომ წმინდა გიორგის ტროპარის ტექსტი ჩაგვანერინა, რომელსაც მისი თქმით, წმ. გიორგის ეკლესიის ირგვლივ წრის შემოვლის დროს გალობდნენ მორწმუნენი²⁹²

Ἄγιε Γεώργιε, ἀφ' ἔστη μοῦ καὶ ἀφ' ἔστη καβαλάρη,

წმინდაო გიორგი, ჩემო ბატონო და წინამძღვარო,

ἀρματομ'σὸ με σπαθί καὶ με χρυσὸ κοντάρι!

ხმლით და ოქროს ფარით შემოსილო (აღჭურვილო)

290 სემ, დღიური I- 120.

291 სემ, დღიური I- 121.

292 სემ, დღიური I- 122.

Ἄγγελος εἶσαι στὴν θωρία καὶ Ἅγιος στὴν θεότη,

ანგელოზი ხარ დედამინაზე, წმინდანი – ღვთის სასუფეველში,

Παρακαλῶ-σέ, βο ἴφα μὲ Ἅγιε στρατιότη!

წმინდანო მეომარო, დამეხმარე, გვევდრები!“

მიუხედავად იმისა, რომ აპრილის მოსვლა გაზაფხულის დადგომის მომასწავებლად ითვლებოდა, ამინდი ჯერ კიდევ არ იყო მდგრადი, ხშირი ცვალეზადობა ახასიათებდა. ამიტომ იყო, რომ პონტოელი ბერძნები აპრილის შესახებ ამბობდნენ:

- «**Ἀπρίλτις ἴπται καὶ περῶ, τ' ἄλλο κλαίει, τ' ἄλλο γελᾷ**» – „აპრილი მოვა და ჩაივლის, ხან ტირის და ხან იცინისო“ (Γαλιανδου-Μπαλφουσια, 1999: 55).
- **წმიდა გიორგი** პონტოელ ბერძნებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვთაება იყო. მის სახელზე საეკლესიო დღეობა წელიწადში ორჯერ იმართებოდა: ძველი სტილით 23 აპრილსა და 3 ნოემბერს. წმიდა გიორგის – **აერ'**ის სრული სახელი **აიოს გეორგიოს** ყოფილა, რომელიც მეტყველებაში სხვადასხვა რედუცირებული წარმოთქმით იყო გამოხატული: **აიას იორგოს (აიოს იერგოს)**, რომელიც არსებითი სახელით: ტო-აერ'ით (ჰაერი) უნდა აიხსნა, **აი-იორ** და **აერ**. მეტსახელი **ეპიკლეს'ი: გეორგია – აერ** პონტოელ ბერძნებში ძალზედ პოპულარული იყო. თავი, რომ დავანებოთ პონტოურ ზღაპრებს, ლეგენდებსა და მცირე ბილინებს, ამაზე აჭარის ზღვისპირეთში მცხოვრები ბერძნების ეთნოგრაფიული წყაროებიც თვალნათლივ მეტყველებს. მათში შეჭირვებულ ადამიანთა მფარველის წმიდა გიორგის ბუნება და ფუნქციები ნათლად გამოსჭვივის. წმიდა გიორგის მყისიერად შეეძლო იქ გამოჩენა, სადაც მისი დახმარება და მხარდაჭერა იყო საჭირო. ზღაპარში „აშიკკერიაში“ თეთრ ცხენზე ამხედრებული მხედარი გმირს ერ-ზრუმიდან თბილისში უვნიებლად და სწრაფად დაბრუნებაში ეხმარება, რათა მოწინააღმდეგისათვის, რომელსაც საპატარძლოსთან ქორწინების ჩამლა სურდა, მიესწრო და ამასთანავე აშიკ-ქერიფის დედა დაბრმავებისაგან ეხსნა. ზღაპრის – „აერცის“ გმირი მწყემსის ქონში თეთრ ცხენზე ამხედრებული გვევლინება. იგი მწყემსის ავადმყოფ ქალიშვილს განკურნავს. მისი გამოჩენა წმინდანის დარ მოვლენად იყო აღქმული. როცა შემდეგ გოგონასთან ნიშნობას დააპირებს, უარს მიიღებს, რადგან აღმოჩნდება, რომ ქალიშვილი აერს ჰყავდა განკურნებული, რის გამოც იგი წმიდა გიორგის ეკუთვნოდა. მხოლოდ მეფის დაყინებული თხოვნით თანხმდება ქალიშვილი უფლისწულს მიათხოვოს. პირველ საქორწინო ღამეს ქალის სხეულზე უფლისწულს ქრილობა უნახავს და უღიარებია, რომ იგი სწორედ წმიდა გიორგის განუკურნავს (დანვრ. იხ.: Зайковская, 1989:110-112). ამ ზღაპარში მრავალფუნქციური წმიდა გიორგის შესაძლებლობიდან ყველაზე კარგად მისი სამკურნალო შესაძლებლობები ჩანს, ჩანს ისიც, რომ იგი მესაქონლეთა – მწყემსთა მფარველიც იყო, მაგრამ ჩვენ ვიცით იმის შესახებ, რომ იმ სხვა მრავალფუნქციურობის გვერდით, მას საქონლის ნაყოფიერებისათვის ხელშეწყობის

უნარიც გააჩნდა, ან უამინდობის მიზეზი გამხდარიყო და ქარი გამოენვია. ამდენად, წმიდა გიორგის ამინდის გაფუჭებაც შესძლებია. წმიდა გიორგის რედუცირებული სახელის – **იოს იერეგ**'ის დაახლოება არსებით **ტო აერის**'თან, რომელიც ჰაერს ნიშნავს მათ სემანტიკას უშუალოდ ხსნის. ქართან მჭიდრო კავშირს პონტოელთა თვეების სახელწოდებებიც ნათლად გვიდასტურებს, რომელიც წმინდანთა დღესასწაულებს ემთხვევა, მაგალითად, ასეთი იყო **აერგიტას**'ი – ნოემბერი და აპრილი. პონტოელ ბერძენთა შეხედულებით ნოემბერსა და აპრილში ქარი ჩვეულზე უფრო ძლიერ ქროდა და, შესაბამისად, ადამიანებისათვის ნოემბრის ჰაერიც მავნებელი იყო, სიცოცხლისათვის კი განსაკუთრებით აპრილი იყო სახიფათო, რაც ანდაზებშიც კი აისახა: „აპრილო ჩემო, ჩემო დამლუპავო“. ქართან წმიდა გიორგის კავშირი, მისი ეპიტეთი – **აერი** მას **ჰარპია**'სთან ისე, როგორც **აელოპო**'სთანაც აახლოებს, რომელიც ძველბერძნულ მითოლოგიაში ის ღვთაება იყო, რომელიც ქარის სხვადასხვა სახეობებთან იყო პერსონიციფირებული. **ჰარპია**'ში შესაძლებელია **აელ**'ის გამოყოფაც, რომელსაც **აერ**'ის იდენტური მნიშვნელობა ჰქონდა. **ჰარპია** ხშირად შემზარავი შესახედაობის ნახევრად ქალს, ხოლო სანახევროდ ფრინველს განასახიერებდა და ოლიმპომდელ არქაულ ღვთაებად წარმოიდგინებოდა. ზღვის ღვთაებათა ქალიშვილებს – **ტავმანტა**'სა და **ოკეანიდ ელექტრი**'ს ანდა **ოზომენი**'ს ქალიშვილებს **ტარტარი** დარაჯობდა. მათი სახელები გატაცებასთან, მტაცებლობასთანაა დაკავშირებული. მითებში ხშირად ფიგურირებს ბავშვთა და ადამიანთა სულების ავი მტაცებლები, რომლებიც ქარის მსგავსად მსხერპლს უეცრად დაეცემოდნენ და მყისიერადვე ქრებოდნენ. იგი მოხსენიებულია „ოდისეაში“. ბერძნულ მითოლოგიაში **ჰარპია** ერთ-ერთი ყველაზე საზარელი და მახინჯი წარმომადგენელი იყო. საერთოდ, პონტოელი ბერძენები თვეებს საკრალურ მნიშვნელობებს ანიჭებდნენ, რადგან თითქმის ყოველ თვეში ესა თუ ის დღე წმინდანს ეძღვნებოდა და მისი სახელობის იყო. ნოემბერსა და აპრილს პონტოელებთან ადრე წელიწადის ორ სეზონად ჰყოფდნენ: ზაფხულად და ზამთრად და ეს ბალკანეთის ნახევარკუნძულის მესაქონლეთათვის ტიპურად დამახასიათებელი იყო. ტ. ზაიკოვსკაიას მიერ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენებში ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით დადგინდა, რომ 23 აპრილის შემდეგ ისინი საქონელს მაღალმთიანეთში საძოვრებზე – **პარხარ**'ში მიერეკებოდნენ, სადაც მესაქონლეებს ოჯახებიც მიჰყავდათ. 3 ნოემბერს, სიცვიის დადგომასთან ერთად, მესაქონლეთა ოჯახები ბარში, თავიანთ ძირითად საცხოვრებელ სოფლებში ბრუნდებოდნენ და საზამთრო სამზადისს იწყებდნენ. წმიდა გიორგის საშემოდგომო დღესასწაულის დროს პონტოელ ბერძენთა სახლებში ხალიჩებს აფენდნენ, ხოლო 23 აპრილს მათ ნოემბრის დადგომამდე ალაგებდნენ, რაც ტ. ზაიკოვსკაიას მასალებით, ეს ვითარება გამოთქმებშიც ასახულია: „ნოემბერი აფარებს, ხოლო აპრილი აღებს“ («Ноябрь покрывает, а апрель раскрывает»).

თავად წლის ორ სეზონად დაყოფა, მწყემსთა მფარველობა, ცხოველთა სამყაროზე ზრუნვა, შემოდგომაზე წმინდანის თაყვანისცემა წმიდა გიორგის უდაოდ ჰერმესთან აახლოებს. გიორგი ისე, როგორც ჰერმეს-ტრისმეგისტი სკნელებს – მიწისქვევეშეთსა და შუასკნელს, უფრო ზუსტად, არაცოცხალ და ცოცხალ სამყაროს შორის შუამავალი და მეგზური იყო. წმიდა გიორგი ჰერმესთან მრავალი სხვა ფუნქციითაც ერთიანდებოდა (იხ.: Зайковская, 1989:111-113).

- წმიდა გიორგის სადღესასწაულო დღეს დაბადებულ ბავშვს – ბიჭს გეორგის, ხოლო გოგონას – გეორგიას არქმევდნენ. ყოფაში გეორგი იორიკად ანდა იორგუდაც იყო ცნობილი. ამიტომაცაა, რომ აჭარაში იმ სოფლებიდან, სადაც ბერძნები მოსახლეობდნენ ორში – აჭყვსა (აშხოვანში) და კვირიკეში (კურიკაში) წარმოდგენილი იყო ორი ეკლესია – **აერ’ი** და **წმიდა გეორგი**. ეს საინტერესო ფაქტია. თვით თურქეთში, ტრაპეზუნდში, სანტაში (სანდაში), საიდანაც იყო ჩამოსახლებულთა უმეტესობა, შვიდ არც თუ ისე დიდ სოფელში ხუთი ეკლესია და თვრამეტი პარაკლისი არსებობდა. აქედან ერთი ეკლესია და ხუთი პარაკლისი წმიდა გიორგის სახელობისა იყო.

აღდგომა მოძრავ დღესასწაულს წარმოადგენდა: პონტოელ ბერძენთა თქმით – „აღდგომა დადიოდა“. ამ დღეს პონტოელი ბერძნები მიცვალებულთა საპატივცემულოდ წინაპართა სასაფლაოებზე გადიოდნენ, სადაც სატრაპეზოდ საკვები გაჰქონდათ. ამ დღის მთავარი შემადგენელი – ორგანული ნაწილი „პასკა“ და ნითლად შეღებილი კვერცხები იყო. აღდგომას ოჯახები გოჭებსაც კლავდნენ.

დღესასწაული დღესასწაულთა შორის, აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მართლმადიდებელ პონტოელ ბერძნებთან განსაკუთრებულად აღინიშნებოდა და ვინაიდან აღდგომის დღესასწაული მოძრავია, ზოგჯერ აპრილის თვეს ემთხვეოდა და ზოგჯერ-მაისს.

აღდგომის კვირას წინ უსწრებდა კიდევ ორი დიდი დღესასწაული: ლაზარეს შაბათი «**Τοῦ Λαζάρου**» და ბაიობა «**των Βαίων**» (ჩვენებურად – ბზობა). ბზობასაც იყო მიღებული ბავშვების კარდაკარ ჩამოვლა და სიმღერა.:

Βαία βαία τὸ βαί	ბაიობა, ბაიობა,
τρῶμε ὀψάρια καὶ χαμψίν	თევზის , ხამსის ჭამის დროა...
Καὶ τ’ ἀπᾶν τὴν Κερεκ ἴγ	და მომავალ კვირა დღეს
Τρῶμε βούτορον, τυρίν	მივირთმევთ კარაქსა და ყველს

(Γαλανδσο-Μπαλφούσια, 1999: 88)

როგორც წესი, მახარობლებს უმასპინძლებოდნენ სპეციალური მრგვალი ფორმის ცხობილებით (**τὰ κερκ’ἄια**)ან შაქარლამით (**σακιαρλαμάδες**), ნათესავები და ახლობლები კი პატარებს შეძლებისდაგვარად ასაჩუქრებდნენ ფულით (**ἐχάρζαν παράδες**).

ვნების კვირას (პონტოელ ბერძნებთან „აღდგომის კვირა“ – «**Τὴν ἐβδομάδα τῆς Λαμπρ ἴγ**») მიღებული იყო სამუშაოებისგან თავის შეკავება როგორც ქალაქში, ასევე სოფლადა; იკრძალებოდა

ბოსტანში მუშაობა: «**Κ'έπρεπε νὰ σπέρνουν τὴν ἐβδομάδα τῆς Λαμπρῆς**» (“ენების კვირას არ უნდა დაეთესათ”). ასევე იკრძალებოდა სახლში რაიმე დიდი საქმის წამოწყება და კეთება. ითვლებოდა, რომ ეს დიდი ცოდვა იყო.

დიდ ხუთშაბათს პონტოელი დიასახლისები სააღდგომო ღვეზელს, ე.წ. „ჩურეკს“ (**Τὸ τσουρέκι**) ამზადებდნენ და კვერცხებს ღებავდნენ. ჩურეკი ქვის ღუმელში, ე. წ. „ფურნიში“ (ცნობილია ასევე სხვა ფორმაც – ფურუნი) – (**Σὸ φουρνὶν**) ცხვებოდა. ასეთ ქვის ფეხებს ბევრი პონტოელი ბერძენის ეზოში, სახლის გვერდით ნახავდით, ხოლო ვისაც ფურნი არ ჰქონდა, მეზობელთან გადადიოდა და აცხობდა წინასწარ მოლაპარაკების და რიგის დაკავების შემდეგ.

როგორც სოფელ კვირიკეს მაცხოვრებელმა ბერძენმა დიასახლისმა, 67 წლის ელენე ქსანდოპულომ აღნიშნა, სააღდგომო ჩურეკის (ჩვენებური პასქის) მომზადება და კვერცხების შეღებვა გარკვეული წესების დაცვით ხდებოდა:

- «**Σὸ ζουμάρι ἐπέίναμε σταυρόν κ'επεκὶ ἀρχίναμε νὰ τὸ ζυμώνουμε**». („ცომს მოზელამდე პირჯვარს გადანერდნენ და ისე იწყებდნენ ჩურეკის კეთებას“)
- «**Ὅνταν ἐφούσκωνε τὸ ζουμάρι, βάλναμε σὰ πηγάνια καὶ ἀποφκὰ ἀπλῶναμε τὴ καστανὶ τὰ φύλλα**» („როცა ცომი ამოვიდოდა, მას თუჯის ტაფებში გაანანილებდნენ და ქვემოდან ნაბლის ფოთლებს დაუფენდნენ“).
- «**Για νὰ τερούμε ἀν ἐζεστάθεν τὸ φουρνὶν, βάλναμε τὸ σηερ ἀπὲς καὶ ἄμα ἀντέχαμε νὰ μετρήσουμε μέχρι τὰ εἴκοσι, ἔτοιμον ἔτονε για τὸ ψήσιμο**». („ფურნი გაცხელდა თუ არა, ამის გასაგებად ხელს შიგ შეყოფდნენ და თუ 20–მდე დათვლისას ხელი ვერ გაუძლებდა მხურვალეობას, ესე იგი მზად იყო“).
- «**Τὰ ὠβὰ ἐπογιάτιζαμ'ατά με τὴ κρεμμυδι τὰ φύλλα, σὸ νερόν ἀπὲς βάλναμε τὸ ξύδι καὶ ὀμορφέναμε με τὰ διάφορα χωρταρικά. Ὑστερνὰ ἔλειφτα με τὸ ἐλάδ γιά νὰ γυαλίζνε**» („კვერცხებს ხახვის ფოთლებით ღებავდნენ, წყალში ძმარს უმატებდნენ და სხვადასხვა მწვანე მწვანე მწვანე აფორმებდნენ. ბოლოს ზეთს გადაუსვამდნენ, რომ ბზინვარება ჰქონოდათ“).²⁹³

პონტოელი ბერძენებისთვის, ისევე როგორც ქართველებისთვის სააღდგომოდ კვერცხის შეღებვა აუცილებელ რიტუალს წარმოადგენდა. ნითელი კვერცხი წარმოადგენდა არამხოლოდ სააღდგომო სუფრის აუცილებელ ატრიბუტს, არამედ მასპინძლები ვალდებულნი იყვნენ ბრწყინვალე დღესასწაულის მახარობლებად მოსულთათვის უხვად გაეცათ შეღებილი კვერცხები.

პონტოელი ბერძენები ნითელ პარასკევს „დიდ პარასკევს“ (**Μεγάλη Παρασκευή**) ეძახიან. ამ დღეს მკაცრად იკავებდნენ თავს ყოველგვარი საქმის კეთებისგან, ლოცულობდნენ (**ἐπέιναν προσευχή**) და უზეთო მარხვას იცავდნენ – «**Κ' ἔτρωγαν οὐτ' ἐλάδ'**». რაც შეეხება დიდ შაბათს, დიასახლისები მსუბუქ კერძებს ამზადებდნენ (**πλακὶν μετ' ἀβλούκα, κορκοτ'σαν, σιρβάν**),

293 სემ, დღიური I- 123.

გამოსასვლელ ტანსაცმელს აწესრიგებდნენ და მხოლოდ აუცილებელი, გადაუდებელი ოჯახური საქმეებით იყვნენ დაკავებული. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ვნების კვირის განმავლობაში ოჯახის წევრები ცდილობდნენ ერთმანეთში არ ეკამათათ და ოჯახში სიმშვიდე დაეცვათ.

«**Λαμπρήν**» – „აღდგომა“, პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნება, როგორც „ნათელი“. პონტოელი ბერძნები სამი დღის განმავლობაში აღნიშნავდნენ აღდგომას. ეს პერიოდი ხალხში ცნობილი იყო, როგორც «**Λαμπρο ἡμερα**», რაც სიტყვასიტყვით „ნათელ დღეებს“ ნიშნავს.

სააღდგომო სუფრის გაგრძელებას წარმოადგენდა ლხინი პონტოური ცეკვებისა და სიმღერების თანხლებით. ტრადიციული ინსტრუმენტების, ლირის (**Ποντιακή λύρα**) ან ქემენჯეს (ὁ **κεμεντζές**) აკომპანირებით სრულდებოდა ცნობილი ცეკვები: «**τὸ Ομάλ'**», «**τὴ Τρυώνας**», «**τὸ Λαυκευτόν**» და სხვა.²⁹⁴ რაც შეეხება სიმღერებს, განსაკუთრებული პოპულარობით სადღესანაულო დღეებში შაირები და სხვადასხვა შინაარსის მქონე გართიმული ტაეპები სარგებლობდა ხალხში.

მაისის, კალენდარული წლის მეხუთე თვის სახელწოდება – «**Μάιος**», რომელიც ძველ იტალიელთა მიწის ქალღმერთის, მაიას სახელისაგან იღებს სათავეს, პონტოელ ხალხში ტერმინ «**Μάης**»-თან ერთად სხვა სახელითაც იყო განთქმული: კერძოდ «**Καλομηνάς**» ანუ „კარგი თვე“. ამგვარი სახელწოდების მიცემა შემთხვევითი მოვლენა არ იყო: თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე მაისი ყველაზე კარგ თვედ ითვლებოდა და გამორჩეულად უყვარდა ხალხს:

- Ἔρθεν ὁ Καλομηνάς, γάλαν φά ὄσον πεινάς – „მოვიდა მაისი, დალიე რძე, რამდენიც გინდა“;
- «**Μάη Μάη χρύσομάη**» – „მაისი მაისი, ოქროს მაისი“ (**Γαλανίδιο-Μπαλφούσια 1999: 77**) და სხვა.

მაისის თვეს ადამიანის დასახასიათებლად გამოყენებულ ფრაზებშიც მოიხსენიებდნენ ხოლმე: როცა საუბარი ეხებოდა პიროვნებას, რომელიც ვინმეს არ მოსწონდა, ირონიულად იტყოდა მასზე:

- «**Ὁ Καλομηνάς ἐδ' ἔβεν κ' ἔδεν ἄτόν**» – მაისმა ჩაუარა და ვერ დაინახა;
- «**Ὁ Καλομηνάς ἐπέρασεν ἀσ' σὸ κιφάλ'ν**» – მაისმა თავზე გადაუარაო (**Γαλανίδιο-Μπαλφούσια 1999: 65**)

გამონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მაისი პონტოელ ბერძნებთან იმდენად კარგ თვედ მიიჩნეოდა თავისი მოსავლიანობის და კარგი ამინდის გამო, რომ შეუძლებელი იყო მას დადებითად არ ემოქმედა ადამიანების ცხოვრებაზე, მათ განწყობასა და ხასიათზე. რაც შეეხება მაისის წვიმას, მიიჩნეოდა, რომ იგი თავს ტკივილებისგან იცავდა და სასარგებლო იყო თმებისთვის (შდრ. ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებს).

საინტერესოა მაისის წვიმაზე თქმული შემდეგი გალექსილი სტრიქონები:

Ἀπρίλην ἄς τὸ βρ' ἔχει აპრილში ინვიმოს

294 სემ, დღიური I- 124.

Πρασινώνουν τὰ χαράφια გამწვანდება ბაღები

Καλοὶ ἦσαν ἀν βρ'χει მაისში თუ ივნისში

Ευκαιρῶσ'τεν τ'ἀμπάρα გაცალეთ სარდაფები „ანუ მაისის წვიმა მოსავლიანიო“. (Γαλατίνδσο-Μπαλφούσια, 1999: 58)

პეტრესა და პავლეს სახელობის დღესასწაული აღდგომის შემდეგ იწყებოდა – „აღდგომას მისდევდა“, რომელიც თერთმეტ და ორმოცი დღის ცვალებადობითაც კი ტარდებოდა. ზოგიერთი გვიდასტურებდა, რომ იგი ორმოცდაათი დღის შემდეგ ათი დღის დამატების პირობებშიც იწყებოდა. ისე დღესასწაული უმეტესად 13 ივლისს ეწყობოდა. პონტოელ ბერძენთა რწმენით, ეს ის დღე იყო, როცა ზეცაში ადამიანთა ცოდვა-მადლი იწონებოდა. ამიტომ ყველანი საყდრებში იყრიდნენ თავს. პონტოელი ბერძენები წმიდა გიორგი ხანდაზმულ მამაკაცად ჰყავდათ წარმოდგენილი, რომელიც, ხალხური გადმოცემით, მუქი ჩაცმულობით გამოირჩეოდა, თვითნაკეთი ტყავის „ჩარუხები“ ეცვა, წვერებიანი, მაგრამ მელოტი იყო. ამდაგვარ მემორატებს ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შორის ხშირად შეხვდებოდით. ხალხური პოეზია კი წმიდა გიორგის ოდნავ სხაგვარად წარმოგვიდგენდა. იგი ახალგაზრდა და ლამაზი ჭაბუკი ყოფილა, ყველგან და ყოველთვის მხედრად გვევლინება. იგი უმეტესად თეთრ, მაგრამ ზოგჯერ საკრალურ ხილვებში ზოგჯერ შავ ცხენზე ამხედრებულიც გვევლინება. წმიდა მხედარი სამ სამყაროს შორის შუამავალადაც ითვლებოდა.

ივნისი: წელიწადის მეექვსე თვის სახელი, ივნისი თანამედროვე ბერძნულისგან განსხვავებით (სადაც მას **ιοῦνιος** ეძახიან) პონტოში საყვარელი ხილის, ბალის დამნიფებას დაუკავშირეს და მას „ბლობისთვე“ (**Ο Κερασινόν**) დაარქვეს. საინტერესო გამონათქვამებია დაკავშირებული ივნისის თვესთანაც:

- **Ὁ Κερασινόν φ' ρ' ἦλιον καὶ μαράν' σε ἄμον μ ἦλον** – „ივნისს მზე მოაქვს და ვაშლივით გაჭკნობს“ ანუ იმდენად ძლიერია ამ დროს მზე, რომ ვაშლივით განითლებსო;
- **Ἔρθεν κί' ὁ Κερασινόν – Ἔγκεν φύλλον πράσινον** – „მოვიდა მაისის თვეც და მწვანე ფოთოლიც გამოიღო“ (**Γαλατίνდσο-Μπαλφούσια, 1999 :160**) და ა.შ

ივნისის თვეს ზოგჯერ ემთხვეოდა სულთმოფენობის დღესასწაული, რომელიც პონტოურ დიალექტში გამოიხატებოდა ტერმინებით: «**Τ' Α-Πνευμάτ**» და «**Τ' Αε -Πνεύματονος**» და ამ დღესასწაულს პონტოელი ბერძენების გარკვეული წეს-ჩეულებები უკავშირდება. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ სულთმოფენობის დღესასწაულზე:

- არ უნდა ჩაედინათ ცუდი საქმე, პატივი უნდა ეცათ დიდი დღესასწაულისთვის (რაც, ზოგადად, ყველა რელიგიური დღესასწაულს ეხება): «**Σ' Α- Πνευμάτ νὰ μὴν ἐφτάς κακίας, νὰ τιμάς τὴν ἡμ' ραν, γιὰ νὰ μὴν χάται ἡ εὐλογία**»;
- არ უნდა დაძინებოდეთ, ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ, რათა ძილისგუდები და მავნიყარები არ გამხდარიყვნენ: «**Κ' ἔπρεπε νὰ κοιμούνται γιὰ νὰ μὴν ἴντανε ὑπνοσάκκουλοι καὶ ἀνασπάλνε ὄλα**»;

- არ შეიძლებოდა ხეზე ასვლა: «**Κ' ἔπρεπε νὰ ἀνεβούν σὸ δ' ἄκρον**»;
- აკრძალული იყო ზღვაში ბანაობა, რათა ზედმეტი უსიამოვნებისა და უბედურებისგან აერიდებინათ თავი: «**Κ' ἔπρεπε νὰ κολυμπήσουν σὴ θάλασσα, κ' ἐν καλόν**» და ა.შ.²⁹⁵

ივლისი (ბერძნ. **Ιούλιος**), კალენდარული წლის მეშვიდე თვე, რომელმაც თავისი სახელი რომაელი იმპერატორის იულიუს კეისრის პატივსაცემად მიიღო, პონტოურ დიალექტში მოიხსენიება როგორც «**Θ Χορτοθήρτζ**». ტერმინი წარმოდგება ორი სიტყვის «**Χορτο**» – „ბალახის“ და «**θήρτζ**» – „თიბვის“ სინთეზის შედეგად. ასე რომ, პონტოელთა «**Χορτοθήρτζ**» ქართული თიბათვის შესაბამისი ექვივალენტია. თუმცა, მაცუკასა და სურმენას რეგიონებში მას იგივე მნიშვნელობის მქონე სიტყვით «**Θερ'νός**» აღნიშნავდნენ. აჭარაში უფრო მეტად პირველი ვარიანტი ყოფილა გავრცელებული. ივლისის შესახებ ხალხში იტყოდნენ:

«**Ἔρθεν καὶ ὁ Χορτοθ'ήρτζ**, – აი, მოვიდა თიბათვე,

ἔπαρ' τὸ καγάν' 'ς σὸ χέρ-τα». – ხელში ნამგალი დაიჭირე!“ (**Γαλανίδου-Μπαλουσία**, 1999:174) ასევე:

- «**Ὁ θερ'νὸν πὰ φ'ρ' τα θ'ρ'τα καὶ δαβαίν καὶ με τὰ γ'ἄ'τα**», – „ივლისის მოაქვს სათიბი და მიდის ღიმილით“;
- **Ὁ Μαρτ'ς μαραίν τὰ μάραντα, Ἀπρίλτζ τὰ μανουσακία**,
მარტი აჭკნობს დამჭკნარებს, აპრილი კი – იებს
- **Ὁ Χορτοθ'ήρτζ τὰ χορτάρια κὶ Ἀύγουστον παλικάρια**
ივლისი – ბალახს და აგვისტო – ყმანვილებს (იქვე:175).

ივლისის თვეში პონტოელი ბერძნები აღნიშნავდნენ ორი წმინდანის, კონსტანტინე და ელენის ხსენების დღეს და მათი თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა სოფელ კვირიკეში მდებარე ზემოთხსენებული წმინდანების სახელობის ეკლესია. ლიტურგიის შემდეგ, ეკლესიის ეზოში იმართებოდა სახალხო ზეიმი, იკვლებოდა ყურბანი და ხალხი დაუვინყარ დროს ატარებდა. ნოსტალლით მისტირიან ისტორიულ სამშობლოში აჭარიდან დაბრუნებული ბერძნები სხვადასხვა დღესასწაულზე ეკლესიის მიდამოებში გატარებულ დღეებს, როცა მღეროდნენ შაირებს და ცეკვავდნენ პონტოურ ტრადიციულ ცეკვებს.

წმ.კონსტანტინეს და ელენის სახელობის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით სოფელ კვირიკეში დაბადებულმა და გაზრდილმა, 92 წლის ი.მავროპულოსმა აღნიშნა: «**Ἐνας συγγενὸ τῆς γαρής μου ἔτونه (θεῖο τὸν λέγαμε), ἕναν ἡμέραν τυχαίναμε σὴν ἐγγλεσίαν καὶ ρώτησα αὐτὸ ἡ ἐγγλεσία πότε ἐχτίεν, ποίονχροναίαν εἶπε, ἄμα ἐνέσπαλα... Αὐτὸ εἶπεν ὅταν ἐρχίσαν νὰ χτίζν' ἀτό, ἀπόπαν ἐξίεν ὄλο τὸ χῶμα καὶ εἶχε λάσπο....Κὶ γίνεται νὰ χτεῖς ἀπάν... Ἐπίεικαν στύβας ἀπ'ε με τὰ κλεφθία (თხემლა – ქართულად გაიხსენა) ἀράκα μακρ'ε, τρανά ἔσανε καὶ τὸ χῶμα πὰ ἔξανε καὶ ἔχτσανε ἀπάν τὴν ἐγγλεσίαν, τὰ φουντάμεντα....Σήτια χτήζαν ἀτό, ἦνας παιδὰς**

295 სემ, დღიური I- 125.

(κουφός πὰ ἔτονε) κατ' ἐπέικε καὶ ἀπόπᾶν, ἀσὰ ρεσότκας ἐρούξε ἀφκά. Ἐρούξεν ἀφκα καὶ εἶπαν-
 κατ ἂν παθάν, ἀφτάμε ἀσσαναβιτς τὴν ἐγγλεσίαν, γιὰ χτύζομάτό. ὄνταν χτειζς, κάποιος ρουζ
 καὶ σκούται, ἐκείνο κὶ θὰ χτειζς ἀτό.. Κ' ἐκείνον κατ' ἐπέικαν, γιὰ τρεψαν καὶ ἔζησε, καὶ δούλεψεν
 πὰ, ἂρ κουφός ἐπέμνεν. Τὴ Θυμίας τὸν γιό ἔλεγαν ἀτόν... Θαρρῶ Γιαννης ἔτονε... Ἐντεκα χρόνια
 ἐχπύουτον ἡ ἐγγλεσία (ὄπως εἶπε μὲ ἐκείνος ὁ θεὸν καὶ ὄνταν ἂρχ ἴγανε νὰ κπζνε, ὁ τρανός ἀπ' ε
 ποίος ἔτονε, εἶπε: Πρώτα ἀχτίζουμε φουρνίν, κ' ἐπεκεὶ ἀχτίζομαι τὴν ἐγγλεσίαν, ὁ λαός πρεπ νὰ
 τρώει, χορτασμόςος πρεπ' νὰ δουλευ» („ჩემი მეუღლის ერთ ნათესავს (ბიძას ვეძახდით) შვეხ-
 ვდი ეკლესიში და შევეკითხე: ეს ტაძარი როდის აშენდა მეთქი და მითხრა თარიღი, მაგრამ
 დამავინწყდა, თან მომიყვა: როცა ამ ეკლესიის მსენებლობა დაიწყო, ზემოდან მიწა ჩამოშვავდა
 და იქაურობა ტალახით დაიფარა. შეუძლებელი იყო მშენებლობა და მაშინ შეკრეს დიდი, სამ-
 მეტრიანი თხემლის ტოტები, შეკრეს კონებად და საძირკველში ჩაუშვეს. ზემოდან გააკეთეს
 საძირკველი და აშენება დაიწყო. მშენებლობის დროს, ერთ-ერთი მუშა (ყრუ იყო) გადმოვარ-
 და თარაზოდან და ქვემოთ ჩავარდა. ჩავარდა და თქვეს; თუ რამე დაემართა, მშენებლობას
 შევაჩერებთო, რადგან როცა აშენებ და ვინმე გარდაიცვლება (ხალხის ნრწმენით), იქ არ უნდა
 ააშენო. მუშას არ ვიცი რა უწამლეს, განკურნეს და იცოცხლა. იმუშავა კიდევ, უბრალოდ
 ყრუდ დარჩა. მას ფიმიას ვაჟს ეძახდნენ, მგონი იანი ერქვა. თერთმეტი წელი შენდებოდა
 ეკლესია (როგორც იმ ბიძიამ მითხრა) და ვიდრე მშენებლობას დაიწყებდნენ, ვინც ხელმძღ-
 ვანელობდა ამ საქმეს, მან თქვაო: ჯერ თონეს ავაშენებთ და შემდეგ ეკლესიასო, ხალხი უნდა
 დაპურდეს და დანაყრებულმა იმუშავოსო“).²⁹⁶

ივლისში პეტრე-პავლობის დღესასწაულიც აღინიშნებოდა და ეს ნიშნავდა, რომ აჭყვასში
 მდებარე პეტრე-პავლობის ეკლესია მასპინძლობდა მორწმუნეებს. სწორედ ამაზე მეტყველებენ
 ქვემოთმოყვანილი ტაეპებიც:

«Π'ερος, Ἅγιος Πάυλος, τὴ Χριστοῦ οἱ μαθητ'ε,

წმინდა პეტრე და პავლე ქრისტეს მოწაფეები,

Τὴν Ἀτκοβα ἐμόρφη ξανοίπόντι οἱ τσουμπουσλ'ε....

აჭყვასს მუდამ ამშვენებენ პონტოელი გამრთობები...“ (დანართი 2:156).

ქრისტეს ორი მოციქულის ხსენების დღესასწაულს პონტოელი ბერძნები დიდ პატივის
 სცემდნენ, ვინაიდან მათი რწმენით სწორედ ისინი არიან ღმერთთან ყველაზე ახლოს, სწორედ
 მათ უჭირავთ სამოთხის გასაღები: «Ἄυριο τὴ Π'ερου καὶ Παύλου ἔν, ἀτοῖν ἔχνε τὴ παραδ'ηρου τὰ
 κλειδία... Τρανόν ἔξαργος ἔν... Τὴ Π'ερου καὶ Παύλου σὸ Κομπουλ'ε ἐπ'σναμε... Ἡ νηστεία τελιοῦται
 ἀύριο» – „ხვალ პეტრე-პავლობაა, სამოთხის გასაღები მათ უჭირავთ... დიდი დღესასწაულია...
 პეტრე-პავლობას ქობულეთში მივდიოდით... მარხვა ხვალ მთავრდება“ – აღნიშნა ლ. შავკანმა-
 პარასკევოპულომ.²⁹⁷

296 სემ, დღიური I- 126.

297 სემ, დღიური I- 127. სემ, დღიური I- 123.

წმიდა ელენესა და კონსტანტინეს დღესასწაული ქობულეთში კვირიკელების მიერ, ე. წ. **შვერ-ნიკში** 3 ივნისს აღინიშნებოდა.

ილიას პროფიტოს ანუ ილია წინასწარმეტყველის დღესასწაული ძველი სტილით 20 ივლისს (ახ. სტილით 2 აგვისტოს) აღინიშნებოდა. იგი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშიც დასტურდება, რამდენიმე სახელით იყო ცნობილი: **აიას, ილიას ო ფროფიტოს, აე-ლია, აი-ლია**. თუ ბავშვი 2 აგვისტოს დაიბადებოდა, მაშინ ბიჭს – ილიას, ხოლო გოგონას – ილიანინოს ანდა ლიანინოს არქმევდნენ. სოფელ დაგვაში ილინის დღესასწაულს მოსახლეობა მთა-გორიანი დასახლების მდინარის ზედა აუზის ყველაზე მაღალ ბორცვზე მზის ჩასვლისას ხვდებოდა. როგორც ადრე ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ მას **სო ხაუზუ კიან’ი** ეწოდებოდა. შეკრებილები, ძირითადად, მამაკაცები იყვნენ. მთელი ღამე ისინი კოცონთან ატარებდნენ, სადაც ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ნადიმობდნენ, ხოლო მეორე დილით – მზის ამოსვლისას სოფელში ბრუნდებოდნენ. ამ დღეს რაიმე სამუშაოს შესრულება აკრძალული იყო გარდა გარეცხილი სანოლი თეთრეულის ან მატყლისა და ბუნვის ტანისამოსის მზებზე გაფენისა. ესეც ჩვეულებათა წესში ერთიანდებოდა და ტერმინ **ილიაზომე**’თი აღინიშნებოდა, რაც „მზებზე შრობას“ ნიშნავდა. ითვლებოდა, რომ სარეცხის ასეთი გაშრობის შემდეგ ამა თუ იმ საგანში სისველე – ნამი ვერ შეიქმნება. დღისით თანასოფლელები ერთმანეთს ხვდებოდნენ და ჩვეულებრივი მისაღმების ნაცვლად ურთიერთს მიმართავდნენ როგორც **ნა ვოითა** – სიტყვასიტყვით: „დაე მან გვიშველოს“. ამასთან, საკუთრივ წმინდანის სახელს მისაღმებისას არ წარმოთქვამდნენ. ტ. ზაიკოვსკაია საველე-ეთნოგრაფიული მასალებით და სხვა ტიპის წყაროებითაც გვიდასტურებდა, რომ პონტოელები **ი ილიას**’ის სახელს მზის სახელთან ათანაბრებდნენ და ესმოდათ „მზე ჩვენის“, „შუქი ჩვენის“ მნიშვნელობით. ყველანი თვლიდნენ, რომ მზესთან გათანაბრებული წმინდანი უდიდეს შემოქმედებით ძალას ფლობდა, რომელზეც ყვავილების, მცენარეთა და ხეთა აყვავება, მოსავლის ხვავრიელება იყო დამოკიდებული. მას ავადმყოფთა განკურვნის ძალაც შესწევდა, რისთვისაც მოსახლეობას, ვისაც წმინდანის შემწეობა სჭირდებოდა, 2 აგვისტოს სახლიდან გარეთ სარეცელი გაჰქონდა. მთხრობელთა შეხედულებით მასზე იყო დამოკიდებული ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობა ისე, როგორც საოჯახო კერის ირგვლივ გაერთიანებული სახლეულის წევრთა კეთილდღეობა. ტ. ზაიკოვსკაია პონტოელ ბერძენთა შეხედულებებზე დაყრდნობით თვლიდა, რომ მზე მამრობითი სქესის ღვთაება იყო. მას დედაც ჰყავდა. მაღალმთიან საძოვრებზე, ე. წ. **ტო პარხერზე** ხელისუფლობდა **პარხარომანა**. თვით ხაროსაც, ქვესკნელის გამგებელსაც ჰყოლია დედა, თუმცა მისი სახელი პონტოელ ბერძენებში ვერ დადგინდა. რესპოდენტები მასალის ჩამწერებს მოუთხოვრებდნენ, რომ მათ ბავშვობაში უფროსებისაგან ესმოდათ, რომ მზის დედა თურმე დილით სახლიდან მზეს სასეირნოდ უშვებდა, ხოლო იგი მას საღამოთი სახლში უბრუნდებოდა. მზის დედა პონტოელებთან იწოდებოდა, როგორც **ტუ აი-ილია** (წმიდა ილიას დედა) და **ტუ ილონოს ი მანა** (მზის დედა), რომელიც დასავლეთში ანდა ცაში ცხოვრობდა. როცა მზე ჩადიოდა, მაშინ ამბობდნენ: „მზე დედასთან წავიდაო“, რაც ძალიან ჩამოგავს ქართული

მითოლოგიური სამყაროს სიუჟეტურ ქარგას, მოკვდავი და აღდგომადი ღვთაებების ყოფიერებას, ქვესკნელისა და ზესკნელის, ბუნების აღორძინებისა თუ მიძინების მსოფლგაგებას. პონტოელ ბერძენთა მზის დედა მაინც ცაში ბინადრობს. მას იქ დიდი სასახლე აქვს. როგორც ვარსკლავები გამოკიდული, მისი სასახლეც ცაში ისე დგას. პონტოელთა ფოლკლორში მზის საგალობელთა შინაარსის არაერთი საინტერესო ფოლკლორული ნიმუში, ასევე, „ლემონის“, რომელიც გოგოს აღმნიშვნელი სახელი ყოფილა, ლირიკული და სატრფიალო ჟანრის ლექს-სიმღერებია გამოვლენილი. აქედანაც ასკვნიან, რომ ლემონი მზის დედა იყო. (დანვრ. იხ. Зайковская, 1989:108-110). ამდენად, მრავალფეროვანი წყაროები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ წმიდა ილიას ხატი, როგორადაც იგი პონტოელ ბერძენებს ჰყავდათ წარმოდგენილი, ზოგიერთი ნიშნით შეერწყა ისეთ ძველბერძნულ ღმერთებს, როგორებიც იყვნენ ჰიპერიონი, ჰელიოსი, აპოლონი და ზევსი. ასე რომ, წმიდა ილიაზე პონტოელთა წარმოდგენები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მან ძველი ბერძნული სოლარული კულტების მრავალი ნიშანი გააერთიანა, რომელთაგან მზე ყველაზე ადრე გაითავისა, რაც იმითაც აიხსნება, რომ მზე, მზისა და ჭექა-ქუხილის მთავარი ღვთაების სახით, ბერძნულ ღვთაებათა პანთეონში ყველაზე ადრე იყო ჩართული.

წმიდა ილია ამინდის მართვასთანაც იყო დაკავშირებული. 2 აგვისტოს, როცა ილია თვალს დახუჭავდა, ძლერი ნვიმა და სეტყვა წამოვიდოდა. ზოგჯერ იგი წლითაც არ გამოიხედავდა. სწორედ ის წელი ადამიანებისათვის და მათი მოსავლისათვის ცუდი იქნებოდა. გადაუღებელი ნვიმის შემდეგ გამოსახული ცისარტყელაც წმიდა ილიას შემოქმედება იყო. პონტოელი ბერძენები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანში წმინდანის ცისარტყელაში წამყოფი სული შედიოდა. ქართველების მსგავსად მათთანაც არსებობდა რწმენა, რომ თუ ცისარტყელას გადააბიჯებდა, მაშინ ადამიანს სქესის შეცვლა შეეძლო. სწორედ ამიტომ პონტოელ ბერძენებში მშობლები, რომელთაც მხოლოდ ქალიშვილები ებადებოდათ, აგზავნიდნენ გოგონებიდან ერთ-ერთს, რათა მას ცისარტყელაში გაევიღო ანდა ცისარტყელას გადახტომოდა. მზის დაბნელებასაც პონტოელი ბერძენები მზე-ღმერთის განაწყენებას მიაწერდნენ, რომელიც ამის გამო ნისლსა და ღრუბლებში იმალებოდა. ასეთ დროს პირჯვარი უნდა გარდაგესახა და ქედი უნდა მოგეხარა მანამ, სანამ ჩრდილი არ გადავიდოდა. ამდენად, საველე-ეთნოგრაფიული წყაროები გვიდასტურებს, რომ წმიდა ილიას ამინდის მართვა შეეძლო, შეეძლო ზღვებზე ძლიერი ღელვის, ქარიშხლისა და გვალვის გამოწვევა (დანვრ. იხ.: Зайковская, 1989:105-114).

მარიამობა 28 აგვისტოს აღინიშნებოდა.

საეკლესიო – ქრისტიანული დღესასწაულების დროს სადღესასწაულო სამოსში გამოწყობილი ადამიანები ტაძართან იკრიბებოდნენ, ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდნენ, სანთლებს ყიდულობდნენ და სათანადო ადგილებთან და ხატების წინ ანთებდნენ, ხანგრძლივი დროის მანძილზე იქვე დგებოდნენ. საღამოთი ახალგაზრდობა სოფლის მოედანზე იკრიბებოდა, სადაც მღეროდნენ და ცეკვავდნენ. უფროსი და საშუალო ასაკის ადამიანები კი – წინაპართა საფლავების მოსანახულებლად გადიოდნენ. თან ისეთი საკვები მიჰქონდათ, როგორც გარდაცვლილებს სიცოცხლეში

მოსწონდათ. საფლავებზე ისინი სანთლებს ანთებდნენ. ამის შემდეგ შეკრებილნი თავ-თავიანთ სახლებში მიდიოდნენ, სადაც მათ სადღესასწაულო სუფრა ელოდებოდათ. ჩვეულებრივ ასეთი დღესასწაულების დროს ახალგაზრდები ერთმანეთს ეცნობოდნენ, ხდებოდა სარძლოთა შერჩევაც (დემუროვა, 1984:30-32).

აგვისტო, (ბერძნ. **Αγούστος**) – კალენდარული წლის მერვე თვე, რომელსაც ეს სახელი რომის იმპერატორის, ავგუსტუსის პატივსაცემად დაერქვა, პონტოელი ბერძნებისთვის ორი სახელწოდებით **«Αύγουστον»** და **«Ἄλωνάρτης»** ყოფილა ცნობილი.

აგვისტოს თვის შესახებ ხალხში გავრცელებული იყო სხვადასხვა მოსაზრება, მათ შორის ის, რომ:

„აგვისტო თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე ავსებს“: **«Αύγουστον φέρ’ τὰ γεμίσα ἄς σὴν κορφὴν ὡς τὰ νύχα»**.

ან როგორც სურმენელი პონტოელი ბერძნები იტყოდნენ:

- **«Αύγουστ’ ἐν’ τὰ γεμίσα»**, – „აგვისტოში ყველაფერი სავსეა;

Ὡς τὴν κορφὴν ἴσα ξενίσσα» თავიდან ფეხებამდე“ (**Γαλιάνδου-Μπαλοφύσια**, 1999: 194)

- აგვისტოს თიბვის დრო მოაქვს და ყველა სნეულებას არჩენს: **«Αύγουστον πὰ φέρ’ τ’ ἀλὼνα καὶ λαρῶν ὅλα τὰ πόνα»** (იქვე: 191);

- „აგვისტოში თუ ავად არ ხდებოდნენ, მთელი წელი კარგად იქნებოდნენ“: **Ἄν τὸν ἀγούστο δὲν ἄρρώσθεναν- δὲν ἄρρώσθεναν ὅλο τὸ χρόνο;**

- აგვისტოში ყველაფერია და პატრონიც კმაყოფილია (გახარებულია): **«Ὁ Αύγουστον ἄλων’ κ’ οἰκοκίρτες χαρεντερ’»** (იქვე:194) და ა.შ

ლოგიკურია, რომ აგვისტოს კარგ თვედ მიჩნევდნენ და მისი მოსვლა უხაროდათ, ამის მიზეზი მისი ბარაქიანობა და უხვმოსავლიანობა იყო, ასევე ისიც, რომ მას მკურნალ თვედ მიიჩნევდნენ, ვინაიდან აგვისტო განსაკუთრებით გამოირჩეოდა წმინდანთა დღესასწაულების სიმრავლით. სწორედ აგვისტოში ზეიმობდნენ მკურნალი წმინდანების: წმინდა ილიასა და წმინდა პანტელეიმონის დღეებს მათ სახელზე აგებულ ეკლესიებში, ამიტომაც ამბობდნენ: **«Καλὰ πολλὰ πανογύρια ἐμαζεύτανε Αυγούστη»** („ბევრმა კარგმა დღესასწაულმა მოიყარა თავი აგვისტოში“).²⁹⁸

2 აგვისტოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კალენდრის თანახმად, აღნიშნუ- ბოდა ილიაობა, მაშინ როცა პონტოში ამ დღესასწაულს ორი კვირით ადრე განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. „წმინდა ილიას სახელობის ეკლესიებს აგებდნენ მთების მწვერვალებზე ან შემაღ- ლებულ ადგილას (**«Συνήθιζαν νὰ χτίζουσιν τις ἐκκλησίας τοῖν στις κορφές των βουνῶν ἢ στὰ ὑψώματα»**) – ვკითხულობთ პონტოელ ბერძენთა ადათებთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ილიაობას უკავშირებდნენ გარკვეული სამუშაოების დაწყებასაც: მაგალითად, ორდუს- თან ახლომდებარე რეგიონებში ილიაობას კალათებს ჩამოკიდებდნენ და ეს იმის ნიშანი იყო,

რომ თხილობა იწყებოდა – «Στὰ Κωτύαρα- Τ' Ἄε- Λία κρεμάν 'νε τὰ καλάθα- ἀρχίζαν μάζεμα φουντουκιών» (Γαλανίδου- Μπαλφουσια 1999:185).

ხშირად ილიაობას ძალიან ცხელოდა, ამიტომ ხალხი დასახმარებლად მიმართავდა საყვარელ წმინდანს: „წმინდა ილია, საკმარისია, სიცხისგან ნუ დაგვბოცეო“ – «Ἄι-Λία μ' κανείται, 'φουρκίεις μας!» ან ევედრებოდა წვიმის მოვლენას: „წმინდა ილია, გამოუშვი კარგი წვიმაო!“ – «Ἄι- Λίαμ' ροῦξον ἕναν καλόν βρεχ 'γ» (იქვე:183) და სხვა.

აჭარაში ილიაობის დღესასწაულზე პონტოელი ბერძნები ფერიაში მდებარე ილია დიამანტი-დისის მიერ აგებულ პატარა სამლოცველოში ადიოდნენ და პატივს სცემდნენ მისი დამაარსებლის ხსოვნას, რომლის სახელს უამრავ სასწაულს მიაწერდნენ, მის სახელს ბევრი ლეგენდა დაუკავშირდა. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვს სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, დედა ამის მიზეზის დასადგენად სოფელში მცხოვრებ მკურნალს მიაკითხავდა. თუ არც ეს გასჭრიდა ან ექიმები იმედს არ აძლევდნენ, პირდაპირ ფერიის ეკლესიას მიაშურებდნენ.

უამრავი სასწაულის მომსწრეა ზემოთხსენებული ეკლესია, რომელიც ერთ-ერთი პონტოელი ბერძენის სახლის ეზოში იყო აშენებული და თვითმხილველების თქმით, აქ არა მხოლოდ აჭარიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოდიოდნენ და იკურნებოდნენ როგორც ბავშვები, ასევე უფროსები. ყველა გამოკითხული რესპოდენტი ადასტურებს თავის დროზე ამ ეკლესიაში ყოფნის ფაქტს, უფრო მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა საკუთარ თავზე გამოსცადა მკურნალი ილიას მადლი და ძალა.

ბათუმის მკვიდრი, თ. შავკანი-პარასკევოპულო ამგვარად გადმოსცემს ფერიის ზემოთხსენებულ ეკლესიის აგების ისტორიას და იქ მომხდარ მოვლენებს: «Ὁ Ἥλιος ἔψευε ψωμί σὴν πολητεῖαν καὶ εἶδεόνειρον, ντὸ: Νὰ πας ἐσὺ σὸ βουνόν καὶ νὰ χπίεις ἐκεῖ τὴν ἐγγλεσῖαν τ' Ἀη-Γιωρ ἢ Ἀτὸς πᾶῆρται ἄδακᾶ, ἔχτησεν. Ἔτονε ξυλ' σιο ὀσπίτ καὶ σὴ ναυλ ἡνᾶρα' ες ἔτονε κρεβᾶτια. Ἀ' ε' πᾶἔτονε κα ἰὲξοκᾶ πᾶ. Ἐκεῖνος ἐδέβασεν νύχτα- ἡμέρας, μετάνιας ἐπήνεν καὶ λάρωσε τσιπ πολλὰ λαόν. Ἐρχουσανε ντᾶζε τὸ ἀχούλ ἄτς ἄμαχᾶσανε, δεμένους κράτηνανε ἄδακᾶ καὶ ἐκεῖνος μὲ τὰ γράμματα ὀλους ἐπείνε καὶ ἴνουνταν καλᾶ. Καὶ ἄσᾶ κανᾶν ἕναν καπῖκ χρ 'ἡμα κεπαρ' νε» („ილია პურის მცხოვრელი იყო ქალაქში და ნახა სიზმარი, სადაც დაავალეს: წახვალ და მთაში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას ააშენებო. ასე მოვიდა აქ, ფერიაში და ააშენა ეკლესია, რომელიც თავდაპირველად ხისგან იყო აშენებული. ეკლესიის ეზო სწეულთა ლოგინებით იყო სავსე. სახლშიც ედგათ ლოგინები და გარეთაც. ილია დღე და ღამე ლოცულობდა, მეტანიებს აკეთებდა და ბევრი ადამიანი განკურნა. მოდიოდნენ სულიერად დაავადებულნიც, დაბმულები ჰყავდათ აქ და იგი თავისი ლოცვების კითხვით ყველას კურნავდა. არავისგან ერთი კაპიკიც კი არ აუღიაო“).²⁹⁹

სოფელ ყოროლისთავში დაბადებული, ამჟამად საბერძნეთში მიგრირებული 85 წლის თეოდორა ტაქსიდი კი ფერიის წმ.გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებულ მოვლენებს შემდეგნაირად

299 სემ, დღიური I- 129.

აღწერს: «Ένας γυναίκα είχε ένα κορίτς όχτώ χρονών, ό πάπανάτς (της μάνας) έτονε χοτζάς. Ό χότζας έπήγε κάπου και έλάρωσε έναν κορίτς και έρθεν σό σπιτ και έτρελάθηκν τó κορτσόπον. Αυτοί έζήναν σό Πάτουμ...Τò κορίτς έχασεν τὰ μυαλάτς και έντονε σσκύλος, ύλαζε και έλαγκνε óλς.... Έπιλξαμε τήν σό σεντόνι και σό άντεάλα και π'φαμε ταξι και π'γαμε σήν έγγλεσίαν. Έζηnen τότε ή θεία Άγάπη και είπε" αυτό τó κορτσόπο έβλάφτε.Άτè óλα έπέικε, (ή γραία) έλεωσε κερí, έφάνθεν ντò άσó άποθαμ'νον κορτσόπον έβλάφτεν και ήστερία ή γραία óλα τὰ γιατρικά έκανε (Τò κερíεκς'σε, με τó κερí τó κορίτς έλουσε και τó κορίτς ντò πέντε μήνας κ'έτρωγε, τότε έφαγε δύο πιάτα κάσσα και έπεν δύο τσάια και έντονε καλα, έντρησεν και έπέικε δύο μωρά...» („ერთ ქალს 8 წლის გოგონა ჰყავდა, მამამისი (ქალის მამა) ხოჯა იყო. ხოჯა რომელიღაც ოჯახში წავიდა ბავშვის მოსარჩენად და სახლში რომ დაბრუნდა, მისი შვილიშვილი ქკუიდან შეიშალა.... ისინი ბათუმში ცხოვრობდნენ. გოგონა ძალღვივით იკბინებოდა და ყვფდა. შევკარით ზენრით და გადასაფარებლით და ავიყვანეთ ილიასთან წმინდა გიორგის ეკლესიაში. მაშინ დეიდა ალაპი ცოცხალი იყო და თქვა: ეს ბავშვი სნეულიაო. მან ყველაფერი როგორც წესი, ისე გააკეთა, სანთელი დაადნო და თქვა: მიცვალებულისგანაა დასნეულებული ბავშვიო. შემდეგ მოხუცმა ყველა სამკურნალო რიტუალი ჩაატარა: სანთელი დაღვარა და სანთლიან წყალში დაბანა გოგონა და ბავშვმა, რომელსაც ხუთი თვე არ ეჭამა, ორი თვეში ფაფა შეჭამა და ორი ქიქა ჩაი დალია. გოგონა განიკურნა, გათხოვდა და ორი ბავშვიც გაუჩნდა“.³⁰⁰

ზემოთ ხსენებულ სამლოცველოში სულიერად დაავადებულთა გარდა, უამრავი შიშით შეპყრობილი განკურნებულა: «Αχπαραγμένος όποιος έτονε, άπάν σό τάφον έκυλίαναν» ვინც შემინებული იყო, საფლავზე გადააგორებდნენ“, – იგონებენ თვითმხილველები.³⁰¹

სწორედ ამ გარემოებაზეა საუბარი შემდეგ მონათხრობშიც: «Έγώ όνταν έμ μικρή, γνέφιζα τή νύχτα και εκλεγα"-έγώ θα πεθάνω και άέτς.Τήν μάμα μ' είπαν άτέν: Πρεπ νά πέρς ατέν και νά πας σόν Άη –Ηλίαν. Αυτός έν μεγάλος ίατρός. Ό Άη-Παντελ'ημον πα έν, άμα στὰ άοίκα τὰ άρρώστιας πρεπ' νά πάει σόνΆη –Ηλία. Η μάμαμ' έμαθε ó Άη –Ηλίας ποϋ έτανε (έκει σό ραshín άπάν... Κ' έγώ θυμούμαι πρώτη τάξη εμ, δ'στερη τάξη έμ (μπορεί νά έμ εφτά-οχτώ χρονών επ'ყνε με κ' 'π'γνε έκει, νά μ'ხოume έκει... Έπειγαμε έκει, έξέβαμε σό ραshín κ' εκεί έτονε με τὰ ξύλα πισμένα (με τὰ σανύδια) άμον μπούτκα και άπές έτονε εικόνας, έτονε μία γραία εκεί και έμεναμε. Η γραία έρώτησεν τò έsh τò παιδί; Η μάμα μ' είπε: άέτς και ά'εϋ, σκούτε τή νύχτα και κλαίει...Βάλνανε τ' απάνιμ' κατ γράμματα παν πάλια, άσόν Πόντο έφερα νάτά, Άγία γράμματα έλεγα νάτά, προσευχέςθà έσανε. Έγώ ήστερνά κ'επεκεί κ' έκλαψα... Έσανε άμον έμένα άλλοι πà ..Έκείνα τὰ μωρά óλα έλαρώθανε. Ό Άη-Ηλίας έν πολλά δυνατός Άγιος» – „როცა პატარა ვიყავი, ლამით ვიღვიძებდი და ვტიროდი: მე მოვკვდებოო.....დედაჩემს უთხრეს: უნდა წაიყვანო ფერიის ეკლესიაშიო, ის (ილია) დიდი მკურნალიაო. წმინდა პანტელეიმონიცაა, მაგრამ ამგვარი დაავადებების შემთხვევაში წმინდა ილიას უნდა მიმართოთო. დედაჩემმა გაიგო

300 სემ, დღიური I- 130.

301 სემ, დღიური I- 131.

სად იყო წმ ილიას ეკლესია(იქ, ზემოთ, მთაში). მე მახსოვს, პირველ ან მეორე კლასში ვიყავი (სადღაც შვიდი-რვა წლის) წავედით, ავედით მთაში და იქ ხის მასალისგან აშენებული ჯიხურით შენობა დაგვხდა, შიგ ხატებით იყო სავსე. იქ მოხუცი დაგვხვდა, დავრჩით. მან ჰკითხა დედაჩემს: რა სჭირს ბავშვსო. დედამ მოუყვა ყველაფერი: ღამით დგება და ტირისო. დამადეს მხრებზე რაღაც უძველესი ხელნაწერები, პონტოდან ჰქონდათ ჩამოტანილი. წმინდა წერილებს ეძახდნენ, ალბათ ლოცვები იყო....მას შემდეგ აღარ მიტირია. ჩემნაირები სხვებიც იყვნენ....ყველა განიკურნა. წმინდა ილია ძალიან ძლიერი წმინდანია!³⁰²

ფერიის ეკლესიის შესახებ ვალენტინა მავროპულო შემდეგი მისთვის ცნობილი ფაქტი გაგვიზიარა: «**Τῆ Φιλόκλη ἀδελφῆ, Ειρήνη ἀντριζμέντζα ἔτονε, ἄμα κὶ ξέρω ἄσὸ ἄγχοϲ, ἄσῆ στεναχωρία νῆχάσεν τ'αχοῦλνατς. Τότε μασσίνας κ'έτονε, ἔβαλαν τὴν ἀπάν σὸ σκαμνίν, ἔδεσαν ἀτέν σῆ რάσσαν καὶ π'ρῶαν ἀτ'ϲ καὶ ἐπ'ρῶαν σὸ რაσσίν, σὸν Ἄη-Ἡλῶαν. Ἐφ'ῶαν ἀτ'ϲ ἐκεκᾶ. Οὐτε ἰατρικᾶ, οὐτε τίποτα... Σερᾶντα ἡμέρας ἐκάτσει, ἡ Ἀγάπη ἐδέβαζεν, ἐδέβαζεν καὶ ἔλεγεν ἀτέν ντέβα, φέρε νερόν- ἔφερνε νερόν, ἔντονε πάρα πολὺ καλὰ κ'επεκεί ἐντέβε σὸ σπῖτ. Ἐλαρώθεν...Ντο δύναμην ἐν ἀτό- κὶ ξέρω!» – ანუ „ფილოკლის და, ირინი დაოჯახებული იყო, მაგრამ არ ვიცო ნერვიულობისგან, დარდისგან შეიშალა. მაში სად იყო მანქანები, სკამზე დამაგრებული აიყვანეს მთაში, წმინდა ილიას ტაძარში. იქ დატოვეს. არანაირი წამალი, არაფერი არ მისცეს...ორმოცი დღე დარჩა იქ. ალაპი ლოცულობდა, ლოცულობდა და ეუბნებოდა: წადი, წყალი მოიტანეო, მოჰქონდა წყალი. კარგად გახდა და სახლშიც წავიდა. განიკურნა.რა ძალა იყო, არ ვიცო!“³⁰³**

საინტერესოდ განვითარებულა მოვლენები ილიას სიკვდილის შემდეგაც: «**Ὁ Ἡλῶας ὄνταν ἐπ'θᾶνεν, ἔθᾶψαν ἀτόν καὶ ἐπ'ρᾶσαν κάμποσσα μ'ῆγας καὶ εἶδαν τὸ ἄψιμον ἀπάν ἐξ'βεν. Ἐτ'ρῆσαν ντο ἔν, ντο ἔν καὶ τέρεσαν καὶ εἶπαν ἄδακᾶ τιδέν κ'ἔν. Ἐπεκεί λέγνε, τότσο κὶ ξέρω πὼς ἐπέραν ἀτό καὶ ἐπέικαν ἀμσλέντοβατς**» („როდესაც ილია გარდაიცვალა, დაასაფლავეს და რამდენიმე თვის შემდეგ საფლავის თავზე გადმომავალი შუქი დაინახეს. უყურეს რა არის, რა არისო და თქვეს, აქ არაფერიაო. ამბობენ, მოგვიანებით (ზუსტად არ ვიცო) საფლავი გათხარეს და გვამი გამოიკვლიესო“).³⁰⁴

ილიას უხრწნელ თითთან დაკავშირებით კი არაერთმა თვითმხილველმა დაადასტურა: მისი სიკვდილის შემდეგ ალაპი ამ თითით ხალხს ჯვარს გადასწერდაო: «**Τὸ δάχτυλο ἔντονε κερὶ, μετ' ἀτὸ σταύρωνε ἡ Ἀγάπη**» („ილიას თითი სანთლად იქცა, საკმეველის სუნი ჰქონდა, ალაპი ამ თითით გადასწერდა ჯვარსო“).³⁰⁵

ამ და სხვა მრავალი მონათხრობიდან ჩანს: როდენ დიდი მადლის მქონე იყო ფერიის წმ. გიორგის სამლოცველო და ამ, ერთი შეხედვით პატარა, შეუმჩნეველ ადგილს რა დიდი

302 სემ, დღიური I- 132.

303 სემ, დღიური I- 133.

304 სემ, დღიური I- 134.

305 სემ, დღიური I- 135.

მნიშვნელობა ჰქონდა აჭარაში (და არამხოლოდ აქ) მცხოვრები პონტოელი ბერძნების თუ სხვა ეროვნების მორწმუნეთა სულიერ ცხოვრებაში.

9 აგვისტოს მკურნალის, წმინდა პანტელეიმონის ხსენების დღეა და ყოროლისთავის წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიას მიაშურებდნენ მორწმუნენი და მკურნალი წმინდანის მიმართ მაღლიერებას გამოხატავდნენ:

Στὸ χάριον Ορταμπατούμ ἂν θ' ἄεις νὰ λαρώσεις,

სოფელ ორთაბათუმში თუკი გსურს, რომ განიკურნო

Νὰ πᾶς στὸν Παντελ' ἤμον καὶ Ἥλ' ἰατρούσι

წმინდა პანტელეიმონს და მკურნალ ილიას უნდა მიმართო³⁰⁶

ტრაპიზონისა და კრომნის მაცხოვრებელი პონტოელი ბერძნები წმ. პანტელეიმონის შესახებ ამბობდნენ: «**Οὐμπαν κοτζοί, κὶ οὐμπαν στραβοί σὸν Παντελ' ἤμον (Γαλανίδου-Μπαλφουσια 1999:187)**» – „ყველა კოჭლი და კუზიანი – წმ. პანტელეიმონთანო“. ამ გამონათქვამში გამოჩნდა, რომ მათ ღრმად სჯეროდათ წმინდა პანტელეიმონის ძალისა.

თ. ტაქსიდის გადმოცემით, «**Ἔτ' ἦτονε ἄρρωστος ἀπὸ τὸ παιδί, ὁ Παντελής Παπαντόπουλος. Ἀτὸς ζούσε σὴν Τάκοβα. Ἐρρώστησε καὶ ἔτ' ἔιν νὰ χιτ' ἐγγλεσίαν. Ἐχιτ' ἔιν τὴν ἐγγλεσίαν καὶ ἔτ' ἦτονε καλὰ. Ὁ κόσμος ἐπ' ἔινε σ' ἄτόν τὴν ἐγγλεσίαν, σὸν Ἀη-Παντελ' ἤμον καὶ ἔინ, δ' ἔინ, τρεῖς ἡμ' ἔριν ἐκοιμούταν σὴν ἐγγλεσίαν. Μικρὴ ἔμεις καὶ ἔτ' ἦτονε χιτισμένον ἄτό ἡ ἐγγλεσία. Ἀτὸ ἔτ' ἦτονε πρῶτο ἰατρικὸ... Ὁλ' ἔλαρούσανε**» („ის ყმანვილი, პანდელის პაპანდოპულო ავად იყო. იგი დაგვაში ცხოვრობდა. ავად რომ გახდა, ღმერთს პირობა მისცა: ეკლესიას ავაშენებო. ააშენა ეკლესია და გამოჯანმრთელდა კიდევ. მთელი ხალხი ამ ეკლესიაში დადიოდა (წმინდა პანტელეიმონის ეკლესიაში) და ერთი, ორი, სამი დღე ეძინათ ტაძარში. მე პატარა ვიყავი და ეს ეკლესია უკვე აშენებული იყო. (წმ. პანტელეიმონის ეკლესია სწეულთათვის პირველი საკურნებელი იყო. აქ ყველანი იკურნებოდნენ“).³⁰⁷

ზემოთ ხსენებულმა მთქმელმა ამ ეკლესიაში საკუთარი შვილის განკურნების ფაქტიც გაიხსენა: «**Ὁ γιὸς μ', ὁ Γιώργος ὄνταν ἔτ' ἦτονε 25 χρονών, ἔρρώστησε, κ' ἔτ' ἦτονε καλὰ, παντοῦ σὴ γι' ἰατρούς ἐπ' ἔინ, οἱ γι' ἰατροὶ τὶδ' ἔτ' κ' ἐγριζ' ἔინ καὶ π' ἔინ σὸν Ἀη Παντελ' ἤμον τὸ παιδί ... Ἔντ' ἦτονε καλὰ καὶ ἄτ' ἔριν πᾶζει καὶ παραζέ**» („ჩემი ვაჟი, იორლო, როცა 25 წლის იყო, ავად გახდა, ცუდად იყო, ექიმებთან მყავდა და ვერაფერი გაუგეს. წავიდა წმ. პანტელეიმონის ეკლესიაში და კარგად გახდა, ახლაც ცოცხალია და მშვენივრადაა“).³⁰⁸

თ. ტაქსიდის მონაყოლს თუ დავეყრდნობით, „მორწმუნეები ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდნენ და შემდეგ ლოცულობდნენ. ტაძარში კი მუხლებზე დაჩოქილნი შედიოდნენ: «**Γύριζαν τὴν ἐγγλεσία τρία φορὰς. Ἐπεκεῖ ἐπ' ἔინ τὴν προσευχὴ ἡ Ἐμπ' ἔριν ἀπ' ἔς μὲ τὰ γόν' ἄτα**».³⁰⁹

306 სემ, დღიური I- 136.

307 სემ, დღიური I- 137.

308 სემ, დღიური I- 138.

309 სემ, დღიური I- 139

მისივე მონათხრობიდან ვგებულობთ, რომ წმ.პანტელეიმონის ხსენების დღეს „ტაძრის ეზოში ცხვრებს კლავდენ და ყურბანს წირავდენ და წმ. პანტელეიმონს შემდეგნაირად მიმართავდენ: წმინდაო პანტელეიმონ, განკურნე ხალხი, რათა კარგად გახდეს და ჩვენც ყველანი კარგად ვიყოთო!“: «Σὴν αὐτὸν ἔκοφταν πρόγατα, ἐπέειναν κουρμπάν. Ἐλεγαν: Ἄη- Παντελ ἦ νὰ λαρούς τὸν κόσμο, νὰ γίντανε καλὰ καὶ ἐμεῖς ὅλ νὰ εἶμερ καλὰ!»³¹⁰

წმ. პანტელეიმონის ეკლესიის დღეს მთელი სოფელი ზეიმობდა. საეკლესიო დღესასწაულს, როგორც წესი თან ახლდა ხალხური სიმღერები და ცეკვები.

მშობლიური სოფლის მიმართ სიყვარულითაა გამსჭვალული ადგილობრივთა მიერ პონტოურ დიალექტზე შეთხზული შემდეგი სიმღერა, რომელიც ამ დღესასწაულზე და ამ სოფლის მკვიდრთა სხვა შეხვედრის დროს იმღერებოდა:

Κορολιστάβ, Κορολιστάβ, ποὺ ἔν τεσά τὰ κάλια

ყოროლისთავო, ყოროლისთავო, სად არიან რჩეულები?

Ποὺ ἔν τεσά τὰ κορτσοπά, τεσά τὰ παλικάρια.

სად არიან გოგონები და ან შენი ყმანვილები?

Λύουμαι μάναμ λύουμαι, λύουμαι Παναγία,

ვდნები დედავ ჩემო, ვდნები ღვთისმშობელო,

Τὰ χρόνια ἔν δ'κα οχτώ, ἔσπριναν τὰ μαλλιά

ჯერ თვრამეტი წლისა ვარ და თმა კი გამიჭალარავდა

Ἀνάθεμα καὶ σὰ μακρὰ , ποῦθ'σ κι πάει λαλία,

წყეულმც იყოს სიშორე, ხმა ვერსად მიმიწვდენია

Τὰ μάτιαμ ἐσκοπνεψαν ἀς'στην ἀροθυμῖαν

მონატრებისგან ჩემს თვალებს სიბნელე გადაჰფარებიათ“.³¹¹

19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე, სოფელ ახალშენის მეტამორფოზის ანუ ფერისცვალების ეკლესია (Ἡ ἐγγλεσία τῆς Μεταμόρφωσης) იყო აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა დღესასწაულისა და შეხვედრის ადგილი. როგორც იმ დღეების მომსწრე ახალშენის მკვიდრმა ლეილა ჩირაძე-ქსანტინიდიმ აღნიშნა: „ფერისცვალების დღესასწაულზე სხვა სოფლებიდან ახალშენში ჩასული ხალხი ნათესავებთან რჩებოდა და 3 დღის განმავლობაში აგრძელებდა ღვინის“ – «Οἱ ἄθρῶπ ἔρχουσανε ἀσὰ ἄλλα χωρία σὸ Ἀχალσὸν καὶ ἔμειναν για τρία ἡμέρας σα συγγενεῖς, ετραγόνδαν, ἐχώρευαν καὶ διασκ'θάσαν».³¹²

ახალშენის ეკლესია გამოირჩეოდა თავისი სიდიდით და სილამაზით. სოფლის მაცხოვრებლები თუ სტუმრები ერთხმად იზიარებდნენ იმ აზრს, რომ „ახალშენის მშვენება არის მეტამორფოსი“

310 სემ, დღიური I- 140.

311 სემ, დღიური I- 141.

312 სემ, დღიური I- 142.

(ფერისცვალების ტაძარი): «Τὴ Ἀχάλονη εμορφιά ἔν ἡ Μεταμόρφωση», – და ეკლესიის მიმართ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას განსაკუთრებულად გამოხატავდნენ.

ახალშენელ ბერძენთა სიყვარული მშობლიური სოფლის მიმართ ხალხურ სიმღერებშიც გაჟღერდა:

Ἀχάλοῦν σιονύεται, ახალშენი ითოვლება

Περ ὁ ἥλιον, λύεται, მზე გამოდის, თოვლი დნება,

Τὸ κοριτς ντὸ ἀγαπῶ მე რომ მიყვარს, ის გოგონა

σὸ μακρὰ εὐρίεται³¹³ სადღაც შორს იმყოფება“.

ახალშენის ეკლესიის აშენებაში ბევრ ადამიანს მიუღია მონაწილეობა. თ ტაქსიდის ბაბუას-გან ახსოვს, რომ ბერძენი დიასახლისი ქალის, მორფოს (ἡ **Μόρφω**) და მისი მეუღლის, იორლოს (ὁ **Γιώργος**) თაოსნობით და სოფელელთა ძალისხმევით აშენებულა თავდაპირველად პატარა ხის ტაძარი, რომელიც დროთა განმავლობაში გაუფართოვებიათ.³¹⁴

ავგისტოს თვის დღესასწაულები გვირგინდებოდა მარიამობის დღესასწაულით და **28 აგვისტოს** სოფელი დაგვა და ამ სოფელში აშენებული ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ხდებოდა აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძენების თავშესაფრის და ზეიმის ადგილი.

დაგვის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით მ. მურატიდუმ აღნიშნა: „ბებიაჩემი თვითონ აგროვებდა კვერცხებს და ეკლესიის მშენებლობისთვის მიჰქონდა. დაგვაში იყო რძის მალაზია, იქ აგროვებდნენ და ინერდნენ; ელენიმ ამდენი მოიტანა, მაგდამ – ამდენიო. ბებიაჩემი ამბობდა: მოდიოდნენ ოჯახში და კითხულობდნენ: რამდენი ქათამი გყავს, ამდენ კვერცხს მოიტანო. მუშებისთვის საჭმელიც მიჰქონდათ და ვიდრე კომუნისტები მოვიდნენ, დაასრულეს ეკლესიის მშენებლობა“: «**Τεμόν ἡ γίγαια, ἡ μοναχέσα μάζευε καὶ ἔφερνε ἐκεκα τὰ ὄψα. Ἔτονε γαλατάδικο καὶ σὸ γαλατάδικο ἐκεκὰ ὀλ μάζευαν καὶ ἔγραφαν: ἡ Ελ΄ση ἔγκεν ἀτόσα, ἡ Μάγδα ἔγγεν αὐτό καὶ αὐτό καὶ ἄ΄ες. Ἡ γίγαια ἔλεγεν: ἔρχουνταν καὶ ρωτούσαν, πόσα κοσσάρια ἔς, ἀτόσα ὠβὰ θὰ φερς ἐκεκὰ. Θὰ περνες καὶ φαηστικά οἱ μουσσάδες νὰ ἔτρωγαν. Ὡς νὰ ἦρθαν οἱ κομμουνιστες, ἐτελείωσαν ἀτό»**.³¹⁵

დაგველი ბერძენების პატივისცემა და სიბოძა გამოხატული საყვარელი სოფლისადმი ლექსში, რომლის ავტორი 39 წლის ა. ალექსიადი ამ სოფელში დაიბადა და ბავშვობა აქ გაატარა, შემდეგ კი ოჯახთან ერთად საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად და დღესდღეობითაც აქტიურადაა ჩართული სოფლების დაგვის და კვირიკეს ეკლესიების თუ სხვა ბერძნული კულტურის კერების მხარდაჭერის საქმეში :

Σὴν Τάκοβα ἐτράνηνα σὸ τεμά τὰ ρασσά..

დაგვაში გავიზარდე, ჩემს მშობლიურ მთებში

Τὴ Τάκοβας τὸ ποτάμ ἔν Παναγιῶας δακρῖα...

313 სემ, დღიური I- 143.

314 სემ, დღიური I- 144.

315 სემ, დღიური I- 145.

დაგვის მდინარე მოედინება, ვით ღვთისმშობლის ცრემლები

Ἡ Τάκοβα ἔν ἔμορφος ἀσόλτς ἀγαπεμ' σο...

გამორჩეულად საყვარელი დაგვა ულამაზესია,

Ἀσόν θεόν κι σὸν Χριστόν ἔν εὐλογιμ' σο...

ღვთისაგან და ქრისტესაგან დალოცვილი სოფელია.³¹⁶

ა. ალექსიადის ყოველწლიურად სტუმრობს დაგვას ღვთისმშობლობაზე.

შემოდგომის ციკლი: სექტემბერი (Σεπτέμβριος) კალენდარული წლის მეცხრე თვეა. სექტემბერს ბერძენი ხალხი უწოდებს «Ὁ Σταυρίτες» და ეს სახელწოდება უკავშირდება ტერმინს «Ὁ Σταυρόν» – ჯვარი. სექტემბერში ხომ ჯვართა-მალლების დღესასწაული აღინიშნება, აქედან მოდის თვის სახელწოდებაც. ჯვართამაღლების დღეს პონტოელი ბერძენები მკაცრ მარხვას იცავდნენ, ღრმად მორწმუნენი ყურძნის ჭამასაც კი ერიდებოდნენ, დიდ ცოდვად ითვლებოდა ხალხში, ვინაიდან ყურძნისგან ღვინო მზადდება და შესაბამისად მისი მიღება ამ დღეს არ მიიჩნეოდა კანონზომიერად: «Τοῦ Σταυροῦ κρατάνε νηστία, τὸ σταφύλ πὰ κι γίνεται νὰ περς και νὰ φας, τρανὸν ἴτενον(αμαρτίαν) ἔν».³¹⁷

ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით ვ. მავროპულომ ერთი განსაკუთრებული ჩვეულება გაიხსენა: „14 სექტემბერი ითვლებოდა ახალი წლის (საეკლესიო ახალი წლის) დასაწყისად. დედაჩემი ქრისტეს ხატს 13-ში სალამოს გარეთ გაიტანდა და დილამდე დატოვებდა. დილით კი შინ შემოიტანდა და შემდეგ ვინც არ უნდა მოსულიყო ოჯახში, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ითვლებოდა, რომ ხატი იყო მეკვლეო: «14 Σεπτεμβρίου ἐλογαριάουτονε το Νέο Ἴτος. Ἡ μάμαμ'εβγάλνε τὴν εἰκόνα τῆ Χριστοῦ οἰῶκὰ το βράδον σα 13 και σο πρῶτ' ἐβγάλνε τὴν ἀπ' ε. Κ'επεκεῖ κ' ἡστερνὰ ἄν ἔμπεναν ἀπ' ε, τιδεν κε λογαριάουτον».³¹⁸

მორწმუნე ბერძენ ხალხს ჯვრის მიმართ უდიდესი პატივისცემა და სიყვარული აკავშირებდა, რაც კარგად გამოჩნდა შემდეგ სტრიქონებში:

- «Τὸ σταυρόν ἔν σύμβολο τῆ Χριστιανική τῆ θρησκείας, τῆ αγάπης» – ჯვარი ქრისტიანული რწმენის, სიყვარულის სიმბოლოა;
- «Τὸ σταυρόν ἔν ὄπλον για νὰ διώχουμε τὸν διάβολο, τὸν φόβο»... ჯვარი ეშმაკის, შიმის, ბოროტების განსაადევნი იარაღია;
- «Με τὸ σταυρόν μιλούμε με τὸ Θεὸ, με τοὺς ἀγγέλους, με τὸν ουρανὸ» – ჯვრით ვესაუბრებით ღმერთს, ანგელოზებს, ციურ სასუფეველს;
- «Τὸ σταυρόν ἔν βασιλέας ντὸ ενὼν τὰ ἄθρῶπς» – ჯვარი მეფეა, რომელიც ადამიანებს აერთიანებს³¹⁹ და ა.შ.

316 სემ, დღიური I- 146.

317 სემ, დღიური I- 147.

318 სემ, დღიური I- 148.

319 სემ, დღიური I- 149.

ჯვრის თაყვანისცემას უკავშირდება პონტოელ ბერძნებში გავრცელებული საინტერესოა ჩვეულება, რომელიც სადღესასწაულო პერიოდებში მღვდლისა – **პაპას**'ისა და მისი მრევლის მიერ მდინარეში ჯვრის ამოვლებასა თუ „განბანვაში“ იყო გამოხატული. ბავშვის ნათლობისას პონტოელ ბერძნებში მღვდელი მდინარისაკენ ჯვრით ხელში მრევლთან ერთად მიემართებოდა და ლოცვის შემდეგ ჯვარს მდინარეში აგდებდა. მრევლი ნაწილებად იყოფოდა და მდინარეში ჯვრის დასაბრუნებლად ეშვებოდა. ჯვარს დადევნებული მრევლის წევრებიდან, წარმატებულ და ბედნიერ ადამიანად ის ითვლებოდა, ვისაც გაუმართლებდა და ჯვარს წამოეწეოდა, ე. ი. პირი რომელიც ჯვარს მდინარიდან ამოიღებდა და მღვდელს დაუბრუნებდა. მას თბილ ტანისამოსს აცმევდნენ, ხოლო შემდეგ გამარჯვებული ჯვრით ხელში თანამოაზრეებთან ერთად სოფელში სახლებს შემოივლიდა და სახლეულის წევრებს ლოცავდა. სახლეულის წევრებიც გამარჯვებულს უმასპინძლებოდნენ და გამცილებელ ჯგუფთან ერთად მას ფულითაც ასაჩუქრებდნენ. ამა თუ იმ სახლის ნებისმიერი დიასახლისი ცდილობდა იმ პირს გამოცნაურებოდა, რომელსაც ხელში ჯვარი ეკავა და იგი სახლში შეეყვანა. ისიც სახლში შედიოდა და სახლეულის წევრებს ლოცავდა. ასევე იცოდნენ შობის პერიოდშიც, როცა ახალგაზრდობა სახლებს შემოივლიდა, სახლეულის წევრებს ამხიარულებდა, აცინებდა, სიმღერებს მღეროდა, ცეკვავდა, ხოლო მასპინძლები მათ სხვადასხვა ტიპის ნუგზარით – ხილით, ტკბილეულობით უმასპინძლებოდნენ, ფულითაც კი ასაჩუქრებდნენ. ამ თვალსაზრისით, პირდაპირი თუ ირიბი პარალელები ლაზთა ისე, როგორც სხვა ქართველურ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფებთან შეინიშნება. ლაზებში, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიებთან ერთად თავად ქრისტიანულმა აღმსარებლობამ და ქრისტიანობასთან დაკავშირებულმა ხალხურმა ჩვეულებებმაც მნიშვნელობა დაკარგა და მივიწყებას მიეცა, მაინც ბევრი რამ ისლამურ გარემოცვაშიც კარგად შემოინახა. განსაკუთრებული რიტუალი 19 იანვარს (ძველი სტილით 6 იანვარს) – ნათლისღებისას, წვიმის დროს ტარდებოდა, რასაც ლაზებში, როგორც უკვე ზემოთაც ითქვა, **ხაჩი სუ (ჯვრის წვიმა)** ეწოდებოდა. ლაზებში ამ თვალსაზრისით ყურადღაღებია წყლის გადმოდინებასთან და წვიმის მოყვანასთან წარმართული სხვა რიტუალებიც. პონტოელ ბერძნებში ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენათა საფარქვეშ შემონახულ წარმართულ რიტუალებში წყალი, წყალთან და ტაროსის ღვთაებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები განსაკუთრებულ როლს ასრულებდა, რაც ბერძნული მითო-რელიგიური სამყაროს ორგანული ნაწილი იყო. ბერძნებში, მათ შორის, პონტოელი ბერძნების ეთნოლოგიაზე, კერძოდ, რწმენა-წარმოდგენებზე მომუშავე მკვლევრები გვიდასტურებდნენ სამყაროს შემოქმედისადმი – პატრონისადმი და მფარველისადმი მათ რწმენას, ისინი აღიარებდნენ დედა ღმერთის არსებობას. ყოველ ცოცხალს ირგვლივ, რომ დედა ჰყავდა, განსაკუთრებით ეს

გაგება ხანდაზმულ ბერძენთა ცნობიერებას ახასიათებდა, მაშინ როცა ამას მამაკაცები შედარებით სკეპტიკურად უყურებდნენ. ბევრი პონტოელი ბერძენი იხსენებდა, ბავშვობაში ახალწლის ღამის შემდეგ გარიჟრაჟზე მათ საჩუქრებით იმ წყაროზე როგორ აგზავნიდნენ, საიდანაც ოჯახს ჩვეულებრივ წყალი მოჰქონდა. წყაროს ნიმფებს სუფთა წყალს, ჯამრთელობასა და სილამაზეს შესთხოვდნენ. წყაროსთან პირველს უნდა მიგერბინა და შენი მოკრძალებული ძღვენი – მშრალი ხილი, თხილი თუ კაკალი, ტკბილეული უნდა მიგერთმია. წყლის დიასახლისი **ნერომანა**’დ იწოდებოდა, რაც „წყლის დედას“, ასევე, **კურა პეგადისტრა** თუ **ნერაიდა (ნერეიდა)** – „ნაკადულის ქალბატონადაც“ მოიხსენიებოდა (დანვრ. იხ.: Зайковская:1988:108). რადგან წარმართული რწმენა-წარმოდგენების რუდიმენტები პონტოელ ბერძენებში უპირველესად ეთნოგრაფიულ ყოფასა და ხალხურ პოეტურ შემოქმედებაში იჩენს თავს, ამდენად მათი გამოვლენა და შეკრება უდავოდ საშური საქმე იყო. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ტექსტებში არქაულ – ანტიკურ ღვთაებათა ის სახეებია დაუნჯებული, რომლებიც გვიან ქრისტიანულ წმინდანთა ხატებაში ტრანსფორმირდა. პონტოური ლექს-სიმღერები, ჩვეულებები და კალენდარული დღესასწაულები, ანდაზები და ბილიჩკები გარკვეულწილად ძველბერძნული მითოლოგიის მრავალფეროვან სიუჟეტებს ეხმაურება და ზევსის, ჰიპერიონის, ჰელიოსის, აპოლონის სახეებსაც გადმოგვცემს. ესაა ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ რეალობაში საუკუნეების განმავლობაში შემონახული ძველი ბერძნული სულიერი სამყაროსათვის დამახასიათებელი საკრალური პლასტები. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ყოფა, კულტურა და ფოლკლორი ადრეული რწმენა-წარმოდგენებისა და მსოფლხმედველობის – მსოფლგაგების რუდიმენტებითაა გაჟღერებული, მაგრამ ამასთან აქ მნიშვნელოვანია ტრადიციული კულტურის არქაულ ელემენტთა შემონახულობის არა მარტო ხარისხი, არამედ აჭარაში მცხოვრები ბერძნული ეთნიკური თუ ეთნო-კონფესიური ჯგუფის ხალხური სულიერი შემოქმედების პირდაპირი კავშირი წინაპრებთან – ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს სინამდვილესთან. ეს ბუნებრივადაც უნდა გამოიყურებოდეს თუ გავითვალისწინებთ, რომ უცხო ეთნიკურ გარემოში მოხვედრილი ტერიტორიულ-ლოკალური ჯგუფები ყოველთვის ცდილობდნენ სათუთად დაეცვათ მათთვის დამახასიათებელი ტრადიციები, ყოფითი რეალიები, კულტურა და ენა, რაც ეროვნული მეობისა და ეროვნული ცნობიერების დაცვის საპირწონე და ტოლფასი იყო. სწორედ კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური იდენტობის დაცვამ შეაძლებინა პონტოელ ბერძენებს, როგორც ანატოლიაში ისე სხვა რეგიონებში, მათ შორის, საქართველოში – აჭარაში ეთნიკური მეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

- მრავალფეროვანი საველე-ეთნოგრაფიული თუ სხვა ტიპის წყაროები პონტოელ ბერძენთა ხალხური, მათ შორის, ისეთი ქრისტიანული დღესასწაულების არსებობას

გვიდასტურებს, რომლებიც წარმართული – წინაქრისტიანული რიტუალური შრეების შემცველი იყო, რომელთა სხვა ბერძნულ დაჯგუფებათა სულიერი სამყაროს გათვალისწინებით კომპლექსური შესწავლა მრავალი საინტერესო სოციოკულტურული და სოციო-რელიგიური არტეფაქტის გამოვლენისა და განზოგადების საფუძველი უნდა გახდეს.

სექტემბერი: სექტემბრის თვე დასათესად კარგ თვედ ითვლებოდა, ვინაიდან ხალხის აზრით ამ დროს დათესილი მცენარე აუცილებლად გაიხარებდა:

- «Ὁ Σταυρίτης ρεντσιπέρτζ, ἕναν σπέρτζ καὶ δέκα παίρτζ». – „სექტემბერში ერთს დათესავ და ათს მოიმკიო“ (Γαλαῖδσο- Μπαλφούσια, 1999: 223)

ოქტომბერი (ბერძნულად Ὀκτώμβριος), მიუხედავად იმისა, რომ კალენდარული წლის მეათე თვეა, სახელწოდებას ღებულობს სიტყვიდან „ოქტო“, რაც ლათინურად ნიშნავს რვას. ოქტომბერი მერვე თვე იყო იულიუს კეისრის რეფორმამდელი კალენდრისა. პონტოელმა ბერძნებმა არც ამ შემთხვევაში გაიზიარეს ლათინური სახელწოდება და ოქტომბერს «ὈΤρυγομηνάς» დაარქვეს, რაც ითარგმნება, როგორც „რთველის თვე“.

ოქტომბრის შესახებ ხალხში ამბობდნენ:

«Ὁ Τρυγομηνάς φέρ' ἕξλα καὶ μαραίν' καὶ ρούζ' τὰ φύλλα» – „ოქტომბერს შუბა მოაქვს, ფოთლებს კი – აჭკნობს და მინაზე აგდებსო“.³²⁰

ნოემბერი: ნოემბერმა (ბერძნ. Νοέμβριος) ანუ კალენდარული წლის მეთერთმეტე თვემ, ისევე როგორც სექტემბრისა და ოქტომბრის შემთხვევაში, თავისი სახელწოდება მიიღო იულიუს კეისრის რეფორმამდელი კალენდრიდან და ლათინური სიტყვიდან „ნოვემ“, რაც ცხრას ნიშნავს.

საქართველოში ნოემბერს გიორგობის თვესაც ეძახიან. აქ დასახლებულმა ბერძნებმა სწორედ მისი საყვარელი წმინდანის დღესასწაულს დაუკავშირა თვის სახელი და ნოემბერს «Ἀεργίτες» დაარქვა.. ხალხს სწამდა, რომ: „წმინდა გიორგი ყველაზე ძლიერი წმინდანია და ეშინოდათ მისი“: «Ἄ'ρς ἀς'δλα δυνατός ἔν καὶ φοβόσαν ἄπόν».³²¹

გიორგობის თვესთან დაკავშირებით იტყობდნენ: «Ἀεργίτες ἔν ζεγκίντζ , φέρ' κρύα νερά καὶ πίντζ» („გიორგობისთვე ხვავიანია, მოაქვს ცივი წყალი და გასვამსო“ ,რაშიც იგულისხმებოდა: „ნოემბერს სიცივეც მოაქვსო“) (Γαλαῖδσο- Μπαλφούσια, 1999: 237)

საინტერესო გადმოცემა არსებობს ხალხში კვირიკეს წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით. ი. მავროპულოს გადმოცემით, „როცა კვირიკეს წმ.გიორგის ეკლესიას აშენებდნენ, დაგველ მშენებელს მოელაპარაკნენ, რომ მშენებლობის ხელმძღვანელობისთვის 3 ათას მანეთს მისცემდნენ გასამრჯელოდ. ხალხს არ ჰქონდა ამდენი ფული და მშენებლობა შეჩერდა. რატომ არ მიდიხარ სამსახურში? შეეკითხნენ მშენებელს. ფულს არ იხდით, ამხელა სოფელია და გადასახადი თანხა არ გაქვთო? – უპასუხა მშენებელმა, წავიდა სახლში და

320 სემ, დღიური I- 152.

321 სემ, დღიური I- 153.

ტაბულა XIV. რელიგიური დღესასწაულები და რიტუალები



სურ. 200. გიორგობა, კვირიკეს წმ. გიორგის სახელობის ტაძარი,
2016 წლის 16 ნოემბერი



სურ. 201. გიორგობა, კვირიკეს წმ. გიორგის სახელობის ტაძარი,
2016 წლის 16 ნოემბერი



სურ. 202. გორგობა, კვირიკეს წმ. გორგის სახელობის ტაძარი,
2016 წლის 16 ნოემბერი



სურ. 203. გორგობა, კვირიკეს წმ. გორგის სახელობის ტაძარი,
2016 წლის 16 ნოემბერი

სააღმომო სამზადისი ელენე და სრისტო ქსანდოვულოების
ოჯახში



სურ. 204.



სურ. 205.



სურ. 206.



სურ. 207.



სურ. 208.



სურ. 209.



სურ. 210.



სურ. 211. სააღდგომო სამზადისი პავლე და მარია მავროპულოების ოჯახში, სოფ. კვირიკე


ცხვრის შენირვის რიტუალი, მარიამოზის ღვთისმშობლის,
2014 წლის 28 აგვისტო, სოფ. ღაგვა



სურ. 212.



სურ. 213.



სურ. 214.



სურ. 215.



სურ. 216.



სურ. 217.



სურ. 218. დაგვის კულტურის სახლი



სურ. 219. სტუმრები საბერძნეთიდან, მუსიკალური ჯგუფი „ევქსინოს პონტოს“, მარიამობა, 2014 წელი, ს. დაგვა

მომღერალი ჯონათანი ბერძენი კესოვი,
მარიაგოზა, 2014 წელი, სოფ. ღაგვა



სურ. 220.



სურ. 221.



სურ. 222.



სურ. 223.



სურ. 224.



სურ. 225. პონტოელი ბერძნები საბერძნეთიდან მარიამობაზე, 2014 წელი



სურ. 226. საბერძნეთიდან ჩამოსული ბერძნები წინაპართა საფლავებზე, საფლავის კურთხევა, მარიამობა, 2014 წ., სოფ. დაგვა



სურ. 227. საბერძნეთიდან ჩამოსული ბერძნები წინაპართა საფლავებზე, საფლავის კურთხევა, მარიამობა, 2014 წ., სოფ. დაგვა

წმინდა გიორგი კანთალიძის დღესასწაული,
სოფ. ყოროლისთავი, 2017 წელი



სურ. 228.



სურ. 230.



სურ. 231.



სურ. 229.



სურ. 232.

ფარისცვალების ღვთისმშენი,
სოფ. ახალგენი, 2014 წელი



სურ. 233.



სურ. 234.



სურ. 235.



სურ. 236.



სურ. 237.



სურ. 238.



სურ. 239. ბათუმი, არენდოს (ჯორჯიაშვილის) ქუჩა №5, 1925 წ. ვიქტორია სტავრიანის დაკრძალვა, მღვდელი იანის პაპანდოპულო

ქორწილის ფოტოები. პერიოდას საოჯახო ალბომებიდან



სურ. 240. ბათუმი, ახალშენი, 1927 წ.
სტილიან პაპაიანიდი და ნავსტრატი
იშხანიდი



სურ. 241. ბათუმი, ახალშენი, 1939
წ. კირიაკი სარ-ოლი და ეროკლი
ავანასიადი



სურ. 242. 1952 წ. ვასილი პულიკიდი
და ელენა გეორგიადი, ბათუმელები,
დაქორწინდნენ გადასახლებაში



სურ. 243. ბათუმი, ახალშენი, 1953 წ.
ნარლამზი დელიანიდი და ეფთიმია
ჩილიკიდი



სურ. 244. ბათუმი, 1960 წ. იოანის
ქსანტინიდი და ელენა პაპაიანიდი



სურ. 245. ბათუმი, ახალშენი, 1966 წ.
ათინა და ნიკოლოზ მისაილიძეები



სურ. 246. ლეონიდ ანიდი და ოლგა
დელიანიდი



სურ. 247. ბათუმი, 1949 წლამდე, სოფ. კვირიკე, დიმიტრი მავროპულოს და ელენა პილიდის ქორწილი, რეპრესირებულები 1949 წელს



სურ. 248. 1960-იანი წლების დასაწყისი, შარვალიდი პარასკევოპულო და კიცას (?) ქორწილი გადასახლებაში



სურ. 249. ახალშენი, 1950-იანი წლები, 19 აგვისტო,
მეტამორფოზის (ფერისცვალების) დღესასწაული



სურ. 250. ახალშენი, 1947 წ. 19 აგვისტო,
მეტამორფოზის (ფერისცვალების)
დღესასწაული



სურ. 251. ახალშენი, 1949 წ. 19 აგვისტო,
მეტამორფოზის (ფერისცვალების)
დღესასწაული, ზურნა და ქემენჩე (ლირა)

დაიძინა. იმ ღამით დაესიზმრა, რომ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი მოვიდა მასთან და ცემა დაუწყო. რა ხდებაო? – შეეკითხა მშენებელმა. არა გრცხვენია, 3 ათასის გადახდა რომ ვერ შეძლეს, უარი უთხარი და უკან გააგზავნე ხალხიო? ამიტომ მოგიწია ჩემგანო – უთხრა წმინდა გიორგიმ. ოღონდ თავი დამანებე და მივხედავ ამ საქმეს და არც ფულს გამოვართმევ, ოღონდ თავი დამანებეო – თხოვა მშენებელმა. როცა გაიღვიძა, თქვა: ნავალ, მოვძებნი იმათ, ვინც მშენებლობის ხელმძღვანელობა მთხოვაო. მივიდა მასთან და უთხრა: იცოდე, როგორც კი მოვრჩები, ამა და ამ დროს მოვალ და ეკლესიის მშენებლობას უსასყიდლოდ დავინყებო. მას უთხრეს: ჩვენ გადაგიხდით გასამრჯელოს და როცა თავისი საქმე გააკეთა ძალით აიღო მათგან სამუშაოს ფული“: «ὄνταν ἔχτιζαν τὴν ἐγγλεσίαν τοῦ Ἁγίου Γεωργίου σὴν Κούρικα, ὁ μάστορας ὁποῖος ἔτονε(ἀσὴν Ντάκοβα μερ) ἐποίκαν μ’εκεῖνον νατγαβαριτσα καὶ εἶπαν πόσο νὰ χτιζεται ἀπὸ – τρία χιλιάδες...Κ’είχανε χρήματα νὰ δειγνε (ὄλαον) καὶ ἐστάθε. Γιάτι κ’ερχεσαι σὴ δουλεια? Χρήμαν κ’έχουμε... Ὀλόεν χωρίον καὶ κ’έχχετε χρήμα; Ἀραέτς πὰ, ἐπήγην σὸ σπιτνὰτ καὶ ἐπεσεν κὰ. Τὴν νύχτα ἐλέπ ὄραμα, ντὸ ἔρθεν Ἀέρτς μετ’ ἄλογο, κρούει, κρούει... Ἀτός πὰ ντὸ πράμαν ἔν; Κε ντρέπεσαι;- εἶπεν-για τρία χιλιάδες, κε πόρνανε νὰ πληρώννε κ’εσὺ Ἐποίκες Ἀτκάτ καὶ Ἐστειλες οπίς. Γιατ’αὐτὸ καὶ μόνον τρωε ξυλ’αις. Ὁ, ἐγὼ μόνον νὰ γλητῶνω ἀπαδακὰ, ἐπεκεὶ νὰ πάω χιτῶ ἀπὸ, καὶ τιδ’σ κι θέλω, μόνον ἀφήστε με! Κεπεκεὶ ὄνταν εγνέφσεν(ασὸ ὄραμα) εσκώθεν καὶ λέει, θα πάω νὰ εβρῶ ἐκεῖνον ντὸ εἶπε μὲ νὰ χτιζνε. Ἐρθεν καὶ λ’ει ἀτόν – ἄς ἐξ’ρς, ἐγὼ τὰ δεκαῖρόν θὰ ἔρχουμε νὰ χιτῶ τὴν ἐγγλεσίαν, μόνον ἄς λαρούμε, κε πορῶ ἀκόμα. Καλὰ κοπάνισε ἀτόν. Ἀ’ς πα ἐπέικε-ελαρῶθεν, ἐπίεν καὶ εἶπεν ατς-ἐγὼ νὰ χτιζῶ, τιδέν κι θέλω, τὸ χρήμαν... Εἶπαν ἀτόν: ἐμεῖς θα ξοφλιζομαι σὲ, ἐπ’ ἴγαν, ἐδ’ ἄκαν ἀτόν καὶ μὲ τὰ ζόρια ἐπ’ ἴγαν...».³²²

კვირიკეს წმ. გიორგის სახელობის ტაძართან დაკავშირებით მ. მურატიდუმ შემდეგი რეალური ფაქტი გაიხსენა: „კვირიკეს წმ.გიორგის ეკლესია როცა ააშენეს (იგი პონტოელმა ბერძნებმა ააშენეს) კომუნისტებმა რალაც მასალები შეიტანეს, საწყობად აქციეს და წვიმების გამო თანდათან დაზიანდა. თავდაპირველად ხის ტაძარი იყო აშენებული, შემდეგ კი ქვის. 70 წლის განმავლობაში ეკლესია კომუნისტების ხელში იყო. იქვე ახლოს, ეკლესიის ქვემოთ ერთი აჭარელი კაცი ცხოვრობდა (მაღალმთიანი რაიონიდან იყო გადმოსახლებული), რომელმაც სახლის მშენებლობისთვის ეკლესიის ეზოდან ქვები წამოიღო, მაგრამ მგონი ბევრი არ წაუღია, ერთი-ორი ქვა. ცოტა ხანი არ გასულა და სამ თვეში ორი შვილი დაკარგა. მაშინ უთხრეს ხანდაზმულმა კვირიკელებმა (ჭკვიანი ხალხი იყო): „შენ ასე მოიქეცი, ეკლესიიდან წამოღებული ქვები სახლში შეიტანე, ახლა ადექი და გამოიღე ის ქვებით. ასეც მოიქცა: გამოიღო ქვები და დააბრუნა იქ, საიდანაც წამოიღო. ამის შემდეგ ყველაფერი დამშვიდდა მის ოჯახში“: «Τὴν Κούρικας τὸν Ἀέρ ὄνταν ἔχτιζαν ἀπὸ, (οἱ πόντιδες ἔχτιζαν ἀπὸ) οἱ καμουστέ π’ ἴγαν καὶ κατ’ ἐβάλνανὰ π’ ε: τ’ ἴγαν, τ’ ἄλλον καὶ ἐπ’ ἴγαν ἄμον ἀποθ’ ἴρη ἐκεκὰκα ἰ χάλασαν ἀπὸ. ..Ἀσὰ βρεχχια χάλάε καὶ ἄλλο κε τέρεσαν ἀπὸΠρώτα ἔτονε ξύλινο, ἄμα

322 სემ, დღოური I- 153.

ἡσπρνά ἔκτιζαν ἀτό μὲ τὰ π' ἄρας. Ἐβδομ' ἴγτα χρόνια ἐκεῖνοι εἶχαν ἀτό (οἱ καμουνίστ)... Ἐκεῖ ὀλίγον κάτω ἦνας ἄτσαραλης ντό κατήβεναν ἀσά βουνά, ἐπήγεν καὶ ὀλίγον κάτω ἔκτιζεν σπίτ. Ἐπέρενα π' ἐκεκά πέτρας. Ἄμα θαρρῶ πολλά κε πέρεν, δῦο ἐπέρεν ἢ ἕναν ἐπέρεν.... Καὶ ἡσπρνά πολλά κε πέρασαν, σε τρία μήνας τὰ δῦο παιδία ἐχάσεν.....καὶ εἶπαν ἀτόν οἱ κούρικαλιδες, οἱ γεροντάτες ἔσανε πολὺ ἔξυπνο, εἶπαν- εσύ ἂ' ἄς ἐπόικες, ἐκεῖνα τὰ π' ἄρας ἂπ' ἔ σὸ σπιτ ἐσ' ἄγγες ἀτά, ἀτῶρα χάλασον τὸ σπίτ ς....Χάλασε τὸ σπίτν ἀτ' καὶ ἐκεῖνο τὴν πέτρα ἐξέγγαν (ὄσονντὸ ἐπέρεν), ἐπέρε καὶ πήγεν ἐκεκά καὶ ἐπεκέ καὶ ἡσπρνά ἰσάεν ὀκόσμος».³²³

კიდევ ერთი დიდი წმინდანის, წმინდა დიმიტრის დღესასწაულს აღნიშნავდნენ პონტოელი ბერძნები ნოემბრის თვეში. ეს დღესასწაული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მინათმოქმედებისთვის. პონტოს ზოგ რეგიონში წმ.დიმიტრის ოქტომბერს წმ.დიმიტრის თვეს უწოდებდნენ – (Αἰ-Δημήτηρ (Ἰνέπολη – Κοτύωρα) , Αἰ-Δρημήτη (Οἰνὸή) და სხვა. წმინდა დიმიტრის ხსენების დღეს ხშირი იყო უამინდობა, ამიტომაც ამბობდნენ: «Εἶχε καὶ ὁ Ἄη-Δημήτρης τὴν κακοκαιρία τοῦ» („წმინდა დიმიტრის დღესასწაულზე ჩვეული ცუდამინდობა იყო“); ან კიდევ: «Τ' Ἄι –Δημητρὴ φουρτῶνα», – „წმინდა დიმიტრის ფურტუნამ გადაიარაო“; როგორც წესი, ამ დღესასწაულისთვის თბილ ტანსაცმელს ამზადებდნენ.³²⁴

დეკემბერი: კალენდარული წლის მეთორმეტე თვის, დეკემბრის (ბერძნ. Δεκέμβριος) სახელწოდება წარმოსდგა სიტყვიდან „დეკემ“, რაც ლათინურად ათს ნიშნავს. დეკემბერი მეთათე თვე იყო იულიუს კეისრის რეფორმამდელი კალენდრისა. პონტოურ დიალექტში წელიწადის ბოლო თვეს «Ο Χριστιανάρτς» ანუ ქრისტიანობის თვეს ეძახდნენ.

დეკემბრის შესახებ ხალხში იტყოდნენ: «ΟΧριστιανάρτς φ' ῥ' κρύον, νασάν ἐκείνον π' ἔχ' τὸν βίον» (Γαλανίδου- Μπαλουσία, 1999:262), – „დეკემბერს სიცივე მოაქვს, ნეტავ იმას, ვინც შეძლებულიაო“ (ამის მთქმელები იმას გულისხმობდნენ, რომ შეძლებულს სიცივის პრობლემა არ ექნება, მზად დახვდებაო).

დეკემბრის თვეში აღინიშნებოდა წმ ნიკოლოზის ხსენების დღეც. წმინდა ნიკოლოზს მიიჩნევდნენ მეზღვაურთა და მოგზაურთა მფარველად. სწორედ მას შესთხოვდნენ აბოხოქრებული ზღვის დანყნარებას. ლოცვის დროს ხატის წინ დანთებული კანდილიდან იღებდნენ ზეთს და ზღვაში ასხამდნენ. პონტოს ზღვისპირა ქალაქებში ბევრი ტაძარი აიგო წმინდანის სახელზე.

წმინდა ნიკოლოზს ხშირად მოუხმობდნენ როგორც მოწმეს და ჰპირდებოდნენ, რომ აუცილებლად შეასრულებდნენ მიცემულ სიტყვას.

Σὴν Παναγίαν ἔταξα δῦο χρυσά εἰκόνας,

ღვთისმშობელს ორი ოქროს ხატის შეწირვა შევპირდი,

Μάρτυρας ντὸ θὰ διγ' ἀτά ἄς ἔν Ἄι-Νικόλας(Γαλανίδου..., 1999:267).

მონმე იმისა, რომ გავცემ, იყოს წმინდა ნიკოლოზი.

323 სემ, დღიური I- 154.

324 სემ, დღიური I- 155.

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ მორწმუნე პონტოელი ბერძნები სიკვდილის წინ მათ საფლავზე წმ. დიმიტრის და წმ ნიკოლოზის ხატების მოტანას ითხოვდნენ. ამ უკანასკნელ სურვილში უთუოდ ვლინდება მათი დამოკიდებულება ზემოთ ხსენებულ წმინდანებთან, რაც გა-
ჟღერდა გალექსილ სტრიქონებშიც:

Χήσαν τὸ κοιμητ' ῥι μὸν, βάλεν ἅπαν εἰκόνα,

საფლავზე, სანთლის დასანთებ ადგილას დადე ხატები

Τὸν Ἄγιον Δημ ἱρῖον καὶ τον Ἄε- Νικόλαν»(იქვე:267)

ერთი – წმინდა დიმიტრის და მეორე – წმინდა ნიკოლოზის.“

შეიძლება, დავასკვნათ, რომ წლის თვეებთან დაკავშირებული ფოლკლორი, ძირითადად, რელიგიურ, ქრისტიანულ დღესასწაულებს უკავშირდება, მაგრამ გამოიყოფა თვეებთან დაკავში-
რებული სხვა ფოლკლორული მასალაც.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები ყოველდღიურ ცხოვრე-
ბაში, ისევე როგორც განსაცდელის ჟამს უფალს „**მამაო ჩვენოს**“ თქმით მიმართავდნენ, რომლის ბერძნული ვარიანტი «**Πάτερ ἡμῶν**» ძალზე გავრცელებული ყოფილა ხალხში. მართალია, დღეს-
დღეობით არსებობს „მამაო ჩვენოს“ პონტოურ დიალექტზე თარგმნილი ტექსტიც, მაგრამ ის ნაკლებად ყოფილა ცნობილი.

პონტოურ დიალექტზე არსებულ დღესდღეობით ცნობილ „მამაო ჩვენოს“ ტექსტთან დაკა-
ვშირებით ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებებს:

- ლოცვის სახელწოდება „მამაო ჩვენო“ დაფიქსირებულია, როგორც «**Ουράνιε πατέρα μου**» ანუ ზეციურო მამაო ჩემო!.
- ტექსტის დასაწყისში გამოტოვებულია ფრაზა „ რომელი ხარ ცათა შინა“;
- ასევე ფრაზაში „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“ ჩამატებულია სიტყვები „აუ-
ცილებელი“ და „მხოლოდ“ და იგი შემდეგნაირად ჟღერს: „(საარსებოდ) აუცილებელი პური მომეც მხოლოდ ჩვენ დღეს“.

რაც შეეხება დანარჩენ ტექსტს, გარდა ზემოთაღნიშნული გარემოებებისა, ვლინდება სი-
ზუსტე ბერძნულ დედანთან:

«**Ουράνιε πατ' ῥα μου**, (ზეციურო) მამაო ჩვენო,

ν' αγιάζ' τ' ὄνομα σ', წმინდა იყავნ სახელი შენი

νὰ ἔρται ἡ βασιλεία σ', მოვედინ სუფევან შენი

τὸ θ' ἄεμα σ' νὰ ἴνεται, იყავნ ნება შენი

ἄμμον 'ς σὸν οὐρανὸν καὶ σὴν γ' ἴγ. ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა

Τ' αναγκαῖον μακάχα ψαμὶν ε μοὺν δῶσ' ἡμας ὁσ ἡμερον, პური ჩვენი არსობისა მომეც (მხო-
ლოდ) ჩვენ დღეს

καὶ σ' χάρεσον τὰ ἁμαρτίας ἐμοὺν და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი

ἀμον τὸ σ' χωρούμε κι ἐμεῖς ἀτείντ' τ' ἔβλαψαν ἐμάς. ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა

Μη θ' ἔς ἐμάς ἔς σὸν πειρασμόν და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა

καὶ ἀπειμάκρυνον ἀπ' ἐμάς τὸ κακόν. Ἀμ ἴη!»³²⁵ არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისგან! ამინ!

საინტერესოა აჭარის პონტოელ ბერძენთა შორის გავრცელებული „მამაო ჩვენოს“ ვარიანტიც, რომელიც ლოცვის ზუსტად თარგმნის კარგ მცდელობას წარმოადგენს:

«**Πατέρα τεμέτερον, ποὺ εὐρίεσαι σὸν οὐρανόν**, მამაო ჩვენო რომელი ხარ (იმყოფები) ცათა შინა
νὰ ἐν ἁγιασμένον τ' ονομάς, ἔρθεν ἡ βασιλεία तेσόν, **νὰ γεννίουμες τὸ θελημά ε**, წმინდა იყავნ
სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი

εἶσαι βασιλέας τοῦ οὐρανοῦ καὶ νὰ εἶσαι βασιλέας τῆς γῆς καὶ τ' ἄλλους ἄνθρωπος. ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა

Τὸ κυριώτερο τὸ τρόφημαν, ψωμὶν δὲς μὰς ὅσ ἡμερον καὶ συγχώρα μὰς τὰ λάθημ', ἄμον **κ' ἐμεῖς νὰ συγχωρούμετ' ἄλλους** (აქ დამატებულია გამონათქვამი «**Τὸ κυριώτερο τὸ τρόφημαν**» – უმნიშვნელოვანესი საკვები) პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი (აქ – შეცდომები) ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა

καὶ μη ἀφήνς μὰς νὰ μπούμε στὸ πυρασμό, στὰ βάσανα καὶ στὰ στεναχώριας, ἀλλὰ γλύτωσε μας ἀπ' αὐτά. და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა (აქ – ცოდვას, ტანჯვასა და განსაცდელსა შინა) არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან (აქ ჩართულია სიტყვა „მათგან“)

Γιατί εἶσαι βασιλέας τοῦ κόσμου καὶ ἔχεις τὴ δύναμη τῆς βασιλείας καὶ τὴ δόξα რამეთუ შენ ხარ მეუფე და შეგწევს ძალი და დიდება

Εἰς τοὺς αἰώνας τῶν αἰώνων! Ἀμ ἴη!» ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!³²⁶

თ. შავკანი-პარასკევოპულო ლოცვის სრულიად განსხვავებულ ვერსიას იცნობს, რომელიც, მისი თქმით, მისთვის აჭარაში გამოთხოვების შემდეგ უსწავლებიათ:

Χριστ' ἄμ' καὶ Παναγίτσα μ' ჩემო ქრისტეც და ჩემო ღვთისმშობელო,

Ὅλο τὸν κόσμο νὰ κρατῆς, მთელი სამყარო გეჭიროთ,

Ὅλο τὸν κόσμο νὰ ἰσχυᾷς, მთელი სამყარო დაგემშვიდებინოთ,

Εἰρ ἴη καὶ ἀγάπη νὰ ἔν. მშვიდობა და სიყვარული სუფევდეს!

Νὰ μην δείχνεις μας πόλεμους, λιμούς, πλημύρας ნუ გვიჩვენებთ (ნუ გადაგვატანინებთ) ომებს, შიმშილს, წყალდიდობებს,

ἀς ὅλα νὰ παραδεβῶεις μας Χριστ' ἄμ' καὶ Παναγίτσα μ'

ყველა დაბრკოლება გადაგვალახინე ჩემო ქრისტეც და ჩემო ღვთისმშობელო!

Ἐμ' ἄα τὴν ἀμάρτολεσσα νὰ σῶνεις τ' ἄμαρπίας μοῦ Χριστ' ἄμ' καὶ Παναγίτσα μ'

მე, ცოდვილი მიხსენი ჩემი ცოდვებისგან ჩემო ქრისტეც და ჩემო ღვთისმშობელო,

325 <http://www.imth.gr/default.aspx?page=245>

326 სემ, დღიური I- 150.

Ποὺ ἐφτάγω πολλὰ ἁμαρτίας ბევრი ცოდვა ჩამიდენია

Θε΄μοῦ, σῶσον τ΄ἁμαρτίας ἡμ – (3 φορές) უფალო, მისხენი ცოდვებისგან!“ (3-ჯერ).

თ. პარასკევოპულოს თქმით, ზემოთმოყვანილი ლოცვის ბოლოს შესაძლებელია შემდეგის დამატება:

Βάλε με σοῦ Θεοῦ σὸ δρόμον, Χριστ΄ἡμ΄ καὶ Παναγίτσα μ΄!

სწორ ღვთის გზაზე დამაყენე ჩემო ქრისტეე და ჩემო ღვთისმშობელო!

Αὐτο τὸ στόμα μ΄ νὰ μὴ λ΄ει περσά ὅτι κὶ πρεπ, Χριστ΄ἡμ΄ καὶ Παναγίτσα μ΄!

ამ ჩემს პირს არ ეთქვას ზედმეტი, ჩემო ქრისტეე და ჩემო ღვთისმშობელო!“ – „ამბობდნენ და ამასთან პირზე 3-ჯერ გადაინერდნენ პირჯვარსო“.³²⁷

ნელინადის დროები: ნელინადი პონტოელ ბერძენთა დიალექტში გამოიხატება ტერმინებით «Ἔτος» და «Χρόνος» და ორივე მათგანის გამოყენება კონკრეტულ შემთხვევებს უკავშირდება: სურვილის გამოსათქმელად ან დასალოცად პონტოელი ბერძენები ძირითადად მიმართავდნენ ტერმინს «Ἔτος», რაც კარგად ჩანს გამონათქვამებში: «Πολλά τὰ ἔτη!» და «Εἰς ἔτη πολλά!». ორივე ზემოთმოყვანილ ფრაზაში ერთი აზრია გატარებული: „მრავალი წელი“, თუმცა იგივე შემთხვევაში შესაძლებელია ნელინადის აღმნიშვნელი მეორე სიტყვის, «Χρόνος» გამოყენებაც და გამონათქვამი «Σ΄ πολλά χρόνια!» – ამის ნათელ დასტურს წარმოადგენს. თუმცა, ტერმინს «Χρόνος» ზოგან დროის ან ხანგრძლივი პერიოდის აღსანიშნავადაც იყენებდნენ, ისევე როგორც ქვემოთმოყვანილ გამონათქვამში: «Ἡμ΄ ἔα χρόνια» – „დღე წელიწადი“ ანუ „დღე წელიწადით გაინელაო“. ხუმრობით საუბრისას წარმოთქმულ გამონათქვამში კი: «Πολλά τὰ χρόνια, ὀλίγα τὰ ἡμ΄ ἔα» – „მრავალი წელი და ცოტა დღე“ გამოჩნდა დღეგრძელობის სურვილი და ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ტერმინის «Χρόνια»-ს გამოყენებას (E.Γαλανίδου- Μπαλφουσια, 1999:17-19).

აჭარაში გადმოსახლებული პონტოელი ბერძენები დღეგრძელობის სურვილის გამოსახატავად იყენებდნენ ფრაზას «Πολλά χρόνια καὶ καλὰ!», რაც ითარგმნებოდა როგორც „მრავალი და კარგი წელი“, თუმცა არსებობდა გამონათქვამიც: «Ὀλίγα χρόνια καὶ καλὰ» – „ცოტა და კარგი წელი!“³²⁸ (დანართი 2:194) ანუ ამის მთქმელებს მიაჩნდათ, რომ უმჯობესია ცოტა იცოცხლო, მაგრამ კარგად, ვიდრე იტანჯო დიდხანსო. ცხადია, ორივე გამონათქვამშია ჩაქსოვილი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე სიბრძნე.

როგორც ზემოთ ავლენინეთ, ტერმინს «Χρόνος» ყოველდღიურ ცხოვრებაში დროის აღსანიშნავადაც მიმართავდნენ, რასაც ცხადყოფენ შემდეგი ფრაზები: «Ἀτώρα ἔα κ΄ ἔχω χρόνο» („ახლა სულ არ მაქვს დრო“) ან: «Ἐπορείς καὶ ἐβρείς΄ ὀλίγον χρόνον γιὰ τ΄ ἐμέν;» („შეგიძლია ჩემთვის ცოტა დრო გამონახო?“) და ა.შ ამასთან, იგივე გამონათქვამებში არ გამოირიცხებოდა დროის აღმნიშვნელი სხვა სიტყვის «καιρόν» გამოყენება.

327 სემ, დღიური I- 151.

328 საე, დღიური I-089.

პონტოელ ბერძენთა მიერ ცხოვრების ფილოსოფიური აღქმა და მათი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხთან კარგად წარმოჩნდა ყოველდღიურ მეტყველებაში გავრცელებულ ბრძნულ გამონათქვამებში. ამ მხრივ გამონაკლისს არც წელიწადთან დაკავშირებული ფრაზები წარმოადგენენ. პირიქით, ისინი განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევიან, მაგალითად:

- «Τὰ χρόνια ἔρχονται καὶ διαβαίν'νε» („წლები მოდიან და მიდიან“);
- «Ὁ Κακὸν ὁ χρόνος διαβαίν καὶ ὁ κακὸν ἄνθρωπον 'κι διαβαίν» („ცუდი წელიწადი წავა, ცუდი ადამიანი კი – არა“, ანუ „წელიწადი შეიცვლება და ადამიანი – არაო“);
- «'Ὡρα ντὸ φερ' ὁ χρόνος 'κι φ'ῖ ἀτό» („დროს რაც მოაქვს, ის წელიწადს არ მოაქვსო“, (ნებისმიერი საქმე ჭკუით უნდა გააკეთო, რომ მთელი წელიწადი არ მოუხდეს მის გამოსწორებასო);
- «Ὁ μορφομ'σονὸ ἄρθρον ντὸ ἔφτα'ε ἕναν ἡμ'ραν, ὁ παλλαλὸν κὶ πορεὶ νὰ φτᾶει ὄλον τὸ χρόνον» („განათლებული რასაც აკეთებს ერთ დღეში, სულელი ერთ წელიწადშიც ვერ გაართობს თავსო“) და სხვა (Αθανασιάδης, 1970:106-113).

წელიწადსა და მის ოთხ დროზე საუბრისას გამოსაყოფია პონტოელ ბერძენთა მიერ შეთხზული გამოცანების არსებობა, რომლებიც ამ თემის ირგვლივ არსებულ ფოლკლორულ მასალას უდავოდ მატებენ მრავალფეროვნების ელფერს. თვალსაჩინოებისთვის მოვიშველიებდით ორ მათგანს:

- «Ποῖος ἔν ὀγέρον μὲ τὰ δώδεκα παιδία;» – „ვინ არის მოხუცი, რომელსაც თორმეტი შვილი ჰყავს?“ (იგულისხმება წელიწადი 12 თვით);
- «Ἐχω ἕναν δέντρον, ἔχχ δώδεκα κλαδία, καὶ ἐκεῖνα τὰ δώδεκα κλαδία ἔχ'νε ἀπὸ τέσσερα φύλλα» (Γαλανίδου-Μπαλφούσια, 1999: 17-18), ანუ „ერთი ხე მაქვს, მას თორმეტი ტოტი გააჩნია და იმ თორმეტ ტოტსაც ოთხ-ოთხი ფოთოლი ასხია“, – აქაც მოაზრებულია წელიწადი 12 თვით და თვეში 4 კვირით.

როგორც ყველა ერს, პონტოელ ბერძენებსაც წელიწადის თითოეულ დროსთან განსხვავებული წესჩვეულებები აკავშირებდათ, რომლებიც მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იცვლიდნენ სახეს: სოფლად მცხოვრებნი ადათების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ და ხშირ შემთხვევაში მათი შესრულების მიმართ მეტ სიზუსტეს იჩენდნენ, მაგრამ საერთო ჯამში ყველას ახასიათებდა ადათების შენარჩუნების და მომავალი თაობებისათვის გადაცემის სურვილი.

რაც შეეხება წელიწადის დროების სახელწოდებებს, აქაც ვხვდებით გარკვეულ განმასხვავებელ ნიუანსებს, რომლებიც თავს იჩენენ არამხოლოდ თანამედროვე ბერძნულ ენასთან მიმართებაში, არამედ განსხვავდებიან პონტოელ ბერძენთა ფოლკლორულ მასალებში დაფიქსირებული სხვა სახელწოდებებისგან და მათი განხილვა თითოეული წელიწადის დროზე საუბრისას მოხდება.

თანამედროვე ბერძნულში გაზაფხული აღინიშნება ტერმინით «Άνοιξη» და პონტოურ დიალექტში წელიწადის ეს დრო იგივე სიტყვით «Άνοιξη» გამოიხატება.

აჭარაში მცხოვრებ ელინოფონ ბერძენთა მეტყველებაში გაზაფხული ზემოთხსენებულ გავრცელებულ ტერმინზე უფრო მეტად მოიხსენიება, როგორც „პირველი გაზაფხული“ – «Πρωτάνοιξη» და ამ სახელწოდების არსებობას იმით ხსნიან, რომ ჯერ „პირველი გაზაფხული“ დგება და შემდეგ მათი „გაზაფხული“ – «Άνοιξη» ანუ ზაფხული, მაშინ როცა პონტოში ტერმინს „პირველი გაზაფხული“ – «Πρώτη Άνοιξη» გაზაფხულის დასაწყისის აღსანიშნავად იყენებდნენ.

გაზაფხულის მოახლოება ხალხში უდიდეს სიხარულთან იყო დაკავშირებული. აჭარის რეგიონში მოგრილებულ ბერძენთა შორის გაზაფხულზე მიღებული იყო ქართული ანდაზის „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“ შესატყვისი პონტოური გამონათქვამის გამოყენება:

- «Με τ'έναν πουλί κελάηδεμαν ἄνοιξη ἄμάν κ'έρται», – „ერთი ჩიტის ჭიკჭიკით გაზაფხული არ მოდისო“ ან
- «Ἐναν πουλί νὰ κελαιδεί, ἄνοιξη κ'έρται» – „ერთი ჩიტი თუ ჭიკჭიკებს, გაზაფხული არ მოვაო“.

პირველ ფრაზას მცირეოდენი სახეცვლილებითაც ამბობდნენ: კერძოდ, შესაძლებელი იყო ზმნა „ჭიკჭიკის“ (κελάηδεμαν) „ფრთების ფრთხილით“ – «χαίδεμαν»-ით ჩანაცვლება და ამგვარად, ეს გამონათქვამი შემდეგნაირად წარმოითქმებოდა: «Με τ'έναν πουλί χαιδεμαν ἄνοιξη κ'έρται» ანუ „ერთი ჩიტის ფრთების ფრთხილით გაზაფხული არ დგებაო“.³²⁹

გაზაფხულის დადგომის მომასწავებელი ფრაზები ძალზე პოპულარული ყოფილა პონტოს სხვადასხვა რეგიონში. ასე მაგალითად, ამისოელი ბერძენები იტყოდნენ: «Με τ'έναν τὸ ἰοέν ἄνοιξη κ'έρται» („ერთი შხაპუნა წვიმით გაზაფხული არ დგებაო“), მაშინ როცა ხალხიას მაცხოვრებელთა შორის გავრცელებული იყო ფრაზა: «Ἀν 'κίρουζ' τὴ Λαμπρὴς τὰ ἄβου τὸ τζέπλον σὴν γην, ἄνοιξη κ'έρται» („სანამ სააღდგომო კვერცხის ნაჭუჭი მინაზე არ დაეცემა, გაზაფხული არ მოვაო“);

ასევე, გაზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით მიღებული იყო თქმა: «Με τ'έναν ἄθ' ἄνοιξη κ'έρται» („ერთი ყვავილით გაზაფხული არ მოდისო“); «Ἄνοιξη πουλεί τὰ μῆλα κὶ ὁ χειμῶγκον τὰ ξύλα» („გაზაფხული ვაშლებს ყიდის და ზამთარი-შემასო“) და სხვა Γαλανίδου-Μπαλφουσια 1999:21-22).

გაზაფხულზე ხვნა-თესვის დასაწყებად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთვარის მდგომარეობას. მიიჩნეოდა, რომ სავსე მთვარის გამოჩენა დასათესად საუკეთესო პერიოდი იყო. ამას ადასტურებს შემდეგი მაგალითებიც:

- «Ν'ον φ'ψυρος-μ'ρα τῆς σποράς», – „ახალი მთვარე-დათესვის დღე“ (იგულისხმება დათესვის დრო მოვიდაო);
- «Ὁ φέγγον ἄτῶρα εγενέθεν, ἅμα κὶ θὰ χοντρεῖν, κὶ θὰ γεμίζ, κὶ θὰ σπείρς». „მთვარე ახლა დაიბადა, თუ არ გადიდდა, არ შეივსო, არ დათესო“ და ა.შ

329 სემ, დღიური I-090.

აჭარაში დაბადებული და გაზრდილი, ვ. მავროპულოს თქმით, სოფელ კვირიკეში ამბობდნენ: „გაზაფხულზე ვიდრე გუგულის ხმას გაიგონებ, უნდა ადგე დილით, ხელ-პირი დაიბანო, შეჭამო ერთი-ორი ლუკმა (რაიმე მაინც) და შემდეგ გაიგონო გუგულის ხმა, რომ ის „დაამარცხო“.. თუ არ ადექი, ხელ-პირი არ დაიბანე, არც შეჭამე და ისე გაიგონე მისი ხმა, ის დაგამარცხებს და მთელი წელი არ იქნება კარგის მომტანი შენთვისო (ჯანმრთელობაზე იმოქმედებსო)“: «**Πρωτάνοιξη πριν να άκουσ τή κούκονος τή λαλιάν, πρωί να σκουσαι, νίφκεσαι, άτρώς έναν βούκα (κατ'ατρώς ολίγον) κ'επεκεί άκούσ τήν λαλιάν ατ', να νικάς άτόν εσύ και εσύ αν κι σκώθεις, νε ένύφκες, νε έφαες και κούξεν(΄κσεσ ατόν), εκείνος νικά σε και τιαμ κι θά πάει καλά ό χρόνος**».³³⁰

აჭარის სოფლებში საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით, სრული წარმოდგენის შექმნაში უთუოდ დაგვეხმარება იმავე მთქმელის შემდეგი მონათხრობი: «**Τήν πρωτάνοιξη έπάστρευανε τò μέρος, μαζεύανε τὰ παλιά τὰ ξύλα, έκοφτανατά άσά δέντρα, καθαρίζαν άτά, κουμουλιάζανε σ'έναν τόπον και έκεγαν άτά....**Ακόμα, κούρευαν τò τσάι, ένοιάζαν άπό, κ'επεκειμάζευαν άπό τέλη άπριλίου με άρχή μαίου. Έπελιάευανε τὰ μανταρίνας, έπεκει σιγά- σιγά ένιάζαν άτά και έρχίνασαν και φύτευαν μπαχτσ΄δες και ίτενα (φασούλια, τσουπάδια, διάφοραλαχανικά) τόν Άπριλιο. **Καστανίτσας πὰ έφύτευαν τόν Άπριλιο....Καρτόφια έφύτευαν πίο νωρίς, τόν μάρτιο, αν κ'είναι τὰ χχίονια...Όταν έν shίονια, κι πορείς να φυτεύς**» („გაზაფხულზე ასუფთავებდნენ ნიადაგს, ხეებს უვარგის, ძველ ტოტებს აჭრიდნენ და აგროვებდნენ ერთ ადგილას, შემდეგ კი ნვაავდნენ. ამასთან, ჩაის კრიჭავდნენ, ბარავდნენ და აპრილის ბოლოს – მაისის დასაწყისში იწყებდნენ კრეფას. ბარავდნენ მანდარინსაც, შემდეგ ნელ-ნელა სასუქს უყრიდნენ და აპრილში იწყებდნენ ლობიოს, სიმინდის, სხვადასხვა ბოსტნეულის დათესვას....გოგრასაც აპრილში თესავდნენ, კარტოფილს კი უფრო ადრე, მარტში (თუკი თოვლი არ იდო). თოვლი როცაა, არ შეგიძლია დათესვა!“³³¹

ზაფხულს პონტოურ დიალექტში თანამედროვე ბერძნულის (**Καλοκαίρι**) მსგავსი ტერმინით (**Καλοκαίρτζ**) მოიხსენიებდნენ. სიტყვა «**Καλοκαίρτζ**» „კარგ დროს“ ნიშნავს და როგორც ჩანს, პონტოში ეს სახელწოდება ზაფხულისთვის ჩვეულ კარგ ამინდიანობას დაუკავშირეს. კერასუნდის, ხალდიას, ინოის, ტრაპიზონის მაცხოვრებლებისთვის ზაფხული იყო «**όΚαλοκαίρης, Καλοκαίρτζ, Καλοκαίρ'ς, Καλοκαίριν** ან **Καλοκαίρ**» და სხვა. თუმცა, როგორც ზემოთ ავლენიშნეთ, აჭარაში მიგრირებულმა ბერძნებმა ვერ გაითავისეს ეს ტერმინი და ზაფხულს მოიხსენიებენ ტერმინით – «**Άνοιξη**» (გაზაფხული/ზაფხული).

ზაფხულის მოახლოება აჭარის მოსახლეობისთვის ჩაის პლანტაციებში სამუშაოების დაწყების ნიშანი იყო. ამ საკმაოდ რთული საქმის შესრულება სავალდებულო იყო ყველასთვის, განურჩევლად სქესისა ასაკისა და ოჯახური მდგომარეობისა. მ. მურატიდუს მიხედვით, «**Τò περισσόν έμεις σὰ τεμέτερα τὰ νεότητα έσέρεβαμε τσάια. Χωρίς τσάι κι άφήννανε μας μικρά, μωρά, όλ όλ- έσέρεβαμε τσάια....Τήν πρωτάνοιξην κες έσέρεβαμε τή τσάι τὰ σπόρια κ'επεκεί έρχίναμε τò**

330 სემ, დღიური – 091

331 სემ, დღიური – 092.

σέρμα τή τσαί ...Τὸ τσαί εἶχανε σὰ χωρία Ἀχαλσόν, Κούρικα, Τάκοβα, Ἀσκοβα, σὸν Τσάκον, σὸ Τσετσγλαούρ, σὸ Μουσαταγκλέχ, σὸ Ὅτσαμούρ πὰ, Οἱ τεμετέρ σὲ ὄλα τὰ χωρία ἐσέρευσαν ἀπὸ» („ძითადად ახალგაზრდობაში ჩვენ ჩაის ვაგროვებდით. ჩაის კრეფა ყველას ევალებოდა: პატარებს, ბავშვებს. გაზაფხულზე ვკრეფდით ჩაის თესლს და შემდეგ (ზაფხულისკენ) ვინყებდით თავად ჩაის კრეფას...ჩაი მოჰყავდათ სოფლებში ახალშენი, კვირიკე, დაგვა, აჭყვა, ჩაქვი ცეცხლაური და მუშათა გლეხი. ჩვენები (პონტოელი ბერძენები) ყველა ამ სოფელში კრეფდნენ ჩაის“).³³²

რაც შეეხება აჭარის სოფლებში მიმდინარე სხვა საზაფხულო სამუშაოებს, ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვიღებთ შემდეგი მონათხრობიდან: «Τὴν Ἄνοιξη ἐπέρνανε ἄθρωπς, ἐπέγνανε σὸ Τσολοκ καὶ σπέρνανε τσουπάδια. Ἐδούλευανε στὰ μανταρίνια πὰ, ἐτοιμάζανε ἀτά...καὶ περισσὸν ἐτοιμάζαν χωρτάρια. Τὸν Αὐγούστον ἐρχίνανε καὶ ἐποίνανε τὰ ξύλα καὶ ἐτοιμάζανε στέρια- στέρια γιὰ τὸ χειμῶνα (τὸ Σειμογκόν)» – („ზაფხულში ხალხი ჩოლოქში სიმინდის დასათესად მიჰყავდათ, მუშაობდნენ მანდარინის ბაღებშიც: მანდარინს სხლავდნენ და ასუფთავებდნენ... უფრო მეტად კი ბალახის მომზადებით იყვნენ დაკავებულნი. აგვისტოში შეშის მომარაგებას იწყებდნენ და ნელ-ნელა ემზადებოდნენ ზამთრისთვის“).³³³

შემოდგომის (თანამედროვე ბერძნ. Φθινόπωρο) შესაბამის ექვივალენტს პონტოელ ბერძენთა დიალექტში წარმოადგენს ტერმინი «Μοθόπωρον» და აჭარის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი (სანდელი ბერძენების მსგავსად) სწორედ ამგვარად მოიხსენიებდა მას, თუმცა აქაც ვხვდებით მცირეოდენი სხვაობის მქონე სხვა ტერმინებს: ორდუს მხარიდან აჭარაში მიგრირებული ბერძენები შემოდგომას ეძახდნენ «μεθόπωρον», სურმენელები კი – «μεθοπώριον». ნათელია, რომ ამ ტერმინებს შორის სხვაობა არ იყო ძალიან დიდი.

შემოდგომა ხალხში ცნობილი იყო როგორც წვიმიანი, უამინდო წელიწადის დრო, როგორც ეს გამოჩნდა შემდეგ სტრიქონებშიც: «Κατάβρεχος, χονόβρεχος, πάντα κακοκαιρία» – „წვიმიანი, თოვლიანი, მუდამ ცუდ ამინდიანი“ (Γαλανίδου- Μπαλφούσια, 1999: 212)

შემოდგომასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი ხალხური გამონათქვამი, რომელიც გადმოსცემს არამხოლოდ ხალხის დამოკიდებულებას წელიწადის ამ დროსთან, არამედ წამოჭრილია რძალ-დედამთილიანის პრობლემაც. კერძოდ, აჭარაში იტყოდნენ: «Τὴν πρωτανοιξή ὁ ἡλιον ας ἔν τῆ νύφεσ-μ’ καὶ τῆ φθινοπωρινη-ἔν τῆ παιδίσ-μ’»³³⁴ („გაზაფხულის მზე ჩემი რძლისთვის ყოფილიყოს, შემოდგომისა კი – ჩემი შვილისო“), რაც პონტოელ ბერძენთა ფოლკლორულ ტექსტებში განსხვავებულადაა დაფიქსირებული:

- «Τοῦ Μαρτί’ ὁ ἡλιον ας κάψει τῆ νύφε μ’ καὶ τ’ Ἀπριλί-τῆ θαγατ’ ἄρα μ’» („მარტის მზე ჩემი რძლისთვის იყოს და აპრილისა – ჩემი ქალიშვილისთვისო“)(Γαλανίδου- Μπαλφούσια, 1999:42).

332 სემ, დღიური – 093.

333 სემ, დღიური I- 093.

334 სემ, დღიური I- 094.

შემოდგომის მოახლოება აჭარაში ასოცირდებოდა ციტრუსების სეზონის დაწყებასთან და ზაფხულში დაწყებული სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოს დასრულებასთან. სწორედ ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ეპიზოდი ვ. მავროპულოს პირადი მოგონებებიდან: «Τὸν Σεπτέμβριο ἐρχίναμε νὰ μαζεύουμε σταφύλια, ἐσέρευανε μανταρίνας, ἐποίναμε κρασί, ρακί... Ἀσὰ σταφύλια εἶχαμε Ἀντέσσα, Ἰσαμπέλα, Ψυλοστάφυλο, Κοκκιοστάφυλο, Τσχαβέρ. Στὸ τέλος Σεπτεμβρίου ἢ ἀρχὲς Ὀκτωβρίου μάζευαν Λαο τσάια καὶ ἐποίναν πογιάδες» („სექტემბერში იწყებდნენ ყურძნის და მანდარინის კრეფას, ამზადებდნენ ღვინოს, რაკის. ყურძნის ჯიშებიდან მოჰყავდათ ადესა, იზაბელა, წვრილი ყურძენი, წითელი ყურძენი, ჩხავერი..... სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში აგროვებდნენ ჩაის ნარჩენებს, რომლისგანაც საღებავებს ამზადებდნენ“).³³⁵

საშემოდგომო სამეურნეო სამუშაოების თემას განავრცობს მ. მურატიდუს შემდეგი მონათხრობი: «Ἀσὰ σχολεῖα ἐπέρνανε μας καὶ ἐπέγναμε σὰ τούγκος καὶ νὰ μαζεύαμε εὐκάλιπτας φύλλα. Ἐσερ' ἔβαμε τούγκο καὶ μὲ τ' ἀτὸ ἐπείνανε ἐλάδ για τὰ ἀεροπλάνια καὶ ασὸ εὐκάλιπτ ἐπείνανε ἰατρικά» („სკოლებიდან მიყვავდით ტუნგოს და ევკალიპტის შესაგროვებლად, ტუნგოსგან ამზადებდნენ ზეთს თვითმფრინავებისთვის, ხოლო ევკალიპტის ფოთლებისგან – სხვადასხვა წამალს. აგვისტოში შემის მომარაგებას იწყებდნენ და ნელ-ნელა ემზადებოდნენ ზამთრისთვის“).³³⁶

საშემოდგომო სამუშაოების დასრულებით ხალხი ზამთარს სრული მზადყოფნით ხვდებოდა, რაც უდავოდ გამოჩნდა ფრაზაში:

«Ἀνοιξὴ ἐσκάλωσα τὴν δουλειάν καὶ μεθοπαρὶ ἔτελῶσα» – „გაზაფხულზე დავიწყე მუშაობა და შემოდგომაზე დავასრულე“.

საშემოდგომო სამუშაოების შესრულება პონტოელი ბერძნებისთვის, გარკვეულწილად, მომავალი ზაფხულისთვის ნიადაგის მომზადებასაც ითვალისწინებდა. ამაზე მიუთითებს ქვემოთ მოყვანილი ანდაზაც:

- «Μοθοπαρὶ που κ' ἐσπερεν, καλοκαιρὶ 'κ' ἐθέρτσεν» („შემოდგომას ვინც არ დათესა, ზაფხულში არაფერს მოინეესო“).³³⁷

საქართველოს შავიზღვისპირეთში შემოდგომაზე იწყებოდა თევზჭერის სეზონი და აქ დასახლებული ბერძნები პონტოდან მოყოლებული მათი საყვარელი, ხელმისაწვდომი საკვების, ხამსას (Τὰ χαψία-ე.წ ხაფსიას) დაჭერას იწყებდნენ. ხამსას როგორც წესი, წვავდნენ (τηγάνιζαν, καβούρεβανατά), თუშავდნენ (έβραζανατά), მსუბუქად ამარილებდნენ (ἐπείνανάλιπαστα, ὀλίγον ἔλιζανάτᾱ) ან ამარილებდნენ მსხვილი მარილით, დაფნის ფოთოლით და ცოტა შავი პილპილით, მთელი ზამთრის განმავლობაში უვნებლად რომ შენახულიყო: «πάστωναν μὲ χοντρὸν ἄλας, ἐποίνανάτᾱ ἄλικά, παστά, πασταμ' ἄα με τὴ δαφν' ἢ τὰ φύλλα καὶ ὀλίγον μαύρο πιπ' ρ».³³⁸

335 სემ, დღიური I- 095.

336 სემ, დღიური I- 096.

337 სემ, დღიური I- 097.

338 სემ, დღიური I- 098.

ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ შემოდგომაზე ხამსის დიდი რაოდენობით ნაპირზე გამორიყვა მძიმე ზამთრის მოახლოების ნიშანი იყო.: «Ἐντόκων ἐξ'τα χαιψία, ἀφέτος βαρυχειμώνιαν» („ხამსა ბლომად გამორიყა, წელს მძიმე ზამთარი იქნება“),³³⁹ – ამ ბუნებრივ მოვლენას ყურადღებას აქცევდნენ და ითვალისწინებდნენ.

იმდენად უყვარდათ ბერძნებს ხამსა, რომ ყოველდღიურ საუბარშიც ხშირად იყენებდნენ გამონათქვამებში: «Ἀραικά χάλια, χαιψία μὲ τὰ κεφάλια» („აი, ასეთი ცუდი ამბები, ხამსა თავისი თავებით“).³⁴⁰

უფრო მეტიც, ხამსაზე ხალხური სიმღერებიც ჰქონდათ შექმნილი, რომლებსაც ხშირად წაიმღერებდნენ ხოლმე. თვალსაჩინოებისთვის მოვიშველიებდი ორ მათგანს, სადაც კარგად აისახება ხალხის დამოკიდებულება ამ თევზის მიმართ.

პირველი სიმღერის ტექსტში, რომლის ჩანერა 97 წლის ბათუმელი ქალბატონის, ა. მალკოციდის ოჯახში მოხერხდა, თითქოს თავად ხამსა საუბრობს საკუთარ თავზე და თხოვს ადამიანს, დააგემოვნოს იგი :

«Για τεμ'σα τὸ χαιψί , ὄλ σκωτοῦνται, δὲν'νεψυν,

ჩემი ერთი ხამსის გამო თავს იკლავენ, სულს აძლევენ,

Βάλτε μὲ ἀπ'ε σὸ πιθάρι καὶ φ'ρτε μὲσ' 'σα παρχάρι,

ჩამდეთ თიხის ქოთანში და წამიღეთ მალლა მთაში,

Κάθκα ἀφκά σ' 'σα δ'στρο, ὄπου ἔν κρύον νερόν,

დაჯექი ხის ძირას, სადაც ცივი წყალი მოჩერიალებს

Τσάχνικσον καὶ φάε μὲ , καὶ σύρον ἔσν τὸ κεφ!

გამარჩიე, შემჭამე და სიამოვნება მიიღე!

გავრცელებულია მეორე, უფრო მეტად პოპულარული სიმღერა ხამსაზე:

Χαιψία ἐξ'βαν σὸν γιᾶλὸν χοντρά τ' εὐλοημ'σα.

ნაპირზე გამოურიყავს დალოცვილი დიდი ხამსია,

Τὰ καίκια παν κιῆρταν ζίπα-ζίπα φορτωμ'σα.

გადატვირთული ნავეები ხშირად მიდი-მოდიან.

Χαιψία, χαιψία, φατ'στέν σκνλ' παιδία

მიირთვით თქვენ მამაძაღლებო ხამსია, ხამსია,

καὶ ντ' 'μορφα μαειρεν' ἀτά ἡ θεία μ' ἡ Εὐδοξία .

ოჰ რა კარგად ამზადებს დეიდაჩემი ევდოქსია

Τραπεζοῦνταιοι, Κερασοῦνταιοι ὄλ' παίρνει, τηγανίζει.

ტრაპეზუნდის, კერასუნდას მკვიდრნი, ყველანი წვავენ ტაფაზე

339 სემ, დღიური I- 099.

340 სემ, დღიური I- 100.

Τ' ἐμ' ἔπειρον οἱ Σουρμενίτ' μὲ τὰ πατμάνια ἄλζ'νε»³⁴¹

ჩვენი სურმენელები კი მას სუნელებით შეკმაზავენ.

ხამსის გარჩევა – «**Κούλισμα**» ბერძენი დიასახლისების საყვარელ საქმეს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, პონტოში იგი მათი თავშეყრის და გართობის საბაზად იქცეოდა. აჭარაში მცხოვრები ბერძნების სუფრა უდავოდ გამოირჩეოდა ხამსისგან დამზადებული კერძების მრავალფეროვნებით. აქ ვნახავდით: «**Κιβιάτς**» – ე.წ. „კივიარი“ (ხახვი და კარტოფილში მოთუშული ხამსა), «**Χαψιπουλία**» – ე.წ. „ხაფსიპულია“ (ჭადის ფქვილის, ხახვისა და მწვანილისგან დამზადებული ხამსიანი კვერები), «**Χαψοτήγανο**» – ე.წ. „ხაფსოტილანა“ (ტაფაზე შემწვარი ხამსა), «**Χαψολάβασο**» – „ხაფსოლავაშო“ ანუ ჭადის ფქვილში და კვერცხში ამოსვრილი გარჩეული ხამსის ლავაშები, «**Χαψία σὸ κερραμίδ**» – ხახვიანი ხამსა და «**Γραίας τηγάν**» – ე.წ. „ღრეას ტილანი“, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც მოხუცი ქალის ტაფა და წარმოადგენს კვერცხში შემწვარ ხამსას. ეს სახელწოდება კერძს მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე მიუღია. კერძოდ, „ღრეას ტილანი“ იმდენად რბილი უნდა მომზადებულიყო, რომ მოხუცს ადვილად დაეგემოვნებინა. ასევე ძალიან გემრიელ კერძს წარმოადგენდა «**Φωσιχτά χαψία**» – კეცზე, ნაკვერჩხლებში (**Ἀπέξ σὸ τσσιαμουριοπίνιακον, σὸ πλακίν σὰ τσιλδία ἀπὰν**) შემწვარი, მწვანილებში და ხახვი ამოსვრილი ხამსა, რომელსაც კეცის ზედაპირზე და ზემოდან ლეღვის ან გოგრის ფოთლებს უფენდნენ.³⁴²

ზამთარი (თანამედროვე ბერძნ. **Χειμώνας**) ორი ტერმინით: «**Χειμωγκόν**» და «**Σειμογκόν**» აღინიშნება პონტოელ ბერძნებთან და ჩვენი რეგიონის მაცხოვრებელთა მეტყველებაში ორივე მათგანს იყენებენ.³⁴³

წელიწადის დროებთან მიმართებაში ერთ საინტერესო გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: აჭარაში მცხოვრებ ბერძენ ემიგრანტთა გვარებში შეინიშნება იმ გვარების არსებობა, სადაც დომინირებს სიტყვები ზამთარი და თოვლი, როგორც ეს გამოიკვეთა გვარებში: **Σόνους, Χιονίδης, Χειμωνίδης, Κακοσιμίδης** და სხვა. ზემოხსენებულ პირველ ორ გვარს **Σόνους** და **Χιονίδης** საფუძვლად უდევთ სიტყვა «**χιον**» – თოვლი შესაბამისად ეს გვარები ქართულად ითარგმნება როგორც თოვლიძე, ხოლო **Χειμωνίδης** და **Κακοσιμίδης** სათავეს იღებენ სიტყვიდან «**χειμώνας**» – ზამთარი და ქართული ზამთარაძის შესატყვის ვარიანტს წარმოადგენენ. ვინაიდან ზამთარი და თოვლი ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენაა, ამიტომაც მოიაზრება ხალხში ეს გვარები ერთი მნიშვნელობის ნათესავურ გვარებად.

ცხადია, ზამთართან დაკავშირებული გვარების სიმრავლე უბრალო შემთხვევითობას არ წარმოადგენდა; წელიწადის ამ დროის მიმართ პონტოელი ბერძნები დიდ ყურადღებას იჩენდნენ და მისი მოსვლისთვის ადრინადად ემზადებოდნენ; განსაკუთრებით სოფლების მაცხოვრებლები, ვინაიდან აქ საკმაოდ მკაცრი ზამთარი იცოდა. როგორც მ.მურატიდუმ მოგვითხრო ამ თემასთან

341 <http://www.pontos-news.gr/article/20328/simera-sto-ponto-etrogan-hapsia-i-syntagi-tis-imeras>

342 სემ, დღიური I- 101.

343 სემ, დღიური I- 102.

დაკავშირებით, «Για τὸ χειμῶγκόν, για τὸ βίον ἐποίνα με τὰ χορτάρια, ἐξερίοναμ' ἀτά, ἐποίναμε τὰ θεμόνια καὶ ἐφύλαγαμ' ἀτά. Σὰ χωρία ἔρουζε πολλά χιόν' καὶ ὅλα ἔπρεπε νὰ εἶχαμε σὸ σπίτ'. Ἐξερίοναμε τὰ λιφόρια, ἐξερίοναμε τὰ γαράμισια, τὰ ἀπίδια, τὰ κοκκίμελα, χουρμα... Ὡσον ἄρρωστον καὶ νὰ μὴν ἔτονε κάποιος, τὰ λιφόρια ἄμον γιατρικόν ἔτονε σὸ σπίτι. Τὰ ψιλὰ χουρμάδες βάλναμε ἀτά ἀπάν σὸ ταβάν ... Τὸ Χειμῶγκόν κατήβαζαμε ἀτά καὶ τρώγαμε ἀτά. Τὰ ξερά τὰ φρούτα ἐλέγαμ' ἀτά τσίρια. Ἀσὰ τσίρια ἐποίναμε χოსσάφ. Ἀέτς πὰ ἔτρωγαμε ἀτά, ἅμα χოსσάφ πὰ ἐποίναμε Κάποια εἶχανε τρανά πιπιλία καὶ μ' ἐκείνα ἐποίναμε περισσόν χოსσάφ. Τὰ φρούτα ἐξαίρεναμε σὸ φουρνίν πὰ. Σὸ φουρνίν ἐποίναμε τὰ καλύτερα τὰ φούρνικα ἀσὰ τσουπάδια. Τὰ τσουπάδια ἔλεθαμ' ἀτά σὴ χαμελέτην. Ἐμεῖς σὸ χωρίον (Σὴν Τάκοβα) εἶχαμε χαμελ' ἔτην. Μ' ἔ' ἀτά (τὰ φούρνικα) ἐπείναμε φαῖν καὶ ἔλεγαμ' ἀτὸ χασίλια. Τὰ χασίλια ἔτρωγαμε μὲ τὰ ξύγαλα ἢ μὲ τὸ γάλα» („ზამთრისთვის ვამზადებდით ბალახს, ვახმობდით, ვდგამდით ზვინებს და ვინახავდით. სოფლებში დიდთოვლობა იცოდა და ყველაფერი უნდა გვექონოდა სახლში: ვახმობდით მოცვის, წყავს, მსხალს, ტყემალს, ხურმას.... რაც არ უნდა ავად ყოფილიყო ვინმე, მოცვის ნამალივით ვიყენებდით. წვრილ ხურმას ქერში ვინახავდით, ზამთარში ჩამოვიღებდით და ვჭამდით. გამხმარ ხილს ვეძახდით ჩირი. ჩირისგან კომპოტს ვამზადებდით, მშრალადაც მივირთმევდით. დიდი კურკების მქონე ხილიდან კი უფრო მეტად კომპოტს ვაკეთებდით. ხილს ფურნინში ვახმობდით. ფურნინში სიმინდისგან ვამზადებდით საუკეთესო ფურნიკას (მოხალულ სიმინდს), რომელსაც წისქვილზე ვფქვავდით. ჩვენს სოფელში (დაგვაში) საკუთარი წისქვილი გვექონდა. მოხალული, დაფქვილი სიმინდით ვაკეთებდით „ხასილია“ს. (პონტოელ ბერძენთა ტრადიციულ ფაფისებურ კერძს), რომელსაც მანვით ან რძით მივირთმევდით“).³⁴⁴

სოფელ საჩინოს მკვიდრმა, კ. პაპადოპულომ კი ზამთართან დაკავშირებით მოგვითხრო: «Τὸ χειμῶγκόν ἐμεῖς ἀδὰ τὴ δουλείας κ' εἶχαμε, ἀρ τὰ δουλείας τὴ σπιτ'. Ἄλλο ἔξω τὴ δ' ἔκὶ πόρναμε νὰ φτάμε, ἀδὰ ἐφτάει πολλά χιόν. Ἐμεῖς εἶμεῖς ἐτοιμαζμέν... Για τὸ χειμῶνα εἶχαμε τὰ ἀλεύρια, τὰ φασούλια, τὰ καρτόφια, κρομμύδια, ὅλα... Ἐτοιμα φαῖα πὰ εἶχαμε, ἐπείναμε σὰ πάνκας, ἀρ ὅτι φαῖα εἶχαμε, βούλωναμε καὶ ἔσκοναμε.», რაც ნიშნავდა შემდეგს: „ზამთარში აქ (სოფელში) ჩვენ მხოლოდ სახლის საქმეებით ვიყავით დაკავებული. გარეთ არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო. აქ დიდთოვლობა იცის.... ზათრისთვის მზად ვიყავით: მომარაგებული გვექონდა ფქვილი, ლობიო, კარტოფილი, ხახვი, ყველაფერი... მზა საქმელებიც გვექონდა, რაც გაგვაჩნდა, ყველაფერს ქილებში ვხუთავდით და ვინახავდით“.³⁴⁵

დამარილებული ხამსის გარდა, ზამთრისთვის სოფლად ინახავდნენ ოჯახში დამზადებულ ყურუთს (Τσορτάνια), მშრალ ხაჭოს (Ξυρῶνμιντζίν), მარილიან კარაქს (Αλικόν βούτυρον, πάστονα ἀτὸ) და სხვა. ასევე ამზადებდნენ წვნიანს, ჩორბას (Τανομένον σορβὰ, სორβάν) და ხშირად სვამდნენ ჩაის (ძირითადად შავ ჩაის – περισσόν τὸ μαύρον τὸ τσάι).³⁴⁶

344 სემ, დღიური I- 103.

345 სემ, დღიური I- 104.

346 სემ, დღიური I- 105.

პონტოელ ბერძენთა სამზარეულოზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ის ძირითადად ბოსტნეულისა და რძის პროდუქტებისგან დამზადებული კერძებით გამოირჩეოდა და ეს იმიტომ აიხსნება, რომ პონტოში სწორედ ამ პროდუქტების ქონის საშუალება ჰქონდათ. თუმცა, იმდენად მრავალფეროვან კერძებს ამზადებდნენ, რომ ხორციანი კერძების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდნენ, პირიქით, ეს მათ მარხვის დაცვასაც უადვილებდა.

კვირის დღეები პონტოურ დიალექტში მოიხსენიება, როგორც «**Τὰ ἡμέρας τῆ εβδομάδα**», ისევე როგორც თანამედროვე ბერძნულში «**Οι μέρες της εβδομάδας**». განსაკუთრებით მკვეთრი სხვაობა არც კვირის დღეების სახელწოდებების შემთხვევაში იჩენს თავს; კერძოდ, ორშაბათს პონტოელ ბერძენებთან «**Δευτέρα**» ჰქვია, ისევე როგორც თანამედროვე ბერძნულში – «**Δευτέρα**» სამშაბათს – «**Τρίτη**» (თან. ბერძნ. – **Τρίτη**), ოთხშაბათი გამოიხატება ტერმინით «**Τετάρτη**» (თან. ბერძნულში – **Τετάρτη**), ხუთშაბათი – «**Πεφτ**» (ბერძნ. **Πέμπτη**), პარასკევი ორივე შემთხვევაში აღინიშნება სიტყვით «**Παρασκευή**». რაც შეეხება შაბათს, პონტოურ დიალექტში მისი აღმნიშვნელი ტერმინია «**Σάββα**» (ბერძნ. – **Σάββατο**), ხოლო კვირა პონტოელ ბერძენებთან «**Κερεκ ἡ**»-ა (ბერძნ. – **Κυριακ ἡ**).

პონტოურ დიალექტში კვირის ყველა დღე მდებარეობითი სქესის არსებითი სახელითაა გადმოცემული, მაშინ როცა თანამედროვე ბერძნულში კვირის ყველა დღე ასევე მდებარეობითი სქესისაა, გარდა შაბათისა (იგი საშუალო სქესის არსებითი სახელითაა გადმოცემული).

კვირის დღეებთან დაკავშირებით განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენდნენ აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძენები, რაც თავისთავად აისახა მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ტრადიციებში. სწორედ ეს თავისებურება დაგვეხმარა უკეთ დაგვეჩვენა საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ მათ თანამემამულეებთან არსებული განსხვავებული მსოფლმხედველობის დანახვასა და წარმოჩენაში.

თ. შავკანი-პარასკევოპულოს გადმოცემით „უფალმა ასე თქვა: ერთ კვირას გჩუქნით თქვენ (აღამიანებს) რაც გინდათ გააკეთეთ, მაგრამ კვირა დღე ჩემთვის დაიტოვეთ, ჩემს სახლში მოდიეთ. ეკლესია ღვთის სახლია! მოდიეთ, შემევედრეთ, მეტანია გააკეთეთ“: «**Ὁ Θεός ἀέτις εἶπεν, ντὸ ἕναν βδομάδα χαρίζω σὰς, ὅτι θέλετε πεισεῖτε, ἅμα Κερεκὴ ἡμέρα για τεμένῆν, νὰ ἐρχουστουνσ' ἐμόν σ' οσπίτ... (Ἐγγλεσιᾶἔν τὸ σπιτ' τῆ Θεοῦ). Νὰ ἔρχεσθε, νὰ παρακαλεῖτε, νὰ φτάτε μετάνιας**».³⁴⁷

ზოგადად, პონტოელ ბერძენთა ტრადიციების თანახმად, ორშაბათ დღეს «**Τὴν Δευτέρα**» მიღებული იყო დიდი საქმის დაწყება, მაშინ როცა ჩვენს მიერ ჩანერილ მასალებში ეს არ დასტურდება და ორშაბათს გარკვეული აკრძალვებიც უკავირდება: ორშაბათს მოიხსენიებენ ისეთ დღედ, როცა იკრძალებოდა ტანის დაბანა: «**Τὴν Δευτ'ρα κὶ γύνεται νὰ λούσκεσαι, κ' ἔν καλὸ**».³⁴⁸

347 სემ, დღიური I- 156.

348 სემ, დღიური I- 157.

პონტოში სამშაბათს «Τὴν Τρίτη» მიიჩნევდნენ მძიმე დღედ, აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები კი პირიქით, აღნიშნავენ: «Ἡ Τρίτη ἔτονε ἡ καλύτερη ἡμέρα» ანუ „სამშაბათი საუკეთესო დღე იყო“, ითვლებოდა, რომ ამ დღეს გაკეთებული საქმე კარგ შედეგს გამოიღებდა³⁴⁹

ოთხშაბათი «Ἡ Τετάρτη» პონტოში მიიჩნეოდა ოთხფეხა ცხოველების მოწესრიგებისთვის შე-საბამის დღედ: «Ἡ Τετάρτη γιὰ τὸ τέσσερα ποδάρ το κτίνον ἐν καλόν», ჩვენს რეგიონში მიგრირებულ-თა თქმით კი: «Ἡ τετράδ' κ' Παρασκευὴ Θεοτικὰ ἡμέρα ἔ ν, ἐπορεῖς νὰ φτας κατ' γιὰτ' αποθαμέντς, νὰ ἀγγεὺ' σ' ατς» ესე იგი „ოთხშაბათი და პარასკევი ღვთის დღეებია, შეგიძლია რამის გაკეთება მათ სახელზე, მათ მოსახსენებლად“³⁵⁰

ხუთშაბათი «Ἡ Π' φτ'» იყო ყველაზე ხელსაყრელი დღე ნებისმიერი საქმისათვის, «Ἡ Π' φτ' ἐν πολλὰ καλόν ἡ μ' ραν» და ამ აზრს იზიარებდნენ აჭარის რეგიონის მცხოვრებნიც³⁵¹

პარასკევს «Ἡ Παρασκευὴν» იკრძალებოდა დაბანა, ეს დღე ითვლებოდა მიცვალებულთა მოხსენიების დღედ და მიღებული იყო სასაფლაოებზე გასვლა: «Ἄμα ἐλούστες τὴν παρασκευὴν ἐφτά φορὰς, μὴν λογαριάζεις ντὸ εἶσαι βαφτιμ' σος, χανς τὴν βίφτηση σου» – როგორც ამ გამონათქვამშია აღნიშნული, „თუ შვიდჯერ დაიბან ტანს პარასკევ დღეს, ნულარ ჩათვლი თავს მონათლულად, კარგავ ნათლობის მადლსო“³⁵²

შაბათი «Ἡ Σάββαν» იყო სისუფთავის დღე. შაბათობით მიღებული იყო სახლის დალაგება, ტანის დაბანა და ეკლესიაში მოწესრიგებული წასვლა: «Τὴν Σάββαν πὰ πρεπ' νὰ λουσκεισαι καὶ νὰ πας σὴν ἐγγλεσία λουσμ' σος» შაბათს საღამოდან მოყოლებული მთელი კვირა დღის ჩათვლით იკრძალებოდა ოჯახის საქმეების კეთება, ნაგვის გადაყრა, ეს იყო დასვენების დღე. როგორც ერთ-ერთმა რესპოდენტმა განმარტა: „შაბათ საღამოდან მოყოლებული კვირას საღამოს ჩათვლით იკრძალებოდა ნემსის ხელში დაჭერა, რათა არ ეჩხვლიტათ ეშმაკისთვის და შემდეგ ეშმაკს არ ევნო მისთვის“ – «Τὴν σάββα ἀσὸ βράδν ὡς τὴν Κυριακὴ τὸ βράδον τὸ βελόν κὶ κράτνε γιὰ νὰ μὴν τσιμπὰ τὸν διάβολον καὶὸ διάβολος πὰ νὰ μὴν ἐφτᾶει κακόν σ' ἐκείνον»³⁵³

თუკი ვინმე კვირა დღის «τὴν Κερεκὴ τὸ ἀτιάτ» ადათს დაარღვევდა, მიიჩნევდნენ, რომ მთელი კვირის საქმეები უკან წავიდოდა, ფუჭად კეთდებოდა, რაც კარგად ჩანს გამონათქვამში: «Ἡ εβδομάδα ντὸ φέρνει, ἡ Κερεκὴ τὸ παίρνει» – „მთელ კვირას რაც მოაქვს, კვირა დღე წაიღებსო“ ანუ თუ მთელი კვირა იღვანე და კვირის ადათი არ დაიცავი, იმუშავე, წინა დღეებში გაკეთებულებიც ფუჭი იქნებაო. ასე რომ, ცდილობდნენ კვირა დღის ადათი მკაცრად დაეცვათ: «Τὸν ἔργον- τὰ ἐξεργάδια κὶ δούλευαν» (დანართი2:169).

აჭარაში მიგრირებულ პონტოელ ბერძენთათვისაც ცნობილი ყოფილა კვირის დღეებთან დაკავშირებული შემდეგი მოკლე ლექსი:

- 349 სემ, დღიური I- 158.
- 350 სემ, დღიური I- 159.
- 351 სემ, დღიური I- 160.
- 352 სემ, დღიური I- 161.
- 353 სემ, დღიური I- 162.

Δευτ'ρα, Τρίτ', Τετράδ' και Πεφτ', Παρασκευή δουλέω ,

ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს ვმუშაობ,

Τὴν Σάββα τρώγατὰκαι Κερεκ ἡγυρένω»(Ευσταθιάδης.1992:205).

შაბათს ყველაფერს მზას მივირთმევ და კვირას კი – ვსეირნობ.

კვირის დღეებთან პონტოელი ბერძნების დამოკიდებულებას სრულად გადმოგვცემს ქვემოთ მოყვანილი ლექსი:

Τὴν Δευτ'ραν 'κι δουλέν'νε οἱ τεμπ'ἄ' πῶς κετσινέν'νε;

ორშაბათს რომ არ შრომობენ, უქნარები როგორ ძლებენ ?

Ἄψοντ' ἄψιμοσ' τὴν Τρίτ' και μὴ καίεισε τὸ κίρπ'τ' .

ანთე რაც უნდა ანთო სამშაბათს, ასანთმა არ გავნოს

ΤὴνΤετράδ' αντρωξελάδ' κόφς και τὴ δαβόλ' τ' ουράδ'.

ოთხშაბათს თუკი ზეთს შეჭამ, იცოდე კუდს მოაჭრი ეშმაკს,

Θὰ κοιμούμ' ὄλεν τὴν Π'φτ' αρνίμ' κἄτς φοοόμε κλ'φτ'.

ხუთშაბათს მთელ დღეს დავიძინებ, არ მოგიპარონ ჩემო ბატკანო

Ἡ Παρασκευ ἡκλαμ'σων λημονέν'νε ἀποθαμ'σων.

დატირებულ პარასკევ დღეს ვიხსენიებთ გარდაცვლილებს

Σάββα δ'βα 'ςτὴν δουλεύασ' ἔλα ἐφτάμε ἐμεῖς φίλ'ας.

წადი სამსახურში შაბათს, მოდი ვიმეგობროთ კვლავაც

Σ ἡμερον ἔν' Κερεκ ἡ στὰ ὀλίγον κί ἐπεκεῖ.³⁵⁴

დღეს კი არის კვირა დღე, შეჩერდი, მერე ისაქმე.

კალენდარულ და საოჯახო-სანესჩვეულებო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ციკლს აერთიანებს პონტოელ ბერძენთა ერთი საინტერესო ტრადიცია – **მომოლერი (მომოერი).**

მომოერი'ს სახელწოდების დღესასწაული პონტოელ ბერძნებში ახალი წლის, შობისა და ნათლობის, ასევე, საქორწინო წყვილთა ნიშნობის დროსაც იმართებოდა. იგი ლარისა დემუროვასა და ჩვენს მიერ ადრეც ქობულეთისა და ხელვაჩაურის რეგიონის პონტოელ ბერძნებში დაფიქსირდა. **მომოერი** წარმართული პერიოდიდან მომდინარე დღესასწაული იყო, რომელსაც ფუნქცია გვიანობამდე ჰქონდა შენარჩუნებული. მონაწილეს ამა თუ იმ როლის შესრულებაში იმპროვიზაციის სრული შესაძლებლობა ეძლეოდა. დღესასწაულის მთავარი პერსონაჟები სხვადასხვა მორთულობის შავ ნიღბებს იკეთებდნენ, ე. ი. სხვებისაგან განსხვავებულად იცვამდნენ, სახეს ნახშირით იღებავდნენ ანდა ნიღბებით იფარავდნენ, გამოტრიალებული სახით ნადირის ტყავს იცვამდნენ. დღესასწაული საღამოს იწყებოდა და გვიანობამდე გრძელდებოდა. მასში უმთავრესად ისინი მონაწილეობდნენ, ვინც იუმორითა და მოხერხებული სიტყვა-პასუხით გამოირჩეოდნენ (Демурова,

354 <https://pontiakilelapa.wordpress.com/2012/01/09/%CF%80%CF%89%CF%82-მობედვით>

1985:16-17). **მომოერი**'ს აღნიშვნისას მონაწილე მამაკაცები ქალის კაბას გადაიცვამდნენ და სოფელში კარდაკარ დადიოდნენ, თითქმის ყველა მოსახლეს ჩამოუვლიდნენ და საშობაო სიმღერებს მღეროდნენ, მაგალითად, ისეთებს, როგორებიც იყო „ხრისტოს ანესტის“ – „ქრისტე აღსდგა“. ოჯახებს დღესასწაულში მონაწილეები ბარაქას, სიკეთეს უსურვებდნენ. მათ ტკბილეულით, სხვადასხვა ნუგბართა და ღვინით უმასპინძლებოდნენ. ამ წეს-ჩვეულების ზოგიერთ ასპექტს ჩვენ ყურადღება ზემოთაც, ქართველურ-ბერძნული ურთიერთგავლენების დახასიათებისას მივაქციეთ. მითო-რელიგიათა ამ სისტემის ნაწილი პონტოელ ბერძენთა მეხსიერებაში ასახული ე. წ. **მომოერი**, უმეტესად, ახალი წლის დღეს სრულდებოდა, მაგრამ ყველა დღესასწაულის პერიოდში, მათ შორის, ქრისტიანული დღესასწაულების დროსაც, მათი შესრულება მის არა მარტო გავრცელებულობასა და მასობრიობაზე, არამედ სიძველეზეც მიუთითებს. საბჭოთა პერიოდში ეს დღესასწაული დავიწყებას მიეცა, მას აღარ აღნიშნავდნენ, თუმცა ბერძენთა კოლექტიურ მეხსიერებას იგი დღესაც შემორჩა, რაც დღესასწაულის რეკონსტრუქციის საფუძველი გახდა.

თანმიმდევრულად მივყვეთ დღესასწაულის სიუჟეტურ და თემატურ განვითარებას.

1. მონაწილეები: **მომოერი**'ს დღესასწაულის მონაწილეები ადამიანთა ჯგუფი, დაახლოებით შვიდი-რვა ანდა უფრო მეტი ადამიანი იყო, შესაძლოა თორმეტიც კი ყოფილიყო, რომელთაგან რამდენიმე ძირითადი პერსონაჟი გამოიყოფოდა. ესენი იყო: ა) **ფადიშაჰი**, ბ) **ემშაკი (შეითანი)**, გ) **მოლა**, დ) **მკურნალი**, ე) **ფატიმა**, ვ) **მუსიკოსი**, ზ) **ოფიცერი**; თ) **ქალის კაბაში გადაცმული მამაკაცები**;

2. ჩაცმულობა და გრიმი: შავი ნიღბები, ნახშირნასმული სახეები, გამოტრიალებლი ნადირის, უმეტესად, ცხვრის ტყავი;

3. კონკრეტული შემსრულებლები: მთავარი პერსონაჟები – ფატიმა და ფადიშაჰი, სუჟეტის ქარგის ბირთვი – ემშაკი, მოლა, მკურნალი – ექიმი და ოფიცერი, მუსიკის თანხლებით მომღერლები და მოცეკვავენი, ძირითადად, ქალის კაბაში გადაცმული მოცეკვავე მამაკაცები.

შინაარსი: პონტოელ-ბერძენთა გართობა-თამაშობების დროს ქალის კაბაში გადაცმული რამდენიმე მამაკაცი ცეკვას იწყებდა, მათ შორის ფადიშაჰიც იყო. ფადიშაჰი ბასრ-დაბოლოებიანი ნითელი ქუდით გამოირჩეოდა და მუსიკის თანხლებით მღეროდა. მუსიკას დამსწრეები უკრავდნენ. ექიმი და ოფიცერიც მღეროდა. ისინი ეზოშიც სიმღერით შედიოდნენ, ბუნებრივია, მუსიკის თანხლებით. თანდათანობით მთელი გუნდი აცეკვდებოდა და ერთმანეთს ეხუმრებოდა. შემდეგ ფადიშაჰს ავადმყოფობის სცენას გაითამაშებდნენ. უეცრად **ფადიკა**, უფრო ზუსტად, ის მამაკაცი, რომელიც ქალის ტანსაცმელში იყო გამონყობილი ავად ხდებოდა. ფადიკა ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა, თითქოს ძირში ვარდებოდა. ექიმის მოსაყვანად მიდიოდნენ, ყველას შეწუხებული სახე ჰქონდა და ექიმს ელოდებოდა, მაგრამ მის ნაცვლად ემშაკი – **შეითანი** ცხადდებოდა. ემშაკი, რომელსაც ნიღაბი ეკეთა, გახვეული იყო ცხვრის ტყავში, ე. წ. **მომოერი**'ში და ნაქცეულს ჯოხით სცემდა. იგი ექიმის როლს გაითამაშებდა, მაგრამ მას სწრაფად მიუხვდებოდნენ. ამ დროს ყველანი ყვიროდნენ. საერთო მხიარულებისა და სიცილის ფონზე შეითანი ექიმი ავადმყოფს ჯოხით

სცემდა. ამ დროს, მოულოდნელად, ჟანდარმი გამოჩნდებოდა, ეშმაკს შენიშნავდა და გარემოდან გააგდებდა. მოვიდოდა მოლაც, რომელიც ფულის თხოვნას იწყებდა, თუმცა ფულის გამო მასთან ვაჭრობა იწყებოდა. მას თავზე ცხვრის ტყავი ჰქონდათ შემოხვეული. მას ზოგჯერ ექიმი ცვლიდა. ისიც ავადმყოფს მკურნალობდა და მკურნალობაში ფულსაც ლებულობდა. იგი მოღუნებული, მაგრამ საკმაოდ ცბიერი იყო, ავადმყოფს წამალს აძლევდა. ავადმყოფს წამლის დაღევა არ სურდა და ამ მხიარულებისა და ხუმრობების დროს საბოლოოდ მას აიყვანდნენ და გარემოდან გააძევებდნენ (დანვრ.: Демурова, 1982:15-16). ბერძნული ხალხური თეატრის ამ ვერსიაში შემდეგი სიუჟეტებიც მძაფრად და მხიარულად ვითარდებოდა. ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც სადღესასწაულო-საკარნავალო ნიღბებს იკეთებდა და წითელ ბასრ-დაბოლოებიან ქუდში ეშმაკს – ფადიშახს, შაითანს, მოლას, ფატიკას, ნიშნობის შემთხვევაში, პატარძალს და სხვებსაც განასახიერებდა, ხუმრობისა და სიცილ-გართობის ფონზე გარკვეული სიუჟეტების თეატრალურ ინსცენირებას ახდენდა, შემდეგ კი მონაწილეები სოფლის მეკომურებს სტუმრობდნენ. სოფლად მათ ყველა უმასპინძლებოდა. საკვებს ისინი ჩანთაში აგროვებდნენ. მასპინძლები მათ სიხარულით ელოდებოდნენ იმიტომ, რომ მათთან მხიარულება, ხუმრობები, გართობა და სიმღერები იყო დაკავშირებული. საბოლოოდ, ისინი სოფლის რომელიმე წევრის სახლში რჩებოდნენ და სადღესასწაულო სუფრასთან სხდებოდნენ. ხალხური კარნავალისა თუ მასკარადის აღმნიშვნელად პონტოელ ბერძნებში ტერმინი **მომოერლუხ**’იც დასტურდებოდა, რომელიც საყოველთაოდ შობისა და ახლი წლის დღეებში ეწყობოდა, თუმცა, როგორც პონტოელი ბერძნები განმარტავდნენ, იგი უმეტესად ახალი მთვარის საპატივცემულოდ სრულდებოდა. ბავშვები მეზობლის სახლებს სიმღერით დაივლიდნენ. მასპინძლები მათ ფულით, ტკბილეულობითა და ხილით უმასპინძლებოდნენ (შდრ. Демурова, 1983:40). პონტოელ ბერძნებში ცეკვებიდან ცნობილი იყო ე. წ. **ომალია**, როცა ადამიანები წრეში დგებოდნენ და მელოდიასთან შესატყვისობაში ნელ-ნელა რიტმულად მოძრაობდნენ; **ტრიგონა** – ამ ცეკვის დროსაც მონაწილეები წრეში დგებოდნენ და ერთი, ორი და სამის წამოძახილზე ხელებს წევდნენ, ამოძრავებდნენ და ნაბიჯს წინ დგამდნენ; **შერიანიცა**. **შერიანიცა**’ც ტრიგონიას მსგავსი ცეკვა იყო, ასევე, ყურადღებას **მიტერიცა** იქცევდა. მიტერიცას ცეკვისას ადამიანები წრეში ტრიალებდა. მოცეკვავეთაგან ერთ-ერთი წრიდან გამოდიოდა და წრის ცენტრში დგებოდა. იგი მისთვის წყვილას ირჩევდა, რომლებიც წრის ცენტრში ერთად ცეკვავდნენ; საიტერესო იყო ცეკვა **კოჩარი**’ც. **კოჩარი**, როგორც პონტოელი ბერძნები თვლიდნენ, მათ სომხურიდან ჰქონდათ შეთვისებული (იხ.: Демурова, 1983:39).

„მომოღერების ტრადიცია“ აჭარაში ძალზე ყოფილა გავრცელებული, მთქმელები დღესაც მოგვითხრობენ მის შესახებ: «Τὰ Μωμογέρε ἔρχουσανε σὸ Νέον Ἔτος, ἔρχουσανε σὰ Χριστοῦγεννα, ἔρχουσανε νέα παιδία, ἅμα γεροντάτες πὰ ἔσανε.... Ἐρχουσανε σὴν πόντας καὶ ἐρχίνα νε καὶ ψάλνανε. Ἐψάλνανε ἅμα κὶ θὰ ἐγνώριζες ατς! Φόρνανε ἄλλα λώματα, βογιαδίσκουζανε πὰ καὶ ἐνίκανε ἐκείνος ντὸ οἰάλλ κὶ γνάρζανε. Σὰ Μωμογέρε χρήμαν ἐδείνανε, ἅμα ἐδείνανε ἄλλα πράματαπὰ: τσουρέκια, γλυκίσματα, ὅλα εἶχανε....καὶ ἄραέτς γυρνουσανε σ’ὄλο τὸ χάρις!» („მომოღერები“ ახალ

ნელს და ქრისტეშობას მოდიოდნენ ხოლმე, მოდიოდნენ ბავშვები და ხანდაზმულებიც. მოადგებოდნენ სახლის კარს და სიმღერას იწყებდნენ. მღეროდნენ, მაგრამ არ უნდა ამოგეცნო ვინ იყო. სხვა ტანსაცმელი ეცვათ, სახესაც იღებავდნენ... მათ შორის სწორედ ის გაიმარჯვებდა, ვის ვინაობასაც მასპინძელი ვერ დაადგენდა. მომოდერებს ფულის გარდა სხვა რაღაცეებსაც აძლევდნენ: საახალწლო ღვეზელს, ტკბილეულს, რაც ჰქონდათ ოჯახში და ამგვარად, კარდაკარ ჩამოივლიდნენ მთელ სოფელს“).³⁵⁵

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა დღესასწაულებში ბერძნული **მომოერი**'ს მსგავს გართობა-თამაშობებს **ქურთობა**'სა და **ფატმა**'ს ეძახდა. **ქურთობა** და **ფატმა** მონაწილეთა სახელდების მიხედვით იყო მარკირებული. რატომ იყო ქრისტიანული ისე, როგორც მუსლიმანი მოსახლეობისათვის ქურთობაში, ფატმა-ფათიკაში, სადაც მოლასა და შეითანის, ყაენის – მონღოლისა და სხვათა მონაწილეობა, აუცილებელი იყო. ხომ არ იყო ეს ოსმალეთში გამუსლიმანებული, მათ შორის, ქრისტიანული მოსახლეობის სამხედრო შინაარსის კონფროტაციული თეატრალიზებული ხალხური გართობა, სადაც წარსულის სინამდვილე იუმორისტულ თუ შეფარულ სტილში იყო გადმოცემული ისე, როგორც ეს ფარული ქრისტიანების ცხოვრების წესში განხორციელდა, მოგვიანებით, გაუცნობიერებელი სახითაც კი. **ფატმა** შინაარსობლივად თითქოსდა **მომოერი**'საგან ოდნავ დაცილებულია, რადგან იგი შუამთობის დღესასწაულის დროს, ქორწილის პერიოდში თუ ნადის პროცესში იმართებოდა. აქ მოქმედი პირი დედოფალი – გასათხოვარი ქალი ფატმა იყო, მაგრამ, როგორც მომოერში, ისე ფატმაში როლებს ქალურად ჩაცმული მამაკაცები ანსახიერებდნენ. ფატმა – ქვრივი იყო და სიუჟეტიც შესაბამისად ვითარდებოდა. **მომოერი**'ეს უფრო **ქურთობა** ჩამოგავდა. იგი, როგორც აღნიშნავენ, იმპროვიზაციული მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. მონაწილეთაგან გამოიყოფოდა ფატმა, ქურთი და ფატმას ძმები: ექვსი ქურთი, სიძე, სასულიერო პირი – ხოჯა, მუხტარი, დობტორი, იგივე, ექიმი. ყველანი სხარტნი, მკვირცხლნი, ენამახვილნი და სათანადო მსახიობური ნიჭით დაჯილდოვებულნი იყვნენ. აქაც მამაკაცები ქალის ტანსაცმლით იყვნენ შემოსილნი, ნახშირით შემურულნი, ტანზე ძველმანები – თხის, ცხვრის ტყავი ეცვათ, ქუდიც ძველი – შელახული ეხურათ. ხმლები და ჯოხები გართობა-თამაშის ცალკე სანახაობითი მხარე იყო, რომელიც ქურთებს ჰქონდათ და ამით ფატმას იცავდნენ. ეს სანახაობაც ნიგალის ხეობაში საკმაოდ ხანგრძლივი და სიუჟეტურადაც კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყო (დანვრ. იხ.: მალაყმაძე, 2008:144-148). ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებითაც, კლარჯეთში, მარადიდის მიმართულებით, ამ დღესასწაულს **ქურდობინა**'ს ეძახდნენ. ამ გართობა-თამაშშიც შვიდი ადამიანი მონაწილეობდა. როგორც ისინი მოგვითხრობდნენ – „გამოესხრიკებიან ხალხი, ცემენ, გოგოს ვინცა გააქცევს. ქალის ფისტანი ჩეიცმევენ, ერთი გოგო გახდება, სხვები ქურთის კაცები, ცხვრები ტყავისგან ქურთუკს ჩეიცმევენ, თავზე ყაბალახს გეიკეთებენ. მოვდენ იაილების შუაში და იფერხულენ

355 სემ, დღიური I- 117.

– ხორომ ფერხულობენ. დიდი გახდება ფერხული. დეეტოლებიან მოფერხულებს ეს შვიდი კაცი. ვისაც კი გოგო თვალი მიაჭრავს, მივა, მიეხვევა და გეიქცევა. ქურდები დეენევა და ცემენ, იცინიან და იფერხულებენ. გოგო ავად გახდება და მეორე ქურდი დოქტორობს, გასინჯავს, ჰაქიმი გახდა, ფული უნდა, ეფერება. დოქტორი დაასხამს წყალს, გოგო წამოხტება და გეიქცევა. ამ გოგოს მუცელში ბალიში აქვს, ვითომ ორსულადაა. გოგოს ყავარ-ბედევრას საჯდომზე დაცხებენ“.³⁵⁶ აჭარაშიც ბოლო პერიოდამდე კარგად შემოინახა ბერიკაობის (ბერიკაობის დღესასწაულის შესახებ კონკრეტულად იხ.: რუხაძე, 1966; 1980:3-38) ნაირსახეობა – მამაკაცებისა და დედაკაცების მონანილეობით მუსიკალურ მელოდიაზე შესრულებული ცეკვა – **ფათიკო**, იგივე, **ფადიკო**, სანესო ფერხული – „ოჰოო, ნანო“, ასევე, „ქალების ხორომი“, ქალთა საფერხულო სიმღერა – „ნაი-ნაი, ნინაინა“. **ფადიკო** აჭარაში საქორწინო გართობა-თამაშობის სახითაც იყო შემორჩენილი, აგრეთვე, იგი შუამთობის დროსაც სრულდებოდა და, როგორც ვარაუდობენ, დოვლათის, ნაყოფიერების, სიუხვის, შვილიერება-გამრავლებისათვის გამართული საკულტო-მაგიური დღესასწაული იყო (თანდილავა, 1980:39). აქაც ექვსი კაცი და ერთი ქალი მონანილეობდა. მამაკაცები ქალის სამოსში იყვნენ გამონყობილნი და თეტრალურ სანახაობაში სხვადასხვა სახის სიუჟეტურ ინსცენირებას ახდენდნენ (იხ.: ნოლაიდელი, 1971:53; მსხალაძე, 1966:48; კახიძე, 1974:40; უფრო დანვრილებით იხ.: ლომთათიძე, 2014:75-69), თუმცა პონტოელ ბერძენთა ფადიკოსა და ჭოროხის აუზის მოსახლეობის ფათიკოებს ისე, როგორც ქართული მოსახლეობის ამ ტიპის გართობა-თამაშობებს შორისაც კი – ზოგჯერ სიუჟეტური სხვაობა მაინც იგრძნობდა, მაგრამ მათი არსი და ძირითადი ლაიტმოტივი იდენტური იყო. ნიშანდობლივია, რომ გართობა-თამაშობების ეს სახეობა, რომელიც **ფადიკო**’ს სახელს ატარებს ბოლო პერიოდამდე კარგად იყო შემონახული ქობულეთის იმ რეგიონის მოსახლეობაშიც, რომლის გარემოცვაშიც პონტოელი ბერძნები ცხოვრობდნენ, თანაც როგორც ეს პონტოელ ბერძნებში ქორწილის პერიოდში სრულდებოდა. საერთო დახასიათებით, **ფადიკო**’ც თამაში იყო, რომელსაც ღამის თორმეტ საათზე ქორწილში აწყობდნენ. ქობულეთლური ფადიკოსათვის ექვსი მამაკაცი და ერთი ქალი იყო საჭირო. ერთ კაცს ქალის ტანისამოსს ჩააცმევდნენ და ცალკე ოთახში გაიყვანდნენ. სწორედ ის იყო **ფადიკო**. შემდეგ ერთი მოთამაშე ცხენივით დაოთხილი დადგებოდა და მას ფადიკო შეაჯდებოდა. ერთი „ცხენს“ აღვირით წამოიყვანდა, სხვები კი – სიმღერით მისდევდნენ. ფადიკოს დანარჩუნებისათვის ორი მათგანი ერთმანეთს შეეცილებოდა. ვინც პირველად მოასწრებდა და ფადიკოს თეთრს ფულს გადააყრიდა, ქალიც იმას რჩებოდა. ბოლოს ეს ორი მოქიშპე მაინც შერიგდებოდა. დათქვამდნენ: „ერთს დღეე ჰყავდეს და მეორეს – ღამეო“ და ორივე ფულს გადააყრის. ფადიკოს ყურბანს შემოავლებენ და დაკლავენ. შემდეგ ცეკვა-თამაში იმართება. ცეკვის დროს ფადიკო იმალება. მოქიშპეები ერთმანეთს შარს მოდებენ და ჩოჩქოლი ატყდება. ბოლოს ფადიკოს იპოვნინან და ვახშმად დაჯდებიან. ნავახშმევს

356 სემ. დღიური II-058 (თურქეთი, 2013წ. მთხრობელი: ემრულაჰუსეინქესქიყურთ’ი (ყარასულვილი/ყარასულოდლი), სოფელი ბაგანი).

ერთ მათგანს დაეძინება, მეორე კი – ფადიკოს მიუწვება. შემდეგი სიჟეტებიც ამდაგვარ ქარგზე ვითარდება და საბოლოოდ საერთო მხიარულების ფონზე სიცილით, ჟრიაშულითა და ფადიკოს გაშაირებით სრულდება (ნოლაიდელი, 2015:239-240).

პონტოელი ბერძნებისათვის ისე, როგორც მსოფლიოს ყველა ხალხისათვის ხალხური, მათ შორის, ქრისტიანული დღესასწაულები განსაკუთრებული იყო და მისი ცერემონიალური აღნიშვნა ყველას მოსწონდა. სხვათაშორის, ანატოლიაში, ოსმალეთის სახელმწიფოს ბოლო საფეხურებზე, თურქული თეატრი ხალხური თეატრიდან განვითარდა. პირველი მსახიობებიც ბერძნები, შესაძლოა სხვებიც, მათ შორის, სომხებიც იყვნენ. შემდეგ ქალის როლსაც მამაკაცები ასრულებდნენ და ეს მანამ გრძელდებოდა, სანამ თურქეთის თეატრმა თანამედროვე სახე არ მიიღო. პონტოელი ბერძნებისა და ქართველური სამყაროს ამდაგვარი კულტურული შეხვედრების ირგვლივ სხვა ტიპის უამრავი მასალაც არსებობს, რაც, ალბათ, მისი საინტერესო ისტორიული ღირებულებებიდან გამომდინარე განსაკუთრებული კვლევის ობიექტად უნდა იქცეს.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში მიგრირების შემდეგ ბერძნები მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთ სამშობლოს, საქართველოს მიწა-წყალზე, ქართველებთან თანაცხოვრების დროს ინარჩუნებდნენ როგორც მამაპაპისეულ ტრადიციებს, ასევე ფოლკლორს. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა კუთხეებში მყოფი მათი თანამემამულეებისგან სრულიად განსხვავებული ტერმინების და ვერსიების გამოყენებას, ადათ-წესების თავისებურად შესრულებას და სწორედ ეს განსხვავებები ხდის მოცემულ თემას საყურადღებოს.

აღსანიშნავია, რომ პონტოელი ბერძნები მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული შეუდგნენ ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებასა და პოპულარიზაციას. ამ მიმართულებით აქტივობის პირველი მცდელობა 1849წ. დაფიქსირდა, როცა ტრაპეზუნდის სასწავლებლის (ე.წ. **Φροντιστηρίου Τραπεζούντας**) ხელმძღვანელი, ფილოლოგი კონსტანტინოს ქსანთოპულოსმა (**Κωνσταντίνος Ξανθόπουλος**) გამოაქვეყნა ფილოლოგიური ნაშრომი სახელწოდებით „ტრაპიზონის და მიმდებარე ადგილების სიმღერები“ – **«Ἄσματα των παρά την Τραπεζούντα χωρῶν και ὀλιγα περί Τραπεζούντος»**, რომელშიც თავმოყრილია ტრაპეზუნდის რეგიონის მაცხოვრებელთა სიმღერები და მნიშვნელოვანი მასალები რეგიონის შესახებ. ამგვარად, ამ სახის ნაშრომის გამოქვეყნებით საფუძველი ჩაეყარა ენობრივი და ფოლკლორული მასალების შეგროვების დასაწყისს პონტოში.³⁵⁷ მოგვიანებით ამ საქმეში ჩაერთნენ სხვა პონტოელი ბერძნებიც, რომელთა შორის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით პერიკლის ტრიანდაფილიდისს (**Περικλῆς Τριανταφυλλίδης**) და სავვას იოანიდისს (**Σάββας Ιωαννίδης**). პ.ტრიანდაფილიდისი იყო პირველი პონტოელი ბერძენი, რომელმაც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გადაწყვიტა დაენერა თავისი სამშობლოს შესახებ, შეესწავლა ხელნაწერები, შეეგროვებინა ცნობები და ტრადიციები. (**Εγκυκλ. Ποντ. Ἑλλην** 2007(10):345).

357 **Σαπκίδη Όλγα «Ξανθόπουλος Κωνσταντίνος», Εγκυκλοπαίδεια Μείζονος Ελληνισμού Μ' ασία** <http://asiaminor.ehw.gr/forms/filePage.aspx?lemmaId=5598>; 1 მთხედვით

დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა პონტოელი ერის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში. ხალხური სიმღერების კვლევასთან ერთად პ. ტრიანდაფილიდისის სახელს უკავშირდება ზოგადად პონტოელი ერის ყოველდღიურობის ამსახველი ადათ-წესების და ხელნაწერების შესწავლა. ის გარემოება, რომ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ამგვარი სამუშაო პირველად მის მიერ იქნა განხორციელებული, მკვლევარის ნაშრომებს კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანს ხდის. უდიდესი კულტურული ფასეულობის მქონე პ.ტრიანდაფილიდისის წიგნები: „ბერძნული გენი პონტოში ან პონტოური დიალექტი“ («**Η εν Πόντω ελληνική φύλη ή τα Ποντιακά**»), თეატრალური დრამა „ლტოლვილები“ («**Οι Φυγάδες**»), რომლის წინასიტყვაობა შეიცავდა პონტოს შესახებ ბევრ ფასეულ ინფორმაციას). მესამე წიგნის გამოცემა კი, სადაც მწერალს სურდა შეგროვილი ფოლკლორული მასალების: სიმღერების, ტექსტების, ანექდოტების თუ სხვა შეტანა, სამწუხაროდ ვერ მოესწრო (**Εγκυκλ. Ποντ. Ελλην.** 2007(10):345).

აღსანიშნავია, რომ ფოლკლორული მასალების შეგროვება 1922 წლამდე ინტენსიურად მიმდინარეობდა პონტოში, 1922 წლიდან კი ბერძენთა მასიური მიგრაციის შემდეგ ეს საქმიანობა პონტოს საზღვრებს გარეთაც გაგრძელდა, რამაც ხელი შეუწყო პონტოური ფოლკლორული წყაროების რიცხვის ზრდას. სწორედ სავას იოანიდის კალამს ეკუთვნის პონტოს სხვადასხვა რეგიონის ისტორიული მოვლენების ამსახველი ნაშრომები: „ტრაპიზონის ისტორია და სტატისტიკა“ («**Ιστορία και στατιστική της Τραπεζούντας**»), რომელიც კონსტანტინოპოლში გამოიცა 1870 წელს (**Εγκυκλ. Ποντ. Ελλην.** 2007(4):122-123).

პონტოური ფესვების მქონე ბერძენმა პატრიოტებმა კვლევა თავიანთი წარმოშობის ადგილების გეოგრაფიის, ტოპოგრაფიისა თუ ტოპონიმის შესწავლით დაიწყეს. ამასთან, გააანალიზეს ისტორიული ფაქტები (დანყებული ძველი ეპოქიდან, დამთავრებული – თანამედროვეობით) და რა თქმა უნდა, გაითვალისწინეს იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემებიც.³⁵⁸ მათი მიზანი იყო შეძენილი ცოდნის დაფიქსირება და როგორც თანამედროვეებისთვის, ასევე მომავალი თაობებისთვის გადაცემა. პონტოელ ბერძენთა ფოლკლორის შესწავლაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის „ბერძნული დამწერლობის გამავრცელებელ საზოგადოებას“ («**Σύλλογος προς διάδοσιν των ελληνικών γραμμάτων**»).

პონტოს რეგიონის ფოლკლორული მასალების ამსახველი ერთიანი კვლევა არ არსებობს. გამოქვეყნებული წიგნები ან ზოგადად, პონტოელ ბერძენთა ფოლკლორის შესწავლას ეხება, ან რომელიმე კონკრეტულ საკითხს. თვალსაჩინოებისთვის მოვიხსენიებთ რამდენიმე მათგანს: დ.იკონომიდის „საქორწინო ტრადიციები“ – (**Δ.Οικονομίδης «Γαμήλια Έθιμα**»), ა. პაპადოპულოს „ანდაზები“ ინეპოლის, კერასუნდას, კოტიორას, კრომნის, მაცუკას, ოფისის, სანდას, ტრაპიზონის, ხალდიას რეგიონების მასალებით («**Παροιμίες του Α.Παπαδόπουλου εξ Ινεπόλεως, Κερασούντας, Κοτυώρων, Κρώμνης, Μάτσουκας, Οινόης, Όφειας, Σάντας, Τραπεζούντας,**

358 Κυριακίδου-Ν'στορος, Α., Η θεωρία της ελληνικής λαογραφίας. Κριτικ ή ανάλυση 4 (Αθ ήνα 1997), 56-57.

Χαλδιάς)», ი. კანდილაპტის „ხალდიას ზღაპრები“(του Γ.Καντηλάπτη «Παραμύθια Χαλδιάς»), „არღიროპოლის ხალხური სიმღერები-შაირები“ (Άσματα δίστιχα Αργυροπόλεως). ე. ათანასიადის „ზღაპრები სანდის რეგიონიდან“ (Ε. Αθανασιάδη «Παραμύθια Σάντας») (Εγκυκλ. Ποντ. Ελλην. 2007(5):336) და სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჟურნალი „პონტოს არქივი“ – «**Αρχεῖον Πόντου**», რომელმაც დიდი როლი ითამაშა პონტოელ ბერძენთა ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეში. აქ პონტოურ ფოლკლორთან დაკავშირებული კვლევის შედეგები ხშირად იბეჭდებოდა, ხოლო 1966-1972 წლებში განსაკუთრებული სიმრავლით იბეჭდებოდა ფოლკლორული მასალები. ასევე აღსანიშნავია ჟურნალი „პონტოური კერა“ («**Ποντιακή Εστία**»), რომელიც განსაკუთრებული აქტიურობით 1950-1963 წლებში გამოირჩეოდა (Εγκυκλ. Ποντ. Ελλην. 2007(5):336-337).

პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მასალების შეგროვებისა და კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბერძენული კულტურის უაღრესად დიდმა თაყვანისმცემელმა, ინგლისელმა რიჩარდ დავკინსმა. 1914-1918 წლებში იგი იმყოფებოდა კვლევით ექსპედიციებში პონტოს რეგიონში აქაური მოსახლეობის დიალექტისა და კულტურის შესასწავლად და ფოლკლორული მასალების ჩასაწერად. პონტოში ჩანერილი მასალები ხელნაწერების სახითაა დაცული ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავებში. დავკინს ეკუთვნის 1916 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნი «**Modern Greek in Asia Minor**». მნიშვნელოვან ფოლკლორულ მასალებს შეიცავენ მისი ნაშრომები: «**Folk tales from Sourmena and the valley of Ophis**», **Notes on the study of the Modern Greek of Pontos**» და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების არქივებში დაცული ხელნაწერები.³⁵⁹

მნიშვნელოვანია, რომ პონტოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის მიმართ ინტერესი არ ნელდება და კვლავაც იქმნება საინტერესო გამოკვლევები.³⁶⁰ ჩვენ მიერ აჭარაში ჩანერილი მასალები, უდავოდ, გაამდიდრებს პონტოს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ საგამძურს.

359 <http://asiaminor.chw.gr/Forms/fLemmaBody.aspx?lemmaId=6258>

360 3rd Interntion Congress of Pontic Studies, Aristotle University of Thessaloniki, Thessaloniki, 18-20 November, 2016.

თავი IV. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების თავისებურებანი

§ 12. ანატოლიელ ბერძენთა ეთნონიმიკის, კულტურული იდენტობისა და ქართველურ- ბერძნული სოციოლინგვისტური ურთიერთგავლენების საკითხისათვის

ბერძნულ-ინდოევროპულმა ეთნიკურმა მასამ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ეგეოსის ზღვის აუზებში კლასიკურ კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული ძლიერი ცივილიზაცია შექმნა. პომეროსის პერიოდიდან მოყოლებული, ანტიკური და ელინისტური, მათ შორის, რომაული და ბიზანტიური ეპოქების ჩათვლით, ზღვისპირეთებში ბერძენებმა არაერთი სავაჭრო დასახლება ჩამოაყალიბეს, რამაც ადგილობრივ მოსახლეობასთან კულტურულ ინტეგრაციასაც შეუწყო ხელი, რადგან ბერძენები ცდილობდნენ კულტურული მიღწევები ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც განეფიქსირებინათ, თუმცა სხვადასხვა პერიოდში ურთიერთობათა ციკლი სხვადასხვაგვარი იყო და ყოველთვის მშვიდობიანად როდი სრულდებოდა.

საქართველოში დასახლებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი და დიასპორებისადმი ქართველი ხალხის ტოლერანტული ბუნება, რაც, ზოგადად, ერის შემწყნარებლურ ხასიათშიც იყო გამოხატული, კარგად ჩანს ბერძნულ-ქართულ ურთიერთობათა ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აჭარაში მცხოვრები ბერძნულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მცირე აზიის ბერძენთა შთამომავალია, სადაც მათ XV საუკუნიდან დაიწყეს შემოსვლა, როცა ოსმალეთმა ანატოლია დაიპყრო და ბიზანტიის მინა-წყალს დაეპატრონა, მაინც, საქართველოში მოსახლე პონტოელი ბერძენების ძირითადი ტალღა XIX-XX საუკუნეებში თურქეთის შავიზღვისპირეთიდან შემოვიდა, რაც მიგრაციული პროცესების ბერძნულ-ქართული საუკუნოვანი ურთიერთობების თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენდა. ანატოლიიდან ბერძენთა მიგრაციები იმ დროს მცირე აზიასა და ბალკანეთში გაჩაღებულმა ომებმა განსაზღვრა, რამაც რეგიონის ეთნო-დემოგრაფიულ სიტუაციაზე დიდი გავლენა იქონია. მიგრაცია, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, ხალხისათვის მუდამ მტკივნეული იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადგილმონაცვლეობა იძულებით ხასიათს ატარებდა. ბერძენთა მიგრაციისათვის ქართულ შემწყნარებლურ ხასიათთან ერთად, რელიგიური ფაქტორი – მართლმადიდებლობა ის ერთ-ერთი საფუძველი იყო, რომელიც საქართველოში, სადაც მოახალშენებმა მეორე სამშობლო ჰპოვეს, მათ გადასახლებას განსაზღვრავდა. თანმიმდევრულად კომპაქტურად დასახლებული პონტოელი ბერძენების აჭარაში დამკვიდრების პროცესი დაიწყო. მათ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისა და კულტურისაგან სერიოზული გავლენები განიცადეს, მაგრამ ამასთანავე, ავტოქტონური მოსახლეობა მათგან საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებასაც ითვისებდა. ბერძენი მოსახლეობა, ძირითადად, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მევენახეობას, მეფუტკრეობასა და მეურნეობის სხვა დამხმარე დარგებს მისდევდა. მართალია, მათ ქართული წეს-ჩვეულებებიც

შეითვისეს, მაგრამ არც ტრადიციული ბერძნული დავინწყებიათ. სოფლის მცხოვრებმა თითქმის ყველა ბერძენმა იცოდა ქართული, ქართველმა კი – ბერძნული. ამასთან, ბერძნულმა მოსახლეობამ საქართველოში მათთვის დამახასიათებელი ტრადიციული ყოფა თან შემოიტანა. დამხვედურ ქართულ მოსახლეობასთან ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში პონტოელმა ბერძენებმა სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურულ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია წარმატებით განიცადეს. ახალ გარემოსთან შეგუების პროცესს გარკვეულწილად რელიგიური თანხვედრილობაც აჩქარებდა, რამაც ამ ორი ხალხის დაახლოებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ეთნო-კულტურული პროცესების კვლევის პროცესში მუდამ გასათვალისწინებელია ტრადიციული კულტურის, როგორც ეთნიკურობის ამსახველი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლი. სწორედ ამ ფაქტორმა შავიზღვისპირეთში, მათ შორის, ანატოლიაში ბერძნული და ლაზური (ჭანური) მოსახლეობისაგან განსაკუთრებით საინტერესო კულტურული მასა შექმნა. ერთი შეხედვით აღნიშნული ეთნიკური საზოგადოებები თითქოს იზოლირებულად ვითარდებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში, დროსა და სივრცეში, კულტურის ელემენტთა კონსერვაცია ერთობლივ ტრადიციულ სტერეოტიპებს წარმოქმნიდა. ასე იყო ისტორიულადაც. თუ მხედველობაში არ მივიღებთ წარმართულ ეპოქებს, ადრეშუასაუკუნეებიდან ოსმალთა მმართველობის დამყარებამდე, ბიზანტიური პოლიტიკური გავლენის ქვეშ არსებული ანატოლიის, უპირატესად, ტრაპიზონის იმპერიის ქრისტიანული მოსახლეობა საერთო ლანდშაფტის ფარგლებში, მართლმადიდებლური სარწმუნოების საფარქვეშ, კონტექსტურად ვითარდებოდა, რამაც ტრადიციული ყოფის რიგ სფეროში თანხვედრილობა განსაზღვრა. ოსმალური მმართველობის პირველ ეტაპზე ეთნიკური თვითმყოფადობის სფეროში თანხვედრილობა ერთობლივი თვითმყოფადობის შენარჩუნებადაც აღიქმებოდა და გარკვეული ერთიანი ეთნო-კონფესიის წარმოქმნის ტენდენციებიც თვალშისაცემი ხდებოდა: მიმდინარეობდა ეთნო-იდენტიფიკაციის პროცესი. როგორც ჩანს, პონტოელ ბერძენებს ლაზებთან ამიტომაც მოიაზრებდნენ და პირიქით.

ტრადიციულ კულტურას ხანგრძლივად არსებობის უნარი გააჩნია. იგი ეთნოსის ერთ-ერთ ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ტრადიციას კულტურულ ფასეულობათა ტრანსმისიისა და მემკვიდრეობით მიღებული კულტურული ღირებულებების თავსებადობის უნარიც აქვს, თუმცა უცხო გარემოში დიასპორა განსაკუთრებულ ეთნიკურ ემცირესობას თუ წარმოადგენს, მაშინ ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში, ხშირ შემთხვევაში, ტრადიციული კულტურის ნიაღში მემკვიდრეობითი ღირებულებები ტრანსფორმაციას განიცდის. საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა ტრადიციული იერსახე ამგვარი ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს. ბერძენი მოახალშენეები საკუთარი ტრადიციების ფონზე ქართული ყოფისათვის ნიშანდობლივ წეს-ჩვეულებებს, სამეურნეო ცხოვრებისათვის დამახასიათებელ კულტურას ითვისებდნენ და მას საკუთარ კულტურასთან სინთეზის საფუძველზე ამიღებდნენ. სხვათაშორის, კულტურული ურთიერთობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ასეთივე პროცესი, ავტოქტონურ კოლხურ, კერძოდ, ლაზურ და ბერძნულ მოსახლეობას შორის ანატოლიაშიც

მიმდინარეობდა, რაც ენაშიც აისახებოდა. არაერთი მკვლევრის მიერ უკვე დადგენილია, რომ ბერძნული ენის ე. წ. პონტოური მეტყველება უმთავრესად ზანური დიალექტის თუ მისი კილოების კალკას წარმოადგენს და იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი ყველა აფრიკატი მათ მეტყველებაში ისე ჟღერს, როგორც ქართველურ ენებში. აქ ყურადღებას ის გარემოებაც იქცევს, რომ სპეციალისტები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ ბერძნული ენის პონტოურ-ლაზურ დიალექტზე მოლაპარაკედ მიიჩნევენ. სხვათაშორის, ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს უკვე XIX საუკუნეში ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ქრელი ეთნო-რელიგიური სტრუქტურის ჩამოყალიბება. ეს საზოგადოება წარმოდგენილი იყო კრომლების, იგივე, სტავრიოტების, კრიპტოქრისტიანების თუ კარამანლების და მეზომეზოზოების – ლაზების სახით. ტრაპიზონიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, ლაზეთის ქედის ჩრდილოეთით, ნაწილობრივ კი – სამხრეთ ფერდობებზე, სადაც ბერძნული წარმომავლობის ქრისტიანული მოსახლეობა ქარბობდა, დროთა განმავლობაში, მუსლიმანურ გარემოში ბერძნები იძულებული გახდა ტრადიციული კულტურის შენარჩუნების მიზნით იერსახე ეცვალა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ ბერძნები, რომლებიც ანატოლიაში ამკარად ბერძნულ სარწმუნოებას მისდევდნენ, საკუთარი ეკლესიები არ გააჩნდათ და თურქთა – მუსლიმთა წეს-ჩვეულებების შესრულებას ეფარებოდნენ. როგორც ცნობილია, ასეთ განდგომილებას თურქები ზოგადად **ლაზს** უწოდებდა, რომელთაც ისინი არც **ურუმებს** – ბერძნებს, არც **გურჯებს** – ქართველებს და არც ოსმალ-თურქებს არ აკუთვნებდნენ. ასევე, ანატოლიის – ტრაპიზონის იმპერიის მოსახლეობაზე, კერძოდ, ლაზ-ჭანებზე, თავის დროზე, რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკური გავლენის მიუხედავად, ავტოქთონურმა მოსახლეობამ თავისი იერსახე შეინარჩუნა, თუმცა ბერძნებთან კულტურული ურთიერთობების ხასიათი იმდენად ძლიერი იყო, რომ ანატოლიელ ბერძნებს – ქრისტიანებს, ბერძნულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისით, **ჭანებს** უწოდებდნენ (ბანაში, 1988:7, 25), რაც, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ისინი თავდაპირველად ერთმორწმუნეები – მართლმადიდებლები იყვნენ. ისე, დროთა განმავლობაში ლაზ-ჭანების ნაწილმა ქართულ-ბიზანტიური სარწმუნოება შეინარჩუნა, ხოლო ნაწილი გამუსლიმანდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ქრისტიანობაზე დარჩენილი ლაზ-ჭანების ნაწილი ბერძნებად აღიქმებოდა ისე, როგორც ქრისტიანი ბერძნები ლაზებად (/ჭანებად). პონტოელი ბერძნების წარმოშობასთან დაკავშირებით უკვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ფეხს იკიდებს აზრის იმის შესახებ, რომ ისინი ბერძნები იყვნენ და ადრეც კოლხთა სხვადასხვა დაჯგუფებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებოდნენ (Koromila, 1959:249, 298-299), სხვა აზრით კი, რასაც მუსიკალური კონტექსტიდან გამომდინარე მუსიკათმცოდნეებიც ცდილობენ დაადასტურონ, რომ ისინი გაბერძნებული ლაზები იყვნენ. აქაც, მათ მიერ იმის განმეორება ხდება, რომ ტრაპიზონელი ლაზების გაბერძნება XV საუკუნიდან დაიწყო, ისინი 1923 წლიდან საბერძნეთში ცხოვრობდნენ და ბერძნულად მეტყველებდნენ, თუმცა მიუხედავად ამისა, მათი მუსიკალური ფოლკლორი დღესაც ახლოსაა ლაზურთან.

პონტოელ ბერძენთა ყოფა-ცხოვრების შესწავლა, ცხადია, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რაც ეთნო-კულტურული პროცესების გაანალიზების აუცილებლობით და იმ კულტურული ურთიერთგავლენების შესწავლის საჭიროებითაცაა განპირობებული, რომლებიც როგორც მოსულმა ბერძნებმა, ისე დამხვდურმა მოსახლეობამ განიცადა. აღნიშნული საკითხის შესწავლას აქტუალურს ის გარემოებაც ხდის, რომ პოსტსაბჭოურ პერიოდში ბერძენთა ძლიერი უკუმიგრაციის ტენდენცია გამოიკვეთა. აღნიშნულმა გარემოებამ საქართველოში მცხოვრები ბერძენების ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობებისა და ტრადიციული ცხოვრების წესის, ასევე, ბერძულ-ქართული სიმბიოზური კულტურული იერსახის დაკარგვის საშიშროება შექმნა. კვლევის განუხორციელებლობა სამომავლოდ საქართველოში პონტოელი ბერძენების ტრადიციული ყოფის შესწავლას შეუძლებელს გახდის. ამიტომაც წარმოადგენს კვლევებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ბერძულ-ქართული გავლენების შესწავლა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ბერძენების ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობები არამარტო მატერიალიზებული ფასეულობების შექმნას, არამედ სამეურნეო ყოფისა და სოციალურ ურთიერთობათა სფეროში ღირებულებათა სისტემების ჩამოყალიბებასაც გულისხმობდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბერძენები და ქართველური მოდგმის ლაზები ურთიერთმეზობლად მსგავს ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სამეურნეო გარემოში ცხოვრობდნენ, შესაბამისად, დიდი იყო ინტერესთა თანაფარდობაც. თუ, მაგალითად, ლაზები ცნობილი ნაოსნები და მეზადურები იყვნენ, არანაკლები იყვნენ ბერძენებიც. ზღვისპირეთში მცხოვრები ბერძენებისათვის ისე, როგორც ლაზებისათვის მეტევეზობა შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო. ე. ლიოზენის დაკვირვებით, 1900-იან წლებში გონიოს ველსა და სარფს შორის მდებარე კლდეებთან ბერძენ მეტევეზეთა ქოხები იყო განლაგებული. ეს კლდე მათ უამინდობისაგან იცავდა (Лиозен, 1905:148).

ეთნიკურ ჯგუფებს შორის კულტურული დიალოგი ანატოლიაში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, სადაც, მაგალითად, მოახალშენე ბერძენებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ქართველური მოდგმის ეთნოგრაფიულ სეგმენტებთან, განსაკუთრებით, კოლხური გაერთიანების ლაზურ განშტოებებთან. შემდეგშიც, უკვე ოსმალური სახელმწიფოს ფარგლებში, პონტოელ ბერძენებსა და ლაზებს შორის იმდენად მყარი კავშირები დამყარდა, რომ კულტურის ცალკეული ელემენტის სახით მათ ეთნოგრაფიის დონეზე – სოციალურ, სამეურნეო, მატერიალურ და რელიგიურ სფეროებშიც ჰპოვეს ასახვა. გარკვეული სახით ეს იყო ეთნო-კულტურული იდენტობის გამომხატველი პროცესიც. მოგვიანებით, კულტურული დიალოგი კიდევ უფრო გაფართოვდა, რასაც ხელი პოლიტიკურმა აქტივობებმაც შეუწყო. სწორედ პოლიტიკური არასტაბილურობის გამო ანატოლიიდან ბერძენთა დიდი მასა საქართველოში რამდენიმე ტალღად ჩასახლდა. ნაწილი საქართველოს შავიზღვისპირეთში დამკვიდრდა, მეორე ნაწილი ერეკლე II-ეს დროს ახტალის მიმართულებით დაიძრა, ხოლო დიდი ჯგუფი – თრიალეთში დაბინავდა. ამ კონტექსტში ყურადღებას ეთნო-კონფესიური ჯგუფის ამსახველი ტერმინი **ურუმი** იქცევს. ასე ეძახიან თრიალეთელ ბერძენებს (Пашаева, 1992:80-87). 1829 წლის მიწურულს ბერძენი კოლონისტების პირველი წყება

სწორედ წალკის მიმართულებით დაიძრა. მათ უპირველესად ყარსსა და გუმრს მიაშურეს. თანდათანობით, ოსმალეთის მრავალი სოფლიდან ბერძნული და სომხური მოსახლეობის უმეტესობა დაიძრა. თრიალეთში წალკის მიდამოები თითქმის დაცარიელებული იყო, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამ XVIII საუკუნის ბოლოს იგი მიატოვა (Ильин, 1914:24). დაცარიელებულ ადგილებს ბერძნები დაეპატრონენ და როგორც დაკვირვებები გვიდასტურებენ, ბევრ მათგანს სახელებიც კი შეუცვალეს და თავიანთი სოფლების სახელები დაარქვეს. იქ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ იყო, ძველი ტოპონიმები დარჩა (ნერეთელი, 1981:81-82). არაა გამორიცხული, რომ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, კონფესიის არსის გამომხატველი სახელწოდება **ურუმი** არა მხოლოდ საკუთრივ ბერძნებს, არამედ ქართველებს, მათ შორის, ლაზებსაც აერთიანებდა, ე. ი. ურუმთა ეთნო-კონფესიის ჩამოყალიბებაში ლაზებიც მონაწილეობდნენ. ტრაპიზონის იმპერიის რღვევისა და ბიზანტიის დაცემის შემდეგ ოსმალთა ძალადობისაგან დევნილმა და ქრისტიანობაზე მტკიცედ მდგარმა ლაზებმა იმ ერთმორწმუნე ბერძნებს შეაფარეს თავი, რომლებიც პონტოელი ბერძნების სახელწოდებით იყვნენ ცნობილი, მაშინ, როცა თრიალეთის ზეგანზე წალკელი ბერძნები **ურუმები**'ს სახელს ატარებდნენ. ამით ლაზთა დიდმა ნაწილმა ქრისტიანული სარწმუნოება – მართლმადიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ მეორეს მხრივ, ეთნიკურად ბერძნულ დიასპორას შეერწყა ისე, რომ ლაზური ცნობიერება, თვითშეგნება, ენა და, ნაწილობრივ, მისთვის დამახასიათებელი კულტურული ფასეულობები სრულიად დაკარგა, თუმცა ამით ხელი შეუწყო ახალი ეთნო-კონფესიური მიმართულების კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრებას. შესაძლებელია შემთხვევითი არ იყო ის გარემოებაც ბათუმში ურუმთა უბნის მახლობლად – ზღვისპირას ლაზებით დასახლებული „მეთევზეთა უბანი“ რომ იყო წარმოდგენილი (გიორგაძე, მგელაძე, 2012:125-126). გიორგი ჩიტაია ურუმთა ვინაობის კვლევისას შენიშნავდა, რომ **ურუმები** სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკურ ჯგუფებს: ბერძნებს, ქართველებსა და სომხებს აერთიანებდა. იგი თავის ნაშრომში – „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში“ – თრიალეთში მცხოვრებ ურუმთა ეთნიკურ შედგენილობას ნარევიად მიიჩნევდა და მიუთითებდა, რომ თრიალეთელი ურუმები „გუმისხენელებს“, „ოველებს“, „ფასენებსა“ და „კროებს“ მოიცავდა. ამ ჯგუფებიდან **ფასენები** ძველქართული პროვინციიდან – ბასიანიდან იყვნენ მოსულები. საყურადღებოა, რომ ფასენებში ქართული ტრადიციები და ქართველური, კერძოდ, ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები კარგად იყო დაცული (ჩიტაია, 1941). პონტოელი ბერძნებისა და ლაზების კულტურული იდენტობის შესახებ არაერთი წყარო, მათ შორის, საველე მასალებიც მეტყველებს. პონტოელი ბერძნებისა და ლაზების ურთიერთობების ფარგლებში არანაკლებ როლს ჰემშილთა (ხემშილთა) ეთნო-კონფესიური ჯგუფიც ასრულებდა (Мгелაძე, Тунадзе, 2003; მგელაძე, ტუნაძე, 2005; Hemşin... 2007:3-305).

პონტოელი ბერძნები ელინური წარმომავლობის ეთნიკური გაერთიანება თუ იყო, ხოლო მათი სამშობლო – საბერძნეთი, მამ რატომ უწოდებდნენ შავიზღვისპირეთის სხვადასხვა პუნქტში დასახლებულ ელინებს პონტოელ ბერძნებს? ამ კითხვას პასუხი მარტივად გაცემა ანტიკური პერიოდის მთელ შავიზღვისპირეთში ტრიერებით ბერძნების სანაოსნო მობილობას თუ

გავიხსენებთ, განსაკუთრებით, თანამედროვე პონტოში, სადაც ბერძნები ანტიკური ხანიდან მოყოლებული ემპორიონებსა და პოლისებს ქმნიდნენ, პონტოს სანაპიროებზე – თანამედროვე თურქეთში მდებარე რიზესა და გირესუნს შორის კომპაქტურად სახლდებოდნენ. მიგრაციული პროცესები XX საუკუნემდე არ შემწყდარა. განსახლება ტრაპიზონის, სამსუნისა და გუმიშხანეს მიმართულებით მიმდინარეობდა, სადაც ძველად ამ არეალის ცნობილი ქალაქები – ამისოსი და არგიროპოლისი მდებარეობდა. იმ ეთნიკურ მასას, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო პონტოდან აიყარა და სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა ოლქში ჩასახლდა **პონტოელი ბერძნები** ეწოდება. მათ საქართველოს შავიზღვისპირეთსა და საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქ ბათუმშიც, პონტოელი ბერძნების სახელწოდებით იცნობდნენ. ისინი შემადგენლობით ერთგვაროვანი არ იყო. მათ, უმთავრესად, ორ ჯგუფად ყოფდნენ: ბერძნულენოვან ელინოფილებად და თურქულენოვან ელინებად. ბერძნულ ისტორიოგრაფიაში ქრისტიან ბერძნებს ხშირად **ჭანებს** უწოდებდნენ. დროთა განმავლობაში მათი დიდი ნაწილი გამაჰმადიანებულია. ჩარშამბაში 1400 ქრისტიანული ჭანური ოჯახიდან 300 კომლი ბერძნებად დარჩენილა. ს. იოანიდისი ნეოკესარიასა და უნიეს შორის მცხოვრებლებიდან თურქებს – მუსლიმანებსა და ჭანებს ასახელებდა, რომლებსაც ბერძნებად მიიჩნევდა (იოანიდისი, 1870). ძველი მოსინიკებიდან მხოლოდ **ჩეფნები** შემოგვრჩა. აქ მუსლიმური დასახლებები უძველესი ადგილობრივი მოსახლეობისაგან – ჭანებისაგან შედგებოდა, თუმცა ისინი თურქებს სრულებითაც არ ჰგავდა. ნათე ბანაშის დაკვირვებით, თანამედროვე საბერძნეთშიც წარმომავლობით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველა ბერძენს ამჟამადაც ლაზებს უწოდებენ. საქართველოშიც, ბერძნების აზრით, ბერძნები ორ ჯგუფად იყოფიან: ლაზებად და ურუმებად. მაგალითად, თრიალეთში – ნალკის რეგიონში, ბოლნისში, ბორჯომში ისე, როგორც დონეცკსა და კრასნოდარში ბერძენთა ნაწილი თავს ლაზად მიიჩნევდა (ბანაში, 1988:7-9). ყოველ შემთხვევაში ისინი ამ სახელწოდებით თავიანთ იდენტობას ასახავდნენ. უკვე დადგენილია, რომ ტრაპიზონში, გიმუშხანეში, პლატანასა და სხვა ადგილებში მცხოვრები ქრისტიანი ლაზები ადრე კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ და ბერძნულად ლაპარაკობდნენ. რიზეს, იომურეს, ოფისს, სურმენესა და სხვა რეგიონში მცხოვრები მუსლიმი ლაზები კი თურქულად საუბრობდნენ (მ. აჭარიანი). ნიკო მარიც აღნიშნავდა, რომ თვით კონსტანტინეპოლშიც ლაზებსა და თურქეთის ყველა შავიზღვისპირელს – სამსუნელებსა და სინოპელებს ეძახდნენ (Mapp, 1911). ადრე სამსუნის მხარე, ქართული ისტორიული სახელდების მიხედვით, **ჯანეთად (ჯანითად//ჯან-ნიკად)** იწოდებოდა. ჯერ კიდევ ოსმალურ სამყაროში იქ არსებული ეთნო-კონფესიური მოზაიკა და ამ მოზაიკაში თურქიზაციის გზაზე შემდგარი და თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში მყოფი ლაზების ინტერესები ცხადი იყო. შესაბამისად, თურქულად და ლაზურად მოსაუბრე ჭანებიც სხვადასხვაგვარად აღინიშნებოდნენ და, მათ შორის, ეთნონიმიკასა თუ მეტსახელებში სხვაობა შეინიშნებოდა. მაგალითად, ჰენდეკელი თურქების აღმნიშვნელი ზედმეტი სახელი **ბობანი** ყოფილა. იქაური მუჰაჯირებისათვის ქართველურის ერთ-ერთი კოლხური ჯგუფის – ლაზის (/ჭანის) აღმნიშვნელი მეტსახელი **მოხდი (/მოხტი)** და **ოფლი** იყო, ოღონდ მათი შეფასებით იმ

განსხვავებით, რომ **მოხდი**’მ ლაზური იცოდა, **ოფლი**’მ კი – არა. რესპოდენტთა აზრით, რიზეს იქეთ ლაზები ყველა **ოფლი**’ა.³⁶¹ ამის გარდა, სოფელ ფინარლისა და სითმააფინარის (ძველი სახელწოდება ავანა) რესპოდენტები მოგვითხრობდნენ, რომ ქანთა (/ლაზთა) ცალკეული ჯგუფი **კუდიანადაც** მოიხსენებოდა. ეს ის ქანები იყო თავის დროზე რუმიდან – ტრაპიზონიდან რომ მოტრიალდნენ და მხოლოდ თურქული იცოდნენ. დამატებით მათ **აცმა** და **დაკიდული** ეწოდებოდა. თურქეთში ყურადღებას არა მარტო ლაზებისა და შავიზღვისპირა ბერძნების, არამედ **ჩეფთინები**’სა და **ხემშილები**’ს ეთნო-კონფესიური იდენტობის საკითხებიც იქცევს, თუმცა მათ არსს ამჯერად არ შევხებით (პრობლემის შესახებ დანვრ. იხ.: ბანაში, 1988; 6-17,55-67; Мгеладзе, Тунадзе, 2003:270-273; მგელაძე, ტუნაძე, 2005:235-241).

საქართველოში არც პონტოური დიალექტია ერთგვაროვანი. პონტოურ დიალექტზე მოლაპარაკე ბერძნების თვითსახელწოდება – ეთნონიმი **რომეო**, **რუმი**, **გრეკო** (**გრეკ’ი**) და **ელინო**, ასევე, **იუნანი** (**უნანი**), **ბიზანსი** იყო. თანამედროვე თურქეთში, ანატოლიაში განსახლებულ ქართველური მოდგმის ტომების შთამომავლებსა და ქართველ მუჰაჯირებსაც კი – ბერძენთა პონტოში მოსახლეობა დღესაც ახსოვთ, გადმოცემებით სმენიათ რუმის სასულთნოს³⁶² შესახებაც. საბერძნეთს **იუნანსიტანი** ერქვა. ბერძნების ქვეყანას – მაკედონიას, ასევე, **არნაუთის ქვეყანა**’საც უწოდებდნენ, თუმცა ცნობილია, რომ **არნაუთი** ალბანეთის თურქული სახელწოდება იყო. ისინიც ისე, როგორც აზერბაიჯანელები ბერძნებს **რუმებს** ეძახდნენ, ხოლო სომხებს – **ერმენებს**. არსებობს გამოთქმაც: **რუმ-ერმენი**. მათი კონტექსტირებული მოხსენიება განსხვავებულ სარწმუნოებრივ – მუსლიმანურ გარემოში რელიგიური სიახლოვით და ადგილზე ინტერესთა თანხვედრილობითაც იყო განპირობებული. **რუმები** წარმომავლობით ბერძენთა ეთნიკურ კონტიგენტს განეკუთვნებოდნენ, მაგრამ მათ გვერდით შავიზღვისპირეთიდან ამალღებულ გორა-ბორცვებსა და მთიანეთში – **ჯენევიზებიც** ცხოვრობდნენ, რომლებიც ისე, როგორც **ერმენები** (**ერმენები**), მთხრობელთა განმარტებით, ქრისტიანები (**ხრისტიანები**) – **გიაურები** იყვნენ. ადგილობრივი მოსახლეობის ვარაუდით, **ჯენევიზები** აქ 1460 წლის შემდეგ დასახლდნენ, როცა ტრაპიზონი აიღეს. ჩამოვლისას მათ ორდუს მიდამოებიც აუთვისებიათ და ნაწილი იქ საცხოვრებლადაც დარჩენილა. საველე მასალებით,

361 **სემ, 2013**, მთხრობელი: ადემ ზენგინი, სოფელი ლუთბიე (თხილაზორის მაჰალე), 17 ივლისი, ჰენდევის ილჩე, საქარიას ილე, თურქეთის რესპუბლიკა.

362 მცირე აზიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო – რუმის სასულთნო XI საუკუნის მეორე ნახევარში თურქ-სელჩუკი უფლისწულების ძალისხმევით ანატოლიის დაპყრობითი ომების საფუძველზე ჩამოყალიბდა. 1080 წელს უფლისწულმა სულიმანმა მცირე აზიაში სათავე სელჩუკთა სახელმწიფოს – რუმის სასულთნოს დაუდო. ამ დროს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს უფლისწული ქერმან სელჩუკი გამოეთიშა და სირიაშიც ახალი სელჩუკური ფეოდალური სამთავრო ჩამოაყალიბა. რუმის სასულთნომ 1077-1307 წლების მანძილზე იარსება. XI საუკუნის ბოლოს რუმის სასულთნომ, თანდათანობით, ანატოლიაში ჰეგემონობა მოიპოვა, თითქმის ყველა ბიზანტიურ ქალაქს დაეპატრონა და დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს გაუმეზობლდა. რუმის სასულთნოს თავდაპირველი დედაქალაქი ნიკეა იყო. დედაქალაქი შემდეგ კონიაში გადაიტანეს, რის გამოც სასულთნო, ხშირად, კონიის სასულთნოდ იხსენიებოდა. 1243 წელს რუმი მონღოლებთან ქოსე-დადის ბრძოლებში დამარცხებულა და მონღოლთა ვასალი გამხდარა. XIV საუკუნეში რუმის ტერიტორიაზე ოსმალების იმპერია დაარსდა (ნარკვევები მახლობელი..., 1957:133-134, 245).

ჯენევიზები ვაზს აშენებდნენ, დამზადებულ ღვინოს კი – იტალიაში აგზავნიდნენ. ისინი დაპირისპირებისა და ჩხუბის გამო სამოსახლოებიდან გაურეკავთ. ვინ იყვნენ **ჯენევიზები**? სავარაუდოდ ჯენევიზები – გენუელები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა: არის თუ არა შესაძლებელი გენუელებში ბერძნებიც მოვიაზროთ? **ჯენევიზი**’სა და **გენუელი**’ს იგივეობაზე თავად ამ ორი ტერმინის ფონეტიკური სიახლოვე მიუთითებს. **ჯენევიზი** გენუელის თურქულად გამოთქმული ფონეტიკური სახესხვაობაა – თურქული ენობრივი მასალის საფუძველზე განვითარებული ტერმინია (თურქეთში ეთნონიმიკისა და ეთნიკურ ჯგუფთა მეტსახელების შესახებ ზოგადად იხ.: მგელაძე, 2014:74-79). სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დადგენილია, რომ ბერძნული ენის პონტოური მეტყველება, როგორც უკვე ზემოთაც მივანიშნეთ, უმთავრესად, ზანური დიალექტის თუ მისი კილოების კალკას წარმოადგენს და იბერიულ-კავკასიური ენისათვის დამახასიათებელ ყველა აფრიკატს ინარჩუნებს. ისინი მეტყველებაში ისე ჟღერს, როგორც ქართველურ ენებში. ლექსიკაში საკმაოდ ბევრია ქართველური ძირის სიტყვები. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნები ბერძნული ენის პონტოურ-ლაზურ დიალექტზე ლაპარაკობენ. ამასთან, ხშირად, ეთნონიმების გასაფორმებლად ქართველური ენებისათვის დამახასიათებელ ისეთ სუფიქსებს იყენებენ, როგორებიცაა კუთვნილებითი **-იან**, მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი **-თ**, ვთქვათ, **ლაზოს – ლაზი** და **ლაზანთ – ლაზები**, **არმენოს – სომეხი** და **არმენანთ – სომხები**... ისლამის გერმანულენოვან ლექსიკონზე დაყრდნობით წათე ბანაში სამსუნის, გირესუნის, ორდუს, ტრაპიზონისა და ზოგიერთი სხვა ვილაეთის მოსახლეობის შესახებაც მსგავს სურათს წარმოგვიდგენს, სადაც, დროთა განმავლობაში, თურქული ენის ლაზური დიალექტი წარმოიქმნა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად გამოიყურება ბერძნებისა და თურქების შეხედულება, რომ აქაურები ლაზური წარმოშობის არიან.

პონტოელი ბერძნების ისე, როგორც ლაზების კულტურის ცალკეული ელემენტის ანალიზი ამ შეხედულების კიდევ უფრო განვითარების საშუალებას იძლევა, კერძოდ, პონტოელ ბერძენთა ნათესაური ტერმინოლოგიური მოდელი ლაზურ მოდელს ძალიან ჩამოგავს, ასევე, ნათესაურ პარადიგმაში ამა თუ იმ თაობის ნათესაური ლექსემა ლაზურ-ბერძნული კულტურული კავშირთიერთობების საფუძველზე უნდა აიხსნას. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესოა გენეალოგიურ სტრუქტურაში +2 თაობის აღმნიშვნელი ისეთი ტერმინი, როგორიცაა **პაპული (პაპუ)**. იგი პონტოურ ბერძნულში მამისა და დედის მამას ნიშნავს. ლაზურშიც ცნება **პაპული** იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, ოღონდ იგი მამრობითი სქესის +2 თაობის წარმომადგენელია, ხოლო პონტოურ ბერძნულში მისი ფონეტიკური ნაირსახეობა კომპოზიტში (**ლიკოპაპუ**) იგივე ნათესავის – ბაბუისა და ბებუის მამის მნიშვნელობას ასახავს. საერთოდ, ზანურში ისე, როგორც ქართულ ენის სხვადასხვა დიალექტში **პაპული**’ს ფონეტიკური ვარიაციები მრავლად გვხვდება, მაგალითად, ქართულში **პაპა (ბაბა...)**, კოლხურის მეგრულ ენობრივ განტოტებაში კი – **პაპუ, პეპი, პეპუ** და სხვა მრავალი. სავარაუდოა კოლხური ტერმინი **პეპერა** პონტოელი ბერძნების მეტყველებაში დადასტურებულ **პეფერა**’სა და **პეფეროს**’ში უნდა გვექონდეს შემონახული. **პეფერა** დედამთილს,

ხოლო **პეფეროს** – მამამთილს ნიშნავს, თუმცა სხვაობა აქ იმაში შეინიშნება, რომ თუ ქართულის დიალექტებში **პეპერა (პეპერე)** ბაბუის, როგორც მამას, ისე დედას ზოგადად აღნიშნავს, **პეფერა** 'სა და **პეფეროს**'ში სქესი დიფერენცირებულია და ისინი დედამთილისა და მამათილის ცნებებს შეესაბამება (შდრ. Мгеладзе, 1992). ამ მხრივ პონტოურ ბერძნულში უდავოდ ყურადღებას იქცევს ქმრების აღმნიშვნელი ლექსემა – **პანანაკე** 'ც. ქართულ ენაში მოცემული ამდაგვარი ლექსემების ფუძე (**პაპა/პაპუა/პაპული...**) ფართოდ გავრცელებულ სიტყვასთან – **ნინაპართანა** დაკავშირებული. **ნინაპარი** იყო აღმავალი ხაზის თაობრივად დაცილებული პირი, გენეალოგიური ჯგუფის მამამთავარი, რომელშიც, ხშირად, გენეალოგიური ხის გარდაცვლილი წარმომადგენლებიც გაიზარებოდა. ქართული სიტყვა **პაპ-ა//პაპა-ალ//პაპა-ან**, მეგრული: **პაპ-უ//პაპ-ულ** და ქანური (ლაზური): **პაპ-ულ-ი//პაპ-უ** საერთო წარმომავლობისაა. ამ სიტყვებში **-პაპ** ძირი **-პარ** (ნინა-პარ-ი) ძირის ვარიანტს წარმოადგენს და იგი ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში ვარიირებს (ჩიქობავა, 1938:141). ერთის მხრივ, ტერმინ **პაპა**'ს კონკრეტული მნიშვნელობა, ხოლო, მეორეს მხრივ, ნინაპარის სახით მისი განზოგადოებული სემანტიკა³⁶³ არაა მხოლოდ ქართული ნათესაობის ტერმინთა სისტემისათვის დამახასიათებელი. ვენახურ ენებში, უფროს თაობაში შეიძლება დედისა და მამის აღმნიშვნელი ტერმინები: **და**, **პაპა** გამოიყოს, ხოლო უფრო ფართო მნიშვნელობით, ზოგადად, ნინაპრები ისე, როგორც უმცროს თაობაში ქალიშვილი და ვაჟიშვილი, მაგალითად, ჩეჩნური **იუო**, **ნუო**, რომლებიც, ასევე, ხშირად, საერთოდ შთამომავლობის გამოსახატავად გამოიყენება (Яковлев, 1930:155). ბერძნულ-ქართველური ლინგვისტური ურთიერთგავლენების თვალსაზრისით საყურადღებოა ისეთი ნათესაობის ტერმინებიც, როგორებიცაა ლაზური **ანიმსე**, თუმცა სავსებით მოსალოდნელია ეს ტერმინი არაბერძნული წარმომავლობისაც იყოს.

პონტოურ ბერძნულში ყურადღებას ისეთი ნომენკლატურაც იქცევს, რომელიც მამისა და დედის დას, ასევე, ბიცოლას – **თია (ფია)** და მამისა და დედის ძმას – **თიოს (ფიოს)** აღნიშნავს. **თი/მთი** ძირიანი თუ ამდაგვარი ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები ქართველურ ენებში ფართოდ იყო გავრცელებული, საკუთრივ ლაზურში კი – **მთი** ცოლის მამის, ხოლო **დამთირე** – ცოლის დედის გამოხატველია [შდრ. მეგრულში **დიანთილსა** და **მუანთილს//მუანთირს** (ქობალია, 2010:240, 489), ასევე, ქართული ენის დიალექტებში **დედამთილსა** და **მამათილს**]. **-თი//მთ//მთი** ისე, როგორც **-პაპ//პეპ** ძირიანი სიტყვები, ვფიქრობთ, პონტოურ ბერძნულში უშუალოდ ლაზურიდან უნდა შესულიყო. სანინაალმდეგო შემთხვევაში აუხსნელი დარჩებოდა მსგავსი ძირისაგან და ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვების არსებობა მეგრულში, რადგან კოლხური მოდგმის მეგრულ მოსახლეობას პონტოელ ბერძენთა ყოფასთან ადრე ყველაზე ნაკლები, ყოველ შემთხვევაში, ლაზებზე ნაკლები შეხება ჰქონდა. აქვე შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ პონტოური ბერძნულისა და ლაზურის ენობრივ სამყაროში ისეთ ლექსიკურ შეხვედრებს, რომლებიც ტერმინების **ლონიკონი**'სა

363 შდრ. სიტყვაშვილს. ტერმინი შვილი პირველ დამამავალ თაობაში, ასევე, სქესის განუსხვავებლად, ზოგადად, შთამომავლობას გამოხატავს და ამ შინაარსით, ძირითადად, გვარსახელებში გვხვდება. ასეთებია: ჩოლოყაშვილი, ხატელაშვილი და სხვა მრავალი.

და **ლინიკენა**'ს ეტიმოლოგიებში გამოიხატება. ლაზურში **ლონიკონი** მამისეულსა და დედისეულს ნიშნავს, ხოლო პონტოურ ბერძნულში – **ლინიკენი** ქალის, ცოლის მნიშვნელობას შეიცავს (თანდილავა, 2013:812). ამ მხრივ გასაანალიზებელია ნათესაობის ისეთი ტერმინებიც, როგორებიცაა **ნოლამე** – სასიძო და **ნოლამისა** – საცოლე, **პროლონი** – გერი, **ნისალა** – რძალი (ტერმინოლოგია იხ.: ვანილიძე, თანდილავა, 1964:121. შდრ. სარფი, 2015:118-123). დაინტერესება უნდა გამოიხატოს ტერმინ **სიმაღია**'ს მიმართაც. **სიმაღია** პონტოურ ბერძნულში ნიშნობაა. იგი თითქოსდა აშკარად კოლხური, კერძოდ, ლაზური იერსახის სიტყვაა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ის ფაქტიც, რომ ლაზებით დასახლებულ სოფლებში არაერთი ბერძნული წარმომავლობის ტოპონიმი გვხვდება ბერძნულ-ქართველური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობებისა და ურთიერთგავლენების უტყუარი მონიშნაა. მაგალითად, სოფელ სარფში ომარ მემიშიშის მიხედვით ასეთი ტოპონიმები დგინდება: **მანდრატი**, რომელიც დასავლეთით ზღვის სანაპიროზე **ცხემურეფუნა**'ს სერის ბოლოში მდებარეობს. **მანდრა**, როგორც ბერძნული სიტყვა, პირუტყვის სადგომის მნიშვნელობით იხმარება. იგი საჯინიბოს, ბოსელსაც აღნიშნავს (Дворецкий, 1959:1051; Мapp, 1910); **ქილისე** – ესეც, ლაზურში ბერძნულიდან, შესაძლოა, თურქულის გზით იყოს შემოჭრილი. სოფელ სარფში, **ხემშილული**'ს თავზე ეკლესია მდებარეობდა. ეს კამარისებური ეკლესია შემონახულია და გეოგრაფიული სახელწოდებაც მისგან წარმოსდგა. ეკლესიის აღმნიშვნელად ტერმინი **ქილისა** ქართული ენის აჭარულ დიალექტშიც დასტურდება; **ოჭალანე** – იგივე საკიბორჩხლე, სოფელ სარფში **ქვაჭაჭის** სამხრეთ-დასავლეთითაა. ივარაუდება ესეც ლაზურში თურქულის გზით მოხვდა (სარფი, 2015:557-565). კლარჯეთში, **დევსქელი**, როგორც ხევის სახელწოდება, განსაკუთრებულ ყურადღებას სხვადასხვა კუთხით იქცევს. იგი ბორჩხის რეგიონულ დარაიონებაში შედის და რამდენიმე სოფლისაგან შედგება. ესენია: **ბაგინი**, **არგეთი**, **შუახევი** და **დევსქელი**. როგორც ვხედავთ, **დევსქელი** სოფელთა ერთობლიობა – თემის (/ხევის) ტიპის დასახლება იყო, რომელიც არა მარტო კლარჯეთისათვის, არამედ შუასაუკუნეების მთელი საქართველოს სახეობო სისტემისათვის იყო დამახასიათებელი. რას უნდა ნიშნავდეს **დევსქელი**? **დევსქელი** ქართული წარმოების გეოგრაფიული სახელწოდებაა და ორი ნაწილისაგან შედგება: **დევ-სქელი**. იგი დაკავშირებული უნდა იყოს ქართული მითოლოგიური და ჯადოსნური ზრახრის პერსონაჟთან – **დევთან**, ხოლო მეორე, – **სქირთან**. **სქელ**'ს თითქოსდა აშკარად **სქირ**'ის (**სკირ**'ი) ფონეტიკურად სახენაცვალნი ფორმაა. ფაქტიურად, აქ ჩვენ სახეზე გვაქვს **დევ-სქირი**, რაც დევის წყალს, დევის ხევს ნიშნავს. რეგიონში, როგორც ითქვა, მსგავსი წარმოებისაა **ქლასქური** და სხვა ტოპონიმები. საერთოდ, **-სქირ**, **-ხი**, **-ყვა** ქართველურ ენათა სამყაროში ტიპოლოგიურად თანაბარი მნიშვნელობების ცნებებია, რომლებიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ, მაგრამ მონათესავე ეთნო-ლინგვისტურ დონეებზე არსებობდნენ. მურღულის მხარეს გვხვდება სოფლის სახელწოდება **წყალყა**, რაც იგივე **წყალყვა**'ა. ამდენად, **-სქირ**, ისე როგორც **-ხი** (**ხე**/**ფხე**) და **ყვა** ქართველურ ენებში, ერთი მხრივ, წყალს, მდინარეს, ხეობას, ხოლო, მეორე მხრივ, შვილს, შთამომავლობას აღნიშნავდა. დროთა განმავლობაში, მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობები ენაში გაუცხოვდა. ისინი სუფიქსებად ჩამოყალიბდნენ, ანდა ამა

თუ იმ სიტყვაში გაქვავდნენ (მგელაძე, 2015:36; კლარჯეთი, 2016:283-284). აქვე გამოითქვა აზრი, რომ **-სქელი** ქართულში **სქირ**'ის სახესხვაობა კი არაა, არამედ იგი ამ ფორმით ბერძნულიდან დამკვიდრდა. ამდენად, სიტყვა შესაძლოა კიბის აღმნიშვნელი ბერძნული წარმოშობის სიტყვა იყოს. ამის მიხედვით „დევ-სქელში“ ეტიმოლოგიურად „დევის კიბეს“ ვლენულობთ (ომარ მემიშიში). კიბის მნიშვნელობით სიტყვა **სქელუ** ლაზურშიც გვხვდება, რომელიც ლაზურში, ზოგიერთი ავტორით, თურქულიდან ჩანს შესული (კარტოზია, 1972:114; თანდილავა, 2013:748). ქართული ენის აჭარულ დიალექტში **სქელე** ხარაჩოს აღმნიშვნელია. ამდენად, სავსებით დასაშვებია დევ-სქელეში **სქელე** მართლაც კლდეს ნიშნავდეს, რაც „დევის კლდედ“ უნდა იყოს გაგებული. ინდოევროპულ ენებში კლდის აღმნიშვნელად დღესაც გვხვდება ისეთი სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, რუსულში **სკალა (скала)**. ასეა თუ ისე **დევ-სქელი** კლარჯეთში მრავალმხრივ საინტერესო ტოპონიმი.

კულტურული ინტეგრაციის პროცესი არა მხოლოდ ენობრივ, არამედ ტრადიციულ ყოფით სფეროშიც მიმდინარეობდა და, ხშირად, მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფისა და სოციალური ცხოვრების თავისებურებებშიც აისახებოდა, ზოგჯერ კი ჩვეულებათა ციკლში მათი ცალკეული ელემენტი ერთმანეთს ეხლართებოდა და, შესაბამისად, ცალკეულ ვითარებაში ერთმანეთს ემსგავსებოდა. ქობულეთის მხარის დასახლებაშიც არაერთი სოფელი თუ სოფლის უბანი ძველის სახელწოდების გადათარგმნილი კალკა იყო. ამისათვის, როგორც ადრეც აღინიშნა, საკმარისია ქობულეთში, დეხვას ხეობაში მდებარე სოფელი დაგვა დავასახელოთ, სადაც მისი ერთ-ერთი უბანი **დემირჩოლლები**'ს სახელს ატარებდა (კუკულაძე, 1981:52). დემირჩოლლები ამ უბანს ბერძნული მოსახლეობის აქ ჩამოსახლებამდე ერქვა. გადმოცემით, ბერძნები დეხვას ხეობაში 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ დამკვიდრდნენ. ახალმოსულმა ბერძნებმა სოფლის ამ უბანს სახელი შეუცვალეს და **სიდოროპულო** დაარქვეს, რაც თურმე მათი გაგებით იგივე მჭედლიშვილის მნიშვნელობის იყო, ე. ი. პროფესიის გამომხატველი სახელწოდება, რომელიც გვარსახელურ იერსახეს ატარებდა. ამდენად, სოფლის უბნის სიდოროპულოს სახელწოდების სახით ჩვენ საქმე გვაქვს უბნის ძველი სახელის – დემირჩოლლების ბერძნულ შესატყვისთან (კახიძე, 2002:159-160). ბერძნებთან მიმართებაში დასახლებულ პუნქტებზე სახელების შეცვლა თურქეთშიც დამახასიათებელ მოვლენად იქცა. ტრაპიზონსა და სამსუნს შორის ბორცვიან ადგილზე ქალაქური ტიპის დასახლება, დაბა – **ტირებულო** მდებარეობს, რომელიც შავი ზღვის სანაპიროდან მალღდება. იგი ძველი ბერძნული დასახლება **ტრიპოლიე** უნდა იყოს.³⁶⁴ ამ მხრივ

364 **ტირებულო** ჰარშითის ხეობაში ამავე სახელწოდების მდინარის შავ ზღვასთან შესართავიდან იწყება. იქვეა თევზჭერისათვის განკუთვნილი ბაზა მცირე ფლოტილიათი. ადრე მის ადგილზე არსებულ ციხე-ქალაქს **ტრიპოლიე** ერქვა, რომელიც მოხსენიებულია „ანაბაზისში“, ძველ ბერძენ ისტორიკოსებთან – ქსენოფონტესთან (ძვ. წ. 431-360 წლები). ქსენოფონტესთან კოლხური მოდგმის ტომებზე – დრილებზე (Drilae), ჰაბიბსინებსა (Habibs) და ტიბერენებზეცაა (Tiberians) საუბარი. ამ მხრივ პლინიუს უფროსი უფრო თანმიმდევრულია. სავარაუდოდ, ციხე-ქალაქი ტრიპოლიე ძვ. წ. 656 წელს დაარსდა. იგი როგორც სავაჭრო კოლონია დაკავშირებული იყო ბერძნულ-ქალაქ სახელმწიფოსთან – მილეტთან. შემდეგში ტრიპოლი მოქცეული იყო რომისა და ბიზანტიის იმპერიებში. თავის დროზე, კომნენოსების – ალექსიოს I-ის დროს ტრაპიზონის იმპერიაშიც ერთიანდებოდა. ნიშანდობლივია, რომ პონტოელ ბერძენთა გვარსახელებში დასტურდება გვარი – **ტირიოპულო**.

საინტერესოა საკმაოდ დიდი დასახლება – **მიტროპოლი**³⁶⁵. არსებობს გადმოცემები, რომლებიც გვიდასტურებს, რომ აქ პირველად გემით ოთხი ადამიანი ჩამოსულა. ერთ-ერთი იყო სახელად მიტრატე. ზოგი იმასაც კი ამბობდა, რომ ეს მიტრატე ქართველი მღვდელი იყო. სოფელში თურმე ეკლესია – **ქილისა** ამათ აუშენებიათ. ბევრი ფუტკარი ჰყავდათ და თაფლიან სანთლებს ამზადებდნენ. მათთან **მუმი**'ს – სანთელის ანთება დიდხანს ყოფილა შემონახული. როცა დასახლება გადაუნვათ მოსახლეობას ბოლი დაუნახავთ და, ხალხური ეტიმოლოგიით, მისთვის **მიტრაბოლი** დაურქმევიათ, რაც იგივე მიტროპოლია. ეხლა **იუჯელერ**'ი ჰქვია. ადგილობრივებმა იცის, რომ ეკლესიის შემორჩენილი საძირკვლები წმინდაა, ხოლო ნაეკლესიარი – წმინდა ადგილი. „ოქროს მაძიებლებს“ – განძის ნახვის მიზნით ნაეკლესიარის გადათხრა აქაც უცდიათ, მაგრამ უშედეგოდ. ნაეკლესიარი ისეთი კირქვით ყოფილა ნაშენი, რომ მისთვის ვერაფერი დაუკლიათ.³⁶⁵

კულტურული ურთიერთობების თვალსაზრისით, საილუსტრაციოდ, ასევე, შეგვიძლია პონტოელ ბერძნებში საქორწინო წყვილთა ნიშნობის პერიოდი – **სიმაღია** დავასახელოთ, რომელშიც რიგი წესი უნივერსალურ შინაარს ატარებდა და ადრე მსოფლიოს არაერთი ხალხის სოციალურ ყოფას ახასიათებდა. ამავე დროს, ვრცელ, თუმცა საერთო ტერიტორიაზე დასახლებული სხვადასხვა წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფების ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად კულტურაში ხშირად მსგავს, მაგრამ კარგად ინტერპრეტირებულ ჩვეულებათა ვარიანტს ვლენობთ. ასე მოხდა ანატოლიაშიც. მაგალითად, პონტოელ ბერძენთა საეკლესიო დღესასწაულების პერიოდში მოწყობილი თავყრილობისას მომავალი წყვილების შერჩევას ჰქონდა ადგილი და თავისებურად გასათხოვარი გოგონების დათავისებაც კი ხდებოდა. ბერძენი გოგონას სადღესასწაულო კოსტუმის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი თეთრი თავსაფარი იყო. დღესასწაულის მსვლელობის დროს დასაქორწინებელი ვაჟი გოგოს მანდილს მხარზე თუ გადაუგდებდა, ეს ნიშნავდა, რომ მას და მის ოჯახსაც იგი ცოლად უნდოდა. ბუნებრივია, ეს წესი ქალის დათავისების მიმანიშნებელი იყო. ქალზე ხელის დადებით, მისკენ ქუდის სროლით დათავისება, ლაზებშიც ქალიშვილზე მამაკაცის – მომავალი მეუღლის უფლების გამომჟღავნებად ითვლებოდა. იგი ქართველი ხალხის სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფში, მათ შორის, შავშებში, კლარჯებში, ტაოელებში, აჭარლებშიც იყო ცნობილი და მათ ყოფას საკმაოდ დიდ ხნის მანძილზეც შემორჩა. ჩვეულებათა ამ ციკლში გამოვლენილი ეს ფაქტი ბერძნულ-ქართული პარალელების კვლევის ქვაკუთხედით განსაკუთრებით საყურადღებოა. აჭარაში ქალზე მანდილის – **სილგი**'ს მოხდით დათავისება დიდხანს იყო რემინისცენირებული, მაგრამ ამ კონკრეტულ ვითარებაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის, რომ აღნიშნული ჩვეულება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ იმ ლაზებსაც ჰქონდათ შემონახული, რომლებიც ანატოლიელ ბერძნებთან უშუალოდ იყვნენ კულტურულ შეხებაში (მგელაძე, 1996:213). საერთოდ, ეს წესი, როგორც ითქვა, საზოგადოებრივი ცხოვრების ადრეულ საფეხურზე, პატრილოკალურ დასახლებაში უნდა ყოფილიყო გაჩენილი, უნივერსალური

365 სემ, დღიური II-040 (2012 – მთხრობელი: ხასან ქესკინი (ყალაიჯოდლი//კალიჯოდლი) – ჩიკვაიძე (//ჩიხვაიძე), 72 წლის, სოფელი ქუშჩა, 6 ივლისი, თურქეთის რესპუბლიკა).

მოვლენა იყო და არა მარტო საქართველოსა თუ ზოგადად კავკასიის მოსახლეობას, არამედ მსოფლიოს მრავალ ხალხს ახასიათებდა. მანდილის მოხდამდე პონტოელი ბერძენი თავისი რჩეულის შესახებ ჯერ მშობლებს განუცხადებდა, რადგან მათთან შეთანხმება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ, ოჯახის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, ქალის დათავისების აღნიშნულ წესს ასრულებდა (გიორგაძე, მგელაძე, 2013:220-227).

პონტოური ბერძნულისა და ქართველურის – ლაზურის ისე, როგორც აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნებისა და ქართველი ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის – აჭარლების ურთიერთგავლენები, არანაკლებ თვალსაჩინოდ ხალხური დღესასწაულებისა თუ სხვადასხვა ტიპის რელიგიური რიტუალების სფეროში ვლინდებოდა. ამ მხრივ პონტოელ ბერძნებსა და ლაზებში შეიძლება ისეთი სანესჩვეულებო საკულტო რიტუალები გამოიყოს, როგორებიცაა პონტოელ ბერძნებში ბავშვის ნათლობისას ანდა სხვა დღესასწაულებისას მღვდლის მიერ მრევლთან ერთად შესრულებული ჩვეულება, ხოლო ლაზებში – **ხაჩი სუ – ჯვრის წვიმა**.

ამ მითოლოგიური სისტემის ნაწილი პონტოელ ბერძნთა მეხსიერებაში ასახული ე. წ. **მო-მოერი**'ს სახელწოდების დღესასწაული ჩანს. ჩვეულებრივ, აჭარის სოფლებში განსახლებულ პონტოელ ბერძნებში ახალ წელს რამდენიმე ადამიანი – მამაკაცი, რომელთაგან ერთ-ერთი ქალის ტანსაცმელში იყო გადაცმული, ცეკვას იწყებდა. მათ შორის გამორჩეული **ფადიშახი, ფადიკა** იყო. ვინც კარგად იცნობს ქართველი და კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს იგი ამ სანახაობაში სამხრეთ საქართველოს ქართული მოსახლეობის ფადიკოსა და ყეენობა-ბერიკაობასთან დაკავშირებულ ჟანრობრივ სცენარებს ამოიცნობს, რაც ქართული და პონტოელი ბერძნების ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების საფუძველზე კულტურული დიფუზიისა თუ საუკუნეების მანძილზე ერთად თანაცხოვრების შედეგად უნდა დამკვიდრებულიყო. ჭოროხის აუზში, ლიგანის ხეობაში თეატრალურ სანახაობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი **ქურთობა**'ს, იგივე, **ფატმა**'ს ეკავა, რომელიც როგორც თვლიან და მართებულადაც, ხალხურ დღესასწაულებში წინაქრისტიანული ხანის რელიგიურ-რიტუალური შინაარსის მატარებელი იყო. საერთოდ, პონტოელ ბერძნთა ქრისტიანული დღესასწაულებიდან წარმართული რელიგიური შრეების შემცველი რიტუალებიდან პირველ რიგში ზემოთ დასახელებული **მომოერი**'ს დღესასწაული უნდა გამოიყოს, რომელიც ერთი კონკრეტული საეკლესიო დღესასწაულის დროს კი არ სრულდებოდა, არამედ იგი მიბმული იყო წლიური ციკლის პერიოდში აღსრულებულ სხვადასხვა ხასიათის ქრისტიანულ, მათ შორის, საახალწლო დღესასწაულებთან და ახალგაზრდების დაქორწინების პერიოდში ნიშნობის ცერემონიალებთანაც. განსაკუთრებით, მას წლიური კალენდრის სხვადასხვა მონაკვეთში, უპირველესად, ახალ წელს, შობას, ნათლისღებასა და აღდგომას აღნიშნავდნენ.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ქართველურის – ლაზურის, როგორც სხვა ქართველური ჯგუფებისა და პონტოელი ბერძნების კულტურული ურთიერთგავლენების სფეროში კონკრეტული კვლევები ჩავატაროთ, რადგან იგი საკმაოდ პერსპექტიული ჩანს. პონტოური ბერძნული, დროთა განმავლობაში, ლაზურიდან ისეთ სიტყვებს ითავისებდა, რომლებიც ქართველური ენებისათვის

და უფრო ფართო ენობრივი წრისათვის იყო დამახასიათებელი. მათგან დიდი ნაწილი დასაშვებია: უნივერსალური მნიშვნელობის იყო, განსაკუთრებით, საბავშვო ლექსიკის სფეროში, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ პონტოურ ბერძნულში ისინი სწორედ ლაზურისაგან ხვდებოდა და ვრცელდებოდა, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ადგილი არ ჰქონდა პირუკუ პროცესებსაც. ბუნებრივია, შემდგომი კვლევის საფუძველზე უაღრესად საინტერესო იქნებოდა პონტოელ ბერძენთა და ქართველურ ენათა არეალში ამ მხრივ წარმართოს შედარებითი – სტრუქტურული და ტიპოლოგიური ანალიზი, ასევე, შედარებითი კვლევები ტრადიციული კულტურის სფეროშიც განხორციელდეს, რაც საშუალებას მოგვცემს აღნიშნულ ეთნიკურ საზოგადოებათა შორის საუკუნეებით განპირობებული სოციოკულტურული და სოციოლინგვისტური ურთიერთობები გაცილებით დამაჯერებლად განვსაზღვროთ.

§ 13. პონტოური დიალექტის ძირითადი ლინგვისტური თავისებურებები

13.1. ფონეტიკური თავისებურებანი

ბგერითი შედგენილობა

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა დიალექტის ბგერათა სისტემა ძველ და ახალ ბერძნულთან მიმართებით მეტ-ნაკლებ თავისებურებებს ავლენს.

ხმოვანთა სისტემა

ძველ ბერძნულ ენაში მოქმედებდა კვანტიტეტის კანონი. განირჩეოდა გრძელი და მოკლე ხმოვნები (ურუშაძე, 1997:10). თანამედროვე ბერძნულში ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე აღარ განირჩევა. ეს მოვლენა არც პონტოურში ჩანს. პონტოური დიალექტის ბგერათა სისტემაში რეალიზებულია შემდეგი მარტივი ხმოვნები: **a, e, o, w, i, h, ou**.

ბერძნულ **α** ხმოვანს შეესატყვისება ქართული **ა**, **ო**-სა და **ა** ხმოვნებს – ქართული **-ო**, **-ი**, **-ჲ** ხმოვნებს – ქართული **-ი**, **-ოუ**-ს – ქართული **-უ** და **-ე**-ს – ქართული **ე**.

გარდა აღნიშნული ხმოვნებისა, ბერძენი მეცნიერი ხ. სიმეონიდისი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე გავრცელებული პონტოური დიალექტისთვის გამოყოფს ოთხ სპეციფიკურ ხმოვანს, ესენია **-ძ**, **-ძ**, **-ძ**, **-ი** ხმოვნები და იმონებს შესაბამის მაგალითებსაც (Diabalo-/~~h~~balo~; o hlio-/h~~l~~~)(ბერძენი საქართველოში, 1990:140).

სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია სიმეონიდისის მოსაზრება და აღნიშნულია, რომ ამ ხმოვანთაგან თითქმის ყველა არის საქართველოში გავრცელებულ პონტოურ დიალექტშიც. მართალია, მკვლევრები **ძ** და **ძ** ბგერების არსებობას ვერ ადასტურებენ მათ ხელთ არსებულ მასალებში, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ამ ბგერათა კვალი შეიმჩნევა ზოგიერთ კილოკავში. ასეთ ხმოვანთა არსებობას თურქეთში გავრცელებულ ბერძნულ დიალექტებსა და სუბდიალექტებში და საქართველოს პონტოურში თურქული ენის უშუალო გავლენით ხსნიან (ბერძენი საქართველოში, 1990: 141).

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ე.წ. უმლაუტიანი ხმოვნები გავრცელებული არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ შემთხვევას, მაგ: **τετρακό[sh]ä** (ტეტრაკოშა) (პონტ.) – **τετρακόσια** (ტეტრაკოსია) (ახ. ბერძ.), შესაძლოა, ეს ფორმა გადმოჰყოლოდა თურქეთიდან მიგრირებულ პონტოელთა მეტყველებას თურქულის გავლენით, თუმცა საქართველოში, ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, ვერ გავრცელდა, რადგან უმლაუტის, როგორც ფონეტიკური მოვლენის არსებობა ქართული ენის ზოგიერთ კილოში სამეცნიერო ლიტერატურაში თურქულ ენასთან ხანგრძლივი კონტაქტებით აიხსნება და არარეგულარულ, მეორეულ მოვლენად მიიჩნევა. „ქართული ენის დიალექტებში გამოვლენილი უმლაუტის შემთხვევები მოწმობს, რომ იგი „დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართული ენის დიალექტებისთვის, თუმცა, როგორც ჩანს, ენამ ვერ იგუა იგი“ (ჯორბენაძე, 1989:38; ფალავა, 2002: 19).

დიფთონგი

აქარაში გავრცელებულ პონტოურ დიალექტში ხმოვნები ისეთსავე დიფთონგებს ქმნის, როგორც ბერძნული ენის სხვა კილოკავებისთვისაც ნიშანდობლივია:

αι – გამოითქმის როგორც, ქართული **-ე** (**γυναίκα** (ღინეკა) – ქალი, **αίμα** (ემა) – სისხლი);

αυ – გამოითქმის როგორც **-ა(ვ)უ, -ავ, -ავ** (ხვალ – **αύριον** (ავრიონ), ანთება **-αυτίω** (ავტინო/ავტინო));

ει – გამოითქმის როგორც **-ი** (**θείος** (თიოს) – ბიძა;

ευ – გამოითქმის **-ევ, -ევ** (**πνεύματι** (პნევმონია) – ფილტვი, ცარიელი – **ἑ(φ)κερον** -ევ(ფ)კერონ, ორშაბათი – **Δευτέρα** (დეფტერა/დევტერა);

οι – გამოითქმის **-ი** (ცოლი – **οικοίρα** (იკოკირა);

ου – გამოითქმის **-უ** (**στουδι** (სტუდი) – ძვალი);

თანხმოვანთა სისტემა:

პონტოური	ქართული შესატყვისები
Β	ვ
Υ	ღ, გ
δ	დ, [th]
ζ	ზ
θ	თ, [th]
κ	კ
λ	ლ
μ	მ
ν	ნ
π	პ
ρ	რ
ς	ს
τ	ტ
φ	ფ
χ	ხ
ξ	ქს
ψ	ფს

ბგერათა კომპლექსები

პონტოურში ისევე, როგორც ბერძნულ სალიტერატურო ენაში, დასტურდება ორმაგი თანხმონები და ხმონები, რომლებსაც ქართულში რამდენიმე ვარიანტი შეესაბამება.

μπ – შეესატყვისება ქართული – **ბ, მპ, პ** (**γαμπρός** (ლა(მ)ბროს) – სიძე, **κουμπίν** (კუმბინ) – ლილი, **λάμπα** (ლამპა) – ლამპა, **μπαλκόν** (ბალკონ) – აივანი);

ντ – შეესატყვისება –**დ, ნტ, ნდ** (**δόντιν** (დონდინ) – კბილი, **βροντά και στραφτ** (ვრონდა კე სტრაფტ) – ქექა-ქუხილი, **ζόντικον** (ზონტიკონ) – ქოლგა);

γκ – შეესატყვისება – **გ, -ნგ/ნკ** (**αγκώνα** (ანგონა) – იდაყვი, **φικούρα** (ფიგურა) – აღნაგობა);

γγ – შეესატყვისება –**ნგ, -გ**, (**εγγονόν** (ენგონონ) – შვილიშვილი, **στρογγύλον** (სტრო(ნ)გილონ) – მრგვალი, **λάγγεμαν** (ლანგემან) – ნახტომი);

τζ – შეესატყვისება – **ჭ, -ძ, -ჯ** (ღრძილი – **γρίν[τζ]λία** (ღრინჯილია), **πιτζάκ** (პიჯაკ) – პიჯაკი, **[Τζ]αγγομόσον χρώμα** (ჟანგომენონ ხრომა) – ჟანგისფერი);

ტყ – შეესატყვისება –**ჩ, -ც, -წ** (**[ტყ]ί[ტყ]ία** (ციცია) – ქალის მკერდი, **κό[ch]ια** (კოჩა) – ქუსლი, **τσιτσμάτ** (წინმატ) – წინმატი);

για – შეესატყვისება –**ია** (**γιαγιά** (იაია) – ბებია);

აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაში, როგორც მასალები გვიჩვენებს, ძირითადად, დაცულია ბერძნულის ბგერათა სისტემა, თუმცა საკუთრივ ბერძნული სალიტერატურო ენისა და მისი სხვა კილოკავებისგან განსხვავებით, იგი გარკვეულ თავისებურებებს მაინც ავლენს.

ბერძნული კონსონანტიზმისათვის უცხოა ქართული აფრიკატების (ძ, წ, ც, ჯ, ქ, ჩ), ნაპრალოვნების (ყ-შ) შესატყვისი ფონემები, რომლებიც არც ძველ და არც ახალ ბერძნულში არ ჩანს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამათგან ქართული **ც**-ს შესატყვისად გამოიყენება ბერძნულის ორმაგი თანხმონი **τσ** და ქართული **ძ** ფონემის შესატყვისად – **ტჯ**. სხვა აფრიკატების შესატყვისი ბგერები ბერძნულში არ არის (იხ. **Νεοελληνικ ήγγραμματικ ή** 2005). ამ ბგერების არსებობაზე პონტოურში მიუთითებდა ჯერ კიდევ ე. ლაზარევი, რომლის მოსაზრების შესახებ საუბარი სამეცნიერო ლიტერატურაში, აღნიშნულია, რომ ე. ლაზარევი საქართველოში გავრცელებულ დიალექტში შესაძლებლად მიიჩნევს **-წ** და **-ჭ** ფონემების გამოყოფას. ავტორთა ჯგუფი ლაზარევის მასალებზე დაყრდნობით, ასახელებს კიდევ შესაბამის მაგალითებს (ბერძნები საქართველოში, 1990:149-151).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მასალების მიხედვით, პონტოურში საკმაოდ პროდუქტიულია ქართული აფრიკატებისა და ნაპრალოვნების შესატყვისი ბგერები, როგორც ნასესხებ, ასევე საკუთრივ პონტოურ ლექსიკაში. განსაკუთრებით გავრცელებულია **-შ** ფონემა, შედარებით ნაკლებია **-ჩ, -ც** და **-ძ** ფონემები, ხოლო, **-წ, -ჭ** და **-ჯ** ფონემები მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში დადასტურდა. ამ ფონემათა გამოყენების შემთხვევები და სიხშირე გვაფიქრებინებს, რომ ეს მოვლენა ქართული ენის გავლენით უნდა აიხსნას.

შ: ნასესხებ სიტყვებში:

თავსაფარი – **κα[sh]κίν** (კაშკინ) (რუს.**кочынка**) [ახ. ბერძნული – **η μανπλα, το τσεμπ'ρι** (ი მანდილა, ტო ცემპერი)];

საფულე – **κα[sh]ιλók** (კაშილოკ) (რუს.**кошелёк**) [ახ. ბერძნული – **το πορτοφόλι** (პორტოფოლი)];

ქამარი **γá[sh]** (ყაშ) (თურქ.**kayış**) – [ახ. ბერძნული – **η ζώνη** (ი ზონი)];

ქუდი – **[sh]άπκav** (შაპკან) (რუს **шапка**) [ახ. ბერძნული – **το καπ'áο** (ტო კაპელო)];

შარვალი – **[sh]αρβάλ** (შარვალ) (ქართ.) [ახ. ბერძნული – **το πανταλόνι, το παντελόνι** (ტო პანდელონი)];

ია – **μανου[sh]άκια** (მანუშაკია) [ახ. ბერძნული – **ο μενεξ'ε** (ო მენექსეს) (თურქ. **menekses**), ძვ. ბერძნული – **το ίον** (ტო იონ)];

ჭიშკარი – **τι[sh]κάπι** (ტიშკაპი) (ქართ.) [ახ. ბერძნული – **η πύλη, εξάπορτα** (ი პილი, ექსოპორტა)];

ხრეში **χρ'ξ[sh]α** (ხრეშა) – (ქართ.ხრეში)[ახ. ბერძნული – **το χαλί** (ტო ხალიკი)].

შ: საკუთრივ ბერძნულში: პონტოურში ბერძნულის **-χ(ხ)** გამოითქმის როგორც ყრუ შიშინა **-შ** ბგერა, თუ მას მოსდევს ხმოვნები **-ε,-ι,-η**:

ბაგე – **[sh]ίλια** (შილია) [ახ. ბერძნული – **χελος** (ხილოს)];

ავდარი – **ε[sh]κ'βρε[sh]** (ეშკევერეშ) [ახ. ბერძნული – **βροχ'η**(ვროხი)];

თოვა – **[sh]ιοιζ** (შიონიზ) [ახ. ბერძნული – **χιοιζω** (ხიონიზო)];

წვიმა – **βρε[sh]'η** (ვრეშინ) [ახ. ბერძნული – **βροχ'η**(ვროხი)];

დანა – **μα[sh]'φ** (მაშერ) [ახ. ბერძნული – **μαχαίρι** (მახერი)];

სქელი/მსხვილი – **χοντρόν/πα[sh]ίν** (ხონდრონ/პაშინ) [ახ. ბერძნული – **χοντρός / παχής** (ხონდროს/ პახის)];

სამაჯური – **βρα[sh]ίολ** (ვრაშიოლ) [ახ. ბერძნული – **βραχιόλι** (ვრახიოლი)];

ფრჩხილი – **νś[sh]α, νś[sh]ι** (ნიშა, ნიში) [ახ. ბერძნული – **νśχι** (ნიხი) – ბრჭყალი, ფრჩხილი, კლანჭი];

მერცხალი – **[sh]ελιδόν** (შელიდონ) [ახ. ბერძნული – **το χελιδони** (ტო ხელიდონი)];

-shk (შკ) კომპლექსი მიღებულია **sk** (სკ) კომპლექსისგან თუ მას მოსდევს **-ι, -ε** ხმოვნები:

საცერი – **κο[sh]κίν** (კოშკინ) [ახ. ბერძნული – **κόσκιο** (კოსკინო)];

გაცრა – **κο[sh]κιωζω** (კოშკინიზო) [ახ. ბერძნული – **κοσκιωζω** (კოსკინიზო)];

ჭურჭელი – **[sh]κ'βια** (შკევია) [ახ. ბერძნული – **σκεύος** (სკევოს)];

დახურული – **[sh]κεπασμένος** (შკეპაშმენოს) [ახ. ბერძნული – **σκεπασμένος** (სკეპაშმენოს)];

პარასკევი – **Παρα[sh]κεβίν** (პარაშკევინ) [ახ. ბერძნული – **Παρασκευ'η**(პარასკევი)].

ksh (კშ) კომპლექსი მიღებულია **-ξ(ქს)** ბგერისგან თუ მას მოსდევს ხმოვნები **-ο – ου**:

გარეთ – **οκ[sh]οκά, οκ[sh]οσκά**(ოკშოკა, ოკშუკა) (პონტ.) – (ახ. ბერძ.- **Ώα**)(ექსო);

-შ მიღებულია -ს-გან, რასაც ახლავს ფონეტიკური მოვლენა (ასიმილაცია, ბგერის დაკარგვა..):

ბალი – **κερά[sh]α** (კერამა) [ახ. ბერძნული – **το κεράσι** (ტო კერასი)];

სტვენა – **[sh]ριμαν** (შირიმან) [ახ. ბერძნული – **το σφύριγμα, το σύρισμα**] (ტო სფირიღმა, ტო სირიზმა);

ოთხასი – **τετρακό[sh]α** (ტეტრაკომა) [ახ. ბერძნული – **τετρακόσια** (ტეტრაკოსია)].

ც: ნასესხებ სიტყვებში

ციტრუსი – **[τσ]ιτρούσια** (ციტრუსია) (პონტ.) (ლათ.citrus) – სუბტროპიკული ხილი) [ახ. ბერძნული – **το εσπεριδοειδ 'ε** (ტო ესპერიდოიდეს)];

ც: საკუთრივ ბერძნულში:

მკერდი (ქალის) – **[τσ]ι[τσ]ια** (ციცია) [ახ. ბერძნული – **ο στήθος/το στήθι** (ო სტითოს, სტითი)];

ტყავი – **π'ετις** (პეტინ) [ახ. ბერძნული – **to petsin** (ტო პეტსინ)];

ციცაბო – **κα[τσ]απράνια** (კაცაპრანია) [ახ. ბერძნული – **τα κατσάβραχα, απόκρημνος, απότομος** (ტა კაცავრახა, აპოკრიმნოს, აპოტომოს)].

-ც- ფონემა ხშირად გამოითქმის სიტყვის ბოლოს ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოკვეცისას:

მაგ: მამინაცვალი – **παρακύρ[τσ]** (პარაკირც) [ახ. ბერძნული – **ο πατριός** (ო პატრიოს)].

ზოგან ბოლოკიდური ხმოვანი შენარჩუნებულია:

მული – **αντρα'φ[τσ]α** (ანდრაფცა) [ახ. ბერძნული – **η ανδραδ'ῆφι, η κουριάδα** (ი ანდრა-დელფი, ი კუნიადა)].

ჯ: ძირითადად, ნასესხებ ლექსიკაში გვხვდება

პიჯაკი – **πι[τζ]აკ** (პიჯაკ) (პონტ.) (ინგ.pea-jacket) [ახ. ბერძნული – **το σακάκι** (ტო საკაკი)];

ყავადანი – **[τζ]εβ'ε** (ჯევე) (თურქ.cezve) [ახ. ბერძნული – **η καφετι'φα** (ი კაფეტიერა)];

ღრენა – **γριν[τζ]άνιμαν** (ღრინჯანიმან) (შდრ. ქართ. იღრიჯება, დაღრეჯა) [ახ. ბერძნული – **ο γογγισμός** (ო ლონლიზმოს), ძვ. ბერძნული – **ο σιγγοισμόν** (ო სინგოგისმონ)].

ძ: ნასესხებ ლექსიკაში:

ბრინჯი – **πριν[ტჯ]/πριν[ტჯ]όλις** (პრინძ/პრინძოლის) (ქართ.ბრინჯი) [ახ. ბერძნული – **το ρύζι** (ტო რიზი), ძვ. ბერძნული – **druza** (ორუზა)];

ღრძილი – **γρίν[ტჯ]ιλια** (ღრინჯილია) (ქართ. ღრძილი) [ახ. ბერძნული – **το ούλο/τα ούλα** (ტო ულო, ტა ულა); ძვ. ბერძნული – **τα ούλον/ τα ούλα** (ტო ულონ/ტა ულა)].

ძ: საკუთრივ ბერძნულში:

ხაჭო – **μιν[ტჯ]ίν** (მინძინ) [ახ. ბერძნული – **η μτζ 'ῥρα** (ი მიზითრა)];

ბადრიჯანი – **μαν[ტჯ]άνα** (მანძანა) [ახ. ბერძნული – **μελιτζάνα** (მელიძანა)];

განქორწინებული – **χαρισμένος** (ხორიზმენოს), **χαρισμέν[ტჯ]α γάριον** (ხორიზმენძა ლარინ), **ανδρισμέν[ტჯ]α κεν** (ანდრიზმენძა კენ) [ახ. ბერძნული – **χαρισμένος/χαρισμένη** (ხორიზმენოს/ხორიზმენი)];

ჩ: საკუთრივ ბერძნულში:

ნამნამი – **ματο[ch]α[ch]α** (მატოჩაჩა) [ახ. ბერძნული – **ματόκλαδο/βλεφαρίδα** (მატოკლადო/ვლევარადა)];

გოგო – **κορίτς** (კორიც), **κορτσόπον/κορί[ch]ια** (კორცოპონ/კორიჩია) [ახ. ბერძნული – **το κορίτσι** (ტო კორიცი), ძვ. ბერძნული – **κόρη** (კორე)+კნინობითი **-ίσιον** (იცინ)];

ფეხსაცმელი – **τα παπού[ch]ιαμ** (ტა პაპუჩიამ) [ახ. ბერძნული – **παπούτσι/σπόδημα** (პაპუცი/იპოდამა)];

ჭრიჭინა – **[ch]ιχρίτης** [ახ. ბერძნული – **ο τζιτζικας, το τριζόνι** (დიდიკას, ტრიზონი)];

ჯიბე **[ch]όπιαν** (ჩოპიან) (პონტ.) – **τσ'πι/θσλάκιο** (ცეპი/თილაკიო) (ახ. ბერძ.);

წივილი, წრიპინი – **[ch]ίβιμαν** (ჩივიმან) (შეად. ქართ. ჩივილი) [ახ. ბერძნული – **η τσιρδα, το τριξίμο** (ი ცირიდა, ტო ტრიქსიმო)].

ჩ: ნასესხებ ლექსიკაში:

ჩხირი – **[ch]ίβαν** (ჩივიან) [ახ. ბერძნული – **η ράβδος** (ი რავდოს)];

კამეჩი – **[ch]αμέ[sh]** (ჩამეშ) (არაბ. **djamush**) [ახ. ბერძნული – **βούβαλος** (ვუვალოს); ძვ. ბერძნული – **το βουβαλο**];

ტურა – **[ch]άκαλος** (ჩაკალოს) [ახ. ბერძნული – **το τσακάλι** (ტო ცაკალი) (თურქ. **çakal**)];

ტაში – **[ch]άπας** (ჩაპას) [ახ. ბერძნული – **ηχειροκρότηση** (ი ხიროკროტისი)];

ყვავილი – **[ch]ι[ch]άκ** (ჩიჩაკ) (თურქ. **çiçek**);

ყბა – **[ch]ανγκιά** (ჩანგია) – **(απάνι [ch]ανγκιά)** (აპანი ჩანგია) – ზედა ყბა, **αφκά [ch]ανγκιά** (აფკა ჩანგია) – ქვედა ყბა) [ახ. ბერძნული – **το σαγόνι** (ტო სალონი); შდრ. აჭარ. ჩენგე<თურქ. **Çene** -ქვედა ყბა)];

ზოლიანი – **[ch]ιζίλν** (ჩიზილინ) (თურქ. **Çizgili**) [ახ. ბერძნული – **ραβδωτός** (რავდოტოს)].

ჟ: ნასესხებ ლექსიკაში:

ჟანგისფერი – **[Tʃ]αγγομένον χρώμα** (ჯანგომენონ ხრომა) [ახ. ბერძნული – **το χρώμα σκουριάς** (ტო ხრომასკურიას)].

ნ: ნასესხებ ლექსიკაში:

წინმატი – **[nc]ι[nc]μάτ** (წინმატ) [ახ. ბერძნული – **το λεπίδιο** (ტო ლეპიდიო), **το ήμερο** (ტო იმერო), **τοκάρδαμο** (ტო კარდამო)].

ჭ: ნასესხებ ლექსიკაში:

ჭიპი – **[nc]ίπαν** (ჭიპან) [ახ. ბერძნული – **ο αφαλός** (ო აფალოს), **ο ομφαλός** (ო ომფალოს)].

მსგავი ნასესხობანი კულტურათა ურთიერთობის შედეგია. ბერძნები ძირითადად ეკონტაქტებოდნენ ქართულ, რუსულ და თურქულ კულტურებს.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება მრავალფეროვანი და საკმაოდ საინტერესო ბგერათცვლილებებით ხასიათდება. გვაქვს სიტყვები, რომელთაც ძირი სალიტერატურო ბერძნულთან მიმართებით საერთო აქვთ, პონტოურში კი გარკვეული ფონეტიკური სახეცვლილებით დამკვიდრებულა. გვხვდება ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერის დაკარგვის, ბგერის გაჩენის, მეტათეზისის და ბგერათშენაცვლების შემთხვევები.

ასიმილაცია

მეტნაკლებად გავრცელებულია ასიმილაციის თითქმის ყველა სახეობა. გვხვდება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევები. დასტურდება როგორც სახელურ, ასევე ზმნურ ფორმებში.

ა. ხმოვანთა ასიმილაცია

რეგრესული დისტანციური ასიმილაციით მომდევნო ხმოვანი იმსგავსებს წინამავალ ხმოვანს სრულად:

o<e: სავსე – **γομάτων** (ლომატონ) (პონტ.) – **γεμάτος** (ლემატოს) (ახ.ბერ.);

e<u: ქალიშვილი – **θεγατ'ρ** (თელატერ) (პონტ.) – **θυγατ'ρα** (თილატერა) (ახ. ბერძ.);

e<ou: გახარებული – **χαρεμ'σος** (ხარემენოს) – **χαροσμενος** (ხარუმენოს) (ახ. ბერძ.);

e<η: შეშუპებული – **πρεσμένον** (პრეზმენოს) – **πρησμένος** (პრისმენოს) (**πρηζα**) (ახ. ბერძნ.).

პროგრესული, დისტანციური, სრული ასიმილაცია – წინამავალი ბგერა იმსგავსებს მომდევნო ბგერას სრულად:

e<i: ზეთისხილი – **ελείας** (ელეას) – ახ. ბერძნული **ελιά** (ელია): **-ελια>ελεια>ελεα**.

ბ. თანხმოვანთა ასიმილაცია

გვხვდება პროგრესული, დისტანციური, სრული ასიმილაციის შემთხვევები – წინამავალი ლატერალი -ლ ბგერა იმსგავსებს მომდევნო-ვ ბგერას:

ლ<β: გადარეული, გაგიჟებული – **παλαλός** (პალალოს) (პონტ.) – ახ. ბერძნული **τρελός** (ტრელოს), **παλαβός** (პალავოს), **παράφρων** (პარაფრონ);

ტ<მ: სათითე – **δαχτιλτρα** (დახტილიტრა) (პონტ.) – ახ. ბერძნული **ζαχτυλθρα** (დახტილითრა).

რეგრესული სრული დისტანციური ასიმილაციის შემთხვევები:

χ<κ: ზვიგენი – **χαρχαρίας** (ხარხარიას) – ახ. ბერძნული **ο καρχαρίας** (ო კარხარიას);

ფ<პ: ფლავი – **φιλάφ** (ფილაფ) – ახ. ბერძნული **το πιλάφι** (ტო ფილაფი) (თურქ. **pilav**)].

კონტაქტური პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით წინამავალი ყრუ მკვეთრი ბაგისმიერი -პ ბგერა ნაწილობრივ იმსგავსებს მომდევნო ბგერას:

νδ<ντ: πενδε (პენდე) < ძვ. Πεντε (პენტე) – ხუთი;

sh<σ: πεντακο[sh]α (პენდაკოშა) < ძვ. πεντακοσιοι (პენტაკოსიოი) – ხუთასი;

დისიმილაცია

დისიმილაცია ასიმილაციასთან შედარებით ნაკლებად გავრცელებული ჩანს პონტოურ დიალექტში.

ა. ხმოვანთა დისიმილაცია:

A-α<α-ε – (ა-ა<ა-ე): რეგრესული დისტანციური სრული დისიმილაცია:

გაჟღენთილი, დასველებული – βραχμένον (ვრახმენონ) (პონტ.) – ახ. ბერძნული μουσκεμένος, βρεγμός (ვრელმენოს).

ბ. თანხმოვანთა დისიმილაცია-

γκ<γγ – მიღებულია რეგრესული კონტაქტური ნაწილობრივი დისიმილაციით:

მრგვალი – στρογκιλόν (სტრონგილონ) (პონტ.) – στρογγυλός (სტრონგილოს) (ახ. ბერ.).

სიტყვის ბოლოს ყრუ მკვეთრი ბგერა (τ) განიმსგავსებს ყრუ ფშვინვიერ (φ)-ს, რასაც მოსდევს ბგერის დაკარგვა: φ<π: ხუთშაბათი – Πεφτ (პეფტ)(პონტ.) – ახ. ბერძნული Πέμπτη (პემპტი).

ბგერის დაკარგვა

პონტოურ დიალექტში ხშირია ბგერის დაკარგვის შემთხვევები. იგი სხვა ფონეტიკურ მოვლენებთან შედარებით ფართოდ არის გავრცელებული. იკარგება როგორც თანხმოვანი, ისე ხმოვანი.

ა. ხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები

იკარგება **-ou** ხმოვანი **-c-c** პოზიციაში.

მაგ: ლოყა – το μάγλο (ტო მალლო) (τα μάγλα) – ახ. ბერძნული το μάγουλο (ტო მალულო).

იკარგება **-i** ხმოვანი **-c-v** პოზიციაში:

სიცილი – γ΄αιος (ლელოს) (პონტ.) – ახ. ბერძნული το γ΄αιο (ტო ლელიო).

რედუქცია ხდება ნაწარმოებ სიტყვებში **v-v** პოზიციაში:

იქიდან αποκει (აპოკი) (პონტ.) – ახ. ბერძნული από εκεί (აპო ეკი) მიღებულია από+εκει სიტყვისაგან წინდებულის დართვის შედეგად ორი ხმოვანი (oe) იყრის თავს, რომელთაგანაც ერთი იკარგება.

ასევეა:

უკან – οπίς (ოპის) (პონტ.) – ახ. ბერძნული πίσω (პისო), მაგრამ უკანიდან – απ΄οπίς (აპ'ოპის) (oo) – ახ. ბერძნული από πίσω (აპოპისო);

ქვემოთ – αφκά (აფკა), მაგრამ ქვემოდან – απο΄φκά (აპო'ფკა) (oa) – ახ. ბერძნული από κάτω (აპოკატო).

მსგავსი მოვლენა ელიზიის სახელითაა ცნობილი და ნიშნავს სიტყვის ბოლოკიდური მოკლე ხმოვნის ამოვარდნას მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის გავლენით. დაკარგული ხმოვნის ადგილზე დაისმის აპოსტროფი (ურუშაძე, 1987:15).

ელიზია ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ძველ ბერძნულში. პონტოურში ელიდირებულია ძირითადად წინდებულის ბოლოკიდური ხმოვანი.

პონტოურს შემოუნახავს ძველი ბერძნულისთვის ბუნებრივი ე.წ. კრასისის (შერევის) შემთხვევები, როცა სიტყვის ბოლოკიდური მარტივი ხმოვნის ან დიფთონგის შერწყმა მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანთან იწვევს ორი სიტყვის შერევას.

მაგ: იკარგება კითხვით წინადადებაში ზმნური სიტყვის წინამავალი ხმოვანი **v-v** პოზიციაში:

მაგ: საათი (რომელი საათია?) **ντο ώρα εν;** (დო ორა ენ) (პონტ.) – **Τι ώρα είναι;** (ტი ორა ინე) (ახ. ბერძნული).

-o ხმოვნით დაწყებულ სახელზე არტიკლის დართვა იწვევს თავკიდური ხმოვნის დაკარგვას: კვერცხი პონტოურად არის **οβα** (ოვა), **το** არტიკლის დართვით ორი **-o** იყრის თავს, რომელთაგანაც ერთი სახელისეული **-o** იკარგება: **το (o)βα**.

Ι μαμά μου ποισά το (o)βά – (ი მამა მუ პოიცა ტო ოვა) – დედამ შეღება კვერცხი.

c-v პოზიციაში იკარგება **-i** ფონემა სიტყვაში ოთხასი – **τετρακό[sh]α** (ტეტრაკომა)– ახ. ბერძნული **τετρακόσια** (ტეტრაკოსია), მაგრამ შენარჩუნდება რიცხვით სახელში სამასი, როგორც ჩანს, წინამავალი **i**-ის გავლენით:

მაგ: **τετρακό[sh]α γραμάρια ζαχάρη, τριακο[sh]ιά βούτιρο** (ტეტრაკომა ლრამარია ზახარი, ტრიაკოშია ვუტირო – ოთხასი გრამი შაქარი, სამასი – კარაქი).

ბ. თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები

იკარგება **-t** თანხმოვანი **c-v** პოზიციაში:

დათვი – **άρκος** (არკოს) (პონტ.) – ახ. ბერძნული **η άρκτος** (ი არკტოს), **η αρκούδα** (ი არკუდა).

იკარგება **-l** თანხმოვანი **c-v** პოზიციაში:

კრუხი – **κόσος** (კოსო) (პონტ.) – ახ. ბერძნული **κλώσα** (კლოსა); ძვ. ბერძნული – κλωσσω.

გავრცელებულია **-γ** თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევები

v-c პოზიციაში:

სტვენა – **[sh]ρίμαν** (შირიმან) (პონტ.) – ახ. ბერძნული – **το σφύριγμα** (ტო სფირილმა), **το σύρισμα** (ტო სირიზმა), ძვ. ბერძნული – **σφύριγμα** (ჰო სურიგმოს);

v-v პოზიციაში:

ბზა – **βαίον/[sh]μ[sh]ρ** (ვაიონ/შიმშიფ) (პონტ.) – ახ. ბერძნული **οπισθός** (ო პიქსოს), **τοπισάρι, τα βάγια** (ტა ვა(ლ)ია);

საჭმელი – **φαή(ფაი)** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το φαγητό** (ტო ფალიტო), **η τροφή**

თანაბარი – **αναλοής** (ანალოის) (პონტ.) – ახ. ბერძნული **αναλογία** (ანალოლია) (პროპორცია);

ბუზი – **μύα (μια)** (პონტ.) – ახ. ბერძნული **η μύγα (ი მილა)**, **η μύα**, ძვ. ბერძნული **μυια** (მუია).
პონტოური დიალექტისთვის ბგერის დაკარგვის შემთხვევები დამახასიათებელია უპირატე-
სად, სიტყვის ბოლოს ან სიტყვის დასაწყისში...

ხშირად იკარგება – **γ** ფონემა **სიტყვის დასაწყისში**:

(**γ**)**ειτονια** (ლ)იტონია), (**γ**)**σνακα** (ლ)ინეკა) და მის.

მაგ: **μαμά μου έπεγνες (γ)είτονια**) (მამა მუ ეპელნეს იტონია) – ჩემი დედა წავიდა მეზობელ-
თან.

δεν 'θανε (γ)είτονια (დენ ესანე (ლ)იტონია) – მეზობელი არ იყო.

(**γ**)**ην'κα μου είναι** – (ლ)ინეკა მუ ინე) – ჩემი ცოლი არის.

ხშირია ბგერის დაკარგვის შემთხვევები წინდებულეებში:

მაგ: **ο παπάς μου σο(სო) (στο-სტო) (ρδρουμ, σο (სო) πλέμο, σο (სო) χορίς** (ო პაპას მუ სო
ირზრუმ, სო პოლემო, სო ხორიო) – ჩემი ბაბუა იყო ირზრუმში, ომში, სოფელში;

გ. ორმაგი თანხმოვნების გამარტივების შემთხვევები

ცალკე განვიხილავთ ბგერის დაკარგვის ისეთ შემთხვევას, როდესაც სიტყვაში ორი ერთ-
ნაირი ბგერა იყრის თავს. ეს მოვლენა დამახასიათებელია როგორც ძველი, ასევე ახალი ბერძ-
ნულისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ბერძნულისთვის დამახასიათებელი ორმაგი თანხმოვნები
პონტოურში ძირითადად ერთით გადმოიცემა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა ქართველუ-
რი ფონოტაქტიკის გავლენის შედეგია, – ორი იდენტური თანხმოვანი ვერ ძლებს.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ძველი ბერძნულის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტე-
რატურაში განხილულია სიტყვაში ორი **σ**-ს თავმოყრისას პირველის ამოვარდნის შემთხვევები
(**τειχεσσι>τειχεσι, εσσομαι>εσομαι**) (ურუშაძე, 1987:18), თუმცა მხოლოდ „σ“ ბგერის დაკარგვისა
(რაც შეიძლება აიხსნას მეზობელი ბგერების გავლენით, სიტყვის გამარტივებისაკენ სწრაფით
τειχεσσι>τειχεσι>τειχος, εσσομαι>εσομαι>θαεσει) და ისიც, არა ყველა ფორმაში (შდრ. **θαλασσα,**
μελισσα, γλωσσα), რაც ვერ გვაფიქრებინებს, რომ ორმაგი თანხმოვნების გამარტივება ძველი
ბერძნულისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყოს. ე.წ. ორმაგი თანხმოვნები, ჩვეულებრივ თა-
ნამედროვე ბერძნულში გამოიყენება.

შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ქართულ გარემოში მოხვედრილ დიალექტში ქართული ენის
ფონოტაქტიკის გავლენით, იწყება ორმაგი თანხმოვნის გამარტივების პროცესი.

სანოლი – **κρεβάτι** (კრევატი) (პონტ.) – ახ. ბერძნული **κρεβάτι**;

ეკლესია – **εκκλησία** (ეკლისია) (პონტ.) – ახ. ბერძნული **εκκλησία**;

ფუტკარი – **μελ'σια** (მელესია) (პონტ.) – ახ. ბერძნული **η μ'αισσα**;

წურბელა – **εβδ'λαν** (ევდელან) (პონტ.) – ახ. ბერძნული **η βδ'λλα**;

ვარდი – **τριαντάφυλο** (ტრიანდაფილო) (პონტ.) – ახ. ბერძნული **τοτριαντάφυλλο**;

დედობილი, ძიძა, გამზრდელი – **παραμάννα** (პარამანა) (პონტ.) – ახ. ბერძნული **η παραμάννα**;

თმა – **μαλία** (მალია) (პონტ.) – ახ. ბერძნული **τα μαλλιά**;
γραμμάρια (გრამარია) – გრამი (პონტ.) – ახ. ბერძნული **γραμμάρια**;
ენა – **γλώσσα** (ლლოსა) (პონტ.) – ახ. ბერძნული **γλώσσα**.

ბგერის ჩართვა

-ou ბგერა ჩართულია **c-c** პოზიციაში:

მაგ: თონე – **φουρουνι** (ფურუნი) (პონტ.) – ახ. ბერძნული **ο φούρνος** (ო ფურნოს).

-ts ჩართულია **v-v** პოზიციაში:

სახეხი – **τριπίτσα** (ტრიფტიცა) (პონტ.) – ახ. ბერძნული **τριψτης** (ტრიფტის);

-i ჩართულია **c-v** პოზიციაში:

დაბერტყვა – **ατινάζω** (ატინიაზო) (პონტ.) – ახ. ბერძნული **τινάζω** (ტინაზო).

-y ჩართულია **v-v** პოზიციაში ძვ. ბერძნულიდან:

დედინაცვალი – **μετρούγα** (მეტრულა) (პონტ.) – ახ. ბერძნული **η μητριά** (მიტრია), ძვ. ბერძნული – **μητρία** (მეტრუია);

ზოგჯერ ბგერის გაჩენას სხვა ფონეტიკური პროცესი უსწრებს:

მაგ: წამოხველება – **ξεροβής** (ქსეროვეის) – მიღებული უნდა იყოს ძვ. ბერძნული ფორმისგან **-oi xhrobhix** (ქსეროვექს), შესაძლოა ამგვარი ფონეტიკური პროცესის დაშვებაც: **xhrobhix > ξεροβήξ** (ძვ. ბერძნულში **-η** გამოითქმის როგორც **-ე** და პონტოურში **-η** (იტა) ადვილად შეცვალა **-ე** (ეფ-სილონმა) > **ξεροβες** (ξ-ც მონაცვლეობით) > **ξεροβης** (ბგერის გაჩენით).

გაჟღენთილი, დასველებული – **βραχμένον** (ვრახმენონ) (პონტ.) – ახ. ბერძნული **μουσκεμένοσ** (მუსკემენოს), **βρεγμός** (ვრელმენოს), ძვ. ბერძნული – **brecw** (ვრეხო).

ბგერათგადასმა (მეტათეზისი)

ბგერის გადასმის, ანუ მეტათეზისის შემთხვევებს რაც შეეხება, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს მოვლენა ხშირად გვხვდება წალკის რეგიონში მცხოვრებ ბერძენთა მეტყველებაში, თუმცა იშვიათად სხვა ბერძნულენოვან რეგიონებშიც. დასახელებულია რამდენიმე მაგალითი, მათ შორის:

ართოპოს < ძვ. ანთროპოს – ადამიანი;

ადეფლოს < ძვ. ადელოფოს – ძმა;

ეს სიტყვები ამავე მნიშვნელობით გვხვდება აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაში, თუმცა მეტათეზისის გარეშე, გამოითქმის, როგორც **άνθρωπος** (ანთროპოს) – ადამიანი და **αδελφόν** (ადელფონ) – ძმა.

ზოგადად მეტათეზისის არსებობას პონტოურში არ გამოვრიცხავთ, იგი ფართოდ გავრცელებული არ ჩანს და უფრო ნასესხებ სიტყვებში გვხვდება: [j]eβz'ε(თურქ. **Cezve** – ყავის ასადულებელი სპილენძის ან თუნუქის პატარა ზომის ჭურჭელი).

ბგერათმონაცვლეობა

ბგერათმონაცვლეობა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძენთა მეტყველებაში. გვხვდება როგორც ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევებიც:

ა. ხმოვანთა და ხმოვანთა კომპლექსის მონაცვლეობა

o<ou: მაცვალი – **μδρια** (მორია) (პონტ.) – ახ. ბერძნული **μουρια** (მურია);

ჩანგალი – **πδρν** (პირონ) (პონტ.) – ახ. ბერძნული **το πιρδρν** (ტო პირუნი);

სიმღერა – **τραγοδδα** (ტრალოდია) (პონტ.) – ახ. ბერძნული **το τραγοδδ** (ტო ტრალუდი);

o<e: თავი – **πδδδικοδ** (პენდიკოს) (პონტ.) – ახ. ბერძნული **το πονტი** (ტო პონდიკი);

ai<ei: თხა – **εδ** (ეიდ) (პონტ.) – ძვ. ბერძნული – **αι** (აიქს);

ou<o: მატლი, ჭია – **σκολ'α** (სკოლეკ) (პონტ.) – ახ. ბერძნული **το'σκουλ'η** (ტო სკულიკი);

ბიჭი (ბიჭუნა, მოზარდი) – **αγοδრ, αγουρδπον** (ალურ, ალუროპონ) (პონტ.) – ახ. ბერძნული

το αδრი (ტო ალორი);

e<u: ბაკუნი (ფეხის) – **χδπεμαν** (ხტეპემან) (პონტ.) – ახ. ბერძნული **το χδπημα** (ტო ხტიპიმა);

o<ou: ყვავი, ყორანი – **κορδνα** (კორონა) (პონტ.) – ახ. ბერძნული **η κουρδνα** (ი კურუნა);

ხბო – **μδσκαδρ** (მუსკარ) (პონტ.) – ახ. ბერძნული **το μδσχადრი** (ტო მოსხარი);

ნესტო – **ροθδν** (როთონ) (პონტ.) – ახ. ბერძნული **το ροθδნი** (ტო რუთუნი);

i<e: თავი – **κδφαλ** (კიფალ) (პონტ.) – ახ. ბერძნული **το κεδάλ** (ტო კეფალი);

e<η: **τελ'ფონο** (ტელეფონო) (პონტ.) – **τηλ'ფωνο** (ტილეფონო) [ახ. ბერძ.];

ბ. თანხმოვანთა მონაცვლეობა

ψ<χθ: გუშინ – **οψ'ε**(ოფსე) (პონტ.) – ახ. ბერძნული **χθες/χτες** (ხთეს/ხტეს);

δ<x: თხა – **εδ'η** (ეიდ) (პონტ.) – ძვ. ბერძნული – **αι**(აიქს);

ρ<λ: **αδερφοπად** (ადერფოპედ) (პონტ.) – ახ. ბერძნული **ο δადελφοδ/η δად'αფη**;

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება, როგორც მასალები გვიჩვენებს, ავლენს მნიშვნელოვან თავისებურებებს თანმედროვე და ძველ ბერძნულ ენასთან მიმართებით. ეს თავისებურებები ვლინდება როგორც ბგერით შედგენილობაში, ასევე ფონეტიკურ მოვლენებში როგორც ნასესხებ, ასევე ბერძნულ ლექსიკაში. ზოგიერთი თავისებურება უცხო ენათა გავლენით აიხსნება.

13.2. პონტოური დიალექტის გრამატიკული თავისებურებანი: მორფოლოგია

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება თანამედროვე და ძველ ბერძნულ ენასთან მიმართებით ავლენს გრამატიკულ თავისებურებებს.

არსებითი სახელი

პონტოურში, ისევე როგორც ძველსა და თანამედროვე ბერძნულში, არსებით სახელებს აქვთ გრამატიკული სქესი, რომლის მთავარი გამომხატველია არტიკლი, ე.წ. ართრონი, რომელიც უსწრებს არსებით სახელს (სხვა გრამატიკულ კატეგორიასაც – რიცხვს, ბრინვას).

სამეცნიერო ლიტერატურაში პონტოურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად არსებითი სახელის სქესის ცვლილებას ასახელებენ (ბერძნები საქართველოში, 1990:155). ეს თავისებურება აჭარის მკვიდრ ბერძენთა მეტყველებაშიც გვხვდება.

მდედრობითი სქესის სახელები

პონტოურში მდედრობითი სქესის სახელებს ნაკლებად განუცდიათ სქესის ცვლილება, ძირითადად იმავე სქესს გამოხატავენ, რასაც ძველი და თანამედროვე ბერძნულის არსებითები:

პატარძალი, რძალი პონტოურში გამოითქმის – **η νύφη** (ი ნიფე), დაერთვის მდედრობითი სქესის არტიკლი, ასევეა ახ. ბერძნულში – **η νύφη** (ი ნიფი) და ძვ. ბერძნულში – **ἡ νύμφη** (ი ნიმფე) და მისთ.

მდედრობითი სქესის სახელები პონტოურ ბერძნულში ჩვეულებრივ დაირთავენ **η** არტიკლს, ასეთებია **-α, -ια, -η, -ε** ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები, როგორიცაა, მაგალითად:

გული – **η καρδιά** (პონტ.) – ახ. ბერძნული **η καρδιά**, ძვ. ბერძნული – **ἡ καρδία**;

ენა – **η γλώσσα** (პონტ.) – ახ. ბერძნული **η γλώσσα**, ძვ. ბერძნული **ἡ γλῶσσα**;

და – **η ἀδελφὴ** (პონტ.) – ახ. ბერძნული **η ἀδελφή** ძვ. ბერძნული **ἡ ἀδελφή**;

დედამთილი – **η πεθερά** (პონტ.) – ახ. ბერძნული **η πεθερά/η πενθερά**, ძვ. ბერძნული **ἡ πενθερά**;

დედინაცვალი – **η μετρούγα** (პონტ.) – ახ. ბერძნული **η μητριά** (მიტრია), ძვ. ბერძნული **ἡ μητρία** (მიტრუია);

მუცელი – **η κοιλία** (პონტ.) – ახ. ბერძნული **η κοιλία**, ძვ. ბერძნული **ἡ κοιλία**;

ძველი ბერძნულის ზოგიერთი საშუალო სქესის სახელი პონტოურში სხვა ფუძის მდედრობითი სქესის სახელებად გვევლინება:

მაგ: კისერი, ყელი – **η γούλα** (ლულა)(პონტ.) – ახ. ბერძნული **ο λαιμός** (ო ლემოს); ძვ. ბერძნული **ο λαιμός** (ო ლემოს);

მკერდი (ქალის) – **η τσιτσία** (ი ციცია) (პონტ.) – ახ. ბერძნული **ο στήθος/το στήσι**, ძვ. ბერძნული – **ο στήθος**;

მუშტი – **μούστα** (მუსტა) (პონტ.) (შდრ. ქართული – მუშტი) – ახ. ბერძნული **η γροθιά** (ი ღროთია), **η μπουσιά** (ი ბუნია)(ვენეც. **bugna**);

ხორხი – **η χουρτσόδα** (ი ხურტუდა) (პონტ.) – ახ. ბერძნული **ο φάρυγγας**; ძვ. ბერძნული – **farugx**;

ჭრიჭინა – **[ch]ιχρίτης** (ჩიხრიტის) (პონტ.) – ახ. ბერძნული **ο τζιζικας**, ძვ. ბერძნული – **tertix**.

ძველი ბერძნულის მდებარეობითი სქესის სახელები თანამედროვე ბერძნულსა და პონტოურში საშუალო სქესის სახელებად გვევლინება, ასეთებია, მაგალითად:

მკლავი – **[sh]΄ρι** (შერი)(პონტ.) – ახ. ბერძნული **το χ΄ρι**; ძვ. ბერძნულის **h|ceir**;

მამრობითი სქესის სახელები

მამრობითი სქესის სახელები ისევე იწარმოება პონტოურში, როგორც მსგავსი ფუძის ამავე სქესის სახელები თანამედროვე და ძველ ბერძნულში:

ადამიანი – **ο άνθρωπος** (ო ანთროპოს)(პონტ.) – ახ. ბერძნული **ο άνθρωπος**; ძვ. ბერძნული – **ο ανθρωπος**;

ბაბუა, პაპა – **ο παπούλης** (ო პაპულის) (პონტ.) – ახ. ბერძნული **ο παπούς**, ძვ. ბერძნული – **ο παππος**;

ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი – **ο αδερφοπαιό** (ო ადელფოპედ) (პონტ.) – ახ. ბერძნული **ο ξάδελφος**, ძვ. ბერძნული **ο αδελφος**;

ვაჟი, ვაჟიშვილი – **γιος** (იოს) (პონტ.) – ახ. ბერძნული **ο γιος**, ძვ. ბერძნული **ο υιος**;

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში როცა ერთი ფუძით ნაწარმოებ სიტყვებთან გვაქვს საქმე, როგორცაა, მაგ: ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი (**ο ξάδελφος** (მამრ.სქ.), **η ξαδ΄ελφη** (მდ.სქ.)), ამ შემთხვევაში სქესის გარჩევა ხდება სუფიქსების საშუალებით. აჭარის მკვიდრ პონტოელთა მეტყველებაში ზოგჯერ ნასესხები სიტყვები არ დაირთავენ სქესის მანარმოებელ სუფიქსებს – სქესი არ არის მარკირებული.

მაგ: საქმრო (მამრ. სქესი) და საცოლე (მდედრ. სქესი) პონტოურში გამოითქმის ერთი და იმავე ფორმით – **vous[sh]αλός** (ნუმალუ). მომდინარეობს თურქული სიტყვისგან **nişanlı kız** (საცოლე), **nişanlı** (საქმრო), ახალსა და ძველ ბერძნულში საქმროს შესატყვისად გვაქვს **ο γαμπρός** (ო ღამბროს), ხოლო საცოლის შესატყვისად ახ. ბერძნულში – **η νύφη** (ნიფი), ძვ. ბერძნულში **κ|η νύμφη** (ნიმფი).

შესაძლებლად მიგვაჩნია, მსგავსი მოვლენა აიხსნას უცხო ენის გავლენით, სადაც არ განიჩევა გრამატიკული სქესი და ბერძნულში სესხების გზით რა ფორმითაც შემოვიდა, ისეთივე ფორმით დამკვიდრდა.

მამრობითი სქესისაა პონტოურში სხვა და სხვა ფუძის სახელები, რომელთა შესატყვისებიც ახალ და ძველ ბერძნულში საშუალო სქესისაა.

მაგ: თეძო – **σκούλος** (სკულოს)(პონტ.) – ახ. ბერძნული **το ισχίο**, ძვ. ბერძნული – **το ισχιον**;

გვხვდება შემთხვევები, როცა განსხვავებით თანამედროვე ბერძნულსაგან, პონტოურს შენარჩუნებული აქვს ძველი ბერძნულისთვის დამახასიათებელი ფორმები.

მაგალითად – **ο ψάρ** (ო ფსარ) – თევზი ძველ ბერძნულში მამრობითი სქესისაა, თანამედროვე ბერძნულში საშუალო სქესს განეკუთვნება, პონტოურში მამრობით სქესს – **ο ψάρ**. ასევე, თავი **π'σδικος**, ახ. ბერძნული **το ποντίκι**, ძვ. ბერძნული **ἰ pontika-**;

თვალი – **ομάτ, ομάτια (ματιάζα** – გათვალვა) (პონტ.) – ახ. ბერძნული **το μάτι**, ძვ. ბერძნული **οἰμμάτιον**.

პონტოურში მამრობითი სქესის სახელი, შესაბამისი სუფიქსის გარეშე გვხვდება, მაგ: მინაცვალი – **παρακύρτζ** (პარაკირც) – ახ. ბერძნული **ο πατριός** (ო პატრიოს), ძვ. ბერძნული **ἰ patruio-**.

საშუალო სქესის სახელები

საშუალო სქესის სახელები პონტოურში გაცილებით პროდუქტიულია და განსაკუთრებულ თავისებურებებს ავლენს.

ძველი ბერძნულის მამრობითი სქესის სახელი პონტოურში, თანამედროვე ბერძნულის მსგავსად, საშუალო სქესისაა:

ბიჭი (ბიჭუნა, მოზარდი) – **χάταλον, αγούρ, μαρόν, αγουρόπιον** – ახ. ბერძნული – **το αγόρι**, შუასაუკუნეების **ἰ algo-ro-**-ის კნინობითი ფორმა **algori(n)**, ძვ. ბერძნული – **οαλῳρο-** (ზედს. სახ.);

ფეხი – **το ποδάρι/ ποδάρα** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το πόδι**, ძვ. ბერძნული **ἰ pou-** (**podio-**, **podion**);

თითი – **το δάχτυλον** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το δάχτυλο**, ძვ. ბერძნული – **ἰ daktu lo-**;

თირკმელი – **το νεφρόν** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το νεφρόν**, ძვ. ბერძნული **ἰ nefro-**;

კბილი – **το δόντιν** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το δόντι**; ძვ. ბერძნული – **ἰ didou-, idonto-**.

პონტოურში საშუალო სქესისად ითვლება ის სახელები, რომლებიც ძველ ან თანამედროვე ბერძნულ ენაში ორსქესიან მდებარეობით ან მამრობითი სქესის სახელებად იწოდებიან:

მაგ: ბარძაყი – **το μερίν, τα μερία** – ახ. ბერძნული **ο μηρός, το μηρί, το ισχίο, ο γόφος**, ძვ. ბერძნული **ἰ mhro-, ta mhrion**;

ბეჭი, მხარი – **το άμίν, τα άμιά** – ახ. ბერძნული **η άμοπλάτη, ο άμοος**, ძვ. ბერძნული **ἰ wmo-plath, ἰ wmo-**;

კუჭი – **το στόμαχον** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το στομάχι/ο στόμαχος**, ძვ. ბერძნული **ἰ stoma-co-**;

ძველი ბერძნულის მდებარეობითი სქესის სახელი პონტოურში, თანამედროვე ბერძნულის მსგავსად, საშუალო სქესის სახელად გვევლინება:

მაგ: თავი – **κίφαλ** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το κεφάλι**; ძვ. ბერძნული – **ἰ ke falh**.

ოთახი საძინებელი – **το καμάριν** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το κρεβατοκάμαρα**, ძვ. ბერძნული – *h| kamara*.

პონტოურში საშუალო სქესის სახელად გვხვდება მსგავსი ფუძის თანამედროვე ბერძნულის ან ძველი ბერძნულის მდედრობითი სქესის სახელი:

მაგ: კანი – **το πετσί** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το δέρμα, η πέτσα** (იტალ. **pezza**), ძვ. ბერძნული *to| derma*;

დაფა (პურის დასაჭრელი..) – **το ξύλον** (პონტ.) – ახ. ბერძნული **ξύλοκοπ'η**, ძვ. ბერძნული – *to| xulon*;

სუფრა – **τραπέζ, τραπεζομάντιλο** (პონტ.) – ახ. ბერძნული **το τραπέζι, το τραπεζομάντιλο**, ძვ. ბერძნული *h| trapeza*.

კვირის დღეების სახელები ძველ ბერძნულში ძირითადად მამრობით სქესს მიეკუთვნება, თანამედროვე ბერძნულში – მდედრობით სქესს, ხოლო პონტოურში გაგებულია როგორც მდედრობითი სქესის სახელები, თუმცა მდედრობითი სქესის მანარმოებელი სუფიქსი არ დაერთვის:

ორშაბათი – **Δευτ'φα** – ახ. ბერძნული **η Δευτ'φα**; ძვ. ბერძნული *odeutero~*;

სამშაბათი – **Τριτ** – ახ. ბერძნული **Τρίτη**; ძვ. ბერძნული *trito~*;

ოთხშაბათი – **Τετράδ** – ახ. ბერძნული **Τετάρτη**; ძვ. ბერძნული *tetarto~*;

ხუთშაბათი – **Πεφτ** – ახ. ბერძნული **Π'μπτη**; ძვ. ბერძნული *pempto~*;

პარასკევი – **Παρα[sh]κεβ'ν** – ახ. ბერძნული **Παρασκευ'η** ძვ. ბერძნული *paraskeuh*;

შაბათი – **Σάβρα** – პონტოურში მდედრობით სქესს განეკუთვნება (თუმცა, პარალელურად გვხვდება **Σάβρατο** (სავატო) – სამ.სქ.) ახ. ბერძნულში – **Σάββατο** საშუალო სქესის სახელია.

სავარცხელი – **χταν** პონტოურში, ძველი ბერძნულის მსგავსად, საშუალო სქესის, ახ. ბერძნულში კი მდედრობითი სქესის სახელია – **η χτ'φα**.

ძველი ბერძნულისა და თანამედროვე ბერძნულის მამრობითი სქესის სახელები პონტოურში საშუალო სქესისაა:

მაგ: თონე – **φουρ'νι** – ახ. ბერძნული **ο φούρνος**; შუასაუკუნეების ბერძნული – *fourno~*;

ძველი ბერძნულის მდედრობითი სქესის ზოგი სახელი პონტოურში საშუალო სქესისაა:

გვიმრა – **φτερ'ν** – ახ. ბერძნული **η φτ'ρη**, ძვ. ბერძნული *h| pteri~*;

ცომი – **ζουμάρ** – ახ. ბერძნული **η ζ'μη**; ძვ. ბერძნული *h| zumh*;

არტიკლის ბრუნება

მამრობითი სქესი

მხოლოდითი რიცხვი

Ονομ. – **ο**

Γεν. – **τη**

მრავლობითი რიცხვი

οι (τα)

τη (τη)

Αιτ. – το(ν)

τη(ν) (τα)

Κλητ.

მდედრობითი სქესი

მხოლოდობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

Όνομ. – η

οι (τα)

Γεν. – τη

τη (τη)

Αιτ. – τη(ν)

τη(ν) (τα)

Κλητ.

საშუალო სქესი

მხოლოდობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

Όνομ. – το

τα

Γεν. – τη

τη

Αιτ. – το

τα

Κλητ.

როგორც პონტოური დიალექტის მასალები გვიჩვენებს, არტიკლი (ართრონი) მრავლობით რიცხვში ფორმათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ძველსა და ახალ ბერძნულ ენასთან შედარებით, მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელებს მრავლობითში **-οι** ან **-τα** არტიკლი დაერთვის, ხოლო საშუალო სქესისას არტიკლი **τα**.

მამრობითი სქესი:

ο άνθρωπος (მხ.რ.) – **οι άνθρωποι** (მრ.რ.)

ο κεφτές (მხ.რ.) – **οι κοφτάδες** (მრ.რ.)

მდედრობითი სქესი:

η θεγατ'φ (მხ.რ.) – **τα θεγατ'φα** (მრ.რ.)

η μάνα (მხ.რ.) – **οι μανάδες** (მრ.რ.)

საშუალო სქესი:

το δ'σδρον (მხ.რ.) – **τα δενδρα** (მრ.რ.)

το ψαμίν (მხ.რ.) – **τα ψαμιά** (მრ. რ.)

το μερίν (მხ.რ.) – **τα μερία** (მრ.რ.)

το ποδάρι (მხ.რ.) – **τα ποδάρα** (მრ.რ.)

არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება

უნდა აღინიშნოს, რომ პონტოურ დიალექტი მრავლობითის წარმოების განსხვავებულ მოდელს გვიჩვენებს. მრავლობითობას აწარმოებს სუფიქსები: **-ς, -α, -αρα, -αδες, -ανδ, -οι, -οιμ**, ნულოვანი... (**μάννα** (მანა)(მხ.რ.) – **μανα-δες** (მრ.რ.), **θεγατ΄ρ** (მხ.რ.) – **θεγατ΄ρ-α** (მრ.რ.), **ποδαρι** (მხ.რ.) – **ποδαρα** (მრ.რ.), **δαχτηλι** (მხ.რ.) – **δαχτιλα** (მრ.რ.), **[sh]έρι** (მხ.რ.) – **[sh]έρι-α** (მრ.რ.), **ν[sh]ι** (მხ.რ.) – **ν[sh]-ια** (მრ.რ.).

არსებით სახელთა ბრუნვა

ბერძნულ ენაში სახელობითი ბრუნვა, ისევე, როგორც სხვა ინდოევროპულ ენებში, არის ქვემდებარის ბრუნვა. ბერძნულ სახელობით (**ονομαστική**) ბრუნვას შეესაბამება ქართულის სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, – ქვემდებარის ბრუნვები.

მამრობითი სქესის არსებით სახელთა ბრუნვა:

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
Ονομ. ο παρακέρτς	Ονομ. οι παρακέρτς
Γεν. τη παρακέρτς	Γεν. τη παρακέρτς
Αιτ. τον παρακέρτς	Αιτ. τη παρακέρτς
Κλητ. παρακέρτς	Κλητ. παρακέρτς

მდედრობითი სქესის არსებით სახელთა ბრუნვა:

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
Ονομ. η μάννα	οι μαννάδες
Γεν. τη μάννας	τη μαννάδες
Αιτ. την μάνναν	τα μαννάδες
Κλητ. μάννα	μαννάδες
Ονομ. η γλώσα	τα γλώσας
Γεν. τη γλώσας	τη γλώσας
Αιτ. την γλώσαν	τα γλώσας
Κλητ. γλώσα	γλώσας

საშუალო სქესის არსებით სახელთა ბრუნება:

მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
Όνομ. το δ'σδρον	τα δ'σδρα
Γεν. τη δ'σδροσ	τη δ'σδρα
Αιτ. το δ'σδρον	τα δ'σδρα
Κλητ. δ'σδρον	δ'σδρα
Όνομ. το στόμαν	τα στόματα
Γεν. τη στόματι	τη στόματι
Αιτ. το στόμαν	τα στόματα
Κλητ. στόμαν	στόματα

ზედსართავი სახელი

ჩვენს მიერ მოკვლეულ მასალაში ზედსართავი სახელების მანარმოებელი შემდეგი დაბოლოებები დაფიქსირდა:

-ν: მჟავე – σίπ**ον**

მწარე – πικρό**ν**

ტკბილი – γλυκί**η**

წყალწყალა – νερουλό**ν**

გაბერილი – φουσκομ'σ**ον**

განიერი – φαρδύ**ν**

გრძელი – μακρί**ν**

თხელი – λεπτό**ν**

დანინკლული – κουκουτσλί**ν**

რიგი ზედსართავი სახელებისა პონტოურში ისევე იწარმოება, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავები თანამედროვე და ძველ ბერძნულში:

-ος: გადარეული, გაგიჟებული – παλαλό**ς**

გულკეთილი – καλόκαρδο**ς**

მშვიდი – ήσυχ**ος**

-ης: თანაბარი – αναλιή**ης**

მზინვარე – γυαλή**ης**

მთხერხებული – πε[ch]αροχλί**ης**

მტირალა – κλαψιά**ρης**

-εν: მთელი – **ολόξ**

მკვახე – **(κε) φτάσεν**

ზედსართავი სახელების ხარისხის წარმოება

ზედსართავი სახელების ხარისხის წარმოებისას პონტოურში სუფიქსები არ აწარმოებს ხარისხის საწარმოებლად გამოიყენება დამხმარე სიტყვები.

წინდებული – **ας:**

Αβούτος ας εσέν καλός εν (ავუტოს ას ესენ კალოს ენ) – ის უფრო კარგია, ვიდრე შენ (ბერძნები საქართველოში, 1990:163).

შედარებითი ხარისხის საწარმოებლად გამოიყენება – **κι άλλο**, ხოლო აღმატებითისა – **πολλά/[ch]ιτ:**

Μικρόν, κι άλλο μικρός, πολλά μικρός / [ch]ιτ μικρόν (მიკრონ, კი ალო მიკროს, პოლა მიკროს) – პატარა, უფრო პატარა, ძალიან პატარა;

ზედსართავი სახელების მსგავსად იწარმოებს ხარისხებს მიმლეობაც:

Χαρουμένον, κι άλλο χαρουμένος, πολλά χαρουμένος (ხარუმენონ, კი ალო ხარუმენოს, პოლა ხარუმენოს) – ბედნიერი, უფრო ბედნიერი, ძალიან ბედნიერი.

სოფ. საჩინოში ხარისხის წარმოების შემდეგ ფორმებს იყენებენ:

τράνον, κε άλλο τράνος, [ch]ιτ τράνος (ტრანონ, კე ალო ტრანოს, ჩიპ ტრანოს) – დიდი, უფრო დიდი, ძალიან დიდი;

τυχερόν, κε άλλο τυχερός, [ch]ιτ τίχερος (ტიხერონ, კე ალო ტიხეროს, ჩიპ ტიხეროს) – ილბლიანი, უფრო ილბლიანი, ძალიან ილბლიანი.

რისამე ნაკლები ხარისხის გამოსახატავად ზედსართავს უმატებენ **ολιγόν** ფორმას:

ασπρον, ολιγόν άσπρος, πολλά/[ch]ιτ άσπρος (ასპრონ, ოლილონ ასპროს, პოლა/ჩიპ ასპროს) – თეთრი, მოთეთრო (ნაკლებად თეთრი), ძალიან თეთრი;

κάλον, ολιγόν κάλο, πολλά/[ch]ιτ κάλον (კალონ, ოლილონ კალოს, ჩიპ კალოს) – კარგი, ნაკლებად კარგი, ძალიან კარგი;

პონტოურში არ დასტურდება ხარისხების არანესიერი წარმოება, რომელიც შეინიშნება ძველ ბერძნულ ენაში (ბერძნები საქართველოში, 1990:163).

რიცხვითი სახელი

რაოდენობით რიცხვით სახელებში პონტოურ დიალექტში რიცხვის ნახევარს გამოსატავს ძველბერძნული ἡμισυ-საგან ნაწარმოები სუფიქსი **-μς/-μς**, განსაკუთრებით დროის, საათის აღნიშვნისას, მაგ.: **δῶδεκά μς** (თორმეტი და ნახევარი, ანუ პირველის ნახევარი).

რაოდენობით სახელებზე სუფიქსის დართვით ინარმოება რიგობითი რიცხვითი სახელები, როგორიცაა:

Τρία – სამი, **τρίτον** – მესამე;

Πέντε – ხუთი, **πέμπτον** – მეხუთე;

რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან **-αρ, -ορ** სუფიქსებით ნანარმოებ რიცხვით სახელებს ქართულში შეესაბამება **იან** სუფიქსიანები, როგორიცაა: **ενα>εναρ**-(ენა>ენარ) – ერთიანი, **διο>διαρ/διορ** (დიო>დიარ) – ორიანი, მრავლობითი რიცხვის შესაბამისი სუფიქსებია – **αρα, ορα – δώρα** (დიორა), **τρίορα**(ტრიორა), **τεσάρα** (ტესარა) და მისთ., (ბერძნები საქართველოში, 1990:167), რიცხვით სახელთა მსგავსი წარმოება აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაშიც გვხვდება:

მაგ: **καλά ικοσάρα** (კალა იკოსარა) – ოციანი;

Να πλήροτην ικοσάραν χρήματα (ნა პლიროტინ იკოსარან ხრიმატა) – გადავიხდი ოციანს;

რაოდენობითი რიცხვითი სახელი **ოცი** ბერძნულად გამოითქმის **-οικοσι** (იკოსი), პონტოურში ფონეტიკური ცვლილების შედეგად გვხვდება **οίκοσα/οίκο[sh]α** (იკოსა/იკოშა), **τετρακόσα/ια/τετρακό[sh]α** (ტეტრაკოსია/ ტეტრაკოშა) მსგავსი ფორმები ოცობითი რიცხვითი სახელების წარმოებისას:

οίκο[sh]α γραμία (იკოშა ღრამია) – ოცი გრამი;

τετρακό[sh]α γραμάρια ζάχαρη (ტეტრაკოშა ღრამარა ზახარი) – ხუთასი გრამი შაქარი;

მაგრამ: **διακόσα χρόνια έρχουσαν εδω** (დიაკოსა ხრონია ერხუსან ედო) – მოვიდნენ უკვე ორასი წელია).

ნაცვალსახელი

ნაცვალსახელი მეტყველების ნაწილია, რომელიც სხვა სახელის, უპირატესად არსებითი და ზედსართავი სახელის მაგივრობას ეწევა. ნაცვალსახელის სახელდებაც ამას უკავშირდება (ურუმადე, 1987:117).

პონტოურში გვხვდება სამივე პირის ნაცვალსახელები.

პირველი პირის ნაცვალსახელება: **εγώ /ογώ–εμείς** (მე – ჩვენ), მეორე პირის ნაცვალსახელება – **εσύ – εσείς** (შენ – თქვენ) და მესამე პირის ნაცვალსახელები ფონეტიკური სახეცვლილებით გვხვდება – **ατός/αυτός/αφτός** (ის მამრ. სქ.), **αυτός** (ის მდედრ. სქ.), **ατός** (ის საშ. სქ.), **ατοίν** (ისინი მამრ. სქ.), **ατέντι** (ისინი მდედრ. სქ.), **ατά** (ისინი საშ. სქ.). ფონეტიკური ვარიანტები ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება:

პირის ნაცვალსახელები პონტოურში შემდეგნაირად იბრუნება:

მხოლობითი რიცხვი

Όνομ. – εγώ / ογώ

მრავლობითი რიცხვი

εμείς

Γεν. – εμ'σ	εμάς
Αιτ. – εμ'σ	εμάς
Κλητ.	

მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
Ονομ. – εσ	εσείς
Γεν. – εσ'σ	εσάς
Αιτ. – εσ'σ	εσάς
Κλητ.	

მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
Ονομ. – ατός/έξ	ατοίν/ατ'σ/ατά
Γεν. – ατόν/σ/ό	ατοίντς
Αιτ. – ατόν/σ/ό	ατοίντς
Κλητ.	

მაგ.: **Εσόν** κι θ'άω (შენ არ მჭირდები). **Ατός** εν κλ'φτες (ის არის ქურდი). **Από** εν καλόν (ის კარგი არის). **Ατέ** εν μικρ'σα (ის არის პატარა).

ჩვენებითი ნაცვალსახელები: 1/ ατός/ατ'ξ/ατό (ατός ο κύριος... ეს ბატონი)

2/ αβούτος, αβούτε αβούτο (**Αβούτο** εν χιχιακ φιλο, **αβούτο** εν νιαχούρι – ეს არის ყვავილის ფოთოლი, ეს არის ნიახური);

3/ εκείνος, εκείνε, εκείνο (ის, იგი);

3/ α ήρος, α ήρσα, α ήρον (ასეთი) (**Κι είναι αήρα** παιδία. არ არიან ასეთი ბავშვები);

4/ ατόσον, ατόσα, ατόσων (ამდენი, ისეთი).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები: კუთვნილებით ნაცვალსახელებად პონტოურში აქტიურად გამოიყენება პირის ნაცვალსახელის სუსტი ტიპი ნათესაობით ბრუნვაში: **μ** (αντράσ'μ/γარ'μ – ჩემი მეუღლე), **σ, ατ, ατς, τ, εμούν, εσούν, ατούν**.

2/ **τεμόν** (ჩემი საკუთარი – მხ. რ., მაგ. **τεμόν** ο πατ'ρας – მამაჩემი), **τεσόν** (შენი საკუთარი – მხ. რ.), **τατουσόν** (მისი (მამრ. სქ.) საკუთარი – მხ. რ.), **τατιν'ξ** (მისი (მდედრ. სქ.) საკუთარი – მხ. რ.), **τεμ'περον** (ჩვენი საკუთარი – მხ. რ.), **τεσ'περον** (თქვენი საკუთარი – მხ. რ.), **τατιν'περον** (მათი საკუთარი – მხ. რ.), **τεμά** (ჩემი საკუთარი – მრ. რ.), **τεσά** (შენი საკუთარი – მრ. რ.), **τεμέτερα** (ჩვენი საკუთარი – მრ. რ.), **τεσ'περα** (თქვენი საკუთარი – მრ. რ.), **τατιν'περα** (მათი საკუთარი – მრ. რ.).

კითხვითი ნაცვალსახელები:

1/ντο; – რა? არ იბრუნვის

Ντο ώραν 'ρθαι; (რა დროს მოდიხარ?)

2/πῶς (ვინ? მამრ. სქ. მხ. რ.), ποῖσα (ვინ? მდედრ. სქ. მხ. რ.), πῶς (ვინ? საშ. სქ. მხ. რ.), πῶς (ვის? მამრ. სქ. მხ. რ.), ποῖσαν (ვის? მდედრ. სქ. მხ. რ.), πῶς (ვის? საშ. სქ. მხ. რ.), τίς/τις (ვისი? მხ.რ./მრ.რ. – კუთვნილების აღმნიშვნელი კითხვითი ნაცვალსახელები, რომლებიც პონტოურში შემოვიდა ძველი ბერძნული ფორმით), ποῖσάου (ვინ? მამრ. სქ. მრ. რ.), ποῖσαστε (ვინ? მდედრ. სქ. მრ. რ.), ποῖα (ვინ? საშ. სქ. მრ. რ.)

მაგ. τίς ἐν τῷ χωρῷ; (ვისია ყანა/მინდორი?)

ზმნა

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია პონტოური ზმნის ერთი განსაკუთრებული თავისებურების შესახებ, რომელიც ამ დიალექტისთვის სპეციფიკური ჩანს. ამ თავისებურებაზე ჯერ კიდევ ე. ლაზარევი მიუთითებდა, როცა მსჯელობდა პონტოური ზმნის მრავალპირიანობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ზმნის მრავალპირიანობა, როგორც ენობრივი მოვლენა, უცხოა თანამედროვე სალიტერატურო და ძველი ბერძნული ენისთვისაც. პონტოურში შესაძლებლად მიაჩნიათ ერთ, ორ და სამპირიანი ზმნების ფორმათა არსებობა, რაც მიიღება ზმნისა და აკუსატივის ფორმით პირის ან ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაწილის შეხორცების ნიადაგზე (ბერძნები საქართველოში, 1990:168). შესაძლებელია პონტოურ დიალექტში მრავალპირიანობა ქართული ენის გავლენა იყოს, თუმცა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში მსგავსი ფორმები გავრცელებული არ ჩანს.

პონტოურ ზმნურ ფორმებს შემდეგი დროების მნიშვნელობა აქვთ: აწმყო (p lenw), იმპერფექტუმი (ep lhn), აორისტი (ep lhs), აწარმოებს მომავალ დროს (qa p lhnw).

პონტოურში გვხვდება დამხმარე ზმნები **eimai** (ვარ) და **ecw** (მაქვს, მყავს):

ჭჯ

აწმყო

ἔω (მხ.რ.)	–	მაქვს	ἔωσμε/ἐχόμε (მრ.რ.)	–	გვაქვს
ἔις	≡	გაქვს	ἔ[sh]ετε	–	გაქვთ
ἔ[sh]	–	აქვს	ἔ[sh]ε	–	აქვთ

იმპერფექტუმი

ἐχᾶ (მხ.რ.)	–	მქონდა	ἐχᾶμε (მრ.რ.)	–	გვექონდა
ἐ[sh]εξ	–	გქონდა	ἐ[sh]ετε	–	გქონდათ
ἐ[sh]εν	–	ჰქონდა	ἐχᾶν(ε)	–	ჰქონდათ

მყოფადი

θα ἔω (მხ.რ.)	≡	მექნება	θα ἔωσμε (მრ.რ.)	–	გვექნება
θα ἔις	–	გექნება	θα ἔ[sh]ετε	–	გექნებათ
ἄ[sh]/θα ἔ[sh]	–	ექნება	θα ἔ[sh]ε	–	ექნებათ

ἐγώ

ანმყო

ἐγώ (მხ.რ.)	– ვარ
ἐσσι	– ხარ
εν/ἔεν	– არის

ἐμεν (მრ.რ.)	– ვართ
ἐσθεν/ἐστουν	– ხართ
ἐναι	– არიან

იმპერფექტუმი

εμ/ἔμεν (მხ.რ.)	– ვიყავი
εσ/ἔσεν	– იყავი
ετον/ετιν	– იყო

ἐμεν/ἔμεν (მრ.რ.)	– ვიყავით
ἔσεν(ν)/ἔστουν	– იყავით
ἔσαν/ἔσαν	– იყვნენ

მყოფადი

θα ἐγώ (მხ.რ.)	– ვიქნები
θα ἐσσι	– იქნები
θα εν	– იქნება

θα ἐμεν (მრ.რ.)	– ვიქნებით
θα ἐσθεν/ἐστουν	– იქნებით
θα ἐν(მხ.რ.)	– იქნებიან

εφτάω (არანესიერი ზმნა)

ანმყო (მოქმედებითი გვარი)

εφτάω (მხ.რ.)	– ვაკეთებ
εφτάς	– აკეთებ
εφτάω/εφτάει	– აკეთებს

εφτάμε (მრ.რ.)	– ვაკეთებთ
εφτάτεν	– აკეთებთ
εφτάνε	– აკეთებენ

იმპერფექტუმი

ἔφτανα (მხ.რ.)	– ვაკეთებდი
ἔφτανες	– აკეთებდი
ἔφτανεν	– აკეთებდა

εφτάναμε (მრ.რ.)	– ვაკეთებდით
εφτάνατε	– აკეთებდით
εφτάναν	– აკეთებდნენ

აორისტი

ἔφθακα (მხ.რ.)	– გავაკეთე
ἔφθακες	– გააკეთე
ἔφθακεν	– გააკეთეს

ἐπ ἔφθαμε (მრ.რ.)	– გავაკეთეთ
ἐπ ἔφθατε	– გააკეთეთ
ἐπ ἔφθανε	– გააკეთეს

მყოფადისა და კავშირებითი კილოს ფორმები: **θα/να εφτάω...**

σκάω

ანმყო (მოქმედებითი გვარი)

σκάω (მხ.რ.)	– ვიღებ
σκάωντες	
σκάων	
σκάνομε (მრ.რ.)	
σκάνετε	
σκάνε	

იმპერფექტუმი

ἔσκανα (მხ.რ.)	– ვიღებდი
ἔσκανες	
ἔσκαnen	
ἔσκαναμε (მრ.რ.)	
ἔσκανετε	
ἔσκαναν	

აორისტი

ἄσκασα (მხ. რ.) – ავილე

ἄσκασεζ

ἄσκασεν

ἄσκασαμε (მრ.რ.)

ἄσκασετε

ἄσκασαν

ანმყო (ვნებითი გვარი)

σκαίμαι (მხ. რ.) – ვდგები

σκαίσαι

σκαίται

σκαίμεζ (მრ. რ.)

σκαίστε

σκαίνταν

იმპერფექტუმი

εσκαίμην (მხ. რ.) – ვდგებოდი

εσκαίστη

εσκαίστου

εσκαίμεν (მრ.რ.)

εσκαίστου

εσκαίνταν

აორისტი

εσκάθαι (მხ. რ.) – ავდექი

εσκάθει

εσκάθει

εσκάθαμε (მრ.რ.)

εσκάθει

εσκάθαι

ზმნიზედა

პონტოურში გავრცელებული ზმნიზედები საკმაოდ პროდუქტიულია. ძირითადად გავრცელებულია ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის. ზმნიზედები. უნდა აღინიშნოს, რომ პონტოურში ზმნიზედები ძველ და თანამედროვე ბერძნულთან მიმართებით გარკვეულ თავისებურებებს ავლენს.

ადგილის ზმნიზედები მოგვიგებს კითხვაზე πού – (სად?):

აქ – **αδὰκ** (ადაკა)(პონტ.)-[ახ. ბერძნული – **εδώ** – ნაწარმოებია ძველი ბერძნული **wide-დან**];
ძვ. ბერძნული – *εἴταυθα, deuroi*;

აქეთ-იქით – **ἀδὰ καὶ ἀποκεῖ** (პონტ.)-[ახ. ბერძნული – **ἀπὸ δὲ καὶ ἀποκεῖ**];

ახლო, ახლოს – **σὺνμα, κοντὰ** (პონტ.)-[ახ. ბერძნული – **κοντὰ**];

იქით – **ἀκέζ/μακρὶὰ** (εὐέα ρα[sh]ιὰ μακρὶὰ)(პონტ.) – [ახ. ბერძნული – **πρὸς τὰ ἐκεῖ**, ძვ. ბერძნული – **εκεῖ, εκεῖσε**];

გარეთ – **οκ[sh]οκιά, οκ[sh]ουκιά** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **έξω**, ძვ. ბერძნული – **εξω**];
იქ – **εκιά** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **εκεί**; ძვ. ბერძნული – **εκει**];
იქიდან – **αποκει** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **από εκεί**; ძვ. ბერძნული – **εκειθεν**];
მარცხნივ – **ζευρά** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **αριστερά**];
მარჯვენა – **δεξόν** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **δεξιά**; ძვ. ბერძნული – **dexio-**];
მარჯვნივ – **δεξιά** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **δεξιά**];
მალლა, ზემოთ – **πάν** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **ψιά, πάνω**; ძვ. ბერძნული – **υψηλά**];
პირდაპირ, წინ – **ισάμο μπροστά** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **μπροστά**, ძვ. ბერძნული – **εαυ-**
τ-, prosqen];

უკან – **οπίς** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **πίσω**, ძვ. ბერძნული – **οπισθε**];
ქვემოთ – **αφιά** (მაგიდის ქვეშ – **σο τραπέζι αφιά**) (პონტ.) [ახ. ბერძნული – **κάτω**];
ყირამალა – **οξοπίς** (ოქსოპის) (პონტ.) [ახ. ბერძნული – **ανάποδα**];
შიგნით **აπές** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **μέσα**];
შორის – **ανάμεσα** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **ανάμεσα, μεταξύ**; ძვ. ბერძნული – **anameso-**];
შუა – **σμέσιον** (პონტ.) -ახ. ბერძნული – **μέσα, ανάμεσα**; ძვ. ბერძნული – **anameso-**];
მიმართების გამომხატველი ზმნიზედები მოგვიგებს კითხვაზე **αποθεν** (საიდან?):
დაბლიდან – **αποφκακίαν** [ახ. ბერძნული – **από κάτω**; ძვ. ბერძნული – **kattwqen**];
შორიდან – **απρμακρά** [ახ. ბერძნული – **απρμακριά**];
ზევიდან – **απρκατάν** [ახ. ბერძნული – **από το επάνω**];
საიდან – **απρθεν** [ახ. ბერძნული – **από που** (აპოპუ); ძვ. ბერძნული – **alpoqen**];
უკანიდან – **απ'οπίς** [ახ. ბერძნული – **απρπίσω**];
ქვემოდან – **απο'φκιά** [ახ. ბერძნული – **απρκάτω**];
მალლიდან – **απρπάν** [ახ. ბერძნული – **απρπάνω**];
მეორე მხრიდან, მეორე მხარეს – **εκεί σο μέρος/επεκει σο μέρος** [ახ. ბერძნული – **από την άλλη**
πλευρά];

დროის ზმნიზედების კითხვაა **ποτε**; – (როდის?):
ადრე, დილაადრიან – **πρω(πρω)** [ახ. ბერძნული – **πρω(πρω)**];
ამალამ – **το βραδν** [ახ. ბერძნული – **απόψε**];
ამასწინათ – **σαβούτα τα ημέρας** [ახ. ბერძნული – **προσφάτως, πρσφατα, τελευταία**];
ამიერიდან – **ασαβούτον τον καιρόν** [ახ. ბერძნული – **απρ σήμερα, απρ τώρα και στο εξήρ**];
ამჟამად, ახლავე, ახლახან – **αφούτοτολεπτόν** (ავუტო ტო ლეპტონ) [ახ. ბერძნული – **τώρα,**
αυτήν την στιγμή];

ახლა – **ατώρα** [ახ. ბერძნული – **τώρα**];
ბოლოს – **σο τέλος** [ახ. ბერძნული – **το τέλος**];
გაისად – **του χρόνου** [ახ. ბერძნული – **του χρόνου**];

გვიან – **αργά** [ახ. ბერძნული – **αργά**];

გუშინ – **οψέ** [ახ. ბერძნული – **χθες/χτες**];

გუშინნინ, სხვა დღეს – **Οψεκές** [ახ. ბერძნული – **προχτές/προχθές**];

დღეგამომშვებით – **μέρα με τη μέρα** [ახ. ბერძნული – **μέρα παρά μέρα**];

თვალის დახამხამებაში – **[ch]αμλς τα ματιάς** [ახ. ბერძნული – **εν ριπ ήοφθαλμς**];

მაღე – **αλνγορα** [ახ. ბერძნული – **σε λίγο, σύντομα, γρήγορα**];

მაშინ – **ατότες** [ახ. ბერძნული – **τότε**];

მაშინვე – **εκεικό το λεπτόν** [ახ. ბერძნული – **αμέσως**];

ნაშუადღევი – **το μεσημέρ** [ახ. ბერძნული – **το μεσημέρι**];

ხვალ – **αήριον** [ახ. ბერძნული – **αήριο**];

ვითარების გამომხატრველი ზმნიზედები მოგვიგებს კითხვაზე – **πως** (როგორ?): **წინააღმდეგ – ενανδών** [ახ. ბერძნული – **απέναντι, εναντι**]

ცალცალკე – **χωριά-χωριά** [ახ. ბერძნული – **χωριστά, χάρια, ξεχωριστά**].

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება მახვილდება პონტოურში დადასტურებულ ვითარების გამომხატრველ ზმნიზედებზე, რომლებიც ზედსართავი სახელებისგან იწარმოება **-α -εα** სუფიქსების დართვით (ბერძენიშვილი..., 1990:172), მსგავსი ფორმები ჩვენს მასალებშიც:

απλς>απλά – უბრალოდ, მარტივად;

καλς>καλά – კარგად, ლამაზად;

πλατύς>πλατ'ε – ფართოდ;

წინდებული (თანდებული)

პონტოურში წინდებულები ისეთივე ფუნქციის მატარებელია, როგორისაც თანდებულები ქართული ენაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ პონტოურში წინდებულებთან ერთად რამდენიმე თანდებულიც გვხვდება.

ქართულის **დან** თანდებულის შესატყვისია პონტოური **απδ**.

Αποφκακίαν – დაბლიდან (პონტ.) [ახ. ბერძნული – **απδ κατα**];

შორიდან – **απδ μακρά** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **απδ μακριά**];

ზევიდან – **απδκατάν** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **απδ το επάνω**];

იქიდან – **αποκει** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **απδκει**];

უკანიდან – **απ'οπίς** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **απδπίσω**];

ქვემოდან – **απο'φκά** (პონტ.) [ახ. ბერძნული – **απδκάτω**];

თვის თანდებულს შეესაბამება – **για**:

για το σπίτι, για το σάβατο – სახლისთვის, შაბათისთვის.

ში – თანდებულები გადმოიცემა – **σ(τ)ο, ση: ση θάλασσα, σο σπιτ** – ზღვაში, სახლში;

απάν -ზე

σο στολ απάν – მაგიდაზე;

წინდებული **μέσα** – შორის, შუა ითხოვს ორ ბრუნვას და იხმარება **σα** წინდებულთან ერთად. სახელობით ბრუნვაში აქვს – **შორს** – მნიშვნელობა, ხოლო ნათესაობითში – **შუა**, (ბერძნები საქართველოში, 1990:173):

მაგ.: **μ΄σα σα δ΄σδρα** – ხეებს შორის;

μ΄σα σα λιθαρίων – ქვებს შუა;

კავშირი

პონტოურ დიალექტში გავრცელებული კავშირებია: **αλλά** (მაგრამ), **ούτε** (ან), **ότι** (რომ), **όπως** (როგორც), **αφου** (ვინაიდან), **και** (და), **εάν** (თუ), **καθώς** (როგორც კი), **πρίν** (მანამ), **όποτεν** (რაკი), **όσπιτα** (სანამ), **γιατεκείνο** (იმისათვის) და სხვ.

მაგ.: **βροντά και στραφτ** – ჭექა-ქუხილი

ნანილაკი

პონტოურ დიალექტში გამოყოფენ უარყოფით ნანილაკებს: **κ, κε, κι** რომლებსაც ქართულში შეესაბამება – **არ, არა: κ΄ ἄω** (არ მაქვს), **κε φτάσεν** (მკვამლე, არა მნიფე), **ανδρισμ΄στζα κεν** (გაუ-თხოვარი, არა გათხოვილი).

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში, ამ მხრივ განსაკუთრებული თავისებურებები არ ვლინდება.

სინტაქსი

ბერძნულ ენაში ქვემდებარე ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას. შემასმენელი – ზმნა შეთანხმებულია ქვემდებარესთან პირსა და რიცხვში. თუ ქვემდებარე საშუალო სქესის სახელია და მრავლობით რიცხვში დგას, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნანილი სრულადაა შეთანხმებული ქვემდებარესთან სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში, ზმნური ნანილი კი ჩვეულებრივ მხოლოდით რიცხვში დაისმის. ეს კანონზომიერია როგორც ძველი და თანემედროვე ბერძნული ენისთვის, ასევე პონტოურისთვისაც. ამ მხრივ განსაკუთრებული თავისებურებები არ ვლინდება აჭარის მკვიდრს ბერძენთა მეტყველებაში.

მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება:

Φτάμε λάχανα, τα κόρκοτα (ფტამე ლახანა, ტა კორკოტა) – ვამზადებთ ფხალს, კორკოტს.

Δίο πάτσκας αλεύρι (დიო პატკას ალევრი) – ორი პაკეტი ფქვილი;

Δίο λίτρας γάλα (დიო ლიტრას ღალა) – ორი ლიტრი რძე;

Εμείς τέσσερα αδέρφια, παιδιά, τα κορίτσια (ემის ტესერა ადელფია, პედია, ტა კორიცია) – ჩვენ, ოთხი დები, ბავშვები, გოგონები;

თუ ქვემდებარე ცოცხალ არსებათა გამომხატველი კრებითი სახელია, შემასმენელი ხშირად მრავლობით რიცხვშია.

თუ ქვემდებარე ნაცვალსახელია, იგი ჩვეულებრივ გამოტოვებულია წინადადებაში, არის მხოლოდ მაშინ, თუ მასზე ლოგიკური მახვილია.

აჭარის მკვიდრ ბერძენთა პონტოურ მეტყველებაში გამოყენებულ ნასესხებ სახელებს ხშირად მოუდით ბერძნული ენის ბრუნვის ნიშნები:

დიო ლიტრა-ჯ გალა, დიო პაჭკა-ჯ ალერჟი, დენ 'ჟანე ცემენტი-ია, პესკირი-ა.

§ 14. პონტოური დიალექტის ლექსიკური თავისებურებანი **პონტოელ ბერძენთა ქართულად მეტყველების თავისებურებანი**

პონტოელ ბერძენთა ნაწილი საკმაოდ კარგად მეტყველებს ქართულად, მაგრამ რუსული, ბერძნული ან თურქული აქცენტით, ნაწილს აჭარული დიალექტიც შეუთვისებია და აჭარელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი კილოც მიუღია.

ქართული რომ აჭარაში მცხოვრებმა პონტოელმა ბერძენმა კარგად იცის, არცაა გასაკვირი, აქ დაიბადნენ, აქ გაიზარდნენ, ბავშვობიდანვე ეზიარნენ ქართულ კულტურას და შეისისხლხორცეს ადგილობრივთა ტრადიციები, ყოფა და ცხოვრების წესი. მათი ქართული მეტყველება ამის ნათელი დასტურია. მნიშვნელოვანია, რომ ბერძნული ლექსიკა პონტოელთა ქართულ მეტყველებაშიც დაილექა.

ქართულად მოლაპარაკე პონტოელ ბერძენთა მეტყველებას ნათლად ეტყობა აჭარული დიალექტის გავლენა. ვლინდება არამართო აჭარული დიალექტისთვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები, არამედ ჩნდება კონკრეტული სოციუმის კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ცნობიერების გარკვეული ელემენტებიც.

აღვნიშნავთ, რომ პონტოელ ბერძენთა ნაწილს იმდენად კარგად შეუთვისებია აჭარული დიალექტი, რომ მათ მეტყველებაში აჭარულის ლექსიკური ერთეულები აჭარული დიქციითა და ფონოლოგიური თავისებურებებით ისევე ბუნებრივად ისმის, როგორც ეს ადგილობრივ აჭარელს ახასიათებს. მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე ფრთიან გამონათქვამს, რომლებსაც მეტყველების პროცესში აზრის, ემოციის ან არსებული სიტუაციის უკეთ გადმოსაცემად იყენებენ ბერძენები (აბულაძე, 2016:16-21):

- „ერთი ალალი ბერძენია, რომ ყველას ვუყვარვარ და ყველა **ა** მათასებს, ერთი უღვაშა **ა**, დაგრეხილი „აჭარელი“.³⁶⁶
- „პატარა, შავი, ყარამანა **ა** ხრისტო **ა**“, – საკუთარ გარეგნობას ასე ახასიათებს კვირიკელი ბერძენი, ხრისტო ქსანთოპულო (შდრ. ყარაჯა-**ა** – შავი, შავტუხა, უშნო (ნიჟარაძე, 1971:369); შდრ. ყურუმი – ჭვარტლი, მური (ნიჟარაძე, 1971:377);³⁶⁷
- „ბიბილა **ა**, მიბილა **ა**“ (ყველა **ა** ერთი ხართ);³⁶⁸

ბიბილა-**ა**, ბიბია-**ა** – მამიდას აღნიშავს (ნიჟარაძე, 1971:108) – გადატანითი მნიშვნელობით – ყველა ერთი კუთხის წარმომადგენლები ხართო.

- **ცეცხლი მეკიდება** – ძალიან მეჩქარება, დრო არ მაქვს;
- **გულზე დამარტყა** – იტყვიან არასასიამოვნო ამბის გაგებისას;
- **ნამუსის კაცი ვარ** – სიტყვის ერთგული ვარ, სიტყვას არ ვუღალატებ;

366 სემ, დღიური III-004.

367 სემ, დღიური III-005.

368 სემ, დღიური III-006.

- ეს მაგარი **დაქექილი** კაცი იყო (მოხერხებული);

- ამის ოჯახები **ანათებს** იქა, – იგულისხმება, კარგად, შეძლებულად ცხოვრობენ.³⁶⁹

გარდა ლექსიკისა, ბერძენთა ქართულ მეტყველებაში ჩანს ის გრამატიკული თავისებურებები, რომლებიც აჭარული დიალექტის კუთვნილებაა.

მაგ. უმარცვლო ი-ს (**ი**) გამოყენების შემთხვევები ისეთივეა, როგორც აჭარულში: **ბაბაი**, **სიძეი**, **ეიდა**, **მეყვაი**, **მეიცი** და მისთ.;

ასიმილაცია: ოეუე: **მოენონა** >**მეენონა**, **გამოერია**>**გამეერია** და სხვ.

ქართული გვარების მრავლობითის ფორმები ისევე ინარმოება, როგორც ქობულეთური მეტყველებისთვისაა ნიშანდობლივი:

მაგ: **შაინიძეები**, **მახარაძეები**, **მიქელაძეები**, **დუმბაძეები**;

ეკლესია გაღმა რუმაა, **ცენტერაძეები**;

რამდენიმე საინტერესო ლექსიკაზე ყურადღება გავამახვილებთ, რომლებიც ასევე ქობულეთური კილოკავისთვისაა დამახასიათებელი.

მაგ.: – **ცოლი**, ჭიათურელი ქალი, ბერძენი **შეიძინა (შეირთო)**;

– დედა **უჩივა** შვილს;

– **გიჩივი**;

– **ოჯახზე დაჟდა** (იმ ოჯახში ცხოვრობს).³⁷⁰

უნდა აღინიშნოს, რომ პონტოელ ბერძენთა ქართულ მეტყველებაში გვხვდება აჭარულ დიალექტში გავრცელებული თურქიზმებიც, ვფიქრობთ, მათი ძირითადი ნაწილი პონტოურში ქართულის გზით შესული და დამკვიდრებულია, თუ არ ჩავთვლით იმ თურქიზმებს, რომლებიც ბერძენთა პონტოურ მეტყველებაში ჯერ კიდევ აჭარის შავიზღვისპირეთში მათ განსახლებამდე დამკვიდრებულა და პონტოური დიალექტის ლექსიკური ფონდის კუთვნილებად ქცეულა.

– **ჭო**, **ალაღემოს**, ბერიძეს, იცნობ?

ემო – ემია-მ-ს შემოკლებული ვარიანტია, მომდინარეობს არაბულიდან და ნიშნავს – მამის ძმას, მამით ბიძას (ნიჟარაძე, 1971:189).

ალალ-ემომ – ალალი გავრცელებული საკუთარი სახელია აჭარულში, **ალალ-ემო** – იგივეა, რაც **ალალ ბიძა/ბიძია**.

უსტა – ფონეტიკური ვარიანტია სიტყვისა **უსტა/უსტიობა**, თურქული სიტყვაა და ნიშნავს, კარგი ოსტატის, ხელოსანის/ოსტატობას; ოსტატად ყოფნას, ოსტატის საქმიანობას (ნიჟარაძე 1971:337).

ეთმა-ელამა, **ბაბაის ჯიგარი** ბიძაშვილია.

ეთმა-ელამა – ასევე აჭარული კილოსთვისაა დამახასიათებელი და ნიშნავს „კმარა“, „საკმარისია“.

369 სემ, დღიური III-007.

370 სემ, დღიური III-008.

– ბაბაძის ჯიგარი ბიძაშვილია.³⁷¹

ჯიგარი, სამეტყველო ქართულში დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულია, მომდინარეობს სპარსული სიტყვისგან ჯიგარ, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა – სისხლით ნათესავი, ახლობელი. ამ შემთხვევაში – ბაბაძის ჯიგარი ბიძაშვილია – ნიშნავს: მამის სისხლით ნათესავია, ახლობელია.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ის ფაქტი, რომ პონტოელ ბერძენთა ქართულ მეტყველებებშიც შეინიშნება ბერძნული ლექსიკა, რაც მათი იდენტობის ნათელი დასტურია:

κοσμάδος, η – პონტოურად აღნიშნავს ნათლიას, პონტოელთა ქართულ მეტყველებებში საკუთარი სახელის ფუნქციითაც გვხვდება. მიმართვისას გამოიყენებენ საკუთარი სახელის ნაცვლად.

მაგის მშობლები ჩემი თავი არ უნდოდენ და მოვტაცე, მე ვიყავი **κλέφτε (ქურდი, მპარავი);**

– სამი დღე რომ გავა გავაკეთებთ **კოკიას;**

– **კანონას** ვაკეთებთ, კანონას, წინ მიდის კანონა..

მთქმელი: – **წადილი** ქვია მაგას, **კანონა** მიდის წინ, მერე ჯვარი...³⁷²

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა, როგორც ბილინგვალთა/მულტილინგვალთა მეტყველების თავისებურებანი

საინტერესოა პონტოელ ბერძენთა, როგორც ბილინგვალთა/მულტილინგვალთა მეტყველება. ერთდროულად ორ და მეტ ენაზე მეტყველებენ გააზრებულად, სხვა ენის ლექსიკის გამოყენებით ცდილობენ სათქმელის იდენტიფიცირებას და „ხშირად ავსებენ იმ სიცარიელეს, რომელიც ჩნდება ორი განსხვავებული კულტურის თანაარსებობისას, როცა ენის გამო ისინი ვერ ახერხებენ კონბილინგურ ტაქტს და იკეტებიან საკუთარ კულტურაში“ (შუბითიძე, 2010).³⁷³

მულტილინგვური მეტყველების პროცესში ხდება კოდების გადართვა ენის ყველა დონეზე. მეტყველების პროცესში პონტოელი ბერძენები ხშირად ავლენენ ერთი ენიდან მეორეზე სპონტანურად გადართვის შემთხვევებს, რასაც სხვადასხვა მიზეზები განაპირობებს. ხშირად კოდების გადართვას იწვევს სათქმელის იდენტიფიცირება, როგორცაა, მაგალითად;

- დაგვას **στην παναγιά** (მარიამობას – იგულისხმება დღესასწაული), **σα οίκουι επτά** (ოცდარვაში) იქნება კონცერტი, ორი ავტობუსი მოვა..(დაგვა);
- **Εμείς ხულო εβδομάδαν, εμείς στο ბეშუმი, ενέ** სოფელი, **ενέ** ოქტომბერი, დიოკნისი.. რა ვიცი, თელი ჩემი ცხოვრება მაქ გავატარე.. (კვირიკე);
- **Όλον τον κοσμόν που τα χαρτιά πείναμε столы-α, επείνα μετρα πέδια**, გარმოშკა, ისა,

371 სემ, დღიური III-009.

372 სემ, დღიური III-010.

373 <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe>

დოლი, აკარდიონი..(კვირიკე) – მთელი ქვეყანა, ყველა ვშლით მაგიდებს და არის გარ-
მოშკა, დოლი, აკარდიონი..;

- **αβόντο εν χαμουχτάς φνλλο** (ავუტო ენ ხამუხტას ფილო) – მარწყვის ფოთოლია (კვი-
რიკე);
- **απάμε το** ზენჯირი **και μαχρο'μ** (შავი) კასრული (კვირიკე);
- **δ'κα χρονιά** (ათი წელია) არის ტრადიცია, **συμβολικά** (სიმბოლური)(კვირიკე).³⁷⁴

პონტოელთა ორ და სამენოვანი მეტყველება განსაკუთრებით თვალშისაცემია მაშინ, როცა ისინი ქართველს (მათთვის უცხოელს) მოუთხრობენ თავიანთი წარსულის, კულტურისა თუ ყოფა-ცხოვრების შესახებ. ჩვენთან, როგორც ქართველებთან საუბრისას, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა – მოეთხროთ პონტოურად, ვინაიდან ჩვენ გვესმოდა მათი, – თხრობა ხშირად ორენოვანი გამოსდიოდათ. მეტყველებაში, ქართული ლექსიკის ჩართვით, თითქოს გაგრძ-
ნობინებენ, რომ ქართული კულტურის ნაწილი თავადაც არიან. ამ შემთხვევაში საუბრისას გამოყენებული ქართული ან სხვა ენის ლექსიკა ვერ გვაფიქრებინებს იმას, რომ შესაბამისი ბერძნული შესატყვისი არ ახსოვთ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მეტყველებისას გამოვლენი-
ლი ქართული ლექსიკა უნდა გაიმიჯნოს იმ ლექსიკისგან, რომელიც პონტოელთა პონტოურ მეტყველებაში შესული და დამკვიდრებული ჩანს. პირველ შემთხვევაში, ქართულ ლექსიკას სათქმელის იდენტიფიცირებისთვის იყენებენ, მეტი დამაჯერებლობა რომ შესძინონ სათქმელს უცხოს თვალში, ხოლო მეორე შემთხვევაში მივიწყებულია ქართული ლექსემების ბერძნული შესატყვისები, ასეთი მაგალითად:

აქვე მოვიყვანთ აჭარაში გავრცელებულ ერთ ფრთიან გამონათქვამს, რომელიც ქართულსა და აქაურ ბერძენთა მეტყველებაშიც დამკვიდრებულია:

- **მოლამ ცხენზე შეჟდა და მა ყისმეთ/დედოფალი ცხენზე შეჟდა და მა ყისმეთ იძახდაო.**
მა ყისმეთ ნიშნავს – შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, რასაც არ ელოდები.

ყისმეთი არაბული სიტყვაა და ნიშნავს – ბედი, ილბალი, ხვედრი (ნიჟარაძე, 1971:373).

აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული ბერძნულ თარგმანში ამავე ფორმით შენარჩუნ-
და. ჩანს, რომ თარგმნისას ზოგჯერ სიტყვას ვერ უძებნიან შესაბამის ლექსიკურ შესატყვისს და იღებენ მზა ფორმით, ასეთია სწორედ – „**მა ყისმეთ**“.

ხშირად კოდების გადართვას განაპირობებს პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში დამკვი-
დრებული უცხო ენობრივი ლექსიკა, როგორიცაა:

- **Απ'ενας κε** სტაკან **κάνεις** ლიმონის სოკი (აპენას კე სტაკან კანის ლიმონის სოკი) – ერთი
ჭიქიდან აკეთებ ლიმონის წვენს.
- **αφούσκα** გოგლი მოგლი **πείκανε** **ζάχαρη, και το βούτυρο** მარგარინი, **λίγον τα ζαχάρια**
– ამოვიყვან გოგლი მოგლის, გაუკეთებ შაქარს და კარაქს, მარგარინს, ცოტა შაქარს.

374 სემ, დღიური III-011.

- **Τελείωσα το σχολείο στο** გარადოკ, **μαιαკოვსკავა σχολείον** ეტო ნომერ **πέντε** (დავამთავრე სკოლა გარადოკში, მაიაკოვსკის (ქუჩაზე), ნომერი ხუთი).
- **ჭადის αλφურια** (ჭადის ალევრია) – მჭადის ფქვილი.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა პონტოური მეტყველების თავისებურებანი

აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა პონტოური მეტყველება არ არის ერთგვაროვანი. გარდა ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებებისა, მათ მეტყველებაში აღბეჭდილია თურქული, რუსული, ქართული და ელინური ბერძნულის გავლენების კვალი. ჩანს, პონტოურისთვის არაბუნებრივი ლექსიკური ერთეული უკვე გამხდარა ამ დიალექტის კუთვნილება, დამკვიდრებულა მეტყველებაში, რაზეც დანვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ქართულ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ბერძენთა პონტოულ მეტყველებაში საბოლოოდ დამკვიდრებული არ ჩანს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ზოგიერთი ბერძენი ვერ იხსენებს კონკრეტული საგნის ან მოვლენის სახელწოდების პონტოურ შესატყვისს და ქართულს გამოიყენებს, მაგრამ სხვაგან იგივე ლექსემა ჯერ კიდევ ახსოვთ.

არის შემთხვევები, როცა გაბმულ მეტყველებაში იყენებენ ქართულ დიალექტურ ლექსიკას, იდენტური ბერძნული სიტყვა არ ახსენდებათ, ან კიდევ, საუბრისას გამოიყენებული ქართული სიტყვის ბერძნული შესატყვისი იციან, თუმცა კონკრეტულ კონტექსტში ქართული სიტყვა ახსენდებათ, ან უფრო ბუნებრივი ეჩვენებათ სათქმელის უკეთ გადმოსაცემად მოცემული კონტექსტისთვის.

მაგ: **π ήγαμε στο Τβιλσι, στο კინოთეატრ ამირან** (ვიყავი თბილისში, კინოთეატრ ამირანში).

გაბმულ საუბარში ვერ იხსენებს **კინოთეატრის** ბერძნულ სახელს **-σινεμά** (სინემა), იყენებს ბერძნულ არტიკლს და ქართულ სახელწოდებას.

მიცვალებულის გლოვის და გასვენების დღეს აჭარაში ეძახიან **ტირილის დღეს** | **ტირილს**, ამავე ლექსიკურ ერთეულს იყენებენ გაბმულ პონტოურ მეტყველებაში:

- **Κοκία ετα το εν κίνω να** ტირილის დღე **εφταμε την κοκία**.

ტირილის დღეს ტრადიციულად ამზადებენ ბერძნულ კერძს, **კოკიას**.

პონტოურ გაბმულ მეტყველებაში ხშირად იყენებენ ბოსტნეულის სახელებს, ასეთია მაგ. ქინძი, ზოგან ამ ლექსემის ბერძნული შესატყვისი ახსოვთ, თუმცა ნიახურის ბერძნული შესატყვისი ვერ გაიხსენეს:

- **αβούτο εν ქინძი**, ბერძნულად... (ფიქრობს), ბერძნულად **κολιαντρο**, ნყავი ბერძნულად **γαραμψο**, **αβούτο** ჩიჩაკ **φύλλο**, **αβούτο εν ნიახური**, ნიახური – ნიახური ვიცით ჩვენც – აღნიშნავს ელენე ქსანდოპულო. ბერძნულად ნიახური გამოითქმის **σάλινο** (სელინო).³⁷⁵

მაჭანკალი როგორაა ბერძნულად არ ვიცი, მაგ როლს ვასრულებდი – იხსენებს ხრისტო ქსანდოპულო.

– **ინფორმაცია στην Ελλάδα. ინფორმაცია ბერძნულად არის πληροφορία.**

გაუჭირდათ ქართული ბეზიაქალის პონტოური შესატყვისის გახსენება, „ბეზიაქალი. სხვა ახლა მე არ ვიცი, ქართულათ უფრო ლამაზათ გამოდის, ჩვენ ენაზე არ ვიცი“ – აღნიშნავს ხრისტო ქსანდოპულო (კვირიკე). ერთგან გამოიყენეს **ακου[sh]ερκα (აკუშერკა)**, რაც თავის მხრივ რუსულია. „ბეზიაქალს“ თანამედროვე ბერძნულში ეწოდება **μαμαρη**

Εθιςλεβεν σ(τ)η ფაბრიკან, კანდიტერსკა ფაბრიკა.

ფაბრიკა ქართულში დამკვიდრებული ლათ. სიტყვაა და ნიშნავს სამრეწველო საწარმოს, მანქანური წესით ნედლეულის გადამამუშავებელი. ბერძნულად ეწოდება **εργοστάσιο.**

გუგუმ აჭარლებსაც აქვთ – დასძენს ბერძენი ხრისტო ქსანდოპულო.

გუგუმი აჭარულში დამკვიდრებული თურქული სიტყვაა, წყლის სპილენძის ჭურჭელს, თუნგს ეძახიან. შ. ნიჟარაძესთან განმარტებულია – თუნგი, წყლის ჭურჭელი სპილენძისა (ნიჟარაძე, 1971: 149).

ასეთია ზოგადი სურათი უცხო ენობრივ გარემოში მოხვედრილი ერის მეტყველებისა, ერის, რომელმაც მრავალგზის განიცადა მიგრაციები, უკუმიგრაციები, მრავალგზის გახდა უცხო ენის, უცხო კულტურის ნაწილი და მუდმივად უხდებოდა ბრძოლა საკუთარი მეობის, საკუთარი იდენტობის შესანარჩუნებლად. მართალია, აჭარული დიალექტის გავლენა დიდია და ეს ბუნებრივიცაა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პონტოელმა ბერძნებმა დაივიწყეს მშობლიური ენა, ტრადიციები და მთლიანად გაითქვიფნენ უცხო კულტურაში.

პონტოური ბერძნული ლექსიკის მიმართება თანამედროვე ბერძნულ ლექსიკასთან

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ე.წ. პონტოელ ბერძენთა საქართველოში გადმოსახლების დღიდან მათი დიალექტის შემდგომი განვითარება დაუკავშირდა იმ ახალ ენობრივ გარემოს, სოციალურ-კულტურულ კონტექსტს, ისტორიულ ყოფას, რომელიც აქ დახვდათ.

შევეცადეთ, პონტოური მეტყველების თანამედროვე ბერძნულ ლექსიკასთან ურთიერთ-მიმართებით შეგვექმნა ზოგადი სურათი იმისა, თუ რამდენად არის დაცილებული დიალექტი საკუთრივ ენას.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში აღბეჭდილი ენათა გავლენების თუ კულტურათა კონტაქტების კვალი ბევრ საინტერესო თავისებურებას ავლენს.

შედარებითი ანალიზისთვის გამოვყოფთ სიტყვათა შემდეგ ჯგუფებს:

1. საერთო სიტყვები, რომლებიც ფორმითაც ერთნაირია და მნიშვნელობითაც;
2. საერთო ძირის მქონე ფონეტიკურად სახეცვლილი, მნიშვნელობით ერთნაირი სიტყვები;

3. ფორმით განსხვავებული, მნიშვნელობით ერთნაირი სიტყვები;
4. ფორმით / მნიშვნელობით განსხვავებული, მნიშვნელობაშეცვლილი სიტყვები.

1. პონტოური ლექსიკის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს სიტყვები, რომლებიც პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ფონეტიკურადაც და სტრუქტურულადაც ზუსტად ისეა შენარჩუნებული, როგორც ეს თანამედროვე ბერძნულშია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზოგ შემთხვევაში სალიტერატურო ბერძნულში ერთი სემანტიკის მქონე სიტყვას რამდენიმე სინონიმი ეძებნება ახალში, პონტოურს მათგან მხოლოდ ერთი შემოუნახავს და პირიქით.

ბიცოლა, მამიდა, დეიდა ახ. ბერძნულში აღინიშნება ერთი სიტყვით – **θεία**, ასევეა პონტოურშიც – **θεία** მამიდას, დეიდას, ბიცოლას აღნიშნავს; ადამიანი – **άνθρωπος** (პონტ.) – **άνθρωπος** (ახ. ბერძ.); დედამთილი – **πεθερά** – (პონტ.) – **πεθερά** (ახ. ბერ.); ვაჟი, ვაჟიშვილი – **γιος** (პონტ.) – **γιος** (ახ. ბერძ.); მამამთილი **πεθερός** (პონტ.) – **πεθερός** (ახ. ბერძ.); მამა (მამიკო, მამილო) **ο πατήρας** (პონტ.) – **ο πατήρας** (ახ. ბერძ.); სიძე – **γαμπρός** (პონტ.) – **γαμπρός** (ახ. ბერძ.); ქალი – **γυναίκα, γαρίν** (პონტ.) – **γυναίκα** (ახ. ბერძ.); სარკმელი – **παράθυρο** (პონტ.) – **παράθυρο** (ახ. ბერძ.); ლამპა – **λάμπα** (პონტ.) – **λάμπα** (ახ. ბერძ.); კიბე – **σκάλα** (პონტ.) – **σκάλα** (ახ. ბერძ.); კარი – **πόρτα** (პონტ.) – **πόρτα** (ახ. ბერძ.); ტახტი – **καναπέ** (პონტ.) – **καναπέ** (ახ. ბერძ.); სისხლი – **αίμα** (პონტ.) – **αίμα** (ახ. ბერძ.); წარბი – **φρύνδι** (პონტ.) – **φρύνδι** (ახ. ბერძ.); დაკეტილი – **κλειδομύθος** (პონტ.) – **κλειδομύθος** (ახ. ბერძ.); და სხვა.

ბ. თანამედროვე ბერძნულისთვის დამახასიათებელ ორმაგ თანხმოვნებს პონტოურში ერთი ბგერა შეესაბამება, რაც ზემოთ გვექონდა აღნიშნული.

ენა – **γλώσσα** (ღლოსა) (პონტ.) – **γλώσσα** (ახ. ბერძ.); საწოლი – **κρεβάτι** (პონტ.) – **κρεβάτι** (ახ. ბერძ.); ეკლესია – **εκκλησία** (პონტ.) – **εκκλησία** (ახ. ბერძ.);

გ. დედა (დედიკო) პონტოურში არის – **μαμά, μάνα**, ახ. ბერძნულში ორივე ფორმა (**μαμά, μάνα**) გვაქვს, გარდა ამისა, **დედა** თანამედროვე ბერძნულში აღინიშნება აგრეთვე სიტყვით, **μητέρα (მიტერა)** რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება, რაც პონტოურში არ ჩანს.

წინა პერიოდის პონტოურ ტექსტებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ პონტოური ლექსიკურადაც და გრამატიკული წყობითაც უფრო ახლოს დგას ძველ ბერძნულთან. აჭარის პონტოელთა დღევანდელ მეტყველებაში შეინიშნება თანამედროვე ბერძნული ენის ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რაც ელინურად მეტყველ ბერძნებთან მჭიდრო ურთიერთობებით უნდა აიხსნას. აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა შვილები და შვილიშვილები საბერძნეთში ცხოვრობენ, ელინურ ბერძნულზე მეტყველებენ და მათთან ხშირი კონტაქტების შედეგად პონტოური ვრცელდება ახალი ბერძნულის ლექსიკა.

2. გვხვდება სიტყვები, რომელთაც ძირი სალიტერატურო ბერძნულთან მიმართებაში საერთო აქვთ, მაგრამ პონტოურში ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილებით დამკვიდრებულა:

ა. ბებია (ბებიკო) – **γιαγιά (ააა)/γιαγιάκα (აააკა/γιαούκα (აუკა), γιαούτσι (აუცი) (პონტ.)** – **γιαγιά (ააა)** (ახ. ბერძ.). **γιαγιάκα/γιαούκα, γιαούτσι** უფრო მოფერებითია – ქართული ბებიკო/ბებუკას შესატყვისი;

ბ. შედგენილი სიტყვით გადმოიცემა პონტოურში: ყინყლი **ψιλβρε[sh]ήν (პონტ.) –ψιχαλ(ზე/ψιλοβρ´χει (ახ. ბერძ.)-(ψιλο+βρεχει);**

ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილიახალ ბერძნულში აღინიშნება ერთი სიტყვით – **ξάδερφος/ξάδέρφη**, დიშვილი, ძმიშვილი **-ανεψιά/ος** (ანეფშია), პონტოურში გვხვდება **αδερφοπαίν (ადერφος/ადერφη+παίν)**; შვილიშვილი – **τη παιδισμ [το] παιδι (პონტ.) (παίν+παίν), εγγονός/η** – შვილიშვილი (ახ. ბერძ.).

შესაძლებელია, პონტოურში ამ სიტყვების ასეთი წარმოება ქართულის გავლენა იყოს.

გ. პონტოურ ლექსიკაში ფართოდ არის გავრცელებული ქართული აფრიკატების (ძ.წ.ც.ჯ.ჭ.ჩ), ნაპრალოვნების (ჟ-შ) შესატყვისი ბგერები, რასაც ქართული ენის გავლენით ვხსნით: ბაგე – **[sh]ლია (პონტ.) –χειλος (ახ. ბერძ.);** ნამწამი – **ματο[ch]α[ch]α (პონტ.) – ματόκλαδο / βλεφαριδα (ახ. ბერძ.);** თოვა – **[sh]ιον(ζ (პონტ.) – χιον(ζα (ახ. ბერძ.);** ნვიმა – **βρε[sh]ήν (პონტ.) – βροχή (ახ. ბერძ.);** საცერი – **κο[sh]κίν (პონტ.) – κόσκινο (კოსკინო) (ახ. ბერძ.);** დანა – **μα[sh]έρ (პონტ.) – μαχαίρι (ახ. ბერძ.);** სქელი/მსხვილი – **χοντρόν/πα[sh]ίν (პონტ.) – χοντρός/παχής (ახ. ბერძ.);** ჯიბე **[ch]όπιαν (პონტ.) – τσ´πι/მსλάκιο (ახ. ბერძ.);** სამაჯური **βρα[sh]ιόν (პონტ.) – βραχιολι (ახ. ბერძ.);** ჭურჭელი – **[sh]κ´βια (პონტ.) σκεύος (ახ. ბერძ.);** ფრჩხილი **ν[sh]ι, νύχι – ბრჭყალი, ფრჩხილი, კლანჭი (ახ.ბერძ.);**

დ. პონტოურში ხშირია სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენით (ბგერის დაკარგვა, ბგერის ჩართვა, ასიმილაცია, დისიმილაცია...) გამონვეული ცვლილებები თანამედროვე ბერძნულთან მიმართებით ბგერის ჩართვა, მაგ: ბაბუა, პაპა (ბაბუკი) – **παπούλης (παπουληκα) (პონტ.) –παππούς (ახ. ბერძ.);** აქ – **αδακά (პონტ.) – εδά (ახ. ბერძ.);** გუფთა – **κοφτάδες/σαρμάδες (პონტ.) – κεφτές (ახ. ბერძ.);** ვახშამი – **βραδιζόν (პონტ.) – βραδινό (ახ. ბერძ.).**

ბგერის დაკარგვა: ლოყა – **μάγλο (პონტ.) – μάγουλο (ახ. ბერძ.);** სავარცხელი – **χταν (პონტ.) – χτένα / χτένι (ახ. ბერძ.);** ბადრიჯანი – **μαντζάνα (პონტ.) – μελιτζάνα (ახ.ბერძ.);** სათითე – **δαχτιλτρα (პონტ.) – δαχτυλθρα (ახ. ბერძნული), ქალიშვილი- θεγατ´φ (პონტ.) – θυγατ´φα (ახ. ბერძ.).**

3. პონტოური ლექსიკის დიდი ნაწილი ფონეტიკურად სრულიად განსხვავდება თანამედროვე ბერძნული ლექსიკისგან, რაც ერთი შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სტრუქტურულად ელინურისაგან განსხვავებულ მეტყველებასთან, თუმცა პონტოელთა ლექსიკაზე დაკვირვებითა და შედარებითი ანალიზით ნათელი ხდება, რომ დიდი ნაწილი ამ ლექსიკისა თურქული წარმომავლობისაა, ნაწილი რუსული ენიდანაა შესული, ნაწილი საკუთრივ ბერძნულია, შეინიშნება ქართული ენის გავლენის კვალიც.

3. ცალკე გამოვყოფთ ლექსიკის ნაწილს, რომელშიც სემანტიკური გადახრები იჩენს თავს, ახალ ბერძნულთან მიმართებით სიტყვის მნიშვნელობა დავინროებულია, შეცვლილია ან გაფართოებულია.

ბიჭი (ბიჭუნა, მოზარდი) – **χάταλον, αγούρ, μωρόν** (პონტ.) -ახ. ბერძნულში გამოითქმის **αγόρι. Μωρό** ჩვილ ბავშვს ნიშნავს, **μωρός** – ჭკუასუსტს.

პონტოურში ცოლის და არის – **παλδοხ/γυναικάδελη** შდრ. აჭარ. **ბალდუზი** (თურქ. **baldiz** – ცოლის და) (ნიჟარაძე, 1971:101) – ახ. ბერძნულში – **κουριάδος/γυναικάδελη (γυναικα+αδελη)/-κουριάδα** – ცოლის და, ხოლო ცოლის ძმა და ქმრის ძმა ახალ ბერძნულში აღინიშნება ერთი სიტყვით **κουριάδος**, რაც პონტოურში არ ჩანს. პონტოურში გვხვდება **γυναικάδελος** – ცოლის ძმა, ხოლო **αντράδελος/αντράεφος** – ქმრის ძმა, მამლი.

ძმა პონტოურში არის **καρτάσh/αδελφός**, შდრ. აჭარ. **ყარდაში** > თურქ. – ძმა, ახალ ბერძნულში გვაქვს **αδελφός**. ასეთივეა **ბიძა** – **θείος, ταίρ** პონტოურში, შდრ. აჭარ. **ტაია** (თურქ.) – **ბიძა**, ელინურში გვაქვს – **θείος**.

პონტოურში **τσιτσία** აღნიშნავს **მკერდს** (ქალის), რასაც ახალ ბერძნულში შეესაბამება **στήθος**, ხოლო ამავე ფუძისგან ნაწარმოები **τσιτσιδι** – აღნიშნავს – დედიშობილას;

პონტოურში – **ακονή** აღნიშნავს **საფეთქელს**, ელინურში **სალესავს**. **საფეთქელი** ელინურად არის **-κρόταφος**.

იასამნისფერს პონტოურად უწოდებენ – **μελιτζανιχράμα**. თანამედროვე ბერძნულში **-μενεξέν/βιολετί** – იასამნისფერი, იისფერი, მენამული, **μελιτζανί** თანამედროვე ბერძნულში **ბადრიჯანს** აღნიშნავს.

დიდი – ზედსართავი სახელი პონტოურში არის **τρανόν**, ახალ ბერძნულში – **μεγάλος. Τρανός** ახალში – ბუმბერაზს, სახელგანთქმულს აღნიშნავს.

სუნამოს პონტოელები **λεβάντι** ეძახიან, რაც ახალ ბერძნულ ენაზე ითარგმნება როგორც **ლავანდა**.

გასალები – პონტოურად არის **ανοιγάρ**, ახალ ბერძნულში **κλειδί**, შდრ. ახ. ბერძ. **ανοίγα**-ვა-ლებ, ვხსნი//**κλείω**-ვკეტავ.

ვფიქრობთ, აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველების გამონწილივით შესწავლა, საინტერესო დასკვნების საშუალებას მოგვცემს, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პონტოური დიალექტის ლინგვისტური სურათის აღდგენაში.

არქაიზმები პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში

მიუხედავად უცხო ენათა დიდი გავლენისა, პონტოური არ კარგავს თვითმყოფადობას, რაზეც ნათლად მეტყველებს მასში არქაული ბერძნული ენის ლექსიკური ერთეულების არსებობა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ბევრი ლექსიკური ერთეული, რომლებიც თანამედროვე ბერძნულში აღარ გვხვდება, პონტოურს შემოუნახავს, დაუცავს მცირე ფონეტიკური ცვლილებით, ხშირ შემთხვევაში კი ზუსტად ისეთივე ფორმით, როგორც ძველი ბერძნულისთვის იყო დამახასიათებელი.

ა. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში გვხვდება სიტყვები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ძველი ბერძნული ენისთვის, თანამედროვე ბერძნულ ენაში კი შეცვლილია ან საერთოდ აღარ არის, თუმცა ზუსტად ისეთივე ფორმით შემოუნახავს პონტოურს:

ნესტო – პონტოურში არის **ροθών** (**ροθώνια** (მრ.რ.)/**ροφών**, **ροφώνια** (**φ>θ**)), იგივე სიტყვა ძველ ბერძნულში გვხვდება ასეთივე ფორმით – **το ϱῥῳων** (**ῥῥῳωνιον** – კნინობითი ფორმა) ახ. ბერძნულში ფონეტიკური გავლენა (**ο-ο>ου-ου**) განუცდია – **το ϱουθίνυ**;

ყურები ძველ ბერძნულად არის – **τα ῥῥῳια**, ახალ ბერძნულში ფონეტიკური თავისებურებით მიღებულია **το αυτί/το αφτί**, აჭარაში მცხოვრებ ბერძენთა მეტყველებამ ისევე, როგორც საკუთრივ პონტოურმა დიალექტმა, ძველი ბერძნული ფორმა შეინარჩუნა – **αῖτιν**, **αῖτια**.

კითხვითი ზმნიზედა **საიდან?** თანამედროვე ბერძნულში არის **από ποῦ**, აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაში მისი შესატყვისია – **απόθεν**, ისევე, როგორც ძველ ბერძნულში, **αποθεν**.

გრუხუნი, **ქუხილი** პონტოურად არის – **βρόντεμα**, ასევე გამოითქმის ძველ ბერძნულში **-το bronthma-** (**η** ძველ ბერძნულში იკითხება როგორც **ე**), ახალ ბერძნულში – **βρόντος**;

სიცილი – **γῆλος** პონტოურში, ასევე გამოითქმის ძველ ბერძნულშიც – **οἰγελω**~, ახ. ბერძნულში – **το γῆλο**.

ბ. პონტოურში დასტურდება სიტყვები, რომლებიც საერთოა ძველი და თანამედროვე ბერძნული ენისთვის, ასეთებია:

მაგ: სიზმარი – **όνειρον** (პონტ.), ახ. ბერძნულში – **το όνειρο**, ძვ. ბერძნულში – **το ονειρον**.

კუთხე – **γωνίαν** (პონტ.), ახ. ბერძნულში – **η γωνία**, ძვ. ბერძნულში – **η ἰγωνία**;

წარბი – **φρύδι/φρίδε** (პონტ.), ახ. ბერძნულში – **το φρύδι**, ძვ. ბერძნულში – **οἰφρυδιον**;

ტაშტი, გობი – ახალ ბერძნულშია **η λεκάνη, η σκάφη** (ი სკაფი), პონტოურსა და ძველ ბერძნულში მხოლოდ ერთი ფორმა გვხვდება – **σκαφίρ** (პონტ.), ძვ. ბერძნული – **η σκαφη**;

ნერვი – **τα νῆρα** (პონტ.), ახ. ბერძნული – **το νεύρο**, ძვ. ბერძნული – **το νευρον**;

გ. ძველი ბერძნული ლექსიკური ერთეულები, რომელთაც თანამედროვე ბერძნულ სალიტერატურო ენაში ფონეტიკურ-გრამატიკული ცვლილება განუცდიათ ან საერთოდ აღარ იხმარება, პონტოურში მცირე ფონეტიკური ცვლილებით დამკვიდრებულა.

ზმნიზედა – **უკან** – ძველ ბერძნულში გვხვდება **οπίσθε** ფორმით, აქედან პონტოურში **οπί** ფორმითაა დამკვიდრებული, ახალში – **πίσω**;

კერვა – ძვ. ბერძნულშია – **ῥαπτω**, პონტოურში – **τ-ს** წინ **π>φ** – **ράφτω**, ახალ ბერძნულში არის – **ράβω**;

კვერცხი ძვ. ბერძნულში გამოითქმის – **το ῥῥῳον**, პონტოურ დიალექტში **-β-**ს გაჩენით მიღებულია **αβόν**, აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაში **οβᾶ** ფორმით გვხვდება, ახ. ბერძნულში – **το αυγό**;

მარილი ძვ. ბერძნულად არის – **ο αἶλ-**, პონტოურში თანხმოვანთ გასაყარად ჩნდება ხმოვანი და გვაქვს – **αλάς**, ახ. ბერძნულში – **το αλάτι**;

პონტოურში მურაბას ჰქვია **γλυκό**, ძველ ბერძნულში **gluku~**, ახალში კომპოზიტი – **το γλυκό κουταλιόν** (γλυκό+κουταλιόν);

პონტოურში საუზმოობა – **πρωινό** უნდა მომდინარეობდეს ძველი ბერძნული ფორმისგან **prwiza**, ახ. ბერძნული – **το πρωινό**;

პონტოური **χουλιάρ** (კოვზი) უნდა მომდინარეობდეს არქაული ბერძნულის საერთო ძირის მქონე ამავე მნიშვნელობის სიტყვისგან – **ο κολιό** (**το κολιάριον**), ახალ ბერძნულში მსგავსი ფუძის მქონე სიტყვა აღარ გვაქვს.

საცერი პონტოურში გამოითქმის – **κο[sh]κίν**, ძვ. ბერძნულში – **το koskinon**, ასევეთივე ფორმითაა დადასტურებული ზოგადად პონტოურ დიალექტში – **κοσκιν**, ხოლო აჭარის მკვიდრ პონტოელთა მეტყველებაში **σκ** კომპლექსი გვაძლევს **shk** კომპლექსს.

ქვაბი ძვ. ბერძნულშია – **καλκόν**, ასევე შემოუნახავს ზოგადად პონტოურ დიალექტსაც – **χαλκόν**, აჭარის მკვიდრ ბერძენთა მეტყველებაში ასიმილაციის გზით ვლგებულობთ **χαλγόν** ფორმას (თუჯის ქვაბი)/**καστρόλιαν** (რუს. **кастрюля**), ახ. ბერძნულში – **η κατσαρόλα** (ვენეც. **cazzerola**);

ცისფერი ახალ ბერძნულში გვხვდება – **γαλάζιος, γαλανός** ფორმით, ძველ ბერძნულში ამავე მნიშვნელობის სიტყვა გამოითქმის **ουρανιό**~ (ციური, ზეციური), პონტოურს ცისფერის აღსანიშნავად ძველი ბერძნულის ფორმა აქვს გამოყენებული **-ουρανίν χρώμα>ουρανίν+χρώμα** (ცის ფერი);

ზეთისხილი პონტოურში არის – **ελέας**, ასევეა არქაულ ბერძნულშიც **η ελαία**, ახ. ბერძნულში – **η ελιά**;

ხახვი პონტოურში არის – **κρομό**, ძველში – **το κρομμιον**, ახ. ბერძნულში – **το κρεμμύδι**;

გველი – ძველი ბერძნულის მსგავსად პონტოურში არის – **οφιό**, ძვ. ბერძნული – **ο οφιό**~ და მამრობითი სქესის სახელია, ახალ ბერძნულში კი საშუალო სქესისაა – **το φιδί**;

თხა – პონტოურში გამოითქმის **ειό**, მიღებული უნდა იყოს არქაული ბერძნულის **aix, aigo**~ ფორმისგან, ახალ ბერძნულში მსგავსი მნიშვნელობით სხვა ძირის მქონე სიტყვები გვხვდება- **η κατσικά, ο τράγος**;

მატლი, ქია პონტოურში გვხვდება – **σκολέκ**, რაც არქაული ბერძნულის **το σκωλήκ** ფორმისგან მომდინარეობს, ახ. ბერძნულში – **το σκουλήκι**;

პონტოური **βουό** – **მოზვერი** მომდინარეობს არქაული **ο βουό**~ ფორმისგან, რომელსაც თანამედროვე ბერძნული აღარ იყენებს – **μοσχάρι**;

გადარეული, გაგიჟებული პონტოურშია **παλαός**, ახალ ბერძნულში რამდენიმე შესატყვისი აქვს – **τρελό, παλαβός, παράφρων**, მათგან პონტოურს მხოლოდ ერთი შემოუნახავს ისეთივე ნარმოებით, როგორიც ძველ ბერძნულშია: **απολλωό**~ ზმნისაგან **apollumai**;

პონტოურში **κεραμά** აღნიშნავს კრამიტს, ძველ ბერძნულში გვაქვს **η κεραμί**~, ახალში თანხმოვანია გაჩენილი – **το κεραμό**, **η κεραμό**;

ოთახი ძველბერძნულად არის – **η kamara, η kamarh** (ლათ. **camara**), ახალ ბერძნულში ოთახს აღნიშნავს აგრეთვე **το δωμάτιο**, პონტოურში ვხვდებით მხოლოდ ერთ შესატყვისს – **καμάρι**;

Μετρούγα პონტოურში აღნიშნავს დედინაცვალს, რომელიც არქაული ბერძნულის **h|mhtruia** ფორმის ვარიანტია მიღებული ბგერის გაჩენით, ახ. ბერძნულში გვაქვს – **η μητριά;**

დროის ზმნიზედა **მალე** პონტოურშია – **αλύγορα**, რომელიც ამავე ძირის არქაული ბერძნული სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს **di' o|ligou**, ახალ ბერძნულში გამოითქმის – **σε λίγο, σύντομα, γρ ἴσρα;**

ენძელა პონტოურად არის **κορονίτσα**, ახ. ბერძნულში ამ სიტყვის შესატყვისად გვაქვს – **ο γαλάνθος, ο χιονώδης**, მსგავსი ძირის მქონე სიტყვა ძველ ბერძნულში გვხვდება – **h| korwnh**, რაც გვირგვინს აღნიშნავს.

აბურძგნული (აჩეჩილი თმა) პონტოურად არის **ταραμένα (ταραμένα μαλιά)**, რაც მიღებულია ძველი ბერძნული ზმნური ფორმისგან **tarach|**, ამავე მნიშვნელობის სიტყვა არის ახალ ბერძნულში – **ανακατεμένος, αναμαλλιασμός, στραπατσarisμός, τσαλακωμός;**

გალესილი პონტოურად – **ακόνιον, καλόν ακονεμένον**, რომელიც მიღებული უნდა იყოს ძველი ბერძნული ზმნისგან **akonaw** – გალესვა, **h| akonh** (სალესი), ახ. ბერძნული – **ακονισμένος, οξυμμός, τροχισμός.**

დ. ცალკე გამოვყოფთ პონტოურ კომპოზიტებს, რომლებიც მეტწილად ძველი ბერძნული ენის ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული:

ფუტკარი ძველ და ახალ ბერძნულში გვხვდება ფორმით **-h| melissa/ η μέλισσα, μελεσσίν**, ბზიკი პონტოურში კომპოზიტის სახით შემონახულა – **άγρεν μελεσσίν** (ახ. ბერძნული – **η σφήκα, η σφήκα**);

ჯეირანი-ს პონტოური ფორმა **αγρείπον** ძველ ბერძნული სიტყვების **agrio~** და **o| ἴππο~** შეერთებითაა მიღებული (ახ. ბერძნული – **η γκαζέλλα**);

კეჟერა ფხალი თანამედროვე ბერძნულში გამოითქმის – **to lacano**, პონტოური **μαβρολάχανο** ძველი ბერძნული სიტყვებისაგან **to lacanon, mauro~** შემდეგარი კომპოზიტია;

ჟინჯლი თანამედროვე ბერძნულად გამოითქმის – **ψιχαλζει**, პონტოურში კომპოზიტის სახით დასტურდება – **ψιλβρε[sh]ἴγ** (ძველი ბერძნული **yila-+brochz**);

გრიგალი თანამედროვე ბერძნულში რამდენიმე სინონიმური შესატყვისით აღინიშნება, **ο λαίλαπας, ο τυφώνας, η θύελλα, ο ανεμοστρόβιλος**, ამათგან პონტოურში არცერთი ძირის მქონე სიტყვა არ ჩანს, ძველ ბერძნული სიტყვებისაგან **h| ahr** და **dunato~** მიღებული კომპოზიტის სახითაა წარმოდგენილი – **δυνατόνατρα;**

სიტყვაში **ფარშევანგი** პონტოურში შეესაბამება კომპოზიტი **περίφανονπουλν**, რაც კომპოზიტია – **περίφανον+πουλν** (ძველ ბერძნული **perifanh~** – ნათელი, ცხადი, ცნობილი). **ფარშევანგი** თანამედროვე ბერძნულში არის **το παγών;**

ე. ცალკე განვიხილავთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებსაც ძველ ბერძნულ ენაში რამდენიმე შესატყვისი მოეძებნება, თუმცა მათგან პონტოურს ერთი შემოუნახავს.

ბრონეული ძვ. ბერძნულად არის – **h| roia, anariqmo~**, აქედან პონტოურს **-ანარ** შემოუნახავს, ახ. ბერძნულში გვაქვს **το ρόδι, το ρίδιο;**

დოქი – ძვ. ბერძნულშია **ο lagino~, ο keramo~**, ამათგან პონტოურს **λαγγ** შემოუნახავს, ახ. ბერძნულშია – **η καννάτα**;

ყეფა – **ιλάγμαν** (პონტ.), ძველ ბერძნულში – **υλάγμα**, ახ. ბერძნულში – **το γάβγισμα**;

გამოვლენილი მასალა ცხადყოფს, რომ ბევრი ლექსიკური ერთეული, რომლებიც ძველი ბერძნული ენის კუთვნილებაა, თანამედროვე ბერძნულ სალიტერატურო ენაში აღარ იხმარება, მაგრამ შემოუნახავს პონტოურ დიალექტს.

ნასესხები ლექსიკა

თურქიზმები აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა ბერძნულში

საქმრო/საცოლელ პონტოურად გამოითქმის – **vous[sh]αλού**, ახ. ბერძნულად – **αργαβωνιαστικός/η**, შდრ. თურქ. **nişanlı** (ნეფე, საქმრო), შდრ. აჭარ. ნიშანლობა (ზ. აჭ. ვაჟის მიერ ქალის დანიშვნა, ნიშნობა) (ნიჟარაძე 1971: 287);

ილლია – **კოლდონჯია** (პონტ.) – **μασχάλη** (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. **koltuk altı** – ილლია;

სისხლძარღვები – **ταμάρια** (პონტ.) – **αιμοφόρο /αγγείο** (ახ. ბერძ.) შდრ. აჭარ. ტამარი (თურქ. **damar** – 1.ძარღვი, ნერვი; 2. გად. ზნე, ხასიათი) (ნიჟარაძე, 1971:328);

ულვაში – **პოუსჯია** (პონტ.), **μουστάκι** (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. **biyik** – ულვაში. გავრცელებულია ლაზურშიც – ბუუული. ეს სიტყვა თურქულიდან შემოსულია აჭარულში, შავშურში, კლარჯულსა და ტაოურში (ჩოხარაძე, 2015:512).

ლურჯი (მუქი) – **მოβ** (პონტ.) – **μπλε** (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. **mavi** – ლურჯი;

მოხერხებული – **πε[ch]αροχλής** (პონტ.) – **δεξιότηχης, ευέλκτος, ευστροφος** (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. **becerikli** – მოხერხებული;

ია – **μανου[sh]άκια** (პონტ.) – **ιον** (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. **Menekse** – ია;

ნესვი – **γαβόν** (პონტ.) – **πεπόνι** (პეპონი) (ახ. ბერძ.), შდრ. თურქ. **Kavun** – ნესვი;

ზენარი **[ch]αρ[ch]άφ** (პონტ.) – **σεντόνι** (ახ.ბერ.), შდრ. თურქ. **carsaf** – თეთრეული;

ლეიბი – **τε[sh]άκ** (პონტ.) – **στράμα** (ახ. ბერ.), შდრ. თურქ. **dosek/yatak** – ლეიბი, ლოგინი;

ყავადანი – **[j]εβζέ** (პონტ.) -შდრ. აჭარ. ჯეზბე/ჯეზვე (თურქ. **Cezve** – სპილენძის ან თუნუქის პატარა ჭურჭელი, რომელშიც ყავას ადუღებენ) (ნიჟარაძე 1971: 443);

ატამი – **[sh]οφτάλια** (პონტ.) – **ροδάκνιο** (ახ. ბერ.), შდრ. თურქ. **seftali** – ატამი;

ქამარი **γά[sh]** (პონტ.) – **ζώνη** (ახ. ბერ.), შდრ. თურქ. **kayis**, შდრ. აჭარ. ყაიში – ქამარი (ნიჟარაძე 1971: 367);

პაზირი, ხაზირი (არაბ, ქობ.) – მზა, მზა მდგომარეობაში, გამზადებული (ნიჟარაძე, 1971:447).

–აპამე ტო **ზენჯირი**, კე მავრონ კასრული.. **ზენჯირი** (სპარს.) – ჯაჭვი.

ფიშტო (თ. **Pistov, pistol** (იტ.) – თოფი – ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი, დამბაჩა (ნიჟარაძე, 1971:347).

მოსაფირი – სიტყვა არაბული წარმოშობისაა <თურქ. **misafir** – სტუმარი (ჩოხარაძე, 2015:538). მოსაფირი აჭარულშიც გავრცელებულია სტუმრის მნიშვნელობით, **მოსაფირი** (არაბ) – სტუმარი, მნახველი, მომსვლელი (ნიჟარაძე, 1971:267).

პირსახოცი – **πε[sh]κίρ** (პონტ.) – **πετσέτ** (ახ. ბერ.), შდრ. აჭარ. **ფეშკირი** >თურქ. **peskir** – პირსახოცი;

რუსული ლექსიკა პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში

ავეჯი – **τα μεμπέλια** (პონტ.) – **έπιπλα** (ეპიპლა) (ახ. ბერძ.), რუს. **мебель** – ავეჯი/ აჭარ. მებელი – ავეჯის სახეობა;

თავსაფარი – **κα[sh]κάν** (პონტ.) – **μαντ ἴλι** – თავშალი, მანდილი, ცხვირსახოცი (ახ. ბერძ.), შდრ. რუს. **Косынка**/აჭარ. კასინკა/კაშნი – თავსაფარი;

ქუდი – **[sh]άπκαν** (პონტ.) – **καπέλο / πίλος** (ახ. ბერ.), შდრ. რუს. **шарка** – აჭარ. შაფხა-ქუდი, ცილინდრი;

ქოლგა – **ζόντικον**- (ზონტიკონ) (პონტ.) – **ομπρέλα** (ომპრელა) (ახ. ბერ.), შდრ. რუს. **зонтик** – ქოლგა;

მუსიკოსი – **μουζικάντ** (პონტ.) – **μουσικός** (ახ. ბერძ.), **музыкант** (რუს.) (ჩემი დიშვილია, მუზიკანტია; კაა სიმღერაა, თან მუზიკაც იცის);

ჭიქა – **στακάν** (პონტ.) – **стакан** (რუს.), **ποτήρι** (პოტირი) (ახ. ბერძ.). პარალელურად ბერძნულ ფორმასაც გამოიყენებენ;

ცისარტყელა – **ραδούκα** (პონტ.) – **ουράνιο τόξο** (ახ. ბერძ.), პარალელურად ბერძნულ ფორმასაც გამოიყენებენ.

პონტოური **τραπέζι** – **მაგიდა** სიტყვის პარალელურად გამოიყენებენ რუსულ ტერმინს – **стол** – **მაგიდა**.

საიდუმლო – **σεκρέτι** (პონტ.) – **секрет** – რუსული სიტყვაა და საიდუმლოს ნიშნავს.

ბუნება – **πριρόδα** (პონტ.) – **природа** (რუს.) – ბუნება. **φύση** – (ახ. ბერძ.) – ბუნება.

ორნამენტი – **αρνάμεντ** (პონტ.) – **орнамент** (რუს.) – **διακόσμηση** (ახ. ბერძ.).

მეტყველებისას ხშირად გამოიყენებენ სიტყვას **καυ[sh]να** – რა თქმა უნდა, რაც რუსული სიტყვაა (**конечно**), თუმცა ამავე სიტყვის ბერძნული შესატყვისი ლექსემაც ახსოვთ – **βέβαια** (ახ. ბერძ.).

ასევე ხშირად გამოიყენებენ რუსულ სიტყვას **постоянно** – ყოველთვის, მუდამ, (მაგ: წმინდა გიორგის ეკლესიაში დავდივართ პასტააანა, იქ ახლოსაა; პასტააანა **δέκαχρονα** – ყოველთვის ათი წელია; ოთხი, ხუთი კაცი პასტააანა ვართ), **πάντα** (ახ.ბერძ.).

საჩუქარი – **παδάρκα** (პონტ.) – **подарок** (რუს.), **δώρο** (ახ. ბერძ.)

კუნთი – **μουσκούλαμ** (პონტ.) – **мысул** (რუს.) – **μυς/ μύνας** – ახ. ბერძ.);

სანებელი – **βαδμβκα** – **подливка** (რუს.), **σάλτσα** (ახ. ბერძ.).

ბერძნული **καρότο** – სტაფილო, პარალელურად იყენებენ რუსულ ტერმინს – **морковка**, ასევე, **μπουράκι** (პონტ.) – ჭარხალი, **бурах** (რუს.), **ζαχαρότευτλο** (ახ. ბერძ.).

ბარი – **λαπάτκα** (პონტ.), – **лопата** (რუს.), **φτάρι** (ახ. ბერძ.).

ქართული ლექსიკა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში

მუშტი – **μουστα** (პონტ.) – **γροθιά** – მუჭი, მუშტი, მჯილი (ახ. ბერძ.). შდრ. ქართ. მუშტი;

კოკორი – **κουκούτς** (პონტ.) – შდრ. აჭარ. **კუკუტი** – კოკორი, შ. ნიჟარაძესთან განმარტებულია – 1. ნანვეტებული თავი რისამე, წვეტი, 2. მაჭვის თავი (ნიჟარაძე, 1971: 234) – **μπουμπουκιάζω** – ვიკოკრები, **μπουμπουκι** – კოკორი (ახ. ბერძ.);

შარვალი – **[sh]αρβάλ** (პონტ.) – **παντελόνι** (ახ. ბერ.), შდრ. ქართ. შარვალი;

მუთაქა – **μουρτάκα** (პონტ.) – **μαξιλάρια** (ახ. ბერ.), შდრ. აჭარ. მურთაქა-ბალიშის მსგავსი, გრძელი, ვინრო, ბალიშის ქვეშ დასადებად იყენებენ;

ბრინჯი – **πριντζ**(ბრინძ) (პონტ.) – **რნჯი** (რიზი) (ახ. ბერ.);

თუთა – **τουτια** (პონტ.) – **μυθρο** (ახ. ბერძ.), შდრ. ქართ. თუთა;

კარტოფილი – **καρτόφα** (პონტ.) – შდრ. აჭარ. ყართოფი/ყართოფაა – კარტოფილი (ნიჟარაძე, 1971: 369), **πατάτα** (ახ. ბერ.).

ბერძნიზმები ქართულში

პონტოელი ბერძნები სახლობდნენ იმ რეგიონებში, სადაც მათ ისტორიულად ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ხალხთან, პირველ რიგში კი, ქართველურ ტომებთან.

სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, პონტოს რეგიონში თავის დროზე ყოფილა 102 ელინური დასახლება, მართალია, ამავე რეგიონში სხვა ხალხებიც ცხოვრობდნენ, პირველ რიგში კი ქართულენოვანი ტომები, უპირატესად ლაზები, რომელნიც ამ ტერიტორიაზე ჭეშმარიტ ავტოქტონებად გვევლინებიან, მაგრამ, ოტომანთა იმპერიის საბუთების მიხედვით, ბერძნულენოვანი მოსახლეობა პონტოს რეგიონში ყველაზე მრავალრიცხოვანი ყოფილა (ბერძნები საქართველოში, 1990:5-8).

ლაზებსა და ბერძნებს შორის სწორედ ახლო ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს ერთი მხრივ, თურქეთის ლაზური მოსახლეობის ენაში პონტოური დიალექტის გავლენის კვალი და, მეორეს მხრივ, პონტოურში – ქართველურისა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თანამედროვე ლაზეთის ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში შედიოდა რომისა და ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში და განიცდიდა ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის დიდ გავლენას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად უცხო ტომთა ხანგრძლივი ბატონობისა, ლაზურ-ჭანური მეტყველება აქ არ შეწყვეტილა.

ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი და მაჩვენებელია, რომ „ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე არსებობდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსინიკები, დრილები და სხვანი სწორედ ლაზურ-ჭანურად მეტყველებდნენ, რომ ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“ (ჯავახიშვილი, 1984:415).

ლაზურ გარემოში მოხვედრილმა ბერძნულმა დიასპორამ საკუთარი კულტურაც განავითარა, ადგილობრივებზეც გავლენა მოახდინა დაამავდროულად, დამხვედურისაგანაცხვერი შეითვისა, რაც, ბუნებრივია, აისახა მის მეტყველებაში, უპირატესად – ლექსიკაში.

სიტყვათა სესხების პროცესი ორივე მიმართულებით მიმდინარეობდა, ადგილი ჰქონდა როგორც ბერძნულიდან ლაზურში სიტყვათა სესხების პროცესს, ასევე პირიქით, ბერძნულში მკვიდრდებოდა ლაზური ლექსიკა.

პონტოური ბერძნული დროთა განმავლობაში ლაზურიდან ისეთ სიტყვებს ითვისებდა, რომლებიც აჭარულსა და საერთოდ ქართველურ ენებში იყო გავრცელებული, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს სიტყვები პონტოურში ლაზურიდან მკვიდრდებოდა, რაც არც აჭარულისთვის იყო უცხო.

ამ ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე გასაგებია, თუ რატომ არსებობს ბერძნულში ქართველური წარმოშობის პლასტები. მრავალი ბერძნული სიტყვა, ბუნდოვანი თუ უცნობი ეტიმოლოგიისა, პარალელებს პოულობს ქართველურში (გორდეზიანი, 1985:5).

სწორედ ქართულ-ბერძნული ენობრივი ურთიერთობების შედეგია ბევრი ბერძნული სიტყვა, რომლებიც ოდითგანვე დამკვიდრებულია ქართულში, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა არა ადრეული პერიოდის ნასესხობები, არამედ გასული საუკუნის მიგრაციის შედეგად გამონვეული ენობრივი კონტაქტებისა და ამ კონტაქტების შედეგად მიღებული ნასესხობები კოლხურსა და ქართული ენის აჭარულ დიალექტში.

სიტყვათა სესხებისას საინტერესოა ძიება ინტეგრაციის გზებისა, რომლებიც მრავალფეროვანია და ლინგვისტური თვალსაზრისით არაერთ საყურადღებო ფაქტს წარმოგვიდგენს.

ბერძნულ-ქართული ურთიერთობებისას უპირველესად ღირსსაცნობია სუპერსტრატული დანაშრეგები, რომლებიც ამ ურთიერთობებს მოჰყვა და, შეიძლება ითქვას, დღემდე გრძელდება. დომინანტი ლექსიკა ბერძნულია, თუმცა გრამატიკული ნყობა, სინტაქსური კონსტრუქციები სესხების საინტერესო შემთხვევებს ავლენს (ხახუტაიშვილი, 2016: 284).

ლაზურში არსებული ბერძნიზმების უმეტესი ნაწილი სახელებია, – თემატურად საყოფაცხოვრებო შინაარსის ამსახველი. გვხვდება რამდენიმე ზმნური ერთეული, კავშირები და ზმნიზედები.

ბერძნული ლექსიკური ერთეულების ნაწილი როგორც სემანტიკურად, ასევე ფონეტიკურად გაფორმებით უცვლელადაა დამკვიდრებული ლაზურში. ჩანს, ნასესხებ სიტყვათა ერთ ნაწილს ლაზურში შეუნარჩუნებია როგორც ფონეტიკური სახე, ასევე სემანტიკაც.

კარავი (ლაზ.) – **το καράβι** (ბერძ.) – გემი;

კარფი (ლაზ.) – **το καρφι** (ბერძ.) – ლურსმანი;

ლიმანი (ლაზ.) – **το λιμάνι** (ბერძ.თურქ.) – პორტი, ნავსადგური;

ოტი (ლაზ.) – რა, რაკი, რომ – **ὄτι** (ბერძ.);

ოფრიდი (ლაზ.) – **το φρέδι** (ბერძ.) –

ტურპანი (ლაზ.) ბურლი – **τουρπάνι/τουρπάνι** (ბერძ.) – ჩალმა, ტურბანი;

ღნოსი (ლაზ.) ქკუა – **η γώση** (ბერძ.) – ცოდნა, ქკუა, შეცნობა (**βάζω γώση** – ქკუაში ვვადებ);

პაპაზი (ლაზ.) – ქრისტიანული მღვდელი (მდრ. აჭარ. ფაფაზი). აჭარულში დამკვიდრებული **ფაფაზი** იმავე მნიშვნელობისაა (თ. **papaz** – ბერძ. **παπάς**) სასულიერო პირი, მღვდელი – გადატანით – ბრაზიანი, მზაკვარი, ფლიდი, ოინბაზი, თვალთმაქცი (შ. ნიჭარაძე, 1971.: 341). **Η παπαδιά** – ბერძნულში მღვდლის ცოლს ნიშნავს.

სომუნი (ლაზ.) – მრგვალი პური (მდრ. აჭ. სომუნი, თურქ. **somun**, ბერძ. **ψαμί** (ფსომი) პური);

დულლა (ლაზ.) – **η δούλια** (დულია) (ბერძ.) – საქმე, სამუშაო. ბერძნულში ორი მნიშვნელობით გვხვდება. მნიშვნელობის ცვლას, ერთი სიტყვის ფარგლებში, მახვილის მონაცვლეობა ინვევს. თუ სიტყვას მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის, აღნიშნავს **მონობას**, რაც ლაზურში არ ჩანს.

ბერძნულ ენაში მახვილი დისტინქტური ფუნქციის მატარებელია, მახვილის მონაცვლეობა სიტყვას უცვლის მნიშვნელობას. ლაზურში, რომლისთვისაც მსგავსი ენობრივი მოვლენა უცხოა, სიტყვა **დულია** შევიდა მხოლოდ ერთი მნიშვნელობით – **საქმე, სამუშაო**.

Ποτέ ბერძნულში ბოლოდან პირველ მარცვალზე მახვილით ნიშნავს – **ოდესღაც, არასდროს, ძველად**. ბოლოდან მეორე მარცვალზე მახვილით კი – **πότε** გამოხატავს კითხვას – **როდის?**

პოტე ლაზურში ისეთივე გრამატიკული გაფორმებით შევიდა, როგორც ბერძნულისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა სემანტიკური თვალსაზრისით ერთი მნიშვნელობით დამკვიდრდა – **ოდესღაც, არასდროს, ძველად**. მეორე მნიშვნელობა – გამოხატოს კითხვა – ლაზურში არ ჩანს. დავიმონებთ ლაზურ ტექსტს „დო ე სქანი ნენაფე, კო პოტეს ვა ბოგნატი“ (ნარაკიძე, 2016:168) – და ეს შენი სიტყვები არასდროს გამეგონა.

რიგი ბერძნობებისა ლაზურში მცირე ფონეტიკური თუ გრამატიკული სახეცვლილებით დამკვიდრებულია. ბერძნული ენის მრავლობითის ფორმა ლაზურში მხოლობითადაა გააზრებული.

τασλά – ეზოები ბერძნულში **η ασλή** (ეზო) სახელის მრავლობითის ფორმაა. **ავლა** – ლაზურში მხოლობითადაა გაგებული – ეზო, სამეფო კარი, დარბაზი (მდრ. აჭ. ჰავლი).

შ. ნიჭარაძესთან **ჰავლი** (თურ. **havla** – ბერძ. **ασλή**) იგივეა, რაც ბაკი, მუთვალე, სამზარეულო ოთახში შესასვლელი დერეფანი (ნიჭარაძე, 1971:447).

მეორე მნიშვნელობით – ახორს აქვს წინ **ჰავლი** – საქონლის მოსაცდელი, გამოსაყვანი.

რახნა (ლაზ.) – ობობა – **η αράχη** (ბერძ.);

ზიმარი (ლაზ.) – ცომი – ბერძნულში – **η ζήμη**;

კრომი (ლაზ.) – ხახვი, ახ ბერძნულში – **κρεμμύδι/κρόμμυσον** – ძვ. ბერძნულში. ლაზურში დამკვიდრებული კრომი გრამატიკული გაფორმებით ბერძნული ენის არქაულ ნყოფასთან უფრო ახლოსაა.

მიკნატისი (ლაზ.) – მაგნიტი – **μαγνήτης** (ბერძ.);

მსორა//სორა (ლაზ.) – ბლერი (შდრ. აჭარ. ხორა). ხორა აჭარულში კანის ერთგვარი დაავადებაა დამახასიათებელი ძლიერი ქავილით (ნიჟარაძე, 1971:439). ხორა საბასთან ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. **ხორან** (ხორასი) – **შემის ზვინი** (შდრ. ბერძ. **σάρεια** – გროვა, ზვინი, დიდი რაოდენობა), 2. **ხორა (ხორისა) – ხმელი მუნი**;

სინორი (ლაზ.) საზღვარი – **το σύνορο/τα σύνορα** (ბერძ.) – საზღვარი (შდრ. აჭარ. სინორი) – აჭარულში ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. **სინორი**(თურქ. **sinir** – ბერძ. **σύνορον**) **საზღვარი, მიჯნა**. 2. სინორი//სირონი – **კერძი**, სახელდახელოდ მისატანი საჭმელია სტუმართან (ნიჟარაძე, 1971:319-320). ლაზურში საზღვრის მნიშვნელობით დამკვიდრებულა, მაგ: „ნანდიდის ონტულე თურქიეში სინოიკალა **ძაქინი** ულუტუ...“ – ბებიას ბოსტანი თურქეთის საზღვართან ახლოს ქონდა.

სკაფინდი (ლაზ.) სარეცხის გასარეცხი დიდი ვარცლი – **η σκάφη** (ბერძ.) – გობი, ტაშტი, ვარცლი;

ტრალოდუ (ლაზ.) – სიმლერა – **το τραγούδι** (ბერძ.);

ფენეი (ლაზ.) ფანარი – **το φανάρι/ο φανός** (ბერძ.) – ფანარი, შუქნიშანი (შდრ. აჭარ. ფენერი – ერთგვარი გასანათებელი საშუალებაა). ლაზურშიც ამავე მნიშვნელობით გამოიყენება, მაგ: „ფენეი დოქაჩერი, სერ დო სერი გოფთათენ“ – ფანარდაკავებული ღამლამობით ვიაროთ (ნარაკიძე, 2016:168).

ქერემიდი (ლაზ.) კრამიტი – **το κεραμίδι/η κεραμίδα** (ბერძ.) – კრამიტი (შდრ. აჭარ. ქერემეთი – თურქ. **kiremit**– ბერძ. **χεραμίδς**). ქეგლ-ის მიხედვით, კრამიტი სილანარევი თიხის გამომწვარი ფირფიტაა, ხმარობენ შენობის სახურავად. ქერემიდი ტრანსლიტერირებულია ბერძნულიდან ლაზურში, სავარაუდოდ, სწორედ ლაზურია დასახელებული ლექსემის აჭარულში ინტეგრაციის გზა (ხახუტაიშვილი, 2016:287).

ქილისე (ლაზ.) – ეკლესია (შდრ. აჭარ. ქილისა – თურქ. **kilise** – ბერძ. **η εκκλησία**).

ქესტანე (ლაზ.) ნაბლი – **το κάστανο, η καστανιά/καστανέα** (ბერძ.) – ნაბლი (შდრ. აჭარ. ქესტანა – ხაპი, ნაბლა ხაპი);

ხარსუვი (ლაზ.) ჩუქება – **το χάρισμα** (ბერძ.);

ხორონი (ლაზ.) – ცეკვა – **ο χορός** (ბერძ.) – ცეკვა, ქორო, ფერხული (შდრ. აჭარ. ხორომი//ხორუმი//ხორონი – ჯგუფური საფერხულო ხალხური (აჭარულ-გურული) ცეკვა (ნიჟარაძე, 1971:438). აჭარაში იტყვიან „გარედან ხორონი ადვილია“ – გარედან ცეკვა ადვილია).

შამანდურა (ბერძ. თურქ) – მინიშნება, ნიშანი, ტივტივა, ლივლივა (ც. ნარაკიძე, 1986.:88).

ლაზურ მეტყველებაში დამკვიდრებულ რიგ ბერძნულ ლექსიკურ ერთეულებში შეცვლილია სემანტიკა, დავინროებულია მნიშვნელობა ან ადგილი აქვს მნიშვნელობის გაფართოებას, სემანტიკურ გადახრას.

მაგ: **პარამეთი** (ლაზ.) ზღაპარი – **το παραμύθι** (ბერძ.) –ზღაპარი.

პარამითი ლაზურში – საუბარს, ლაპარაკს აღნიშნავს, ბერძნულში ამ მნიშვნელობით გამოიყენება **μλα/μλημα** – ლაპარაკი/**παραμλα** (ბერძ.) – ზედმეტად ვლაპარაკობ, ვლაქლაქებ. შესაძლებელია, ლაზურის **პარამითი** გადატანითი მნიშვნელობით ბერძნულის ანალოგიით – უაზრო, არარეალურ საუბარს ნიშნავდეს (მაგ: ზღაპარს მელაპარაკები, ზღაპარია შენი საუბარი...).

ლოდოზი (ლაზ.) – სამხრეთის ქარი, ტრაპიზონის ქარი (?), **νότος**.

აღვნიშნავთ, რომ ამ ტერმინის მნიშვნელობა ლაზურში საეჭვოდ მიაჩნია ალი თანდილავას და სვამს კიდევ კითხვის ნიშანს. სამხრეთ აღმოსავლეთის ქარი ბერძნულად ითარგმნება როგორც – **σφορικός**. ლოდოზი, შდრ. აჭარ. ლოდოსი – (ბერძ. **λότος**) თბილი, მოღრუბლული, დაბურული ამინდი, რომელიც ხელს უწყობს, აჩქარებს თოვლის დნობას (ნიჟარაძე, 1971:240). შესაძლებელია, ლაზურში შესული **ლოდოზი** ამავე მნიშვნელობის იყოს.

ღრამათი//ღრამეთი (ლაზ.) – მწერალი. ბერძნულში **το γραμμα/ τα γραμματά** ნიშნავს ანბანს, წერილს (შდრ. ბერძ. **γράφω** – ვწერ, **συγγραφέας** – მწერალი, **γραμματέας** – მდივანი).

ქირეზი//ქირეზა (ლაზ.) – ბალი, ბლობა – (თურქ. **kirez + ayi** – ბერძ. **κεράσι** – ბალი, ბლობის თვე) – კომპოზიტი მოდელითურთ ნასესხებია (შდრ. აჭარ, ქირეზაი – ივნისი, ხალხური სახელწოდება წლის მეექვსე თვისა (ნიჟარაძე, 1971:357). ლაზურში ქირეზა ივნისია, როგორც თურქულში, აჭარულშიც ივნისის სახელწოდებაა. როგორც ჩანს, „ბლის თვის“, ანუ ივნისის მნიშვნელობა აჭარულში შეინარჩუნა სიტყვა „ქირეზამ“ იგივე სიტყვა სახელდებისთვის გამოიყენეს და უწოდეს მსხალს, ხოლო ქობულეთურში აღნიშნული სიტყვა მხოლოდ ივნისში მოსული მსხლისთვის გამოიყენება (ხახუტაიშვილი, 2016: 287).

გვხვდება ბერძნული ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ლაზურში სემანტიკურად რამდენიმე მნიშვნელობა შეუძენია:

პოტე (ლაზ.) 1. ოდესლაც, არასდროს, ძველად; 2. **პოტე** – ძალიან, ნამეტანი. ლაზურში დამკვიდრებული **პოტე** სიტყვის მეორე მნიშვნელობის გამოსახატავად ბერძნულში გამოიყენება – **πόλυ**. ელა (ლაზ.): 1. **მოდი** 2. **ჭა** – **ზმნისწინი**; 3. **ელა** – **ელა/ელი(?)**...

ჭა ბერძნულში ერთი მნიშვნელობით გვხვდება – **მოდი**.

მანგანა (ლაზ.): 1. **დინგი**, საცეხველი წყლით მოწყობილი. 2. **მანქანა?**

მანქანა ბერძნულში გამოითქმის – **η μηχανή**

ბარუთი (ლაზ.) – დენთი, ბერძ. **μπαρότι** თოფის წამალი.

სირა (ლაზ.) – რიგი, ჯერი. „სირა ჩქიმი ქომობთუ“ – ჩემი რიგი მოვიდა – **σειρά** ბერძ. აქედან გასირავება, რაც რიგზე დაწყობას, დალაგებას, გამწკრივებას ნიშნავს. ეს ლექსემა გავრცელებულია აჭარულშიც. სირა-სირაი – რიგ-რიგობით.

დრეპანი – ლაზურში აღნიშნავს ცელს. **Δρεπάνι** ძველ ბერძნულსა და ახალ ბერძნულშიც ქვია ნამგალს, უროს.

თომათისი – (ლაზ.) პომიდორი, თურქ. **domates** მიღებული უნდა იყოს ბერძნული – **τομάτα**-საგან. რაც ასევე პამიდორს აღნიშნავს. თომათესი შავშეთის მეტყველებაშიც გვხვდება.

თემელი – (ლაზ.) სახლის საძირკველი, შენობის ფუნდამენტი. **θεμέλιο** – საძირკველი. თემელი შავშურშიც გვხვდება.

კორდელა (ლაზ.) – ბანტი, ლენტი, ბაფთა. მაგ: „ე ბოზოს ქოუძი კორდელა მეკიდეი“ – იმ ქალიშვილს დავუნახე ბანტი მიბმული (თანდილავა, 2013). **Κορδέλλα** – ბერძნულად არის **ლენტი**.

ლივადი (ლაზ.) – ყანა, ბალი. ბერძნულად **λιβάδι**- აღნიშნავს – მდელოს, ველს, ხოლო ბალი, ბოსტანი არის – **κήπος/λαχανόκηπος**.

მამუნი (ლაზ.) – არის ბებიაქალი – ბერძნულად ბებიაქალი არის **μιά /μαμά/μαμή**. პონტოურში ბებიაქალის პონტოურ შესატყვისად გვხვდება **акушерка**, რუსული ტერმინი და – ბებიაქალს აღნიშნავს.

სკალა (ლაზ.) – კიბე – ბერძ. **σκάλα** – კიბე. აჭარულში სკალა – ხარაჩოს აღნიშნავს.

საბატონი (ლაზ.) – შაბათი – „საბატონის ვა ვიჩალიშეფთ“ – შაბათს არ ვმუშაობთ. **Σάββατο - σαββατον**-ძვ.

თემბელი – ლაზურში დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულია და ზარმაცს, უქნარას აღნიშნავს. **Τεμπέλης** (ახ. ბერძ.), **შდრ. Tembel** (თურქ.), თემბელი აჭარულშიც არის გავრცელებული.

პოღია – წინსაფარი (ნარაკიძე, 2016:168);

კორიზა (ბერძ. **Κορίδος**) – ბალნინჯო. ბერძნული სიტყვისგან მომდინარეობს, ლაზურში გვხვდება კორიდა ფორმით, რაც კედლის ტილს აღნიშნავს (ხახუტაიშვილი, 2016:286). კორიზა აჭარულშიც იცის.

ქობულეთურ მეტყველებაში დასტურდება სიტყვა **კონდო**. იგი ბერძნული **κοντός** (ჯოხი, ქოკი) – ისაგან მომდინარეობს.

ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ კონდო განმარტებულია როგორც – გომბიო, რაც მხოლოდ ქობულეთურში დასტურდება. ამ სიტყვის კონოტაციური მნიშვნელობით კონდოს ეძახიან დაბალი ტანის გოგონებს. აღნიშნული ლექსემას ირონიული დატვირთვა აქვს ქობულეთურში. „დეგესია კონდუები“ – ამას მაშინ იტყვიან, როცა კაცს ბევრი გოგო შეეძინება, კონდუები დეიბადა (იხ. ხახუტაიშვილი, 2016:288).

აღვნიშნავთ, რომ ლაზურში დასტურდება ათეულობით ლექსიკური ერთეული, რომლებიც ბერძნული წარმოშობის უნდა იყოს და საკვლევად პერსპექტიული ჩანს.

ქობულეთური კილოკავის თავისებურებებს სხვადასხვა გარემოება განაპირობებს, მათ შორისაა ბერძნული ენის დანაშრევი, რომელიც აღნიშნულ ეთნოსთან ყოფითი თუ ენობრივი კომუნიკაციის რეალური დასტურია.

აჭარულსა და ქობულეთში დამკვიდრებულ ლექსიკას შორის ინტეგრაციის გზა განსხვავებულია. რიგი ბერძნიზმებისა გვხვდება მხოლოდ აჭარულში, ისევე როგორც ლაზურში და ამ შემთხვევაში თურქულია ინტეგრაციის გზა. ღირსსაცნობია ბერძნიზმები, რომლებიც მხოლოდ ქობულეთურში გვხვდება და უცხოა აჭარულისთვის, რაც უშუალო სესხების დასტურია (ხახუტაიშვილი, 2016:288).

ლაზურმა ენამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უცხო ენების – ბერძნულისა და თურქულის გავლენას განიცდიდა, მაინც შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურს სხვა რომელიმე ენისაგან არ შეუთვისებია ფლექსია, მაგრამ უცხო სიტყვებისა და გამოთქმების შეთვისებამ ლაზურის ფონეტიკურ მოდელს თავისი დალი დაასვა (ნარაკიძე, 2016:169).

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების როგორც ფონეტიკური, ასევე ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები, მათ მეტყველებაში დაფიქსირებული ეთნო-მენტალური მარკერები ნათელს ჰფენს კულტურული ურთიერთგავლენების საკითხებს. აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება მნიშვნელოვან ფონეტიკურ თავისებურებებს ავლენს ძველ და თანამედროვე ბერძულ ენასთან მიმართებით.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველება, როგორც მასალები გვიჩვენებს, ძირითადად იმეორებს ბერძნულის ბგერათა სისტემას, თუმცა საკუთრივ ბერძულ სალიტერატურო ენასა და სხვა კილო-კავებისგან განსხვავებით, აჭარის მკვიდრ პონტოელ ბერძენთა მეტყველება ზოგიერთ თავისებურებას მაინც ავლენს:

ქართული ენის ფონოტაქტიკის გავლენით ვხსნით აჭარის მკვიდრ პონტოელთა მეტყველებაში ორმაგი თანხმოვნების გამარტივების პროცესსაც.

გვხვდება ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერის დაკარგვის, ბგერის გაჩენის, მეტათეზისის და ბგერათშენაცვლების შემთხვევები.

გავრცელებულია ძველი ბერძნულისთვის ბუნებრივი ელიზისა და ე.წ. კრასისის (შერევა) შემთხვევებიც.

გრამატიკულ თავისებურებათაგან აღსანიშნავია არსებითი სახელის სქესის ცვლილების შემთხვევები. პონტოურში არის როგორც მდებრობითი სქესის, ასევე მამრობითი სქესის სახელები, თუმცა, არსებითთა მეტი ნაწილი საშუალო სქესისაა.

ხშირ შემთხვევაში, ძველი ბერძნულის მამრობითი სქესის არსებითი სახელები პონტოურში საშუალო სქესისაა, ზოგ შემთხვევაში კი, თანამედროვე ბერძნული ენის მდებრობითი სქესის სახელები პონტოურში საშუალო სქესისაა.

ზოგჯერ ნასესხები სიტყვები არ დაირთავენ სქესის მანარმოებელ სუფიქსებს და შესაბამისად, არ ხდება სქესის გრამატიკული მარკირება. შესაძლებლად ვთვლით, მსგავსი მოვლენა აიხსნას უცხო ენის გავლენით, სადაც არ არის გარჩევა გრამატიკული სქესი.

გვხვდება შემთხვევები, როცა განსხვავებით თანამედროვე ბერძნულისაგან, პონტოურს შენარჩუნებული აქვს ძველი ბერძნულისთვის დამახასიათებელი წარმოება.

ზედსართავი სახელების ხარისხს პონტოურში სუფიქსები არ აწარმოებს. ხარისხის საწარმოებლად გამოიყენება დამხმარე სიტყვები.

ზოგიერთი რაოდენობითი რიცხვითი სახელის წარმოქმნის თანამედროვე ბერძნულ ენაში მიღებულ წესთან ერთად პონტოურში არსებობს განსხვავებული ვარიანტიც, ჯერ ერთეულებს ასახელებენ, შემდეგ კი – ასეულებს.

ნაცვალსახელთაგან გავრცელებულია ჩვენებითი, კითხვითი, უარყოფითი, მიმართებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. ნაცვალსახელების წარმოების თვალსაშისთავის პონტოური ხშირად ინარჩუნებს ძველი ბერძნულის მოდელს.

თანამედროვე და ძველი ბერძნული ენებისგან განსხვავებით, რომელთათვისაც ზმნის ერთპირიანობაა დამახასიათებელი, პონტოური განსაკუთრებულ თავისებურებას ავლენს, რაც ზმნის მრავალპირიანობაში გამოიხატება. პონტოურში შესაძლებლად მიაჩნიათ ერთი, ორი და სამპირიანი ზმნების ფორმათა არსებობა, რაც მიიღება ზმნისა და აკუსატივის ფორმით პირის ან ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაწილის შეხორცების ნიადაგზე. ეს მოვლენა კავასიური ენების გავლენით აიხსნება.

პონტოურში გავრცელებული ზმნიზედები საკმაოდ პროდუქტიულია. ძირითადად, გავრცელებულია ადგილის, დროისა, ვითარების, მიზეზის, მიზნის ზმნიზედები.

პონტოურში წინდებულები ისეთივე ფუნქციის მატარებელია, როგორისაც თანდებულები ქართულ ენაში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ პონტოურში წინდებულებთან ერთად რამდენიმე თანდებულებიც გვხვდება.

რაც შეეხება აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ლექსიკურ თავისებურებებს, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო სურათი წარმოჩინდება ენათა გავლენების, კულტურათა შერევის შედეგად მიღებულ ლექსიკური ნასესხობები.

სიტყვათა სესხების პროცესი ორივე მიმართულებით მიმდინარეობდა, ადგილი ჰქონდა როგორც ბერძნულიდან ლაზურსა და აჭარულში სიტყვათა სესხებას, ასევე, პირიქით, ნასესხები სიტყვები ქართულიდანაც მკვიდრდებოდა ბერძნულში.

